ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

# მნათობი

11

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

წელიწადი 66-ე № 11 ნოემბერი, 1990 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ოთარ ჩილაძე — ლაბირინთი. პიესა . . . 3
გიორგი ჩარკვიანი — ლექსები . . . 50
გენო კალანდია — ლექსები . . . 53
რევაზ ინანიშვილი — ოთხი მოთხრობა . . . 58
თენგიზ ჩალაური — ლექსები . . . 68
კაინალკა ბაბირაქი — ქართული მონასტრის გახსენება. ლექსი. თარგმნა ვაჟა ხორნაულმა . . . 70
ადამ ბოგლიაშვილი — ტყვე ღამეში. მოთხრობა . . . 71
დალილა ბედიანიძე — ლექსები . . . 76
ფრიდონ ხალვაში — წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა. რომანი. დასასრული . . . 82

### 150 — აკაკი — 150

კალისტრატე სალია — აკაკი წერეთელი. თარგმნა ფრანგულიდან [illegible] ველაძემ . . . 111

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მერაბ კოსტავა — ლომისფერი. დაინგრეს თუ გარდაისახოს . . . 115
მაკა ჯოხაძე — „თქვენ გმირი მოგხიბლავდათ...“ . . . 121
აკაკი ბაქრაძე — მწერლობის მოთვინიერება. დასასრული . . . 131
ნატალია ორლოვსკაია — საქართველო ჯეიმზ მორიერის ნაწარმოებებში . . . 150
ნელი ბოსტაშვილი — ახალგანთავისუფლებულ მიწა-წყალზე . . . 152
სოსო მარგიშვილი — შენიშვნები აკად. ი. ჯორჯაძის ნაშრომზე . . . 156
ზურაბ კანკავა — საჭიროა წინწადგმული ნაბიჯის მაგიერ — ნატომი... . . . 165

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომარ ჭილაძე

# ლაბირინთი

ბაბილა პირველი — იგივე კოხბა
ბაბილა მეორე
მთვრალი — იგივე მწყემსი
ქალი — იგივე რახილი
კაცი
ხალხი

სცენის ერთ მხარეს მბჟუტავი ლამპიონი დგას. მეორე მხარეს — გამხმარი, ათასნაირად დაკოჟრებული ხე. შუაში — მერხი. მერხზე სხედან ბაბილა პირველი და ბაბილა მეორე. ბაბილა მეორეს ბაბილა პირველის მხარზე ჩამოუდია თავი. შეიძლება, ძინავს. შეიძლება, თავს იმძინარებს. ორივე უქუდოდაა, ძველი, გაქუცული პალტოების ქვეშ, შეიძლება, ავადმყოფის პიჟამო ანდა პატიმრის შარვალ-ხალათი ეცვათ. რაც მთავარია, ორივე, გარემოსავით, უფერულად გამოიყურება. უფრო სწორედ — ორივე კარგად არის შეხამებული გარემოსთან. ორნი არიან, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ერთ გაორებულ პიროვნებად აღვიქვათ ისინი. ასეთია ავტორის სურვილიც. ღამეა. ცივა. იგრძნობა ქალაქის დაძაბული დუმილი, რომელსაც დროგამოშვებით და ყოველთვის მოულოდნელად არღვევს ღამეული, შემაკრთობელი ხმები: მილიციელის სასტვენი იქნება ეს თუ ტრამვაის ზარი, მთვრალები, ღრიანცელი თუ ქალის კივილი... სხვა მხრივ სრული სიწყნარე.

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: (თავს წამოწევს. გაიზმორება). ალარ დავიწყოთ? გავიყინე. (ცოტა ხნის შემდეგ) მგონი, მართლა ჩამეძინა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე სიზმარი... თუკი, რასაკვირველია, მართლა მეძინა და თუკი, ისევ მე თვითონ არ წარმოვიდგინე ყველაფერი (იდაყვს წაკრავს ბაბილა პირველს) არ მისმენ? რაზე ფიქრობ? შენც ხომ არ ჩაგეძინა? (იცინის) როდემდე ვისხდეთ ასე, შეყვარებულებივით!

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: ამაზეა სწორედ ნათქვამი, ჩემი შენ გითხარიო, სიზმარი სიზმრად. მაგრამ ფილტვების ანთება თუ დაგემართა, მე არ დამაბრალო. მე დასაძინებლად არ მომიყვანიხარ აქ. ძილი თუ გერჩია, დარჩენილიყავი. საწოლიც გქონდა და სითბოც.

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: კარგი ახლა, მაპატიე. ძმრად ნუ წამომადენ ცხვირიდან. მეც არ ვიცი, რამ დამაძინა. სუფთა ჰაერმა გამაბრუა ალბათ (ყნოსავს ჰაერს). თუმცა, აქაურობაც საკმაოდ ყარს... (იცინის) იცი, რაზე მეცინება? ბავშვობაში ძალით მაძინებდნენ, სიბერეში კი ძალით მიფრთხობენ ძილს.

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: იცინი თუ ახველებ? ვერაფერს გაიგებს კაცი შენსას. თუ იცინი, რა გაცინებს? და თუ ახველებ — ახია! არ უნდა დაგეძინა ამ სიცივეში. ჩვენ თუ ძილი გვაკლია, ალარ ყოფილა საშველი.

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: ძილი ნამდვილად არ გვაკლია, მაგრამ არც ძალით დაძინებული კაცი ვარგა, არც ძალით გაღვიძებული. სხვამ კი არ უნდა მი-

კარნახოს, როდის ავდგე და როდის დავწვე — გუნებას უნდა ვეკითხებოდე. თან, დაგვცინიან კიდეც: აბა, ჩქარა ლოგინში... წესიერ ბავშვებს ამ დროს უკვე ძინავთ. ვიყავით კი როდისმე ბავშვები. მამაჩემმა იცოდა ასე — ნასადილევს ძალით უნდა დავეწვინეთ ყველანი, დიდიან-პატარიანად (იცინის) არადა, თუკი რამე სურვილი, ნატვრა და მოთხოვნილება მქონდა, სწორედ მაშინ წამოყოფდა თავს, ვიწექი, ოფლგადამსკდარი, და ვიტანჯებოდი. ამიტომაც, მთელი ჩემი ბავშვობა ერთი გაუთავებელი მკვდარი საათი იყო და მეტი არაფერი.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: ძილში მივიპარებით ჩუმად, თუ უკვე არ გავპარულვართ მთლიანად. ჩვენ კი ვიცინით და ვიცინით.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (წამოდგება, მერხის წინ გაივლ-გამოივლის და ისევ თავის ადგილზე დაჯდება) კაცი მართლა დაბერდი და ჭკუა არ მოგემატა. ცხოვრება რახანია უჩვენოდ მიდის. უჩვენოდ კი არ მიდის, ჩვენ გაგვირბის სწორედ — უქნარებსა და ყბედებს... ხოდა, ხველა დაგვახრჩობს თუ სიცილი, უკვე სულერთია. არც არაფერი მოაკლდება, არც არაფერი მოემატება ამით ცხოვრებას. სიზმრისთვისაც აღარ ვარგივართ, თუკი, რა თქმა უნდა, მხოლოდ კარგის, მხოლოდ საამურის, მხოლოდ სანატრელის ხილვას ნიშნავს სიზმარი. ცხოვრებაც ადგა და ჩვენი თავი მოჩვენებებს მიუგდო. ისინიც, მშიერი ძაღლებივით, გვღრღნიან და გვწუწნიან, ვიდრე არ მობეზრდებათ. ჩვენ კი, ჭოტებივით თვალდაჭყეტილნი, ვთრთით და ვკანკალებთ გათენების მოლოდინში (იცინის) ამიტომ მიკვირს მეც, მაინც რა თაფლი გეცხო მხარზე ამისთანა, სიცივის სარზე დასკუპებულს, სულელ ნიბლიასავით რომ ჩამომეძინა მაშინვე. ალალიც დამავიწყდა და ძერაც... ვითომ სანდრო და ვარო ექთანი...

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: (სასწრაფოდ აწყვეტინებს) და მაინც, ჩემო საბრალო ნიბლიავ, ჩვენ [illegible] სანახავად კი არ მო[illegible] სამუშაოდ, თუ გნებავთ — საომრადაც. რაც არ უნდა მოხდეს, ყველამ ის უნდა აკეთოს, რისი გაკეთებაც შეუძლია.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: აკი სათამაშოდ მივდივართო?! ასე არ მეუბნებოდი?!

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: გეუბნებოდი. მაგრამ თამაშს გააჩნია. თამაშიც თავისებური შრომაა, თავისებური ომია, მით უფრო, როცა სხვა ყველანაირი გზა მოჭრილი გაქვს, ვერც თოხს მოკიდებ ხელს, ვერც თოფს, რადგან, არც მეტი და არც ნაკლები, საზოგადოებისთვის საშიში ელემენტი გქვია (ისმის მილიციელის სასტვენის ხმა) აპა, იერიქონის საყვირი! მსაჯულს არ სძინავს. მოსახდენი მაინც მოხდება. ამიტომ, ჩვენც ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, ვიდრე შეგვიძლია, ვიდრე პირში სული გვიდგას.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: ნუ მაშინებ, თუ კაცი ხარ. რომელ მსაჯულს არ ძინავს მაინც? ან რა უნდა მოხდეს ისეთი, რაც არ მომხდარა? თუ ასეა, ჩვენ რაღას ვუზივართ აქ? რა გვეთამაშება ამ შუაღამისას?

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: ძალიან გთხოვ, სულ ერთსა და იმავეს ნუ მალაპარაკებ. როგორ თუ რა უნდა მოხდეს? აწი მოხდება, რაც მოხდება. მეორედ მოსვლა მოგონილი იქნება. ეტყობა, მართლა ცუდად მოქმედებს შენზე სუფთა ჰაერი. შედარებით სუფთა მეთქი. მინდოდა მეთქვა. ჩვენ კი ვთამაშობთ. მაგრამ ჩვენი თამაშის მიზანი გართობა კი არ არის, სხვა თამაშების მსგავსად, არამედ ჭეშმარიტების დადგენა. ყველაფრის სხვაზე გადაბრალება არა მარტო ადვილია, უსვინდისობაცაა. ყველანი დამნაშავენი ვართ! აი, არსი ჩვენი არსობისა. ამის შემდეგ თითქოს აღარაფერი გვრჩება სათქმელი, მაგრამ სწორედ დანაშაულის გრძნობა გვაიძულებს გულახდილობას, უფრო ზუსტად — ჭეშმარიტების დადგენას. კიდევ უფრო ზუსტად — ორი უცნობის, ესეიგი, ჩვენი, ჩემი და შენი ჭეშმარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი ბუნების გარკვევას: უცნობის ამოხსნას უცნობის დახმარებით. ოღონდ, მათემატიკური თვალსაზრისით კი არა, ანდა, მარტო მათემატიკური თვალსაზრისით კი არა, ფსიქოლოგიურითაც, ზნეობრივითაც და, თავისთავად ცხადია, პოლიტიკურითაც. და ეს ყველაფერი ხდება, მხოლოდ და მხოლოდ, უაღრესად მშვიდობიანი გზით — გამოკითხვის, ვიმეორებ, გამოკითხვის და არა დაკითხვის საშუალებით. ერთი უცნობი, საკუთარი გულახდილობით, აიძულებს მეორეს, ანდა უკეთესი იქნება თუკი ვიტყვით, ავალდებულებს მეორეს, გარკვეული დროის მანძილზე, ანუ, თამაშის განმავლობაში, თავადაც იყოს გულწრფელი — რაც შეიძლება ზუსტად აღწეროს საკუთარი შეგრძნებები და რაც შეიძლება ამომწურავად გამოთქვას მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. რაც მთავარია, მხოლოდ და მხოლოდ, ჩვენზეა დამოკიდებული, ვიქნებით თუ არა გულწრფელნი, თუნდაც ერთხელ, დროებით მაინც. აქედან გამომდინარე, ასევე მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ვაღიარებთ თუ არა დანაშაულს, რომელიც, შეიძლება, პირადად ჩვენ არ ჩაგვიდენია, მაგრამ რომელმაც თავისი თავზარდამცემი მასშტაბებისა და სისასტიკის გამო, დანაშაულის დაღი დაასვა ჩვენს ყველაზე უპატიოსნეს განზრახვასაც, რადგან დანაშაულია და საკმაოდ სერიოზულიც, როცა, ვთქვათ, გაუპატიურებულ გოგონას თავზე ხელს კი უსვამ, მაგრამ მოძალადეს საყვედურის თქმასაც ვერ უბედავ. პატიოსანი ხარ, მაგრამ მხდალი. უფრო სწორედ, არაფერი არ ხარ, რადგან ერთი აბათილებს მეორეს. თუ პატიოსანი ხარ, შენი ნებით არ იცხოვრებ გარეწრებში, ხოლო თუ მხდალი ხარ, ვერ იცხოვრებ, ძალიანაც რომ გინდოდეს. მაგრამ ეს სხვა საკითხია. ახლა მთავარია, ერთმანეთის გამოტეხვა კი არ დავისახოთ მიზნად, რასაც ცხოვრებამ მიგვაჩვია, არამედ გულახდილობის მაგალითი ვაჩვენოთ ერთმანეთს. რაც, თავისთავად ცხადია, გარკვე[illegible] ნელიებთანაა დაკავშირებუ[illegible] ყოთ იმით, რომ გადაჩვეულნი ვართ გულახდილობას. სწორედ ამიტომ, სრულებითაც არ არის გამორიცხული, ბევრი რამ ვერ გავიგოთ, განსაკუთრებით თამაშის დასაწყისში, როგორც, დავუშვათ, სირაქლემა ვერ გაიგებდა, რას განიცდის ცაში მოლივლივე ნებისმიერი ფრინველი, რამდენადაც აღარაფერი ესაქმება ცასთან, ცაში ლივლივთან, რაკი თავად უკვე გადაჩვეულია ფრენას. მართალია, დიდად არ განსხვავდება, მაგრამ აქ არც საპყრობილეა, არც საავადმყოფო. ამიტომ არც ჩვენ უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ გამომძიებლებივით ანდა ექიმებივით დაუნდობლები. უშიშრად, დაუეჭვებლად ვთქვათ, რისი თქმაც გვინდა. განა ეს ნაკლები ომია?! შიშითა და ეჭვით ნათქვამმა, შეიძლება, კეტი კი აიღებინოს ხელში მოთმინებადაკარგულ კაცს, მაგრამ არა მგონია, გააგდებინოს იგივე კეტი. ჩვენი უპირველესი ამოცანა კი სწორედ ესაა — კიდევ უფრო გამხეცება კი არა, ოდნავ მაინც გაადამიანება კაცისა. „დღეს რას უჩივით?“ „დღეს რა გტკივათ?“ „დღეს რაზე ფიქრობთ?“ — გაიძვერები! ვითომ საკუთარ კეთილდღეობაზე არ ფიქრობდნენ მხოლოდ. ჩვენი ავადმყოფობის ისტორია, ჩემო ძვირფასო მეგობარო, დიაგნოზის დასადგენად კი არ იწერება, არამედ საბოლოო განაჩენის გამოსატანად. ავადმყოფი ნომერი ორი — შენზე არ ვამბობ, ისე ვამბობ, სიტყვაზე — სასიამოვნო სიზმრებს ხედავს თურმე...

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: აკი გითხარი, არასოდეს არ მინახავს მეთქი სიზმარი. ისიც აღარ მჯერა, მართლა სიზმარი თუ იყო წეღან... შენ არ მიჯერებ და ისინი დამიჯერებენ?!

*სადღაც ტრამვაი ჩაიქროლებს ზარის განუწყვეტელი წკრიალით.*

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: მეც ხომ გითხარი, ისე ვამბობ, სიტყვაზე მეთქი. ღმერთი მოსთხოვთ პასუხს... მე მოვედ არა მშვიდობად, არამედ რისხვად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბაბილა მეორე:** ეგ ეგრე არ არის.

**ბაბილა პირველი:** (გაღიზიანებული) რა არ არის „ეგრე“? შენ რა იცი, მე რას ვამბობ? შენ გგონია, ყოველთვის სხვათა ნაქვამს ვიმეორებ? ისეა, როგორც მე ვთქვი და არა როგორც შენ მოგესმა. ისე, რომ იცოდე, ციტატი სრულებითაც არ არის ჩემი ძირითადი იარაღი, თუმცა, რა დასამალია, ამ იარაღსაც საკმაოდ კარგად ვხმარობ. ჩემი გული სავსეა, ჩემი ბაგე მეტყველი, რადგანაც გულის სისავსისაგან მეტყველებს ბაგე. შენ კი იმიტომ გაქვს ენა ჩავარდნილი, არაფერი რომ არ გიყრია გულში. ცარიელი გული ცარიელ ჯიბეზე უარესია. ჯიბეს რაღაცით მაინც აივსებ, თუნდაც ქვიშით, გულს კი ვერაფერს მოუხერხებ. ერთი დღეც არ გიცხოვრია უშიშრად და იმიტომ, გულს შიში აცარიელებს. სტენდალი ამბობს — შიში სიცარიელეაო. მთლად ასე არ ამბობს, მაგრამ ასე გამოსდის. ხომ გახსოვს, როგორ აღწერს ბრძოლის ველს — „კაზაკებიო“, დაიძახებს ვიღაცა და წამში დაცარიელდება იქაურობა. შენი გულივით. შენი ვატერლოო შენი გულია. „ვაიმე, ასე არ მოხდეს“, „უიმე, ისე არ მოხდეს“. არადა, მაინც ვაი და უი იქნება ჩვენს თავს, ასე მოხდება თუ ისე.

**ბაბილა მეორე:** არც შენ მყავხარ ამირანი! განა გულადი მხდალს აუხირდება. რატომ ხარ მხდალიო?! საკუთარი სიმხდალე რომ გაცოფებს, მეც იმიტომ მთათხავ ასე დაუნდობლად.

**ბაბილა პირველი:** მაგრამ, დასამშვიდებლად, ისიც შემიძლია გითხრა, რომ არცერთი ადამიანი არ არის მხოლოდ მხდალი, ან მხოლოდ გულადი. ადამიანი საერთოდ ორბუნებოვანია და დღეს ალბათ ძირითადად ამაზე გვექნება საუბარი. ორბუნებოვანია, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული, ერთმანეთის საპირისპირო ორი არსებისგან შესდგება. ოღონდ, ამ ორი არსების დაპირისპ[illegible] ნის ხასიათის გაორება[illegible] ვევს. რაც ბუნებრივი იქნებოდა თითქოს, არამედ პირიქით, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მის ხასიათს. ამ შემთხვევაში, დაპირისპირება თანხმობას, ჰარმონიას, წესრიგს ნიშნავს, რამდენადაც ადამიანის შემადგენელი ეს ორი ნაწილი ერთდროულად, უფრო ზუსტად კი, ერთსა და იმავე დროს, არასოდეს არ გამოდის ასპარეზზე, მით უფრო — ერთმანეთის საზიანოდ. ერთი ყოველთვის უთმობს მეორეს იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი უფრო შეეფერება არსებულ დროსა და გარემოს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი უდრის ორს და, შესაბამისად, ორი — ერთს...

*შემოდის მთვრალი*

**მთვრალი:** (მერხისკენ არც იყურება. ცალი ხელით ხეს მიებჯინება და დაჭრილივით გმინავს) ვაიმე, დედავ! (ასლოკინებს) დიდი ბოდიში, ბატონებო, ეტყობა, შემცივდა (ისევ ასლოკინებს) ალალი, ალალი მეთქი! (გულზე ირტყამს მუშტს) თუმცა, არა, ალალს ამბობენ, როცა სასულეში გადასცდებათ რამე, სლოკინზე არაფერს არ ამბობენ... უნდა შეაშინო, თუ გინდა რომ სლოკინმა გადაუაროს, კიდევ შემაშინე რააა... იცით ეს ანეგდოტი? ისე, მართლა მოურჯულებელი ხალხი ვართ, უმადური — რანაირად აღარ გვაშინებენ, ჩვენ კი მაინც ვასლოკინებთ (ასლოკინებს) აი, ხომ გეუბნებით, ერთხელ კიდევ გიხდით ბოდიშს, მომიტევეთ სულგრძელად, როგორ გგონიათ, სწორედ მივდივართ? აქეთ არის ხომ გასასვლელი? (ბაბილა პირველი და ბაბილა მეორე ჩუმად სხედან, დაძაბულნი შესცქერიან მთვრალს) მე მგონი, კაცი და კაცი ხართ თქვენ (ასლოკინებს) არ გეწყინოთ, მართლა ზედმეტი მომივიდა. ხვდებით ალბათ, რასაც ვგულისხმობ, ესეიგი, სწორედ მივდივარ, არა? დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბილა მეორე: (შეებით) უჰ! გადავრჩით. კუდიანი ვარსკვლავი ამჯერადაც ასცდა დედამიწას. სიცოცხლე გრძელდება.

ბაბილა პირველი: არააყროლა აქაურობა, მამაცხონებულმა. თითქოს გვაკლდა. რას სვამდა მაინც ამისთანას?!

ბაბილა მეორე: რა ქნან მაგ უბედურებმაც, მოისპო ყველაფერი.

ბაბილა პირველი: რა ქნან? არაფერი. განსაცდელს გავუძლით. ცდუნებას კი ვერა.

ბაბილა მეორე: შენ ის მითხარი, უკვე ვთამაშობთ? ამას ჰქვია თამაში?

ბაბილა პირველი: თამაშით ჯერ არ ვთამაშობთ, მაგრამ აღარც ბევრი გვიკლია. უბრალოდ, ცოტა უფრო შორიდან უნდა დაგვეწყო. შორიდან კი არა, ახლოდან, დღეიდან, ამ წუთიდან. ვითომ პირველად ვხვდებით ერთმანეთს, ვითომ ჯერ არაფერი ვიცით ერთმანეთისა, მაგრამ ისეთი უშიშარნი და გულახდილნი ვართ, გაცნობისთანავე ვუხსნით ერთმანეთს ჩვენს დაძონძილ კარტებს. აი, ბატონო, მე ასეთი მსოფლმხედველობისა გახლავართ, ასე მესმის, ასე მწამს, ასე მიმაჩნია... მოკლედ, ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი და მერე ვნახოთ. მთავარია, დრო ფუჭად არ დავკარგოთ უაზრო ლაპარაკით. ესეც მოსალოდნელია. როცა გვჭირდება, სწორედ მაშინ დაგებმევა ხოლმე ენა. როცა არ გიშლიან, მაშინ ვერ ამბობ სწორედ, რისი თქმაც გინდა, რაც თითქოს ენაზე გადგას გაჩენის დღიდან. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვცადოთ საცდელი. ამიტომ ვართ აქ. ბნელში ნათქვამს სინათლეზე გაიგებენ.

ბაბილა მეორე: კი ბატონო, მე მზად ვარ. ოღონდ, თუ შემეშლება, ნუ გეწყინება. ყველანაირად ვეცდები, მაგრამ არა მგონია, რამე გამოვიდეს. შენ ხომ იცი, როგორ მიჭირს ლაპარაკი. ამიტომაც, არავის ესმის ჩემი.

ბაბილა პირველი: გასაგებია. წინასწარ ნუ ბოდიშ[illegible] ვარ ციცერონი. მთავარია, გულწრფელები ვიყოთ და არ შევდრკეთ. სიტყვა კი არ უნდა მოვუჭრათ ერთმანეთს. პირიქით, შევაწიოთ. ახლა კი გავჩუმდეთ ორივენი ცოტა ხანს.

ბაბილა მეორე: (ხალისით) ეგ ადვილი საქმეა. ეგ უფრო მეხერხება.

*ორივენი კარგა ხნით ჩუმდებიან. ჯერ, სადღაც შორს, ორთქლმავალი შეჰკივლებს. მერე ტრამვაი ჩაიქროლებს, ისევ ზარის გაუწყვეტელი წკრიალით.*

ბაბილა პირველი: ჰმ, ჰმ... უკაცრავად, ჩემო ბატონო, მაგრამ ხომ არ მეტყოდით, რას ელოდებით ამ შუაღამისას ამ გათოშილ ბაღში?

ბაბილა მეორე: ესეიგი, დავიწყეთ. გასაგებია! თქვენ? თქვენ რას ელოდებით?

ბაბილა პირველი: კი მაგრამ, რატომ მეკითხებით?

ბაბილა მეორე: (აშკარად ღელავს) თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ჯერ თქვენ მკითხეთ იგივე. ასე არ არის?

ბაბილა პირველი: აგაშენათ ღმერთმა.

ბაბილა მეორე: ხოდა. მიპასუხეთ.

ბაბილა პირველი: მე კი არა, თქვენ უნდა მიპასუხოთ. აკი თვითონვე თქვით, ჯერ თქვენ მკითხეთო. მე დაგასწარით.

ბაბილა მეორე: (შემცბარი) დასწრება ადვილია.

ბაბილა პირველი: ადვილი რომ იყოს, თქვენ დამასწრებდით.

ბაბილა მეორე: (სიცილით) დაგასწრებდით და კარგ ღლავსაც დავიჭერდი.

ბაბილა პირველი: ჰმ, ჰმ...

ბაბილა მეორე? შენ არა სთქვი, გულწრფელები ვიყოთო?!

ბაბილა პირველი: როგორც ვატყობ, კარგ საქმეზე არ უნდათ იყოთ მოსული. იმიტომაც მალავთ. თქვენი ნებაა. გულწრფელად რომ გითხრათ, არც მაინტერესებს. უბრალოდ, ისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი სახე გედოთ, შემეცოდეთ, ვიფიქრე, გამოველაპარაკები, გავამხნევებ მეთქი, მეტი რაა ადამიანი, ხორცი არ იქმევა ჩვენი და ძვალი. კი ბატონო, ნუ მიპასუხებთ. თქვენი საიდუმლო მხოლოდ და მხოლოდ, თქვენი საკუთრებაა და როგორც მოგესურვებათ, ისე მოიქცევით: გინდათ დამალავთ — მაინც არაფერი დააკლდება ამით ქვეყანას, გინდათ გაამჟღავნებთ — თქვენივე ჭიის გასახარად. მე კი არაფერი მაქვს დასამალი და ეს არის ჩემი მთავარი საიდუმლო. უფრო სწორედ, არაფრის არ მეშინია. თუ მართლა გაინტერესებთ, რატომ ვზივარ ამ შუაღამისას აქ, ამ სიცივეში, ამ სიმყრალეში, არა თუ გულწრფელად, სიამოვნებითაც გიპასუხებთ. ითხოვეთ და მოგეცემათ, ეძებეთ და ჰპოვებთ, დააკაკუნეთ და გაგიღებენ...

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: მაპატიეთ, ცუდად თუ გამომივიდა. სრულებითაც არ მინდოდა თქვენი განაწყენება. ღმერთია მოწამე. მე მგონი, არ ჭირდება ამას ფიცი და მტკიცი. მე ერთი კეთილი კაცი ვარ. სიკეთეა ჩემი ხელობა, თუკი შეიძლება. სიკეთეს ხელობა უწოდოს საერთოდ. თუმცა, რატომ არ შეიძლება? ვის რა დაუშავდება ამით? თუ მიშავდება. მე მიშავდება ისევ. ამ ხელობით პურს ვერ შესჭამ, თავს ვერ გაიტან წლიდან წლამდე, სამაგიეროდ, პანღური და დაცინვა არ მოგაკლდება. და მაინც, დამერწმუნეთ, ჯერ არავისთვის მიწყენინებია. ვერც ვაწყენინებ, გინდაც მინდოდეს. საამისოდ არც ძალა მომდევს, არც თანამდებობა მიწყობს ხელს, მით უფრო, არც ჩინი და წოდება. ის კი არა, თვალად თუ შემხვდა რამე საწყენი, რაც არც ისე იშვიათად ხდება ხოლმე, იმასაც გულში ვიკლავ. ანდა, სხვამ რატომ უნდა გაიგოს და რატომ უნდა მოიშხამოს შენს გამო გუნება. მიეგდე კუთხეში და ილოკე ჩუმად ნატკენი თათია თუ ფრთა — გააჩნია, ვითარებიდან გამომდინარე, ვინ ხარ იმჟამად: ძაღლი თუ ანგელოსი. ძაღლსაც და ანგელოსსაც საკუთარი სატკივარი აქვს და ყოფნას, [illegible] ვზეც გადასდის იმ დღეს სანდრომ [illegible]იხრა, ერთხელ კიდევ უნდა მოვიკლა თავით, ეტყობა, კარგად ვერ მოუკვდი, რაღაცრაღაცეები მაინც მაწუხებსო. იმ უბედურს მართლა სჯერა, ერთხელ რომ მოკვდა უკვე...

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: სანდრო მხდალია, სიკვდილში იმალება, სიკვდილი გამოსავალი გონია... (გაღიზიანებული, მკაცრად) გაანებე სანდროს თავი! რა შუაშია სანდრო?! რა გვესაქმება სანდროსთან?!

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (შემკრთალი, აჩქარებული) ხოდა, იმას მოგახსენებდით, ჩემო ბატონო, ყველას საკუთარი სატკივარი აქვს მეთქი. თქვენ რომ შემეკითხეთ წეღან, აქ რას ელოდებითო, ისე ვიყავი ჩემს ფიქრებში, ესეიგი, ჩემს სატკივრებში გართული, პირველად ვერცკი მივხვდი, რას მეკითხებოდით. ისიც კი ვიფიქრე, ამ კაცმა ალბათ ჩემი ამბავი იცის და მაპამპულებს მეთქი. სიკეთე კი მივითვისე წეღან, მაგრამ, მე გონი, დიდი ვერაფერი სიკეთეა, სრულიად უცნობ ადამიანს გული გაუწყალო მისთვის ალბათ ასევე სრულიად გაუგებარ სატკივრებზე წუწუნით. სხვათაშორის, საშინელი ეჭვიანიც ვარ, რაც სრულებითაც არ შეეფერება, უფრო სწორედ, არ ეკადრება ჩემი ხელობისა და, რაც მთავარია, ჩემი ასაკის კაცს. ეჭვიანობა ხომ დაულევინარი გონებისა და დაუხარჯავი ძალღონის უკანონო ნაშიერია. მე თუ მკითხავთ, სამარცხვინო სენია და მეტი არაფერი, აუტკივარი თავის ატკიებაა და ამიტომაც განვიცდი ასე ძალიან. ნამდვილად რომ არაფრად მჭირდება ზედმეტი ტკივილი, ერთი კაცის კვალობაზე არც ტკივილი დამკლებია და მაინც სიცოცხლეს ვებღაუჭები. საერთოდ, ამ ბოლო დროს, ველარ ვერევი თავს და, რაც უფრო ძნელი ასატანია, აღარ მჯერა, როდისმე თუ დაადგება საშველი, როდისმე მართლა თუ დამთავრდება ყველაფერი, რასაკვირველია. ჩვენიანად ამავე დროს, საკუთარ სიკვდილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ წარმოვიდგენ, ისე შევძრწუნდები ხოლმე, თითქოს ჩემი სიკვდილიც ჩვეულებრივი მოვლენა კი არ იქნება, არამედ ენით უთქმელი, გაუგონარი უსვენდილობა. როგორც ბუნებისგან, ისევე კაცისგან. რაღა სანდრო და რაღა მე, არა, სად სანდრო და სად მე, სანდრო მკვდარიც ცოცხლობს, მე კი ცოცხალი მკვდარი ვარ. რაღაც განსაკუთრებული, უფრო სწორედ კი, არანორმალური, ნამდვილად არის ჩემში. არა მარტო კაცის, ბუნების კანონსაც ვარღვევ: ბებერი გავჩნდი და ბავშვად ვკვდები. თუ შეგიძლიათ, გამიგეთ და მაპატიეთ.

*ბაბილა პირველი*: საბოდიშოდ არ უნდა გაგეხადათ საქმე. საერთოდ, ვერაფერი ზრდილობაა წარამარა ბოდიშის მოხდა. ვიდრე ფეხს დაადგამდეთ, ჯერ დაინახეთ, სად დგამთ ფეხს. თავიდანვე რომ გეთქვათ, ამასა და ამას ველოდებით, უშფოთველად, უჩხუბრად გაირკვეოდა გასარკვევი. მერე კი, თუ, რა თქმა უნდა, დაინტერესდებოდით, მეც აგიხსნიდით აქ მოსვლის მიზეზს. თუმცა, ახლაც შემიძლია გითხრათ, არაფერი მაქვს დასამალი (ისმის მთვრალების ღრიანცელი: გაურკვეველი ფრაზისა თუ სიმღერის ნაფლეთები) აგე! ჩვენი მეგობარია, უპოვნია თავისი ღოსტები.

*ბაბილა მეორე*: (ფიქრიანად) ეგენი სხვები არიან.

*ბაბილა პირველი*: ყველა ერთნაირია! მაგათ უკვე გააკეთეს არჩევანი. აწმყო წარსულის უარმყოფელი უარიყოფა მომავლისაგან. რადგან აწმყო თვითონაც წარსულად უნდა იქცეს ხვალ, მომავალი კი აწმყოდ. ასე რომ, წარსულიც, აწმყოც და მომავალიც თავიდანვე სამგზის უარყოფილია ერთმანეთისგან. ყველაფერი ამაოა, როგორც ამბობს წმინდა წიგნი. თამაშსაც არ გვაცლიან ამ წამხდარ ქვეყანაში. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ზრდილობისთვის შემეკითხეთ, რაც შემეკითხეთ. ანდა, კიდევ უარესი — შიშის გამო. ისევ შიშის გამო. სინამდვილეში კი, თქვენი თავის გარ... ინტერესებთ.

*ბაბილა მეორე*: (ცდილობს სიტყვა ჩაურთოს) ბატონო ჩემო, ეს უკვე...

*ბაბილა პირველი*: (აწყვეტინებს) კი გვიყვარს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი ჩვენი, მაგრამ მაინც თავი გვირჩევნია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეჭვიანები ვართ, ურწმუნონი... არც გაგვემტყუნება. განა ადვილი დასადგენია, ვინ არის ნამდვილად მოყვასი? თქმით იტყვი, გაკეთებით ვერ გააკეთებ. შორს რომ არ წავიდეთ, განა ვინმეს მოუბანია ჩვენთვის ქრილობები? თანაც, ზეთითა და ღვინით... განა ვინმე თვითონ ჩამოხდა და ჩვენ შეგვსვა სახედარზე? არავითარ შემთხვევაში. ხომ ასეა? თქვით, ნუ გერიდებათ. არც პირველი იქნებით, არც უკანასკნელი...

*ბაბილა მეორე*: როგორ გეკადრებათ? თქვენ, უბრალოდ, ვერ გამიგეთ. პირიქით, ძალიან მაინტერესებს და სიამოვნებითაც მოგისმენთ, თუკი ღირსად ჩამთვლით და გამანდობთ თქვენს გულისტკივილს. ყველა სიკეთესთან ერთად, დროც უფრო მალე გავა ასე, გავიყინე.

*ბაბილა პირველი*: აი, ხომ ხედავთ! მართალი ვარ თუ არა?! თქვენ იმიტომ კი არ მომისმენთ, მართლა რომ გაინტერესებთ, რამ მოიყვანა მეორე ადამიანი, იგივე თქვენი მოყვასი, ამ უკაცურ, უკაცრავად პასუხია და, ათასი ძაღლისა და მამაძაღლის შარდით აქოთებულ პალში, არამედ თავი რომ შეიქციოთ და დროსაც აიჩქარებინოთ ფეხი. აი, ამას ჰქვია სწორედ ადამიანური გულგრილობა. ულრმესი მადლობა, სხვისი პირი ღობეს ჩხირით, სამწუხაროა, მაგრამ რას ვიზამთ — გულგრილობა მონათა თვისებაა. თუმცა, მონობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ამის დროც მოვა, თანდათან. უფრო სწორედ, გვინდა თუ არა, მაინც ვერ ავუქცევთ გვერდს. თქვენ კი მართალი ბრძანდებით: ნამდვილად არ შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მოყვასი იყოს. განა ყაჩაღების ნაწამები კაცი ყველამ ერთნაირად შეიცოდა? იმ გზაზე მღვდელმაც ხომ ჩამოიარა უფრო ადრე. მაგრამ ზედაც არ შეუხედავს...

ბაბილა მეორე: არ შემიძლია ეს ოხერი ლაპარაკი და რა ვქნა?! ვერასოდეს ვერ ვამბობ იმას, რისი თქმაც მინდა. ძალიან გთხოვთ, ნუ მომაქცევთ ყურადღებას... შენ რაღა გალიზიანება გინდა, ისედაც დასაბმელი ხარ.

ბაბილა პირველი: პირიქით, პირიქით... დიახაც რომ მისასალმებელია თქვენი გულწრფელობა. განა ჩვენი მიზანიც ეს არ არის?! ვიყოთ გულწრფელნი, რათა ერთხელ და სამუდამოდ, თუნდაც მარტო ჩვენთვის, გავარკვიოთ, ვინ ვართ, რომელი ვართ იმ ორიდან — ვინც ნაწამებ კაცს გვერდი აუარა, თუ ვინც შეიცოდა ნაწამები კაცი...

ბაბილა მეორე: პირადად მე, ჩემი მოკლე ჭკუით, ნაწამები კაცი უფრო უნდა ვიყო, ვიდრე მისი შემწყნარებელი ან არშემწყნარებელი. ჩემს გზაზე უმალ უმოწყალო მღვდელი ჩამოივლის, ვიდრე მოწყალე სამარიელი.

ბაბილა პირველი: მეც სწორედ ამის დასადგენად მოვედი თქვენთან. ვიფიქრე, ეს კაცი, შეიძლება, სულაც ჩემი თანამზრახველი აღმოჩნდეს მეთქი. არა, მთლად ასე არ იყო. პირველად შემეცოდეთ. ისეთი სახე გედოთ... თუმცა, თქვენს სახეზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა ამხნის განმავლობაში და თუკი მოხდა, უარესობისკენ — ახლა უფრო საცოდავად გამოიყურებით (ხმას უწევს) თითქოს ძალით მოეყვანოთ ვინმეს აქ! ვიფიქრე, მივალ, მოვბან ჭრილობებს მეთქი, თუმცა, არც ზეთი მაქვს არც ღვინო. ის დრო წარსულს ჩაბარდა, ღვინო და ზეთი თან რომ დაჰქონდათ, იქნებ ნაცემი და ნაწამები შეგვხვდეს ვინმეო. ახლა ნაცემი და ნაწამები კაცი ყოველ ნაბიჯზე იმდენი შეგხვდება, რა ღვინო და ზეთი აუვა! სამაგიეროდ, დღემდე განუცდელი სიახლოვე ვიგრძენი თქვენს მიმართ. უცებ, უმიზეზოდ, ნათესაური გრძნობა გამიჩინეთ, კი არ გამიჩინეთ, დიდი ხნის წინად გაჩენილი, შეიძლება თანდაყოლილიც, დღეს გავითავისე პირველად თქვენი წყალობით. ალბათ ცოტა გარემოს ბრალიცაა — სიბნელე, სიცივე, უხილავი მილიციელის სასტვენის ხმა, უხილავი მთვრალების ღრიანცელი, უხილავი ორთქმავლების კივილი და დიახაც რომ ხილული სიბინძურის აუტანელი სუნი. თფუი! თუმცა, რატომ „თფუი"? ვაშა! ეს ჩვენი მშობლიური სიმყრალეა. ჩვენც ამ სიმყრალემ დაგვაკავშირა.

ბაბილა მეორე: ღმერთო ჩემო, რა წყალში ჩავვარდე?! განა მე ვუარყოფ ამას? რასაც ამბობთ, ყველაფერში გეთანხმებით. თქვენი გულის მოსაგებად არ გეუბნებით. არც ისე იოლია თქვენი გულის მოგება. ეგ მაინც ვიცი. მაგრამ, ბოლომდე თუ გულწრფელები ვიქნებით, წესიერად თვითონ არ მესმის, რატომ გეთანხმებით ყველაფერზე. შეიძლება, მომწონს თქვენი ლაპარაკი. შეიძლება, სიცივის ბრალიცაა, უფრო კი — შიშისა. შიშით, რა თქმა უნდა, მეშინია, თანაც, მარტო თქვენი კი არა, ყველაფრის — იმ მთვრალისაც, იმ უხილავი მილიციელისაც, ორთქლმავლის კივილისაც — ყველაფრის, რაც კი ღმერთს გაუჩენია და რაც კაცის ხელს თავისგან დაუმატებია. მარტო იმისი არ მეშინია, რომ მეშინია, რადგან სანამ მეშინია, ვარსებობ კიდეც. ასე რომ, ძალიან გთხოვთ, სიტყვაზე დამიჯეროთ: თვითონაც არ ვიცი, რამ მომიყვანა აქ. რა თქმა უნდა, საკუთარი სიბინძურით აქოთებულ ლოგინში გდება ჯობია მაინც, სხვათა სიბინძურით აქოთებულ ბაღში ჯდომას. თქვენ ალბათ გულში გეცინებათ, რას ჩერჩეტობს ეს კაციო; სახეზეც გეტყობათ, არ გჯერათ ჩემი, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, გულწრფელი ვარ, როგორც ყოველთვის...

ბაბილა პირველი: ოჰო! მაინცდამაინც, თავმდაბალი არ უნდა იყოთ.

ბაბილა მეორე: დამცინით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: ნაწილობრივ, და არა. რატომ: თქვენ ჩემზე ქარაფშუტა კაცის შთაბეჭდილებას სტოვებთ. ეს კი, თავისთავად ცხადია, თქვენს სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. როგორ შეიძლება, ადამიანი სრულ ჭკუაზე იყოს და არ იცოდეს, გარკვეულ დროს რატომ იმყოფება გარკვეულ ადგილზე, ამ შემთხვევაში, აქ, შარდის სუნით აქოთებულ ბაღში, მაგალითად. მე ვიცი! და ალბათ ყველაფერზე უკეთ ეს ვიცი სწორედ. უკვე დიდი ხანია ვიცი, პირველივე დღიდან, როგორც კი ჭკუაში ჩავვარდი, როგორცკი საქმეს მოვკიდე ხელი, კანონის შესატყვისი მუხლიც მაშინვე მივუყენე ჩემს საქმიანობას. ჩემი საქმიანობა კი, ძირითადად, ფიქრია, რაზედაც მინდა. იმაზე ვფიქრობ, ჩემთვის არ არსებობს ნებადართული და აკრძალული, ამიტომ, სასჯელისთვისაც მზად ვარ, ასე ჯობია, უნდა იცოდე, რას აკეთებ, უფრო სწორედ, რითი შეიძლება დამთავრდეს ის, რასაც ნებაყოფლობით აკეთებ. ყველა გონიერი ადამიანი ასე იქცევა. რასაკვირველია, თუკი მოწოდებით მონა არ არის. ამგვარი საქციელი ნამდვილად დასაფასებელია. სხვათაშორის, მაღლაც აფასებენ, აფასებენ, რადგან ამის შემდეგ მათი სამუშაოც მინიმუმამდეა დაყვანილი. მხოლოდ პიროვნების დადგენა და დაკითხვის ოქმზე — რომელიც, შეიძლება, დაკითხვამდეც შედგეს — ხელის მოწერაა საჭირო. ესეც რა თქმა უნდა, ფორმალობაა, მაგრამ აუცილებელი. ბოლოს და ბოლოს, აუცილებელი ფორმალობებისაგან შესდგება სახელმწიფო მართველობა. ერთხელ, ერთმა გამომძიებელმა მითხრა, შენთან მუშაობა სასიამოვნოცაა: ჩაუძიებლად და გამოუძიებლადაც ყველაფერი ნათელიაო: ენაზეც ის გაქვს, რაც გულში გიდევსო. თქვენთან და თქვენისთანებთან კი საქმე გაჭირდება. თქვენი სახის დამნაშავე სახელმწიფოს არ უყვარს, თუმცა, საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავს დამნაშავეთა გასამრავლებლად. თქვენი სახის დამნაშავე განსაკუთრებულად რთულია — დანაშაულის არათუ ჩადენა, აღიარებაც ეძნელება. თუმცა, უმთავრეს შემთხვევაში, თავს დამნაშავედ ალბათ არცა თვლით. იმიტომ რომ... იმიტომ რომ, პირწავარდნილი მონები ხართ. არ მინდოდა ამ სიტყვის ხმარება ჯერ, მაგრამ მაიძულეთ, თქვენ მაიძულეთ! მოწოდებით მონები ხართ, უსახო, უსახელო არსებები, იოლად შემგუებლები ყველაფერთან: სიბნელესთანაც, სიცივესთანაც, შიშთანაც, სიბინძურესთანაც... მონობა თქვენთვის, უპირველეს ყოვლისა, გარანტირებული არსებობაა, როცა თავისუფლება თავისთავად სულ ბეწვის ხიდზე სიარული გახლავთ — დღევანდელი გაგებით, რასაკვირველია. ამიტომაცაა, თქვენნაირები, რომლებიც ყველა დროში უმრავლესობას წარმოადგენენ, ბობოქარსა და მშფოთვარე ცხოვრებას, რაც იგივე თავისუფლებისთვის ბრძოლაა, მშვიდსა და უფერულ არსებობას არჩევენ ყოველთვის, რაც ნებაყოფლობითი, ლამის ხორციელ მოთხოვნილებად ქცეული მონობაა და მეტი არაფერი. გარანტირებული, თანაც სხვის მიერ დაცული არსებობა საუკეთესო, მრავალგზის ნაცადი მისატყუარია საწყალი ადამიანისთვის — ძნელად თუ მოარიდებს პირს. იმის გულისთვის, რა არის რომ არ იკისროს — ბაბილონის ფეხსადგილსაც მორეცხავს, ავგიას თავლასაც გამოხვეტავს. თავისუფალი მაშინ ხარ მხოლოდ, როცა იმას აკეთებ, რისი გაკეთებაც საჭიროა, შენთვის თუ არა, ვიღაცისთვის მაინც. მონა კი მხოლოდ იმისკენ ისწრაფვის, რაც სინამდვილეში არც არსებობს. მხოლოდ იმას აკეთებს, რაც არავის ჭირდება, არც სხვას და არც თავად, რისი გაკეთებაც საერთოდ დანაშაულია, უკეთეს შემთხვევაში კი — უაზრობა. სინამდვილეში ხომ არც ბაბილონის ფეხსადგილი არსებობს, არც ავგიას თავლა, ისინი, ასე თქვათ, მარადიული, ჩვენს უკან მომავალთა დასაშინებელი სიმბოლოებია და იმ ქვეყნისა თუ ქვეყნების უკეთ

ილია ჭავჭავაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოსაჩენად იხმარება, სადაც მონური შრომა, ანუ, უაზრო და უნაყოფო ფუსფუსი ღირსების საქმედაა ქცეული თავად სახელმწიფოს მიერ.

ბაბილა მეორე: (თავისთვის იმეორებს) ბაბილონის ფეხსადგილი, ავგიას თავლა... ჩვენს ქვეყანას რომელი მიესადაგება უფრო, თქვენი აზრით?

ბაბილა პირველი: ჩვენს ქვეყანას? ჩვენი ქვეყანა, ჩემო უცნობო მეგობარო, ყოველმხრივ განსაკუთრებული შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში.

ბრუნდება მთვრალი

მთვრალი: კარი არა აქვს ამ ბაღს, თუ რაშია საქმე?! ვერ გავაღწიე ვერაფრით. ცოლი რომ მელოდებოდეს შინ, არ დამიჯერებს, როგორ თუ ვერ გამოხვედი ბაღიდანო. მაშინვე იეჭვიანებს — ალბათ ვიღაცასთან ერთად იყო ბაღში და ის არ უშვებდაო. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ ალბათ ქალების ამბავი. წავალ-წამოვალ, ისევ აქა ვარ. გამარჯობათ. ერთხელ კიდევ გამარჯობათ, ბატონებო. ხომ ვერ მეტყვით, რომელი საათია? ან იქნებ ის მაინც ამიხსნათ, რატომ ვერ გავსულვარ აქედან? რა ძალა მაკავებს ვითომ ამისთანა? მარტო სიმთვრალის ბრალი არ უნდა იყოს ეს — შემოსვლა თუ შევძელი, გასვლა რატომ არ უნდა შემეძლოს?! ვერც იმას ვირწმუნებ, მთელი სიცოცხლე აქ მაქვს გატარებული მეთქი. საიდანღაც ხომ მოვედი? საიდანღაც კი არა, აგერ, ხუთი წუთის წინ, სუფრაზე ვიჯექი, რიყეში. სხვები იქ დარჩნენ, ბრძოლის ველზე, მათლაფებში პირჩამხობილნი, ვინც სხვას უგებს მახეს, თავად გაებმევა შიგ. ესეიგი, არც თქვენ გაქვთ საათი! ან იქნებ გეშინიათ, წაგვართმევსო?! ნუ გეშინიათ. თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ, სხვებს რომ გონიათ, არც ისა. ერთი წესიერი ლოთი ვარ მხოლოდ. ნამუსის ქუდი მახურავს. რასაკვირველია, სიმბოლურად, რადგან ქუდი საერთოდ არ მხურებია, არც არის მოდაში. თავშიშველები დავდივართ. პოე[illegible]ლა ქართველი ხომ პოეტია?! თქვენც თავშიშველები ჩანხართ აქედან, თვალი თუ არ მატყუებს, ასე არ არის?! ასეა! მაგრამ რად გინდა? თურმე, არც თქვენ იცით, რა დროა, რომელი საათია ქვეყანასა ზედა.

ბაბილა პირველი: ბატონო ჩემო, ჩვენ არ ვიცით, თქვენ ვინ ბრძანდებით, მაგრამ, ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, ჩვენ თქვენი არ გვეშინია.

მთვრალი: ჩემი არ გეშინიათ? კი მაგრამ, რატომ უნდა გეშინოდეთ ჩემი? აქამდეც მივედით უკვე? თუმცა, რატომ „უკვე"? ისევ, ისევ და ისევ, მარად და მარად. ასეთია ხვედრი წრის ბინადართა. ადამიანი ადამიანისთვის ნამდვილად საშიშია. მაგრამ, საცა სამართალია, მე უფრო უნდა მეშინოდეს თქვენი. თქვენ ორნი ხართ, მე კი — ერთი.

ბაბილა მეორე: აბა, მე თუ მკითხავთ, სწორედ ის შემთხვევაა ახლა, როცა ორი უდრის ერთს, ერთი კი — ორს.

მთვრალი: თანაც მთვრალი ვარ, ფეხზე ძლივს ვდგავარ, საათი გკითხეთ მხოლოდ, სხვა ხომ არაფერი დამიშავებია?! რაც მომივიდა, ახალგაზრდობით მომივიდა. იქნებ დამზოგოთ მომავლისთვის... ობოლი ვარ...

ბაბილა პირველი: საათისა რა მოგახსენოთ, ნადვილად არა გვაქვს, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, მით უფრო თქვენმა შემხედვარემ, რომ უკვე დიდი ხანია, სიბნელის ჟამი დგას ქვეყანასა ზედა. გახსოვთ ალბათ ორბელიანის წერილიდან — საერთოდ თუ წაგიკითხავთ — „დაბნელდა, ტასო, საქართველოში".

მთვრალი: ვერ უყურებ კურკას! ჯერ კიდევ როდის შეუმჩნევია! დიახაც რომ დაბნელდა, თავი და ბოლო ველარ გაგვირჩევია, ერთი ის გამეგებინა, ამ ბაღში როგორ აღმოვჩნდი და აღარაფერი არ მინდა თქვენი. საათს არ შეუბნებით, გზა მაინც მასწავლეთ.

ბაბილა პირველი: იმდენი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დალიოთ. სახლის გზა აგერიოთ. ხელიდან წახვედით ყველანი. ერთნაირად... თუმცა, რა ჩემი საქმეა, ბოლოს და ბოლოს. თავზე ბუზს არ ისვამო. არადა პირველებივარდებით წუმპეში, მაწანწალებივით. არ გეკადრებათ, ნამდვილად არ გეკადრებათ.

მ თ ვ რ ა ლ ი: მაწანწალებივით კი არა, ჩემო ბატონო, არამედ როგორც ჭეშმარიტ მაწანწალებს შეეფერებათ! განა თქვენც ასეთები არ გინდოდით?! განა გავუწბილეთ მოლოდინი ჩვენზე ზრუნვით გათეთრებულ ქვეყანას?! სხვათაშორის, მთელი ჩემი ბედნიერი სიყმაწვილე მშობლიური სახლის ძებნას შევალიე, ქუჩაში რომ არ მეწანწალა. მაგრამ ამაოდ, ამაოდ...

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: გაანებე თავი. რას ჩააცივდი, რას ერჩი ამ პატიოსან ახალგაზრდას? ნამდვილად რომ არაფერი დაუშავებია (მთვრალს) მიბრძანდით, გეთაყვა, მიბრძანდით. საათი არ გვაქვს, მაგრამ ვარაუდით სამიც შეიძლება იყოს და სამის მესამედიც. დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით, რადგან რაც აქ ვსხედვართ, არცერთი ჰიმნი არ გაგვიგია... ალბათ გამოგვეპარა, ანდა ჯერ ადრეა, თორემ, ერთერთს მაინც დაუკრავდნენ აუცილებლად.

მ თ ვ რ ა ლ ი: არადა, ჩვენში რომ ვთქვათ, ვალდებულებიც ხართ, მიპასუხოთ, როგორც თუნდაც უფროსებმა. მე მხოლოდ ის გკითხეთ, რისი გაგებაც ახალგაზრდას მხოლოდ უფროსისგან შეუძლია — დრო და გზა — რა დროა და საით წავიდე მეთქი...

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: (ხელით აჩვენებს) თქვენ იქიდან მოხვედით.

მ თ ვ რ ა ლ ი: კი მაგრამ, იქით ხომ უარესად ბნელა?!

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: სიბნელიდან მოხვედით.

მ თ ვ რ ა ლ ი: მართალი ბრძანდებით. თუკი ტასოს დროს უკვე ბნელოდა, ცხადია, მეც სიბნელიდან მოვიდოდი. ყველანი სიბნელიდან მოვდივართ. ერთი წამით თუ დავყოვნდებით ამ სამოთხეში (ხელს მოატარებს ჰაერში) და ისევ სიბნელეს ვუერთდებით. ვინ-რამდენი ხნით, თუ სამუდამოდ არა. თქვენი არ იყოს, მეც სიბნელის ლუკმა ვარ. დააღებს სიბნელე პირს და — ჰამ — გადამსანსლავს თავფეხიანად. ასე. ა!

გადის.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: თავხედი. ლოთი. უზნეო!

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: მაგას რაღას ერჩი? თავისი უბედურებაც ეყოფა.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: მაგის ბრალია ყველაფერი. მაგისთანების! ხომ ხედავ, რას დაამსგავსეს აქაურობა. ბაბილონის ფეხსადგილს, ავგიას თავლას... ვერ შეიშნოვეს საკუთარი სიღარიბე, ვერ დაფარეს საკუთარი უმწეობა — სხვისი სიმდიდრე და სხვისი სიძლიერე ამჯობინეს... ის სხვა ამჯობინეს. გაძევებულ ღმერთს და იმიტომაც დაბორიალობენ უთავბოლოდ ღმერთის დანატოვარ სიცარიელეში. კარისთვის ველარ მიუგნიათ. ეს საშიში, სახიფათო სიცარიელეა — ამოუვსები, უკიდეგანო, უჭერო, უფსკერო: ვერაფერს მოეჭიდები დიდი ხნით, საიმედოდ. ასე უნდა იხეტიალო სულ, სულ, სულ... აი, ამას ჰქვია განკითხვის დღე, მეორედ მოსვლა. ჩვენ კი, იმის მაგივრად, რომ „ვიგლოვ-ვიტიროთ, თმა ვიგლიჯოთ და ვიქვითინოთ", ისევ იმედის ჭიას ველაქუცებით: იქნებ, იქნებ, იქნებ... ხვალ თუ არა ზეგ, ზეგ თუ არა მასზეგ, მასზეგ თუ არა როდისმე, როდინობის კვირაში. კი არ მეშორებაო, მაგრამ მეჭორებაო. ყველანი დამნაშავენი ვართ: მეც, შენც, ისიც. ჩვენც, თქვენც, ისინიც... ყველანი! დიახ, ყველანი! არ იქურდოთო და ვიქურდეთ, არ იმრუშოთო და ვიმრუშეთ. არ მოკლათო და მოვკალით. თანაც როგორ! სისხლის ზღვა დავაყენეთ. სისხლში ვდგავართ ყელამდე და მაინც სისხლი გვწყურია, მტრისა კი არა, საკუთარი, ერთმანეთის, მოყვასისა — რატომ შენ და არა მე, რატომ შენი და არა ჩემი, რატომ შენთვის და არა ჩემთვის... უკუდო ამპარტავნები ვართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ ძლიერნი, გარეთ მხდალები. მტერი არც ვიცით ვინ არის.

ბაბილა მეორე: მე არაფერში არა ვარ დამნაშავე. ღვთის გულისათვის... თუმცა, ახლა, შენი ლაპარაკის შემდეგ, ისეთი გრძნობა მაქვს (ისმის ქალის განწირული კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!). ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს წუთია რაღაც საშინელი ბოროტმოქმედება ჩამედინოს. არადა, ამ წუთას, მგონი, მართლა კლავენ ვიღაცას. გესმის? ყოველ წუთას კლავენ ვიღაცას, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდე, არც ჩვენ გავვარდებით საშველად, არც სხვა ვინმე. სამაგიეროდ, ჩვენც ყველა მკვლელობის თანამონაწილენი ვართ, 'რადგან სხვა არაფერი არ შეგვიძლია. თქვენ არა გაქვთ ასეთი გრძნობა? მე მაქვს. თანაც, ეს გრძნობა თითქოს ახალი კი არ არის ჩემთვის, თანდაყოლილია (ისმის ქალის კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!) თითქოს ამ გრძნობასთან ერთად დავიბადე. უფრო სწორედ, თითქოს იმიტომ დავიბადე საერთოდ, ეს გრძნობა რომ გამჩენოდა. ამავე დროს, ეს გრძნობა თითქოს ჩემი კი არ არის, ვიღაცამ მომახვია თავს. ვიღაცამ კი არა, შენ, თქვენ... თქვენი გაუთავებელი ქადაგებებით. ზუსტად მაინც ვერ ვამბობ, რის თქმაც მინდა. დამნაშავე არა ვარ, მაგრამ არ მიკვირს, დამნაშავედ რომ ვგრძნობ თავს (ისმის ქალის კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!) თანაც, სრულებითაც არ ვცდილობ ამის დამალვას, არ შემიძლია და აკი არც ვმალავ. არც ვუარყოფ. დამნაშავე კი ნამდვილად არა ვარ, არა ვარ, არა ვარ...

ბაბილა პირველი: ნუ იტყვი, წინასწარ მაინც ნუ იტყვი. ყველაფერი პირობითია. რაც შენთვის უდანაშაულობაა, ის სხვისთვის, შეიძლება, მიუტევებელი დანაშაული აღმოჩნდეს, და პირიქით. ესეიგი, კაცმა რომ დაგიჯეროთ, არც გიქურდიათ, არც გიმრუშიათ, არც არავინ მოგიკლავთ?!

ბაბილა მეორე: (მხურვალედ) ღმერთმა დამიფაროს!

ბაბილა პირველი: მით უარესი თქვენთვის.

ბაბილა მეორე: (გაკვირვებული) მართლა მეუბნებით თუ ვთამაშობთ?

ბაბილა პირველი: (ყვირის) რას ჰქვია, ვთამაშობთ! (ცოტა ხნის შემდეგ, ჩვეულებრივი ხმით) რასაკვირველია, ვთამაშობთ. აბა, რისთვისა ვართ აქ? რამდენჯერ ვთქვათ ერთი და იგივე?! მით უარესი თქვენთვის, ჩემო ბატონო, უფრო მკაცრად მოგეკითხებათ პასუხი. მსაჯულებს არ უყვართ, როცა ბრალდებული მიტევების, დიდსულოვნობის გამოჩენის საშუალებას არ აძლევთ. პირადად მე, მიქურდია კიდეც, მიმრუშია კიდეც და კაციც მომიკლავს. თანაც, არა ერთი და ორი, შეიძლება, ჩემი ხელით არა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. რას ვიზამთ, როგორც ფრანგები ამბობენ, ასეთია ცხოვრება, ეს სამი ლოდი უდევს საფუძვლად — ქურდობა, მრუშობა, მკვლელობა. თუ ცხოვრება გინდა, სამივე უნდა შეგეძლოს. ანუ, სამივე ლოდს უნდა მოჰყვე ქვეშ ერთდროულად. სამივე ლოდს სათითაოდ უნდა გაესრესინო შენი ნებით, ჰიაყელასავით. ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია. თევზი თუ გიყვარს, ფეხიც სველი უნდა გქონდეს. ასეთია ხალხური სიბრძნე. ყოველ შემთხვევაში, ასეთია არსი ჩვენი არსობისა. უფრო სწორედ, ყველანი ასეთები ვართ და იმიტომაც არ ვთვლით თავს დამნაშავედ. და მართლაც, როცა ყველა დამნაშავეა, თავისთავად აღარც დანაშაული არსებობს, ანდა დანაშაული აღარ ჰქვია და ამდენად, არა მარტო შესაბამის სასჯელს, არამედ შესაბამის ჯილდოსაც იმსახურებს. მაგრამ სასჯელი განა ჯილდოზე მძიმე ასატანია? განა სასჯელიც თავისებური ჯილდო არ არის? ყოველშემთხვევაში, ორივე ერთნაირად გვაიძულებს თავის მოდრეკას ვიღაცის, ჩვენზე ძლიერის წინაშე. ორივე ერთნაირად გვიბორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავს ხელ-ფეხს, ენას, სულს... რადგან ერთნაირად დამამცირებელია, გსჯიან თუ გაჯილდოვებენ.

ბაბილა მეორე: თქვენ, ეტყობა, ჩემი შეშინება დაგისახავთ მიზნად. არადა, სრულებითაც არ გავხართ ასეთ ადამიანს. თანაც, თუ არ მიწყენთ, ამგვარ „ნებაყოფლობით გულახდილობას" ისევ დაკითხვა მირჩევნია. მეცოდინება მაინც, რისი გაგება უნდათ ჩემგან. დამეთანხმებით, ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ზოგჯერ, ნებისმიერ ძალადობაზე ძნელი ასატანია.

ბაბილა პირველი: კი მაგრამ, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ „ასეთი ადამიანი?" — სხვათა დამშინებელი, ფსიქო-ტერორისტი.

ბაბილა მეორე: როგორ გითხრათ... ძნელი სათქმელია. მართალია, გარეგნობა ყოველთვის ზუსტად ვერ წარმოაჩენს ადამიანის შინაგან ბუნებას, მაგრამ...

ბაბილია პირველი: ძალიან გულუბრყვილოდ აზროვნებთ. თქვენ მართლაც არ შეგიძლიათ, სერიოზული მტერი იყოთ სახელმწიფოსი. ნუ დაამთავრებთ. ჩემთვის ყველაფერი ნათელია. მაგრამ ჩემს აზრს სადაც ჯერ არს, რასაკვირველია, ნაკლებად გაუწევენ ანგარიშს.

ბაბილა მეორე: ღმერთო ჩემო, რაღა, მაინცდამაინც, მე... რაღა, მაინცდამაინც, აქ... რაღა, მაინცდამაინც, დღეს...

ბაბილა პირველი: (დაინტერესებული) ვითომ რა ისეთი დღეა დღეს? აააა, გასაგებია. ყველა დღე ისეთივე განსაკუთრებულია, განუმეორებელია და ერთადერთია, როგორც დღე დაბადებისა და სიკვდილისა. ადამიანი ხომ გარკვეული თვალსაზრისით, ყოველ დღე ხელახლა იბადება და ყოველ დღე ერთხელ კიდევ კვდება. ოღონდ, სხვა კი არა, თვითონაც ვერ ატყობს ამას. ამიტომ, არც მე ვიცი, მოგილოცოთ თუ მოგისამძიმროთ — ჯერ გასარკვევია, ხელახლა დაიბადეთ დღეს, თუ ერთხელ კიდევ მოკვდით, თუმცა, ჭკვიანი კაცი ამბობს, მკვდარი ცოცხალზე ბედნიერიაო, ხოლო ორივეზე ბედნიერია ის, ვინც საერთოდ არ დაბადებულა. მაგრამ რაკი ერთხელ დაიბადეთ, ყოველშემთხვევაში, უკეთესი მომავალი ნამდვილად განაღდებული გაქვთ — სიკვდილი არ აგცდებათ. რაღა თქვენ გამოგტოვებთ, მაინცდამაინც. ასეთი უსვინდისობა სიკვდილისგანაც წარმოუდგენელია. იქამდე კი რამენაირად გაიყვანთ დროს, თუნდაც, ჩემთან საუბრით. არც ისე ბევრს ცხოვრობს ადამიანი, ბოლომდე ვერ ამიტანოთ. თუმცა, ერთი კია, ყველა ადამიანის სიცოცხლე ერთი და იმავე საზომით არ იზომება. მაგალითად, ღარიბი მეტს ცოცხლობს, ვიდრე მდიდარი. მშიშარა გულადზე დღეგრძელია. ასე რომ, თავისუფლად შეიძლება, მათუსალაზეც ხნიერი აღმოჩნდეთ ბოლოს. თქვენი ჯიბისა და გულის ამბავი რომ ვიცი. და მაინც, მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა — გილოცავთ და, იმავე დროს, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას.

ბაბილა მეორე: ყოველდღე სანდრო კვდება. მაგრამ მაინც ბედნიერია.

ბაბილა პირველი: ბედნიერია? სანდრო? (გაღიზიანებული) ხომ გითხარი უკვე. გაანებე სანდროს თავი მეთქი!

ბაბილა მეორე: მთელი სიცოცხლე მკვდარი ვიყავი და ბედნიერებამ გამაცოცხლაო. ყველაფერზე ძნელი ასატანი მაინც ბედნიერება ყოფილაო. სიცოცხლე ძველებურად არ მინდა. მაგრამ სიკვდილიც აღარ შემიძლიაო. ვარო ექთანი უყვარს (შემცბარი) არ უნდა მეთქვა შენთვის... მაგრამ შენგან რა დაიმალება! მაინც მათქმევინებდი. მოლოცვისა და მოსამძიმრებისთვის კი დიდი მადლობელი ვარ.

ბაბილა პირველი: მე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე თქვენ გგონიათ, შენ და... სანდროს. შე სულელო, ვარო ექთანს მართლა დასამშვიდებელი წამალი კი არ შეჰყავდა... შეჰყავს სან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს დუნდულაში—აწვალებდა... აწვალებს. ცარიელი ნემსით ჩხვლეტდა... ჩხვლეტს. თანაც, რამდენჯერმე, მთელი ძალითა და მონდომებით. სანდრო ითმენდა... ითმენს, ის კი ერთობოდა... ერთობა. მე საერთოდ ყველაფერი ვიცი, მაგრამ ენაზე კბილის დაჭერაც შემიძლია. თქვენ კი ყველაფერი, რაც იცით და არ იცით, მარტო ენაზე კი არა, სახეზეც გაწერიათ. არ შეიძლება, ნამდვილად არ შეიძლება. ადამიანს ან რამე უნდა ქონდეს დასამალი, ან თავი მაინც უნდა ეჭიროს ისე, ვითომ რაღაცას ვმალავო. შენ კი ფეხზე მოარული ცნობარივითა ხარ (ცხვირზე კიდებს ხელს) საინტერესოა, იფურცლები თუ არა (იცინის) არ გეწყინოს. ვთამაშობთ.

ბაბილა მეორე (გამწარებული) ნელა! მტკივა! მართლა მტკივა! ეს რა თამაშია! ეს უკვე... საერთოდ აღარ ვითამაშებ შენთან. სრულებითაც არ არის სასაცილო.

ბაბილა პირველი: ოოოო! როგორ არ არის... დამერწმუნეთ, დამერწმუნეთ, ასე გულიანად... ერთი ამ ოცი წლის წინ გამეცინა, დიაგნოზი რომ დამისვეს, და ერთიც დღეს. დიახაც რომ განსაკუთრებული დღე ყოფილა. ნუ გეწყინებათ, თქვენი შეურაცხყოფობა გუნებაშიც არ გამივლია. თუ გატკინეთ, ბოდიშს გიხდით. მაგრამ ასე გულიანად... რა დაბნეული სახე გადევთ, რომ იცოდეთ. ერთი თქვენსავით დაბნეული მეგობარი ადრეც მყავდა, ეგრეთ წოდებულ სიჭაბუკეში, სტუდენტობისას... სტუდენტობის ჟამი თქვენც კარგად მოგეხსენებათ — ჟამი მოსმენისა და ჟამი დასმენისა... საპირფარეშოში წყლის ჩამოშვება ავიწყდებოდა.

ბაბილა მეორე: (გამწყრალი) თუ ქარაგმებით ლაპარაკობთ, მართალი არ ხართ. წყლის ჩამოშვება კი არ მავიწყდება, წყალი არ მოდის საერთოდ. ანდა. მაშინ არ მოდის, როცა საჭიროა.

ბაბილა პირველი: კმარა. გვეყოფა. აქი ბოლოში [illegible] სხვა მიკვირს და სხვა მაოცებს. თუ დაკვირვებიხარ, არაფერი არ სწყინს ადამიანს ისე, როგორც ცხვირზე ხელის მოჭერა. რაც გინდა, ისე უყურე ოღონდ, მის უდიდებულესობას ნუ შეეხები. ადამიანის მთელი სიამაყე ცხვირშია თავმოყრილი. ჩვენი მაგალითი ავიღოთ თუნდაც: მე რომ თქვენთვის პანღური ამომერტყა, ან ყური ამეწია, მაშინვე დამნაშავედ ჩათვლიდით თავს, დაფრთხებოდით, დაიმორცხვებდით და, უპირველეს ყოვლისა, ჩემი გულის მოგებას შეეცდებოდით, თავის ქიცინით და ხელების ფშვნეტით, პირობასაც დამიდებდით, არასოდეს რომ აღარ გაიმეორებდით ამგვარ... თუმცა, არც იმას იკითხავდით, რაში გედებოდათ ბრალი, რითი დაიმსახურეთ პანღური და ყურის აწევა. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, ოდნავ შემეხო ჩემი ორი თითი თქვენი ცხვირის უკიდურესი წერტილისთვის, წვერისთვის, ყუმბარასავით აფეთქებულიყავით, სისხლი თვალებში მოგწოლოდათ, ყბა მოგქცეოდათ და... სიამოვნებითაც მომკლავდით ალბათ, მკვდრის რომ არ გეშინოდეთ. ნუთუ უარესი შეურაცხყოფა მართლა არავის მოუყენებია თქვენთვის? ნუთუ უსაფუძვლოდ შევგინებულ, უფლებააყრილ კაცს, რომელიც აღარც ცოცხლებში ითვლება და აღარც მკვდრებში, აუცილებლად ცხვირზე უნდა მოუჭირო ხელი, საბრძოლველად რომ აღეგზნოს?! სხვას ვერაფერს ხედავთ თქვენს გარშემო შეურაცხმყოფელს, დამამცირებელს, დამამდაბლებელს? და თუ ხედავთ, როგორ შეგიძლიათ აიტანოთ ყველაფერი მკვდრის გულგრილობით? მართლა ხომ არ მომკვდარხართ ჯერ? თქვენ ხომ ნამდვილად ცოცხალი ხართ? მე როცა ხალხს მოვუწოდებდი, თქვენ პირზე ხელს მაფარებდით, კალთაზე მექაჩებოდით, ხალხის მტრობას მწამებდით, თითქოს ჯერ არავის ეთქვას თქვენთვის, თავისუფლების ძებნაში მკვდარი სჯობს მონობაში გადიდკაცებულსო. ასე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ. ასეა დღესაც და მუდამაც ასე იქნება. არ შეიძლება. შეუძლებელია ერთი აზრი გვქონდეს, ჩვენ ერთი გზა, ერთი მიზანი... ამიტომაც არ ვართ ღირსნი თავისუფლებისა. ამიტომაც ვმარცხდებით და დავმარცხდებით ყოველთვის. ჩემი მიზანი გამოკვლევით კი ანათებს. მაგრამ, სამწუხაროდ, იმავე დროს, გამოკვლევები უნაყოფოცაა. ამიტომაც მერჩივა ვამოკვლევის შვილი ოდესმე, გამოკვლევის შვილობა, სახალხო გმირი რასაკვირველია. ცენზორის დასანახავად, გზა-კვალის ასარევად. მე რომ უნივერსიტეტის სცენაზე გამოვდიოდი, ეგოგოებს გული ულონდებოდათ. განსაკუთრებით, ფილოლოგებს. გახსოვთ? რასაკვირველია. გახსოვთ, კარგად გახსოვთ, სხვებსაც ახსოვთ. ამიტომაც გშინიათ ჩემი. არცერთმა ტირანმა არ იცის, კიდევ როდის ამოებრწყინდება მისი კეთილდღეობის ხელოვნურ ცაზე. როდის დავუფეთებ ალვირახსნილი ცხოვრებით აქოთებულ წყვდიადს მის მორჩილ ქვეშევრდომებს, ესენი, თქვენც.

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: რაც მართალია, მართალია — დიდებული სანახაობა იყო. ახლაც ცხადად დამიდგა თვალწინ ყველაფერი. გადითრებული პროფესურა. აღგზნებული სტუდენტობა. სცენაზე ამბობენ, დარბაზში ჩურჩული და მუჯლუგუნები. სკამი რომ არ ეყოთ, იატაკზე იჯდა ხალხი. ნემსი ვერ ჩავარდებოდა სხვათაშორის. მართლა ბევრს შეულონდა იმ დღეს გული. ფილოლოგსაც და ქიმიკოსსაც. ზოგს სიცხისგან, ზოგს — შიშისგან და მაინც ის დრო სჯობდა. ახალგაზრდები მაინც ვიყავით. ლუკმის შოვნა უფრო ძნელდა, ვიდრე დალევა. როგორ ითქვით წელან? ჟამი მოსმენისა და ჟამი დადუმებისა... სუსტია ადამიანი. კინ იცის, იქნებ ჩვენც ხალხი გამოვსულიყავით, სხვანაირად რომ წარმართულიყო ცხოვრება...

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: აი, კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითი წმინდა გულუბრყვილობისა თუ გულუბრყვილო სიწმინდისა. ჯერ ერთი, ცნობილ ვერავითარ შემთხვევაში ველ... მოიტყუებოდა სხვანაირად. შესაძლებელი საქმე იყოდა. მეორეც ერთი, განდაც არ გამოვლინებულებიანი უნივერსიტეტიდან. მაინც არავინ მოგვცემდა საიმისო განათლებას. მართლა გამოვუგონდით ენებს. სწავლა სხვაა, სავალდებულო სწავლა კი — სხვა. სავალდებულო, სწავლა იქნება თუ თამაში, დამნაშავეებს ამრავლებს მხოლოდ. დამნაშავის აშენებული ქვეყანა კი ჯერ არავის გაუგია. თუ ჩემი არ გჯერათ, უფრო ყურადღებით მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ... ადამიანი მარტო სუსტი რომ იყოს, კიდევ უშველიდა თავს, მაგრამ, საუბედუროდ, დაუნდობელიცაა. ხიდის ნიჩბის ტარიც გამოითლება და ცულისაც. მაგრამ ბოძები ხე კი არ არის. ბოძავიო გამომთლელია. ჩვენც ასეთებად გამოგვთალა ვიღაცამ. ჩვენზე მეტიანმაც და ლონიერმაც...

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: ბატონო ჩემო, ადამიანი ნამდვილად სუსტი არსებაა და ნამდვილად ემორჩილება ძალადობას. ეს ათასგზის დამტკიცებულია უკვე. მაგრამ შენ თუ მართლა გული შეგტკივა ადამიანზე, ზედმეტად არ უნდა დააჭირო ფეხი. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, უნდა გეცოდებოდეს. ხანდახან მაინც სიმხდალეც, სიბეცეც. დაუნდობლობაც დროთა განმავლობაში შეძენილი თუ გამომუშავებული თვისებები და მიდრეკილებებია და მხოლოდ და მხოლოდ, ბიოლოგიური ინსტინქტებით, თავდაცვის ქინითაა განპირობებული. ბევრი უაღრესად ადამიანური მანკიერება თავად ადამიანის ბრალი არ არის. თავსმოხვეულია გარემოებისა თუ მტრების მიერ. ერთს ყოველთვის შეუძლია მეორის დაშინება, დამდაბლება, გამოთაყვანებაც კი. მაგრამ კეთილშობილ ადამიანს ფიქრადაც არ უნდა მოსდიოდეს ამგვარი რამ. რადგან ამგვარი ფიქრის, განზრახვისა თუ მიზნის გაჩენასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, თვითონვე კნინდება, უფასურდება და კვდება კიდეც. რამდე-

ნადაც თავისი ფიქრით, განზრახვით: თუ მიზნით არავითარი სიკეთის მოტანა აღარ შეუძლია საზოგადოებისათვის, ზოგადად ადამიანისთვის...

ბაბილა პირველი (ხელს აქნევს) საქმარისია. აკი ერთხელ უკვე გითხარით, გულუბრყვილოდ აზროვნებთ მეთქი. გულუბრყვილობა ყველაზე დამამცირებელი თვისებაა ადამიანისთვის — ჯიბის ფანარივითაა, მარტო ფეხის წვერს თუ გაინათებ იმის დახმარებით, ორ ნაბიჯში ჩასაფრებულ ქვას კი ვერ დაინახავ, ვიდრე ფეხს არ წამოკრავ და კისერს არ მოიტეხავ. ადამიანის უბედურება ის კი არ არის, მეორე ადამიანი რომ არსებობს, რომელსაც მისი დაშინება ანდა დაკნინება შეუძლია. როგორც თქვენ ბრძანებთ, არამედ იმიტომაა უბედური, საკუთარ თავს რომ ვერ მორევია, ანუ, ვერ გაუკეთებია არჩევანი კარგსა და ცუდს შორის, კეთილსა და ბოროტს შორის, სასარგებლოსა და საზიანოს შორის. ადამიანი, პირველ რიგში, საკუთარი თავის მტერია, იმიტომ რომ, ყველაფერი ორი აქვს, არა მარტო ფეხი ან ხელი, თვალი ან ყური... — ფიქრიც, აზრიც, მიზანიც, თვალსაზრისიც... მდინარესავით, ორ ნაპირს შორის მიედინება სულ და არ იცის, ვერ დაუდგენია რომელი ურჩევნია, მარჯვენა თუ მარცხენა, რომელ ნაპირს მიეტმასნოს უფრო მეტად, რომელს მიეხეთქოს მთელი ძალით, რომელს მიელამუნოს ვნებიანად და რომელს გაულაწუნოს მღვრიე ტალღა სილასავით... მთელი სიცოცხლე ირჩევს, მაგრამ ისე უერთდება ზღვას, ანუ, ისე იკარგება, ითქვიფება, ქრება უსასრულობაში, ხრიალობაში, სიკვდილში — არჩევანს ვერ ასწრებს, საშოვარზე გამოშვებული, ხელცარიელი უბრუნდება გამჩენს. მიწა ხარ და მიწად იქეცი. უფრო სწორედ, წყალი ხარ და წყლად წადი... უფალო, განანათლე ცოდვილი სული მონისა შენისა... მაგრამ ვისი? განა ვიცით, ვინა ვართ? არ ვიცით, იმიტომ რომ, ისიც ვართ და ისიც, ანდა, ისიც გვინდა ვიყოთ და ი[illegible] ცუდიც, კეთილიც [illegible] დარიც და ღარიბიც, შესაშურიც და შესაცოდიც, თავისუფალიც და მონაც... ამიტომ, ცოტა ხნით გვერდზე გადადეთ თქვენი გულუბრყვილობა და რაკი ასეთი კარგი შემთხვევა მოგცათ ღმერთმა, გამოიყენეთ. გამომიყენეთ მეთქი, ჩემზე მოგახსენებთ. დღეს ლაპარაკის გუნებაზე ვარ და არ დაგზარდებით ზოგიერთი რამის გარკვევას, საკითხის გამარტივების მიზნით, გამარტივებას კი მსმენელთა მომზადება და შესაძლებლობანი გვაიძულებს მხოლოდ. გადავიდეთ მაგალითებზე. ავიღოთ პირველივე მაგალითი, რომელიც ენაზე მოგვადგება. ვთქვათ, მგელი და ირემი. გასაგებია?

ბაბილა მეორე: რა თქმა უნდა, გასაგებია. მგელი და ირემი. რა ძნელი გასაგები კიდევ ეს არის?!

ბაბილა პირველი: მაგრამ იმის გავებაც თუ შეგიძლიათ, პირადად თქვენ ერთდროულად ორივე რომ ხართ — მგელიც და ირემიც?! ალბათ შეგიძლიათ, ამაზე ადრეც ვილაპარაკეთ. ეს არ არის მთავარი, მთავარია, რომ არ შეგიძლიათ აირჩიოთ, არ იცით, რომელი გირჩევნიათ, რომელი გინდათ იყოთ საბოლოოდ, სამუდამოდ...

ბაბილა მეორე: რომელი მირჩევნია? ალბათ მაინც ირემი მინდა ვიყო.

ბაბილა პირველი: დამეთანხმეთ, რომ „ალბათ" სრულებითაც არ გამოხატავს თქვენი პასუხის სიმტკიცეს. მაგრამ დავუშვათ, რომ მართლა ირმობა გირჩევნიათ, მაშინ ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ, მე მგელი ვიქნები და ყველანაირად შევეცდები ჩემი მგლური მოვალეობის აღსრულებას. თქვენ ალბათ, ოდესღაც, თუნდაც ბავშვობაში, გიტირიათ კიდეც ყელგამოღადრული ირმის წარმოდგენაზე, ხომ მართალია? (ბაბილა მეორე თანხმობის ნიშნად თავს უქნევს) წარმოდგენაზე მეთქი, იმიტომ რომ, დარწმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული ვარ, თუ გინახავთ, მხოლოდ ზოოპარკში გინახავთ ირემი. შესახედად პირწავარდნილი ქალაქელი არსება ხართ, ასფალტზე გაზრდილი. ალბათ გულიც გადაგბრუნებიათ ასევე წარმოდგენილი მგლის კბილების ღრჭიალზე, ირმის გამოფატრულ მუცელში რომ შეუყვია თავი და უკანა ფეხებით ფხოჭნის მიწას, იმასღა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ხორცი აართვას ნადავლს, ვიდრე მიწა უზამდეს პირს, თავფეხიანად, ხორციან-ძვლიან-ტყავიანად. ხომ მართალია?

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: (შეშფოთებული) მართალია. მაგრამ... ღვთის გულისათვის... ისედაც სული კბილით მიჭირავს ამ სიბნელეში.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: აი, აქედან იღებს სათავეს თქვენი გულუბრყვილობა, რომელიც, დროთა განმავლობაში, უვიცობასა და სიმხდალეში გადაზრდილა. უვიცობამ და სიმხდალემ, ბუნებრივია. შეცდომა ჩაგადენინათ (ყვირის) კი არ უნდა გექვითინათ შეყვარებულ გოგონასავით, სიხარულის ყიჟინა უნდა დაგეცათ. ბრიყვო! გულს რწმენა და იმედი უნდა ჩაგსახვოდათ, რადგან თქვენს თვალწინ მარადიულობის, ურთიერთ გაგებისა და პატივისცემის, გარდუვალობისა და აუცილებლობის რიტუალი სრულდებოდა... და კიდევ მრავალჯერ აღსრულდება ალბათ. თუნდაც, დღესაც, ახლავე, ამ წუთას... ორივე აქ ვართ — მგელიც და ირემიც! ხელს რა შეგვიშლის ვითომ?! მე შენ გეტყვი. მილიცია გამოჩნდება დროზე, ანდა ვინმე გამვლელი აიტკივებს ჩვენი გულისთვის თავს, ზეთითა და ღვინით მოგვბანს ჭრილობებს. თავი ქვას გიხეთქიათო — მოგვაძახებს, თუ მართლა ჩამოიარა ვინმემ, და წავა ბაღიდან გასასვლელის საძებნელად. მაშ ასე, მე მგელი და შენ ირემი! ახლავე შეგახრამუნებ (ხელებს იფშვნეტს სიამოვნებისგან) ისე შეგახრამუნებ, მარტო რქები და ჩლიქებიღა დარჩება შენგან... და კიდევ — შიგანი, კუპატივით გატიკნული (სიცილით) მგელი კი ვარ, მაგრამ რაც არ [illegible] ვჭამ.

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: საშინელებაა.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: არ ვარგა. თქვენს შეძრწუნებას დამაჯერებლობა აკლია. ინტონაციას მიაქციეთ ყურადღება. ინტონაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს რომ ჩვენმა მსახიობებმაც იცოდნენ, დიდად მოიგებდნენ. ინტონაცია სიტყვის გასაღებია. სიტყვის გაღება კი ისევე შეიძლება, როგორც კარისა. საქმე ის არის, რომელ კარს მოუნახავ სიტყვას და რა დაგხვდება იმ კარს იქით: საკუჭნაო თუ საძილე ოთახი, საკანი თუ პალატა, სენაკი თუ მლვიმე. თუ სწორ ინტონაციას აირჩევთ, ესეიგი, თუ კარგად მოარგებთ სიტყვას გასაღებს, მაშინ სხვებიც დაინახავენ და მიხვდებიან, რას ეძახით თქვენ, დავუშვათ, საშინელებას. აბა, დავიწყოთ.

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: საშინელებაა!

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: ასე თითქოს არა უშავს. გასაღები ხელთა გაქვთ, მაგრამ ხელი გიკანკალებთ...

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: საშინელებაა!

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: საკმარისია. ამჯერად ესეც კმარა. რომი ერთბაშად არ აშენებულა.

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: მე მართლა მეშინია. ჩვენს მეტი ბაღში არავინაა. იმ მთვრალმაც ალბათ უკვე რახანია გააღწია აქედან. ვინ იცის. მეორე პირ სიზმრებს ხედავს.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: ჩვენი აქ ყოფნა მარტო იმითაა გამართლებული, მარტონი რომ ვართ. ჩვენ რასაც აქ ვიტყვით, ამ სიბნელეში — მოედნებზე იქადაგებენ. მეორეც ერთი, მე ჯერ არ დამიმთავრებია სათქმელი. დიახ, მგელი და ირემი ერთი არსებაა. აი, ეს არის თვალნათელი მაგალითი ორბუნებოვანებისა. ორი არსება ერთი მთლიანი ორგანიზმია. ორი უდრის ერთს. მაგრამ ჩვენ ცხოვრების მაცდურ ლინზაში ერთს ორად ვხედავთ, როგორც მთვრალი საკუთარ გამოსახულებას — სარკეში. ჩვენი მთვრალი ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლად ვერ დაიძინებდა, ვინდაც გი-ცლშია იქედან. ძალიან იყო მოეჩალა. არა მარტო ორად ვხედავთ, არამედ ორ სრულიად განსხვავებულ არსებადაც. მართლაც, სად მგელი და სად ირემი! მაგრამ ეს ერთი შეხედვითაა ასე. ლინზის ბრალია. ლინზის კი არა — ჩვენი, რადგან ჩვენივე დაუდევრობის გამო, ყოველთვის გვავიწყდება ლინზის თვალიდან მოშორება. ლინზა კი მართლაც მაცდურია. ნამდვილად ეშმაკის ხელსაწყოა. ყველა ჩვენი შეცდომა ლინზის ბრალია, გასაგებია?

ბაბილა მეორე (ფიქრიანად) გასაგებია.

ბაბილა პირველი: ხოდა, თუ გასაგებია, დასკვნა თვითონ გამოიტანე. მე მგონი, მაგალითი იმდენად მარტივია და, იმავე დროს, იმდენად ნათელი, დასკვნის გამოტანა ნორმალურ ადამიანს არ უნდა გაუჭირდეს, თუ განგებ არ კამათობს, უფრო სწორედ კი, თუ დროის გასაყვანად კამათობს მხოლოდ, გასართობად.

ბაბილა მეორე: კი მაგრამ, რატომ ხდება, ირემი ყოველთვის რომ ირემია, მგელი კი — მგელი, ერთხელ პირიქითაც მოხდეს, ერთხელ ირემი მგელი იყოს, ხოლო მგელი — ირემი.

ბაბილა პირველი: მეც მაგას ვამბობ სწორედ! სხვაგან ჰქრის შენი გონება, სანდროსთან, ვარო ექთანთან, ტყუილად მილაპარაკია ამდენი ხანი და ესაა. რამდენჯერ უნდა გავიმეოროთ ერთი და იგივე. დამშვიდებული ბრძანდებოდე, ასეთი გარდაქმნა აუცილებელიცაა. მგელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მგელი, თუკი თავად ურჩევნია მგლობა ირმობას და, რაც მთავარია, დრო და გარემო უფრო მგლისთვისაა შესაფერი, ვიდრე ირმისთვის, უფრო მგლური ბუნების გამოვლენას უწყობს ხელს და ამდენად, შესაბამისად იზრდება მგლობისკენ მიდრეკილებაც. მარტივად რომ ვთქვათ, მგლობა ირმობაზე ხელსაყრელია, ალბათ — პრესტიჟულიც.

ბაბილა მეო[illegible] ასეა ყოველთვის.

ბაბილა პირველი: არა, უბრალოდ, ჩვენი თვალთახედვაა მოკლე. ყოველთვის ასე არ არის, ოღონდ, ვერავინ ამჩნევს, როდის და როგორ ხდება ეს დიდებული სახეცვლილება, როდის, რანაირად იქცევა ხოლმე მგელი ირმად, ირემი კი მგლად. მთავარია, ერთერთი აუცილებლად ირემი იყოს, მეორე კი მგელი, საძებარი რომ არ გახდეს საჭიროების შემთხვევაში. ერთდროლად ყველას ირმობა, ანდა ყველას მგლობა რომ მოუნდეს, აირევა ყველაფერი. წარმოიდგინეთ, თეატრში ჰამლეტსაც ხელმწიფესავით რომ ეცვას.

ბაბილა მეორე: (დაინტერესებული) ეგ რაღა შუაშია? მე მგონი, თქვენს მოსაზრებას, ამ შემთხვევაში, ცოტა დაზუსტება სჭირდება. განა საჩოსელის გამოა ჰამლეტი ჰამლეტი, ხელმწიფე კი ხელმწიფე?!

ბაბილა პირველი: რასაკვირველია. თეატრში ნამდვილად ასეა. და არა მარტო თეატრში, თეატრი, უბრალოდ, ზოომუზეუმივითაა — ნამდვილი მხეცების ნაცვლად, იქაც ფიტულები დგას და ყველა მათგანს გარკვევით აწერია — იკბინება თუ არა. ყოველშემთხვევაში, ასე მიაჩნია პიესის ავტორსაც და სპექტაკლის რეჟისორსაც. ასე რომ, ხელმწიფე იქამდეა ხელმწიფე, სანამ სცენაზეა. კოსტუმსაც ეს დანიშნულება აქვს მხოლოდ — ვისაც მეფის კოსტუმი აცვია, ის მეფეა, ვისაც მასხარისა — მასხარა. მაყურებელი ასე უფრო იოლად მიხვდება, ვინ ვინ არის, თორემ მარტო ავტორის ტექსტისა და რეჟისორის მიზანსცენების ანაბარა, შეიძლება, გაუჭირდეს იგივე ხელმწიფისა და ჰამლეტის გარჩევა. რამდენია, საერთოდ რომ არა აქვს წაკითხული „ჰამლეტი"! რამდენია, საერთოდ რომ არ უსმენს ტექსტს თეატრში! ამიტომ, მეფეს მეფის ტანსაცმელი უნდა ეცვას, ჰამლეტს — ჰამლეტისა, თუ არ მოსწონთ, ამაზე ადრე უნდა მოილაპარაკონ. როლების განა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლებამდე, რადგან იქამდე ორივენი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ. საშტატო ერთეულები, და, ადგილი შესაძლებელია, ორივენი მეფობაზე ოცნებობდნენ. სცენაზე კი, ისევე როგორც ცხოვრებაში, აუცილებელია, ერთი მეფე იყოს. მეორე ჰამლეტი. ორი ჰამლეტი ერთდროულად ისევე აუტანელია, როგორც ორი მეფე. წარმოიდგინე, კარგ დროს, კარგი ქვეყნის კარგ რესტორანში კარგი სადილი შეუკვეთო და პირველ-მეორის ნაცვლად ორივე პირველი ან ორივე მეორე კერძი მოგიტანონ.

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: პირადად მე, სიამოვნებით შევჭამდი ახლა ორ ულუფა კატლეტს, ან ორ ულუფა ხარჩოს.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: მე კარგ ხალხზე მოგახსენებთ, კარგ ქვეყანაზე, კარგ დროსა და კარგ რესტორანზე. მასშტაბების გარდა, თეატრში დროც შეზღუდულია. უფრო სწორედ, დროის მარადიული დინებიდან, რომელსაც ვერავითარი საათი ვერ აღნუსხავს, ჯადოქრის მიერ ის პატარა მონაკვეთია ამოგლეჯილი და ჩარჩოში ჩამწყვდეული, როცა ჰამლეტი მხოლოდ ჰამლეტი იყო, ხელმწიფე კი — მხოლოდ ხელმწიფე. ისინი სახეცვლილებას ვერ ასწრებენ, ვერ ახერხებენ, რადგან სულ ჩვენს თვალწინ არიან, ორივენი, როგორც იტყვიან, მუჭში გვყავს გამომწყვდეული და, როგორც არ უნდა უნდოდეთ, უკან დასახევი გზა აღარ რჩებათ. სხვათაშორის, ისევე, როგორც ჩვენ. მაგრამ თეატრზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ერთს კი გეტყვით: თუ იცით, რატომ გაქვთ საყელოზე ღილები აჭრილი? ბოლომდე რატომ არ გეკვრება საყელო?

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: (ხელს ისვამს ყელზე) საყელო? ღმერთო ჩემო, მართლა როგორი მოღეღილი მაქვს საყელო, თანაც ამ სიცივეში...

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: იმიტომ რომ, მარადიული ტუსაღი ხარ, თუ გნებავთ, მარადიული სნეული. საკნისა თუ პალატის ბინადარი... ი

და იგივეა. უსაყელო კაცი საკეტმოშლილი ჩემოდანივითაა, ვისაც უნდა, ის გახსნის და გაქექავს. უსაყელო კაცზე ბატონობენ. საყელოიანი ბატონობს, თუ გახსოვს, სანამ უშანგი ჰამლეტი იყო, სულ საყელომოღეღილი პერანგი ეცვა.

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: (დამცინავად) ესეიგი, თქვენ დასაშვებად მიგაჩნიათ, რომ ჰამლეტი როდისმე ხელმწიფედ იქცევა?!

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: რა თქმა უნდა. ეს ჩვენზე უფრო შორსმჭვრეტელ კაცს მიაჩნდა დასაშვებად და ამიტომაც გამონახა ერთადერთი გზა, რომელიც სამარადისოდ გადაარჩენდა ჰამლეტს, ხელს შეუშლიდა ჰამლეტის გახელმწიფებასა და ხელმწიფის გაჰამლეტებას. სიკვდილი! სიკვდილი მართლაც ერთადერთი გზაა, რადგან სანამ ცოცხალია, ამ საქმეში ვერავის ენდობი, ვერც ჰამლეტს — ისიც ადამიანია და ისიც სულ არჩევანშია.

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: (კვიმატურად მომღიმარი) თქვენი თვალსაზრისით, ჰამლეტი თვალთმაქცი ყოფილა, ალბათ — ოფელიაც, ორივენი, ჩვენი არ იყოს, იგონებენ გიჟობას.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: აი, კიდევ ერთი გამოხატულება უკვე მრავალგზის შემჩნეული თქვენი გულუბრყვილობისა. განა როდისმე ვთქვით, თვალთმაქცობენო, გიჟობას იგონებენო... ისინი, უბრალოდ, იმ წუთას, იმ მარადიულ წუთში, ისე ცხოვრობენ, როგორც შეუძლიათ, როგორც უნდა იცხოვრონ, როგორც ჰამლეტს და ოფელიას, ისევე როგორც სპექტაკლის სხვა ნებისმიერ მონაწილეს, ეკადრება და შეშვენის, ხოლო შორიდან მაყურებლები, მათ შორის თქვენც, ვისაც მათი ცხოვრება არ მოგწონთ, ამბობთ გიჟები არიანო. გიჟებად სხვები თვლიან იმათ, რადგან ხელს აძლევთ იმათი სიგიჟე. გიჟობით ბევრი რამის ახსნა შეიძლება, ბევრი რამის გამართლებაცა და გამტყუნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაც. მაგრამ განა შეიძლება გიჟმა თავი მოიკლას?

ბაბილა მეორე: სანდრო?! სანდრომ ხომ მოიკლა ერთხელ თავი? ერთხელ კი არა, ბევრჯერ... აბა, თუ ბიჭი ხარ, უთხარი ჩვენს ექიმს, სანდრო გიჟი არ არის, გიჟობას იგონებსო.

ბაბილა პირველი: ისევ სანდრო! სხვა სახელი არ იცი? სანდრო ალბათ მართლა გიჟია, თორემ რამდენჯერმე კი არ მოიკლავდა თავს, არამედ — ერთხელ და სამუდამოდ, საბოლოოდ, ნამდვილად. სანდროს ჰგონია, მართლა იკლავს თავს. ეს კი სიგიჟის კლასიკური სიმპტომია. სხვათაშორის, ჩემი თხოვნა იქნება. სანდროს ნულარ ახსენებ. ვითომ არც არსებობს. მიზეზს სხვა დროს გეტყვი. ახლა ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი. ისე, რამდენი გიჟია, დადგენილიც და დაუდგენელიც, მაგრამ კარის სახელურზე კი არ იხრჩობს თავს, თუნდაც, სხვათა ცოდვების მოსანანიებლად! ასე რომ, დაიმახსოვრე — გიჟები თავს არ იკლავენ. გიჟს, გინდაც უნდოდეს სიკვდილი, მაინც ვერ მიხვდება, რა უნდა. ოფელიამ კი კარგად იცის, რაც უნდა. ყველაფერს მოფიქრებულად, გამიზნულად აკეთებს. მისთვის სიკვდილი მარადიულობასთან შეუღლებაა. სიკვდილის სარეცელი იგივე საქორწილო სარეცელია. ამიტომ, ვიდრე წყალში გადახტებოდეს, ჯერ ყვავილებით რთავს წყლის ზედაპირს. გიჟი თავისებურად ბედნიერიცაა. ერთი ვარო ექთანი ყველა გიჟს ყავს. უბედურებაა, სრულ ჭკუაზე მყოფს, შენზე ძლიერმა თუ დაგიძახა გიჟი ხარო. მერე, დამეთანხმები, საწინააღმდეგოს, ანუ, სიმართლის დამტკიცება ძალიან ძნელია. მე თუ მკითხავთ, შეუძლებელიცაა. რადგან გიჟებივით სწორედ ნორმალური, სრულ ჭკუაზე მყოფი ადამიანები იქცევიან. შენ თუ სახელმწიფო ხარ და გული შეგტკივა შენს ქვეშევრდომზე, ისეთ დღეში არ უნდა ჩააყენო, გიჟივით მოიქცეს — გიჟივით იყვიროს, გიჟივით იხარხაროს, გიჟივით იხტუნაოს ქუჩაში და გიჟივით უბრიალოს თვალები გამვლელ-გამომვლელს...

ბაბილა მეორე: სად ხედავ ნეტავ გამვლელ-გამომვლელს? ერთი მთვრალი დაბორიალობდა და ისიც დაიკარგა. მცივა.

ბაბილა პირველი: (გაღიზიანებული) რაღაც არ გამოდის დღეს ჩვენი საუბარი. გავიგეთ, რომ ცივა სხვათაშორის. ახლა რომ ცხელოდეს, ის იქნებოდა გასაკვირი და შესაშფოთებელი. თუმცა, მალე ალბათ ასეც იქნება — ზამთარში სიცხე, ზაფხულშიც სიცივე. სიბნელე ღამითაც და დღისითაც. აქეთკენ მიდის ყველაფერი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, კოლეგა. ჩემო ირემო! გინდა გაგათბო?

ბაბილა მეორე: (დაეჭვებული) როგორ, თორემ კი, ხომ არ ჩამიხუტებ ამ შუაღამისას, ბაღის სკამზე? მართლა რომ გამოიაროს ვინმემ, ხომ გაგიჟდება? აკი იმ მთვრალსაც შეყვარებულები ვეგონეთ — კაცი და კაცი!

ბაბილა პირველი: (აღგზნებული) პირიქით, პირიქით, შენი ჩახუტება არც მიფიქრია, ან შენ რამ გაფიქრებინა. მართლაც რომ უცნაური ფიქრები მოგდის თავში. რისი ბრალია, არ ვიცი. შენ თვითონ გაარკვიე. მე, უბრალოდ, იმის შეხსენება მინდოდა: შენ რომ ირემი ხარ, სხვათაშორის, შენივე სურვილით; მე კი — მგელი, ამ შემთხვევაში, იძულებით, რაკი არჩევანი დამასწარი. მაგრამ, გათბობა თუ გვინდა, უკეთესს ვერაფერს მოვიფიქრებთ. ირემი რომ მგელს გადაეყრება, რა უნდა ჰქნას? პირში ხომ არ ჩაუვარდება თავისი ნებით? ხოდა, რაკი ირმობა გირჩევნია, გაიქეცი. მე კი გამოგეკიდები

ბაბილა მეორე: ესეიგი, ისევ ვთამაშობთ? აღარ მოგბეზრდა ამდენი თამაში? ყველაფერს სჯობია, დავბრუნდეთ. რაც არ უნდა იყოს, ჩვენი ტანსაცმელი ბაღებისთვის არ არის გათვალისწინებული. მართალია, აქაც იგივე სუნი ტრიალებს, მაგრამ მაინც რა შედარებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბაბილა პირველი:** (მკაცრად, მგზნებარედ) მე რასაც გეუბნები, ის გააკეთე. გაიქეცი და გამოგეკიდები, თუ დაგეწევი, შეგჭამ (ისმის ქალის კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!)

**ბაბილა მეორე:** (მტკიცედ) არა!

**ბაბილა პირველი:** არა კი არა, კი! სანდროსი არ იყოს, მართლა კი არ შეგვჭამ, ვითომ...

**ბაბილა მეორე:** არა მეთქი, ყველაფერს ხომ არ დაგიჯერებ, ბოლოს და ბოლოს.

**ბაბილა პირველი:** ძალიან ადვილია. მთავარია, თავი დაირწმუნო, მართლა ირემი ვარ და მართლა შესაჭმელად მომდევენო (ისმის ქალის კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!) ნუ უსმენ, თვალები მაგრად დახუჭე, ორივე ბარძაყზე, რაც ძალი და ღონე გაქვს, იჩქმიტე, აი, ასე, და ჩქარ-ჩქარა იმეორე: ირემის ვარ, ირემი ვარ, მგელი მომსდევს შესაჭმელადო. აბა, დავიწყოთ (ისმის ქალის კივილი).

**ბაბილა მეორე:** ირემი ვარ, ირემი ვარ... არ მინდა, გამანებე თავი, რა დროს თამაშია, მოკლეს ვიღაცა.

**ბაბილა პირველი:** ეგ იგივე ქალია, წეღანაც კიოდა, თვალები დახუჭე და მაგრად იჩქმიტე, გამეტებით, ვითომ მე გჩქმეტ.

**ბაბილა მეორე:** მტკივა. ირემი ვარ, ირემი ვარ... მგელი მომსდევს შესაჭმელად. (ისმის ქალის კივილი) ვაიმე, ჩემო არგაჩენილო ცოლშვილო, ხომ ხედავ, არ გამომდის.

**ბაბილა პირველი:** კარგია, კარგია! როგორ თუ არ გამოგდის... ოღონდ, გაზონზე არ გადახვიდე, ბილიკზე ირბინე. ღრრრრ...

**ბაბილა მეორე:** (უხალისოდ გარბის) არა, არა, არა! მოიცა, ფეხზე გამძვრა. (ჩაცუცქდება, ფეხსაცმლის ზონარს იკრავს) როგორ ვირბინო ამ სიბნელეში. სანამ რამეს არ დავიმართებ, არ გაჩერდები, რა იცი, რომ იგივე ქალია? ხმაზე სცნობ?

**ბაბილა პირველი:** ჩქარა მეთქი. ღრრრრ... თუ მგელი ვა[illegible]წევი. ღრრრრ... ქალი ნამდვილად იგივეა. ოღონდ, ეტყობა, მკვლელს მეტი მოუვიდა სასმელი — ვერაფრით ვერ მოახვედრა დანა, სადაც საჭიროა. ქალის კი არა, ღორი რომ ღორია, იმის დაკვლასაც ცოდნა უნდა. ღრრრრ-მეთქი.

**ბაბილა მეორე:** (გარბის) არა, არა, არა...

**ბაბილა პირველი:** (მისდევს) ღრრრრ... შიმშილისგან გული მიმდის... ღრრრრ...

*დარბიან მერხის გარშემო*

**ბაბილა მეორე:** არა, არა, არა...

**ბაბილა პირველი?** დაგეწიე, დაგეწიე, დაგეწიე. ღრრრრ... (დაეწევა, მერხზე გადააქცევს და ზემოდან დააცხრება მართლა მგელივით).

**ბაბილა მეორე:** მტკივა, მხეცო! მართლა მტკივა!

**ბაბილა პირველი:** ღრრრრ...

**ბაბილა მეორე:** მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ! მტკივაააა!

**ბაბილა პირველი:** არა უშავს, გაუძელი. ღრრრრ... სამაგიეროდ, აღარ შეგცივდება. ღრრრრ...

*შემოდის მთვრალი*

**მთვრალი:** (მიირბენს მერხთან, აშველებთ) ბატონებო, ბატონებო... როგორ გეკადრებათ! გაუშვით ხელი... გაუშვი მეთქი ხელი!

**ბაბილა პირველი:** (მოუბრუნდება, კბილდაკრეჭილი) ღრრრრ...

**ბაბილა მეორე:** მიშველეთ, მტკივა!

**მთვრალი:** მილიციას დავუძახებ, იცოდეთ (ატყუებთ) აგე, მილიციაც. აქეთ! აქეთ! ჩქარა! კაცი კაცს სჭამს! დაჭამეს ერთმანეთი! (მილიციის ხსენებაზე, ბაბილა პირველი და ბაბილა მეორე მაშინვე „დამშვიდდებიან“ და ისევ ერთმანეთის გვერდიგვერდ დასხდებიან მერხზე. ღაღილობისგან ხმამაღლა სუნთქავენ, თან მოჩაჩულ ტანსაცმელს ისწორებენ). შეგეშინდა ხომ? დამშვიდდით, მოგატყუეთ. რა უნდა მილიციას ამ უკუნეთში? თქვენი კი ნამდვილად მიკვირს, რა ვერ გაიყავით მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც ამ გაძვალტყავებულ ქვეყანაში? რას დაერიეთ ერთმანეთს? იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს გაუფრთხილდეთ, ერთმანეთს გააძლებინოთ... თუმცა, იქნებ, მართლაც ეს იყოს უკანასკნელი გამოსავალი, ლაბირინთში ვართ, ბატონებო. უკეთესობის იმედი ნუ გექნებათ. პავლე ისევ სავლედ იქცა. მთელი ღამეა, დაბმული ჯორივით ვარტყამ წრეებს. სუნი მაინც არ გცემთ? ეს განწირულობის სუნია, ასეთი ამაზრზენი. აღსასრულის სუნია! ბოლოს და ბოლოს, მადლობა ღმერთს მოხდა მოსახდენი. ძვირფასო რადიომსმენელებო და ტელემაყურებლებო... თქვენც — ყველა ჯურის მოთვალთვალენო და ყოველ წამს მოყურადებულნო! მოხდა მოსახდენი... აღსრულდა. კაცობრიობამ, როგორც იქნა, დაასრულა თავისი მოკლე, მაგრამ ფრიად სამარცხვინო გზა კანიბალიზმიდან კანიბალიზმამდე! ხოლო, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს ამბავი განსაკუთრებულადაა მნიშვნელოვანიცა და საამაყოც, რამდენადაც, მაინცდამაინც, ჩვენი თანამემამულენი (ხელს მიუშვერს მერხზე მსხდომთ) მიიჭრნენ პირველები საფინიშო ხაზთან. ასე რომ, მართალია კაცობრიობის არსებობის უკანასკნელ წამს, მართალია კაციჭამიობით, მაგრამ მაინც შევძელით ჩვენი სანუკვარი ოცნების ახდენა, მაინც მოვიპოვეთ საერთაშორისო სახელი და აღიარება...

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: (ჯერ კიდევ უჭირს ლაპარაკი) ძალიან გთხოვთ, ნუ ჩაერევით ჩვენს საქმეში.

მ თ ვ რ ა ლ ი. როგორ გეკადრებათ! რა ჩემი საქმეა... უბრალოდ, მე ვიფიქრე... აბა, გვერდს ხომ ვერ აგივლიდით უბრად, რა ვიცოდი, რა გიჭირდათ... ყველაზე მეტი გამშველებელს მოხვდაო. ტყუილად კი არ არის ნათქვამი.

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: დიდი მადლობა. ტყუილად შეწუხდით. ჩვენ არც გასაყოფი გვაქვს რამე, არც კაცის ხორცს გეახლებით... ჩვენთვის ვთამაშობთ.

მ თ ვ რ ა ლ ი: (გულწრფელად გაკვირვებული) თამაშობთ?! (მბჟუტავი ლამპიონისკენ აღაპყრობს ხელებს) ღმერთო დიდებულო, მთლად ნუ შემშლი, ნუ გამაგიჟებ... რა დამალეთ ამისთანა, არაფრით რომ აღარ გამომჩნდა! ამიშვი... გამიშვი! გამიშვი, ქვეყნად ვიარო... გევედრები! (ბაბილებს) კი მაგრამ, რა დროს თამაშია? რა გეთამაშებათ?

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: (ბაბილა პირველს, ნაძალადევი სიცილით) მგონი, მართლა შემოგეჭამე ამ თამაშ-თამაშში სისხლი მომდის (მთვრალს) შეგვეცოდა, მეგობარო, და ცოტა გავიქეც-გამოვიქეცით გასათბობად.

მ თ ვ რ ა ლ ი: თუკი გცივათ, თქვე დალოცვილებო, შინ რატომ არ მიდიხართ?

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: (აღელვებული) ში-ინ? თქვენ იცით, რას ნიშნავს „შინ"? მე მაგალითად, აღარ ვიცი. არც ამან (ხელს მიუშვერს ბაბილა მეორეს).

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: არც მე.

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: ჩვენ აღარც გვახსოვს, როდის წამოვედით შინიდან...

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: და, რასაკვირველია, აღარც ის გვჯერა, როდისმე თუ დავბრუნდებით შინ...

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: ამიტომ ძალიან გთხოვთ, ნუ იხმართ ისეთ სიტყვას, რომლის მნიშვნელობა წესიერად არ გესმით თავად...

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: სხვას კი ტყუილუბრალოდ უფორიაქებთ ისედაც აწეწილ სულს...

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: ბევრად აჯობებს, თუკი ერთმნიშვნელოვან სიტყვებს დავჯერდებით, ყველასათვის ერთნაირად გასაგებს, როგორიცაა, ვთქვათ, ციხე, ლაზარეთი, კლინიკა... ოღონდ, ნუ დაგვცინებთ. შინ წადით.

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: სნეულის დაცინვა დიდი ცოდვაა, მიუტევებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბილა პირველი: გინდაც ჯეშვი დავეჩაგროთ.

ბაბილა მეორე: იმიტომაც ყარს ისე აქაურობა...

ბაბილა პირველი: იმიტომაც მივქრით თავქვე, უფსკრულისკენ...

მთვრალი: მეც ეგ გითხარით მხოლოდ, ნუ კადრულობთ, რაც არ გეკადრებათ მეთქი. ნუ დავკამთ ერთმანეთს მეთქი... მე რა ვიცოდი, ვინ იყავით... გულთმისანი ხომ არა ვარ?!

ბაბილა პირველი: ახლა იცით? მიხვდით? ამ ქვეყნად ყველაფერი პირობითია, დროებითია, ცვალებადია. ხვალ, შეიძლება, მე ვიყო ექიმი...

ბაბილა მეორე: თქვენ კი ავადმყოფი.

ბაბილა პირველი: სინამდვილეში, მე და თქვენ ერთი განუყოფელი მთლიანობა ვართ.

ბაბილა მეორე: სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით დღეს... უფრო სწორედ, ამას ვთამაშობთ.

ბაბილა პირველი: თქვენ მხოლოდ დროის ამ გარკვეულ ეტაპზე ხართ ექიმი...

ბაბილა მეორე: მე კი — გიჟი.

ბაბილა პირველი: უბრალოდ, ამჯერად, თქვენ დამასწრებით თეთრი ხალათის ჩაცმა...

ბაბილა მეორე: და ამიტომაც გახდით ექიმი. ექიმი ის არის, ვისაც ექიმის ხალათი აცვია.

ბაბილა პირველი: მე კი, ჩემივე სიზარმაცისა და დაუდევრობის გამო, სნეულის ხალათი და ფლოსტები მერგო.

ბაბილა მეორე: იმიტომ რომ ჩვენს შორის ერთ-ერთი აუცილებლად ექიმი უნდა იყოს, მეორე კი — სნეული.

ბაბილა პირველი: ორივენი ერთდროულად ვერც ექიმები ვიქნებით, ვერც სნეულები.

ბაბილა მეორე: ჰამლეტისა და ხელმწიფისა არ იყოს, ყველაფერი აირ-დაირევა.

ბაბილა პირველი: საბედისწერო აღრევა მოხდება ყველაფრისა, არა მარტო ხალათების, ყველაფრის მრწამსთა, მიზანთა, მისწრაფებათა, შეხედულებათა, ოცნებათა, ხასიათთა, სახელთა, ენათა, სქესთა, ხალხთა... ყველაფრის!

ბაბილა მეორე: ეს კი ნამდვილად საშიშია, არა მარტო თქვენთვის, ანდა ჩემთვის — საერთოდ სამყაროსთვის.

მთვრალი: კი მაგრამ, რატომ გგონივართ ექიმი? რადგან მთვრალი ვარ?

ბაბილა პირველი: სნეულისთვის მთელი დანარჩენი სამყარო ექიმია! მაგრამ ამაზე სხვა დროს, უფრო დალაგებულად.

ბაბილა მეორე: ახლა თავიდან ველარ დავიწყებთ. ძალიან დავიღალეთ.

ბაბილა პირველი: სხვა დროს, სხვა დროს, თუკი ღმერთმა ისევ ინება ჩვენი შეხვედრა.

მთვრალი: ბატონნი ბრძანდებით, ასე იყოს. ყოველთვის სიამოვნებით ვისაუბრებ თქვენთან.

ბაბილა პირველი: ხა, ხა... სიამოვნებით ისაუბრებთ! საუბარი არ გამოგვივა.

მთვრალი: (დაბნეული, გაკვირვებული, ცოტა ალბათ შეურაცხყოფილიც) ვითომ, რატომ?

ბაბილა პირველი: დაკითხვა ან გამოკითხვა კიდევ მესმის, საუბრისა კი რა მოგახსენოთ.

მთვრალი: (შემცბარი, შეურაცხყოფილი) ბატონო ჩემო...

ბაბილა პირველი: ხა, ხა... როგორ არა! რასაკვირველია! გიჟობისა არ ვიცი, ბრიყვები კი ნამდვილად არ ვართ. თქვენ ჩვენი „საუბარი" საანალიზო განავალივით გჭირდებათ — გასაჩხრეკად, გასაქექად... რაღაც-რაღაცების დასადგენად, დასაზუსტებლად. თუნდაც — ჩვენი სიგიჟისა. სხვათაშორის, მე სრულებითაც არ მეთაკილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიყობა. — ჯერ კიდევ საკითხავია. ჩვენს დროში, ნაკლია თუ ღირსება. მაგრამ, რა გაეწყობა, ძალა თქვენს ხელშია (წამოდგება და ხელს მხარზე დაადებს ბაბილა მეორეს) წავიდეთ, მეგობარო, დიდი მადლობელი ვარ შენი თანაგრძნობისთვის, თანადგომისთვის. რომ იცოდე, დღესაც ერთი ნაბიჯიღა გვაკლდა მწვერვალამდე, მაგრამ ჭეშმარიტების წყეული ლოდი ისევ დაგვიგორდა.

მთვრალი: (დაბნეული, შეწუხებული) თქვენ რატომ მიდიხართ, მე წავალ... ნეტავი, საერთოდ არ შემოვსულიყავი ამ წყეულ ბაღში, ასე რომ მცოდნოდა, მეც იქ დავიძინებდი, დუქანში, მაგიდაზე...

ბაბილა პირველი: (ბაბილა მეორეს, აღგზნებული) წავედით, წავედით, საქმარისია. შინ, შინ... საკანში, პალატაში, სენაკში... ჩვენც ადამიანები ვართ, ბოლოს და ბოლოს, და სრულებითაც არ ვართ ვალდებულნი, ამ შუაღამისას, ყველა ამვლელ-ჩამვლელს...

მთვრალი: (ყვირის) მეც მათქმევინეთ ერთი სიტყვა! (ჩვეულებრივად) ნუ სარგებლობთ ბოროტად ჩემი სიმთვრალით. მთვრალი კაცი, კარგი კაციო — ნათქვამია. ხოდა, რაკი ნათქვამია, მეც იძულებული ვარ ანგარიში გავუწიო, თორემ თქვენზე ნაკლები გიჟის რა ვთქვი მე, რომ მომდექით და მაგინებთ ეს ღვთისნიერი ხალხი. გამაგებინეთ მაინც, რა დავაშავე. თუ საჭიროა, ბოდიშსაც მოვიხდი. თქვენ არ იფიქროთ... ღმერთი, რჯული, არაფერი გამეგება ექიმობისა, იურიდიულზე ვსწავლობდი...

ბაბილა პირველი: (ჯდება) მაშინ, ჯერ თქვენ გაგვაგებინეთ, რატომ თავად არ წახვალთ შინ? რას გვიტრიალებთ გარშემო? რას გვითვალთვალებთ შორიდან? მეთვალყურე და ზედამხედველი გვაკლია ვითომ ჩვენ?!

მთვრალი: (ნირწამხდარი) რას ბრძანებთ, ბატონო... როგორ იფიქრეთ ასეთი რამ... (სინანულით) თუმცა, არც ესაა გასაკვირი, არა... ზე, რა უდევს გუნებაში, და მაინც ძალიან მატკინეთ გული. მართლა ვერ გავსულვარ ამ ბაღიდან, თუმცა, გულწრფელად რომ გითხრათ, არც მინდა. ამაზე უკეთესი ადგილი არსად მეგულება. ლოთი კი ვარ, მაგრამ ხანდახან ლექსებსაც ვწერ. ვპოეტობ. ჩემი ჭკუით, ვგიჟპოეტობ. თქვენი გულის მოსაგებად არ ვამბობ, მართლა მჭირს ეს ავადმყოფობა. ასე დავდივარ და ვიგონებ ათას სისულელეს, მაგრამ მაინც უფრო ლოთი ვარ, ვიდრე პოეტი. პოეტებისგან განსხვავებით, ჯერ ვსვამ და მერე ვწერ. პოეტები კი პირიქით იქცევიან. ეს არის არსებითი განსხვავება. თუ გინდათ, წაგიკითხავთ რამეს. თუმცა, მაინც წაგიკითხავთ, გინდაც არ მომისმინოთ. მე უმალ პოეტი ვარ, ვიდრე, ვიდრე... არ უნდა გეკადრებინათ ჩემთვის... ძალიან მატკინეთ გული. მეტი რომ არ შეიძლება. მაგრამ მაინც გეტყვით ლექსს, იქნებ, მალამოდ მოგეცხოთ გულზე. პოეტურად ვამბობ. რასაკვირველია, პოეტობა მალამოს წასმაა, ჭრილობის მობანაა. მაშ ასე:
ღვთიშობელო, გადმომხედე მადლით...
ჩვენი ქვეყანა ხომ ღვთიშობლის წილხვედრია. ის გვიცავს და გვიფარავს განსაცდელისგან. ასეა დადგენილი, ასე სწამს ხალხს. უფრო სწორედ, ასე სწამდა. ღვთიშობელო, გადმომხედე მადლით — დამეკარგა მშობლიური სახლი. იქნებ თქვენ იცოდეთ, შემთხვევით. სად არის ჩემი მშობლიური სახლი? რაც არ უნდა იყოს, მაინც უფროსები ხართ, მამის ტოლები, მართლა გეუბნებით, არ გეხუმრებით, არც თავს გაცოდებთ. გულახდილობა გულახდილობის წილ...

ბაბილა პირველი: (დამცხრალი, შემრიგებლურად) ისე არ უნდა დათვრეთ, სახლის გზა დაგავიწყდეთ. სირცხვილია, ახალგაზრდა კაცი ხართ, არ გეკადრებათ. რა იცით, რა ხდება ხვალ, იქნებ ხვალაც ვიყოთ, იქნებ არ ილუპება ქვეყანა...

ბაბილა მეორე: ერთი ჭკვიანი

კაცი ამბობს, აღალგაზრდები იმიტომ გვალიზიანებენ, ჩვენს ახალგაზრდობას რომ გვახსენებენო. ქვირტი თავისით არ ჩნდება საერში, ხეს გამოაქვს.

ბაბილა პირველი: შენ ჩემი საწინააღმდეგო გათქმევინონ რამე და, შემთხვევას როგორ გაუშვებ ხელიდან. მე მინდა რომ ჩვენი შვილები ჩვენზე უკეთესები იყვნენ, თუ გვიშველის ეს გვიშველის მხოლოდ... მე არაფრის არ მეშინია. რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ.

მთვრალი: თქვენ მე ვერ გამიგეთ. უბრალოდ... მეც რასაც ვამბობ, სიმთვრალით კი არ ვამბობ, სიმართლეს მოგახსენებთ. თუმცა, მეშინია, ეს თქვენი დამსახურება უფროა, ვიდრე ღვინის. ოვიხო კი არ გათამამებს, გაბრუებს, თქვენ კი... რაღნაირად მომეწონეთ თავიდანვე. აღსარების გუნებაზე დავდექი. ისეთი აღლობლები მეჩვენეთ. ბელურებივით ისხედით. მობუზულები. ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერისალი... ეს ჩემი არ არის, მაგრამ ჩემსას სჯობს. რა ლირს დღეს ორი ბელურა? არაფერი. მაგრამ, ღმერთი თუ არსებობს, ნურაფრის გეშინიათ. თქვენი თმაც დათვლილია. ძლივს შევიკავე წელან თავი და კიდევ კარგი. შევიკავე. მაინც ვერ გამიგებდით. იტყოდით. სიმთვრალისგან ტირისო. სახლი თითქოს მაქვს. მაგრამ, იმავე დროს. როგორ გითხრათ. თითქოს არცა მაქვს. თითქოს ვიღაცამ ამიკრძალა ჩემს სახლად ჩავთვალო. თუმცა. მხოლოდ იმ სახლის კედლებში მახსოვს მამაც. დედაც, ჩემი თავიც... მამაჩემი იმ სახლიდან წაიყვანეს. დედაჩემიც იმ სახლიდან გამოესვენე. და მაინც ჩემი არ არის საერთოდ არ არის თითქოს ამ ქვეყნად. თითქოს დამესიზმრა. მომელანდა და ხელი რომ გავიწვდინე — გაქრა. არის და არც არის. მეკუთვნის და არც მეკუთვნის. მახსოვს და არც მახსოვს. ეკლესია ხომ ღმერთის სახლია?

ბაბილა მეორე: (თანაგრძნობით) დიახ. ღმერთის სახლია.

მთვრალი: მერე? როგორ გგონიათ. ცხოვრობს ღმერთი ეკლესიაში?

ბაბილა მეორე: (შეწუხებული) ამდენი აღარ ვიცი... ალბათ — არა.

მთვრალი: მაშინ ისიც გეცოდინებათ, რატომ არ ცხოვრობს.

ბაბილა მეორე: აი, ეგ კი ნამდვილად არ ვიცი (მიუბრუნდება ბაბილა პირველს) მგონი, არც შენ იცი.

ბაბილა პირველი: მე რა შუაში ვარ? შენ გეკითხებიან და შენ უნდა უპასუხო. მე რა ვიცი და არ ვიცი, ჩემი საქმეა.

მთვრალი: (ბაბილა პირველს) თქვენ იცით, რატომ არ ცხოვრობს ღმერთი ეკლესიაში?

ბაბილა პირველი: არა.

ბაბილა მეორე: რატომ და... ჩვენ არ დავაცალეთ ცხოვრება.

მთვრალი: იმიტომ რომ... იმიტომ რომ, ვერ ეტევა. ღმერთი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ნებისმიერი ეკლესია. მეც ღმერთივითა ვარ — საკუთარ სახლში ვერ ვეტევი. ადგილს ვერ ვპოულობ. ვერ დავმჯდარვარ. ვერ დავწოლილვარ... ამას ჰქვია, ბატონებო, „შინ". მოჩვენებებითაა სავსე იქაურობა. ჩემთვის ადგილი აღარ რჩება. მე კი იმათ შევიწროვებას, ისევ ამ აქოთებულ ლაბირინთში ხეტიალი მირჩევნია. ხან დედა საქმიანობს თითქოს რაღაცას. ხან მამა გამომხედავს. დაბნეულად მომღიმარი. რაღაცაზე მობოდიშე... იმათ მხოლოდ იქა აქვთ ადგილი. მხოლოდ იქ არიან... იქ იქნებიან სულ. სულ. სამარადისოდ. სანამ ის სახლი არ დაინგრევა. სანამ, ერთხელ და სამუდამოდ. არ აღიგვება პირისაგან მიწისა. თუ შეიძლება. მეც ჩამოვჯდები ცოტა ხანს. დავიღალე (ჯდება ბაბილა მეორის გვერდით). ღვთიშობელო გადმომხედე მადლით. მაპოვნინე მშობლიური სახლი. ტყუილად არ მოგწონთ. თუმცა, რაც მართალია, მართალია, უღრესად ავტობიოგრაფიული ლექსი გახლავთ. ლექსი კი არა. სულის ფრაგმენტი. ნაწილაკი სულისა. ღვთიშშობელო გადმომხედე მადლით... მელოდია აშკარად გრანელისაა. მაგრამ რას ვიზამთ, ასე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი სენსება მიღებულია საერთოდ პოეზიაში, მე პირადად, არ მეთაკილება. პირიქით. შემოდგომის საღამოა მშვიდი — ეს გრანელია. ღვთიშობელო, გადმომხედე მაღლით — ეს კი მე გახლავართ. შენს წინაშე მუხლმოყრილი ვდგავარ, სხვის შემყურეს, სხვის ნებაზე მავალს და უაზრო ხეტიალით დაღლილს, მაპოვნინე მშობლიური სახლი. (სიცილით) პოეზიის საღამოს გახსნილად ვაცხადებთ!

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: (აღელვებული) არ ვიცი, ვინ ბრძანდებით თქვენ, მაგრამ ნება მომეცით, ბოდიში მოგიხადოთ წელანდელი თავშეუკავებლობისთვის. უფრო გულახდილად რომ ვთქვათ, უნდობლობისთვის. იმედი მაქვს, გამიგებთ და მომიტევებთ. ეს ხომ ჩვენი საერთო სენია. ამავე დროს, მადლობა მინდა გადაგიხადოთ... დიახაც რომ მშვენიერი ლექსია. მართალი ბრძანეთ, გინდაც ღვინითა და ზეთით მოვებანოთ ჩვენთვის ჭრილობები. ასე რომ, ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, რა საქმეც არ უნდა გქონდეთ ამ ბაღში, შეგიძლიათ თამამად და თავისუფლად იგრძნოთ ჩვენთან თავი, როგორც თქვენს უახლოეს მეგობრებთან, გინდაც ნათესავებთან... რასაკვირველია, თუკი ეს რამეს ნიშნავს თქვენთვის. დამერწმუნეთ, გულწრფელად გეუბნებით (მიუბრუნდება ბაბილა მეორეს) ხომ მართალია? ხომ მეთანხმები?

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (ისიც არა ნაკლებ აღელვებული, აფორიაქებული) რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... (მთვრალს) მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა. თქვენ მარტო არა ხართ. ბევრი შეცდომაა ჩადენილი, რას ვიზამთ, ეს ყოფილა ჩვენი ბედი, უნდა გამაგრდეთ. ქართველის ნათქვამია, ბოლოს და ბოლოს, ჭირსა შიგან გამაგრება გვმართებსო. არადა, ჭირმაც მარტო ჩვენთვის მოიცალა თითქოს... იმიტომ რომ, ჯერჯერობით, ჩვენ კი არ ვმაგრდებით, ჭირს ვამაგრებთ — ყველანაირად ვუწყობთ ხელს, უფრო მტკიცედ რომ მოიკიდოს ჩვენს შორის ფეხი.

მ თ ვ რ ა ლ ი: მაპატიეთ, გუნება თუ გაგიფუჭეთ ჩემი უაზრო ლაპარაკით. თქვენთან მართლა თავისუფლად ვგრძნობ თავს. ხმამაღლა, მგონი, საერთოდ არ წამიკითხავს ლექსი. რა თქმა უნდა ,საკუთარი. თითქოს ადრეც გიცნობდით, ყოველთვის... უფრო სწორედ, თითქოს თქვენ მიცნობდით თავიდანვე, დაბადებიდანვე და ჩემზე უკეთესად იცით ყველა ჩემი ნაკლი, ყველა ჩემი სისუსტე. არ ვიცი, თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგრამ ჩემი აზრით, ესეც ერთგვარი ბედნიერებაა. ყოველშემთხვევაში, ნამდვილად სასიამოვნოა, როცა არც არაფერი გავალდებულებს და არც არაფერი გაიძულებს შენი ნაკლისა თუ სისუსტის დამალვას. მე ერთდროს მართლა წესიერი კაცი ვიყავი. სათნო დედა მყავდა, ღვთისნიერი. უნდა ვიფიქროთ, მამაც კარგი იყო, რახან წამართვეს. პოეზიის სიყვარული ალბათ დედისგან მომდევს. თვითონ არ წერდა, მაგრამ ბუნებით იყო პოეტი. ყველა ეცოდებოდა — ადამიანი, ცხოველი, მცენარე... სულ ვიღაცას ტიროდა — ნაცნობს, უცნობს.. სულ ცრემლი ედგა თვალში, მამის გულისთვის იურისპრუდენციის შესწავლა გადავწყვიტე. მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ლოთი გამოვედი. (დამცინავად) წიგნიერი, ზრდილი, მაგრამ მაინც ლოთი და სხვა არაფერი. სანამ დედა მყავდა, ერთი და იგივე პერანგი ორი დღე არ მცმია ზედიზედ. ახლა კი მარტო ვარ, როგორც ლოთს შეეფერება. ღვთის ანაბარა ვარ დარჩენილი. უფრო სწორედ, ჩემნაირების ანაბარა. ჩემნაირი კი ბევრია. სწრაფად ვმრავლდებით. საამისოდ დიახაც რომ საუკეთესო პირობებია შექმნილი. ჩვენ ბევრნი ვართ — შერისხულთა, დაჭერილთა, დახვრეტილთა და, ბოდიში მომითხოვია, დაყვერილთა შთამომავლები. პაპაჩემი ავადმყოფი ცხენივით ჩააყენეს ორმოში და შაშხანის ტყვიით გაუხვრიტეს შუბლი. მამა არ ვიცი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ მომიკლეს. დილის ოთხ საათზე რომ გაიყვანეს შინიდან. მერე აღარ გვინახავს. ხვდებით ალბათ. როდინდელ ამბებს გიყვებით. პატარა ბიჭი ვიყავი. მაგრამ ცხადად მახსოვს ყველაფერი. ცხადზე უფრო ცხადად. რაც მახსოვს. მტკივნეულად ვგრძნობ კიდეც. მამაჩემი გამწარებული ეძებდა პერანგის მაჯის შესაკვრელს — აქ დავდე წუხელ ჩემი ხელითო — შესჩიოდა მის წასაყვანად მოსულებს. ჩვენგან. ქუჩაში გაზრდილებისგან. არავინ იმსახურებს მადლობას. მე ვიცი, რასაც იმსახურებენ, მაგრამ რად გინდა... კაცი არ არის. სიტყვა ვანდო. ფიქრი ჩემი გავუზიარო. ან ქურდობს. ან საქმოსნობს. ან ჩემსავით ლოთია. ან კიდევ უარესი — მთლად რინდებშია გადავარდნილი. გათიშულია. ხვდებით ალბათ, რასაც ვგულისხმობ. თქვენი კი მართლა დიდი მადლობელი ვარ, ადამიანად რომ ჩამაგდეთ. მერსი მუსიე, დანკე მაინე ჰერ. გრასია სინიორე. თენქიუ ვერიმაჩ. ოგრომნოე ვამ სპოსიბო... დედაჩემს უნდოდა რომელიმე უცხო ენა მესწავლა. მაგრამ ვერაფერი ვისწავლე საერთოდ. რამე რომ მესწავლა საფუძვლიანად. თუნდაც ლურსმნის მიჭედება. არც ახლა ვიყბედებდი ამდენს. სხვათაშორის, ლაყბობისთვის ხუთი წელია. მაგრამ რა უნდა მესწავლა? ვისგან უნდა მესწავლა? ჩემი დიპლომი ახლაც უნივერსიტეტის არქივში დევს. მელოდება. მელოდოს რამდენიც უნდა. მე უდიპლომო სასიძო ვარ. დიპლომისთვის კი არ ვისწავლე. იურისტი მინდოდა გამოვსულიყავი, მამა რომ დამეცვა. გამემართლებინა მაინც... ყაჩაღობა კი ნამდვილად არ შემიძლია. ფულს ვერ წავართმევ ვერავის. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ. დედაჩემის სული არ მომცემს ნებას. დედაჩემივით, მეც ყველა მეცოდება: სულიერიც და უსულოც. გლახაკიც და ავაზაკიც. აბანოს მოლარეც და ტრესტის მმართველიც. რომ წარმოვიდგენ ხოლმე, რა დღეშია. როგორ შფოთავს და ნერვიულობს. როგორ უჭირს. ერთის მხრივ. სავის [illegible] ხელის ჩაყოფა. მეორეს მხრივ [illegible] ვე სამუდამოდ გაზულუქებული. სულწაწყმედილი. ზნეშეცვლილი ცოლშვილის გაწბილება. გული შემეკუმშება ხოლმე. ცრემლმა ლამის დამახრჩოს. არ გეწყინოთ და. თქვენც მეცოდებით. ძალიან მეცოდებით. არკი ვიცი. რატომ. რა გჭირთ ჩემი შესაცოდი. ბეღურებივით კი სხედხართ. მაგრამ მართლა სჯობიხართ ყველა ბეღურას. მოკლედ. ლოთის მეტი არაფერი გამოვიდა ჩემგან. ეს უნდოდა სახელმწიფოსაც. შენც სუ, მეც სუ! ჩემგან რა გესწავლებათ! ბაღიდან ვერ გავსულვარ. თორემ, ამდენი ნამდვილად გამეგება. თუმცა. ბევრი რამე მაინც არ მესმის. არ მესმის, მაგალითად, რატომ ისმის ტელეფონის ყურმილში ზუსტად იმის ხმა, ვისი ხმის გაგონებაც იმ წუთას გინდა. ანდა, რატომ ისმის რადიოში სულ იმის ხმა, ვისი ხმის გაგონებაც აღარ შეგვიძლია. რამდენი ხანია არ ვყოფილვარ ასე კარგად! ვლაპარაკობ. ვლაპარაკობ, თვალები კი თავისთავად მეხუჭება. ბავშვობიდანვე ვიცი ასე ზეზეურად ჩამოძინება. მძინავს და დავდივარ, ვლაპარაკობ, სხვების ლაპარაკიც მესმის. დედა მატყობდა მარტო — წამიყვანდა და ძალით ჩამაწვენდა ლოგინში. არ უნდოდა, სხვებსაც სცოდნოდათ, მთვარეული რომ იყო მისი შვილი (ბაბილა მეორეს) შეიძლება მხარზე ჩამოგადებთ თავს? ერთი წუთით მხოლოდ. გადამივლის და ავდგები (პალტოს საყელოს მაღლა იწევს და მხარზე თავს ადებს ბაბილა მეორეს).

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: კი ბატონო, ოღონდ, არ დაგეძინოთ მართლა. გაცივდებით. ძალიან ცივა.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: (აღელვებული) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ახლა თქვენი დაძინება. ნამთვრალევი ხარ.

მ თ ვ რ ა ლ ი: (თვალდახუჭული) ახლავე წამოვდგები (პალტოს საყელოს უფრო მაღლა იწევს, უკეთესად ეწყობა) ახლავე წამოვდგები. ღვთიშობე-

ლო... კადმომხედე... მუხლმოყრილი... ედგავარ...

ბაბილა მეორე: (ჩურჩულით) შვილო, მართლა დაიძინა.

ბაბილა პირველი: (ისიც ჩურჩულით) ეძინოს ცოტა ხანს. არა უშავს. ჩემს პალტოს დავაფარებ და აღარ შეცივდება (დგება, პალტოს იხდის და მშობლიური მზრუნველობით აფარებს მთვრალს).

ბაბილა მეორე: (დაძაბული ზის, ფრთხილობს, არ გააღვიძოს მთვრალი) შენ? შენ არ შეგცივდება?

ბაბილა პირველი: მე არ შემცივდება. მიჩვეული ვარ. თანაც მღვიძავს. მაგას კი ძინავს და, რაც მთავარია, მთვრალია (ჯდება თავის ადგილზე) აი, ჭეშმარიტი სახე ჩვენი საბრალო ახალგაზრდობისა — ლოთობს, რადგან არ უნდა რომ ლოთი იყოს. უზნეობით ებრძვის უზნეობას. ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არა უწყიან... პირიქით, რამეთუ მშვენივრად უწყიან, რა სჭირთ და ისიც კარგად იციან, ვისგან და რისგან სჭირთ, რაც სჭირთ.

ბაბილა მეორე: ასე თუა, სჯობს არ იცოდნენ.

ბაბილა პირველი: რატომ? ცოდნას არცოდნა სჯობს?

ბაბილა მეორე: ამათთვის — კი! თუკი, ჩვენი არ იყოს, ესენიც ცოდნას ეკვლევინებიან. აბა, სიმართლე რომ არ იცოდნენ და თავს მართლა ბედნიერი ქვეყნის ბედნიერ შვილებად თვლიდნენ, ასე კი არ დასნეულდებოდნენ, ასე კი არ დაბერდებოდნენ ნაადრევად, უსიხარულოდ, უიმედოდ — იქნებოდნენ არხეინად — ჯანმრთელები, ლაღები, ღორმუცელები... გოჭებივით დაყრიდნენ თავიანთ მსგავსებს და იცხოვრებდნენ უდარდელად, უტკივილოდ — ალლუმიდან ალლუმამდე — დოლების ბრაგუნით, საყვირების ჭყივილით, დროშების ფრიალით...

ბაბილა პირველი: შენ ასე გგონია? მე კი, რატომღაც, სხვანაირად ვფიქრობ. იმიტომ კი არა, შენი საწინააღმდეგო რომ უნდა ვთქვა აუცილებლოდ. იმიტომ რომ [illegible] რობ. ჩემი აზრით, [illegible] სწორედ და ასე იმიტომ ცხოვრობენ. ჯერ კიდევ რომ არ იციან ბოლომდე სიმართლე. ნახევარმა სიმართლემ დააფრთხოთ. უფრო ზუსტად, სიმართლის იმ პატარა ნაწილმა, რომლის გაგებაც ჯერჯერობით შეუძლიათ. ტანით გრძნობენ, გონებით კი ვერ მიწვდომიან და სწორედ საკუთარი მოუმზადებლობა, საკუთარი სისუსტისა და სიპატარავის შეგრძნება აიძულებთ, დაუნდობლები იყვნენ პირველ რიგში საკუთარი სიცოცხლის მიმართ. თავქუდმოგლეჯილნი გაურბიან სინამდვილეს, მაგრამ გასაქცევი არსად აქვთ არსად. წარსულმა შთანთქა მომავალი. ამიტომაც, მომავლისა არ სჯერათ, წარსულის კი ეშინიათ. ეშინიათ მკვდარი მამის წარმოდგენაც, მკვდარ დედასთან გამოლაპარაკებაც. ეს კი იმიტომ ხდება, უფრო ადრე რომ გადმოყარეს ისინი ბუდეებიდან, ვიდრე ფრთები შეებუმბულებოდათ. გაფრენაზე კი არ ოცნებობენ, ის ადარდებთ, თავი სად შეყონ — ერთი დღით, ერთი საათით, თუნდაც ერთი წუთით რომ დაემალონ სინამდვილეს. სირაქლემები არიან და არა, ვთქვათ, ბეღურები, ჩვენსავით. მშობელი კი უყვართ, მაგრამ უცხოდ გრძნობენ იმასთან თავს. ყველაზე მეტად სწორედ იმასთან ეუფლებათ სიუცხოვის გრძნობა. მშობელმა დაზოგათ და თავისდროზე არ უთხრათ სიმართლე. ანდა, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, ვერ მოასწრო, გნებავთ, ვერ მოახერხა სიმართლის თქმა. ამათ კი ასაკმა შეუშალათ ხელი. თავის დროზე რომ გარკვეულიყვნენ ყველაფერში. ძალიან პატარები იყვენ მაშინ, არც აქეთ, არც იქით... და გაიხლიჩა, გაიპო ჯაჭვის ის რგოლი, რომელიც აერთებდა, აერთიანებდა მშობელსა და შვილს, როგორც სიხარულში, ისე ჭირსა შიგან... მაგრამ, ვიდრე ყმაწვილი კაცი სინამდვილეს უძალიანდება, თუნდაც საკუთარი ჯანმრთელობის საზიანოდ, ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა. აი, როცა სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილეს შეეგუება, მიიღებს, შეითვისებს — მაშინ კი... მაშინ კი დროა, სოლომონ რომა ფეხი გაჭიმოს საქართველომა...

ბაბილა მეორე: ღმერთო, რა საცოდავია ადამიანი (პაუზის შემდეგ) რა ტკბილად ძინავს. ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად. ხვრინავს კიდეც. გესმის?

ბაბილა პირველი: იხვრინოს, იხვრინოს. ყველაფერს ნუ აქცევ ყურადღებას. ადამიანი საერთოდ ხვრინავს ხოლმე ძილში. მით უფრო — მთვრალი.

ბაბილა მეორე. მართალი ბრძანდებით. ადამიანი ხვრინავს...

ბაბილა პირველი: (სიცილით) ირემი ყვირის. ირემო მთასა მყვირალოო— ხომ გაგიგია?!

ბაბილა მეორე: (ნიშნის მოგებით) მგელი ყმუის!

ბაბილა პირველი: სირაქლემა დარბის, ბელურა დაფრინავს...

ბაბილა მეორე: ადამიანი კი ხვრინავს.

*შემოდიან ქალი და კაცი. ქალს ხელში თაიგული უჭირავს, კაცს ფოტოაპარატი ჰკიდია მკერდზე.*

ქალი: ვერ უყურებთ, როგორ არხეინად დასკუპებულან ჩემს სკამზე! აბა, ახლავე აბრძანდით, თუ შეიძლება! სხვა ადგილი მოძებნეთ. ეს ჩემი სკამია.

ბაბილა მეორე: სსსსუ! ხომ ხედავთ, ძინავს! ეს წუთია ჩაეძინა.

ქალი: (ნირწამხდარი) ძინავს? რატომ ძინავს? (აკვირდება მთვრალს).

ბაბილა პირველი: აბა, თქვენი აზრით, მკვდარია?!

ქალი: (გაღიზიანებული) ვითომ, რატომ არ შეიძლება მკვდარი იყოს! სხვა არავინ მომკვდარა ჯერ?!

ბაბილა პირველი: რატომ გვებრაზდებით, ქალიშვილო... ჰმ, ჰმ... ქალბატონო. ღვთის წყალობით, ჯერ არავის დაუნომრავს ბაღში სკამები. მაინცდამაინც, აქ თუ გინდოდათ დაჯდომა, ადრე უნდა მოსულიყავით. უნდა დაგესწროთ ჩვენთვის. ასეთია [illegible]რების წესი. ჩვენ რა ვიცოდით, გული ხომ არ გვიგრძნობდა, შუაღამისას რომ დაგვადგებოდით თავზე.

ბაბილა მეორე: (ღიმილით) მონდომებული კაცი უფრო ბნელ ადგილებსაც მონახავს ამ ბაღში.

ქალი: (გაწიწმატებული) თქვენ ხომ არ გგონიათ, საკოცნაოდ შემოვედით აქ! ეს ჩემი მეუღლე გახლავთ (კაცი, მისალმების ნიშნად, ქუდს მოიხდის და მაშინვე დაიხურავს) უცხოელი მეცნიერია!

ბაბილა მეორე: (დამფრთხალი) უცხოელი?

ბაბილა პირველი: (მკაცრად) სასიამოვნოა.

ქალი: მეუღლისთვის მინდოდა მეჩვენებინა... უფრო სწორედ, ერთხელ კიდევ მინდოდა დავმჯდარიყავი ამ სკამზე, ვიდრე სამუდამოდ მოვშორდები აქაურობას... სამუდამოდ მოგშორდებით თქვენ. მერე, თუ გინდათ, სულ აქ ისხედით. თქვენთვის დამილოცნია (აკვირდება მთვრალს) ძალიან მეცნობა თქვენი მეგობარი. რატომ ძინავს? მთვრალია? აი, ისევ წამომახურა სახეზე. რამე თუ მეწყინა, ასე მემართება — ცხელი ქარი შემაფრინდება მაშინვე. ახლა ხომ ცივა? თქვენ ხომ გცივათ? მე კი ვიწვი. სული მეხუთება. ყარს აქაურობა.

ბაბილა პირველი: (წამოდგება) დიახ, მართალი ბრძანდებით, ყარს აქაურობა. საწყენი კი ნამდვილად არაფერია. მობრძანდით, დაბრძანდით. ყველა დავეტევით. ჩვენ წავიდოდით, მაგრამ... ხომ ხედავთ, ძინავს.

ქალი: არა, არა... თქვენ რას მიშლით. გავნერვიულდი უბრალოდ (ძალით სვამს მერხზე ბაბილა პირველს) ან თქვენ რა შუაში ხართ, ან თქვენი მეგობარი. (აკვირდება მთვრალს) ნამდვილად სადღაც მინახავს, ვერკი გამიხსენებია, აფორიაქებული ვარ საერთოდ. ბედნიერებისგან ვარ აფორიაქებული. მოულოდნელი ბედნიერებისგან. თქვენ თუ იცით, მართლა რა დიდი ბედნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაა, ხვალ რომ ველარ გნახავთ. ხვალ კი არა, დღეს... დღესვე. თქვენს ხმას რომ ველარ გავიგებ... ამ სუნს რომ ველარ ვიგრძნობ... არ იცით, არ იცით, თქვენთვის გაუგებარია. ძალიან ბევრი ხართ საიმისოდ, ეს რომ გაიგოთ. ვერც მამაჩემს გავაგებინე, ისიც თქვენსავითაა. კეტით ვერ გააგდებთ აქედან. იცით რატომ? იმიტომ რომ, აქ, ამ მშობლიურ მიწაში აქვს ჩამარხული ფული. ის ფული კი სხვაგან არსად გადის...

ბაბილა პირველი: ქალბატონო...

ქალი: არა, ნუ გამაჩუმებთ. მალაპარაკეთ... უკანასკნელად. თუნდაც, პირველად, როგორც გნებავთ. პირველად და უკანასკნელად ხვალიდან... არა, უკვე დღეიდან, თქვენც გექნებათ ბედნიერება — აღარ მიყუროთ, აღარ მისმინოთ... დღეს კი, ნება მომეცით, ყველაფერი ვთქვა, რაც აქამდე ვერ გითხარით, ჩემი სიმხდალისა თუ თქვენი სიყრუის გამო. მაშ ასე, ხვალ... ხვალ კი არა, დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ... ღმერთო, დღეს უკვე ხვალ არის — ჩემი ბურდღაც აღარ იქნება აქ. ბოლო წამს მაინც, მაინც მომივლინა ღმერთმა მხსნელი. მაინც შეისმინა ჩემი ლოცვა-ვედრება თუ წყევლა-კრულვა — თავზე საბანწაფარებული რომ ვუთვლიდი ყოველ ღამე, გამთენიისამდე, გულის გახეთქამდე... დედაჩემს კი შეყვარებული ვეგონე, უძიროდ შეყვარებული, როგორც ყველა ქართველი ქათამი. ვერაფრით რომ ვერ გამომტეხა, თანამზრახველობა შემომთავაზა, როგორც ჩემზე გამოცდილმა, ცხოვრებაში უკვე გაწაფულმა, ყველა სისაძაგლის ჩემზე უკეთ მცოდნემ. შენ იმის ვინაობა მითხარი, დანარჩენი მე ვიცი, ბოლოს და ბოლოს, ვაყიდინებ მამაშენსო. საცოდავებო! ბნელებო! უგულოებო! განა შეიძლება, აქ ცხოვრებდე და გიყვარდეს! მარტო ამ სკამზე მწყდება გული... ამ სკამზე ერთი ჩემი ბავშვობის მეგობარი მოკვდა... ღმერთო დიდებულო! რა საკვირველია, თავიდ[illegible] მივხვდი, მე, სულელი. სწორედ იმას გავს თქვენი მეგობარი, დავინახე თუ არა, გული გადამიქანდა. თანაც, მაინცდამაინც, ამ სკამზე... მაგრამ ეს არ არის მთავარი...

ბაბილა პირველი: (შეწუხებული) ქალბატონო...

ქალი: (ჯიუტად) ეს არ არის მთავარი...

ბაბილა მეორე: ნამდვილად სამწუხაროა... რაღა ახლა დაეძინა ამასაც... მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა, თუ შეიძლება, ჩვენ კი ავდგებით, მაგრამ ამას რა მოვუხერხოთ. მართალია, მხოლოდ ძინავს, მაგრამ ესეც უფრო იქითაა, ვიდრე აქეთ...

ქალი: (ყვირის) ეს არ არის მეთქი მთავარი! მთავარია... მთავარია, ბრმად რომ არ დავრჩი ბოლომდე, ბრმად რომ არ დავრჩით ჩვენი მშობლებივით, თქვენსავით... მეც იმ დღეს ამეხილა თვალი, ამ სკამზე, აქედან დავინახე პირველად ჩემი საცოდაობა, ჩემი სიმახინჯე...

ბაბილა პირველი: დიახაც რომ განსაკუთრებული სკამი ყოფილა ეს სკამი თქვენთვის — საყდარივით, საფლავივით. მე მინდოდა მეთქვა, თქვენთვისაც განსაკუთრებული ყოფილა მეთქი. ჩვენ გვეგონა, მარტო ჩვენთვის იყო ასეთი. მართალია, აქ არცერთი ჩვენთაგანი არ მომკვდარა ჯერ, მაგრამ ყველაზე მძაფრად ამ სკამზე ვგრძნობთ სიკვდილის გარდუვალობას. არადა, ვინც სიკვდილს ივიწყებს, ის ხომ სიცოცხლესაც უაზროდ ფლანგავს. ასე რომ, მადლობა ღმერთს, თუნდაც სიკვდილი მაინც რომ გვაერთებს ძველებს და ახლებს, თუ გნებავთ, მშობლებს და შვილებს, დიდი ბოდიში, მაგრამ რა შეემთხვა თქვენს მეგობარს? რამ მოკლა ასე ახალგაზრდა? ბაღში რატომ მოკვდა მეთქი, მინდოდა მეკითხა, გულმა უმტყუნა ალბათ. დღეს ხომ ესეც ჩვეულებრივი ამბავია. სვამდა?

ქალი: ჩემი მეგობარი კი არ მოკვდა, მოკლეს. საერთოდ არ სვამდა. უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო სწორედ. იმდენს არ სვამდა, სასმელს რომ მოეკლა. პატარები ვიყავით ჯერ. არც ვიცოდით გული საით გვქონდა. არა. ცოტას ისიც სვამდა, როგორც ყველა ჩვენთაგანი. ერთმანეთის დღეობებზე. სისხლისგან დაიცალა უცებ. ტყვია ფეხში მოხვდა. მაგრამ მაინც მოკვდა. აქვე დაჭრეს. ზემოთ. ქუჩაში, კავშირგაბმულობის სახლთან (ხელს აიქნევს უმისამართოდ) აქამდე თავისით მოვიდა. მე ხელს ვაშველებდი მხოლოდ. გვეგონა, გამოვაღწიეთ, გადავრჩით... ერთი წამით ჩამოვჯექით ამ სკამზე, სულის მოსათქმელად, და აღარც წამომდგარა. რას ვიფიქრებდი, თუ მოკვდებოდა. თვითონაც არ ეგონა. სულ იმას წუხდა, შინ როგორ მივიდე ასე. სისხლში ამოსვრილიო. მშობლების ეშინოდა. ქუჩაში წივილ-კივილით გადადიოდა ხალხი ერთმანეთზე. იმას კი (ხელს მიუშვერს მთვრალს) ასე ჰქონდა თავი ჩემს მხარზე ჩამოდებული. თქვენ ხომ არ იცით, რა გადავიტანე იმ დღეს... რა გადავიტანეთ იმ დღეს ბავშვებმა... იმ დღეს დამთავრდა ჩემთვის ყველაფერი — მშობელიც, მასწავლებელიც, უფროსიც, სამშობლოც! ჩვენი დიდი სამშობლო. ვერავინ დაგვიცვა. ვერავინ მოგვეხმარა. სოროებში შეძვრნენ ყველანი. ტყუილია, ტყუიან. იმ დღეს არავინ გადარჩენილა. ვინც შინ დავბრუნდით, უკვე სხვები, სხვანაირები დავბრუნდით. მე, მაგალითად, სამი წელი ჩაბნელებულ ოთახში ვიჯექი, ცხვირი არ გამომიყვია გარეთ. სწორედ ის წლები, სახეტიალოდ, სასეირნოდ რომ არის განკუთვნილი თავად ბუნებისგან. ვერავის ვერ ვცნობდი, ყველასი მეშინოდა, ყველაფრისა. ფეხსადგილში წყალს რომ ჩამოუშვებდნენ, იმაზეც გული მისკდებოდა, დაფეთებული წამოვარდებოდი ხოლმე. დედაჩემს რომ მოეწამლე, მამას რომ გავეუპატიურებინე, არ გამიკვირდებოდა. თითქოს მინდოდა კიდეც, რაღაც მომხდარიყო ამის მსგავსი. მართლა ჩამოვჯდები ცოტა ხანს. დავიღალე ამდენი ლაპარაკით (ჯდება ბაბილა პირველის გვერდით) ახლა თუ [illegible] ნუ მომაქცევთ ყურადღებას [illegible]რთება ხოლმე. ჯერ ქადაგად დავეცემი, მერე კი სირცხვილისგან ვტირი. მოკლედ, მთლად დალაგებული არ უნდა ვიყო. მაგრამ გიჟიც არ ვარ ალბათ. იმედი უნდა ვიქონიოთ. ასეა (კაცს) რიჩარდ, მოდი, შენც ჩამოჯექი. ყველანი დავეტევით. რა შორიდან გვიყურებ. აი, ასეთები ვართ ქართველები (ბაბილებს) ეს ჩემი მეუღლეა. თუმცა უკვე გითხარით.

კ ა ც ი: (ისევ იხდის და იხურავს ქუდს) რიჩარდი.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: სასიამოვნოა. ბაბილა. ჩემს მეგობარსაც ბაბილა ჰქვია. მეორის სახელი ჯერ ჩვენც არ ვიცით. ვერ მოასწრო თქმა. უცებ ჩაეძინა.

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: დიდად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მიიღეთ, თუ შეიძლება, ჩვენი გულწრფელი...

კ ა ც ი: რა ბრძანეთ?

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: (შემცბარი) არაფერი, არაფერი... უკაცრავად.

კ ა ც ი: ბაბილა? ბაბილა! ბაბილა. მგონი, აღრევას უნდა ნიშნავდეს. მე ენათმეცნიერი გახლავართ. ძალიან მიყვარს სიტყვასთან კირკიტი.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: მართალი ბრძანდებით. ბაბილა ნამდვილად აღრევას ნიშნავს. იმიტომაც გვქვია ორივეს. აღრეულები ვართ ერთმანეთში. მეც ბაბილა, ეგეც ბაბილა. ხანდახან ისიც ვერ დაგვიდგენია, რომელი რომელი ვართ სინამდვილეში. ის ვარ მე, თუ მე ვარ ის. არა, მე ვარ მე, თუ მე ვარ ის. მოკლეთ თავსატეხივითაა. ქაჯი მოიტეხს კისერს.

კ ა ც ი: (აპარატს იმარჯვებს) ერთი წუთით. თუ შეიძლება, გადაგიღებთ. გმადლობთ.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: თქვენი აპარატი ბნელშიც იღებს? ჩვენთვის ყოფილა გამოშვებული სპეციალურად.

კ ა ც ი: ხა, ხა, ხა, ხა... იეს. ბნელშიც იღებს. მიგიხვდით. მაგრამ, დამერწმუნეთ, მზვერავი არა ვარ. მეცნიერი ვარ.

ქართველოლოგი. მიყვარს ქართული სიმღერა. ბარათაშვილი. ვაჟა-ფშაველა...

ქალი: (ახსენებს) სულხან-საბა ორბელიანი.

კაცი: იეს. სულხან-საბა ორბელიანი. „სიბრძნე სიცრუისა".

ბაბილა მეორე: ამ ჩვენს მეგობარსაც გაუხარდებოდა თქვენი გაცნობა. თქვენ ენაზეც დაგელაპარაკებოდათ ალბათ. სხვათაშორის. ყველა ევროპულ ენას ფლობს თავისუფლად მაგრამ. სამწუხაროდ. როგორც ხედავთ. ძინავს.

ქალი: სხვათაშორის. ჩვენ დღეს მოვაწერეთ ხელი. არა. უკვე გუშინ. ღმერთო ჩემო. უკვე ერთი დღის გათხოვილი ვარ. დღეს მივფრინავთ. იცით. რა უთხრა მამაჩემმა რიჩარდს? ხომ გახსოვს რიჩარდ?

კაცი: იეს!

ქალი: ფულის გამოჩენის რომ არ მეშინოდეს. საკუთარი თვითმფრინავით გაგაფრენდითო. უცხოელი ვერ გაიგებს ამას. მარტო ჩვენ შეგვიძლია ამის გაგება. ძვირფასი ქურქი გეკიდოს კარადაში და ვერ იცვამდე. მთელი სკივრი სამკაულები გქონდეს და ყალბი ოქროს საქორწილო ბეჭედი გეკეთოს თითზე... ყველაფერი მკვდარია ჩვენთან. ქურქიც. სამკაულიც... მგონი, მართლა ვიხრჩობი. თქვენ არ გცხელათ? ყველაზე უბედური კი მაინც ჩვენებური ქალია. ქართველი მანდილოსანი! ცოლად არ გვირთავენ. არ მოვწონვართ. თან კი — პატიოსნები იყავითო. მარტო იმ უბედურს მოვწონდი. მართლა როგორ გავს თქვენი მეგობარი! იმის მერე წესიერად აღარც შეუხედავს ჩემთვის ბიჭს. ის იყო და ის. მაგრამ იმასაც რომ დასცლოდა ცხოვრება. ახლა, ვინ იცის, აღარც ვეხსომებოდი. მაინც მიყვარს აქ მოსვლა. ამ სკამზე ჩამოჯდომა. ერთი წუთით ჩამოვჯდები. სულს მოვითქვამ და ისევ წამოვფრინდები, ჩიტივით. ეს არის ჩემი ავლადიდებაცა და თავგადასავალიც. კიდევ კარგი, ჩვენთანაც შემოუშვეს უცხოელები. თორემ. რა გვეშველებოდა? მართლ... დით რამდენი და... დღესაც! მაგრამ. უცხოელების წყალობით. ბევრი ეწია ბედსაც. თანაც. იმათ. უცხოელებს. სწორედ ის მოწონთ. რაც ჩვენს ბიჭებს ერცხვინებათ — დიდი თვალები. გრძელი ცხვირი. შავი თმა. დაგრეხილი ფეხები... მე კი არა. მართლა ყვავები დათხოვდნენ. მთელი ევროპა სავსეა ჩვენებური ყვავებით. დაყრანტალობენ თავიანთთვის ბედნიერად. რიჩარდ, ხომ მოგწონვარ, რიჩარდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი: იეს!

ქალი: (ისტერიულად) არაფერზე არ მწყდება გული, არაფერზე!..

კაცი: ერთი წუთით. თუ შეიძლება. ვილებ. მადლობთ.

ქალი: იცით. დედაჩემი რაზე დარდობს? „გუმსა" და „ცუმს" რომ ვერ გასცდა თვითონ ვერაფრით... ერთი ასჯერ უკვე მითხრა, მაჯობეო, თითქოს როდისმე მართლა გავჯიბრებივარ რამეში — ლობიოს შეკმაზვაში ანდა მჭადის გამოცხობაში. რაც არ ვიცი. არ ვიცი. დედაჩემმაც არ იცის და იმიტომ... მაგრამ მაინც დედაა და არც მე დავრჩები ვალში. რაც მასესხა. მეც იმასვე ჩავასესხებ. როგორც კი ჩავალ. ვიზას გამოვუგზავნი. რიჩარდ, ხომ შეიძლება დედის დაპატიჟება?

კაცი: იეს!

ქალი: ჩამოვიდეს და იჯიროთოს იქაურ მაღაზიებში...

ბაბილა პირველი: მაინც რა ხდება ევროპაში ახალი, ბატონო ჩემო, რას გვეტყვით კარგს?

კაცი: ევროპას ჯერ არა უშავს რა, მაგრამ ძალიან ეშინია.

ბაბილა პირველი: ეგ არაფერი. პირიქით. კარგიცაა. ახლა ისეთი დროა, რაღაცის მაინც თუ არ გეშინია. ექიმს უნდა გაესინჯო.

კაცი: ხა, ხა, ხა, ხა... იეს! იეს!

ქალი: (ადგება და კაცთან მივა) მოდი, ახლა შენ დაჯექი ცოტა ხანს. მე კი გადაგილებთ. ეს თაიგულიც დამიჭირე (აძლევს თაიგულს და კისრიდან ხსნის ფოტოაპარატს) მე ნუ მიყურებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააგრძელეთ ლაპარაკი. ცოტა კიდევ მიიწი ბაბილასკენ, რიჩარდ. ბაბილებისკენ. ანდა, აჯობებს, ხელს თუ გადაჰყვევთ ერთმანეთს. ევროპა და საქართველო აი, ასე. თქვენ კი, მეორე ბაბილა, ოდნავ აუწიეთ თავი თქვენს მძინარე მეგობარს. ეგეც ხომ უნდა აღიბეჭდოს სამარადისოდ. ღმერთო ჩემო, მართლა როგორ გავს! ასეთი იყო ისიც კუბოში. კარგია. ვიღებ.

კაცი: გაუმარჯოს საქართველოს!

ბაბილა პირველი (უხალისოთ) გაუმარჯოს.

ბაბილა მეორე: (უხალისოდ) გაუმარჯოს.

კარგა ხნით ჩამოვარდება სრული დუმილი.

ბაბილა პირველი: ბატონო ჩემო... ჰმ, ჰმ... აი, თქვენ რომ ბრძანეთ, გაუმარჯოს საქართველოსო, მადლობის მეტი რა გვეთქმის. საქართველოს მართლა სჭირდება გამარჯვება. ერთი ტანჯული, უიღბლო ქვეყანაა... მე მინდა, თქვენ ეს იცოდეთ.

კაცი: იეს! იეს! რასაკვირველია.

ბაბილა პირველი: ამას წუღანდელი უნებლიე შეცდომის გამოსასყიდად არ გეუბნებით. აი, აპარატზე რომ გკითხეთ, ბნელშიც იღებს მეთქი, არ იფიქროთ, ეჭვი შემპარვოდეს თქვენს პატიოსნებაში.

ქალი: (სიცილით) გესმის, რიჩარდ? აი, როგორი კარგები ვართ ჩვენ, ქართველები ყოჩაღ, ბაბილა. თუმცა, საბოლოოდ არაფერია. ყველა საბჭოთა მოქალაქე ვალდებულიცაა უნდობლობა გამოუცხადოს ნებისმიერ უცხოელს, თუნდაც სიძეს.

ბაბილა პირველი: (აღელვებული) დამერწმუნეთ, ეს სულ სხვა შემთხვევაა. მე არაფრის არ მეშინია. მე შემიძლია უფრო გულახდილი ვიყო, ვიდრე თქვენ ელოდებით ჩემგან. მე შემიძლია ისიც კი მოგიყვეთ, თუ როგორ მოვხვდი პირველად საავადმყოფოში. გაინტერესებთ?

ბაბილა მეორე: კარგი ახლა, ვისა აქვს მაგის დრო!

ქალი: ჩვენ კი ძალიან გვაინტერესებს, არა, რიჩარდ?

კაცი: იეს, იეს, რა თქმა უნდა, საინტერესოა.

ბაბილა პირველი: ძალიან ძველი ამბავია, უხსოვარი დროისა. ჩემი ახალგაზრდობა მაქვს, რა თქმა უნდა, მხედველობაში. ხოდა, იმ უხსოვარ დროს, მწერალი მინდოდა გამოვსულიყავი. განსაკუთრებით დრამატურგობა მიტაცებდა. ახლა კი ვიცი ამის მიზეზი — თეატრი მიყვარდა ბავშვობიდან — მაგრამ მაშინ ეჭვიც არ მეპარებოდა, უხვად რომ ვიყავი დაჯილდოვებული ბუნებისგან მწერლური ნიჭით. ნიჭი აშკარად არ მქონდა, თორემ მარტო იმის აღწერა გამითქვამდა საქვეყნოდ სახელს, რაც მე იმ ყმაწვილური გატაცებისთვის გადამხდა თავს.

ბაბილა მეორე: კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! რა გადაგხდა იმისთანა, რაც სხვას არ გადახდენია. ყველამ რომ ჩვენი თავგადასავლები ვწეროთ, წამკითხავი აღარ დარჩება.

ბაბილა პირველი: (არ აქცევს ყურადღებას) პირველ კურსზე ვიყავი უკვე, ერთი პიესა რომ დავწერე, რასაკვირველია, ალეგორიული: „კოხბა ანუ ვარსკვლავის შვილი". მე რომ მომწონდა, ეს გასაგებია, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, უნივერსიტეტის დრამწრეშიც მოეწონათ, დადგეს კიდეც. თავისთავად ცხადია, პირველად და უკანასკნელად, ვარსკვლავის შვილს მე თვითონ ვთამაშობდი, თავცოცხალი იმ როლს ალბათ უშანგი ჩხეიძესაც არ დავანებებდი. მე თუ რამე ან ვინმე ვიყავი მაშინ, მხოლოდ კოხბა ვიყავი. ყოველშემთხვევაში, მხოლოდ კოხბა მინდოდა ვყოფილიყავი. მაგრამ მეც რომ შემძლებოდა, რაც კოხბამ შეძლო, მაშინ, რასაკვირველია, პიესას აღარ დავწერდი. ადამიანი ხომ იმას სწერს, რისი გაკეთებაც არ შეუძლია. მართლა გაინტერესებთ, რასაც გიყვებით? ან იქნებ ჩემი გულისთვის ყოვნდებით?

კაცი: ბრძანეთ, ბრძანეთ... აი, ჩემს მეუღლეს თუ არ ეჩქარება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ ა ლ ი: არ მეჩქარება. არა, მეჩქარება, ძალიან მეჩქარება, მაგრამ მაინც გისმენთ.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: აბა, შევეცდები შევამოკლო. მაშ ასე, კოხბა რომაელების წინააღმდეგ აჯანყებს საკუთარ ხალხს. ან სიკვდილი, ან თავისუფლება. მთელი ქვეყანა ფეხზე დგას, ქალიან-კაციანად, დიდიან-პატარიანად. სხვათაშორის, იმ დღეებში, როცა რეპეტიციებს გავდიოდით, ნაძღვილი სახელი რომ დაეძახა ჩემთვის ვინმეს, არც მოვიხედავდი. მთელი არსებით კოხბა ვიყავი, კოხბას საფიქრალს ვფიქრობდი, კოხბას სათქმელს ვამბობდი, კოხბასავით დავდიოდი, რაც, გარკვეული მიზეზების გამო, დიდ დაბნეულობას იწვევდა ყველგან — უნივერსიტეტშიც, ქუჩაშიც... თქვენ წარმოიდგინეთ, სახლშიც. ის დღეები არც ნორმალურად დავნაყრებულვარ, არც ნორმალურად მძინებია. დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა — სადღაც, უდაბნოში კი არა, საქართველოში, თბილისში; მირიადი წლების იქით კი არა, დღეს, ახლა, ამ წუთას, კოხბა შემარქვეს ზედმეტ სახელად. კოხბა მოდის, კოხბა მოდისო — აყვირდებოდნენ ხოლმე მაშინვე უნივერსიტეტის წინ შეგროვილი უსაქმური სტუდენტები, როგორც კი დამინახავდნენ, და მეც, მისალმების ნიშნად, ბელადივით მაღლა ვწევდი ხელს. მოკლედ, კოხბა მარცხდება და, რომაელებისგან ლტოლვილი, მღვიმეში აფარებს თავს, თავის ხალხთან ერთად. სიტუაცია იძაბება. თუკი გუშინ ყველას დაუეჭველად სჯეროდა წინამძღოლისა, დღეს, განსაცდელში ჩავარდნილებს, ყველაფერი აეჭვებთ. უფრო სწორედ, არაფრის აღარ სჯერათ. მოგეხსენებათ, რამდენი დრო, რამდენი შრომა, რამდენი გულისხეთქვაა საჭირო, ადამიანს იარაღის ხელში აღება რომ გააბედვინო, და რა იოლად გადააგდებს ხოლმე იმავე იარაღს, თუკი... თუკი დავუშვათ, შიშშილი ვერ მოიკლა თავის დროზე. ადამიანი საბედისწერო ნაბიჯს ყოველთვის ჩორცის [illegible] ეს კოხბამაც იცის. მ[illegible] მუხტულია. სიცაა იჭეჭებს. არა მარტო ჩემი, ესეიგი, კოხბას ბედი წყდება, არამედ მთელი ხალხისა. ამ ბალივით ყარდა ის მღვიმე. მტერი ფეხდაფეხ მოგვდევდა, მაგრამ მაინც შემოვასწარით. სხვა გზა არ გვქონდა და იმიტომ. შიშნაჭამი, გულამოვარდნილი ხალხი ერთმანეთზე ეყარა აღნავლებულ, აკვნესებულ, აღრეხილ სიბნელეში, სიბინძურეში. მე კი ისევ მჯეროდა სასწაულისა! უფრო სწორედ — ხალხის სიმტკიცისა; რაც, ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერ გარემოსთან, ნებისმიერ მდგომარეობასთან შეგუებაა და მეტი არაფერი, გულუბრყვილოდ მეგონა, სიკვდილს რომ ამჯობინებდნენ დამპყრობელთან საშსახურს. რამდენიმე მარჯვე მწყემსი ბიჭი საჭმლის საშოვნელად გავაგზავნე და ჩემს სატრფოს ვუხმე — თუ შევიტყობდი, ყველაზე უკეთ იმისგან შევიტყობდი, რა გუნებაზე იყო ხალხი: კიდევ ჰქონდა ბრძოლის ხალისი, თუ თავბედს იწყევლიდა უკვე, მე რომ ამიბა მხარი. (წამოვარდება, ქალს ხელს ჩაკიდებს და უფრო მგზნებარედ გააგრძელებს) რახილ! ძვირფასო რახილ!

ქ ა ლ ი: (იცინის) მე რახილი არ მქვია... არც თქვენი პიესა წამიკითხავს. არ ვიცი, რა უნდა გიპასუხოთ.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: (აღელვებული, აღგზნებული) მიპასუხეთ, რაც გინდათ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენც იმ მღვიმეში ხართ, კოხბასთან ერთად. ილაპარაკეთ ყველაფერი, რაც ენაზე მოგადგებათ, სულერთია... რახილ! ძვირფასო რახილ! ვერ გავამართლე შენი იმედი, ვერ გავხდი ღირსი სიყვარულისა... დამარცხებულს ქალთან არ აწვენენ. რახილ! მე კი დავმარცხდი, თუ ხვალამდე საჭმელი ვერ ვიშოვნე. ხალხს ველარ გავაჩერებ, ველარ ავეყოლიებ და, ვინ იცის, რამდენი ხნით, თუ სამუდამოდ არა, ჩავუკლავ ბრძოლის ჟინს. მაგრამ სხვა გზა არ არის, აყმუვლებულ მუცელს სიტყვით ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააჩუმებ. შენც უფლებამოსილი ხარ, ისე მოიქცე, როგორც გული გიკარნახებს. ღმერთმა ხომ იცის, მარტო კარგი მინდოდა შენთვის. მაგრამ თავიდანვე შევცდი, გულში რომ არ ჩავიკალი ეს მტანჯველი გრძნობა. რადგან, საერთოდ უფლებააყრილს, არც შენი სიყვარულის უფლება მქონდა. ვინც ქალის ტყვეა, ხალხს ვერ დაიხსნის! წადი, რაჰილ! შეგიძლია, დღესვე, ახლავე დაბრუნდე უკან, რომაელებს მოსწონთ ჩვენი ქალები. შენ კი ჩვენს ქალებშიც გამოირჩევი. ფლასსა და ლუკმას ყოველთვის იშოვნი...

ქალი: (სიცილით) ჩემო ძვირფასო, როგორც მახსოვს, სულ სხვანაირად ქიკჩიკებდით გუშინ. თქვენი პირიდან დაპირებების ზღვა გადმოქუხდა. დღეს კი (მკაცრად) თქვენ კი არ შეცდით, მე შევცდი! მე არ უნდა ავყოლოდი გულს. მე შემეშალა არჩევანი. ქალს დამარცხებულთან მართლაც არ აწყენს. მაგრამ სადაც დამარცხებულია, იქ გამარჯვებულიცაა ყოველთვის. ასე რომ, ჩემზე ნუ დარდობთ, თავს მიხედეთ. ჩემი ფასი გამარჯვებულმა უკეთ იცის. ფლასსა და ლუკმას მე მოგიტან ხოლმე, როცა ჭურლმულში ჩაგაყუდებენ... (იცინის).

ბაბილა პირველი: რაჰილ!

ქალი: (გამოაჯავრებს) „რაჰილ"! ქალმა იმდენი კი უნდა იცოდეს, ვარსკვლავს შვილი რომ არ უჩნდება. შენც ჩვეულებრივი ქალის გაჩენილი ხარ, ჩემისთანა ქალისა. მაგრამ ცხელ სილაზე რომ დაწვება გულაღმა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას დაუწყებს ცქერას, რა არის რომ არ იწმუნოს სულელმა დედაკაცმა. ხალხს აღარ სჯერა შენი, კოხბა! ქალები გწყევლიან, კაცები კი იმუქრებიან. იცი, რას ამბობენ? თუ თავისუფლებაა თავისუფლება იყოსო, კოხბას რომ უწვებით, ჩვენ რაღა დავაშავეთო. რატომაც არა?! რითი განსხვავდებით ვითომ ერთმანეთისგან ამ აქოთებულ მღვიმეში?!

ბაბილა პირველი: რახილ!

ქალი: (გამოაჯავრებს) „რახილ"! ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც ღმერთს დაუწესებია მისთვის. სისხლის ღვრას კარგი არაფერი მოჰყვება. შენ გაიმარჯვებ თუ სხვა, ერთმა რომ მოიპოვოს, მეორემ უნდა დაკარგოს თავისუფლებაცა და ძალაუფლებაც. ახლა ის იქნება დაჩაგრული, დამონებული. ახლა იმის გულისწყრომა იქნება სამართლიანი. ახლა ის აჯანყდება და ერთხელ კიდევ შებრუნდება ყველაფერი წაღმა უკუღმა. აღარ შემიძლია. ამოვიდა ყელში ერთი და იგივე. არადა, საბოლოოდ არაფერი არ შეიცვლება, მხოლოდ სიმწარეს მიიმატებს ადამიანი. სიმწარეს, ტანჯვას, უბედურებას, სიკვდილს... სიკვდილს ხომ დამპყრობელიცა და დამპყრობილიც ერთნაირად უხდის ხარკს. ხოლო ძალაუფლებას ის ეტანება, ვისაც სხვა არავითარი სარგებლობის მოტანა აღარ შეუძლია. ხომ გახსოვს, ხეებმა მეფის არჩევა რომ გადაწყვიტეს?!

ბაბილა პირველი: შენ ყოველთვის ასე ფიქრობდი?

ქალი: (ამოიოხრებს, სევდიანად) ყოველთვის.

ბაბილა პირველი. აბა, ჩემთან რა გინდოდა?

ქალი: (იცინის) უკაცრავად, ერთი წუთით, რაღაცაზე გამეცინა. რა მინდოდა და, დროს ველოდებოდი, ჩემო ძვირფასო, როდის გამეხსნებოდა გონება. ამ ბნელი და ბინძური მღვიმედან თუ გავედი, უკეთესად შევძლებ სინათლისა და სიწმინდის დანახვას. ნეხვში უფრო ადვილია მარგალიტის პოვნა, ვიდრე ყალბი მარგალიტების გროვაში.

ბაბილა პირველი: ამ მღვიმეში ორივესთვის ადგილი არ არის, რახილ!

ქალი: ახალი ამბავი! რასაკვირველია, აქ მხოლოდ შენი ადგილია, შენი სადგომია, თუ გნებავთ — საფლავიც. მე კი დროებით ვარ აქ, სულ რამდენიმე საათიღა დარჩა და გავფრინდები. მეც დავისვენებ და თქვენც. ავდარმა შემომდენა ამ მღვიმეში სულელი

ბატკანი. აქედან ჟუჟრო ჭკვიანი გავალ და მეორეჯერ ტრიალ მინდორში აღარ დავხვდები ავდარს.

ბაბილა პირველი: აქედან ვერცერთი ვეღარ გავალთ ცოცხალი — ეს ჩვენი საერთო აკლდამაა.

ქალი: არაფერი ისე არ ყარს, როგორც ადამიანი. ერთი საათიც არ არის, რაც ამ მღვიმეში შემოვედით და სუნთქვა აღარ შემიძლია. ვიხრჩობი.

ბაბილა პირველი: რას ვიზამთ, თავისუფლებისთვის ყველაფერი უნდა აიტანოს კაცმა. (ხელს გაიშვერს უჩინარი ხალხისკენ) ისინი თავისუფლებისთვის კვდებიან.

ქალი: არაფერიც. ეგ საკენკი სხვას დაუყარეთ. თავისუფლებისთვის კი არ კვდებიან. სიკვდილის შიშით სძვრებათ სული. მღვიმედან თავის გამოყოფისაც ეშინიათ. შიში აიძულებთ საკუთარი სიმყრალის ატანას. არადა, ვინმემ რომ აღუთქვით სიცოცხლე, წამში დაიცლებოდა აქაურობა. გვამებისა და ნაკელის მეტი არაფერი დარჩებოდა აქ. შენთან. ვარსკვლავის შვილო, ადამიანს ყველაზე ძალიან სიკვდილისა ეშინია და სიცოცხლისთვის გვამსაც შეჭამს და ნაკელსაც. ამაშიც მალე დარწმუნდები. თუ აქამდე ვერ დარწმუნებულხარ. ჩემო ძვირფასო. ჩემო შლეგო მიჯნურო! ადამიანის დამცირება თუ არ გინდა, გაანებე თავი, გაუშვი თვითონ აირჩიოს, რაც ურჩევნია. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, მონობა მისთვის ჩვეულებრივი ამბავია, მონობისთვისაა გათვალისწინებული მისი ცხოვრების წესი. ხანგრძლივი არსებობისთვისაა გამიზნული, ხოლო გმირობა და თავგანწირვა წამიერი აღტკინებისა თუ თავსმოხვეული ცდუნების სავალალო შედეგია. შეგიძლია, სიტყვაზე დამიჯერო. ჩემს კისერზე მიწვნევია და საკმარისია. მარტო ჩემთვის კი არა, თქვენთვისაც, ყველასთვის. ხალხს სიცოცხლე უნდა, როგორიც არ უნდა იყოს ის — სიცოცხლე! ამიტომაც, ერთნაირად იოლად ეჩვევა სიმდიდრესაც და სილატაკესაც. მისთვის თითქმის სულერთია. ლატაკი იქნებ... ეროვნული ბიბლიოთეკა ოღონდ იცოცხლოს... დღე როგორმე ჩაიწყნაროს შიმშილისგან აყმუვლებული მუცელი, რამენაირად გაუყუჩდეს ტკივილს, დაიამოს ქეცის ქავილი... (მთვრალი თავს წამოწევს და გაიზმორება) ეგე. შენი ბიჭებიც დაბრუნდნენ... (იცინის, თან თვალს არ აშორებს მთვრალს) თუმცა არა: მარტო მოდის ვიღაც. მოდის კი არა, მორბის თავქუდმოგლეჯილი.

მთვრალი: (უცებ წამოდგება და იყვირებს) კობბა! კობბა! კობბა! (მერე ბაბილა პირველის წინ ცალ მუხლზე ჩაიჩოქებს და მღელვარედ გააგრძელებს) გადავრჩი, კობბა, გადავრჩი! ადონაის, დიდებულო, გეტრფი და გეთაყვანები (ამასობაში, სიბნელიდან ნელა, გაუბედავად გამოდის ხალხი — ერთნაირად დაკონკილ-გაბინძურებული) გადავრჩი, ხალხნო! მარტო მე გადავრჩი. ყველანი დაიღუპნენ. ყველაჩი დაიღუპნენ. მე კი გადავრჩი!!!

ბაბილა პირველი: დალაგებულად მოყევი, რა მოხდა. სხვები სად არიან?!

მთვრალი: (სხაპა-სხუპით) თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო — პურიც ვიშოვეთ და საქონელიც. მთელ ფარას მოვუყარეთ თავი და მშვიდობით გამოვბრუნდით უკან. ღამე მოვდიოდით. მთვარის შუქზე. დღისით კი ღრანტეებში ვიმალებოდით. მაინც დაგვინახეს. მაინც დაგვეწივნენ. ვინც პირველმა შეამჩნია ისინი, მაშინვე კომბალი მოისროლა და ხევისკენ გაიქცა. ჩვენ ჯერ ვერ მივხვდით, რა შეემთხვევა, რა მიარბენინებდა, მაგრამ უკან რომ მოვიხედეთ და მტვრის ღრუბელი დავინახეთ, ჩვენც გადავყარეთ კომბლები. თუმცა, გაქცევას აზრი აღარ ჰქონდა — ოთხივე მხრიდან გვივლიდნენ, ფარის ძაღლებივით. ბოლოს ერთად შეგვაგროვეს ცხვარიც და კაციც. ცხენებს ზედ გვაგდებდნენ. ცხენებით გადაგვთელეს. ცხენის ფლოქვებით დაგვჩეჩქვეს, დაგვნაყეს, დაგვფშვნეს. მერე აღარაფერი მახსოვს. გონს რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვეგე, ხორცისა და ძვლის ფაფაში ვიწექი. ძლივს ამოვფოფხდი. ძლივს ამოვაღწიე იქიდან. ისინი უკვე წასულიყვნენ. არ ვიცი, რამდენს ხანს ვიყავი უგონოდ. შეიძლება, მთელი დღე ვეგდე იქ. შეიძლება — მთელი კვირა. ჰაერი რომ ჩავისუნთქე, მერეღა გამახსენდა, რა მოხდა და სად ვიყავი. ერთმანეთში აზელილ ცხვარსა და კაცს სვავების ჯარი ეხვია. იმათაც ძლივს დავაღწიე თავი. სისხლიან ფრთებსა მცემდნენ სახეში. უკან მაბრუნებდნენ, არ უნდოდათ ჩემი გაშვება. თითქოს თავზესაყრელად არ ჰქონდათ ლეში, კაცისაც და ცხვრისაც. იმის მერე მოვრბივარ. მეორე დღეა, მუხლი არ ჩამიღუნავს, წვეთი წყალი არ ჩამსვლია პირში. მაგრამ რაკი გადავრჩი, აღარაფერს ვჩივი. ღმერთო, დიდებულო! ღმერთო, ჭეშმარიტო! შენი ფეხის მტვერი ვარ, შენი მადიდებელი...

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: კი მაგრამ, რატომ გადარჩი? განა ამისთვის გაგიშვი?

მ თ ვ რ ა ლ ი: განა ჩემი ბრალია? გონზე რომ მოვეგე, ცოცხალი ვიყავი. სხვებს გი სვავები ძიძგნიდნენ. ეტყობა, ღმერთს არ უნდოდა ჩემი სიკვდილი. რა ჩემი ბრალია. თქვენ ხომ არ იცით, რას გადავრჩი! ცხენი თუ კაცის ხორცსა ჰამდა, არ ვიცოდი. მე კი გადავრჩი. მაინც გადავრჩი. ასე უნდოდა ადონაისს...

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: ჩასაქოლი ხარ! (დუმილის შემდეგ) ხორცი უნდა წამოგეღო. ღმერთმა გონი იმიტომ დაგიბრუნა, ამათთვის (ხელს იშვერს სცენაზე გამოფენილ ხალხისკენ) საჭმელი რომ მოგეტანა. ესენი თავისუფლებისთვის იხოცებიან, შენ კი გადარჩი! ესენი შენი იმედით ცოცხლობენ, შენ კი მარტო შენთვის გადარჩი! ჩასაქოლი ხარ!

ხ ა ლ ხ ი: ჩასაქოლი ხარ!

მ თ ვ რ ა ლ ი: (მიუბრუნდება ხალხს) რა უნდა წამომეღო, ხალხნო, როგორ გამომერჩია ცხვრის ხორცი თქვენი თანამოძმეთა ხორცისგან?! [illegible] ხომ არ გაჭმევდით?!

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: მაინც ჩასაქოლი ხარ. შენ ამ ხალხის ნდობა და მოლოდინი გააწბილე.

ხ ა ლ ხ ი: სიკვდილი მოღალატეს! სიკვდილი! სიკვდილი!

ხალხი შემოეხვევა დაჩოქილ მთვრალს, იგივე მწყემსს. ხოლო, ცოტა ხნის მერე, როცა ისევ გაიშლება, იმ ადგილას, მწყემსის ნაცვლად, ქვების ბორცვილა დარჩება. მთვრალი ისევ მერხზე დაჯდება და ისევ ბაბილა მეორეს ჩამოადებს მხარზე თავს. ხალხი დაბნეული, ნირწამხდარი შესცქერის ქვების ბორცვს და ნელნელა იხევს უკან. რისხვა კი ამოანთხია, მაგრამ, ეტყობა იმასაც მიხვდა, გადარჩენის ცხოველურმა ჟინმა უარესად რომ დააბრმავა, უარესად რომ დაამდაბლა და, ამასთანავე, სრულებითაც არ მოუტანია ნანატრი შვება. ამას, რა თქმა უნდა, ბაბილა პირველიც ანუ კობბაც გრძნობს და ცდილობს ხალხის გამოფხიზლებას, დამშვიდებას.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: ხალხნო, ღმერთი ჩვენთან არის... ნუ გავახარებთ მტერს, ნუ ვათქმევინებთ, ეს ვინ ყოფილან, მუცელს დაბლა ჰკიდებიათ ღირსებაო. მართალია, ყველას გვშია, მაგრამ მაინც ნუ ვანაცვალებთ თავისუფლებას პურს. თავისუფლება პურზე უფრო ძნელი მოსაპოვებელია, ხალხნო. (ყვირის) გაუმარჯოს თავისუფლებას!

ქ ა ლ ი: წყეულიმც იყავ! (და მაშინვე პირზე მიიფარებს ხელს, თითქოს რაც თქვა, უნებურად წამოსცდა).

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: (უფრო მგზნებარედ) გაუმარჯოს თავისუფლებას!

ქ ა ლ ი: (გაღიზიანებული) წყეულიმც იყავ. კობბა! შეიძლება გავაგრძელო?

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: რასაკვირველია.

ქ ა ლ ი: შენ აღარა ხარ ჩვენი უფროსი. შენ ჩვენს თავს თავისუფლება გირჩევნია. მე კი ყელში ამომივიდა შე-

ნი თავისუფლება. აღარ შემიძლია! აღარ შემიძლია ვუყურო ამდენ სიკვდილს! დე, ისევ მონებად გაგვყიდოს დამპყრობელმა. დე, როგორც მოესურვება, ისე გვჯიჯგნოს და გვაწამოს, ოღონდ ნუ მოვკვდებით. სიკვდილიდან ვეღარავინ გვიხსნის. ამიტომ, არც სიკვდილის ნება გვაქვს. ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე ვუშველოთ თავს. მით უფრო შენ არა გაქვს ჩვენი მოკვლის ნება. სიცოცხლე განუწყვეტელი ტანჯვაა და ჩვენ ყველანი ამ ტანჯვისთვის ვჩნდებით. დანარჩენი ტყუილია ყველაფერი, ზღაპარია, ოცნებაა, ჩვენებაა. მე მივდივარ და ვერავინ შემაჩერებს, რადგან მივდივარ იქ, სადაც ღმერთმა მომიჩინა ადგილი, თუნდაც — თავშესაფარი. ჩემი უფროსი მხოლოდ ღმერთია და ის შენზე ბევრად ღმობიერია! იმას ვეცოდებით. შენ კი არა! მე მივდივარ. ხალხო! ვინ მოდის ჩემთან ერთად! დროზე გავაღწიოთ ამ წყეული გამოქვაბულიდან, თუ გვინდა რომ გადავრჩეთ, თუ გვინდა რომ ხვალაც ვიყოთ!

ხალხი ნელნელა აჩოჩქოლდება და ღარბაზისკენ დაიძვრება.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: ნუ უსმენთ, ხალხნო! გაუმარჯოს თავისუფლებას!

ქ ა ლ ი: წყეულიმც იყავ!

ხ ა ლ ხ ი: წყეულიმც იყავ!

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: გაუმარჯოს თავისუფლებას!

ნაწამები, გაძვალტყავებული, დაძონძილი ქალი და ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა, ერთმანეთს ბრმასავით მიჰყვება და მღვრიე მდინარის ზვირთებივით ჩაედინება სცენიდან დარბაზში. ისმის შეძახილები: „წყეულიმც იყავ, კოხბა!" „მწყურვალს წყალი მშობლის სისხლად გექცეს!" „თესლი გაგიქვავდეს, ღმერსისხლად გექცეს!" „მშიერს პური მშობლის ხორცად გექცეს!" „თესლი გაგიქვავოს ღმერთმა!"

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: (ყვირის) გაუმარჯოს თავისუფლებას! (ცოტა ხნის მერე, თავისთვის) ამიტომ არა ვართ ღირსნი თავისუფლებისა... ამიტომ ვმარცხდებით და გამარჯვებით ვმარცხდებით ყოველთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ბ ი ლ ა მ ე ო რ ე: (გაოცებული, შეწუხებული) შენ რა, ტირი? ღმერთო ჩემო, ტირის, მართლა ტირის! ეტყობა, როლში შეხვედი. არ მეგონა, შენც თუ შეგეძლო ტირილი.

ბ ა ბ ი ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი: (ცოტა არ იყოს, შემცბარია, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს) დიახ, ვტირი... და სრულებითაც არ მრცხვენია. აი, ხელითაც ნახე, უფრო რომ დარწმუნდე (ბაბილა მეორის ხელს ძალით ისვამს სახეზე) ხედავ, რამხელაა მამაკაცის ცრემლის წვეთი! რომელი ყურძნის მარცვალი მოვა ამასთან! ამ მარცვლიდან შურისძიების ღვინო იწურება (ქალს) ესეც იმ პიესიდანაა (ისევ ბაბილა მეორეს) დაჭყლიტე, შემასრისე სახეზე. ეტყობა, უკვე დამწიფებულა. აბა, ნახე რა გემო აქვს (ძალით ალოკვინებს საკუთარ ხელს) ნახე, ნახე, ნუ გეშინია. ლონეზე მოგიყვანს. ალოკე, დალიე, ჩაყლაპე — ნუ გერიდება. ეს ღვინო ყველა მსურველს ეყოფა. თავზეც გადაგვევა, ფეხქვეშ მიწას გამოგვაცლის ჭერს ჩამოგვინგრევს... ერთ დიდ გუბედ დაგუბდება, შიგ რომ ჩავიხედოთ ყოველ წამს, სულ თვალწინ რომ გვედგას ჩვენი ჭეშმარიტი სახე — საადრევად დაბერებული, უმწეობით, ბოღმით, ჯავრითა და ოცნებით დასახიჩრებული. დღეს ერთმანეთს ვხოცავთ, ხვალ მართლა შევჭამთ ერთმანეთს:... ღმერთო, მართლა როგორ ყარს ადამიანი! არა, ადამიანი კი არ ყარს, ეს სიმხდალის სუნია, სიბეცისა, სიმდაბლისა... დაუნდობლობის!

კ ა ც ი: ბრავო! სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ასეთ ბიბლიურ სცენებს თუ ვნახავდი საქართველოში. დიდებულია. ბრავო. დიდი მადლობა.

ქალი კაცს აპარატს დაუბრუნებს, თაიგულს გამოართმევს და მის გვერდით დაჯდება.

ქ ა ლ ი: მართლა ყველანი ვეტევით ამ სკამზე... (ბაბილა პირველს) ეს თაიგული თქვენ უფრო გეკუთვნით. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ვერ მოგცემთ. მკვდრის სამელზე მაქვს წამოღებული...

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: სხვათაშორის, რა მაგ სიტყვის პასუხია და. საზღვაო კატასტროფების დროს, ნებისმიერ ნავზე ყოველთვის გათვალისწინებულზე მეტი ხალხი ეტევა თურმე. არქიმედის კანონი განწირულთა სასარგებლოდ მოქმედობს.

ქ ა ლ ი: (კაცს) ხელი მომხვიე. შემცივდა.

კ ა ც ი: აკი ვიწვიო?!

ქ ა ლ ი: (გალიზიანებული) ვიწვოდი, ახლა კი მცივა. (ცოტა ხნის მერე) იმიტომ რომ, არ მჯერა. არა, იმიტომ რომ, ხან მჯერა, ხან კი არა. მართლა ბრიყვი უნდა იყო, ასე იოლად დაიჯერო. ა, რიჩარდ?! მითხარი, ხომ მართლა მოგწონვარ: ხომ გეყვარები სულ?

კ ა ც ი: იეს.

ქ ა ლ ი: იეს კი არა, ხო, კი, დიახ... ჩვენ სამი სიტყვა გვაქვს თანხმობის გამოსახატავად. ერთი არ გვყოფნის. სამგზის. სამნაირად უნდა განვაცხადოთ თანხმობა ყველაფერზე. უარის თქმა კი გვიჭირს. საერთოდ გვიჭირს. მე არ მიჭირს მხოლოდ. ხმამაღლა, საქვეყნოდ ვაცხადებ უარს ჩემს წარსულზე... მგონი, ისევ რახილივით ვლაპარაკობ. მეც შევედი, ეტყობა, როლში... და სამგზის თანახმა ვარ, დაუყონებლივ, თვითმფრინავში ჩაჯდომისთანავე. დავიწყო ახალი ცხოვრება — ახალი კი არა, ადამიანური, ჩვეულებრივი — ძვირფასი ქურქის ჩაცმა რომ არ შემეშინდება, ბრილიანტებსხმული, ვარსკვლავიან ცასავით რომ ვიციმციმებ თეატრის ხავერდოვან ბინდბუნდში, გასტრონომში გული რომ არ შემიღონდება ათასნაირი შაშხის, ძეხვისა თუ ყველის დანახვაზე... (წამოვარდება) რიჩარდ! წასვლის დროა! წინ სიცოცხლისკენ! ამ გვირგვინს კი აქ დავდებ (დებს ქვების ბორცვზე) აქ ჯობია. ეს უფრო გავს საფლავს. შეიძლება საფლავიცაა, ვიღაცის... ან უპატრონო, უსახელო მსხვერპლისა... ისინიც უპატრონოებივით დამარხეს, შუაღამისას. სხვადასხვა სასაფლაოებზე. გზაკვალის ასარევად მიცვალებულებს ჩააჭყლიტეს ცალი თვალი... ოღონდ მათ შეულები ბებერი ტყუილი შეიკავდნენ... გერმანელებმა კი შვილები ვარ. (?)

ოებზე, გზაკვალის ასარევად[…] დედები ჩააჭყლიტეს ცალი თვალით შვილების კუბოებში. იცანით? დარწმუნდით? ხოდა, თუ დარწმუნდით, კარგად ბრძანდებოდეთ. საკმარისია. ხმა. კრინტი. თორემ! თორემ რა? დაგვაკელით ვითომ რამე? რიჩარდ, წავიდეთ. აღარ შემიძლია აქ გაჩერება. კარგად ბრძანდებოდეთ. ძალიან გთხოვთ, მართლა გიჟი არ გეგონოთ. თუმცა, ბრიყვს ისევ გიჟი ჯობია. (მიდის, პირზე იფარებს ხელს, თითქოს ქვითინს იკავებსო).

კ ა ც ი: კარგად ბრძანდებოდეთ (ერთხელ კიდევ უღებს სურათს მერხზე დარჩენილებს). ნამდვილად საინტერესო იყო. დიდი მადლობა.

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: (ფეხზე დგება) კარგად ბრძანდებოდეთ. კეთილი მგზავრობა.

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: კეთილი მგზავრობა. უკაცრავად, ვერ ვდგები.

ქალი და კაცი გადიან. ხანგრძლივი პაუზა.

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: (ჯდება) წაიყვანა იაზონმა ჩვენი მედეა.

ბ ა ბ ი ლ ა   მ ე ო რ ე: (სიცილით) აუშენებს ოჯახს. (ცოტა ხნის შემდეგ) მედეასი რა მოგახსენო, რახილი კი ნამდვილად არის. უკეთეს რახილს ვერც წარმოვიდგენდი. მაინც რა უცებ გაერკვა ყველაფერში! ერთი არ წაუბორძიკია...

ბ ა ბ ი ლ ა   პ ი რ ვ ე ლ ი: შეიძლება ოჯახი არ აუშენოს, მაგრამ არც მამას მოუხარშავს მდუღარეში და არც შვილებს დაუხოცავს დანით. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, მედეა არასოდეს ყოფილა ოჯახური კეთილდღეობის სიმბოლო. თუმცა, შენც მართალი ხარ, ეს მაინც სხვა ჩამოსხმაა — ახლებური, ჩვენებური... ამისთვის აქედან გაღწევაა მთავარი: ამით იწყება და ამითვე მთავრდება მისი მრწამსიც და მიზანიც... აკი თვითონვე თქვა, არაფერზე მწყდება გულით. მედეა რომ გახდე, უფრო ზუსტად, მედეობა რომ შესძლო, ბევრ რამეზე უნდა გწყდებოდეს გული: სამშობლოზე, მშობლებზე, ძმაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: მკაცრი ლაპარაკი იცი მაინც — დაუნდობელი. რა მაგის ბრალია. სწორედ ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ტყუილად გი არ არის ნათქვამი, დედა ნახე, მამა ნაჩეო. სამშობლოს რომ უღალატო, ჯერ უნდა გქონდეს სამშობლო. ჩვენ კი, ერთის, ერთადერთის მაგიერ, რამდენიმე დავახვედრეთ. არცერთის ფასი რომ არ სცოდნოდა წესიერად. ქალაში მკვდარი ჩიტივითაა — დიდ ქვაბში არ ეტევა, პატარაში სულ არ არის...

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: ეგ მართლა კარგად თქვი (იცინის) შენი აზრი რომ გავაგრძელოთ. ვერც მშობელს უღალატებს. იმიტომ რომ, არ უყვარს, დიდი-დიდი, დაასმინოს, როგორც არალეგარული მილიონერი და მკვდარი ფულის ჭირისუფალი. — ასე თუ არ მოიქცევი, იმ ბიჭს თუ არ მიყიდი, სადაც ჯერ არს... და ასე შემდეგ. არალეგარული მილიონერი ხომ იგივე რევოლუციონერია დღეს. უნდა თუ არა, მაინც უპირისპირდება ხელისუფლებას...

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: ძმა არ ყავს, მეგობარი კი ქუჩაში მოუკლეს, ცოფიანი ძაღლივით. მართლაც რომ აღარაფერი აქვს დასაკარგი, სიქალწულის გარდა.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი. მოკლედ, ჩვენ რომ შეგვეფერება, ზუსტად ისეთი მედეაა. ძველის, ნამდვილის აღარაფერი სცხია, ლანდიც აღარ არის იმისი, არაფერი აქვს იმასთან საერთო. იმას თუ ღირსების გადასარჩენად საკუთარი შვილების დახოცვაც შეუძლია, ეს ერთი ჩვეულებრივი თანამედროვე გოგოა. როგორც თვითონვე თქვა, ნორმალურ, ადამიანურ ცხოვრებას დანატრებული. ერთი იმ ყვავთაგანია მხოლოდ, ევროპაში რომ დაყრანტალებენ თურმე გამეცნიერებული იაზონების წყალობით და იმის მადლობლებიც არიან, რასაც გამოძიძგნიან ცხოვრებას. არც იმას დაგიდევენ, ქმარი თუ აღარ ინდომებთ იქ, ალიმენტზეც სამგზის თანახმანი არიან წინასწარ, ოღონდ როგორმე გააღწიონ ... მთავარია, ოღონდ, აქ დარჩენილებს დაუყენონ თვალი, ის კი არ გაერკვეუცებ, როგორც თქვენ ბრძანეთ წეღან, რახილის ხასიათში, არამედ მე, როგორც დრამატურგმა, ჯერ კიდევ უხსოვარ დროს შევძელი ამომეხსნა ზოგადად ქალის ბუნება.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: ძალიან დაუნდობელი ხარ, ძალიან... უსამართლოც. მართლა რომ გაწყრეს ღმერთი და ასდეს ოცნება, პირველ რიგში, შენიანებს გაავლებ ალბათ მუსრს. მტერს რომ არ უქნია, იმას იზამ. შენი საზომით თუ მიუდექი, კაცი არ შეგრჩება ხელში უნაკლო და უდანაშაულო. სხვებს ამტყუნებ, მაგრამ, ეტყობა, ვერც შენ გადაურჩი მონობას, შენც შეგეხო ბოლოს იმის მსახვრელი ხელი. არ შეიძლება, თავისუფლებას ქადაგებდე სულ და მონასავით დაუნდობელი იყო. რაც ჩვენს ხალხს უბედურება გადახდენია, საკვირველი ის არის, კიდევ რომ ახსოვს თავი, მშობლის სახელი, პირჯვრის გადაწერა... ფეხებს უნდა ვბანდეთ, მადლობას უნდა ვწირავდეთ ერთმანეთს ყველანი — მოთმინებისთვის, გაძლებისთვის.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: ახლაც მართალი ხარ, მაგრამ, ეტყობა, მაინც გავტყდით ბოლოს.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: ნუ გატყდები, თუ ბიჭი ხარ, ხომ ხედავ, რას დავემსგავსეთ. ყველა ჩივის, ყველა წუწუნებს... ყველას მარტო თავისი თავი ჰგონია უბედური და ყველას მარტო სხვა ჰგონია დამნაშავე — შვილს მშობელი, მშობელს შვილი... გატყდები კი არა...

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: (ყვირის) მეც მაგას ვამბობ სწორედ! ყველაფერზე სამგზის, სამჯერ, სამნაირად თანახმანი ვართ, ოღონდ ცალი თვალით მაინც ჩაგვაჭყიტონ შვილის კუბოში. აბა, მედეასთვის მოეკლა ვინმეს შვილი, თუნდაც, იმავე იაზონს!

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: გაუბედავდა კიდეც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბილა პირველი: გაუბედავდალა...

ბაბილა მეორე: იმიტომაც აღარ გვინდა არავის, არც ჩვენ, არც სხვას.

ბაბილა პირველი: აღარ გვინდა, აღარ გვინდა, რასაკვირველია, აღარ გვინდა, აღარ გვინდა, იმიტომ, რომ, აღარ ვგავართ იმას, დრომ ის გაზარდა, ჩვენ კი დაგვაპატარავა, რაბილებად გვაქცია! იმის ფეხებთან ვყეფთ და ვწკავწკავებთ გოშიებივით — ხელები მაინც დამალე, ქალო, ნუ მოგვჭერი თავი, ნუ გამოგვაჭენე საქვეყნოდო... მაგრამ, ჩვენი გულის გასახეთქად, ზურგს უკან კი არ მალავს შვილების სისხლში ამოსვრილ ხელებს, მკერდზე აქვს ამაყად დაკრეფილი.

ბაბილა მეორე: სამაგიეროდ, ახალი, დღევანდელი — ზუსტად ჩვენი ალი და კვალია.

ბაბილა პირველი: (აგრძელებს თავისას)... ის ღირსების გადასარჩენად იბრძვის აქამდე, ჩვენ კი, პირველ რიგში, ღირსება დავკარგეთ, თავი რომ გადაგვერჩინა.

ბაბილა მეორე: ნუ განსჯი და არც შენ განისჯებით. ნამდვილად დიდი სიბრძნეა ამ სიტყვებში ჩადებული, მაგრამ რად გინდა?! როცა საჭიროა, ყოველთვის მაშინ გვავიწყდება. გაუშვი, გაანებე თავი, ყველამ მართლა ისე იცხოვროს, როგორც უნდა, როგორც შეუძლია...

ბაბილა მეორე: (მგზნებარედ) პირიქით, პირიქით... თორემ, წყალში ჩაგვეყრება მთელი ღამის ნალაპარაკევი. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, როგორც ევალება და არა როგორც თავად სურს. მხოლოდ ასე გადარჩება, მხოლოდ ასე თუ აღუდგება წინ საკუთარ სიმხეცესა და უზნეობას.

ბაბილა მეორე: ესე იგი, ისევ ვკამათობთ? აღარ შემიძლია. მხარი ჩემი აღარ არის. მაინც რამხელა ძილი გამოაცხო ამ მამაცხონებულმა.

ბაბილა პირველი: ცოტაც, მეგობარო, ცოტაც მოვითმინოთ. საცა ამდენი გაგვიძლია, და დამთავრდება ყველაფერი. აპოკალიფსი ბიბლიის უკანასკნელი თავია. გული მიგრძნობს, ბევრი აღარ დაგვრჩენია. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ ბოლომდე — მაინც ვთქვათ, რის თქმასაც მოვასწრებთ.

ბაბილა მეორე: ჩემი აზრით, სჯობდა საერთოდ არ გავეჩინე დედაჩემს. მოთმინება მოთმინებად, მაგრამ... აქამდე პოეტის თავი ბუშტივით მსუბუქი მეგონა, არადა, ქვასავით მძიმე ყოფილა. (მთვრალს) მეგობარო, მეგობარო, მოვედით... თბილისია! (იცინის)

ბაბილა პირველი: ძალიან კარგია, საკუთარი აზრი რომ გაქვს ყველაფერზე... სწორედ ამის დასადგენად ვსხედვართ აქ, ამისთვის ვიტანთ სიცივესაც და სიბნელესაც, მაგრამ საუბარს, თუ გნებავთ, კამათსაც — თავისი წესი აქვს. არც არაფრისმთქმელი დუმილით უნდა ჩაუკლა მოწინააღმდეგეს ლაპარაკის ხალისი და არც მრავლისმთქმელი დაუდევრობით გამოგლიჯო პირიდან სიტყვა...

ბაბილა მეორე: მე ხომ თავიდანვე გაგაფრთხილე, არ მეხერხება მეთქი ლაპარაკი? არაფრის ისე არ მეშინია, როგორც სიტყვის, არ იტყვი — შარია, იტყვი და — უარესი.

ბაბილა პირველი: თუმცა, უნდა ვაღიარო, არც მე ვიყავი ყოველთვის მართალი, მაგრამ მომავალი, რასაკვირველია, თუკი იქნება, ამას ჩვენი თავისუფალი აზროვნების, გინდაც, აზროვნების თავისუფლების ნიმუშად მიიჩნევს მხოლოდ, რაც, თავისთავად ცხადია, ოდნავ მაინც მოგვწმენდს პირს შთამომავლობის წინაშე. ისე, დღესაც ბევრი სისულელე წამოვროშე ალბათ, რადგან დღესაც ბევრჯერ გავხდი იძულებული, უკან დამეხია და გვერდი ამევლო იმ ბუნებრივი წინააღმდეგობებისათვის, ხმამაღალი აზროვნება რომ ბადებს საერთოდ. ეს წინააღმდეგობები კი სხვა არაფერია, თუ არა მოარული, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ჭეშმარიტებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთა უგულველყოფა შეიძლება, წონასა და მნიშვნელობას უკარგავდა ჩვენს საუბარს. მაგრამ, იმავე დროს, ერთფეროვნებას მოსაწყენს ვერც აშორებდა. მოკლედ, ჩვენი საუბარი იმ მდინარეს გავდა...

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: გავდა კი არა, გავს. ჯერ ღმერთმა იცის, საერთოდ დამთავრდება თუ არა.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: ... იმ მდინარეს გავს, ქვიანი კალაპოტის გამო, იძულებული რომაა ათასნაირად გაიმრუდოს მოქნილი სხეული და სწორედ ამით შეიძინოს განუმეორებელი სილამაზე, მომხიბვლელობა.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: იცი, რა მშურს ყველაზე ძალიან? თამამად, თავისუფლად რომ ლაპარაკობს კაცი და თვითონვე სჯერა. ზუსტად იმას ვამბობ, რისი თქმაც მინდოდა.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს შენს ნებაზე ცხოვრებას. არჩევანის წინააღმდეგი კი არა ვარ, როგორც შენ მოგეჩვენა წეღან...

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (შეწუხებული) საერთოდ აღარ ამოვიღებ ხმას.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: და მაინც, სავალდებულო ცხოვრება, ჩემი ღრმა რწმენით, შეგნებული ცხოვრებაა და არა, ვთქვათ, ვილაცისგან დაძალებული. ესეიგი გინდა, არ გინდა, მოგწონს, არ მოგწონს — მაინც ცხოვრობ. ძირითადად, რასაკვირველია, მტრის ჯიბრით წარამარა თავს კი არ იკლავ, სანდროსავით, არამედ მაინც ცხოვრობ, მიუხედავად ყველაფრისა. მტკიცედ დგახარ, ფეხს არ იცვლი ჯიუტად. გასაგებია?

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: გასაგებია, მაგრამ ცოტა დავიბენი კიდეც. მგონი, მართლა ავირიეთ ერთმანეთში, მართლა მოხდა საბედისწერო აღრევა აზრთა, მიზანთა, მრწამსთა თუ ვნებათა. ან შენ ზიხარ ჩემს გულში, ან მე ვლაპარაკობ შენი პირით, თუმცა, როგორც ყოველთვის, ალბათ ვერც ახლა გამოუთქვამ ზუსტად რასაც [illegible] ჩვეული [illegible]. შენ ისევ შენ ხარ, მე კი — მე და მხოლოდ დაღლილობის გამო ვიმეორებთ ერთს და იმავეს, ხან შენ, ხან მე, ხან მე, ხან შენ გაუთავებლად.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: დიახაც. სანამ სიბნელე სუფევს ქვეყანასა ზედა, ერთი და იგივე უნდა იმეორო სულ, ერთი და იგივე უნდა იმეორო სულ, როგორმე რომ გაარღვიოს წყვდიადი, როგორმე რომ გააღწიოს აქედან — სინათლეზე დაინახონ და მოედნებზე იქადაგონ მერე. ხოლო, რაც შეეხება ადამიანს, ცხოვრების რანაირ მოდელშიც არ უნდა შეკეტო, თავისი ავი და კარგი მაინც თან შეჰყვება და აქაც, როგორც უკვე არა ერთხელ ვთქვით, გარემოებისდა მიხედვით, ხან კარგი იქნება, ხან ავი — კარგიც და ავიც ერთდროულად. შესაფერის გარემოსაც, რასაკვირველია, თვითონვე შეიქმნის, ზოგჯერ შეგნებულად, ზოგჯერ შეუგნებლად. გააჩნია, დროის ამა თუ იმ მონაკვეთში რითი იცხოვრებს — გუმანით თუ გონებით. ამიტომაცაა, ჩემო ძმაო, ცხოვრება საინტერესო, ესე იგი, საშიში, დაძაბული, ხიფათებითა და მოულოდნელობით სავსე; და ასე იქნება სულ, რადგან ჩვენდა სასიკეთოდ, კარგს ისევე არ შეუძლია ავის მოსპობა, როგორც ავს კარგისა. ერთ-ერთი მათგანის მოსპობა მეორის მოსპობასაც გულისხმობს. უკეთეს შემთხვევაში კი — მეორის დაკნინებას და გადაგვარებას. ამას კი თავისთავად მოჰყვება ადამიანის გამოფუყულება, სულიერი და გონებრივი იმპოტენცია. ფიზიკურზე რომ არაფერი ვთქვათ. მე მგონი, კაცობრიობის განვითარების სწორედ ამ ფაზაში შევდივართ ახლა. მოკლედ, მგელი არავითარ შემთხვევაში აღარ დაიხოცავს შველებს, ოტელო აღარ დაახრჩობს დეზდემონას, ხევისბერი გოჩა აღარ მოკლავს ონისეს... აღარ, აღარ, არაფრის გულისთვის, რადგან მათთვის სულერთი იქნება, [illegible] თუ არა მათი საყვარელი, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ყაჩაღოვანი ადამიანები: ადამიანი ლოკოკინას დაემსგავსება. თუმცა, ბოლოვე ბოლოში უნდა მოვიხადოთ ლოკოკინასთან, ჩემი უდიერობის გამო, რამდენადაც ადვილი შესაძლებელია, ლოკოკინასაც გააჩნდეს თავისი ლოკოკინური ვნებები.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: აკი მალე გათავდება ყველაფერიო?! აკი გული მიგრძნობსო?! გათენდეს მაინც!

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: ვნებებისა არ უნდა ეშინოდეს მეთქი ადამიანს!! აი, რისი თქმა მინდა მთელი დღეა. თუ უნდა რომ თავისუფალი იყოს, არ უნდა ამოსდოს ვნებას აღვირი. ადამიანი ვნებებს ან იმორჩილებს, ან თავად ემორჩილება. ორივე შემთხვევაში მისი საქციელი უაღრესად ადამიანურია, ოღონდ, პირველი მონაა, მეორე კი თავისუფალი შემოქმედი. უფრო მეტიც, ის მხოლოდ მაშინ ცხოვრობს, როცა უყვარს, ანდა როცა სძულს, ანუ, როცა ვნებებშია აყოლილი, ანუ, როცა იტანჯება. მაგრამ ყველას როდი შეუძლია ამ უაღრესად ადამიანური ტანჯვის ატანა! ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. სამაგიეროდ, ბევრზე ბევრია ისეთი, საწოლშიც რომ შეუძლია დროულად უკან დახევა, რათა მის ვნებას — ამ სიტყვას, რა თქმა უნდა, ბრჭყალებით ვხმარობ — რათა მის ვნებას არავითარი გართულება არ მოჰყვეს. „არ შეიძლება“, „აკრძალულია“ — რამდენი კეთილშობილი ვნებისთვის მოუკვეთავს თავი ამ ორ სიტყვას, ამ ორ ნაჯახს, რომლებიც ჩვენივე სიმხდალის, სისუსტისა თუ უმეცრების ჯართისგან გამოგვიდნია და ჩამოგვისხამს. ამავე ნაჯახების შიშით, რამდენი შეკითხვისთვის გვირიდებია თავი, რამდენჯერ წაგვიყრუებია, რამდენჯერ აგვიფარებია მათთვის პირზე გონიერების ცივად გაოფლილი ხელი, რადგან თავდაცვის ცხოველურ ალღოს ისიც მიუნიშნებია ჩვენთვის, ნებისმიერი შეკითხვა თავისებური ამბოხება რომ არის. თუნდაც საკუთარი სიმხდალის, საკუთარი სისუსტისა და საკუთარი უმეცრების წინააღმდეგ. გა[illegible] [illegible] დავიწყეთ? ერთი ჩვეულებრივი, ყოველად უწყინარი შეკითხვა მოგეცი და იმასაც ვერ მიპასუხე. შეგეშინდა, დაფრთხი მაშინვე. შენი თქმისა არ იყოს, ლამის მართლა დაგვათენდეს თავზე და მაინც ვერ გაგიბედავს. მაინც ვერ გაგიმხელია, რატომ ზიხარ აქ, რას ელოდები.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (აღელვებული) კი ბატონო, გიპასუხებ, თუ გნებავთ, ნაწილ-ნაწილ... აქ რატომ ვზივარ? მოყვასი მელოდება (ანიშნებს მთვრალზე). რას ველოდები? ველოდები, როდის გამოუნელდება ჩემს მოყვასს შხამი, გარკვევით ვამბობ? გაკმაყოფილებთ ჩემი პასუხი?

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: ტყუილია. ჩვენ ყველას ჩვენი საკუთარი სიმარტოვე გვქამს და ჩვენი ერთად ყოფნაც ამას ადასტურებს მხოლოდ. სამი კი არა, ათასი კაცი რომ დასვა ახლა ამ ბაღში, მაინც ყველა მარტო იქნება, ყველა თავის ნიჟარაში შეკეტილი, შეყუჟული.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: სანდროს კი დასცინე წეღან, მაგრამ, მგონი, შენც იმავე ხემსით უნდა იყო ნაჩხვლეტი. მთლად კი არ ტყუის ჩვენი მედეა, გინდაც რახილი — არასწორედ ვცხოვრობთ ყველანი. კაცს ოჯახური სითბო და ქალის მზრუნველი ხელი ჰკირდება.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: სანდროს კი არ დავცინე, ვარო* ექთანის ტირანია ვამხილე ერთხელ კიდევ. არც სანდროს ჰყვარებია ვარო ექთანი, როგორც შენ გინდა დაგვიხატო. ბრმად სცემდა თაყვანს. მონური მორჩილება სწორედ ბრმა თაყვანისცემის ნაშიერია და არაფერი აქვს საერთო სიყვარულთან. სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, მონური მორჩილების უარყოფაა, ამბოხებაა მონური მორჩილების წინააღმდეგ. ამიტომაც ითვლება ავადმყოფობად. სიგიჟისა არ იყოს. ასე ურჩევნია ვიღაცას, უფლებამოსილსა და ყოვლისშემძლეს. თუმცა, საცა სამართალია, სი-

ილია ჭავჭავაძის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქეცი და სიყვარულიც ყველა დროში ავადმყოფობად ითვლებოდა. ეს ჩვენი დამსახურება არ გახლავთ, ძალიანაც რომ გვინდოდეს, ვერ დავიბრალებთ სამაგიეროდ, ჩვენ ერთიცა და მეორეც ჩვეულებრივ მოვლენად ვაქციეთ, ანუ, ჩვეულებისამებრ გავაუფასურებთ. მაგრამ მაინც ამაოდ დავშვრით. სიყვარულში და სიგიჟეში, ჩემო ძმაო, ღმერთის ხელი ურევია. ჩვენს სურვილზე არც ერთი დადის და არც მეორე.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (ღიმილით) საინტერესოა! შენ თუ გყვარებია როდისმე... ვინმე...

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: მდააა! შეაყარე კედელს ცერცვი! ჩვენ ბევრად კი არ განვსხვავდებით აბრეშუმის ჭიისაგან. მთელი სიცოცხლე ჩვენც ერთ პარკსა ვქსოვთ, შიგ რომ გამოვიხუთოთ ბოლოს. იმ პარკში მხოლოდ ჩვენი ხორცი და ძვალი ეტევა. სხვა ყველაფერი, რაც გვინახავს, გვიგვრძნია და განგვიცდია, პარკის კედლებს გარეთ რჩება და თითქოს არც არსებულა არასოდეს...

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: დიდი ბოდიში, ბატონო ჩემო. (იცინის) რა მაცინებს, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! ერთი იცინის, თავს დასცინისო — მართალი უთქვამს ამის მთქმელს, დიდი ბოდიში, გულწრფელად გიხდით ბოდიშს, ვერაფერი ზრდილობაა სხვის სულში ჩაძრომა, კაცს თუ რამის თქმა უნდა, თვითონვე იტყვის, მით უფრო, როცა მის თავზე ფოთლის ხელა სიერცეა დარჩენილი, ცის უმნიშვნელო ნაფლეთი, ცოტაც და, პარკი სამუდამოდ მოიმკრავს პირს. სიცილით კი დაძაბულობისგან ვიცინი ალბათ. ნერვების ბრალია.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: (იცინის) ეგ საკენკი სხვებს დაუყარე, მე დასამალი არაფერი მაქვს. (ჩვეულებრივად) არც არაფრის მეშინია, არც არაფრის მრცხვენია. (იცინის) რასაკვირველია, მყვარებია. თანაც, არა ერთხელ და ორჯერ. საერთოდ არ მახსოვს, რამდენი ქალი შემხვედრია ცხოვრებაში. მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ერთი და იგივე ქალი მიყვარდა რამდენჯერმე, ოღონდ, ყოველთვის ახლებურად. ახალი სიძლიერითა და სიმძაფრით. ეს არის და ეს. თუ ჩემმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილოს შენი ცნობისმოყვარეობა, თავს დააბრალე. მეტს მაინც ვერაფერს დავამატებ.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (იცინის) საინტერესოა! მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდვილად საინტერესოა! მე მგონი, ბევრად უფრო სერიოზულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, ვიდრე სანდროს სიყვარული თუ ბრმა თაყვანისცემაა.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: (ყვირის) გაარკვიე, ბოლოს და ბოლოს, სანდროს თავი! ერთი ახლა ხარ მართალი! არათუ სხვასთან, ანუ, ჩემთან, — საკუთარ თავთანაც ვერ გითქვამს სიმართლე. შენც ხომ იცი, სანდრო რომ აღარ არის?! ჩვენ ხომ ორივემ კარგად ვიცით, სამუდამოდ. საბოლოოდ რომ მოკვდა სანდრო დღეს და არა ერთხელ კიდევ... ჩვენ ხომ სინამდვილეში სწორედ მკვდარ სანდროს გამოვექეცით? თითქოს, საკუთარი თვალით თუ არ ვნახავდით, როგორ გამოაგორებდნენ პალატიდან და, ზეწარწაფარებულს, როგორ შეაგორებდნენ საცხედრეში. ყველაფერი ძველებურად გაგრძელდებოდა, ანუ, ჩვენთან ერთად, ისიც ყოველ დღე ხელახლა დაიბადებოდა და ერთხელ კიდევ მოკვდებოდა. ტყუილია, თვალთმაქცობაა ყველაფერი... გარდა სიკვდილისა! სიკვდილმა თამაში არ იცის. ჩვენ, ჯერ კიდევ ცოცხლები, ვეთამაშებით სიკვდილს — მთელი ჩვენი სიცოცხლე სიკვდილთან კუკუმალობანის თამაშია, ვიდრე არ გავარიზებთ და ვიდრე არ გამოვიყვანთ მოთმინებიდან. ასე რომ, სანდრო აღარ არის. მობეზრდა სიკვდილს იმისი განუწყვეტელი თამაში. სანდრო აღარ არის. დაიმახსოვრე. და რაც უფრო მალე შევეშვებით ჩვენც უაზრო კუკუმალობას, უკეთესი იქნება მკვდრისათვისაც და ცოცხლისთვისაც.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (მოტეხილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათრგუნული) მართალი ხარ. კიდევ ერთხელ რომ მომკვდარიყო. საცხედრეში კი არ წაიღებდნენ. თავის საწოლში დატოვებდნენ. ვარო ექთანი რომ შესულა დილით. მკვდარი დახვედრია...

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: (მკაცრად) არა! არც ახლა ხარ მართალი! ვარო ექთანი ვერ შესულა დილით... ვერ გაუღია კარი. ის შიგნიდან აწვებოდა თურმე კარს. კარის სახელურზე ყოფილა ჩამობრჩვალი...

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (ყვირის) არა! ჯერ კიდევ ცოცხალი იყო! ვარო ექთანმა ცოცხალს მიუსწრო. მაგრამ ვეარაფრით ვერ ალუდგინეს სუნთქვა. ვარო ექთანს ჩააკვდა ხელში.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: (მშვიდად) აი, ხომ ხედავ. ჩემზე უკეთ იცი ყველაფერი.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (ჩვეულებრივად) ვიცი, თორემ. რამე ყრია ამ ცოდნაში.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: მაინც ეს იყო იმის ბოლო. ეს ჰქონდა აჩემებული. მთელი სიცოცხლე. ან მკვდარი იყო, ან თავს იკლავდა. ასე რომ, ადრე თუ გვიან, მაინც ასე მოხდებოდა. კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: სამაგიეროდ... რაღა აზრი აქვს. მაგრამ. მე მგონი, მაინც უნდა ითქვას. სამაგიეროდ, არც სანდრო ყოფილა გიჟი. (იცინის) ამ შემთხვევაშიც, ყალბი თუ არა, აშკარად მცდარი აღმოჩნდა დიაგნოზი.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: რასაკვირველია. გიჟები თავს არ იკლავენ. ბოლოს და ბოლოს. რამდენჯერ უნდა ვთქვათ ერთი და იგივე. გიჟები თავს არ იკლავენ. (იცინის) ფუი. დასწყევლოს ეშმაკმა! შენგან გადამედო ალბათ ეს უაზრო სიცილიც.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: (იცინის) ორნი იცინიან. ერთმანეთს დასცინიანო.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: დიახაც. დიახაც. ისე. ჩვენში რომ ვთქვათ, განა მართლა სასაცილო არ არის?!

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: ([illegible]) რა?

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: რა და, ყველაფერი. თუნდაც, ასე რომ ვსხედვართ აქ. რომელი ჰკუათმყოფელი დაჯდება ბაღში ამ სიცივეში, ასე უპალტოოდ, უქუდოდ. თუმცა, შენ პალტო მაინც გაცვია (ისმის ქალის კივილი: მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!) განა სასაცილო არ არის, აქამდე რომ ვერ მოკლეს ეს ქალი, ასე რომ ყარს აქაურობა, ასე უსირცხვილოდ რომ ვატყუებთ ერთმანეთს და ასე უსირცხვილოდ რომ ვიტყუებთ თავს. ყველაფერი სასაცილოა. სხვათაშორის, ესეც (ხელს მიუშვერს მთვრალს) ლოთია თუ პოეტი. თუ — ორივე ერთად. უპატრონო ძაღლივით, მაინცდამაინც. ჩვენ მოგვეკედლა. ამაზეა სწორედ ნათქვამი. მკვდარი მკვდარს აეკიდა. საფლავამდე მიმიყვანეო (ადგება და მთვრალთან მივა. აღვიძებს) მეგობარო, მეგობარო. გავიღვიძოთ. ბოლო გაჩერებაა! (ბაბილა მეორეს) ადექი. მომეხმარე. დავაწვინოთ. ამას ქაჯიც ვერ ჩააგდებს ახლა გონში. მკვდარი თუ არ არის უკვე. (ბაბილა მეორე მთვრალს ფრთხილად გამოაცლის მხარს და ადგება. თან დაბუჟებულ მხარს ისრესს. თან ვითომ ხელს აშველებს ბაბილა პირველს. ბაბილა პირველი მთვრალს მერხზე აწვენს და ზემოდან თავის პალტოს აფარებს (ბაბილა მეორეს) შენი პალტოც მომეცი.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: რატომ?

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: მომეცი მეთქი. (ბაბილა მეორე პალტოს იხდის და უხმოდ აწვდის. ბაბილა პირველი პალტოს რამდენჯერმე გადაკეცავს და მთვრალს თავქვეშ ამოუდებს). აი, ასე! ასე უფრო ნაკლებად ემგვანება მკვდარს. აკი თავის მკვდარ მეგობარს მიამსგავსა იმ ძუკნამ წეღან. ქალს თარსი ენა აქვს. მტერს შეუჩნდა ქალი. მტერს აუხირდა. მართლა არ მოკვდეს ეს უბედური. ამბადაც არ გამიგია, ასე დასძინებოდეს ვინმეს (იცინის. თან ირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება და, ექიმივით, მკერდზე ყურს ადებს მთვრალს).

ბაბილა მეორე: (სიცილით) იცოდე, რაღაცა გვეწყინება. არ შევ-ვრჩება ამდენი სიცილი.

ბაბილა პირველი: გვეწყინება და გვეწყინოს, არ გაგვიკვირდეს უცებ! (გაიმართება). არა, საბედნიეროდ, ეს ჯერ არ მომკვდარა... მხოლოდ ძინავს.

ბაბილა მეორე: შენ თუ აკვი-რდები, დღეს სულ ლექსებით რომ ვლა-პარაკობთ?!

ბაბილა პირველი: მართლაც ბევრი ვილაპარაკეთ დღეს. დროა, ცო-ტა ხელიც გავიხძრიოთ (იფშვნეტს ხე-ლებს) აბა, დავიწყოთ! (იცინის) რას მიყურებ? როცა პოეტს სძინავს, მგლე-ბი ილვიძებენ.

ბაბილა მეორე: (იცინის) რამ გადაგრია? თავიდან იწყებ ყველაფერს?

ბაბილა პირველი: სიცოცხლე ყველაფრის თავიდან დაწყებაა. სხვა არაფერი. ხოდა სიცოცხლე თუ გინდა, გაიქეცი, თავს უშველე... (იცინის) ერთ ადგილას ჯდომით არაფერი გამოვა — ან გავითოშებით, ან სიმყრალე დაგვახ-რჩობს (ისმის ქალის კივილი: მიშვე-ლეთ! მიშველეთ! მიშველეთ!) იმ ქალს არ დაადგა მხოლოდ საშველი. მაგრამ რა გაეწყობა. ჩვენ მაინც ჩვენი უნდა ვცადოთ. ცდა ბედის მონახევრეა. გა-იქეცი! ცდა ბედის მონახევრეა მეთქი. ღრრრრ...

ბაბილა მეორე: არა!

ბაბილა პირველი: არა კი არა, კი.

ბაბილა მეორე: არა მეთქი. (ისმის ქალის კივილი) რა გეთამაშება, ადამიანს კლავენ შენს გვერდით!

ბაბილა პირველი: კი არ კლა-ვენ. სწორედაც რომ ვერ კლავენ. ვერ დააყენეს საშველი. ეგ სულ ერ-თი და იგივე ქალია. სულელო. მა-რადიული. უკვდავი. შენ ნუ უსმენ. თვალები მაგრად დახუჭე, ორივე ბარ-ძაყზე, რაც ძალა და ღონე გაქვს, იჩ-ქმიტე, აი, ასე, და ჩქარჩქარა იმეორე: ირემი ვარ, ირემი ვარ, მგელი მომდევს შესაჭმელადო. აბა, დავიწყოთ!

ბაბილა მეორე: (უხალისოდ გარბის) ირემი ვარ, ირემი ვარ, მგელი მომდევს შესაჭმელად... (ისმის ქალის კივილი).

ბაბილა პირველი: (მისდევს) კარგია, კარგია. ნუ უსმენ... გაზონზე არ გადახვიდე. იცოდე.

ბაბილა მეორე: არა, არა, არა... მოიცა, ფეხზე გამძვრა (ჩაცუცქდება, ფეხსაცმლის ზონარს იკრავს) ბავშვი-ვითა ხარ მართლა, ამხელა კაცი — რამე თუ აიჩემე, გათავდა...

უცებ მთვრალი მერხიდან წამოდგება და სინათლიდან სიბნელეში შემოსული კაცივით, ხელებგაწვდილი დგას. სიმთვრალისა არაფე-რი ეტყობა, ოღონდ, აშკარად დაზიანებული, აფორიაქებული, თვალანთებული, სასეგამრწყი-ნებული იყურება წინ, დარბაზისკენ, ლაპარა-კისას სუნთქვა ეკვრის, თითქოს ურბენიათ.

მთვრალი: კოხბა! გადავრჩი. მა-რტო მე გადავრჩი, კოხბა!

ბაბილა მეორე: აგე, გეძახის. მადლობა ღმერთს, გაუღვიძია.

ბაბილა პირველი: ჩუ! მე კი არ მეძახის. სიზმარს ხედავს. სიზმარ-შია. აკი თვითონვე თქვა, მთვარეული ვარო.

მთვრალი: გონს რომ მოვეგე, ხორცისა და ძვლის ფაფაში ვიწექი. ძლივს ამოვფოფხდი, ძლივს ამოვაღ-წიე იქიდან. არ ვიცი, რამდენ ხანს ვი-ყავი უგონოდ. შეიძლება, მთელი დღე ვეგდე იქ. შეიძლება, მთელი კვირაც. პაერი რომ ჩავისუნთქე, მეჩვენა გამო-ხსენდა. რა მოხდა და სად ვიყავი. ერ-თმანეთში აზელილ ცხენისა და კაცს სვავების ჯარი ეხვია. იმათაც ძლივს დავაღწიე თავი. სისხლიან ფრთებსა მცემდნენ სახეში. უკან მაბრუნებდნენ. არ უნდოდათ ჩემი გაშვება. თითქოს თავზე საყრელად არ ჰქონდათ ლეში, კაცისაც და ცხენისაც. სიკვდილი მერ-ჩია ასე გადარჩენას. მაგრამ სხვა გზაც არ იყო — გინდოდა თუ არა, უნდა გა-დავრჩენილიყავი. ვიცოდი, მელოდე-ბოდი, ვიცოდი, ჩემს იმედზეღა იყავი მხოლოდ ღმერთმაც ამიტომ გადმომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედა წყალობის თვალით. მარტო მე კი არ ჩამიდგა ხელახლა სული. ერთი-ორი. შიშისაგან დადამბლავებული ცხვა-რიც დაზოგა. ერთი-ორი. ცხენის ფლო-ქვით გაჭყლეტილი. მტვერში ამოგანგ-ლული პურიც. ერთი ყურმოტეხილი. ზეთით სავსე კოკაც. პური კალთა-ში გამოვიკარი. ყურმოტეხილი კოკა მხარზე შევიდგი. ცხვარი წინ გავიგდე და წამოვედი. იმის მერე მოვდივარ. მეორე დღეა. მუხლი არ ჩამილუნავს. წვეთი წყალი არ ჩამსვლია პირში. მაგ-რამ არაფერს ვჩივი. რაკი თქვენამდე მოვაღწიე. რაკი იმედი გაგიმართლე და რაღაცა მაინც მოვუტანე ჩემს უბედურ ხალხს. ღმერთმაც ამიტომ გადამარჩი-ნა. კოხბა. გესმის. კოხბა?! აჰა. პური!

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: უ[illegible] შენ გელაპარაკება.

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: მე კი არ მელაპარაკება. ძილში ლაპარაკობს... ადამიანი საერთოდ ლაპარაკობს ხოლმე ძილში. ჯერ არ გაგიგია?

მ თ ვ რ ა ლ ი: აჰა. პური. აჰა. ხორ-ცი. აჰა. ზეთი...

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: როგორ არ გამიგია... ირემი ყვირის. მგელი ყმუ-ის...

მ თ ვ რ ა ლ ი: ამიტომ გადავრჩი მხო-ლოდ.

ბ ა ბ ი ლ ა  მ ე ო რ ე: ...სირაქლემა დარბის. ბელურა დაფრინავს...

ბ ა ბ ი ლ ა  პ ი რ ვ ე ლ ი: ადამიანი კი ლაპარაკობს!

დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გიორგი ჩარკვიანი

* * *

და ისევ აისი და მერე დაისი
კვდება, ვით ვეფხვი დაისრული...
დაივსო აპრილი, დაინთხა მაისი
და გაზაფხული დაასრულა.
აქეთაც მტრებია, იქითაც მტრებია.
შავ დროშაზე — ძვლები და თავის
ქალა.
ცოფმორეულები კვლავ ემუქრებიან
დენთით და დანებით დარბეულ ქალაქს.
მკვლელის პირსისხლიანი ხელობა...
უნდათ დაალამონ დილა მზიანი...
მართლაც ცუდი კაცს რად უნდა
მტერობა,
მხოლოდ კარგია მუდამ მტრიანი.
ამოღებულია ქალაქი მიზანში
და ვითომ ისევ დაიზამთრებს?
...დაიზრდებიან ლეკვები მგლისანი
ან იქნებ უკვე დაიზარდნენ.

* * *

აღარც ღმერთი და აღარც მამული.
კვლავ ამაოების ციებ-ცხელება.
კარიერისტების შლეგი მარულა,
დაუნდობელი შავი ცხენები,
სახლში გყავს ქალი, რომელიც გსურდა,
დახურე დარდიანი დარაბები...
გარეთ მძვინვარებს მონღოლთა ურდო,
გატორავენ ქალაქს და დაარბევენ
თლილ ჭიქაზე ქალის თეთრი თითები.
მიბნედილი თვალები, ფერმკრთალი
შუბლი...
ფლოქვებით რამდენი ბავშვი გაითელა,
რამდენი დაჩეხეს ხმლითა და შუბით.
ნაჯახით მოჭრილი თავი რამდენი
ჯალათის ფეხებთან მიწას ეხლება...
ქალაქი ინგრევა, გაისმის გოდება
და კახპა გველივით ყელზე გეხვევა.

* * *

სასაცილოა ჯავრის ყრა, დასჯა.
თვითონ მამძიმებს რამდენი ცოდვა...
არადა ალბათ ცოტა დრო დაგვრჩა,
თავზარდამცემად, სასტიკად ცოტა.
ოც წელს კი არა, ასს ვერ ვიბევრებ.
შემოეპარათ ხეებს სიყვითლე...
ვინ გააჩერებს ამ ბრიყვ სიბერეს,
ვინ დააკავოს შმაგი სიკვდილი,
მივმართავ წარსულს — სხვა რა
ღონეა —
და მემუქრება ისევ დარბევით...
ჩვენ მთაწმინდაზე ვსვამდით კონიაკს

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]რიალი და [illegible] დარბაზში.
[illegible] [illegible] [illegible] გვაბრალებს.
ჭვევით ქალაქის [illegible] [illegible]...
ამ თოვლის დარი თმები გაქვს ახლა.
ამ შავი ღამის ფერად იღებავ.
თავბრუდამხვევი შეგრძნება ახლის.
მწვავდნენ ტროფობა
და პოეტის ხელობა...

ვინ დაიჯერებდა თბილისში [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] ვეცოდი.
[illegible]წლები არ გვეყოფნენ [illegible] და
მარჯანს.

ცეცხლმა დაბუგა მათი ავ-კარგი.
შემაძრწუნებლად ცოტა დრო დარჩა.
ალბათ იმისაც უქმად დავკარგავთ.

## ვერა

პიჯაკი ტანზე მორგებული,
დგახარ და აბოლებ ვერაზე...
სუყველა ქალია ორგული,
სუყველა საცოლე ვერაგი.
მწუხარე, ჩუმი, ფერმიხდილი
აქ იყო ძველთაშესალაგი.
ჰო, აქ იწყებოდა სიკვდილი
და აქ თავდებოდა ქალაქი.
ამას ვერ გაიგებს ვერავინ —
გასრესილი ლალატის მარხილით —
რამდენი ქალი ვერაგი,
საწყალი, მიწაში მარხია.
ძირს მორალისტების სიძტკიცე,
მათ ყალბი ენები მოკვეთეთ.
ღვინით გავიმარჯვებთ სიკვდილზე,
როდესაც მთვრალები მოვკვდებით.
ბალი ყვავილებით მორგული,
მიდით გაბით ფერხული...
ცოცხალი ქალ ის ორგული?
მოკლული ქალია ერთგული?
ვინც არის და ვინც ყოფილა,
ყველა ქალს ცოდვების შენდობა...
სასაფლაოს ფილოსოფია,
წინ — ფილარმონიის შენობა.

## დუელი

მძაფრმა არაყმა და თეთრმა ქალებმა
რამდენი ჭირი დაგმართეს...
ამ ძველი სატრფოს გაიდეალება
დრო არის, დრო არის დამთავრდეს.
გარშემო ყრია ქალაქის ნაგავი,
შორით ტყეა და ხნულები.
პირისპირ დგახართ ხელში ნაგანით,
ოც წელს გრძელდება უაზრო დუელი.
მკერდში მოხვედრილი ტყვიები
დნებიან.
ცოტაც და სიკვდილი ნახავს ხეირს...
შამპანურს სვამენ და ვერტმფრენებიდან
ნაცნობები
უცქერენ სისხლიან სეირს.
გასროლა გასროლას ზედიზედ მოსდევს,
მთვრალი მზე ზეცაზე დაქანაობს...
ჯობია სატრფოს გასროლით მოკვდე,
ვიდრე სიბერემ გაგათაოს.
დაგრჩა სიცოცხლე გრძელი თუ
მოკლე,
ჯანდაბას, არც გინდა შეიტყო...
ჯობია სატრფო ტყვიით მოკლა,
ვიდრე ცოლად შეირთო...
იცოდნენ არაყმა და თეთრმა ქალებმა,
უთხარი უიღბლო ვარსკვლავს და
მოვარეს
ამ მკვლელი სატრფოს გაიდეალება...
ნურასდროს, ნურასდროს დამთავრდეს
წივიან, სტვენენ ტყვიები სულელი,
სხეული მათ ვერ ისხლეტს...
იქ შორით ტყე არის, გრძელდება
დუელი,
სჩქეფს ჭრილობებიდან სისხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რესტორანი

[illegible]
მჯერა სულა მართლა.

დელა-ოდელა-ოდელა:
ეს რესტორანი „სამაია",
ყავისფერ ქურს თითქოს ობი აქვს.
თამადა — ყბედი და მთვრობელი...
ქალი ლამაზი ჯობია,
ღვინო კი სჯობს მათრობელი.
სადამო არის სამაისო,
ხოლო მწუხარება სამმაგია.
რა დავაშავე სამაგისო,
ბალის რესტორანო „სამაია?"
„ფუქია სევდის მოწოლა,
ხედავ გაშლილია მაგიდა,
ღვინოს სვამ, ქალებს მოსწონხარ,
სხვა ამის მეტი რა გინდა".
სევდას მე თავს არ გავუყადრებ,
თუ ხელს გამიმართავს ბედი.
მე მინდა ერთ გოგოს ვუყვარდე,
არაფერი ამის მეტი.
ბალს მთვარეშ სხივები მოფინა.
დელი-ოდელა-ოდელა...
არა, ეს ახლა არ ყოფილა,
ეს წინათ იყო ოდესღაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენო კალანდია

## ავტოპორტრეტი ორშაბათის ფონზე

ორშაბათიდან ვიწყებ სიყვარულს.

ორშაბათს, ალბათ, დამესიზმრები, —
შენი ღვთიური, ნაზი პროფილით.

ორშაბათს გიხდი ხალხმრავალ ქორწილს,
ყველა ლამაზი ქალის სახელით.

ორშაბათს ხეფის გვირგვინს დავიდგამ,
ორშაბათს შავი ღვინით დავთვრები.

ორშაბათს ყველა მიყვარს, ძვირფასო,
ორშაბათს ყველას ვუყვარვარ, ვიცი.

ორშაბათს განძის მფლობელი ვხდები, —
საკუთარ სულში ვპოულობ ოქროს.

ორშაბათს შენთვის ვყიდულობ ვილლას.

ორშაბათს შენზე ვიფიქრებ მხოლოდ,
ორშაბათს გეტყვი: მიყვარხარ ძლიერ,
კოცნით, ალერსით აგივსებ უბეს.

ორშაბათს გავხსნი ხატერისა ციხეს,
ორშაბათს ფეხქვეშ ჩაგივარდები.

ორშაბათს ჯვარზე გამაკრავს, ალბათ,

იუდა — ვერცხლის, ალაფის მეტრფე.

ორშაბათს გიჟის პერანგით ვივლი.

ორშაბათს სიკვდილს ვაპირებ შენთვის,
ორშაბათს უფლის საფასურს ვიხდი.

ო, საყვარელო გემშვიდობები,
თოვლით, თრიაქით სავსე ორშაბათს.

ორშაბათს ყველა იქნებით ერთად,
მე არ ვიქნები, ძვირფასო, მხოლოდ.

ორშაბათს ამ ლექსს ვერ წაიკითხავ,
ვერ გაჩერდები ოთახში მარტო.

ორშაბათს ვარდის ჩაიცვი კაბა,
ამომაკითხე თვალებზე ცრემლით,
გამოუცვალე ყვავილებს წყალი,
ორშაბათს,
ორშაბათს,
ორშაბათს!..

* * *

შავი კაცი შავი ცხენით,
თექის შავი ნაბადით,
ჯავახეთის ზეგანს მისდევს,
ქედებს ჩორთით გადადის.

ეშურება უცხო მხარეს,
სერით, მწვანე ველობით,
უფლის სახლის მოლალატე —
რწმენით, რჯულით, ქველობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალი ხელი ხმალზე უდევს,
ცალით ალვირს ენდობა.

ჯავახეთის ზეგანს მისდევს
მზის ოცდარვა ქველობის.

* * *

აქ, სადაც ძველი მოყვარე სახლობს,
მელანქოლია. წვიმები იცის;
ყამიყამ ტყისპირ გაკრთება კვიცი,
აჰყვება ცქაფად საურმე მაღლობს.

და უცებ ვხვდები: მღალატობს თვალი,
მღალატობს სიტყვა... წყეული რითმა,
ვით ლესბოსელი შიშველი ნიმფა,
მდინარის წყალში ბანაობს ქალი.

## სისხლის ყვავილი ამოდის ზღვიდან

სისხლიანია ჩემთვის ივლისი,
ქალაქის ქუჩა, ქვაფენილი, ბაღის ხეები,
სისხლის ყვავილი ამოდის ზღვიდან.

ოქროსთმიანი დგას ანგელოზი
პალმების ტევრში და სინათლეში.

ჩემო საწყალო, საბრალო ძმაო,
რა გემართება ზესკნელის პირზე?!
საით გაგირბის წყეული ფიქრი?!

მწვანე სასმურში საწამლავი გისხია
ჩემთვის,
უბეში დანას, ღრიანკალს მალავ...

არ გაიქრება ვარსკვლავი ორად,
არ აყვავდება ლაჟვარდები, ტბები
ბრმა თვალში.

მზე ჩაიბრუნე სინათლედ სულში,
მრავალჟამიერს ჩაჰკიდე ხელი,
ჩაჰკიდე ხელი ოდოიას — მიწის
ღვთაებას,
მორდუს ნათელ ბილიკზე გადი.

ის შინდისფერი ახალოხი, წულა —
მესტები,
დოლში, ქორწილში მოგიხდება
კვლავინდებურად.

არ გაიქრება სათვალავი ორად,
არ გაივლება ახალი კვალი.

შურისძიების, სიძულვილის ყვითელი
ხვატი
ჯერ სხეულს დაშლის, მერე სალოცავს.

შაშვის ხმას, მერცხლის სუფთა
კრიმანჭულს
მოგტაცებს ქარი — ქვიშისფერი
მგელი ტრამალის.

თურაშაულის, ვარდის პატრონი
ყინულის თეთრი ქოშებით ივლი.

ჩახვალ — ჩაყვები უფსკრულის
ღარებს,
ჩრდილოვით ჩალმა ჩაილევი, ჩაიკარგები.

არ გაიქრება ეს გული ორად,
არ გაივლება ორნატი შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ქალი, რომელიც მიყვარს ძალიან
ქუჩაში მხვდება მწარე ღიმილით,
ქალი, რომელიც მიყვარს ძალიან
არის მწუხარე და ფერმიხდილი.

ქალი, რომელიც მიყვარს ძალიან
ქალაქის ჭრელი ჯოგის მსხვერპლია.

ქალი, რომელიც მიყვარს ძალიან
სახლში პატარა დები ელიან.

ქალი, რომელიც მიყვარს ძალიან
ჩემი მტკივანი — სველი თვალია.

ქალი, რომელიც მიყვარს ძალიან!..

## თვალთაი

თქვენ, რომ ქალი გყავთ, ბატონო,
იმისი ეშხი სხვა არი,
ია-ქუექუნა თვალები,
თითქო მაისის ცა არი.

იმისი ძუძუკოკორი
აქოჩრებული ზღვა არი,
მთვარით ნაბექდი ნაწნავი
საშემოდგომო ძნა არი.

იმისი ირმის ფეფენი
საუფლისწულო ტყე არი,
თვალთაის მომფერებელი
მანათობელი მზე არი.

იმისი თაფლის სიტყვები, —
ფუტკრის ახალი სკა არი,
ჯეჯილში ამოფეთქილი,
წყაროს ცისფერი ხმა არი.

ბალახში გადაწვენილი
ნიავის ნაზი ფრთა არი,
ჩემებრ ნაგვემი, მარხულის
მაცოცხლებელი ფშა არი.

ეზოში მაჩრდილობელი
იაგუნდისა ხე არი,
მწუხრისპირ ლოცვა-კურთხევის,
აღდგომის თეთრი დღე არი.

ბეთლემით გადმოფრენილი
ღვთისმშობლის ღვიძლი და არი,
ზაფხულის მწვანე ფოჩებში
გამოხვეული ზმა არი.

თოვლში, წვიმაში, წყვდიადში
იმედის მფენი გზა არი,
უფსკრულზე გადაკიდულის
უკანასკნელი ხსნა არი.

## ოთხი სონეტი

* * *

უფლისწულები, დედოფლები, ბრძენი მეფენი,
ჟამთა სროლაში გაფანტული გროვა ლოდების,
უსასრულობის მოსახვევში მკვდარი ფოთლები,
ლაჟვარდის წყალში მონათლულნი, ღვიძლნი ბეთლემის.

უფლის წინარე ალვლენილი ჩუმი ვედრებით,
შენდობას გვთხოვენ, მეგობრებო, ყოველ საღამოს,
მათთვის ქარივით ცვალებადი იყო სამყარო,
ლოცვანთან ერთად უნათებდათ გზას კელაპტრები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდანებს ჰგავდნენ სანთლისფერი, სწორი ნაკვთებით,
ვარდის ფურცლებით, ვაზის ჯვრებით, მუხის აკვნებით,
აღსავლის კართან გარდახდილი მძიმე ბრძოლებით.

საკურთხეველთან წამებული დგანან ჩრდილები,
ოდეს ქორებულ გამყივარნი, ფრთაგაშლილები,
მზეს მიჰყვიან წეროები — მალემსრბოლები.

* * *

ფორთოხლის ბაღით გადაფრინდა ფორთოხლის ჩიტი,
ღრუბელთა ზედა, ცათა შინა დაიდო ბინა,
ვით იის წყალში სალამოსპირ გამდნარი მინა,
შემოდგომის მზე ილანდება სამხრეთის კიდით.

ხავერდის მთვარეს უთვალთვალებს ხავერდის კატა,
სარკმელში ქონავს შეღამება და თაფლის წვეთი,
ვით პირველქმნილი ანტიური სასახლის სვეტი,
ეგ ღვთაებრივი სილამაზე გილეწავს სახსარს.

თიბათვის შუქზე გაიშალა ზაფხული შენი,
დაისის ცრემლში, მირაჟებში დაგეძებს რიდით,
პოეტის ფიქრი — მარტოსული ყვავილი მინდვრის.

სექტემბრის ყვითელ საფეთქლებზე კანკალებს წვიმა
და იაგუნდი — სიყვარულის უცნაურ მძივად,
საკუთარ სისხლის მდინარეში მიცურავს შველი.

* * *

დაისის სუნთქვა... დიადემა... შუქით დაღვრილი,
მკათათვის ცხელი ღამეების მჭვირი ბალზამით
გადავერცხლილი სასაფლაო, თეთრი დარბაზი,
წინამძღვრის ეზო, საკმეველი თაღი მაღლივი.

ლოცულობს იგი, — მარტოსული, მარტოვედრება.
მუხლებზე უდევს ცრემლნაწვიმი წმინდა ბიბლია,
სახეს ოვალურს უთინათებს სხივი ირიბი,
მაღალ სარკმლებში ფაიფურის ცა იფერფლება.

ოცნების გედი, მწუხარების ლურჯი დობილი,
ცის საიდუმლოს, ლიტანიას ღვთით განდობილი,
დიდმარხვის შაბათს ამოსული სიზმრის ყვავილი.

ანგელოზების მესაწოლე, ნაზი მხევალი,
შემოდგომების ოქროსფერი მზით ნაფერალი,
მაცხოვრის კრავი, ნიამორი, ზეცის მარილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თქვენს მაღალ ფეხებს, — განათებულს ზამბახთა შუქით.
ვით მარმარილოს უნატიფეს,ვარდისფერ სვეტებს
ვუძღვნი ამ სონეტს, — სიყვარულის ანტიურ ბეჭედს,
ცისფერი სკივრით, საკეტურით, თავისი ლუქით.

თქვენს ლამაზ თვალებს, — გაზაფხულის ღვთაებრივ მზეებს,
ჩემი ცხოვრების უზენაეს და წმინდა მსაჯულთ,
ვუძღვნი ამ სონეტს, — რომაული სასახლის მარჯანს,
ძვირფას თვლებივით მიმობნეულთ მეტრფეთა გზებზე.

თქვენს ლამაზ სუნთქვას, — ჰაეროვან მაისის სუმბულს,
თავსასთუმალთან მოფარფატეს, ვით ზეცის ალებს,
ჩემი ცრემლების ნიაღვარი წალეკავს მალე.

თქვენს ნატიფ სხეულს, — თეთრი ზღვების ნისლივით მსუბუქს,
დილიდან გამდნარს სარკეებში, ლაჟვარდის ბროლში,
ვუძღვნი ამ სონეტს, — გამოკვეთილს გრანიტის ქვაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

# ოთხი მოთხრობა

## წყალობა

ნისლი ფარავს ადამიანთა მიერ წახდენილ პეიზაჟებს...

ბატონ ლევან გოთუაზე ვისაუბრებ, დიდ, დიდად ძალოვან კაცზე.

პირველ ყოვლისა, ხელები ჰქონდა დიდი და ძლიერი. მხოლოდ ასეთ ხელებს შეეძლოთ შუადღემდე მოენგრია მიწისქვეშა სანგრევების ღლიური ნორმა, შუადღის შემდეგ კი, ისევ იქ, მიწისქვეშ, გასახვევ ქაღალდზე ფანქრით ეწერათ შემაშფოთებელი ამბები სადღაც შორს დარჩენილი პატარა ქვეყნის საქართველოს ცხოვრებიდან. თავად ხომ სულ იქ იყო, პატარა საქართველოში, ლაპარაკობდა ხმამაღლა, ქართულად, იცინოდა კიდეც, მხიარულობდა კიდეც, წყრომით ხომ — წყრომა იყო მთლიანად, წყრომის ღრუბლად შეკრული, ხელები იმ დროს ამჯობინებდნენ ზურგს უკან ყოფნას.

გადასახლებიდან დაბრუნებული ბატონი ლევანი შეჭიდებული იყო არმაზის მტკვრისპირა კლდესთან, იქ ანგრევდა, გამოქვაბულს აკეთებდა, იქ უნდა ყოფილიყო მისი სამუშაო კაბინეტი, დაბლა მხრების გრეხვით მიედინებოდა მეღიდური მტკვარი.

თვალწინ მიდგას, როგორ გამოჰკრა ერთხელ მანქანის სახელურს, გაბრაზებულმა, და როგორ შერჩა ის სახელური ხელში, მინახავს მისი მომუშტული მარჯვენაც, ცისა და მიწის შუამავლად მშფოთი, მგრგვინავი იყო მისი მრისხანების ხმა, ღიმილი იცოდა ფართოდ გადაფენილი, ალერსიანი, თითქოსდა სასიკეთოდ ილებოდა ცა.

ჩემი მხრიდან მე ასე შემიძლია თქმა: მასლაათს გაურბოდა, ისეთ მასლაათს, თავად რომ უნდა ყოფილიყო მთავარი გმირი, ერთი ეს მახსოვს, ეს ამბავი, შეჭირვებით თქმული, — მოტეხილ ლუკმას რომ აღარ აწევინებდა ზევით, — ამის ჩაწერას ვცდილობ.

მაპატიოს ბატონი ლევანის მაღალმა სულმა, თუ მე მთლად მისებურად, მისი ხმით ვერ მოვიტან ამ ამბავს, მეგობრებო, თქვენამდის...

კახეთში ვიყავით ბატონი ლევანის „ვილისით“, გაზაფხული იყო, მაისის დასაწყისი, წინა დღის ნაწვიმარი, იმ დღესაც ღრუბლიანი, გავჩერდით მაშინ სახელგანთქმული ჩაილურის გზისპირა ბაზართან. მაშინ იქ ნამდვილი ბაზრობა იყო — დახლებით ზედდაწყობილი ბაზრული რაგინდარათი; უმთავრესად მაინც მგზავრთა დასაპურებლად — შემწვარი და მოხარშული ქათმები, შოთები, ყველი, მწნილეული; დასაყოლებელიც — ღვინო, არაყი, რაც მთავარია, არ იყო შემდეგში გამეფებული გიჟური სიძვირე.

ბატონი ლევანი სახეგაბრწყინებული ათვალიერებდა დახლებს, გამოელაპარაკებოდა ხოლმე იქ მდგარ კაცებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალებს: სადაურები იყვნენ, სად იყო მათი სოფლები, რა ჰქონდათ თავმოსაწონები იქაურებს. ერთმა თქვა, თითქმის ორმეტრიანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გვყავსო. ბატონმა ლევანმა ჰკითხა, რამდენი აკლიაო. გლეხს თვალები გაუდიდდა, მერე გაუბრწყინდა, — ორ მეტროს შვიდი სანტიმეტრი, ისე კიდევა, მხრებს ზემოთ ტყუილად დაუწყებ ძებნას რამეროუმეებსო.

ერთი ქალის პასუხმა კი აშკარად ძალიან ჩაუმუქა სახე ბატონ ლევანს. იმ ქალმა თქვა, — ყანდაურელი ვარო, ზემო ყანდაურელი. მეტი არაფერი, ხნიერი ქალი იყო, შალში გახვეული, სიცივისაგან თუ დარდისაგან დაპატარავებული, ყველს ყიდდა, ოდნავ მოლურჯო მაგარ თუშურ ყველს, ორ კილოგრამამდე იყო დარჩენილი. ბატონმა ლევანმა სულ იყიდა ის ყველი, იყიდა შოთებიც, ვიყიდეთ ერთი შემწვარი ქათამიც. ცხრა იყო დაწყებული. მანქანაში ჩავსხედით, ცოტა განზე გავდექით და იქ გავშალეთ გაზეთი სუფრად, და აი, ამ სუფრასთან, მანქანაში, გვიამბო ჩადარდიანებულმა, დაძაბულმა ბატონმა ლევანმა:

— აგერ, აი, მკვრივი ღრუბლები რომ არის ჩამოწეული ცივიდან, ყველი რომ ვიყიდეთ ყანდაურელი ქალისაგან, ის ყანდაურა იქ არის, იმ ღრუბლებში, ქვემო და ზემო ყანდაურა. მე ერთ ზემოყანდაურელს ვიცნობდი, გზაზე გავიცანი, ვაგონში, მერეც ერთად მოგვიხდა ყოფნა, სანგრევებში. წელიწადზე მეტს ხანს, ძველებური კარგი სახელი ერქვა, — წყალობა, წყალუასაც ეძახდნენ.

მე გავუბედე, — თან ლუკმაც მიირთვით-მეთქი, ბატონო ლევან, რამდენი ხანია, ეგრე გიჭირავთ მოტეხილი პური. ქვემოდან ამომხედა, პურის ნატეხი გაზეთზე დადო.

— თქვენც გეცოდინებათ, როგორი ვაგონებითაც დაგვაბრძანებდნენ პატიმრებს მაშინ, გეგონებოდათ, სხვადასხვანაირი დესანტი ჩამოუსხამთო სხვადასხვა ჯურის მტრებს, თვალმოუშორებლად აკვირდებიან ჯგუ[illegible] მანეთს, ქანაობს, ქანაობს [illegible] შიშში, და მაინც... მოჩაჩუნდა ჩვენთან, უკრაინის დასაწყისშივე, ერთი მეტად თეთრი, სახეშეშუპებული პატარა კაცი, ძლივს ატრიალებდა ენას, მე ვარო მღვდელი, მოხდოკელი მღვდელი, მღვდლები იყვნენ ჩემი წინაპრებიც, — ბოლომდე ვერ გაებედა ვაგონის თავისკენ გახედვა. — თქვენც ქრისტიანები ხართ, ქართველები, მართლმადიდებლები, თქვენ უნდა შემოგჩივლოთ, მე ეგ ნაძირალები გაფუქებას მიპირებენ და დახმარებას გთხოვთ, თქვენ გთხოვთ დახმარებას, ქართველ ქრისტიანებს, სიკეთით დიდად სახელგანთქმულ ხალხს, დამეხმარეთ, ნუ ჩამაგდებთ მაგ ჯოჯოხეთიდან გადმოსულების ხელში, თქვენთვის მლოცველი ვიქნები ჩემს სიცოცხლეში, მოვკვდები და იქაც გულითადად ვილოცებ თქვენთვის.

უკვე ვიცოდი, ვისზედაც ლაპარაკობდა. ყველგან ამოიწევიან ხოლმე ეგეთები, პროფესიული სადისტები, მკვლელები, მუდმივი ხითხითი რომ ამოდის მათგან, როგორც რომ კვამლი ახალგამოღვიძებულ ვულკანიდან, თავიანთთავის აქვთ დამტკიცებული მთელი ეს ქვეყანა, მოისხანების ლობე აქვს შემოვლებული მათ მაღლობს, ვერავითარი გზავნილობა ვერ მივა ადრესატამდე, თუ ჯერ მათ არ გაჩითეს და ამოიღეს, რაც თვალში მოუვიდათ. რაშია მათი ძალა? დაუნდობლობაში, თავზარსა სცემენ ყველას.

ისედაც მაღრჩობდა ზოლმა იმ იქედნეთა მაყურებელს, გულზე მაზიდებდა იმათი მზერების შლა, პარპაში, იმ მღვდელმა კიდევ მთლად ცეცხლი მომიკიდა. მე ვიყავი ქართველი, ჩვენი კოტე, იცნობთ ყველანი, მამია. იმასაც იცნობთ, კისერსქელს, ორსიც სხვები — გამოლანგველები. მაგრამ იყო კიდევ ერთი, ყანდაურელი, ასე ეძახდნენ — ყანდაურელოო, ოცდახუთის თუ ოცდაექვსი წლის — იმსიმსხო, ქოხივით დაიძვრებოდა ხოლმე ადგილიდან, დაიძვრებოდა დიდი-დიდი დღეში სამჯერ, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარჩენი დრო. წამოწეული ჰქონდა შავი ბუშლატის საყელო თავზე. თავი ჰქონდა ტაროთი გადახუზული, ცოტა წოწოლა. ფრჩხილის სიმაღლე თმის ღერები ლურსმნებივით ესხდა. შავი და თეთრი ლურსმნებივით. ჭაღარა ჰქონდა გარეული უკვე. ხელით რომ დაწოლოდი იმ თმაზე, აგატუნებდა მაღლა. მიწოლილი იყო ვაგონის კედელთან და ეძინა. ეძინა თუ ისე, თავისთვის იყო მოლუშული, ყოველშემთხვევაში, სულ არ ცდილობდა ამ ქვეყნისკენ მობრუნებას.

რა უნდა მექნა მღვდლისთვის? რაღაცნაირად დავამშვიდე. მე კიდევ ჯერ იმ ჩვენებს მოველაპარაკე, მოველაპარაკე სომხებსაც, მერე მივედი ყანდაურელთან და დავუწყე გაღვიძება. როდის, როდის გაახილა თვალი. ჯერ ეგრევე მიყურა ქვემოდან, მერე წამოიწია, წამოჯდა, მიყურებდა ეგეთი თვალებით, რაღაც ახალს და დიდს რომ დაინახავს კაცი. არ დამიწყია გრძელი შესავალით, ვუთხარი, რომ ქართველი კაცი იყო, ნათესავ-მოკეთეების პატრონი, აგერ ის ბინძურები, თავში რომ სხედან წრედ, ყველას გვიპირებენ გაფუჭებას. შენ რას იტყვი-მეთქი, შენი მხრიდან? ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს „გაფუჭება". ავუხსენი პრიმიტიულად, ბინძურად. ნელა დაეწია ყბა, ვეება, ხორკლიანი ხელი დაიდო იმ ყბაზე, ძლივს გამოატარა ღიმილივით რაღაცა თვალებიდან — მე რა გავაკეთოო? — არ უნდა გაგიძნელდეს-მეთქი. მიდი და აგერ, მწითური რომა ჰყავთ, წითელპირიანი, ჯერ ლუკმა წაჰგლიჯე, მერე შენ იცი, არ კი შემოგაკვდეს, მაგრად გაჰკირო, როგორც შეგიძლია.

თურმე სულ ხუთიოდე სიტყვა სცოდნოდა რუსულად: ვადა, დავაი, დენგი, ხლებ, ტიურმა... და ცუდი სიტყვები. დამთავრებული არ ჰქონდა დარიგება, წავიდა ხავილით, ხელებაწეული, სხვებზე გადაბიჯებით. გაკვირვებულნი მისჩერებოდნენ ყველანი, ის მბრძანებელიც. მწითური წასწვდა იმ მწითურს,

— დაავაიო, — გამო[illegible] გაგიჟდა მბრძანებელი, მაგრამ უარესად გაგიჟდა ყანდაურელი — ეცა ყელში ვეება ხელებით, დასწია დაბლა, ზემოთწასული, დააკრა იატაკს და დაუწყო ზედ თავით ნათქუნი, დაესისრბო. ეხოხებიან, ურტყამენ, წავეშველენით ჩვენც, ჩვენი სიგიჟით, ხმებით, და ხუთიოდე წუთში გათანგულები გვყავდა ყველანი.

ყანდაურელი მე მიყურებდა. — რა ვუქნათ! — მევანიშნე, ეშვა სულ ცოტათი, მე გამოვუცხადე იმ ბნელებს, — რაიმე არაწესიერი თქვენი მხრიდან და დაგცხრეწავთ შუა-შუა-მეთქი. ყანდაურელის მაყურებლებმა უცებ დაიჯერეს ეს და დაგვენებდნენ. მონებსავით ჰქონდათ ჩაღუნული თავები — ახლა კი ცოტა გაბედულად ელიმებოდა ბუშლატჩამოხეულ, სახედაიარებულ ყანდაურელს. წავიდა და ისევ ვაგონის კედელთან მიჯდა.

. . . . . . . .

რაზე იჯდა ის ყანდაურელი? ლორის კოლტი ჰყოლოდა საკუთარი, ჩამოურთმევიათ, მისდგომია ცულით და შვიდი თუ რვა ლორი დაუჩეხავს. ერიდებოდა ყველას თვალებს, თვით ბანაკშიც კი, რაღაცნაირი ჩურჩულით ეშვებოდა ხოლმე სანგრევში, თითქოს უკანასკნელი იყო ეს ჩასვლა, არაფერი კი არ იყო ნორმის შესრულება მისთვის. მოვიდოდა, ბოდიშს მოიხდიდა, ვიქნები აქ სადმე, თქვენს შორიახლოსო. მე მეღიმებოდა და ვცდილობდი, მშვიდად ყოფილიყო ჩემთან. მოვიდოდა სულ ახლოს, გამოსწევდა კლანჭივით ხელს და მეტყოდა: — ვის გამოვაცალო ნეკნები, მითხარიო.

დიზენტერია შეხვდა, არ შეეპუა, ჩვენ როგორც ვიცით, ქართულად, და იმან იმსხვერპლა სექტემბერში. ჩვენთან რომ გახურებული რთვლებია. საშინელი იყო მისი უკანასკნელი დღეები, შეშასავით ეწყო დიდი, გამხდარი კიდურები, თვალები კიდევ — პატარა ბავშვებს რომ სიცხით აქვთ ხოლმე აპარპალებული. მერე დაუწყო გაცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა თვალებმა. — დედაჩემს არ გააგებინოთ! დედაჩემს არავინ გააგებინოსო! — ერთს ამას იმეორებოდა, ამოსწია ხელები და ეგრევე დალია სული. მე ამოვუწმინდე უკანასკნელი ცრემლები...

ჩვენს გმირებზე რომ ვფიქრობ, წარსულის გმირებზე, ერთ-ერთი ის ყანდაერელი დამიდგება ხოლმე თვალწინ, ეგრე წავიდოდა მტერზე, ციხესავით! თან საჭელი, რა სახელი ერქვა, [illegible] წყალობა! რამდენი ეგეთი [illegible] ჩაამიწეს ჩვენი ქვეყნის იქით, მათთან ერთად მთელი მათი მოდგმები, თითქოსდა ზვავებად წამოსასვლელი მთელი მათი მოდგმები...

ბატონი ლევანი მანქანიდან გადავიდა, იდგა, მერე გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, იჭედებოდა მაღლა, სცრიდა, ეტყობოდა, სიამოვნებდა ეს ცრა...

## ტყვეები

დიდი საავიაციო ქარხნის ზემოთ, მუშათა მატარებლის გაჩერებაზე, ყავისფერი თბილანა ვაგონის გრძელი შემადგენლობა გაჭიმულიყო. ყოველი ვაგონის წინ ორ-ორი ავტომატიანი სამხედრო დააბიჯებდა. ვაგონებიდან თუნუქის საწვეთურები იყო ჩამოშვებული. საწვეთურები ადამიანთა განავლით იყო გათხიპნილები, თითქმის ყოველი მათგანიდან მსხვილ-მსხვილი ყვითელი წვეთები ჩამოდიოდა.

ქარხანაში და მის მომიჯნავე უბნებში შემაშფოთებელი ხმები გადადიოდა: ქარხანასთან, ხრიოკ გორაზე გაჭიმული თბილანა ვაგონები გერმანელი ტყვეებით არის სავსეო. არაფერი კი არ ეტყობოდა ვაგონებს, მხოლოდ აქაიქ ადიოდა პატარა ორთქლები.

წვრილფეხობა ხომ იყო გამოფენილი მატარებლის საყურებლად, იყვნენ დედებიც — კაცებიც, ქალებიც, ბედავდნენ და ეძახდნენ სამხედროებს: — ძმებო, მართლა გერმანელი ტყვეებგყავთ მაგ ვაგონებშიო?! სამხედროები არ პასუხობდნენ. მათ ნაბიჯებს თითქოს სიმტკიცეც კი ემატებოდა. თებერვლის მზიანი დილა იყო, ცივი, აქა-იქ, მყუდროებში, მწვანედ ბზინავდა ადრეული ბალახი, რამდენიმე მაწანწალა ძაღლიც გაკვირვებული შეჰყურებდა იდუმალ მყრალ მატარებელს.

ბოლოს ქალაქიდან „ვილისით" მოვიდა ოფიცერთა ჯგუფი, ზემოდან, მატარებლიდან ჩამოეგებნენ იქაური ოფიცრები, სამნი, ცოტა ხანს ილაპარაკეს. ქალაქიდან მოსული ოფიცრები ისევ მანქანაში ჩასხდნენ, წავიდნენ. მატარებლის ოფიცრებიც ავიდნენ მაღლა. გადადიოდა რაღაცა ხმები. გამოჩნდნენ ჩვენი უბრალო ჯარისკაცებიც, სამხედრო მუშები, ვაგონების კარები გააღეს, ყვიროდნენ: — გადმოდითო, ჩამოდითო! გამოჩნდნენ სულ სხვა ფერის გერმანელები, ხელების სავსავით მოდიოდნენ კარებთან, ძლივას ახერხებდნენ ჩამოხოხებას — ყვითლები, დაჭმუჭნულები, ჰაერში მოქანავენი, ვაგონების წინ აყენებდნენ ჩამოსულებს. ზოგი ვერ უძლებდა დგომას, ჯდებოდა იქვე, მიწაზე, ავტომატიანი სამხედროები უყვიროდნენ მათ: ადექით, დადექით ფეხზეო, მაგრამ გერმანელებს თითქოს არაფერი ესმოდათ, მაინც დაძრეს ის ჯგუფები, ჩამოიყვანეს დაბლა. ზოგი მოფორთხავდა ხრიოკ მიწაზე. პატარა გავაკებულზე შეაგროვეს ყველანი, აქ უბრძანეს, მიწაზე დასხეს, ვერცერთი ფეხზე მდგომს ველარ იტანდნენ, ძალიან ბევრნი იყვნენ ტყვეები, ვის რა ეცვა, ვის რა ეხურა, რანაირად დაელოთ პირები! ავტომატიანი სამხედროები ავიწროებდნენ. — მიიწიეთ! მიიწიეთო! ჩანდა, ტყვეებს სცოდდათ, თითქოს კმაყოფილნიც კი ეხუტებოდნენ ერთმანეთს, რამდენიმე ტყვემ რუსულადაც დაიძახა: „ხლება", „გოლოდ", „ხლება". იმათ ავტომატები მიუშვირეს სამხედროებმა. ჩააჩუმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაინც მოხდა საოცარი რამ. ქარხნაში ტყვეობიდან ევაკუირებულნი მუშაობდნენ ათასობით — კაცი, ქალი. უნდა გეთქვა, რომ ისინი მაინც ქვებს მიაწყდნენ პურის მაგივრად. მაგრამ არც გაიღეს ხნიერმა ქალებმა. სადღაცაც ამოჩინეს პურის ნატეხები, ნაჭრებიც, ხილიც, უყრიდნენ ტყვეებს. ტყვეები ცდილობდნენ მაგრამ დაეჭირათ საჩუქრები, იძახდნენ მადლობას — „სპასიბო". — ავტომატიანი სამხედროები ახლა უკვე ჩვენებს უტევდნენ დაიწით, თორემ ჩვენ უფლება გვაქვს გესროლოთ კიდევაცო. დასწევდნენ მოზღვავებულებს უკან — ერთხელ, მეორედ. ერთ ძლიერ რუს ქალს ორი მეავტომატე უჯიკავებდა. ქალი ყვიროდა:

— მაინც ჩემი შვილია! ჩემი შვილი!

— როგორ, შენი შვილი?!

— ჩემი შვილია, პიანისტი.

— რომელი რომელი?

— აგერ ის, პატარა, ყვითელი რაღაც რომ ხურავს.

მატულობდა და მატულობდა ხალხი, მოაწვნენ სამხედროებსაც. რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთებიც ქვებს და გორახებს რომ ესროდნენ ტყვეებს. ერთმა ქართველმა ხნიერმა ქალმა კისერში სტაცა მის წინ მდგარ ქალს. — რას შვრებით, ეგათ მეორედ მოსვლაათ, — ანიშნა გორახებზე. კიდევ კარგი, რომ უმეტესობა ისევ პურსა და ხილს უყრიდა. უკვე ირეოდა ყველაფერი, თითქოს მზე მიადგათო ტყვეებს. სამხედროებმა რამდენჯერმე ავტომატის ჯერი აუშვეს მაღლა. ამაზე ცირენით დაიხია ხალხმა უკან.

— ჩემო შვილო! — მიიწევდა წინ და ტიროდა ლონიერი ქალი.

— ჩემო შვილოც! ... განკალებდა საცოდა... ხდარი ქალიც.

და კიდევ კარგი! დროზე მოვიდა ბრეზენტგადაფარებული დიდი სატვირთო მანქანა, ამერიკული „სტუდებეკერი", გაჩერდა, კაბინიდან ოფიცრები გადმოხტნენ: — ჩამოდითო! ჩამოდითო! — უყვიროდნენ მაღლა. ჩამოვიდნენ ძალიან სწრაფად ჩვენი ჯარისკაცები. ყველას ხიშტიანი შაშხანა ეჭირა. ოთხმოცნი მაინც იქნებოდნენ. ჯერ ოფიცრებმა უყვირეს ხალხს, მერე — თვითონ ჯარისკაცებმა, კონდახების მიხმარებით მიიწევდნენ წინ. შემოუარეს, წრე გააკეთეს მიწაზე დამსხდარი ტყვეების ირგვლივ. ააყენეს ფეხზე. ვიღაც ჩვენიც ყვიროდა გერმანულად. გაჭირვებით დგებოდნენ. მაგრამ ერთმანეთს შველოდნენ, მაინც ეწყობოდნენ ოთხ-ოთხი ბრძანეს. მიაწვნენ, დაძრეს. ... იყო ყვირილი და ჩახახუნი. შეიყვანეს ქალაქში. მისდევდა ჩვენი ხალხი. აივნებზე და ფანჯრებშიც გამოფენილიყო დიდი და პატარა. გერმანელები ქალაქში გავდნენ საიქიოდან მობრუნებულებს. მათ თითქოს არ ჰქონდათ არავითარი წონა. რაღაც არეულ სიზმრად მიიწევდნენ წინ. ცრემლიანი თვალებით მიაცილებდნენ ქალები.

ორი ქალი კი იქ დარჩენილიყო, ზემოთ, სადაც ტყვეები ისხდნენ ცოტა ხნის წინათ, რუსი და ქართველი. ორივე ცხარე ცრემლით განაგრძობდა ტირილს. ორი მილიციელი უახლოვდებოდა იმ ქალებს. შორიდან იყურებოდა რამდენიმე კაცი...

ერთი კაცი ეუბნებოდა მეორეს: — სულელები არიან! აშკარა სულელები! ორივენი.

## მომნუსხველნი

წინა დღეს მესაზღვრეებთან წაგვიყვანეს ტიან-შანის მთებში. იქ ბევრი რამ იყო უჩვეულო. ჩინელების გავლენით დაკონსერვებული. პირველი — ჩვენს დანახვაზე გაჯგიმული და გაქვავებული ჯარისკაცები. მეორე — ნაწილის დროშასთან მდგარი ავტომატიანი მცველი, რომელსაც არაფერი ეტყო-

ბოდა სულდგმულობისა: ვიდექით, ველოდით, იქნება წამწამები მაინც შეეტოკებინა. მაგრამ ამაოდ. დარბაზი კიდევ. მათი მკაცრი დარბაზი, სავსე იყო სულ სხვადასხვანაირი სახის ჯარისკაცებით, სხვადასხვანაირად უბრწყინავდათ თვალები, სხვადასხვანაირად უღრავდნენ ტაშს. ასეთი მრავალსახოვანი ძალაც ეფექტურია, თურმე, ჩინელებისათვის ომში. ეს პირდაპირ გვითხრა სასაზღვრო პუნქტის უფროსმა — სომეხმა პოდპოლკოვნიკმა გარნიკის ძემ. მან, ამ გარნიკის ძემ, ტანასხლეტილმა, დაძაბულმა ყოველ მხრივ, შეგვიყვანა თავის კაბინეტში, გაჩერდა ხონის რელიეფურ რუკასთან და ავტომატური მანერებით, ავტომატურად მოზომილი ფრაზებით გაგვაცნო: — აი, ხეობა, სადაც ჩვენები აწარმოებენ! გათხრებს. უკვე დასაფარიც აღარ არის არაფერი. ეს არის უძვირფასესი მიწა. ხშირია შემთხვევები, თითო თვითმცლელიდან ხუთი კილოგრამი ოქრო რომ გვრჩება მიწის გარეცხვის შემდეგ. როგორი თვალები იქნება ჩაშტერებული ჩინელებისა ამ ხეობაში, მიხვდებით. აი, აქ, ამ მთების წვერებზე, ჩინელებს ამოჰყავთ საქონელი, არიან გიჟი მწყემსები, ათრობენ აქაურ ხარებს, იაკებს, გაგიჟებული ხარი გადმოდის მთაზე, მას მოსდევს კუდზე ჩაბღაუჭებული ჩინელი გაშიშვლებული დანით, ჩვენ არ ვკლავთ არც ხარს, არც ჩინელს, რაღაც მისტიკური ჩათქმები გვაქვს იმათაც, ჩვენაც, დიდი-დიდი ძაღლი მივუსიოთ, ისიც ერთი, მიბრუნდება ხარი და გაჰყვება დანიანი ჩინელიც. ჩვენ აქ სულ გამოზომილად ვსუნთქავთ. ჩვენ აქ სულ კიბერნეტიკული სიზუსტით ვაკეთებთ ყველაფერს, სხვანაირად არ შეგვიძლია, ჩინეთი უზარმაზარია, უზარმაზარ მტერს უნდა ვხედავდეთ წერტილების სახით, ჰო, სულ წერტილების სახით... დაღლისა არაფერი ეტყობოდა გაქალარავებულ პოდპოლკოვნიკს...

წაგვიყვანეს, საჭმელი გვაჭამეს ჯარისკაცების სასადილოში, დაგვალევინეს ას-ასი გრამიც. მაინც არ გვტოვებდა დაძაბულობა, რომელი[illegible] ჩინელების გამოჩენისას არ[illegible]რმე თავს. პოდპოლკოვნიკმა გარნიკის ძემ ას-ასი გრამიც შესთავაზა, ვისაც კი შეეძლო, პოდპოლკოვნიკი ჩვენნაირი გახდა, იცინოდა და რას იძახდა, იცით, ის ავტომატი? — მთავარი მაინც ბედია, ბედია ამ ქვეყანაზე, ვინ დაგიდგება გვერდით, ვის ხვდები პირის-პირ, ვის ულიმი, ვინ შემოგლიმის შენ, არიან მომხუსხველები, ზარბაზნის ტყვია ვერ დააკლებს ვერაფერს.

მე ეს ჩვენნაირი მორბილება მეორე პიქას დავაბრალე, ქვემოდან შევლიმოდით პოდპოლკოვნიკს...

იმ ღამეს ქალაქში დაგვაბრუნეს, დილით ავტობუსში ჩაგვსხეს, აეროპორტში წაგვიყვანეს, ბილეთები მოგვცეს, მაგრამ ბოდიში მოგვიხადეს, რეისი არაოფიციალურია, ადგილები არ არის დანომრილი. სამშობლოსაკენ შემობრუნებულისთვის რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საათნახევრიან ფრენას დაუნომრავი ადგილებით! ჩვენ ხომ შეგვიშვეს თვითმფრინავში, ამოიყვანეს ტურისტებიც, ისინიც დაუნომრავი ბილეთებით იყვნენ, ისინიც ხმაურით სხდებოდნენ, ვინ სად ახერხებდა, იქ.

მე მარტო ვიჯექი, მოვიდა ჩემთან მეტად ელეგანტური გარეგნობის ქალიშვილი, უფრო — ქალი, უფლება ითხოვა, დავჯდებიო თქვენს გვერდით. ვინ დაუქერდა ასეთ ქალს ადგილს, დაბრძანდა, დაბრძანდა რაღაც სიცილში, ეშმაკურ გამოხედვებში. ეცინებოდა ჩემს მეზობელ ქალსაც. თვითმფრინავი აფრინდა, თითოოროლა სიტყვებით გავარკვიეთ, ვინ ვიყავით და სად მივფრინავდით ახლა. ქალს ერქვა დინა, უთუოდ ზღვაზე ჰქონდა მოკიდებული მზე — თხელს, კარგად ჩამოსხმულს, ლამაზად დაშვებული წაბლისფერი თმით, ლამაზი წითელი ტუჩებით, რაღაცას მიყვებოდა სიცილით, შიგა და შიგ უკან გახედვით, უკანაც სიცილში ხვევდნენ რაღაც ნათქვამებს, მაგრამ მე მისი ნათქვამიდან ვერაფერი გავიგე. გარეთ მთები ჩანდა — ეს ცის მთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ილუმინატორთან დაეუთმე ადგილი. ქალი მეტად კმაყოფილი დარჩა. უყურებდა ნისლიან, დათოვლილ ცის მთებს და აღტაცებით ამოიძახებდა ხოლმე: — აახ!ოოხ! ხან და ხან ურტყამდა ტაშსაც.

ასე ვიფრინეთ ტაშკენტამდე, რომ დაჯდა თვითმფრინავი, წამოიშალნენ მგზავრები, მოვიდნენ, შემოეხვივნენ დინას. დინა ამჯერადაც ჯიბრიანად კმაყოფილი გამოიყურებოდა. მადლობა გადამიხადა კარგი თანამგზავრობისათვის, მადლობას მიხდიდნენ მისი ჯგუფის წევრებიც. და ის იყო მივუახლოვდით ტრაპს, გერმანელების რუსმა გიდმა ქალმა ღიმილ-ღიმილით მითხრა—მაგათ, მაგ გერმანელებს, ასეთი რწმენა აქვთ, ვისაც ეგ დინა მიუჯდება, ლა-მა-ზი, მომხიბვლელი, უთუოდ რაღაც უსიამოვნება შეხვდება. ამიტომ ერიდებიან თვითონ, ამიტომ ეცინებოდათ. თქვენ რომ მოგიჯდათ და თქვენ რომ სიხარულით მიიღეთ იგი. მე გავიცინე: — ჩემზე არ მოქმედებს შავი კატის გადარბენა წინ, კურდღლის შემოფეთება, მწითურის კოცნა და ეგეთები. მე ეგენი არ მწამს...

აეროპორტში უამრავი რამ იყიდებოდა, სულ ფერად-ფერადები. დინამ იყიდა შუააზიური დიდვარდებიანი უსახელოებო თხელი შემოსაცმელი, ჩაიცვა იქვე, შემოიჭირა შავი ბრტყელი ქამარი, და თითქოს უფრო გამაღლებული მაღლიდან დასცქეროდა ყველას. მე ვთხოვე გიდს: — ხომ შეიძლებოდა, რომ ისა და დინა სულ რამდენიმე წუთით შემომყოლოდნენ რესტორანში, — არაო, ჩვენ ახლა მივდივართ ძალიან ოფიციალურ შეხვედრებზეო, დინა ყველგან ფიგურაა, კარგი... ჩემი სურვილი კი გადასცა დინას. დინამ, კიდევ უფრო გამაღლებულმა, დამიქნია ხელი, ჰაეროვანი კოცნაც მიძღვნა სუყველას თვალწინ. გერმანელები იცინოდნენ, მათ მე დაღუპულ არსებად მივაჩნდი უკვე.

მეც ჩემებურად ვიჯგიმებოდი, მოვკიდე ხელი ერთ ქუთაისელ პოეტს. შევედით სასტუმროს რესტორანში. დავიდგით კონიაკი, რა[illegible] გამომდიოდა სმა. აშკარად შევთვერით ორივენი. დროზედ შევიკავეთ თავი. სასტუმროს ნომერში ასულებმა, ზეამურად ავწიეთ ხელები. შევვარდი სააბაზანოში, მოვუშვი წყალი. სანახევროდ ავავსე ვანი, მერე შევუდექი თქრიალით მომავალ წყალს. იქ ცუდს რას ვიგრძნობდი, განცხრომას ვეძლეოდი ვანში, მერე წყალი გავუშვი. გავმშრალდი, ლოგინში ჩავწექი. ლოგინში იწვა ქუთაისელი პოეტიც. უცებ მომერია ძილი, მაგრამ არ იქნებოდა გასული 15-20 წუთი, რომ გული გამიჩერდა. ჯერ ვიკავებდი თავს, მერე ვიყვირე: — გული გამიჩერდა! ექიმი ჩქარა! ქუთაისელი დერეფანში გავარდა. გაიღო კარი, გამოჩნდა თეთრხალათიანი, თეთრჩაჩიანი მედიცინის... მეტი აღარ მახსოვს. სადღაც მივექანებოდი, ძირს, მეწეოდნენ, მიჭერდნენ. საავადმყოფოში, რეანიმაციის განყოფილებაში, მონიტორთან მოვედი გონს, თვალის გახელა ჯერ ძალიან მიჭირდა. მერე გავახილე, ათასნაირმა მექანიზმებმა, ჩემსკენ რომ იყვნენ მოჩერებულები, ღიმილი მომგვარეს. გაიხარა, აწითლებული წამოდგა ჩემს წინ მჯდარი უფროსი ექთანი. — მადლობა ღმერთს! მადლობა, დედაო მარიამ! რამდენი ნემსი გაგიკეთეთ! არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თქვენთვის სმა. მე ისევ დავხუჭე თვალები.

მე დინა გამახსენდა, ეს მერე, ხელები რომ გამითბა. oო, ნუთუ მართლა მომნუსხველია?! რაც გინდათ, ის ყოფილიყო, მე მაინც დიდად გავიხარებდი, კარებში რომ გამოჩენილიყო, დინა! დინა!

გამახსენდა სომეხი პოდპოლკოვნიკიც — გარნიკის ძეც. მას ჯოხი ეჭირა, თითქოს იერიშს აპირებდა რელიეფურ რუკისკენ. ჩინელები? oო, ბევრ რამეს, ბევრ რამეს გვიკარნახებენ ჩინელები დღეს. მომნუსხველობასაც...

როგორ უხდებოდა, როგორ ხატავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდვარდებიანი ჩასაცმელი დინას! ლამით ის ვარდები მერეოდნენ თვალწინ.

— დინა! დინა! — ვეძახდი დაურიდებლად.

დღისით მორიდებული ღიმილით მეკითხებოდა ექთანი:

— მეუღლეა თქვენი დინა?

მე ვითომ ვერ გავიგე მისი შეკითხვა.

# კალათები

ივრის დიდი ჭალა. ქაცვები, ვერხვები, მურყნები, წნორები, კატაწნორები. ტირიფები. მდინარის სუფთა ნიავი ეალერსება მათ ფოთლებს.

ჩამოდიოდნენ თბილისიდან შემოდგომაზე და ადრიან გაზაფხულზე, სანამ კვირტები დაიბერებოდა. ქურთები, ჩვენ რომ კრუებს ვეძახდით, შეესეოდნენ ჭალას გადაძახილ-გადმოძახილით, ჭრიდნენ უამრავ წნელს. მერე ისხდნენ სახურავჩამონგრეული საწყობის დერეფანში (აქ ჩრდილოეთის კედელში იყო ბუხარიც), წნავდნენ კალათებს, ხახლებს, პატარა ლამაზ ლახტებს, წნავდნენ უჩვეულო გატაცებით, სწრაფად, ერთმანეთთან შეჯიბრით. კრუული კალათებით თავს იწონებდნენ ვენახებში მიმავალნი, ქალაქში მიმავალნიც...

ოჯახი არ იყო, რომ კრუების ნახელავი არ ჰქონოდათ შინ. ბიძაჩემი გიორგის (მეტსახელად — პოხროს) დაუღალავი მუხლისა და ტკბილი მიდგომის წყალობით მათაც და ჩვენც ულამაზესი კალათები გვქონდა. გამორჩევით — დიდები, ფერადად ასულნი ძირიდან მაღლა, თანდათან გაგანიერებულნი, იქ, მაღლა წნულის პირგადაქნილი, ლონივრად გადახვეულნი, ჩაჭაპნულნი, ლონიერი ყურებით, ბიძაჩემი იჭიმებოდა, — ეს თეთრი ბალიც უკვე მწიფსო (ბიძაჩემი იმ ბლების ქვეშ იძინებდა ლამით). გავაკსოთ ეს გაზაფხულზე დაწნული კალათები — მსხვილებითა, ფერიანებითა, ჩავიტანოთ ქალაქში და იმათი გულები იქ გავახაროთ, ჩვენი გულები აქა, იმათი მოცემული ფულებითა. მარტო კალათები მოიზიდავს მუშტარს.

და აი, ერთ დილას, ჯერაც ბინდბუნდში, ბიძაჩემსა და მე სავსე კალათები გვედგა მხარზე, — კარგად გადაკრული მარლით. მარლის შიგნით ფოთლები იყო გაფენილი, — მგლური ნაბიჯით მივეშურებოდით რკინიგზის სადგურისაკენ. ჩვენიდან სადგურამდე შვიდი (ოჰ, ეს ჯადოსნური შვიდი!), შვიდ კილომეტრზე მეტი იყო, მაინც ყოჩაღად ჩავედით, ყოჩაღად ავიღეთ ბილეთები, მოვიდა მატარებელიც, იქ ასვლაზედაც ვიყოჩაღეთ და, სულ რაღაც ორ საათში, უკვე თბილისში ვიყავით. ჩამოვედით ნავთლუღში. ბიძაჩემი მართალი აღმოჩნდა, ყველანი ჩვენს მშვენიერ კალათებს უყურებდნენ. აგვაღებინეს ბაზარში შესასვლელი ქაღალდები; თითო სამ მანეთად. შევედით, ვნახეთ თავისუფალი ადგილებიც დახლებზე. დავიდგით კალათები წინ. გადავხადეთ გადაჭიმული მარლები, გადავწიეთ ბლის ზემოდან გაფენილი ფოთლებიც. ბალია, თრთის პირდაპირ. მაგრამ სასწორი რომ არა გვაქვს, კაცო! სასწორის ფული არც მე მქონდა, არც ბიძაჩემს. რამდენიმე კილოს მეზობლებს ავაწონინებდით, მერე სასწორს ჩვენც გამოვიტანდით. ვდგავართ, აქაც ვყოჩაღობთ, ვაქებთ ჩვენს სავაჭროებს — რა კალათებია! რა ბალია, ძველებური, თაფლივით! მოიხედავენ, დაგვაფასებდნენ ღიმილით, გემოს გაუსინჯავდნენ ორსამ მარცვალს და წავიდოდნენ.

ჯერ თუმანს ვაფასებდით კილოს, მერე რვა მანეთს, მერე ხუთ მანეთს. ორი კილოგრამი გაიყიდა ჩემისა, კილო ბიძაჩემისა. ადუღდა, აქოთქოთდა ბიძაჩემი, — აქ ამ ბალისა რა იციან, ესენი სულ ქარხნის ხალხია, პირში სულ რკინის გემო უდგათ... წამო, ავლაბარში ავიდეთ. ავლაბარი სხვა არის, ძველი

ხალხია, ყველაფრის მცოდნე, წავედით იმ ავლაბარშიო.

კიდევ კარგი, რომ ტრამვაი იყო, ახლო მიგვიყვანა ბაზართან, გადაგვახდევინეს იქაც შესასვლელი. ვიდექით აქაც, ვეპატიჟებოდით მუშტრებს. გამოხედავდნენ თბილად კალათებს და ეგ იყო და ეგ. ორ-ორი კილოთი თუ შევიმსუბუქეთ ტვირთი. სხვა გამყიდველებსაც არ ჰქონდათ გახარებული თვალები. ისევ აქოთქოთდა ბიძაჩემი: ჩავიდეთ დაბლა, მოედანში, არ გაგვახედზამოგვახედებენ, ეგრევე დაგვედება მუშტარი. მე ვყოყმანობდი, მაგრამ მაინც დამითანხმა ბიძაჩემმა, შევიდგით კალათები მხრებზე და დავეშვით სირაჯხანის თავქვეზე. შუადღე გადადიოდა, ცეცხლი ეკიდა ყველაფერს. ძლივას გავედით მტკვრის ხიდზე, ძლივას მივაღწიეთ მოედნის დახლებამდის, მაგრამ დახლებთან საჩვენო ადგილები არ იყო. ძირს დავდგით კალათები, მიწაზე. სასწორს იქ ვინ გვათხოვებდა. ბიძაჩემმა თიხის ჯამი იყიდა, დაუტრიალდა კალათს იმ ჯამით, — აბა, ივრისპირული! აბა, ნაკურთხი წყლისა! იალნოს ნიავის ნაალერსები! სამ მანეთს აფასებდა პირველად ჯამ ბალს. ევაჭრნენ, ეჯაჯღანნენ, მანეთზე ჩამოვიდნენ. მზე უკვე დაიხარა თრიალეთისაკენ. გაუშვა ბიძაჩემმა ჯამი მანეთად. მეც მივატყუპე ჩემი კალათაც ბიძაჩემისას. მეც მანეთად ვაძლევდი ჯამ ბალს. თითქოს ხმა გავიდა, გავრცელდა ბლის იაფობისა, დაგვესია მუშტარი, და სულ მალე ორივე კალათა ცარიელი იყო. ნერვიული სიცილით ვუყურებდით ბიძაჩემი და მე ერთმანეთს. დავითვალეთ ჩვენი შემოსავალი. სამოცდაექვსი მანეთი ბიძაჩემს აღმოაჩნდა, სამოცდარვა — მე. ვიყიდეთ ერთი შავი პური ოც მანეთად, — ომი აღარ იყო, მაგრამ ჯერ ისევ არსებობდა ბარათები, — თუმანი ბიჩაძემმა დადო, თუმანი მე. ვიყიდეთ ერთი კარგად მოზრდილი დამარილებული ქაშაყიც — აქ არაო, — ბიძაჩემმა, — საჩვენოში როცა ვიქნებით, იქა ვჭამოთო, გემრიელადაო. ავედით ავლაბარში, იქიდან გავყევით ტრამვაის ნავთლუღში, ნავთლუღიდან ავედით კახეთის გზატკეცილზე, იქ იყვნენ ხოლმე სხვა წამსვლელებიც. დავსხედით ბალახებზე, გავფცქვენით თევზი, გავხიეთ შუაზე. ვჭამდით, გვიხაროდა, უგემრიელესი იყო. უკვე ვრჩებოდით ჭამას, ხელს ვუწევდით გამოვლილ საჩვენო მანქანებს. ერთმა გაგვიჩერა, კარგა წინ, როგორც იციან, სამ-სამი თუმანი გვთხოვა წაყვანისა თითოს, ბიძაჩემი შეხტა და შემოტრიალდა, — შენაო, მარსიდან ხომ არა ხარ ჩამოსულიო, ფრონტზე დალუპული შვილების პატრონს — სამი თუმანი ორმოცი კილომეტრის გატარებაშიო?! იჯღანებოდა მძღოლი, ბოლოს, როგორც იქნა, თუმან-თუმანზე დაგვეთანხმა. — ეგა, ხოო თუმანი წესიც არისო, — ბიძაჩემმა. — უნდა დავწვდეთ კალათებს, რომლებიც უკან გვეწყო ჭამის დროს. მაგრამ სად არის კალათები?! აღარ იყო არცერთი. ავზავთდით, აქეთ ვეცით, იქით, რა დაგვიკარგავს, რას ეძებ?, რკინიგზელი იყო ერთი, იმან უთხრა ბიძაჩემს, — ქურთი ბიჭები გიქდებოდნენ ამ კალათებისათვის, ნამდვილად იმათ წაიწყმიდეს სულებიო. — როდისაო, კაცო, როდისაო? — თქვენ რომ მასლაათში იყავით შოფერთანო! — ვახო! — ვახო! ბიძაჩემმა, ნიათგამოცლილი ჩაჯდა. სადაცაა ჩავიდოდა მზე. ისევ გზის პირას ვიდექით, ისევ ვიშვერდით ხელებს. ბოლოს ერთმა გააჩერა დიდად ნათეთქვი სამტონიანი, იმანაც თუმანი გვთხოვა თითოს. მანქანის ნათეთქვობას დაგიდევდით?! შევეშველე ბიძაჩემს, ავედით მაღლა, ბიძაჩემი კაბინის უკან ჩაჯდა, დაიძრა მანქანა, ბიძაჩემი ამღერდა:

ვიმღერებ ყველას ჯიბრითა,
ვიმღერებ ძველებურადა,
დარდსა და თავში საცემსა
არ გავუხდები პურადა...

ორი ვაჟიშვილი, როგორც ზემოთაც ვთქვით, ქერჩში ჩაუწვინეს გერმანელებმა. შინ ჰყავდა დებილი გოგონა, გაშტერებულ თვალებიანი, უენო; ცო-

ლი, კოჭლი ქალი, წყევლით გართული მთელ დღეს.

ვუყურებდი ბიძაჩემს და ასეთი სურათი მედგა თვალწინ. ძალუაჩემი იწყევლებოდა, იფათრებოდა. ბიძაჩემმა შეშის საჭრელ კუნძზე დადო ლაპლაპა პოლონური ყელიანი ტუფლები, დაჰკრა მჭრელი წალდი და გადაჭრა შუაზე. მერე გაშალა ქიშმირის ხალათი, ჭიბეებიანი, კარგად შეკერილი, გადაგრიხა სწრაფად, ხალათიც დადო კუნძზე და დასცხო წალდი. ხელწალდიანი ახლა ძალუაჩემისაკენ იყურებოდა, — მოდი, გაგაგდ;ებინო თავი შენც ამ კუნძზეო. ძალუამ რაღაც ჩაიმწარა და წავიდა მარნისაკენ, ვიღაც ქალის სიყვარულს სწამებდნენ ბიძაჩემს.

რა მოელოდა ქალაქგამოვლილს...

როგორ შენვდებოდა დღეს [illegible] ცოლი, რა მომელოდა მეც [illegible] დოდა ამაზე ფიქრი. ბიძაჩემი მღეროდა:

> ცელცუდამ და ცოლცუდამ,
> მთიბელო ველარაისო,
> ცელლამაზო და ცოლლამაზო,
> მთიბელჩი ნამხრევშვენიერო.

ახლა უკვე მეც ბიძაჩემს ვუჯექი გვერდით, ვცდილობდი ავყოლოდი მის სიმღერას, თითქოს რაღაცებს ვჩხვლეტდი აქეთ-იქით ჩემი წვრილი ხმით. მანქანაც გვიწყობდა ხელს, აგვყრიდა მაღლა და დაგვიშვებდა, აგვყრიდა მაღლა და დაგვიშვებდა... ეს კარგი იყო — მაღლა და დაბლა, მაღლა და დაბლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თენგიზ ჩალაური

მწერალ თენგიზ ჩალაურს 50 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „ძნათობის“ რედაქცია ულოცავს მას ამ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წინსვლას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

* * *

ჩემი სხეული
    ამძიმებს მიწას,
მე —
    ვწყევლი ამ ცას
და ვეტრფი —
    იმ ცას!
ობლის ამბორი
    დამჭკნარ გვირილებს,
გარდაცვლილ მშობლებს,
    დარჩენილ შვილებს.

* * *

რად მომენატრა ლექსი
როგორც გამხმარ ფესვსს წყალი.
სიტყვას ვუნაღდებ ვექსილს
პროცენტალებულ ვალით.
ვგრძნობ გაამძაფრებს ქარებს
ფუჭი ქებათა-ქება.
უხდებათ პოეტ ქალებს
სატოსებური ვნება.
ზოგ კაცს არაფრად ულირს
ყანწს თუ სისხლიანს დაცლის.
ნაღდი პოეტიც ზოგჯერ
სინდისს სახელში გაცვლის,
ლაჩარს რად უნდა ფიცი.
რომ არმქმნელია ომის.
ბრმა ლეკვმაც კარგად იცის
ძაღლისაა თუ ლომის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯონათან სვიფტის კოშმარი

მე გეკითხებით დალარულ შუბლით, დაქანცულ მრწამსით,
ნებაწართმეულ, დამარცხებულ სულის სიღრმიდან,
რად მოგვევლინენ, როგორ აღზევდნენ დედამიწაზე
ყოვლისშემძლე გულივერებად
გონებაჩლუნგი ლილიპუტები ლიპლანდიიდან?
რატომ ეწოდა უკუნს — ნათელი, უგუნურს — ბრძენი,
კეთილს — ბოროტი, ეშმაკეულ მრწამსს — სიწმინდის მცნება,
ან რატომ სთხოვენ მუცელღორა ბილწი ბებრები
დამშეულ ბალღებს მარტვილობას და პატიოსნებას?
რისთვის დაადეს უტყვთა ხუხდები მჭევრმეტყველ ენებს,
მზის სხივს რად ჯაბნის ოქრო-ვერცხლი ურცხვი ნათებით,
ან რად ხვდებიან ოვაციებით ქონდრისკაცუნებს
გილგამეშები, ტიტანები და გოლიათები?
ანდა რომელი ჯადოქარის ავ შეძახილზე
აღსდგა ზეკაცად, მარყუეის ნიშნით, გამტეხი ფიცის,
რად წააწერეს ელამ თემიდას, თეთრ თვალსახვევზე,
ჯვარცმულის სისხლით — „ძირს სამართალი და Val Victis!"*
კვლავ გეკითხებით დალარულ შუბლით, დაქანცულ მრწამსით,
ნებაწართმეულ, დამარცხებულ სულის სიღრმიდან,
რად მოგვევლინენ, როგორ აღზევდნენ დედამიწაზე
ყოვლისშემძლე გულივერებად
გონებაჩლუნგი ლილიპუტები ლიპლანდიიდან!

---

* ვაი, დამარცხებულთ! (ლათ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაინალკა ბაბირაძე

# ქართული მონასტრის გახსენება

შუამთა. შუამთა. შუამთა.
ღვთისმშობლის ცრემლი და ღიმილი,
კედლები — დიდი და მშვენიერი.
ნავები წინაპრის ტკივილით.

შუამთა. შუამთა. შუამთა,
ჰა. წვიმაც მოსულა შენთან,
რომელიც ასველებს საქართველოს
შვილების მარადიულ სევდას.

ალაზნის იდუმალმა ხეობამ,
გული წარიტაცა ჩემი
და მაღლა შენს კოშკს მიაჯაჭვა,
მადინა სიხარულის ცრემლი.

შუამთა. შუამთა. შუამთა.
დიდო უფლისა. გვედრი.
ამხსენი დარდის ბორკილები.
და შემიმსუბუქე ხვედრი.

აქ. ამ გახუნებულ კედლებთან.
შემომხვდა ჩამომხმარი ბერი
და თვალებსევდიანმა მიბოძა
სითბო და ხატები შენი.

მიბოძა პერანგი შენეული.
ტილოსგან ნაკერი. უბრალო
და კიდევ: შენი სილამაზე —
ჯვარცმული. ნატანჯი უწყალოდ...

და ბედიც ჩვენი მომავლისა
გვიბოძა. გაგვითბო შორეთი.
ერთს ვნატრობ; დედაო უფლისა.
გახსოვდე. გახსოვდე ყოველთვის.

ვის გულშიც სიყვარული ანთია,
ყოველთვის მისი წილი ტვირთი
მძიმეა კლდესავით.
მძიმეა დარდივით,
მძიმეა და მაინც მიდის.

ამქვეყნად წმინდანი ისაა.
ვინც ცოცხლობს სიყვარულის გზებით,
ისაა ძლიერიც და დაუცველიც.
არასდროს დაელლება ფრთები.

შუამთა. შუამთა. შუამთა.
ღვთისმშობლის ცრემლი და ღიმილი,
კედლები — დიდი და მშვენიერი.
ნავები წინაპრის ტკივილით.

შუამთა. შუამთა. შუამთა.
ცრემლი წვიმასავით მდის.
მე ახლა ველარავინ წამართმევს
სასწაულს მიწისა და ცის.

თარგმნა ვაჟა ხორნაულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ადამ ბოგლიაშვილი**
(1912-1943 წწ)

# ტყვე ღამეში

(ნაწყვეტი ძველებური მოთხრობისა)

ჯოხზე დაყრდნობით ჩაუქროლა დაქანებულ ფერდობს და ბალახებით დახუნძლული ვიწრო ბილიკი ნაცნობი წყაროსკენ გაუძღვა.

უცნობი გაბედულად, მაგრამ დიდი სიფრთხილით მიჰყვებოდა მსუბუქ ნაბიჯებს... ეტყობოდა, საჩქარო საქმეზე მუხლავდა ნაცრისფერ ღამეში გაშლილ მანძილს.

მთელი შესაძლებლობით ცდილობდა, კენჭი არ გადაებრუნებინა, ქვა არ დაეგორებინა და გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ფეხის ხმაურს ხიფათი რამ არ მოეგდო.

ღამე იყო და...

ვინ იცის...

კაცს მტერი საკუთარი ბექებივით დასდევს დღემუდამ. საცა არ მოელის, სწორედ იქ დაეცემა ზათქით.

სიფრთხილე მეორე ხმალიაო, — იტყვიან უხუცესი კაცები თემში და...

ჩვენი მგზავრიც, ამ რწმენით გამოზრდილი, ისე მიდიოდა, თითქო ყოველი გორის უკან მტერი ზისო ხელხანჯლიანი.

უკან უშველებელი ძაღლი მისდევდა, ლეგა ფერისა, გრძელბალნიანი და ბოლო-შეკრეჭილი დახვეული კუდით.

მსუბუქი მგლურით მიიწევდა ორივე წინ — ძაღლიცა და პატრონიც.

როცა ყურებთან წყაროს ჩხრიალი მოიტანა ნიავმა და თვალმაც აშკარად გაარჩია გადმოქაფული მთის ბროლი, შეხავსილ კლდეზე გადმოკიდებული შრიალა ჩანჩქერი, ძაღლმა ენა გადმოაგდო და ტუჩები გაილოკა.

ნაბიჯს მოუჩქარა... დაწინაურდა.

— ლეგო, მაცალე, არ აამღვრიო მანდაურობა, — დინჯად გაეხმაურა პატრონი.

ძაღლი მორჩილად ჩაცუცქდა მაშინვე. წკმუტუნით დაამთქნარა და ტუჩები ერთხელ კიდევ გაილოკა.

— აი, მანდ, ქვემოთ დალიე.

ძაღლმა გაშვერილ თითს თვალი გაადევნა და წვრილ ქვებში სარკედ ჩამდგარ წყალს ხარბად დაუწყო სვლეპა.

კაცმა გულდასმით მოათვალიერა შენაცრული მიდამო, თვალი ყოველ საეჭვო კუთხესთან მიიტანა და... წყაროსთან მძიმედ ჩაიმუხლა...

ტუჩები ტბორად დამდგარი წყლისაკენ გაზიდა, მოსვა ცოტაოდენი:

— უჰ, ტიალო! ყინული იყოს თითქო!..

ჩაილაპარაკა თავისთვის და ოდნავ აიწია, ლივლივა ტბორში თავის ორეულს მოსდო თვალი...

გაიკვირვა...

— სამების მადლმა, დათვს უფრო ვგავარ, ვიდრე ადამიანისგან შობილს! — თქვა და წყალში ზანტი ღიმილი ჩააგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი გადიბანა. ბალნიანი ყბები ჩოხის კალთით შეიწმინდა...

შემდეგ პატარა ქვაზე ჩამოჯდა. ზურგით გორს მიეყრდნო:

— ლეგო, ცოტა შევისვენოთ, მერე კი ვახსენოთ სამება და ისევ გავშალოთ მუხლები.

ძაღლი, თითქო გაიგო პატრონის მიმართვაო, იმის ბორაგიან ფეხებთან გაწვა და ბილიკისკენ მიქცეული ტუჩი მსხვილ თათებზე გაჰიმა.

უცნობი იდაყვით მუხლს დაეყრდნო...

უნდო თვალი კვლავ ესროლა იქაურობას. გული მოუსინჯა მკრთალად გაშლილ ღამეს და...

ქვევით, ხევში თეთრად ჩაწოლილ ნამქერს გახედა...

იქიდან ჩანჩქერების გაბმული შხუილი და უცნაური გუგუნი ამოდიოდა.

ღამეს იქაც ნაცრისფერი ედო...

უცნობი ფიქრმა ჩაითრია... გაქცეული თვალი კი ისევ ნამქერს შემორჩა ხევში...

მაშინაც ეგეთი ღამე იყო, სწორედ ეგეთი.

ზაფხულს უკანასკნელი კბილი სძვრებოდა.

ცხრა თვე ცხრა ქერქივით აძურავს ამ ამბავს, მაგრამ თითქო ახლა ხდებოდეს ყოველივე, თითქო აქ, აი, ამ წყაროსთან კვლავ მოსულიყვნენ ის წუთები.

ჰმ! საოცარია!.. მოგონებაც კი ცეცხლივით ენთება ტვინს...

როგორ იყო?!...

— ჰო...

მზე გორის ფხაზე იჯდა, როცა ჭაბუკი მთას შეუდგა. მწვანე კალთიანს. მხარიღლივ საბელი ჰქონდა ამოხვეული, კეფაზე თუშური ქუდი კოხტად მოეგდო და ხუჭუჭა ქოჩორს ნიავი ურწევდა.

მგლურით შეურბინა ალმართს...

მთებს შუა ჩაწოლილ „ხორხს" უდარდელად გაჰხედა და იქით გაქცეულ ვიწრო ბილიკს გამოენთო.

ნაწიდარს მიადგა, ჩხრისა და გამურული ქვაბის მეტი არა[illegible]

ბექს იქით მეტად [illegible] კვნესოდა. ბატკანი ნელი შრიალით ნაწიდრისაკენ ჩამოეყენილიყო. ბინას უხლოვდებოდა...

მეცხვარე დაიხმარა...

ბურანში ჩაყრილ ცხენებს შემოურბინეს. მხრიდან მოხსნილი საბელი ქამანდით გაიშალა და ნასუქ საფერხეს ფაფრიან კისერზე მოედო.

ახრიალებული და ცხვირიდან მსტვინავი ცხენი წაითრიეს.

ერთმა ყურებში გაავლო ხელი, მეორემ საცხვირე ამოსდო.

ჭაბუკი ნიავივით შემოევლო შავ ზოლიან ზურგს, ფაფარი მაგრად ჩაბღუჯა.

— გაუშვი ახლა... — მიუგდო მეცხვარეს და დაფეთებულმა საფერხემ ფიცხ ნახტომებზე გააქრო მხედარი.

ნაქარს ჩაურბინა, ფერდობს გაუქროლა. მთას შუსტვინა და ცხენის ორი გახელებული თვალი წოვათას გადაენთო...

ჰო, მზე დიდი ხნის ჩასული იყო და ეგეთი გაცრეცილი ბინდი ეფარა მიდამოს მაშინ.

დაღმართზე დაქვეითდა, ცხენი ფრუტუნით მიჰყვა პატრონს და კბილიანმა ბორაგმა მანძილს კბილი გაჰკრა.

ეგეთი ღამე იწვა, მთვარის ამოსვლის ხანი იყო.

სულ ახლო, რამდენიმე ნაბიჯზე, ზმუილი მოესმა...

გორიან ბექს რომ გადაადგა, ოთხი ძროხა შავად გამოჩნდა. ბილიკზე მწკრივად ჩამდგარი ფერდასავსე ძროხა.

იმავე წუთს რაღაცამ საექვოდ გაიშრიალა და ადამიანის ჩრდილი გოხნარს გადაეფარა.

ჭაბუკი ერთხანს გაშეშდა, ვერ მოისაზრა, რა უნდა ექნა.

ვინ უნდა ყოფილიყო ამ ღამეში მოხეტიალე, ვერ გაეგო.

— ქურდი... ძროხებს მიერეკებოდა!.. — ელვასავით გაჰკრა ტვინს ერთბაშად.

მიიხედ-მოიხედა... დიდი გორი იყო

ვე ხელით აზიდა. მიწაზე დაცემულ საბელს დაადო, ამგვარად ცხენი დაბმული აღმოჩნდა.

მაყარი მოიმარჯვა და წელში მოხრილი გოხების იქით დაშვებულ ბინდს გადაეპარა, ქვებს გაეკრა...

ღამეს ყური მიუგდო... ფრთხილი მღელვარე ქშენა გაიგონა...

იქვე, მის წინ, პატარა ჰეხში შავად მინაბული რაღაცა დაინახა.

ქშენა იქიდან მოდიოდა...

იქ ადამიანი იჯდა, ალბათ ის, წელან რომ გაიქცა.

მაყარის ტუჩით ღამე გახვრიტა და იმ შავს სწრაფი ნახტომებით მიუახლოვდა...

— არ გაინძრე!.. — შეუტია.

თოფის ტუჩი სირბილეს შეეხო.

— ააა!... ჰენიდან გამოვარდნილმა კივილმა თოფი დააშვებინა.

— ქალი ყოფილა!... — გაიკვირვა ჭაბუკმა თავისთვის.

სახე მიუახლოვა, თვალები დაწკურა, რომ უკეთესად გაერჩია ჰეხის ბინადარი.

— რომელი ხარ, ქალო, კინაღამ მოგკალი...

სიჩუმე... ხმა არავინ გასცა.

— რომელი ხარ-მეთქი, რატომ არ მეტყვი?

ხელი წაატანა უცნობს, ის ფანდურის ლარივით ცახცახებდა.

— მე ვარ!.. — ძლივს დაძრა ენა.

— ვინ შენა, აბა, ერთი გამოდი მანდედან!..

ჭაბუკმა მკლავში ხელი წაავლო, გამოსწია. ის დაემორჩილა და ვაჟის წინ ქალის მაღალი ტანი აიმართა.

— კოხიო, შენა?! — შეეკითხა ქალი აკანკალებული ხმით და მკლავში — ვაჟს რომ ეჭირა — ქრუოლამ გაირბინა.

— ნანი!.. — გაოცდა ვაჟიც და გაჩუმდა.

ეგრე იდგნენ მცირე ხანს. ქალს თავი დაეხარა, ვაჟი კი ამ დახრილ თავს უყურებდა.

მძიმე სუნთქვის მეტი [illegible] რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟი ერთბაშად შეთრთოლდა. ქალის მკლავს მოსხლეტილად შეუშვა ხელი და ალერსიანად შეეხუმრა.

— კინაღამ შემომაკვდი, ქალო!..

— ბედნიერი ვიქნებოდი...

— რატომ გამოიქეცი აქეთ?!

— ქისტი მეგონე, დამალვა მინდოდა...

— მე კი ქურდად ჩაგოვალე და მოკვლა მოგინდომე.

ქალმა დიდრონი, მოღიმარი თვალები შეანათა ვაჟს და ყური საკუთარი გულის ბაგუნს მიუგდო.

მიდიოდნენ ჩუმად, მხარდამხარ.

მწოლარე ძაღლმა ერთბაშად ყურები ცქვიტა, თათებიდან თავი წამოზიდა და გორის ზურგზე გაწოლილ ბილიკს ბრდღვიალა თვალებით მიაჩერდა.

ცხვირმა ტოკვა დაუწყო. ყუჩ ჰაერში სუნი იყარა უთუოდ.

წამოდგა ბალანაშლილი და კუდის ნერვიულ ქნევით დასავლეთს ბრაზიანად შეჰღრინა.

უცნობი მხოლოდ ახლა შეინძრა...

ნამქერზე შერჩენილი მზერა მთაზე ოქროს ღილივით მიბმულ პირსავსე მთვარეს მიაწყდა და...

ის სრულიად გამოერკვა. ზმანება გაქრა.

იმის წინ მთვარე იყო. მთვარიანი, ნათელი ღამე.

ძაღლმა უფრო ბრაზიანად დაიწყო ღრენა, რამდენიმე ნაბიჯით წაიწია წინ.

— უნდა იყოს ვიღაცა... — გაურბინა ფიქრმა უცნობს.

წამოხტა სწრაფად, როცა საეჭვო ვერაფერი შეამჩნია, მოსხეპილივით ჩაიჩოქა და ყური მიწას გააკრა.

— ბილიკით მოდიან, ნალის ხმა ისმის!.. წაიდუდღუნა და წამოდგა.

დაფიქრდა ცოტა...

მოტრიალდა ძაღლისკენ სწორედ იმ დროს, როცა ამ უკანასკნელმა ყბები გაალო დასაყეფად.

— ლეგო, ხმა ჩაიგდე!.. — ჩააჩუმა

ძაღლი, მერე ქეჩოზე ხელი გაავლო და გოხებისკენ დაითრია.

წყაროსთან უზარმაზარი ლოდები რომ ეყარა, იქ გადაძვრა თავისი ძაღლით.

მთვარემ ერთ ქარშიკზე წამოიწია, ღამემ ნაცრისფერი მოიცილა და უხვად შეიფერცხლა.

ხევიდან კვლავ ისმოდა ჩანჩქერების შრიალი.

დასავლეთიდან ნიავი ჰქროდა ფრთამალი.

ოქროს სიმებით ამოქარგული საბნის ქვეშ მუნჯი გოლიათებივით იწვნენ მთები...

იწვნენ და ეძინათ...

ქვიანი ბილიკი ცხენის ნალმა სულ ახლოს აახმიანა და ორიოდე წუთის შემდეგ პატარა ბექის ზურგიდან ჯერ ერთი კაცის თავი ამოძვრა. შემდეგ კი ექვსი კაცი ბილიკით წყაროსკენ გაემართა.

უკანას ცხენი მიჰყავდა, შავი, მსუქანი ბარგით დატვირთული. ცხენს შეშინდე მოსდევდა. მოლილი ნაბიჯებით. თითქო ძალად მოათრევდა საკუთარ ტანს.

ღამის მგზავრები წყაროს იმდენად მიუახლოვდნენ, რომ მათი საუბარიც კი აშკარად გასაგონი შეიქნა.

როცა მოწინავე ექვსმა წყლის დასალევად ჩაიმუხლა, ის მეშინდე დაქანცულ ფეხებს გაჰყვა და გოხიანის მარცხნივ ქვაზე ჩამოჯდა.

უწესრიგოდ ჩამოშლილი გრძელი თმები ღამის სიოს შეარხია ოდნავ...

პატარა თავი მარჯვნივ გადასწია, ნამტირალევი თვალები გახეული კაბიდან გამოჩენილ მუხლზე დაუშვა და ფიქრში წავიდა თითქო.

ეტყობოდა, ბევრი ეტირა, ბევრი ევაგლახა და ცრემლდამშრალს მარტო ოხვრაღა ამოჰქონდა მოთქმით დაღლილი მკერდიდან.

ჯოჯოხეთური ტკივილი აწუხებდა ბეჩავს. დანაყულივით სტკიოდა ყოველი ასო, ყოველი სახსარი.

წელზე თოკით გადაბმული მაჯები დაჰბუქებოდა. თითები კი [illegible] სისხლს ისე დაებერა, [illegible] უნარი სულ წაერთვა.

ნახშირივით გაშავებული ფრჩხილების ქვეშ ხანდახან ტკივილი დაურბენდა და გული უარესად ეწურებოდა.

გამშრალი ტუჩები ჰქონდა, გამშრალი პირი და იმ პირში აუტანელი მწარე გემო.

— უჰ რა ცხელა ამ ღამეში!... გაბრუებულ თავში ტვინი დუღს თითქოს და საფეთქლებზე ჩაქუჩებს ურტყამენ.

ნეტავი წყალი მაინც დაალევინონ. წყალი... ცივი წყალი.

შეკრულ ყელს გაუხსნის, სიმწარეს თან ჩაიტანს და გულსაც უთუოდ მოეშვება ცოტაოდენი.

სტკივა... სცხელა... სწყურია...

ისევ მწარე გემო... ფუჰ...

გამშრალი ენა ტუჩებზე გადაისვა, ტანში ჟრიალმა დაურბინა და აკანკალებული მუხლებით წამოდგა.

გაიხედა წყაროსკენ მიქუჩებულ კაცებისკენ. შეტორტმანდა ოდნავ, მაგრამ ჩქარა შეიკავა თავი და არეული ნაბიჯით წყაროსკენ წავიდა.

— რაო, თუშის ქალო, მოგწყურდა? — შეეკითხა ერთი ქისტურად.

— მიეცი, დალიოს... — ურჩია მეორემ.

პირზე ახვეული მანდილი შემოხსნეს. თუშური ქუდით წყალი მიაწოდეს.

ქალს დაბინდული თვალები გაუბრწყინდა და დახეთქილი ტუჩებით წყალს ხარბად დაეწაფა.

მოსვა მცირეოდენი თუ არა, ქისტმა ქუდი უკანვე წაიღო.

— გეყოფა! — უთხრა მკვახედ, შემდეგ წყალი გადაღვარა, ქუდი დაბერტყა და დაიხურა გაპარსულ თავზე.

ქალს მწყურვალე ტუჩები გაშვერილი დარჩა. სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, ერთი ამოიოხრა და ზიზღით შეხედა.

— ხი, ხი, ხი, ჯავრობს ლამაზი!... — ჩაიცინა პირველმა მოსაუბრემ.

— იჯავროს, მაგას მთელი თუშეთიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ დაიხსნის მურთაზის ხელიდან.

— პირი ისევ ავუკრათ, თორემ...

— არ უნდა! — შეაჩერა ბელადმა. — მაგას კივილის თავი აღარა აქვს. ეგეც არ იყოს, სუნთქვა შეეკრება. ვეღარ მოგყვება. ჩვენ კი ჩქარა უნდა ვიაროთ.

მიუახლოვდა ტყვეს. მხარზე ხელი მოურიდებლად გაავლო.

— ძალიან ნუ იჯავრებ, ქალო, თორო ეგ ლამაზი ლოყები ჩამოგადნება და მურთაზს გული შეეცვლება შენზე, მეც ეს შრომა მუქთად ჩამივლის, დაპირებას აღარ შემისრულებს.

ქალმა მხრის აკვრით მოიშორა ქისტის ხელი და ზურგი შეაქცია.

— მოგაშინაურებთ!... — მიაყოლა ქისტმა მიტრიალებულ მოცახცახე ბეჭებს და დანარჩენთ მიუბრუნდა:

— ვისარგი, ქალს წელზე ყულფად საბელი შემოუტარე და უნაგირზე მიაბი, ცხენიც შენ თვითონ ატარე!...

ბექა, ვისარგის გამოუძეხი, მოწინავეებს მოგვყევი!

შენ კი, ასლან, უკან ჩამორჩი, მდევარს უთვალიერე! — დანარჩენები წინ წავიდეთ. აბა, ჩქარა, დაგვიანება არ ივარგებს.

ბრძანების თანახმად ყველა სწრაფად დაიძრა. ის კი, რომელსაც ბელადმა ასლანი უწოდა, წყაროსთან დარჩა.

ქისტები გოხიანს გადაეფარნენ.

ასლანმა ბილიკით აირბინა იმ ბექზე, რომლითაც წეღან მოვიდნენ.

შედგა...

შორს, ღამეში ჩაწოლილ სივრცეს გამოცდილი თვალები ერთხელ კიდევ მოახვედრა, მიაყურა კიდეც და...

უკან გამობრუნდა...

წყაროსთან მოვიდა...

ორივე მუხლით ჩაიჩოქა და წყალს დაეწაფა...

შრიალი მოესმა, მაგრამ ვიდრე ზევით აიხედავდა, ლოდებიდან ამომძვრალი კაცი კატასავით დაახტა ზურგზე. იმავე წუთს მოქნეულმა ხანჯალმა გაიელვა, გაიკრიალა და მიზანს მოხვდა.

ქისტმა ფართხალი დაიწყო, დაიჩროტინა და ფეხები გაჭიმა.

მგზავრმა სისხლიანი ხანჯალი ჩოხის კალთას გადაუსო, ქარქაშში ჩაასრიალა, გოხებიდან მაჟარა გამოათრია და წასულებს გამოედევნა.

უკან ძაღლი მიჰყვა ძუნძულით.

პირველ ბექზე რომ გადაჩნდა, ბალახებში ჩაჯდა. მტერს თვალი უწია. ქისტები პატარა ხევში შევიდნენ, მოუხვიეს და კლდის ნაკეცზე გაწოლილ ბილიკს მიჰყვნენ.

უცნობი თავქვე დაეშვა. ისე მირბოდა ამ კლდე-ღორღიანებზე, თითქო შარაგზა გაიგდოო წინ, მხოლოდ ცდილობდა, ნაკლები ხმაურობა გამოეწვია; ფეხქვეშ ქვიშა არ ჩაშლოდა.

როცა ცხენზე გამობმულ ტყვეს ხუთიოდე ქარშიკის მანძილზე მიუახლოვდა, სირბილს მოუკლო, ბოლოს ნაბჯზე გადავიდა და ნელა გაჰყვა მიმავლებს.

ქალმა ქშენა გაიგო, მოიხედა ცერად: სულ ახლოს თუშური თექა მისდევდა.

ეუცხოვა, გაიკვირვა. საიდან? როგორ?

თვალი ხომ არ ატყუებს ბეჩავ ტყვეს — ან იქნება გადატანილმა განსაცდელმა ისე აუბლანდა მხედველობა, რომ ქისტი თუშისაგან ველარ გაურჩევია.

მოიხედა კიდევ...

ნამდვილად ვაჟკაცი მისდევდა. თუშური თექით და ის ვაჟკაცი ეცნაურა კიდეც.

თვალები გაუფართოვდა, დაყვირება დააპირა, მაგრამ თექიანმა კაცმა საკუთარ ტუჩებზე ხელის მიფარებით ანიშნა, გაჩუმებულიყო.

— ასლან, ააჩქარე ეგ ღორის თავი, თორო ძალიან ჩამოვრჩით... გადმოაგდო ცალყბად ვისარგიმ. თექიანს ხმა არ გაუცია. მდუმარედ მიუახლოვდა ქალს.

ხანჯლის ქარქაშზე მიკერებულ პატარა ბუდიდან ლეკური დანა ამოასრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალა და მაჯაზე გადასჭრა. ხელები გათავისუფლდა.

ქალი ისევ მისდევდა ცხენს, თითქოს მიუხვდაო ვაჟკაცის გულის ნადებს.

— მისდიოს ეგრე, უკეთესია, ხელები ჯერ დაბუქებული ექნება, საჭიროდ ვერ მოიხმარს... — დაასკვნა მგზავრმა და თვითონაც უკან მიჰყვა.

ბილიკმა კუდი მოიქნია, ცხვირწამოწეულ კლდეს გადაუხვიეს.

უცნობმა წელზე შემოჭერილი საბელიც გადასჭრა და, ამრიგად, ქალი სრულიად თავისუფლად მიითვლიდა ნაბიჯებს.

თექიანი მხარში ამოუდგა. ხელში თოფი მიაჩეჩა და წინა ქისტზე ანიშნა.

თვითონ ხანჯალი ელვის სისწრაფით ამოიძრო და ცხენის გამყოლს ფეხაკრეფით მიუახლოვდა.

ნელა მოიხედა უკან...

ცალ მუხლზე დაჩოქილ ქალს თვალი თოფის კონდახზე გაენთო და წინას უმიზნებდა.

ხანჯალი კრიალით შეიმართა.

ბუჰ!.. — დაიქუქა ხეობამ.

წინა ქისტს ბეჭებზე ბოლი ავარდა. ჯერ მაღლა შეხტა, მერე კი მთელი სიმძიმით დაეცა ბილიკზე. ფრჩხილებით ქვიშიანი მიწა მოთხარა. პირიდან სისხლი გადმოანთხია და თვალები ღია დარჩა.

მოტრიალებულ ვისარგის ცხვირწინ ხანჯალმა გაუელვა და მწარე ტკივილისაგან სახე საზარლად დაეპრანჭა.

მეორედ მოქნევა აღარ აცალა. მაჯაში ხელი გააელო და ხანჯლიანი წყვილი მკლავი ჰაერში აიზიდა, დაჭიმული, მოცახცახე კუნთები რამდენიმე ხანს ირხეოდნენ ბისდში.

ქისტმა იდრიკა, თავისუფალი ხელი საკუთარ ხანჯლის ვადაზე გაიკრა. მკერდი მკერდს გამეტებით დაეჯახა და ორი ვაჟკაცი მიწაზე გაგორდა.

იქაურობას ხროტინმა და ქშენამ გადაურბინა.

ბრძოლა დაიწყო...

ხან ერთი იყო ზევით, ხან — მეორე. ეტყობოდა, ქისტი მძლავრობდა უფრო.

ქალი დაბნეულად მიშტერებოდა მებრძოლთ და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

სასოწარკვეთილებამდის მისულს ხელები თმაში ჩაევლო და მთლად გაფითრებული ცახცახებდა.

ერთბაშად თუშური თექის მარჯვენა იღლიის ქვეშიდან ქისტის ხანჯლიანი ხელი ამოძვრა. წვერი მარჯვენა ბეჭს დაუსწორა, მაჯა მოიხარა და...

— აააჰ!.. — დაიკვნესა ქალმა, თვალები დახუჭა, წაბარბაცდა.

ძაღლმა, რომელიც აქამდე ირგვლივ ურბენდა ჩახვეულ კაცებს და ცდილობდა, გამოეცნო პატრონის ტანი, ბრდღვიალა თვალები ბეჭისაკენ წასულ ხანჯლის წვერს გააყოლა. იმ ბეჭზე კი პატრონის დაკერებული თექა იცნო და...

გაბოროტებული ღრენით უკანა თათებზე შედგა, კრიალა, ნემსებივით კბილები გაჰკრა ღამეს და აწრიალი გაიშალა, ისკუპა.

ქისტის ხანჯლიან მარჯვენას ეცა პირდაპირ, ეცა და ადორბლილ ღაჯებში მოიგდო.

ვადაზე შემოსალტური ძალოვანი თითები დაიკრუნჩხა, აძიგძიგდა და თრთოლვით გაიშალა.

ხანჯალი მარცხენა ფერდში ჩარჩა...

ძაღლი კი ისევ ბუბნიდა ორივეს, თათებიდან ბასრი ბრჭყალებიც გამოეჩინა. ტუჩებზე შერჩენილ სისხლს წითელი ენით ილოკავდა და კვლავ იღრინებოდა.

მიწაზე აგორებულ ორი კაცისაგან შეკრულ გუნდას ხუჭუჭა თმით გაბარდნილი თავი გამოება, მერე იმ თავს თექიანი მხრები აჰყვა და ჩვენი უცნობი მთელი ტანით აიმართა.

მიწაზე უძრავად მდებარე ქისტს დააბიჯა, წატორტმანდა, მაგრამ თავი შეიკავა, გამაგრდა.

ფერდში სველი სიმხურვალე იგრძნო, თითქო ლადარი ჩააყარესო.

სისხლიანი მიწით მოთხვრილ სახე-

ზე ორი თვალი ვეება ცეცხლს ბორბალივით უელავდა.

ნესტოებდაბერილი უაზროდ ტრიალებდა ერთ ადგილას.

— სად არიან სხვები?! — იკითხა დაფანტულად.

— კოხიო!... იკივლა თითქმის გრძნობა მილეულმა ქალმა და ვაჟკაცის ფერდში ჩარჩენილ ხანჯალს ეცა... ამოაძრო...

სამღარიან ფოლადის პირზე სისხლის წვეთებმა ჩაიკრიალეს, მიწას მოხვდნენ და ქვიშა შეღებეს.

მკლავი მოიქნია, ხანჯალმა ხევისაკენ წაიღო შხუილი. ნაცრისფერი ღამე გასჭრა და ქვევით, ლოდებზე წკრიალი დაყარა.

— მოგვდევენ, გავიქცეთ!.. — კვნესით გაიკანკალეს გამშრალმა ტუჩებმა და ქალის ულონო მკლავი კოხიოს უკან ბილიკისკენ დაეზიდა.

იმან კლდეებში შემძვრალ ცალფეხა გზას გამომწვევად შეავლო ამღვრეული თვალები. ყურით ქვიშის ჩხრიალი დაიჭირა და ქალი გაიტაცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბუჰ, ბუჰ!... — იჭექა უკანიდან ორჯერ, გარშემო წერტილებად გაიწვლა სიბნელემ.

კოხიო აკოჭლდა, წაიბორძიკა.

კბილების კრაჭუნით მოღრიცა კისერი და მათკენ გამოქცეულ სამ ქისტსა ჰკიდა თვალი. ერთმა თოფი გამოიწოდა, დაუმიზნა.

კოხიომ იგრძნო, რომ პირდაპირი მიმართულებით რბენას დამძიმებული მუხლები ველარ შესძლებდნენ და თანაც სახიფათო იყო.

ბილიკს გადაუხვია, ნაშალ ქვიშაზე თავქვე დაითრია გრძნობა მიხდილი ქალი.

— ბუჰ!.. — იფეთქა კიდევ ღამემ და წელანდელივით აწივლებული, უჩინარი წერტილები ახლა ზევით, გოხებზე ჩხრიალით გაიშალა.

დააცილეს მიზანს.

გაქცეულებმა ყურებში ჩამდგარი ზუილი ჩაუტანეს ზვავების ქვეშ მწოლარე ხევს...

1938 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დალილა ბედიანიძე

* * *

ათი საათის თვითმფრინავმა შენს სახურავს გადაუფრინა...
გრძელი თითებით უკრავ ბეთჰოვენს,
იმ თითებით, ყველანაირ ხმას რომ მისწვდება.
მაგრამ მაინც... პიანინოს არ შეუძლია...
შენ ცდილობ, მკვდარი გააცოცხლო
და ვერ ხვდები, რომ რაც უნდა კარგად უკრავდე,
კლავიშებჩაყრილ პიანინოზე ვერ დაუკრავ ბეთჰოვენს, ვერა.
შენ დაგპირდნენ, ზეგ მოვალთ და დაიჯერე.
ელოდები, ელოდები და ემზადები,
რომ იოლი იყოს მოლოდინი, უკრავ, უკრავ...
მაგრამ არ იცი, ის წავიდა ამ ქალაქიდან,
უკვე წავიდა, სულ წავიდა.
ის დღეს წავიდა ათი საათის თვითმფრინავით,
ათი საათის თვითმფრინავით.
დამშვიდობება უფრო იოლი რომ ყოფილიყო,
ასე დაგპირდა, ზეგ მოვალო...
შენ ჯერ არ იცი, ბევრი რამე ჯერ არ იცი,
გრძელი თითებით უკრავ ბეთჰოვენს.
თვითმფრინავის ჩრდილმა შენს სახეს გადაუარა.
იქ, მომავალში წკრიალებს თეთრი როიალი,
ახალთახალი, ბედნიერი...
მაგრამ იქამდე რა შორსაა...
სადღაც კარი დარჩა ღია და ქარი კარს აჯახუნებს
და ქარი კარს აჯახუნებს.
ნეტავ ვის კარს აჯახუნებს,
ვისი კარი დარჩა ღია? ან — სად არის იქ პატრონი?
სადღაც კარი დარჩა ღია და ფანჯარას ლეწავს ქარი.
შენ კი... შენ კი... ბეთჰოვენი დაუკარი!
ათი საათის თვითმფრინავი გასცდა შენი ქალაქის ზეცას და სხვა
ზეცაში მიიმალა.
მოლოდინი იმისი, ვინც არასდროს მოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოკვლა ხომ კარგი იციან,
დამარხვა — უკეთესი!
ასეთი არის, ბიძია,
ადამიანთა წესი!

რაც მათ ამხილებს — ტაბუ აქვს!
რაც ალხენთ — ყველგან შეაქვთ.

ასეთი არის, ბაბუა,
ადამიანთა ჩვევა.

კაცი კი არა, მათ ხელში
წამოიქცევა მუხა!
თუმც — ვერ ძლებ იმათ გარეშე
ადამიანი თუ ხარ!

## გამოფენიდან

ვლაპარაკობდით,
ის თან ფანქარს ათამაშებდა.
ჯერ თმა დახატა, მერე — ნიკაპი,
მერე — ცხვირი...
კი არ ხატავდა, ერთობოდა,
თანაც — ენას არ აჩერებდა.
უცბად შეკრთა და გაჩუმდა.
თურმე თვალებიც დაუხატავს,
ახლაღა იცნო, და მეც ვიცანი —
თითქოს თვალი ნახატს კი არა, ჩვენ აგვეხილა,
თითქოს ახლა გავიცანით, დახატვის შემდეგ,
რას აკეთებენ ჩვენი ხელები,
როცა გვგონია, მხოლოდ ვერთობით,
საიდან რას აღმოაჩენენ,
განა ჩვენი ვიცით?

* * *

რას მივტირი?
დროის სიმცირეს.
შარშან ერთი წლით პატარა იყავი,
ერთი წლით შორს სიკვდილისაგან,
ერთი ამბით ნაკლები იცოდი,
ერთი ახლობლით მეტი გყავდა ცოცხალი.
ო, როგორ მალავ, რამდენი წლის ხარ,
როგორც ცუდ ამბავს, რომელიც ბოდიშის მოხდით უნდა გაამხილო,
რადგან ოცის აღარა ხარ,
ოცდახუთსაც კი გადააბიჯე, უფრო მეტსაც.
როგორ გრცხვენია, რომ გაიზარდე,
თითქო შენს გარდა ჯერ არავინ გაზრდილიყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს მარტო შენ გევალებოდა, მუდამ ბავშვი ყოფილიყავი,
მაგრამ რას იზამ, დრომ გაჯობა, უკვე ქალი ხარ
და ბოდიშს იხდი, რომ ისეთი ველარ დახვდები,
ვისაც ბავშვობის შემდეგ აღარ უნახიხარ.
ყველაფერი ისევ ისეა, სულში ისევ ბავშვი იცინის,
მხოლოდ ასაკი მოგემატა და დრო გავიდა,
რაც ცუდი იყო, დავგავიწყდა,
როგორც ძნელი გაკვეთილები,
რომელიც ყველაზე კარგად იცოდი, მაგრამ სკოლის შემდეგ
მაინც დაგავიწყდა.
ცუდი თუ არ დაივიწყე პირველ რიგში,
ვერ გადარჩები.
რაც კარგი იყო,
ასჯერ კარგად გეჩვენება ახლა, აქედან.
ნეტავ, რამდენი დარჩა კიდევ?
შუა გზაა ეს თუ — შუა გზა კიდევ წინაა?
რას მივტირით? დროის სიმცირეს და იმ სიცივეს,
თანატოლებს წლიდან წლამდე რომ არ ახვედრებს ერთი მეორეს.
ერთი ისევ ბავშვია, მეორე კი უკვე დაბერდა.

## სიცხე

ცხელა.
ხელებსაც ეძინება.
ფეხებსაც ეძინება.
თვალებსაც ეძინება.
ფიქრებსაც ეძინება.
ლაპარაკსაც ეძინება.
მზესაც ეძინება
დგას ცაზე და თელემს და აცხუნებს და თვითონვე სცხელა.
და რადგან სცხელა, ფეხსაც ვერ იცვლის და არის ასე.
ჩიტებსაც ეძინებათ.
ხეებსაც ეძინებათ.
სიოსაც ეძინება.
სახლები კი არინდულან შუადღის ხვატში,
ქალაქგარეთ წასულ პატრონებს ელოდებიან.
ბუზსაც კი ეძინება.
ძაღლს აზის ცხვირზე.
ძაღლსაც ეძინება და ეზარება, აუქშიოს ან დაიჭიროს.
გაზონის ყვავილები სურნელებად გადაქცეულან,
კი არ ჰქნებიან, ორთქლდებიან, გამვლელს ათრობენ.
ცხელა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

როგორია, გოგონა რომ „ქალბატონოდ“ გადაიქცევა,
ბიჭი — „ბატონოდ“
და „თქვენობით“ რომ განაგრძობს ტრასას?
შენი ბავშვობის ფირფიტები კი
ისევ ისე განაგრძობენ ტრიალს და არ იღლებიან.
მაშინდელი ტანსაცმელიც ისევ გარგია
და რემონტიც კი არ გქონია სახლში მას შემდეგ.
რაც „ბატონოდ“ და „ქალბატონოდ“ გადაიქეცი
ერთხელაც ბავშვმა დაიძინე და რომ გაიღვიძე,
ასე იყო

ყველას ასე ემართება და მაინც არვის, არვის არ სჯერა,
რომ დაიძინებს ერთხელ ბავშვი
და „ბატონოდ“ და „ქალბატონოდ“ გაეღვიძება
და ბავშვობას არ იზოგავენ — პირიქით, უნდათ,
რაც შეიძლება, ჩქარა დამთავრდეს
და არ იციან, რომ არ მთავრდება.
რა ბედნიერი იყო ბავშვობა, შენი ჯინსები და კასეტები,
შენი ბურთი და მოედანი...
ყველაფერი ისევ გრძელდება, მხოლოდ — ასაკქვეშ,
მხოლოდ — წყალქვეშ.
პატარების ბავშვობა სხვაა, დიდების კი — სხვა.
პატარა ბავშვს „გოგონა“ და „ბიჭი“ ჰქვია,
დიდ ბავშვებს კი — „ბატონო“ და „ქალბატონო“
და სულ ეს არის.

* * *

მზის სხივი მტვერშიც სხივია,
სხივი მოვა და წავა,
მტვერი დარჩება ადგილზე,
სხვასაც იმატებს მრავალს.

მზის სხივი მტვერშიც სუფთაა,
მტვერი კი — უფრო მტვერი.

სხივი ათასჯერ გატეხო,
მაინც დარჩება მთელი!

სხივისგან რამდენს ელიან,
მტვრისგან კარგს ვინ რას ელის...
ეს შედარება ძველია —
ჩამოვაფერთხოთ მტვერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

# წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა

რომანი

ბელასავით წავიდნენ, გაქრნენ, გაილიენ დღებიც.

აგრილდა, აცივდა. წვიმებმა იმატეს და იმატეს. წყალი ზემოდანაც, გვერდებიდანაც ცრიდა. სველდებოდა, ცივდებოდა, მყრალდებოდა, ჩვენი ოთახი ობდებოდა. ჩამოვიდა მთიდან მამაჩემი. ჩამოიტანა კვირხილა (ნაგვიანევი მწვანედ გამხმარი თუთუნი).

ასეთი თუთუნი როგორ გაიყიდებოდა. გაიტანა ჩაქვში, სულიას დაუტოვა, რაც გინდა უყავი. იქნება აქაურ მეჩაიეებს სოფელშივე მიაჩეჩო, მიაფაფო როგორმეო. იქნება პაწა ხარჯი მოაფერო და ამ ჩემ მუქრას საზამთროდ რამე მოთბილო, მხრებზე წამოსაფენი უყიდოო. სუსტი ბალღია, ხმელი, შეუძლო. ქალაქმა გლახა გაცივება იცის, გონჯად დაავადება იცის, არ მომიკლას ბლუშტი, სულიავ, რაცხა მომეხმარე, რაცხა მომიფერე. შენ შეძლებ. მე არაფერი გამომდის, გაყიდვა არ შემიძლია. ჩემი ხელიდან არავინ არაფერს იყიდის. ასეთი დამწვარი იღბალი მაქვსო, უჩიოდა მამაჩემი ძმას. არ ვიცი იმ თუთუნს სულია ბიძამ რა მოუხერხა, მაგრამ ერთ დღეს, გადადარებულ ნოემბრის კვირა დღეს. მამაჩემთან ერთად, ჩამოგვაკითხა და შავ ბაზარზე გაგვიყვანა.

დიდი ვაჟკაცობა და გულუხვობა გამოიჩინა უფროსი, მთიელი, ხელმოკლე ძმის წინაშე სულიამ. თუთუნი თურმე შინ დაეტოვებინა, მაგას გვიან, ზამთარში რაღაცას მოვუხერხებ. ვიღაცას ხათრით თუ ძალით დავაკრავ ზურგზე და რაცხა პაწა გროშებსაც ავაგლეჯავო, უთქვამს მამაჩემისთვის. ახლა წამოი, წავიდეთ ბაზარში და ერთად ვნახოთ რამე. ფარას მე დავდებ. ბიჭს რამე ჩავაცვათო.

იარეს, იარეს და, ბოლოს, ბიძა ერთ სქელ ქალს (ისევ სქელ ქალს!) მიაჩერდა. ქალს მხარზე გადაეგდო პალტო-ტუჟურკა. შინ შეკერილი, ძაფებდაპორწიალებული, მაგრამ, ეტყობოდა, ახალი, ჩაუცმელი, მაგარი. ბიძაჩემმა ქალის მხრებიდან ჩამოიღო პალტო-ტუჟურკა. შუაზე წყვილ-წყვილად ჯიბეები ჰქონდა დატანებული — ირიბად გაჭრილი ჯიბეები, ხელების გასაყოფი. შევხედე. პალტო ცოტა მედიდა. ამან კი მატკინა გული, რადგანაც „ტუჟურკა", რასაც ბიძაჩემი ჩოხას ეძახოდა, ძალიან მომეწონა. ეს რომ მიყიდა, ვფიქრობდი ჩემთვის, — კოსტუმიც და პალტოც ერთად მექნება: ორივეს მოვალეობას იგი შემისრულებს-მეთქი. ჯიბეები მომეწონა ნამეტნავად. ჩავიყოფ ხელებს, ჩავილილავ და, თუ ფეხზე წყალშეუვალი რამე მელირსა, რაღა მიჭირს, გამითბება ხორცი, და ვივლი ბათუმურ ჟუჟუნა წვიმაში ლაღად. აი, ვიქნები ბიჭი! დავენახვები ბელას უფრო გაბედულად და ხშირად. შეიძლება კინოშიც დავპატიჟო, თუ მექნა პაწია ფარა. ეჰ, თუ ის ჩოხა მიყიდა, თუ ფეხზეც ბიძამ რამე მომიძებნა, რაღაის ფარას დამიტიებს.

ჩოხა-ტუჟურკა მაღლა ასწია, შეხედა, შეაბრუნა, შემოაბრუნა. მამაჩემი ოდნავ ნაღვლიანი თუ ერთგვარად დარცხვენილი სახით შეჰყურებდა ყოველივე იმას, რაც იქ ხდებოდა.

ჩემი ბალნური ჭკუით მივხვდი, — ბაბას ერიდებოდა. საკუთარ ჯიბეში არა ედო რა, ამიტომ ბიძაჩემზე ჰქონდა მთლიანად მინდობილი ჩემი საზამთრო შემოსვის საქმე.

დარდიანი, დაღალული თვალებით აკვირდებოდა ყველაფერს, თითქოს წვერულვაშიც დაღლოდა, — დაფუშული, გაუფერულებული ბალნები ულონოდ ჩამოწუროდა ლაწვებიდან თუ ნიკაპიდან დაღმა. რადგან ფული ბიძას უნდა გადაეხადა, მამა ალარაფერში ერეოდა.

სულიამ პალტო რომ მაღლა ასწია, ალტაცება ველარ დავმალე. ჯიბეები ხომ მთლად ხატავდა. თუმცა რა ხვიტი უნდა ჩამედო იმდენ ჯიბეში. მაგრამ ჯიბე მაინც ჯიბეა, მამაკაცს შვენის ჯიბე. აი, თუ ეს ჩოხა მიყიდეს, მარტო გვერდებზე, ოთხი მოზრდილი ჯიბე მექნება, — ორი ქვემოთ, ორი ოდნავ ზემოთ, ორიც ხომ

დასასრული. იხ. „ჭოროხი", 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგა ჯიბე მექნება, ვუყურებ, ვაკვირდები და ვატყობ, ჯიბეები საკმაოდ განიერებია. შეიძლება მთელი წიგნიც ჩავიტიო და სასწავლებელში რომ წავალ, ბილეთში ალბათ ვაპირწინალი ჩანთა ხომ მაინც არა მაქვს. ცერიც მომეწონა პალტოსი. შავი იყო, ქვარტლივით შავი. რაც მთავარია, ნაცვამი არ იყო, ახალი ქსოვილი იყო, სქელი, გამძლე და, ალბათ, შესაფერისად თბილიც.

ბიძამ ერთხელ კიდევ მაღლა ააფრიალა პალტო. მამაჩემს გადახედა, მეც თავის დუდიდან ფეხსაცმლებამდე საგანგებოდ შემამოწმა. სქელი ქალი კი, მხრებზე, მკლავებზე გადაკიდებულ-გადაფენილი სხვა ათას ძველ-ახალი ნაჭურტალებით ჟაბუნულ-ულებული, სხვა მუშტრებს ეძახდა, ზოგსაც წვრილმან რამეებს უკვე აძლევდა. აღებულ ფულებს კაბისქვეშ, ჩულქის თავში, იჭეჭავდა. თანაც ჩვენსკენაც ცალი თვალი ეჭირა. იდნავ ვითომ იეცნო, ისე გვიყურებდა, ისე ჩვენდობოდა, ერთგვარი იმედი მომეცა, რომ ხაზეტანი ძვირად არ დაგვიფასებდა ჩოხას.

— აი? — შეხედა ბიძამ ბაბას, — რას იტყვი, ალიავ, შენ გადაწყვიტე.

— რა ვიცი, შენ იცი სულიავ, — დაუთმო მამაჩემმა.

ბიძამ პატრონს შეხედა. ქალი უმალვე შემობრუნდა, რაღაც თავზეც გადაიყარ-გადაიფარა და სახე სულ შეისუდრა, მაგრამ თვალები, ბიძაჩემისაკენ რომ იცქირებოდნენ, მე კვლავ მეცნაური და უხებური სიამის ალმური ტანში დამიარა.

ერთი რომ ჩამაცვან, მომაზომონ? — ვფიქრობდი ჩემთვის, თანაც იმავე მოზომვა-გასინჯვის მეშინოდა. პალტო თვალში ცოტა მედიდა, ვოდა, თუ ხახავდნენ, რომ მართლაც დიდი მაქვს, აღარ მიყიდიან-მეთქი, ვშიშობდი. ქალის თვალებმა ბიძას უთხრეს (პირი არ უხსნია), გაასინჯეთ, ჩააცვით, ნახეთო.

— აა, ჰო, გუუუარე... — მომაფინა ზურგზე სულიამ ჩოხა. როგორც კი ხელი გავყავი, სახელო მეგრძელა, მხრებში არა უშავდა, ბიძამაც თქვა, მხრებში პალტო გენგიშა უნდა იყოს. ბავშების წვიმა მაგას ისე მოთელავს და მოწირეხავს, სულ მალე დაუპაწავდება. მერე, ემატება, გაისად თლა გაავსებს მაგ ტუუურკასო.
ემატება, გაისად თლა გაავსებს მაგ ტუუურკასო.

— წინ ჟოლაქები ჩამიღილეს და ზემო ირიბად ბიკერებულ ჯიბეებში ხელები ჩამაწყობინეს. უცებ ძვლებმა სიამე იგრძნეს. მეც უკვე მოზრდილი კაცის იერი მივიღე. ზაქრო შორიახლოთ იდგა და მისებური გულგრილი, გაუგებარი და გაპარული ღიმილით იყურებოდა. იმას რა ენაღვლებოდა, — შინ ლოჯეზე, ფიცრის კედელზე, მიკიდებული თავისი ჩოხა-შარვალი ეგულებოდა.

— რანდა აგვარიგა ამაში? — ჰკითხა ბიძამ. ქალმა პალტო გამოართვა და მხრებზე აზვინულ ძველმანებზე ზემოდან გადაიგდო. პირი იბრუნა. შეგვატყო, მოგვეწონა და [illegible] ვეჭვი თითქოს გაგვეჯავრდა, თითქოს გადაიფიქრა, თითქოს უარს ამბობს.

— რას კითხულობ ფასს, ხაქინელი ნახე? მოდა, ახალი, ნაღდი რა ღირება აქა, ვერ უნდა მიხვდე? ორნახევარი უნდა...

ეს ორასორმოცდაათს ნიშნავდა. ბიძამ თავი ჩაღუნა, ტუჩები აიქნავა, მგონი რაღაცას ანგარიშობდა. მამაჩემი თითქოს ერთგვარი შიშით შესცქეროდა.

— პაწა დააკელი და მიმაქ.

— წიილე, მა, ხუთს გიკლებ. ალარაფერი გამაგონოთ — ბრძანა სქელმა ქალმა და თავზე გადაფენილი პერანგები მხრებზე გადაიყარა, სახე გამოუჩნდა. ღმერთო! — ეს ხომ ის ქალია, სულია ბიძია რომ შეეჯახა ბაზართან და საზამთრო გაუხეთქა?

— იმ ხუთ მანეთს გიბრუნებ. — ჩაიხვიხვინა ქალმა და ახლა ბიძაჩემმაც იცნო.

მოკლე თათბირის შემდეგ გადაწყდა, ჯერჯერობით ჩემთვის კალოშები ეყიდათ. ძველ ფეხსაცმელს კალოშში შეკრავდა, ფეხში წყალს არ შეუშვებდა. თანაც კალოში ისე ძვირი არაა. ბიჭს პალტო აქვს, ფეხიც მშრალად ექნება, აღარ გაუჭირდებაო.

პირფართო კალოშებს შიგნიდან წითელი ფანელი ჰქონდა გამოკრული და კიდეშემოღლეტილ ფეხსაცმლებს მყარად შემოეტმასნა. ბაზრიდან რომ ვბრუნდებოდით, ერთგან ქუდების მკერავთან შევდექით.

— გებრას დეიხურავ, ჰო? — ჩემს მაგიერ მამაჩემს შეხედა და იკითხა ბიძამ.

მუშისქვეშ იდო სამხედრო ყაიდაზე შეკერილი „კეპკა", მოზრდილი კოზირი ჰქონდა. წინ ყირმიზა ვარსკვლავი უციმციმებდა. ა, ამას დავაჭირე თვალი. ბიძაჩემი იმ დღეს სხვანაირ ხასიათზე იყო. მისი მუდამ განრისხებული და უკმაყოფილო სახე ერთგვარად გამოდარებული, კეთილი, მოალერსე ჩანდა. როგორც კი შემატყო, ვარსკვლავიან კეპკას დავატანე თვალი, ხელოსანთან შეაბიჯა, ქუდი გადმოიღო და პირდაპირ ჩემ მოხვიტირებულ „დუდზე" დამადო (ჩვენში კომბოსტოს დუდიფხალს, ესე იგი, თავიფხალს ეძახიან). ცოტა კი მომეჭირა, მაგრამ წინ წაშვერილ კოზირს ისე წავატანე ხელი, ვეღარავინ გამაშვებინებდა. ბიძამ იჩიჩქნა-იჩიჩქნა ჯიბე და ბნელი სათვალიდან ჩვენსკენ მომზირალ მკერავს რაღაცა ჩაუდო კალთაში. ქუდი თავზე დამრჩა.

მეორე დღეს სასწავლებლიდან შინ ადრე წამოვედი. ზაქრო ცილაცა ბიჭებს ბულვარში წაყვა, იქ, ერთ ალაგას, ჩინური ზღმარტლია და ვჭამოთო. ოთახში რომ შევედი, გულს ბაგიბუგი გამქონდა. ახალნაყიდები უნდა ჩამეცვა.

ჭაჭანება არსაიდან ისმოდა. ძველი გარდერობიდან გამოვაძვრე ჩემი ახალნაყიდები და საწოლზე დავაწყვე აზიზად. მიხაროდა, არავინ მიყურებდა. ერთი ლაღად, სულდაათქმულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავიცვამდი, სარკეში გავიხედავდი, მერე იქნებ ქუჩაშიც გავიდოდი, იქნება ბულვარსაც დავენაბებოდი. ტურფურობით გოგონები არსად ჩანდნენ, არც ხმა ისმოდა არაფრის. ვიმეორებ, პალტოს ორი მოვალეობა ეკისრებოდა, — პიჯაკადაც უნდა გამომდგომოდა. ამიტომ ბიძაჩემის ნაყიდი ჩოხა თითქოს ჩემი მთელი ცხოვრება იყო. სულმოუთქმელად ჩავიცვი და ძველი გარდეროობის კარში ჩასმულ სარკეს მივეშვირე. სარკე ისე იყო ჩაყვითლებულ-ჩალრუბლული, შიგ სახეირო ვერაფერს გაარჩევდი, მაგრამ ერთ ალაგას, ასე ორი ხელის სიფართეზე, აღმოვაჩინე ჭერ კიდევ საღლაში ტიალი ჩასახედი, სადაც მე და ჩემი პალტო დავიბადეთ! აი, — დაბადება ოდნავ მაინც უახლოვდება ჭერმიუგნებელ იმ სიტყვას, სიცოცხლეში პირველად პალტოჩაცმულის სიხარულს რომ სრულად იტყვის. ფოლაქები რომ ბოლომდე ჩავიღილე და ხელები დავუშვი, ახლა უკვე თვალში საცემად შევამჩნიე, სახელოები რამდენად გრძელი მქონდა, ასე ოთხი თითის სიბრტყეზე ბოლოები წამოვიკეცე და ხელები გამოვაჩინე. საყელო გავისწორე. შიგნით ძველი ტილოს პერანგ-ბლუზის დაგორვალებული საყელოს წვერებიც გავიჩეჩ-გავისწორე და თვალი ჩემივე თავს შევავლე. თითქოს სქელი გამოვჩნდი, შავი და უცხო. მე — ნამდვილმა, თვალი ჩავუკარი და დავუჭლანე იმას. მე — ანარეკლს. ანარეკლი უძახე შენ, — მე მჭობდა იგი. არა, მართლაც, უკვე პალტოში ჩემზე შეიხედებოდა, — არა მიშავდა. ჩემივ სახეზე ალაგ-ალაგ, მეჩხერ-მეჩხერ ამოდერნილი ბალნები აღმოვაჩინე. ეტყობა, ღორა ჰირის მოპარსვაზეც ვიფიქრო. — ვთქვი, ძველი შარვალი, რომლის გახუნებულ-დაჭმუჭნული ბოლოები შავი პალტოს ქვემოთ ახლა უკვე მკვეთრად გამოისახა, აუტანელი მეჩვენა. მაგრამ, ვეცადე. ეს დიდ უბედურებად არ ჩამეთვალა და ბედს შევრიგებოდი. ვინატრე კი, ოდნავ მოგრძო რომ ყოფილიყო ჩოხა, შარვალს სულ დაფარავდა-მეთქი. მაგრამ... კალოშები? კალოშებმა იქნებ შეცვალოს რაღაცა. გამოვაძვრე კალოშები, შიგ ჩავჭუჭკე დაღლეტილი ფეხსაცმელები და ფეხებზე წამოვიცვი. კალოშების ლაპლაპა სიშავემ მართლაც თითქოს წაშალა შარვლის ბოლოების სიგონჭე და ერთგვარი ჰარმონია თუ მოსათმენი მთლიანობა დაამყარა. ვუყურე, ვუყურე ჩემს თავს და, უცებ, სიცილი წამსკდა. მე მგონია, ეს ბედნიერებისა იყო.

ახლა, ახალი „გერბიც" გამოვიღე და თავზე დავიდე. შავი პალტო, ძირს შავად მოლაპლაპე კალოშები, თავზე კაკლის წენგოსფერი ქუდი. თავი ბაზრის' შემდეგ თითქოს უფრო კამზრდოდა. — ქუდი გაჭირვებით წამომეტია. ფაქტიურად, მაღლა წამოკოკოსებული დამრჩა. იგი ცოტა წინ, შუბლისკენ დავაქანე და კოზირმა იერი მთლად გამომიცვალა. ქუდი ნელ-ნელა თავზევე გაყალიბდება, კაიწევა, თავს მიეჩვევა და მოერგება. — [illegible] ტოს სახელოების [illegible] ნდა. გარეთან [illegible] მოულემელი მეჩვეში [illegible] უკეთესა.

გარედან კისკისი გავიგონე. ბავშვი და ლია მაშინვე ვიცანი. ბგანი შუშაბანდში თვალი შევმკერი და ჩემზე გავეცინათ. ბელა! [illegible] ჩემკენ ყურებაში ლიას ჩამოჩნა. [illegible] ლიმილი კი მაშხალასავით [illegible]. ეს ლიმილი ჩემი იყო, ამას კარგად ვგრძნობდი და გული საშინლად მექაჩებოდა, თითქოს გავსულიყავი.

ლია ფარდულში შეიძლება - ბელა კი, თითქოს ფეხს ითრევდა. მეც აღარ დავაყოვნე, დავძლიე ჭოჭმანს და კიბეზე ჭრაჭუნით დავეშვი. ცერის თითებით პალტოს სახელოები მოგნით შენაკეც ბოლოებს ვაკავებდი, რომ ისევ გარეთ არ გამოხერილიყო.

ბელა ფიცრულ კარს მიადგა. შეჩერდა, შემომხედა, რატომღაც სახეზე მკლავი მიიფარა და სახელი დამიძახა. ბელას ბაგეებიდან ჩემი სახელის წარმოთქმა, ჩემთვის ერთი ჩაცმა-დახურვის ლირებულებისა იყო. რაღაცა მკითხა, მაგრამ ვერ გავარჩიე. რა ჩემი სახელის თქმამ დაბურა და წალეკა სხვა დანარჩენი. ბელა მომეთქი, მეც დავემოწმე, რათა ამნაირად მეც მისი სახელი წარმომეთქვა მისი ეშმაკური თვალები თითქოს წინანდელ, ჩვეულ დაუმორჩილებლობას აღარ აშუქებდნენ, რაღაც ახალი თვინიერი და რბილი სინათლეები მომეფინა მისი გამოხედვიდან. წამით ამნაირი შთაბეჭდილება დამრჩა, მეგონა, ბელას შევეცოდე ამ პალტოში. გაგიგონია, კაცს ახალ სამოსელში ჩაცმული შეებრალოს? კი, ბატონო, საკმაოდ გრილოდა, მაგრამ სასალტო ამინდი ჭერ არ იყო და, ბელა ალბათ მიმიხვდა, რის დასანახად რომ გამოვედი ასე შემოსილი.

შორიდან, წელან, მაგარი ვიყავი. ბელასთან პირისპირ შეხვედრისათვის სიტყვებს ვაწყობდი, ვალაგებდი, წარმოდგენაში სულ თავისუფლად, სხარტად, ლაღად, ამაღლებული უშუალობით ვემუსაიფებოდი იმ საოცარ გოგონას, მაგრამ, როგორც კი შევხვდი, გული მიშნარევმა მღელვარებამ შემიბოჭა და სიტყვები აქეთ-იქით გამექცნენ. ახლის ჩაცმამაც ვერ მიშველა, კი, რა თქმა უნდა, პალტოში ვიყავი, მაგრამ ისე მეგონა, მე ცალკე ვიყავი, პალტო ცალკე იყო და ამ ახალოებში შემალულ სიფუხრე-სიშიშვლეს გოგო თითქოს ხედავდა.

მიყურა, მიყურა, მაგრამ ენა რომ ვეღარ მოვიბრუნე, შეტრიალდა, წასვლა დააპირა, თუმცა, ვნახოთ, წამით ისევ მომიბრუნდა, ისევ გადამაყარა თავისი უსაშველოდ ცხელი ლიმილის ნაკვერცხლები და მომაძახა ჩვეულებრივი უჭირმბრის ცახავით ულრუბლო მოიისფერებულ მოწმენდილი თვალები: [illegible]! [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, იმ სილამაზის უშველებლობამ რაღაცნაირად შემაკრთო. და, უცებ გულში გამიარა, ღმერთო, ჩამკარგე, ჩამახვიე, ჩამლუპე, ე, ამ სილამაზეში-მეთქი. მაგრამ (ტკივილივით მახსოვს) მარწყვისფერი ტუჩები გახსნა და ბელამ მითხრა:

— შუქრი, იცი, სულელი ვინაა?

— არა, — ვთქვი დაბნეულად და ახლა რატომღაც მკლავი მე თვითონ მივიდე სახეზე.

— შენ ჩემი სულელი ბიჭი ხარ, შუქრი. — განაგრძო თვალების ზეიმური ელვებით ბელამ და უხმო ჩაკისკისებამ მხრები შეუკანკალა.

ჯანაბას, ვიყო სულელი, ჩემი ბიჭი ხარო ხომ წამოცდა? — გავიფიქრე და ჩაღილულ პალტოზე სიამოვნებით დავისვი ხელი.

— სულელი? — ვიკითხე მაინც,, რათა არ გონებოდა გოგოს, რომ ეს სიტყვა ვერ გავიგონე, ან ვერ გავიგე.

— სულელი! მე მიყვარს სულელი...

ჰიშკარში „ხაზეიკა“ შემოზვინდა. იქვე ადგილზე დაესო და ბელას შეაშტერდა.

— ოიკიდი, შე ლორის ნაგაზო, შენ! გამიხდი სამწუხსავი ხომ?!

მოვიხედე. ბელა ტანის რხევით, ოდნავ თითქოს გვერდით გადაზნექილი, თავისი ფიცრულისაკენ მირბოდა. ფაციას ჩემთვის არც შეუხედავს. ოთახში რომ ავედი, ზაქრო იქ დამხვდა. არ ვკითხე, საიდან შემოძვერი-მეთქი, ისედაც მივხვდი. პალტო გავიძრე და ღრჭიალა გარდერობში ფრთხილად შევმალე. ზაქროს ძალით დასერიოზებულ სახეზე ვამჩნევდი, ყველაფერი დაენახა. ითმინა, ითმინა და ბოლოს გატყდა:

— ძალიან შეგიყვარდა, ქო?

— რა გინდა მემრე შენ?

— აფერი, რანდა მინდოდეს. იმას ვჩივი, მითხრეს, მაი გოგო კოჭლიაო და... — არაფერი ვუპასუხე, გავჩუმდი, კალოშები გავიძვრე და საწოლქვეშ შევაჩოჩე, წითელვარსკვლავიანი ქუდი ლურსმანზე ჩამოვკიდე, საწოლზევე ჩამოვჯექი და კანშემოგლეჯილი „გლახის ნაამბობი“ გადავფურცლე. გულის სიღრმეში რაღაც დამეწვა, თითქოს ვიღაცამ გამლახა.

— იყოს, რა ვქნა მერე! — ჩავილუღლუღე.

— არა, ისე ვთქვი. თვარა... — მგონი მალული კმაყოფილებით მიპასუხა ზაქრომ.

შევხედე ბიძაშვილს და რაღაც ლიბრი სიძულვილივით გადამეფარა თითქოს. ტუჩების ერთ კუთხეში თავმოყრილი მისი უფერული ღიმილი თანდათან გაიცრიცა და გაშრა. მან ბიძაჩემივით შეიკრა შუბლი და ჯავრიანი თვალებით დამიწყო ჰკუის დარიგებანი. კი, ამას ვგრძნობდი მას შემდეგ, რაც მის მოწყალებაზე დამოკიდებულად ვითვლებოდი.

მაგრამ მაინც შეჩვეული ჭირი მერჩია. ზაქროს გარდა ახლოს ვერავის ავიტანდი. ბელას — კი. მაგრამ ბელას სიახლოვე იმ აღუსრულებელ ოცნებათა რანგს მიეკუთვნებოდა, ჩემთვის ფიქრიც წარმოუდგენლად დაუშვებ[illegible] რად, რით, როგორ!?

დილით, შინ, პურის ნატეხით და ზეგნიდან მამაჩემის ჩამოტანილი ჩლეჩილა ყველის ნაფცქვენების ქეჭვით გავდიოდით. შუადღეზე, გაკვეთილების მერე, სკოლის საინტერნატო სასადილოში, დიდი ქვაბით ლობიო კეთდებოდა ჩვენთვის. ხანდახან, ეგრეთწოდებულ, კატლეტებსაც დაგვირიგებდნენ, მაგრამ კატლეტს ხორცის გემო არ ჰქონდა. იგი მთლიანად შავი პურის გულისაგან იყო მოზელილი, მაგრამ ზეთში რადგან იწვებოდა, მომშეულზე მაინც გემრიელად გვეჩვენებოდა. ლობიო შინ, სოფელში, მოწყენილი და შეჯავრებული მქონდა. აქ კი, ქალაქში, უკმაზავი, თხელი ტლაპო,მაინც უფრო კულტურულ ლობიოდ მეჩვენებოდა. ისე ვეძგერებოდი ჩიჩვირმოჭეჭყილი კოვზით და ისე ამოვაშრობდი საინს, — შენი მოწონებული, თუ ძალიან მშიოდა, თუ ის ნახევარი საინი ლობიო არ მეყოფოდა, ტაბურეტიდან არ ავდგებოდი, ვაგრძელებდი ცარიელ თეფშში კოვზის კაკუნს და პურის ცარიელ ფუნჩხებს ცარიელ პირში თითო-თითოდ ვისროდი. მზარეული, რუსი თუ გერმანელი, სახე ლეჩაქივით თეთრი და თეთრი პურივით მრგვალი რომ ჰქონდა, პატარ-პატარა, ჭიქის ნატეხივით ციმციმა, თვალები გაოფლილ სახეზე შებრალების თუ რაღაცნაირი თანაგრძნობის ნაჭუჭებით რომ ექსოვებოდა, თეფშების მისაძლევ სარკმელში თავს გამოყოფდა და, ისე უხმოდ, ხელის ქნევით მანიშნებდა, მოიტა საინი, ლობიოს დაგიმატებო. ეს წინასწარ ვიცოდი, ამას მივეჩვიე და, ხშირად, ერთხანს ვრჩებოდი მაგიდასთან, რომ მზარეულს დავენახე.

მაგრამ ნამდვილი ხორცის კატლეტზე ოცნება მუდამ თან დამყვებოდა. ყველაზე დიდი სანატრელი მაშინ ჩემთვის ეს იყო: მქონებოდა იმდენი ფარა, როცა მომინდებოდა, კატლეტი მეჭამა, კინოს ბილეთი მეყიდა და იქ ესკიმოც ამელო, რაც ბელა გამოჩნდა ამ ქვეყანაზე, მერე ამ ნატვრას ცოტა რამ კიდევ შეემატა, მაგრამ ყოველივე ამეებს ახლა აღარ ჩავუღრმავდები.

არა, გლახას ნურავინ იფიქრებს, ქვეშ-ქვეშ ნუ ჩაიღიმილებთ. ა, ვიტყვი, თუ ასე გინდათ: ჩემი სურვილი იყო, ბელა წამეყვანა ჩემთან, სოფელში. მოვშორებოდი იმ საშინელებას, სწავლა და სკოლა რომ ერქვა. ბელა თუ გვერდით მეყოლებოდა, ოყიან თოხსაც დავიჭერდი ხელში და ყანას მოვთხრიდი (თუმცა საკუთრად ყანას ვინღა გაღირსებდა. სუყველაფერი კოლმეურნეობამ მოხვეტა და გლეხს გარეუბანში სადღაც კაპან ღელისპირებში საფხეკი ხელისფართე ნაწიბურიც კი აღარ დაუტოვა).

მერე, ჩემი ბელა მომიხარშავდა ჩვენებურად ფხალლობიოს, გამომიცხობდა კეცში ჭადს... ეჰ, მისი ხელით მოზელილი და მისი ხელით კეცზე დაკრული ჭადი სულ სხვა გემოსი და სურნელისა იქნებოდა.

თანდათან აცივდა. თანდათან იმატა წვიმებმა. ქუჩები, სახლები, ხეები, ადამიანები სულ ერთიანად გაწუწულები, გალუმპულები ჩანდნენ ასეთ ყიამეთ წვიმებზე ჩვენებური გამოთქმაც გამომიცხვა თუ გამომეცხადა: ბათუმის წვიმა ყველაზე სველი წვიმაა მთელ დედამიწაზე.

მაგრამ ჩემი ტუტურკა-პალტოს, ჩემი კალოშების და ჩემი ვარსკვლავდაბნეული ქუდის პატრონს ამისი დარდი მაინცდამაინც აღარ მაწუხებდა. სახელოები ისე შევაჩვიე ბოლოების შიგ შეკეცილობას, გადაჭრა-დამოკლების საჭიროება გაქრა, ისედაც სად იყო მაგისი ხარჯი, რომელი მკერავი გამიკეთებდა ნისიად.

ერთხელ, ერთ შეცივებულ წვიმიან დღეს, მინ რომ მარტო ვიყავი, გაიღო კარი და, ღმერთო ჩემო — თავად ბელა გამომეცხადა. მოკლე ხალათი წამოეგდო მხრებზე, შიგ მოკლე ჩითის დაფრეწილი კაბა ეცვა და ხანდახან მუხლები გამოუჩნდებოდა.

ძალიან პატარა და ჭყაპი კიტრივით მოკაკვული მეჩვენა იმ ნაჭურტალებში გამოხვეული ბელა.

თითქოს უფრო დასერიოზულებული, მოწყენილი თუ მოღუშული ჩანდა. ის მისი კისკისა სიცილები და აყვავილებული ღიმილები სულ გაწურულიყო სადღაც, იმფერი ბელა მე უფრო მომეწონა. შევხედე, რაღაც იმნაირმა წადილმა გამიქროლა და მომსუსხა. ყურისძირები, სახეზე ფერი მეცვალა ალბათ. მინდოდა მეთქვა, ბელა, იცი, როგორი საყვარელი ხარ ამ წუთში-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე. ჩემს ღრიჭინა საწოლზე ჩამოვჯექი და ბელაც გვერდით მომიჯდა...

ვაუკაცობა რომ მეჩვენებინა, ინიციატივას წავეტანე, — კინოში წავიდეთ დღეს-მეთქი, შევთავაზე, თან ტუჩებზე ვიკბინე, — რომ დამთანხმდეს, რით ვიყიდი ბილეთებს-მეთქი. ხვალო, დამეთანხმა, ხვალ წავიდეთო, ლიაც წამოვაო. ეს არ მომეწონა. მინდოდა, მარტო წამოსულიყო ბელა. დავუქანე თავი თანხმობის ნიშნად. გამიღიმა. ეს ღიმილი იმ წინანდელს, ეზოში რომ ვხედავდი, არ გავდა, რაღაც სხვანაირი გაღიმება იყო, მყუდრო, საბრალო, დამალული და, ეტყობოდა, ეს ღიმილი მხოლოდ ჩემი საკუთრება იყო. მომიახლოვდა. მენდო, მომეთბუნა თითქოს. ხვალ კინოში ლიასი წამოყოლა რომ მეწყინა, ეს ბელას გაუხარდა. იცი რაო? ნუ გეშინიაო, მე სულ მარტო ვიქნები, მე და შენ წავიდეთო. გადამრია სულ! აგერ გვერდით მეჯდა ანგელოზივით გოგო. წარმოვიდგენ: ხვალ ერთად წავალთ კინოში, დარბაზი ჩაბნელდება, ბელა კი იქვე მეყოლება კი, ხვალ ვეტყვი ყველაფერს, მეტი აღარ შემიძლია, ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარხარ-მეთქი. რაო, ბალღები ვართ? არაფერიც! სადღაც წამიკითხავს, თამარ მეფე თხუთმეტის თუ უფრო ნაკლები წლისა იყო, როცა... ხო, ეს წიგნები! სულ ველარ ვკითხულობ წიგნებს. აქ ვიპარავდი, აქ სად ვიშოვ[illegible] ულობაში სად ვიკითხო. გაკვეთილებსაც ვერ ვსწავლობ, საერთოდ, არც მესმის, რას გვიკითხავენ მასწავლებლები. კარგები კი არიან ჩვენი მასწავლებლები.

ხო, ხო, — რა ჩაცმულები არიან! მერე რა, ჩემი პალტოც არაა ნაკლები, აი, ეს კალოშები, ეს ვარსკვლავიანი ქუდი! ჩვენი სკოლის წიგნები ვერ ვიგდე ხელში, ამბობენ, აქ, ქალაქში კარგი ბიბლიოთეკააო, დარბაზი აქვს, თბილი, სუფთა, წყნარი. შედი, თავისუფლად დაჯექი, მოითხოვე წიგნი და მთელი დღე, თუ გინდა, იკითხე. მაგრამ, მგონი, აღარ მეძახის გული წიგნისკენ. ვეღარ დავიჭირე და ერთი მიზნისკენ ვეღარ მივმართე ჩემი ინტერესი.

ზაქრომ საიდანღაც, ეგრეთ წოდებული, ბალის წაბლი მოიტანა. ბუჯგიდან გამომშრალი, დიდრონ-დიდრონი მოლივლივე მუქყავისფერი კაკლები. ტყის წაბლზე მიჩვეული მივახტი მაშინვე, ვიკარი პირში, კბილი გავკარი და ტყავი შევაგლიჯე. კაი თეთრი გული გამოვლურლე. ამოვცენცქე. ნაცენცქი დავჩაყე კბილებში და უმალვე გადავულაპე. მაგრამ, უცაცრავად, გემო წაბლისა ვერ ვიგრძენი. ეს იყო მწარე, მძაგე ბითურობა. ჩემს ტყის წაბლს ვენაცვალე-მეთქი, გავივლე გულში ლოცვა, ხოლო მაშინდელი ჩინური ზღმარტლი, ბულვარში რომ უნდა ეჭამათ ბიჭებს, ჩემამდე არ მოღწეულა. რადგან ჩემამდე არ მოღწეულა, მართლაც დავიჯერე მისი არსებობა.

სალამოთი ზაქრო ისევ გამიქრა თვალსა და ხელს შუა. სად დაძვრებოდა ნეტავ? არც სტუდენტები მოსულან დიდხანს. მე სულ გაბუებული ვიყავი ბელასთან ერთად ხვალ კინოში წასვლაზე ფიქრით და ამით გამოწვეული უსაზღვრო, აუწერელი, აუწონავი სიხარულით. მთავარზე კი, იმაზე, თუ ბილეთის ფული სად უნდა მეშოვნა, არ ვფიქრობდი, თუმცა, როგორც კი მარტო დავრჩი, მომაგონდა ეს ყველაფერი და დამიმწუხრდა გული. რა მომელის ნეტავ? — თავს ვეკითხებოდი. დედაჩემისაგან გაგონილ ლოცვებს ვიმეორებდი, დიდო გამჩენელო, გამთენიის ვარსკვლავის მადლო, მომხედე, მომეხმარე, ხვალ გამითენე დღე სიყვარულისა, იმედისა და ნატვრათა აღსრულებისა.

გათენდება და ხეირი იქნება-მეთქი, გულში ვამბობდი. იქნებ ბაზარში გავიდე, ვინმე ჩვენებურს გადავეყარო და გროშებს დავესესხო, ბაბას შევუთვლი, რამეს ილონებს და გადაუხდის-მეთქი. თანაც მეხათრებოდა, პალტო, კალოში, ქუდი ბიძაჩემს აყიდია ჩემთვის, ახლა იქ აქედან ვალები გავუგზავნო, რაღა ნამუსი იქნება-მეთქი.

არადა, სულ თვალწინ მედგა ჩემი ბელა, სანთელივით ანთებული, ჩემკენ მოშვერილი პირისახით, დიდი, დამალული, იდუმალებით მობინდული გამოხედვით.

სტუდენტების ოთახის კარი ღრიჭედ იყო. მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედი, ოდნავ შევალე, და ვაი! — ძირს იატაკზე დაჭლურკულ-დაჭმუჭნული სამმანეთიანი ეგდო, ისე მაცდურად, ისე გამომწვევად ეგდო, ფეხი წავკარი, გასრიალდა, გაიშალა, სულმთლად გამოაჩინა თავისი ლურჯი ნაკეცები, თავისი ჭადოები, თავისი უსაშველო მიზიდულობა. რაა, ეს, ცის გახსნას შევხვდი და ღმერთმა წყალობილი ლოცვების შემდეგ ჩამომიგდო თუ ვინმემ გამოსაცდელად მომიწყო? დავიხარე, ავიღე, გავშალე, სრულიად საღი სამმანეთიანი, თითებით გავასწორე, შუაში გავკეცე და ვუყურე ასე ერთხანს. აი, ამ ქაღალდს, ამ ფულით და ჭუჭყით გამოშამბულ ქაღალდის ნაჭერს შეუძლია ხვალ გამაბედნიეროს, ამით ბილეთსაც ავიღებ, როგორც ჩემთვის, ისე ბელასთვის, თითო ესკიმოსაც ვიყიდი კინოს მერე კი, თითო ჭიქა სიროფიან წყალსაც მივირთმევთ. პალტო, კალოში და ქუდი კი მაქვს, რა მენაღვლება. ამას ყველაფერს რომ კარგად ვიზამ, მერე ყველაფერს გულს დავუდებ, უქონლობასაც გავუძლებ, წიგნებსაც წავიკითხავ, გაკვეთილებსაც დავეწაფები. ამ სტუდენტებს ბევრი ფარა აქვთ ისედაც, ალბათ ჯიბიდან ამოუვარდა რომელიმეს, ისეთი ამპარტავნები და უკადრისები არიან, იმ ერთმა ალბათ არც იკადრა დაზრილიყო და ფული ძირიდან აეღო.

კი, მაგრამ მაინც მოპარვად ჩაგითვლიან, იმას მაინც გაახსენდება, რომ, აი ამ ალაგას, იატაკზე სამმანეთიანი დაუვარდა, ხადაათ, ვინ აიღოო, ხომ იფიქრებს ამაზე? მერე რა, — მოვლენ და ვეტყვი, აგერა მაქვს, მე ავიღე, ეგდო და ავიღე. ხვალ მჭირია ძალიან, ისეთი ამბავია, რომ ძალიან მჭირია და მერე პასუხად რას მეტყვიან ნეტა? თუმცა, ვეტყვი ვითომ? გავუბედავ ვითომ?

ამასობაში დაგვიანდა, დაბნელდა, დაღამდა. ფული კი მინდოდა ისევ იქვე, იატაკზე დამედო, მაგრამ მომუჭული ხელი ისე შემეკოჭა, ველარ გავხსენი. მეორე ხელითაც ვცადე, მაგრამ მუჭი ველარ გავალე, ისე, მომუჭული ხელით წამოვწექი, ჭერს შევაცქერდი, იქ ძველისძველი აბლაბუდები ქანაობდნენ. აბლაბუდებას ძაფებზე იმდენი მტვერი დაგროვილიყო, ძაფები თოკებივით დამსხვილებულები ჩანდნენ. სადღაც, კუთხეში, გიდლის კუნჭულებში, მძლავრად გაშლილი და თავისსავე გაბმულ თოკებში ჩაზრდილ-ჩამკვიდრებული ობობა გალურსულიყო და მორიგ მსხვერპლს უდარაჯებდა, მას თავისი ძალაუფლება, თავისი საშფლობელო, თავისი ძლიერამოსილება და თავისი ავლადიდება გააჩნდა. მას შეეძლო, რაც უნდოდა, ის ეკეთებინა, მის მიერვე აგებულ-გაშენებულ სამყაროში. მგონი, ობობას ბედი შემშურდა. თუმცა, როგორც კი გამახსენდა ხვალ ბელასთან შეხვედრა, ჩვენი ხახვალიო ერთად ყოფნა, ობობას თვალი მოვაშორე და კვლავ დაბლა, მიწაზე დავეშვი. ზაქრო იგვიანებდა, არც სტუდენტები ჩანდნენ, თავად კი საკუთარ ობობას ქსელში გაბმული დავრჩი. ერთმა მოგო[illegible] ყინე. წამით სოფლის მონატრებამ [illegible] კინა. ბუზრისპირას ჭდომა მომინდა. შინაურობა. სოფლელი ბიჭები. ალმა-დალმა სირბილი, სადმე ღელე-ღურდანში შემალვა და მოპარული წიგნის კითხვა.

უცებ ზეზე წამოვიჭერი, ზაქროს რვეულში ერთი ფურცელი კოხტად ამოვხიე, ჭიუტი ფანქარიც მოვიმარჯვე, კუდით ცხვირზე მივიჭირე და მალე დავწერე:

„აგზე სამმანეთიანი ეგდო. სესხად წევლევი და...“ ფანქარი გამიჩერდა, რაღა უნდა დამეწერა, დაგიბრუნებ-მეთქი, აღარ მივაწერე. თუ სესხად წავიღე დაბრუნებაც იგულისხმება. ხომ?

ამ დროს კარზე აწიკწიკდა მოშვებული შუშები, ნუთუ სამმანეთიანის ნამყოფზე ბარათის დადებას ველარ ვასწრებ? ზაქრო გამომეცხადა, ტუჩის კუთხეში მიწურული თავისი ქირდიანი ღიმილით შემათვალიერა.

— შუქრავ, მარტვაი ხარ, ჰო? მეგონა... — და ჩაიკისკისა. რა ეგონა, ვის ელოდა ჩემთან, რას ელოდა? აღარაფერი შევკითხივარ, ავდექი, დაწერილი ქაღალდი, მასთან ერთად მომუჭული სამმანეთიანიც, პალტოს ჯიბეში ჩავაჩოჩე. კალოშები საწოლქვეშ ღრმად შევაჩოჩე, ვარსკვლავიანი ქუდი პალტოზე მივაკიდე და, ხახვალიო ოცნებებით გულაჩქარებული, ლოგინზე გავიშხლართე, ვიფიქრე, ზაქროც რომ დაწვება (მას ხომ ჩემზე ადრე დაეძინება), ავდგები და წერილს, იმ ალაგას, იატაკზე დავდებ-მეთქი.

მაგრამ, ეტყობა, ორივეს ერთად ჩაგვძინებოდა. დილის მზის სხივი, სტუდენტების ფანჯრიდან შემორჭობილი, ღრიჭედ დარჩენილ შუაკარში გამომძვრალიყო და ზედ ჩემზე გადახურულ საბნის შუაში დასობილიყო. როგორც კი გავინძერი, გაშვერილ მზის ლარში მილიონობით მტვრის ფიფქი ავარდა და ნისლივით გაიშალა. იქით გავიხედე. ზაქროს თავთან რომ ტაბურეტი იდგა, რომელზეც ჩვეულებრივ, საღამოს განახად ტანსაცმელს აწყობდა, რატომღაც ცარიელი ჩანდა. საბნიდან სწრაფად გამოვყარე ფეხები, დავიხარე და საწოლქვეშ კალოშების გამოსათრევად ხელი შევყავი. ვაცეცე, ვაცეცე, მაგრამ კალოშები ველარ მოვნახე, წამოვდექი, ჩავიჩოქე, შევიხედე ქვეშ, კარგად მოვათვალიერე, კალოშები კი მაინც არ ჩანდა.

დამეტაკა უცნაური ელდა, წავიბორძიკე, წავფორხილდი, თითქმის წავიქეცი. ბრუც დამესხა, მგონია, შიშმა ამიტანა, მაგრამ რაიმე ცუდს მაინც არ მოველოდი ძველი გარდერობის ცალ ყურზე დაკიდებული კარი ღია იყო და, მოკლული ჩხართვის ფრთასავით, ნელა ირხეოდა. „შკაფში“ ჭერ ისევ ბინდი იდგა, ამიტომ თვალს არ ვენდე. მივიჭერი, ხელები შიგ შევყავი და, გამწარებულმა, შიგნით ფხაკუნი დავიწყე. ველარც პალტო, ველარც ქუდი ველარხად ველარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიპოვე. ვიკადრე სტუდენტების კარს მივადექი, შიგ შევიხედე. ავქოშინდი. ისინი, წითელსატინიან საბნებში ჩაფლულები, ისევ ნებივრად ხვრინავდნენ. იქნებ გაგვეხუმრნენ, დაგვიმალეს, იქნებ... იქნებ იქ, იატაკზე აღებული სამმანეთიანის გამო გადაგვიხადეს? იქნებ... ერთმა თვალი აახილა, ცერად გამომიჭიტინა, მგონი, გამიჯავრდა კიდეც, რას დაგვადექი თავზეო. მაგრამ ჩემი აქოშინებული უმწეობა და განწირული ფიზიონომია რომ შენიშნა, საბანი დაბლა ჩააჩოჩა და თავის ქანებით, უხმოდ მანიშნა, რა გჭირთ, რა მოხდა, რა დაგემართათო. ხელებით ვუპასუხე, სუყველაფერი წაღებულია, გაგვწმინდეს. ტიტვლები დავრჩით-მეთქი. ნე მოჟეტ ბიტო, ჩაილუღლუღა, ნაადრევად გამელოტებულ თავზე ხელი მიიტყაპუნა, საბანი ისევ მაღლა აიჩოჩა და თავისსავე ძილში შეყვინთა.

გამოვბრუნდი, ზაქროს დავეჯახე და ფეხზე წამოვაგდე. არ დაიჯერა, ეცა აქეთ, ეცა იქით, გადაირია, მერე ადგა, კართან მივიდა, საკეტის სინჯვა დაიწყო, კარი ღია იყო, თავისი ძველი შარვალი იქვე, კიბეზე დავარდნოდათ.

— კი, მარა ასე მკვდრებივით რაფერ გვეძინა, ა?

— რანდა ვუთხრათ ბიძას, ა?

— შინ არ შეგვიშვებს.

— შენ შარვალი მაინც დაგრჩა. მე რანდა ვქნა, თვარა.

— ვინცხა გამოჩნდება. თლათ არ წეილებდა.

— ჩავიმალოთ ლოგინში, თვარა.

— ჰო, შუქრავ, ე, ბელა დგას ეიგერ, ეზოში. მგონი გიძახის.

— აჰ, ჩავძვერი ლოგინში და ესაა.

თვალი მაინც გარეთ გამექცა. ბელა ანთებული თვალებით რაღაცას გვეძახოდა. ღია არ ჩანდა. იქნებ... შუშაბანდის მხარეს მე ვიწექი. წამოვიწიე, მწუხარედ გავუღიმე, ხელით დავუხატე ჩვენი უბედურება. კიბე პაკიპუკით ამოიარა, კარზე მოგვადგა და ახალგაღვიძებული დღის სურნელი შემოგვაფრქვია. გაგვწმინდეს-მეთქი, მივახვედრე. სულ აღარაფერი დამრჩა, რომ უბრალოდ მაინც ფეხზე ავდგე და გარეთ გავიდე. შევებრალეთ. უკან დაეშვა და წავიდა. ცოტა ხანში თავისი ძველი სპორტული ბამბაგახუნებული შარვალი მომიტანა, ბოლოები რეზინით მოხუპული ჰქონდა. უფრო ნიფხავს გავდა. მაგრამ ვიკადრე, ამოვიცვი. დაღლარძული იყო, ჩონჩო, დაწიწული და ადვილად დაიჭიმა.

ფაცია-ხაზეიკა აუვირდა. მალე გაჩუმდა. ხდებაო, გაგვიცხადა: სტუდენტებმა თანაგრძნობით გააქნიეს თავები და ეზოდან გავიდნენ. ფაციამ ძველმანებში რაღაცები მოძებნა. მე ერთი ძველი, ქალის ლაზლის იდაყვებგამოცვეთილი ზედა ჩაქითა მომერგო, რაღაცა ქალის წაღებიც მოგვინახა.

ჩავლუნეთ თავები, გავძვერით ეზო-ეზო, გავხობდით ვაგზლის ლობეში და ნაშუადღევის „ქუქუშკა" მატარებელზე ავიცურცლეთ. არა, ვაგონში არ შევსულვართ[illegible]ტეთ. გაჩერდებოდა, ჩავხტებოდით, ამოძრავდებოდა, ისევ ზედ ავხტებოდით. [illegible] ვრჩით.

ჩაქვში თავგზას ავერიდეთ. ხევის ძირ-ძირ ავუყევით. ქვავმა და ტალახში ხელ[illegible] ამოგვწუწნკლა და ამოგვგანგლა. ზაქროს ხან[illegible]ლი კორტოხიდან თავის შუშებჩარჩოებული სარკ[illegible]ლებით ისე გადმოგვყურებდა, თითქოს მასაც ვებრალებოდით. მთავარი კი ბაბაჩემი იყო, როგორ უნდა ვუთხრათ, როგორ უნდა გავუმხილოთ, რა მოგველის, არავინ იცოდა.

დაბლა, პატარა სათიბის შუაგულში, თივის ზვინი იდგა. შევძვერით ზვინქვეშ. [illegible]როდ. დასველებულ-დატალახიანებულების [illegible]ვარი აგვდიოდა. ზვინქვეშა [illegible] იყო, მყუდრო, მოფარებული. შეგვეძლო [illegible]ჯად, წყნარად [illegible]. უცებ სულია ბიძიას ყვირილი მოგვესმა, თითქოს ოდნავ კაი ხასიათზე იყო. მაგრამ მაინც ვერ გავბედეთ ასვლა. ვიჯდით, ველოდით, ვფიქრობით.

— ადი შენ, შვილი ხარ და უთხარი.

— ამ, ჯობია — შენ სხვისი ხარ მაინც ვერ გცემს. — თქვა ზაქრომ. ზვინქვეშ დიდი ს[illegible] ჩუმე ჩამოდგა.

— მოდი, წერილი მივწეროთ, — ვთქვი მე.

— წერილი მაგან სხვასნა წააკითხოს, და...

— მერე? წააკითხოს, თეონას იქ არაა?

— თეონა? — ჩაფიქრდა. დაიწყო ქიქ[illegible]ნი. თანაც შეეტყო, აზრი მოეწონა.

ზაქროს გულისჯიბეში ნაკეცილი ქაღალდი შევნიშნე, ამოვუღე. ცალ მხარეს გაკვეთილების ცხრილი ეწერა, მეორე ცარიელი იყო. ის მეორე, მოვზომე თვალით და დავრწმუნდი, წერილისათვის მეყოფოდა. ერთი ჯგუტი წვერწატეხილი ფანქარიც მასვე ამოვუჩინე რომელიღაც ჯიბის ფსკერში შემოვახლიჩ-შემოვაკ[illegible]ნიტე წვერს ირგვლივ ხის სამოსელი. გამოვაჩინე შავი წანატეხი წვერი და მივიჭირე მუხლზე მოსაფიქრებლად.

საჭირო იყო ისე აგვეწერა ჩვენი გაქცევის ამბავი, სულია ბიძია კი არ განრისხებულიყო, არამედ შევეცოდებოდით. თანაც, ჩემი ფიქრით, პაწია სახუმარო რამეც უნდა გარეულიყო ამბავში, იქნება, ქირშიც რამენაირი სიცილ-ღიმილის მოწოლით ჩაგვეფუშა მისი საშინელი ჯავრობა. იმ წუთას მომეჩვენა, რომ წერილის ლექსად გაკეთება აჯობებდა. მომეჩვენა კი არა მომინდა, საიდანღაც მომაწვა ამის სურვილი. მაგონდება, როგორ იჯდა [illegible] დუბეში ამოსული სულია ბიძია ჩემ [illegible]ზე. — ყველა ჩე რუძ აუვავილდა. შენ რა შვრები, ნიფელაო, ერთი მაიც [illegible] ჩემი ლოყანითელაო.

ამ ლექსის თარგზე უნდა აეწყო [illegible]მეები, მაგრამ წინ ორი სტრიქონი [illegible] ისეთი უნდა გავკოჭო, ჩვენი თავი შე[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ახლაც დავიწყე: ბიძავ, ავერ დაბლა [illegible] ჩვენი ამბავი ის [illegible] შევჩივლოთ, შენზე უკაცესი [illegible] ჩასაცმელები გადაგვიმალა [illegible] ნელა-მეთქი, [illegible] შეზვეულები ვჭდივართ (აქ უკვე ლექსის მოშველიება დამჭირდა).

სულ თავში მიტრიალებდა, სულ ჩურჩულით ვიმეორებდი, — „ქვეყანა ბე რომ აუვავლიდა...“ ბოლოს რაცხა მივაკუდისძირე იმ ქაღალდზე. შეიძინა, რაღაცა ამნაირი დავიწყე:

ვეელავ (ხემაც), მე და ზაქროს

[illegible] იცოანო... — მერე, აქ რაღაცები ჩავაწყვე ალარ მახსოვს რა, მაგრამ ბოლო კი მაგონდება. — შენ რას შვრები, ბიძიაო... აბა, რაღა უნდა მექნა, იცოდნო და ბიძიავ... — ბედაური რითმაც გამომივიდა. [illegible] სულია ბიძიას საყვარელი ლექსის წყობა შევუნარჩუნე ერთი სიტყვით, დიდი იმედი მქონდა, რომ წერილი გაჭრიდა და საქმეს მოაგვარებდა.

[illegible] ვეერდზე ცხრილი გადავფხაჭნე, ფურცელი საგულდაგულოდ დავკეცე (ამ ზაქროს წინასწარ ხმამაღლა წავუკითხე. ზაქრომ ბოჩების ცალ კუთხეში ვიმალოი და სიამოვნების გორგალი ვერ დამიმალა, თუმცა ეჭვიც გამოთქვა. ლირს თუ არა წერილის გაგზავნა მე კატეგორიულად მოვითხოვე, წერილი გაიგზავნოს-მეთქი). ზვინის ქვეშიდან გამოვძვერი და ტარიელს ან ავთანდილს არ ვახსენებ, მაგრამ [illegible] რომ [illegible] ცივეს გაზედა. [illegible] ამნაირად კი გაუნზეე-გამოყიზვე, იქით, მეზობლის ეზოში ხალხები ჭურჭუტლობდნენ, გავძახე, ქოე-მეთქი. წერილი გავატანე და ისევ ჩვენს მოვარჩახაჯში შევედი. ცოტა თივა ჩამოვძლოძე, ქვეშ დავიგე, დავჭექი და ისე მოვეწყვე, ზვინის ქვეშიდან ხაზლის ნაბუვარს ვხედავდი. თუ ვინმე ჩვენსკენ წამოვიდოდა, მშვენივრად შევნიშნავდი. უკვე სადამოვამი იყო და ბიძია შინ [illegible]. ზაქრო შიშისაგან ენას ვეღარ [illegible], მე ჩამეცქეროდა სახეში და [illegible] პასუხს ჩემგან ელოდა. მე კი მხოლოდ [illegible], [illegible] ვივერებოდი. სახლი სულ ლურჯ, სქელ ფუტში იყო გახვეული, — ეტყობოდა, სულია ბიძიამ [illegible] ჭირკვი ჩადო ბუხარში. ის აკაცია [illegible] ეკლებით დაკბენილი და [illegible], გაზაფხულზე, ძგაფო, [illegible] და, მერე, ზაფხულში კი ცოტათი [illegible], მაგრამ [illegible] ვეღარ მოასწრო, — [illegible] ახლა ამიტომ ცეცხლი ხეირიანად ვეღარ მოკიდებია. ამიტომაც ჭირკი მხოლოდ კვამლად იბარჯება. აკაციის ჭირკვი ისედაც უვარგისია, — ცეცხლში გონჯად იწვის. წრიპინებს, შიშინებს, წივის; ნაკვერცხალს ვერ იკეთებს. მაგისი ცეცხლი არაფერი ცეცხლი არაა.

ცეცხლი ჩემი სოფლის ნახე და ისეირე, წიფლის, მუხის ჭირკვი ბუხარში დღესასწაულია.

სულია ბიძია მაინც არა და არ ჩანდა. ნუთუ იმ თავზარერა ბიჭმა ჩემი უსტარი არ გადასცა? ან, იქნებ, გარკვევით ვერ დავწერე ის, რაიც მოგვივიდა? აბა, თუ გაიგო, რატომ არ მოდის? ეს ძალიან ცუდად მენიშნა.

თანდათან ბინდმა იმატა. ეზოდან ბაღისაკენ და სათიბისაკენ ჩამომავალი საცალფეხო გზა ჭერ კიდევ შეიმჩნეოდა. უცებ იმ ბილიკზე, თითქოს ციცინათელა დაფრინდა, — რაღაც წითელი წინწკალი აციმციმდა. მგონი ჩვენსკენ მოიწევდა. ეს ძიგარას ცეცხლი იყო და იგი ვიღაცას პირში ეჭირა.ორ-სამ წუთში ის ვიღაცა ბიძაჩემად იქცა. კაბალახი აღარ დაეხურა, ისე, — თავპირღია ბიძა უფრო მრისხანე და მიუკარებელი მეჩვენა. ზაქრო ზვინის ქვეშ, კუთხეში, მიიწურა. მამას პირზე ვერ შევხედავო. ეს კი თქვა, მაგრამ მამასთან მაინც თავად პირველი წარსდგა. ბიძაჩემს წინანდელად არ უყვირია. მოწყალებით შეგვათვალიერა და გვიბრძანა, შინ ამოეთრიეთ და ცეცხლაპირს დაეგდეთო. ოჰ, ამაზე დიდი ბედნიერება რა იყო! წავყევით. გალახულ ძაღლებივით, დასველებულ-დაწუწწკლულები და, მალიმალ, მე და ზაქრო ერთმანეთს შევათვალიერებდით ხოლმე.

შეთვალიერება არ ვიკმარე და ერთიც ზაქროს წავჯინჯე (იდაყვი ვკარი), შემომხედა. წერილმა გაჭრა-მეთქი, თვალი ჩავუკარი. მართალია, ბიძაჩემის ყვირილი და ცემა ავიცილეთ, მაგრამ ბიცოლაჩემი ატირებული დაგვხვდა. მოთქმით ტიროდა, მკვდარს რომ იტირებენ, ისე...

კვირას ბიძაჩემი მარტო წავიდა ბაზარში. ჩვენ კოლექტივის ჩაიში გაგვგრეკა, ლაო ჩაის საკრეფად, ამას სეზონზე ლორთქო დუყების წყვეტა ათასჯერ მერჩია, მაგრამ სამდურავის თქმის ნება ჩვენ არ გვქონდა. ჩავლუწეთ თავები და ძველი, ფსკერგამშვარი და მერე ქერქით გამოლეწილი კალათების კრაჭუნით გაუყევით გზაბაწარს, ქვავიან პლანტაციაში გადავლებულ, უხეში ფოთლების საკრეფად. კვირა სადამოს, სულია ბიძიამ, მაზრიდან ერთი ტილოს შარვალი და ისეთივე ხალათი ამომიტანა. ცოტა მედიდა, მაგრამ ჯერ გაიზრდებიო, მითხრეს და ჩავიცვი. — სამდურავის თქმის ნება არ მქონდა.

ის ზამთარი იმ ბლუზა-შარვლით გავედი. პალტო, პალტო, ბაბას და სულია ბიძიას ნაყიდი პალტო, მხოლოდ მესიზმრებოდა.

ახლა ყოველივე ამას რომ ვწერ, ნოემბრის ცამეტია, სოფელში ვარ, ნაადრევად თოვს, იქ, ზღვისპირეთში, ნაყოფით დახუნძლულ მანდარინებს, ფორთოხლებს, ალბათ, ამტვრევს და ლეწავს თოვლი. მეცოდებიან ადამიანები, ხეები, ნაყოფები და ვჩივი. მაგრამ იმეამინდელ ჩემს თავს რომ ვიგონებ, იმეამინდელ ჩემს თავთან რომ ვბრუნდები, მეცოდება ჩემი თავი.

ბელას სხვა წელიწადებისთვის ვინახავდი, მა-

ფრიდონ ხალვაში

გრამ ზაფხული რომ გავიდა, ახალ სექტემბერში, ბელა აღარ მოსულა. ფაციამ, სახლის პატრონმა, თქვა, ბელა სოფელში მოიტაცესო. ეს რომ თქვა, მე ვიდექი ფიცრულის კართან, გული ამემღვრა, ტირილი მომაწვა; თვალები დავუმალე, — შინ შევედი, საწოლზე დავეგდე, ავფლიკვინდი სასოწარკვეთით.

იმ ზამთარს აღარ მისწავლია. სასადილო გაგვიუქმეს, ბინის ქირასაც სკოლა ვეღარ გვიხდიდა. მურთაზმა მითხრა, გააგდე, შინ ამოდი, ქალს მოგიყვან, ნენე-ბაბასაც მიხედავ, გაძღები, გათბები, გამოკაცდები, შენიანებში იქნები, შენსას ჭამ, არვინ ააფერს დაგაყვედრისო. აგერ მეც წაგეხმარები, გასწავლი, გაგიძლვები, გაგიყვან გაკაფულ-გაკაზმულზე, გაკვალულ-გაწარბულზე დაგაყენებ. მერე კი თავად მიხვდები ყოლიფერს, ივლი, ისაქმებ, თავსაც მოუვლი, ქალ-ბაღანასაც დაარჩენ, სოფელიც მოგიწონებს, ხალხი დაგლოცავსო. აჰა, ბაბაი დაბერდა, ნენეი დაბერდა, მენა გამოვნაწილდე. ჩემი საკარმიდამო მოვაფერო, მოვაკეთონა და ჩემსას მე მოვუარო. შენ იქ, სასტავლში, რანდა გამოგიგზავნო, — ააფერი.

იგი უკვე დაბერებულ გლეხკაცივით ლაპარაკობდა. ლაწვები ჩადუბებოდა, ყელზე გარედან ხოშორი ძარღვები დაბერვოდა, გრძელ ნიკაპზე წვერი წამოზრდოდა, საულვაშეზე ულვაში მოსქელებოდა. ხმელი ბიჭი კი არა, გამოქარულ-გახაწიწებული ბერი იყო უკვე, ნაღველმორეული თვალებით, დასერიოზულებულ-დახნიერებული გუგებით, ლოყებით, წარბეპით, წამწამებით.

შენ წერა-კითხვა იცი, მონათხარ მიწას აზომავ, შრომადღეებს დაუწერო მითხრეს და მერგოლურობა ამკიდეს. სავენახეს ვბარავდით. დიახ, შემოდგომიდან ვბარავდით. ერთი ნიჩბის პირი მიწა ილებოდა, მეორე ნიჩბისა იმის ქვეშიდან ილებოდა, ესე იგი, ორი ნიჩბის სიღრმე უნდა დაბარულიყო. მეც ჩემი ნაპირი მოვზომე. დილიდან, — თხრა, საღამოს, — ზომვა. თავი და ბოლო გაიზომებოდა ჯოხით. ჯოხს ჯერ მტკაველით დავზომავდი. ჩემი ექვსი მტკაველი მეტრი იყო. სამმეტრიანი ჯოხით, — თავი და ბოლო, ჯამი კი შუაზე იყოფოდა და სიგრძეზე მრავლდებოდა. აი, ეს იყო დღიური ნათხარი. ზოგჯერ ორი დღის ნათხარ ფართობში შრომადღე ძლივს გამოდიოდა. შრომადღეზე წლის ბოლოს ფულსაც კი ანგარიშობდნენ კანტორაში. დეკემბრის ერთ გაშლეპილ ფუხარა დღეს, შეგვყარიდნენ კანტორაში კრებაზე.

მანამდე, წინასწარ, სოფელში ხმები დადიოდა, შრომადღის ფული მოიტანესო. მანეთი და თხუთმეტი კაპიკი გამოსულაო. იყოს რაცაა, ოღონდ ხელზე თუ მოგვიწევსო, იქნება მარილის ფარა მაინც ავიღოთო. მივიდოდით კანტორაში, თავმჯდომარე (მაშინ უკვე სხვა იყო, — სერდალი, რომელსაც ზედმეტ სახელად სოციალ-დემოკრატიას ეძახდნენ [illegible] და: კი, ძიავ, მოგიწიათ თითო შრომადღეზე მანეთი და ამდენი კაპიკი, კი გვაქვს, ზოგიერთს ასი, ასორმოცი შრომადღე, მაგრამ ის ფარა, რაც გეკუთვნის, გადასახადის დასაბურავად გიკავდებათ, მოგცემთ, მარა ხვალ ისევ უკან მოსატანი გაქვთ, რაღათ გინდანან ტყვილაო. ჰა, მოაწერიე ქო, ხელიო, ეტყოდა მოანგარიშეს და დაჭეჭგვილ, ფეხმორყეულ მაგიდასთან მიბვიწვევდა. შევცქეროდი დაჭორკოებულ, დაშაშრულ, დაშავებულ ხელებს: როგორ მძიმე-მძიმედ მიხოხავდნენ. იმ ხელთა თითები ნელ-ნელა, ჭოჭმანით იღებდნენ ფანქარს, თავისი სახელისა და გვარის ბოლოში, ფურცლის მარჯვენა კუთხეში თავის თითებივით დაშაშრულ, დაღრეკილ ასოებს მიკელავ-მოკელავდნენ. წვალებით გამოყავდათ თავისი ხელმოწერა. ზოგიც ჯვრებს ხაზავდა, თუ წერა არ იცი, ჯვარი დასვიო, ეტყოდა ყბაჩამოშვებული ბუღალტერი. ქამილი ერქვა იმ ბუღალტერს, ხოკოსავით წელზედაურობა მსხვილი და მრგვალი ჰქონდა. თავზე ჯერ ქუდს დაიხურავდა, მერე იმ ქუდზე გარედან, ნაქსოვ დაქლექილ კაბალახს მოიხვევდა. შეხედავდი, შეგეშინდებოდა, ახლოს მიხვიდოდი, დაგელაპარაკებოდა თუ არა კეთილად განწყობილი, მიენდობოდი, გლეხები, ესე იგი, თავისი მეზობლები, არ ძულდა. ეს დიდი რამე იყო იმ დროში. მთელი წლის ნამუშევრის უკანვე დამტოვებელი, რომელიც უკმაყოფილოდ ხელის ჩაქნევას გაბედავდა, თანამდებობის კაცს რომ არ ძულდებოდა, ეს დიდი რამე იყო.

როცა მოუწერდა გლეხი და ხელში ვერაფერს აძლევდა, ქამილი ეტყოდა, — გუუძელი პაწია, ააფერი წამოგცდესო.

მეც ბევრი ვკრიჭე კბილები, მაგრამ ვეღარ „გუუძელი" და გასაქცევი გზის ძებნის ეიეინა (სურდო) დამემართა.

თებერვალში, სოფელ დუბის კოლექტივს დაავალეს, ერთი ბიჭი რკინიგზის სასწავლებელში უნდა გააგზავნოთო. მეც მოვკარი ამ ამბავს ყური. დავფიქრდი, მომინდა, გადავწყვიტე. თავმჯდომარეს მივადექი და გავუცხადე. მართლა სასწავლებელია? — ვკითხე. კიო, მითხრა; თანაც სამას მანეთს ვაძლევთო. როგორ, სამას მანეთს ხელზე აძლევთ? — ვკითხე. ჰო, აბა ფეხზე?.. — დამცინა სოციალ-დემოკრატიამ და თავისივე გონებამახვილობით მოხიბლულმა მხარზე ხელი დამარტყა ჰო, სწორედ დამარტყა. ბევრი მეხვეწება, მაგრამ ალი იმფერი კაცია, იმის შვილს უარს ვერ ვეტყვიო, დამითინგლა — დამიტკბილა სერდალა-თავმჯდომარემ და სიხარულით ავკანკალდი, ვუთხარი, კაი, წავალ-მეთქი. შენისთანა მერგოლურის გაშვება კი მეზარებაო, მაგრამ, ალი იმფერი კაცია, იმის შვილსო... მხოლოდ მერე, გვიან, მივხვდი, ჩემს გარდა იმ „სასწავლებელში" წასვლა თურმე არავის ნდომებია. არ მიშვებდა მურთაზი, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშვებდა მამა, არ მიშვებდა ნენეი (ტიროდა), მაგრამ ისე ამოვიჩემე, ველარაფერმა გადამათქმევინა. თავიდან რკინიგზა რკინებით გაჭედილგაყვანილი მარა მეგონა. მერე, როცა ვნახე, გადავირიე, — ორი ლერი რკინის ლარტყა დაუჭედებიათ ძელებზე და რკინიგზას ეძახიან.

თავმჯდომარე სერდალამ, იმ ჩვენმა სოციალდემოკრატიამ, ერთ „პაჭკად" შეკრული ასი ცალი სამმანეთიანი ხელში ჩამიდო. დავხედე, ბანკის ზოლიანი ქაღალდი ჯერ ისევ გარედან შემოკრული ჰქონდა. ტკიცინა, ლურჯი ფულები ერთმანეთზე მიწებებულები, სულ ახალთახლები, ხელუხლებელნი, ჩემთვის საგანგებოდ ბანკის რკინის ყუთიდან გადმოღებული. უბის ჯიბეში ჩავიძვრინე. გულში ვამბობდი: ალბათ ფორმის ტანსაცმელს ჩამაცმევენ (ასე მითხრა თავმჯდომარემ). კი დამინახავს, რკინიგზელები მუქ ლურჯ შარვალ კიტელს ატარებენ. კიტელი იგივე კოსტუმია, პიჯაკია. რა მოხდა მერე, თუ ჩამდვილი პიჯაკი არ იქნება? თვითონ სტალინსაც მაგრე არ აცვია? კიტელი აცვიათ ყველა მის თანამებრძოლ დიდკაცებს. მგონი, მხოლოდ მოლოტოვი ატარებს პიჯაკს და თეთრ პერანგს, ზედ გამოკოჭილი ჰალსტუხით. იგი სათვალესაც იმიტომ ატარებს ალბათ, ინტელიგენტობა რომ აჩვენოს თავისი. არა მარტო თავისი, არამედ ქვეყნისაც. იქ კიდევ ბერია იცვამს პიჯაკს და ჰალსტუხსაც იკოჭავს კისერზე, მაგრამ მაგის ხსენებაც კი შიშსა მგვრის რატომღაც, ისე დამაჭყირდება სურათიდან...

ჰო, მერე, მალენკოვიც, სტალინივით, კიტელით გამოდიოდა, იმასაც ბელადივით, ცალი ხელი სადილეში ჰქონდა ჩამოსვენებული. მაგრამ მალენკოვი მართლაც პაწაი დარჩა, ველარ გაიზარდა.

სტალინი, აი კაცი უბრალო და ნაღდი! კოლექტივის თავმჯდომარესავით აცვია, — კიტელი, მოშვებული შარვალი, ჩექმებში ჩაყრილი ბოლოებით, არცერთი ზედმეტი რამ მოსართავი, ან განმასხვავებელი ნიშანი, ბაბაი ამბობს, არც ასე ვარგაო. ხელმწიფეს ხელმწიფურად უნდა ემოსოსო. სულ ნიკოლოზს აქებს (ეს რომ გავამხილო სადმე, ბაბაი პაით, — მარადიულ სიჩუმეთა სივრცეებს შეერევა უმალვე). ნიკოლაი და ნიკოლაიო, შენატრის ძველ დროს. ფარა ფარობდა, საქონელი სავსე იყო, იაფი, ხარისხიანი, ლამაზი, ახლა? სოციალიზმს ვაშენებთო და გაჭირვებას ვუძლოთო. მერე, კომუნიზმი როცა მოვა, ყოლიფერი ბევრი გვექნებაო. რაცხა არ მგონია, რაიმე ხეირი გამოდინდეს ამ საქმიდანო, ჩიოდა ბაბა რაფერ იქნება გლეხს მიწა წაართვა და მიწა მოგეციო, უძახო. პადაა მიწა, მიწაში ჩავფალი მაი იბრეთები, მიაწყევლიდა ბაბაი და ქვეშქვეშ შემომხედავდა. მეც იქით მივბრუნდებოდი, ვითომც არ გამიგონია. ნიკოლას დროში ასე იყო, ჩამოთვლიდა და ამირევდა გულს. რაო, ახლა მე რომ რკინიგზის სასწავლებელში მივდივარ [illegible] იზამდა ნიკოლაი? — ვფიქრობდი ჩემთვის, თუმცა ბაბას არას ვუმხელდი. ვინ, ნიკოლაი ჩამიდებდა ტკიცინა „პაჭკას", სამას მანეთს ჯიბეში? ა, ნახავ, ბაბი, წავალ, ვისწავლი, სტალინი მომივლის, ჩამაცმევს, დამახურავს, გზაზე დამაყენებს... მერე, იქნებ რკინიგზა აქეთაც გამოვიყვანოთ, ჯერ ქოროხის ნაპირს გამოვაყოლებ, მერე — აჭარისწყლისას და ვიმსახურებ აქვე, ჩემი სოფლის ბოლოზე...

მურთაზამ ძველი ლამფებით მომიჭედა ჩემოდანი. საქალამნე ტყავის ჩამონაჭერი ზედ სახელურად დააჭედა. ჩავყარე იმ ყუთში რაღაცები, ჩავდე ნენეს მომზადებული საგზალიც და ხიდის სოფსაბჭოში გამოსაცხადებლად თავდალმა დავეშვი. რაიონში ჩემისთანები, ასე ათი-თორმეტი ავთავდით. ხელმძღვანელი გამოგვიყვეს, მას უნდა წავეყვანეთ, ჩავებარებინეთ. იმ უფროსმა ყოველი ჩვენგანისაგან, კოლექტივის მიერ მოცემული ფარიდან, ასორმოცდაათები თავად აკრიფა, ესაო გზისა და ქვების ხარჯიაო. მაგ დარჩენილ ასორმოცდაათ მანეთს მოუჭირეთ ხელი, იქ ადგილზე რომ ჩავალთ, ფორმის ტანსაცმელში დაგჭირდებათო. კი, მარა, აკი თავიდან დამპირდნენ, ტუვილა ჩაგაცმევენო? დაველოდოთ, მთავრობა ხომ არ მოიტყუებს. ყველაფერი მშვენივრად აეწყობა. ფორმაში გამოწყობილი დავჯდები მერხზე, გადავშლი რვეულს და ჩავიწერ სარკინიგზო გაკვეთილებს. იქვე გვექნება ალბათ სასადილო, გავძღები, გავლამაზდები, ვისწავლი და ნახოს მერე მურთაზამ, რაფერი ძმა ვეყოლები. არა, მასაც დავეხმარები უთუოდ, ახლა ნენე-ბაბას მიმიხედოს, აქაურობას მიმიხედოს და მერე ყველაფერს ასმაგად დავუბრუნებ... ჩაგვყარეს „გურძავო" მანქანაში და ფახაფუხით გაგვახრიგინეს ბათუმისკენ.

ბათუმში, სამგზავრო ვაგზალში კი არა, „ტავარში" — გაგვიყვანეს და, ჯარში გაწვეულებივით, იქიდან... საით მივდივართო, აი, ესეც ვერ ვკითხეთ, რა საჭიროა კითხვა. მიდიხართ სასაწავლებელშიო. მორჩა და გათავდაო. მაგი სასწავლებელი საიდუმლოა, ვინმე გაიგონებს და მტერს გაუმხელსო. გაჩუმდით, გავიტრუნეთ, ენა ჩავიკვნიტეთ.

საღამოს მატარებელზე აგვყარეს. საით მიმავალი მატარებელი იყო, ვერ მივხვდით, შეკითხვა არ შეიძლებოდა. ვაგონში ორი იარუსი საწოლები იყო. ჩვენ მესამე იარუსზე ასვლა გვიბრძანეს. ბაღნები ხართ, ალიები ხომ არ ხართო. შორს მივდივართ, ეტყობა. კარგია შორს წასვლა. ნეტა რუსეთში, ციმბირში იყოს. სადღაც დაკარგულში. შორს, შორს. მინდა, ძალიან მინდა დავიკარგო, ყველას მოვენატრო, მოვუნდე. მაშინ სხვანაირად დამელაპარაკებიან შინ.

მთელი ღამე მირაკუნობდა ის მყრალი, ბნელი ტალაგანი მატარებელი. დილა. სოხუმი. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე, ისევ „გურძავიკი“, ისევ ძარაზე შეყრა, ისევ გზაზე ჯაჯგური. და, — ეშერა. აი, აქაა თქვენი სასწავლებელიო. მწვანე ბექობზე თეთრი, ბრეზენტით გადაჭიმული პალატები. თითოში ოთხმეტი საწოლი. პირდაპირ მიწაზე. აღარავის მოსწონს. მაგრამ სად წახვალ. ჩაკეტილი, დამწყვდეული, დაცულები ვართ. სასწავლებლის შენობა, საერთოდ, სასწავლებელი არსადაა. ირგვლივ საიდანღაც გამოზიდული მიწის ზვინებია. მიწის გორები, არა, უფრო, — გორაკები. მიწა კი არა, ქვაა, თირაქვა, ცისფერი, მტრედისფერი, სველი, ლოპიანი, რბილი ქვების გორაკები. ახლოს ჩაუვლი, რაღაცნაირი სუნი გეცემა, სხვა სამყაროს სუნი, უცნობი, უცხო, უხალისო სუნი. მერე ვიღაცამ გვითხრა, აქ გვირაბები ითხრება, სოხუმ-სოჭის რკინიგზა გაყავთ, თითქმის სულ მიწისქვეშ გადის. მეორე დილით წერაქვები, ნიჩბები დაგვირიგეს და შეგვიძღვნენ გვირაბში. სკოლა? სადაა სკოლაო, კითხულობდნენ სასოწარკვეთილი ჩვენებური ბიჭები.

ჩვენი გამყოლ-წინამძღოლი უცებ გაგვიქრა. ალბათ ჩვენი თავები იმათ ჩააბარა და თავად შინ გამობრუნდა.

გვირაბის განათებამ გადაგვრია, დაგვტანჯა, მაგრამ რას არ ეჩვევა კაცი. გვირაბში უმრავლესობა ქალები მუშაობდნენ, რუსი ქალები, სქელ-სქელი, მკლავხოშორა, თეძოებფართო, ენერგიული, მაგარი ქალები. შეგვათვალიერეს, შუბლებზე ოფლები შეიმშრალეს, თვალები ჩაუკრეს ერთმანეთს.

მალჩიკი, მალჩიკიო, გვეძახოდნენ. შეგვიბრალეს, — მსუბუქი წერაქვები მოგვაწოდეს; აგვიხსნეს, დაგვამშვიდეს, მოგვეფერნენ, სალამოს ცეკვებზე წაგიყვანთო, დაგვპირდნენ. შარვლები ეცვათ, ფართობოლოებიანი ტილოს შავ-შავი შარვლები. ბევრი რამ გვასწავლეს იმ ქალებმა ბევრი რამ... ერთი სიტყვით, სასწავლებელი მიწის ქვეშ მოგვცეს, ფორმის ტანსაცმელიც დაგვირიგეს. ქალებს რომ ეცვათ, ისეთი შავი სატომრე ტილოს შარვალ-ხალათები. მე ნამდვილ რკინიგზელის ფორმას ველოდი, ჩაქუჩ-ნამგლიანი, მოთეთრო ფოლაქები რომ აკერია, იმნაირს.

მაგრამ ლოდინი ლოდინად დარჩა.

გვირაბის შესასვლელთან, გარეთ, დღე-ღამის მანძილზე განუწყვეტლად გრიალებდა ვეებერთელა მანქანა, რომელიც შავი შლანგებით დაწნეხილ-დატკეპნილ ჰაერს შორს, მიწის სიღრმეში აგზავნიდა კლდის სანგრევი ჩაქუჩებისათვის. ზოგნი იმ სანგრევ ჩაქუჩებს, ზოგნიც ეს. ერთი სანგრევი მეც მერგო. ხელი ჩამავლო მბურღავმა ქალმა და ხმაურის გამო მხოლოდ მიმიკებით ამიხსნა, თუ როგორ უნდა მეხმარა ავტომატი. იგი მძიმე იყო, არ ვიკადრე ქალთან. მაგრამ ავტომატის არა თუ მოხმარა, აწევაც გამიჭირდა. ისე ძიგძ[illegible] მომწყვიტა თითქოს, ბოლოს მიწის საზიდი ურიკა ვამჯობინე, — მივაწვებოდი, გავაგორებდი, ზედაც შევაჯდებოდი.

ერთ საღამოს წერილი დამხვდა სამკუთხა. მურთაზი მწერდა, ბაბაი გონჯადააო.

გამთენიას ლოგინიდან ჩუმად ავიპარე, ჩემი რაღაცები პერანგში მოვბოჩხე, მურთაზას მოჭედილ ფანერის ყუთში ჩავპენჭე და, ზღვის ნაპირ-ნაპირ სოხუმისაკენ, ფეხით გავიქეცი. ეშერას მახლობელ ალაგებს რომ გავცდი, ჯიბეში თავმჯდომარის მოცემული ორი ცალი სამმანეთიანი კიდევ მეგულებოდა: ვშიშობდი, — მატარებლის ბილეთში არ მეყოფოდა.

ნაშუაღამევს რომ გამეღვიძა, მატარებელი გრიალით მიქროდა. ხამტრედია მძინარეს გამერბინა და მხოლოდ მორიგ გაჩერებაზე ჩავედი ძირს. არ მახსოვს, რომელი სადგური იყო, ჭაჭანება არავინ ჩანდა. მარტო სადგურის სარკმელში ჭინჭვალობდა კენტად წითელი შუქი...

კვირადღე იყო. ბათუმის ციხესთან ზღვა ხალხი ფუსფუსებდა, პატიმრებზე „პერედაჩების“ გადასაცემად გრძელი რიგები იდგა. ნამეტანი ხმამაღალი ხმაური არ შეიძლებოდა, იმოდენა ხალხი მოგუდულად ხმაგაკრეფილი ედუდუნებოდა ბედისწერას და ერთმანეთს. ვერ მიხვდებოდი, გარეთ მყოფთ უფრო უჭირდათ თუ შიგნით.

— შუქრი, შუქრი, შუქრი, — დამედევნა ვიღაცის უსაშველოდ განწირული და ჩაფერფლილი ხმა. ქალების რიგი ჩოჩქოლობდა, კვნესოდა, ქვითინებდა. ნამეტანი ნაცნობი და თანაც ნამეტანი გამოუცნობი იყო ის ხმა, საშინელმა გრძნობამ შემძრა და შემბორკა. რამ წამომიყვანა აქედან, მთისკენ მიმავალ მანქანას ბაზართანაც მოვნახავდი, რამ წამომიყვანა აქეთ?.. იმისთანა საცოდაობა იყო, მიდღემჩი არ დამავიწყდება. ღმერთო, ვინ იძახის ჩემს სახელს? ქალების რიგიდან შავკაბიანი, ჩამრგვალებული ქალი გამოეყო (ეტყობოდა, ფეხმძიმე იყო) და ჩემკენ მოიწევდა გაჭირვებით. მომიახლოვდა, მოვიდა. ვაი, — რას ხედავს ჩემი თვალი, — ბელა! სწორედ ის, ჩემი ოცნების ბელა!

საფეთქლებზე ძარღვები დაბერვოდა, ოფლში გაწუწულიყო. კანკალებდა, ღიმილი აღარ უჩანდა, თითქოს სულ ერთიანად ჩამორეცხოდა. ვერც მომესალმა, ვერც, როგორ ხარო, მკითხა.

— ორი დღე-ღამეა აქ ვდგავარ. ვერ მივაღწიე კარებამდი...

— ვინ გყავს შიგ, ვინ?

— ქმარია დაჭირული, მისმეტი დედამიწაზე აღარავინ მყავდა, ჰოდა, ისიც...

რატომ, რისთვის წაიყვანეს-მეთქი, მინდოდა კითხვა, მაგრამ ამისი დრო სადღა იყო. ვის რისთვის არ იჭერდნენ მაშინ.

— შუქრი, რაცხა მომეხმარე. დღეს ეტაპში მიყავთ. ეს რაცხა ორი ლუკმა და ეს რაცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილი გადამაცემინეს. — და გულამომსკდარს ტირილი აუტყდა.

დავდგი ძირის მეურნეობის მიერ მოჭედილი ფანერის ჩემოდანი დაჯექი-მეთქი, ვუთხარი ბელას და ხელში შევყერი.

მხოლოდ სადამოზე მივაღწიე ცინდისთან. მაშინ კი, უცებ ყველაფერი შეწყვიტეს: ყველაფერი გადაკეტეს და იქიდან ყველასი გარეკვა გააჩაღეს. მივეყუდე იქვე ბედად გადარჩენილ ერთ ტყავშემოსილტილ მაგნოლიას და უკან, მოშორებულზე, ბელას ძებნა დავიწყე თვალებით. იგი წამომდგარიყო, ხელში ჩემი ფანერის ჩემოდანი ეჭირა და გაოგნებული მომშტერებოდა. ამ დროს ცინდის კარი გაიღო და „იატაფში" გახაგზავნ პატიმართა გამოყვანა დაიწყეს. უმალვე იქაურობას მოედინა აუტანელი მძაფრი სიმყრალის სუნი. პატიმრებს თითქოს თეთრი ფქვილი ასდიოდათ. ეს უფერული ხუნიანი ობმიკარი, ქაობის ჩიხლივით, მძიმედ წვებოდა მიწაზე და შემოგზებული შეზინდებულ სივრცეს თავისი არაამქვეყნიური სუნთქვით ამორჩილებდა.

ადამიანები მხოლოდ ყვითელ ლანდებად მოჩანდნენ და ვითარცა ჟიამეთის ჟამს, ირგვლივმყოფთა დანახვა-ცნობაც კი აღარავის აინტერესებდა, როგორც ატყუიან. თვითეული საკუთარი სულის დარდში ჩაძირულიყო. იქვე, საცოდავად მოკუნტული ორი მოხუცი ერთმანეთს ეჩურჩულებოდა. ისინი ზეგნის სოფლებიდან ჩამოსულები მიეამგვანე. გადასაცემად შეკრულ ბოხჩებზე ჩამომსხდარიყვნენ, ცინდიდან გამდინარე ტუსაღთა მდინარეს შეცქეროდნენ, თავებს დამწუხრებით აქანძურებდნენ და უბადრუკ ხელებს ისრესდნენ. იმათი წუწუნიდან დავასკვენი, — კამერებში ხალხი ვეღარ ეტეოდა, მუხლის მოხრაც აღარ შეიძლებოდათ, ჩამოჯდომაზე და, მით უმეტეს, ჩაწოლაზე ხომ ლაპარაკიც არავის შეეძლო. ოფლით, შარდით, თვით სუნთქვით დამძიმებული ჰავა, არა თუ შიგ მყოფთ, ქუჩრუტანებიდან გარეთ, დერეფნებში რომ გამოდიოდა, მცველ-ჩეკისტებსაც აბრიყვებდა და აბრუებდა. ამიტომ ის „იატაფი" დიდი ხნის იყო ცინდის უსაზღვრობებში სამყოფი ფართი და სასუნთქი ჰაერი მაინც ექნებოდათ.

ამიტომ ერთგვარი ჩალისათაც მიაბიჯებდნენ, თითქოს უკვე თავისუფლებაში გაშვებულები იყვნენ. მიმავალთა შორის თუ ვინმე ვინმეს იცნობდა, „პერედაჩას" ესროდა. ზოგი თავისას იჭერდა და წაიღოვასაც აბერხებდა, მადლობის ნიშნად ერთს მოიხედავდა, გამოსავათებულ თვალებს მოავლებდა. მაგრამ გამორჩევით მოსულ ახლობლებს ვერავის შეამჩნევდა. ამიტომ მხოლოდ თავის უმწეო დინებას გაჰყვებოდა. ბევრი გაქნეული ბოხჩა პატრონამდე ვერ აღწევდა, ან სხვის ხელში ხვდებოდა. იმ სხვას ნამდვილი პატრონის გვარ-სახელს მიაძახებდნენ და პატიმარიც თავს უქნევდა, გავიგე — გადავცემ.

ამით კმაყოფილი, გაწამებული მნახველები ისევ დათქმული, ერთგვარი შვებით ბრუნდებოდნენ შინ.

უკვე სულ ჩამობნელდა, ბელამ კი ქმარი ვერა და ვერ დაინახა, რომ ჩემთვის ენიშნებინა. ბოლო მე „პერედაჩი" მესროლა მისკენ. ბოლოს, კარში რამდენიმე წითელპეტლიანი, თოფიანი, წოწოლიანი, ჩექმებიანი, ქერათმიანი მცველი ჩადგა და პატიმართა გამოსვლა შეწყვიტეს. კარიც მალე ჩაიკეტა, თოფიანებიც გაქრნენ და ირგვლივ მძიმე, გაუგებარი სიჩუმე ჩამოწვა.

— მე აქ დავრჩები, დილაზე პირველი ვიქნები. — მითხრა ბელამ და მუცელს ხელები გადააფარა. ქუჩაზე მთის გზას რომ ერთვოდა, „გურძაო" გაჩერდა, ძარაზე მდგომ მგზავრებიდან ვიღაცა ხელს მიქნევდა, თან სახელს იძახოდა ჩემსას. იგი ბორტს გადმოევლო, ძირს ჩამოხტა, ჩემთან მოირბინა და ხელი წამავლო.

— რას იჯები აქა, ქო? მაიდე, წამო!.. — მურთაზი იყო, საშინლად მომერიდა. უცნობ ფეხმძიმე ქალთან ვიდექი, შორს, რკინიგზის სკოლაში წასული ბიჭი. მანქანასთან მიყვანილი წამით მაინც უკან გამოვიქეცი. ბელასთან მივირბინე, ფანერის ჩემოდანი გავაღე, ჩემი საგზალი შიგნიდან ამოვაძვრე და ქალს ხელში შევაჩეჩე.

— გამეიქეცი, თუ გამოგიშვეს, ქო? — ბაბასავით მკითხა მურთაზმა.

— ბაბაი რაფრათაა? — პასუხის მაგიერ ვკითხე მე.

— მე შენ თავიდან გითხარი, მიხედე ოჯახს. მოუარე ნენე-ბაბას, შენც ყოფნა შეირგე-მეთქი. ნახე ახლა რა გემართება? ისტავლე ჰკვი? ბაბა! ბაბა! რაფერნა იყოს, წევს და გიცდის.

გავჯავრდი. როგორი სასტიკი გამხდარა ძმა, რაა ეს, ნუთუ ჩემი გულის გახეთქვა უნდა?

ამნაირი იყო ის გაზაფხული. ის დიდომამიდელი ბოლო გაზაფხული, ორმოცდაერთის მაისი.

* * *

მაგრამ მე ხომ ჯერ ისევ შეშის საჭრელად ვიყავი, ისიც ზეგნის ტყეში და კაი შლივინა წიფლის ტოტებს ვჭრიდი, ვროკავდი და საზორხიალოში ვყრიდი. რომ დაბლა, ტიალში მომეჭუჭკა. იქ უნდა დამეჭახტა (დამეწყო) და დამეტოვებინა საზამთროდ.

ბინდისას ერთ წიფლის მორს ცულით გამოვუცხვირე, რცხილის წნელი დავაწნიერე, გამოვაბი, მორზე ცული დავასე და მოღლილობით დათენთილ-დასურითზულებული, შინისაკენ დავეშვი. წირეხის ბოლო მხარზე მქონდა გადადებული, ისე მივდიოდი, თითქოს ჰაერში ვეკიდე, ნედლი ქერქგაუძრობელი წიფელა მძიმე იყო, უკან მეწიკებოდა, არ მიშვებდა წინ, ამიტომ გაბედულად, მთელი სხეულით დავეკიდე ზედ და ერთგვარი სიამოვნება ვიგრძენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეჩვენა რომ წიფლის ძირი კი არა ჩემი სოფლური ბაღნობა, ეს ზეგანი, ეს ღელე-ღუ-რდანი, ქარაფები, ეს შეუვითლებული ტყეები და ჩემი ქალამნიანი ქუსლებით ნარბენ-დაჯე-კნილი თავდაღმართები არ მიშვებენ-მეთქი. მა-გრამ ფიქრებმა მაინც წინ წამისწრეს.

### ჰ ო ს ტ ო ჩ ა

რკინიგზის სკოლის გვირაბიდან გამოქცეული გულიანად შევერიე და კიდეც შევეფერე სო-ფლურ სამუშაოებს. არც არავინ იცოდა, რა-ტომ დავბრუნდი, არც არავინ იცოდა, როგორ დავბრუნდი. ჩემი სოფელი დღესაც თითქოს მესხვაფერა. ჩვენი თდა უფრო მედაბლა, ნაბ-შირიც კი ბუხარში მემრუშა, მეცივა. ნენე-ბაბაი უფრო დაბერებულები მომეჩვენა. მურთაზი გამოფშეკილი და ბრაზიანი. ჩვენი ოდასახლის ზემოთ, გორაკზე, სამხედროებს საჰაერო-სამე-თვალყურეო პუნქტი მოეწყოთ — ოთხი-ხუთი ჯარისკაცი, ერთი ათმეთაურით, მიწურში ცხოვ-რობდნენ. მე, როგორც გახედულ-გამოხედული, ცხრამეთას იქით ნამყოფი და, შინაურთა აზ-რით, რუსულის მცოდნეც, „რუსებთან" მიმი-შვეს, სამხედრო ბიჭებმაც ხალისით მიმიღეს. კოხზე, მუხის ფესვებს გადავევლე, მიწურს მივუახლოვდი, კოსტოხაზე წრეხაზი შემოეხა-ზათ, ციფრებით და რაღაც ნიშნებით აღენიშ-ნათ. მოწინააღმდეგის თვითმფრინავი თუ გა-მოჩნდა, ფრენის მიმართულებას განვსაზღვ-რავთ და საცა საჭიროა, იქ შევატყობინებთო, ამიხსნეს. ყველანი რუსებად მივიღე. ეჰერას გვირაბიდან ჩამოყოლილი რამდენიმე ლერი სი-ტყვით, როგორც ნენეი იტყოდა — „დავკნა-ჭე" რუსული, მოდა, იმდენი ნდობა გამომიც-ხადეს, თავიანთ მიწურშიც კი შემიყვანეს. იქ უფრო დალამებული ხალამო იყო. უცხო სუნი იდგა. ალუმინის დიდი მაშრაფებით ჩაის და-ლევა დაიწყეს. მეც დამისხეს. ჩიჩვირი მოვი-თუთქე. კენჭი შაქარი მივაკვნიტე და ნელ-ნე-ლა, სულისბერვით, ოდნავ ფერნაცვალი მდუ-ღარე წყალი მოვხვრიპე.

მეამაყებოდა ისეთი ნდობა. იმათ კი, შევატ-ყვე, ვუხაროდი მე, აქაური ბიჭი, ვისთანაც ორ ლერს სიტყვას გაცვლი. კედელზეც შევნი-შნე გიტარა და სამკუთხა ჩანგური, რომელსაც ისინი ბალალაიკას ეძახოდნენ და, რომელსაც წვრილი მავთულები ჰქონდა გადაჭიმული.

რადგან ჩანგურზე ჩხაკუნი ცოტა კი შემეძ-ლო, ბალალაიკაზეც ჩამოვკარი თითები. მისი წვრილი და შეწყობილი წკრიალი უცნაურ შორეთისკენ მეძახოდა თითქოს. მაგრამ ბალა-ლაიკა მაინც ჩანგურულად მოვიმორჩილე და რასაც ჩანგურზე ჩვენებურ ყაიდს ვუკრავდი, ისეთი ხმა გამოვაშვებინე. თუმცა ბა-ლალაიკას მჭახე წანწკუნი მაინც სხვა იყო. ჩულს ისე ვერ მიხანდა, ჯარისკაცებს მაინც მოეწონათ და მეც თავი-მომეწონა. ... რეიტარი, ესე იგი, უფროსი, ვახმისტრი ... ხია, იყო. უებანელი, შავგვრემანი რუსი თვა-ლებიც ჩვენებური ჰქონდა. ... ფესის კეფლე-ბივით უღრუტუნელი — შავი, ეროხბაში ვიფიქ-რე, მატყუილების, ეს რუსი არ იქნება-მეთქი. მეორე, რუსეთის ბერძენი იყო, — ყველა და ნარჩენი სამი კი ერთ დარჯაგში ჩამოსხმულებს გავდნენ. ქერა კი არა, თეთრი თმა, ზღვის წვეთებივით უფერული თვალები და აწკენტილი ცხვირები. აი, ისინი ნამდვილ რუსებად მივი-ღე, ხოლო დამმაკაცებული უფრო მაკ უბანე-ლთან და რუსეთის ბერძენთან ამოვჩნდი. ვა-სია გიტარაზე უკრავდა, ფედია — ბალალაი-კაზე. მე იმათ ნამღერ რუსულში ჩვენებური ქართული, ნან ნანა, ნანაც წყრილი (მეკრიმან-ჭულება) შევუშვი და რაღაცნაირი ხმების აკი-დოები ავჩურჩხლეთ.

მეორე დღეს თავმჯდომარემ დაიძახა და „თავდაცვავიაქიმის" წრის მასწავლებლობა დამავალა. ერთი ნაზმარი, გაჭეჭყილი აირწი-ნაღი, ნიკელსდროინდელი. სარივით გრძელი თოფი და დაქლექილი ინსტრუქცია, ასევე და-ჯღურკულზე დაწერილი აქტით, ჩამაბარა. ნას-ტავლი ხარ და მიდი, საღამოობით ხალხს ას-ტავლეო.

შრომადღეებს დაგიწერთო. თითქოს უცბად გავიზარდე, გავლიდკაცდი. ინსტრუქცია ღამით, ჭრაქის შუქზე, ორჯერ გადავიკითხე, მაგრად შევისწავლე. ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუ-მბარების ამბები ჯარკვევით ეწერა. იმ ბომბე-ბისაგან თავდაცვის წესები ჩაკინწკინწებული აყო. მერე, ქიმიური ომის შესახებ საშინელებები წავიკითხე, აირწინაღი სახეზე ჩამოვიცვი, ჩან-თა მხარზე გადავიკიდე. ასე გავიარ-გამოვიარე აირწინაღში. სუნთქვა სრულებით შეუძლებე-ლი იყო. იმისთანა სუნი მეცა, ყლორჭინი და-მაწყებინა და ვთქვი, ამას ჯობია ქიმიურ ომში პირლიამ ვისუნთქო-მეთქი. მაგრამ მეზობელ გლეხებს, საღამოს, კანტორაში, დამაჯერებლად ავუხსენი, თუ როგორ უნდა ეხმარათ ნამდვი-ლი აირწინაღი. თოფისა კი ყველამ ჩემზე მეტი იცოდა და რაიმესი ახსნა შემრცხვა. წრის წევრები, ყველანი ჩემზე გაცილებით დიდები იყვნენ, მაგრამ მორჩილად მისმენდნენ და, წა-რმოიდგინეთ, მეკითხვებსაც მაძლევდნენ.

— ომი როის იქნება, ეგ მითხარი შენ, — ამოიძახა ერთმა. გეგონებოდა, ომის დაწყება ეჩქარებოდა, გავბედე — დიდკაცურად, გაჯა-ვრებით შევხედე, თანაც არაფერი ვუპასუხე.

იქ კი, სადღაც შორს, ინგლისის ქალაქებს აურიდა და აურიდა გერმანია ბომბებს. კანტო-რიდან საღამოობით გაზეთი შინ მომქონდა, ბაბაი ბუხართან ხმამაღლა მაკითხებდა. გერმა-ნიის გადარეული ბელადისა აინტერესებდა ძა-ლიან. ულვაში აქვს, სიმაღლე კი არაო, ჩაი-ქირქილებდა მამაჩემი ბილერზე. მაგრამ მიტ-ლერი ბაბას ქილიკს აინუშშიაც არ აგდებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბათქუნებდა და უბათქუნებდა გალმელს თუ გამოღმელს, მიანგრევდა, მიაპობდა, მილეწავდა, მიდიოდა. მთელ საფრანგეთზე უკვე კაიხანია ჯაჭია ქორივით იყო გადამჯდარი და ძიძგნიდა. საფრანგეთის ამბავი, მახსოვს, მე და ბაბამ ერთად მოვიტირეთ ორი წლის წინათ. გერმანიის არმია პარიზში შევიდაო, წავიკითხე ხმამაღლა მაშინ. გული ჩამწყდა, კინაღამ ავტირდი. ასე დიდმა და ძველმა ქვეყანამ, იმფერი ქალებისა და მწერლების პატრონმა, როგორ იკადრა, როგორ მიიყვანა საქმე იქამდე, რომ გიჟი გერმანელები თავის სატახტოში შეუშვა? მაშინ გაზეთები გერმანელებს პირსისხლიან ფაშისტებს ეძახოდნენ. მაგრამ ბოლო ხანებში, როცა სტალინი და ჰიტლერი ხელშეკრულებით დაამხანაგდნენ, სიტყვა ფაშისტი გაზეთში თითქმის აღარ დაუწერიათ. გერმანიის ჯარები ვერმახტის ჯარები, საიმპერიო ჯარები, — აი, როგორ ეძახოდნენ ჩვენი რედაქტორები თავიანთ ნაწერებში სვასტიკიან ნაცისტებს გერმანელები რომ მარშით შედიოდნენ სახელმწიფოებში, ვატყობდი, ყოველ შემთხვევაში, ბეგონებოდა, ჩვენებს მოსწონდათ. იქნებ ზევით, სულაც არ მოსწონდათ, მაგრამ ქაღალდზე დაწერილი მეგობრობის გაფუჭებას უფრთხილდებოდნენ, თან, ალბათ, ეგონათ, ამით თავდასხმას, რისთვისაც მზად არ იყვნენ, აიცილებდნენ.

ხშირად კიდეც აქებდნენ გერმანელ სამხედროთა ქველობას. მესერშმიდტები, იუნკერსები როგორ ეზიდებოდნენ ბომბებს ევროპის ქალაქების დასაფშვნელად, ამას ვითომ მეც ვხედავდი, ვითომ მესმოდა იმ თვითმფრინავთა გუგუნი და გრიალი. მამაჩემი მომისმენდა, თავს ჩააქნევდა, ნაცარში ჩააფურთხებდა, მიწით გამოვსებულ ქალამნებს გაიხდიდა, გაიხდიდა წინდებსაც და დაგორგვალებულ ქალამნებში ჩააწყობდა, უშუშო სარკმელში ცას გახედავდა, მომიბრუნდებოდა და მოქნარებით ჩამილაპარაკებდა:

— ვინ გახდა ეს ჰიტლერაი ბოლოს და ბოლოს, ასე რაფერ დააჯდა ყველას თავზე. ა?!

— ბაბი, — ვპასუხობდი მეც დინჯი ჩაფიქრებით, — სტალინმა თუ მეიწადინა, მაგი რას დაუკავდება... — ამაზე უჩუმარა ჩაიკირკილებდა, მხრებს აათამაშებდა, ქვეშ-ქვეშ გამომხედავდა ისე, ხხვამ არავინ შეგვნიშნოსო.

რას ნიშნავდა ეს, მაინცდამაინც თლათ ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ყველაფრის ბოლომდე გამხელა ჩემთვის ჯერჯერობით ეძნელებოდა.

— ჰო, ბაბი, ჰო, — დამაშოშმინ-დამამშვიდებდა, ეს იყო და ეს.

შებინდებისას სალდათებმა ძაღლი აუშვეს. ბამბურა, მხრებბალნიანი, მგელძაღლა ღრენითა და ბურდღულით შემოურბენდა კოსტოხას და კმუსუნ-კმუსუნით მიწურის შესასვლელთან, მისთვის დაგებულ „პარტიანკების" საფენზე დადებდა უკანალს და თავის ხოშორ კუდს ძირს დააფართხუნებდა იმის ნიშნად, რომ მოვალეობის ნაწილი უკვე შევასრულე, ახლა კი ჭამა მინდაო. ვასია-ეფრეიტორი უმალვე უბრძანებდა სალდათს, ძაღლს ვახშამი გამოუტანეო. აფხაკუნდებოდა ალუმინის პატარა კარდალი, ტყლაპატყლუპით ჩაცვივდებოდა შიგ სადილის ნარჩენები და მალე კარის გვერდით, კუთხეში მრეშბალნიანი მგელძაღლა სულმოუთქმელად შესანსლავდა ყველაფერს და მაშინვე ფხაკუნწკმუტუნს ატეხავდა, არ მეყო, დამიმატეთო, მაგრამ ეფრეიტორი ვასია, კვლავ საქმიანად უბრძანებდა, გაიყვანეთ და სამორიგეო მავთულზე გამოაბითო. ის მავთული, კარიდან მთელ კოსტოხაზე რომ გადაეძგიფათ, მიწაზე იყო გაწოლილ-გადაჭიმული და ძაღლის საბელის რგოლი, მთელ სიგრძეზე თავიდან ბოლომდე, თავისუფლად დასრიალ-დახოხიალობდა. ასე რომ, მგელძაღლას შეეძლო მთელი გასამხედროებული ჩემი ბალნობის ალაგი, — კოსტოხა, წუთში მოერბინა და კაციბ ჭაჭანება იქ გამოჩენასაც ვერ გაბედავდა.

ა; გასულ წლამდე მე სულ აქ ამოვჭენდებოდი, ჩემი მუხლებით აქაურობა იყო მოქელილ-მოგალული. კოსტოხა, გაზეთის ენით რომ გითხრათ, ჩემი დამოუკიდებლობისა და ავტონომიური არსებობის რეალური გარანტია იყო, ამიტომ მისი ხელყოფა არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდი. გვირაბის მთხრელთა რკინიგზის სკოლიდან გამოქცეული, შინ რომ დავბრუნდი და ჩემი კოსტოხა დაპყრობილი დამხვდა, თითქოს ბავშვობა მაშინ დავკარგე სამუდამოდ. ერთი მოტირება მოვიტირე კოსტოხას წართმევა, მაგრამ მეორენაირად, მიხაროდა. — ჩემი ბავშვობის საყვარელი სათამაშო ალაგი, კოსტოხა, საბჭოთა სამშობლოს სამსახურში ჩადგა. ეჰ, ეს რომ ვინმემ მოახსენოს სტალინს, ბელადი ალბათ მე თავისთან დამიბარებს კრემლში და მადლობას მეტყვის... მერე, მეც წავალ ჯარში, ხელში ავიღებ თოფს, დავიცავ ჩემს უსაზღვრო საბჭოეთს. სადაც გამგზავნის ბელადი, იქ წავალ. არაფერს და არავის შევუშინდები. გამოვიჩენ გმირობას, ამას კი ბელადი უსათუოდ შენიშნავს და ოქროს ვარსკვლავით დამაჯილდოებს. ხოლო, როცა მკერდზე ოქროს ვარსკვლავით და ლენინის ორდენით დავბრუნდები, მომიწყობენ მრავალათასიან სახალხო შეხვედრას ბათუმის ვაგზალში, როგორც ეს მოუწყვეს გმირ სულაბერიძეს, ფინეთის ომიდან როცა დაბრუნდა, რაც მე ჩემი თვალით ვნახე. მაშინ, გინდაც გაგებული იყოს, რომ გვირაბის მთხრელთა სკოლიდან გამოვიპარე, მაინც ყველაფერს მაპატიებენ.

ჰო, — კოსტოხას ავტონომიაზე ვამბობდი. ზაფხულში, ზღვისპირა სოფლიდან ზაქროს ამოსვლა აქაურობაში დიდ გამოცოცხლებას შეიტანდა. მე და ზაქრო აქ, კოსტოხაზე, მთელ დღეს ვთამაშობდით. არა, იგი მთლად თამაში არ იყო, — ჩვენ აქ ვმუშაობდით. ფრჩხილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწით გამოკენჭილ-გამოგლესილი გვქონდა, თმებშიც მიწა ჩაჰხეულიყო ბლომად, უბეშიც მიწა ჩაცვენილიყო. მიწას ვთხრიდით, ვლარავდით, ვაგენჯიშებდით, ვშლიდით და კიდეც ვჭამდით, გავყვავდა გზები, ქუჩები, ვაშენებდით ქალაქებს, სოფლებს, ვაგზლებს; ბოლოს, კოსტოხას ავტონომია გამოვაცხადეთ და, ჩვენ ორი, მე და ზაქრო, დავეპატრონეთ.

მაშინ რა ვიცოდი, თუ ოდისმე იმდენი ჭკუა მოიყრიდა ჩემ თავში, რომ თვით ნამდვილად არსებული ავტონომიაც დრომოჭმულად, ეროვნული უზერხულობისა და გლობალური გაუგებრობის ნათელ ნიმუშად მომეჩვენებოდა? ამბობენ, რა გვენაღვლება, ავართვათ დიდ კავშირს რაღაცები ავტონომიის საბაბით და ვჭამოთო. თანაც, ხომ ხედავთ, ჩვენც ჩვენი პაწია დამოუკიდებლობა გვაქვსო, კი, მაგრამ, ვისგან გაქვს ეს დამოუკიდებლობა, შენიანებისაგან? შეიძლება შენ ცალკე ხალხად იწოდებოდე შენივე ხალხში?

კოსტოხას ავტონომია, მე და ზაქრომ, კარგა ხანს ვაარსებეთ. მაგრამ იქ ნაშენები ქალაქები და სახელმწიფოები აქ არყოფნის ხანებში მოგვისრისეს. შეიქრებოდნენ, ჩვენ აქ არყოფნის ხანებში, სოფლელ მოხეტიალე „ბარბაროსთა ბანდები" და ჩვენს ნახოხოლებ-ნატანჯ ცივილიზაციას გაგვინიავებდნენ. მომავალ ზაფხულს, როგორც მიწისძვრის შემდეგ, ყველაფერს თავიდან ვიწყებდით. ავაშენებ-ავაწყობდით ახლად ჩვენ-ჩვენს სამშობლოებს თუ სახელმწიფოებს და შეჯიბრებებსაც ვაწყობდით, რათა თვითეულს საკუთარი გამოგონილი სოციალიზმი უმაღლესად განგვევითარებინა.

ჩვენ ორი ბალანა, ჩვენივე კოსტოხას ავტონომიაშიც კი, სოციალისტურის გარდა, სხვა სისტემის ხსენებას სახელადაც ვერ ვბედავდით, გვეხსენებინა. ხანდახან, პატარ-პატარა ომებსაც ვუცხადებდით ერთმანეთს. მაშინ, მე და ზაქრო მხოლოდ იმჟამად მეომარი ქვეყნების სახელებს დავირქმევდით და ჩვენაც უფრო არხეინად, უფრო გულდასმით, ვანგრევდით ერთმანეთის ნგრევა-აოხრებას, ვიდრე შენებას.

ზაქრო ხშირად გერმანია იყო. ქალაქთან უფრო ახლო მცხოვრები ვარო, ტექნიკა მეტად ვიციო და ამიტომ მე რომელიღაც სხვა მომცრო დამარცხებული რესპუბლიკა ვიყავი.

ერთხელ საფრანგეთობაც მერგო და იმ დღეს დიდი რუდუნებით უამრავი პიწკებით, ქვით, მიწით ავაგე ჩემი მაჟინოს ხაზი. ამან კი დრო წაიღო და თითებიც კარგად დავილილიტე. მაგრამ სიმაგრე მართლაც მაგარი გამოდგა. ზაქრო-გერმანიამ, თავისი თიხის ტანკებით და ნაფოტის მანქანებით, ვერანაირად ვერ გადმოლახა ჩემი მაჟინო. ნამდვილ გერმანიასავით გვერდებიდან შემოპარვაც მოინდომა, მაგრამ უმალვე მივუხვდი. აბა, მე მაშინდელ ბლაყვ საფრანგეთივით ხომ არ შემოვუშვებდი ოკუპანტებს. ჩემი კოსტოხას რელიეფი უფრო მიწყობდა ხელს. გადაღმა-გადმოღმა [illegible] თი გაუვალი ეკალბარდები იყო დამუძგურებული, შიგ ჯინიც (ეშმაკი) ვერ გაეტეოდა.

მისმა შეიარაღებამ რომ ვერ გაარღვია ჩემი თავდაცვის ზღუდე, ზაქრო-გერმანია გაჯავრდა, წამოიჭრა და ხელდახელ მეძგერა. იმნაირი კვანტები და რაღაც სხვა ილეთებიც იხმარა ზაქრომ, ცოტა შემაჯანჯგალა, წამაფორხილა და, ბოლოს, ჩემივე აგებულ მაჟინოს ხაზზე გამაწვარადინა, ასე, რომ საფრანგეთს ვერც იმ დღეს ავაცდინე მარცხი.

ვახია-ეფრეიტორმა სალდათი გამაყოლა, ჩაეცილეთ. მგელძაღლამ ღრენა-ღმუილი მორთო, ალბათ, ჯავრობდა, მაგ ბლუშტის დასაგლეჯად რატომ არ მიშვებთო. ამასობაში მუხნარის ჩირგვები ფრაწაფრუწით გადავირბინე. უკან, სალდათს, სპასიბო-მეთქი, მოვაძახე და სამშვიდობოზე, ჩემს მყუდრო ეზოში, მარტოდმარტო გავჩერდი. ის ცა, რაც ჩემი ეზოდან ჩანდა, საკარმიდამოსავით მიყვარდა. ჩემს ბავშვურ ოცნებებთან ერთად ბევრჯერ მირბენია იმ მოჭინჭველე ვარსკვლავთა შორის. ის ვარსკვლავები ჩემი ძველი ნაცნობები არიან. მიწაზე რომ ვერაფერს შევასმენდი, იმ ვარსკვლავებს მივაშტერდებოდი. ისინიც ბაგეებისა და თვალების კამკამით ერთმანეთს გადაუჩურჩულებდნენ, რა ვუთხრათ, რა დავპირდეთ, რითი დავეხმაროთო. ხეირიანს მაინცდამაინც ვერაფერს მანუგეშებდნენ, მაგრამ იმათი მადლიერი ვიყავი მაინც.

იმ საღამოს ცა თითქოს უფრო ცოცხალი და სევდიანი იყო, თანაც, უფრო უნაპირო, უფრო ღრმა, უფრო უფერული მომეჩვენა. ღრუბელთა ერთმანეთზე გადაბმული ბოლქვები, ჯარიდან გადალევრილ ჭუჭყიან წყალივით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიედინებოდა. ბოლოს, ღრუბელთა სვლა გაწყდა, ცა გაიხსნა და წითელწითელი წინწკლებით მოჩითული თავისი კალთა მთებზე გადმოფინა. ივნისი უკვე სიცხეების თვეა ჩვენში, მაგრამ საღამოს მაინც თავისი ნაზი სუსხი მოჰქონდა.

მუხის ფოთლებს ჩუმი მოკრძალებით ეხვეოდა ნიავი და უცნაურ ენაზე აჩურჩულებდა. ისეთი სიმშვიდე იყო, მეც კი ფიქრად მაქცია, ჩემი პატარა გამორბენილი, დაუწყობელ-დაულაგებელი ცხოვრების ბილიკები, ხელმეორედ გამარბენინა და ათასი წუხილით დამიჭვალა გული.

დილით დიდი სამამულო ომი დაიწყო. თუმცა ჯერ იგი სამამულო ომის სახელით არ მოსულა ჩვენამდე. ჯერ იგი, უბრალოდ, ომი იყო, ჯერ ომისაც არაფერი ეტყობოდა. იყო ჩვეულებრივი ამბავი, ვიღაცისაგან განაგონი. ეს, შესაძლოა, ტყუილიც გამომდგარიყო.

ავადმყოფი მამაჩემი ბუხრისპირ, სექვეზე დაგებულ ლოგინში იწვა. მე პირის დასაბანად გარეთ გავვარდი. ღარის წყალი შეიძლება მალე მიწრეტილიყო. ვიღაც ზედაური მეზობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოპარულ წყალს პალჩის მოსარწყავად მიუწინწილებდა ფელოში და ჩვენ ქვედაურები. შეიძლება მშრალზე დავრჩენილიყავით. ამიტომ დედაჩემს ალიონზე ქვაბები, კარდლები, კაპკანები წყლით დაევსო და ფეფენიკის ქვეშ, მუდროში ჩაემწკრივებინა.

პეშვი წყალი სახეზე რომ შევიშხეფე, ჩექმების ბრახუნი მომესმა. ავიხედე, კაპანში კიბის საფეხურებივით დაღრეცილ-დახლართულ მუხის მრეშ ფესვებზე, დროგადრუგით, ვასია ეფრეიტორი ჩამორბოდა. წელზევით სულ ტიტველი იყო და გრძელი ხავლის ქნევით მოქროდა. სიხარულით აღგზნებული იყო. კატიუშაზე რომ სიმღერაა, აი, იმის ნაგლეჯს მიმღეროდა. წყალთან მოიჭრა და პირგადღურულს მომეხვია.

— შუკრი! დარაგოი, ზნაეშ ნოვოსტ? ვაინა, ვაინა ნაჩალას!.. — ყვიროდა აღტაცებული, — რა ახარებს ამ უბედურს-მეთქი, ვფიქრე ჩემი საკუთარი ჭკუით, თანაც ყურთხილობდი. — აქ ნება ზემოდან ასეთი ბრძანებაა, — უნდა აღტაცებით შევხვდეთ იმის დაწყებას. აბა, ჩვენი საბჭოთა ადამიანის მოწყენილობა, დარდიანობა და შიში როგორ შეიძლება.

გამთენიას მივიღეთ ცნობათ, გერმანიამ დაბომბა კიევი, ოდესა, მინსკი, ჟიტომირი... უკვე შემოიჭრა მოტორიზებული ნაწილები და ჩვენი წმინდა... ბოლმა და ცრემლი ყელში გაიჩხირა თვალებზე ბლიკვი მოვიჭირე. ვასია ლარზე დაიხარა, წყალი პეშვებით პირსახეზე, გულმკერდზე შეისხა, წელზევით სულ დაისველა, სახოცი ზურგზე გადაიქნია, ხერხივით აღმა-დაღმა იხახუნა, სახეც მოიწმინდა, თვალი ჩამიკრა და ხელისქნევით აღმართში ავარდა.

მაღლა, კოსტობაზე უცებ შედგა, გადმომხედა, ფრონტზე თუ გამიშვეს, ბალალაიკას დაგიტოვებო, მომაძახა და მუხის ჩირგვებს მიეფარა.

მამა წამომდგარიყო, ნიფხავ-პერანგში გამოხვეული, ბუხრისკენ მიბრუნებული, ძიგარაზე ნაკვერცხალს დებდა. მალე პირი ააფლაკუნა და დაგორგვალებული კვამლის ბოლქვები ერთმანეთის მიყოლებით ქერისკენ აცურდნენ. ჩანდა, გლახა ხასიათზე იყო. ბოლო ხანებში ხშირი ავადმყოფობა დასჩემდა. ჭირკვების მოსატანად ვეღარ მიდიოდა ტყეში, ცულს, ნალდს, თოხს ვეღარ ხმარობდა ძველებურად. მოტყდა, დაძაბუნდა. სიბერემ თავისი ჰქნა, მუხლებში და მკლავებში ძალა გამოაცალა, ხელ-ფეხი რომ ძველებურად ვეღარ მოიხმარა, ბაბაი გაჯავრდა. მართალია, სიბერეზე და თვით ბედისწერაზეც ჯავრობდა, მაგრამ ჩვენ, გარემყოფთ, გვეგონა, ჩვენ გვიჯავრდებოდა. არავისი ბრალი არ იყო, რომ მამაჩემს ასე წაერთვა ღონე და მოხუცებულობის შეუბრალებელმა ავზნიანობამ ამნაირი მოსავებულობა შეჰყარა. მაგრამ, ზოგჯერ, ჩვენს აჩქარებულ და ახმაურებულ გავლა-გამოვლასაც ვეღარ იტანდა, ყველაფერი აღიზიანებდა, უბრალო ფაჩუჩზეც გაბრაზებული აყვირდებოდა. ერთადერთი სახლი[illegible] ცდამაინც გარედან. ბუხარზე გაბოგილ ლჯაზე აფოფინდებოდა, რომ სწორედ იქიდან აეტკაცუნებინა თავისი ფართხუშა ფრთები და იქიდან გადმოელვარა ქვეყნის თავზე თავისი ჩახლეჩილი ყივილი.

— დეიჭირეთ მაგ დელი ყიყილაი და მომასვენეთ ერთი, თუ ღმერთი გწამთ, გაწყვიტეთ მაგი ყიაში და ერთი პაწა შელავათი მომეცით დარამბავია. ქო, ეს, რა იქნა, ა? ისე იყივლებს, შემის ნაფრეწივით გამაპობს შუაში, ტვინში პასალი მეყრება ვითამ, იმხაირი ყიყილი იცის მაგ საქორემ. მაგან...

— ბაბი, გერმანიამ, დღეს დილას, ომი დაგვიწყო თურმე. — სერიოზული ხმით მოვახსენე ავადმყოფ ბერიკაცს. კვნესა, მაშინვე შეწყვიტა. თუთუნს მოუპლაკუნა და თავისთვის ჩაიბუბუნა:

— ეგ რა თქვი, ქო?!

— მართლა, ბაბი, კოსტიის უფროსმა მითხრა, აგერ, ლართან მითხრა, — დოკუმენტურად დავუდასტურე.

— ე! ხომ ვამბობდი, მაი ჰიტლერაი ამ ჩვენ სტალინს არ შეარჩენს ამას-მეთქი. უფეროს ახლა კიდევ მაგ ფირალს ეს ჩვენი ბლაყვი ეფეროს და აძლიოს მატარებლებში ჩატვირთული უკრაინის პური! რათ გინდა, ეფერები, შენ რომ სტალინი ხარ, ძიავ, აღექი, დროზე დუუბიჯგინდი, მიახვეტე და მიახვეტე... ახლა შენ გააჩერებ ჰიტლერას?!

მერე ისევ ააფლაკუნა ძიგარა, კვამლის გორგვალა ბოლქვები თანდათან გასქელდა, გამუქდა, გამწარდა, ბოლოს ნერწყვით შესველებული ნამწვავი ნაცარში ფერთხა და გაფითრებული თვალები მიმაყენა.

— მართლა იმან გითხრა?...

— მო! — მამა ჩაფიქრდა.

— შემეცოდვა ეს ულვაშაი ახლა, ე! კი, სტალინი შემეცოდვა...

აწრიალდა, აიფუშ-დაიფუშა სოფელი დუბეც. ყველანი ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა იქნება, რა მოხდება, აქაურობაში ხომ არ ჩამოაღწევს გერმანია, ხომ არ დაგვარტყამს ჩვენც?

მესამე დღეს მობილიზაცია გამოაცხადეს. მთელი მამაკაცობა ხიდისკენ დაიძრა, იქ იყო თავშესაყარი, იქიდან კი „გურძავოებით“ რაიონში მიყავდათ, რაიონიდან უკვე რუსეთში, ზოგიც, — აზერბაიჯანში, ირანისკენ.

მურთაზი გვიან დაიბარეს, ასე მეთხუთმეტე დღეს. ფეხის ქუსლის ტკივილი ბავშვობიდან რომ ჰქონდა, არავინ არაფრად ჩათვალა. ომია, ჯარში გეძახიან, სამშობლო დასაცავია, უნდა წახვიდეო. დედაჩემი მამაჩემს ემუდარებოდა, ბერო, ჩაი რაიკომში და შეეხვეწე, დაგიტოვონ შვილით, ხომ ატყობ, დახობილდი. ერთი ბლუშტის (ჩემზე უთხრა) ხელში შიერი დეყბოცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით?! მამაჩემი ნაცარს ჯიჯგნიდა, ძიგარას ძიგარაზე აპლატუნებდა, ხმას არ იღებდა.

მოილუშა სოფელი, დაუბნელდათ ფოთლები ხეებს.

ხიდის ფურნის ლამფის კარზე ოყიანი ბოქლომი დაჰკიდეს, — პურის ცხობა შეწყდა. ხალხი მთლიანად საკუთარ მოყვანილ ჰადის იმედზე დარჩა. მარტო საკარმიდამოს სიმინდი, პურის წამოუხმარებლად, წლიდან წლამდე, როდი ყოფნიდათ.

სექტემბერი წვიმებით დაიწყო. წვიმები თანდათან გაცივდა, იაილებში წამოთოვა, ბევრს საქონელი თოვლმა დაუხოცა.

ფრონტიდან თითო-ოროლა დაღუპულის ქაღალდი მოვიდა, ხმამაღალი ტირილის ეშინოდათ, მალულად ტიროდნენ ქალები.

მწვანე, ჰაზე, ახლად ჰყინტობაში შესული სიმინდები თავებმოღრეკილები, მოწყენილები, მგლოვიარე ქალებივით მიწას ჩასციცინებდნენ.

იწვიმა, იწვიმა: დალვარა, დახერგა, დაზაფრა ყველაფერი, გადელდა წყლები. ჰოროხი მთლად გადაირია, ამბობდნენ. ერთ დღეს უბედური ამბავი ამოიტანეს, კახაბერში, ჰოროხთან, მეჩეჩზე მდგარი წითელარმიელთა მთელი ნაწილი წყალდიდობას ღამით წაუღია. ვინ იცის, რამდენი ათეული ჯარისკაცი დაიხრჩო.

მეჩეჩს ორივე გვერდიდან რომ გადარეულმა ნიაღვრებმა მოუჰირეს მარწუხები, სანგრებიდან აცვენილი სალდათები წყალში ჩაცვენილან, მაგრამ სტიქიას სუყველანი ჩაუყლაპია. ეს სიკვდილი რაღად ჰქენი, ღმერთო, ფრონტიდან მოწოლილი სიკვდილი არ გვეყოფოდა? — ტიროდა დედაჩემი, მურთაზას ტიროდა, სად იყო ჩემი ძმა, რასა იქმდა, არავინ უწყოდა.

თვის შუა დღეებში იდარა, მზე გამოვიდა, იჰყიტა. თურმე ერკიელი ჰქნა. მეორე დღეს ისევ დასცხო, ცა ჩამოწვა თითქოს, ისეთი ჰექა-ქუხილი ატყდა, ყველას ეგონა, გერმანიის ჰაეროპლანები შემოგვესივნო და ბომბები დაგვიშინესო. მოვნახე ჩემი დაფხრეწილი აერწინალი და მოვემზადე თავდასაცავად, მაგრამ ფრაწაფრუწი ღამით შეწყდა, ქვეყანა უცნაურად გაიკმიდა, არავითარი შხეფის ჩქაფანი აღარ ისმოდა. სექვებზე გაშლილ ლოგინებში შევძვერით და დილის მზეს დაველოდეთ, — ბუნების სიჩუმე გამოდარების ნიშნად ვცანით. ციოდა, კი, ძალიან ციოდა.

გამთენიას ლაწანის ხმამ გამოგვაღვიძა.

ბაბაი კვნესით წამოჩოჩდა, სარკმელზე მიფარებული ფოსტი (თხის ტყავი) გასწია და მწარედ ამოიგმინა.

— დაგვავსო ღმერთმა და ესაა!

მეც იქ, მეორე სექვეზე ვიწექი, წამოვიჭერი, მივვარდი, გავიხედე. ქვეყანა თეთრად გადაპენტილიყო. ეს თოვლი იყო.

ფოთლებიანი, ნაყოფმოუკრეფელი ხეები საცოდავად დაზნექილიყვნენ. ზოგს მთელი ბოლი ჩამოხლეჩოდა, ზოგსაც ძლივს [illegible] თავისთავი, საცა იყო, უნდა მოტეხილიყო.

დედაჩემი აღარსად ჩანდა. დერეფანში გავბრაგუნდი. უშუშო ფანჯრიდან სიცივე მოჰქროდა. გადავიხედე, — ნენეი სიმინდებში ჩასულიყო, ჩვილ-ჩვილ ტაროებს ფერთხავდა. მთელი ყანა თოვლით წაფიფქულიყო. წაქცეული, მიწასთან გასწორებული სიმინდები, — მეც კი ვხვდებოდი, — სიცოცხლისაკენ ველარ მობრუნდებოდნენ, ახალრძეჩამდგარი ტაროები (ტოლები) კაკალს ველარ გაიმაგრებდნენ. ნალიის ძველი სიმინდი კი, ჰა, წისქვილის ხვიმირში ერთხელ ჩასაყრელადაც ველარ იკმარებდა.

მურთაზის ცოლშვილი იმ კალათისხელა ოთახში, რომელიც თვით ჩემმა ძმამ ოდეს ლამფებისგან მოჰედა, გამორიგებულ-გამოყოფილად, ცალკე კომლად ითვლებოდა. ალბათ ამიტომ მეჩვენებოდა: თოვლი ჩვენს ყანაში უფრო მეტი იყო, ვიდრე მურთაზისაში.

აწუხებულ-აკანკალებული მამაჩემი, თავბედის წყევლით ლოგინიდან აგანგალდა, ჩაიცვა, გარეთ გავიდა. მეც გავყევი და ხეხილის ბერტყვას შევუდექით. დედაჩემი თოვლში ძლივს მოჩანდა, ხოლო ეზოდან ჩანავალი მისი კვალი უკვე ახალ ნათოვს წაეფარა.

მურთაზი რომ ჯარში თუ ომში წასულად დავიგულე, თანაც მამაჩემის სიბერე-მოხავებულობა რომ თვალნათლივ ვიხილე, ოჯახში ჩემი მთავარკაცობის აუცილებლობა ძალიან გამორჩეულად გამომესახა.

ნაადრევი შემოდგომის მძიმე თოვლი, ხოიან ფოთლებსა და ჯერ ისევ ზაფხულის სიმწვანის ბუსუსებით მოჰორფლილ ტოტებს ისე მიგლესოდა, ხაშრების მიფართხუნებას, გინდა ხის ძირებზე წიხლების დაშენას მაინცდამაინც აინუშში არ აგდებდა. უცებ მამაჩემმა ალმაამშვერილი ხაშარი გააშეშა და მიუყვირა:

— ჰო, ჰადაა დედაშენი?! ე, აღარ ჩანს. გააგდე ეგ ტაკვეცი და ჩაი ერთი, ნახე, არ დეირჩოს ეგ უბადრუკი, ეგა!

მაშინვე გადავევლე თეთრში ჩაყვინთულ ღობეს და წელამდე მორტყმული თოვლი თავდაღმართში მართლაც თვალის დახამხამებაში ჩავარღვიე. დაღლილი დედაჩემი იქვე ჩამჯდარიყო და ზემოდან, სექვზე დანატოვარ ამოგუდულ საბანივით, კაწანი (ნამქერი) აზრდილიყო. არ ვიცი, თოვლის ღვამპარები თუ ცრემლები ჩამოსდიოდა, — ლოყები და მთელი სახე მოსველებოდა. საკისური ჩახსნოდა ნენეს და ცხელი უბიდან ჩემი შორი ზაფხულების სურნელი ამოდიოდა. ხმელი და სუსტი ბექები, დაზლის ჩაქითაში შესაბრალისად შესველებულები, იმ უსინდისო თოვლის ბულულს ისე შებიჯგინებოდა, გეგონებოდა, ჩვენი ახალშეჰყინტლული ყანების დასაურექად მოჭრილი მთელი თოვლობა თავისი მხრებით უნდოდა მაღლა აეწია და ხალხი შიმშილს გადაერჩინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენი, მომეკუმა- ნენი. შინნა აგიყვანო, თეთრა... — ყუთხარი და ზურგზე მოვკიდე, აკრუსუნდა. მაგრამ მალე განაბა. ისე მსუბუქა ნენეი, რომ უცნაურად მეტკინა გული. ჩემივე ქვაბში ჩამდგარი ადვილად ავედი თავამდი, მაგრამ დიდ ცეცხლამდე ძირს არ ჩამოვსვი. იგი დასაცოდავებული და აკანკალებული, ჩაბღუჯული ნაკვერცხლებისაკენ იწეოდა, თანაც ჩურჩულით მთხოვდა:

— მოი, ჩაგიხუტო, შვილო, შენი ჭირიმე, შვილო, რაფერ გამზრდიხარ, შვილო, შექრავ, მოი, ერთი... — დავიჩოქე და მისი დაჩვეულებული, გრილი ბაგეები რბილი ალერსით მომესვ-მომესვა ლოყაზე.

ჩაღვენთილი ღადარი მაშინ გავჩხრიკე. სული შევუბერე და ბედაური მისათბუნები დავუწყვე ნენეს. მე კი ისევ გარეთ გავიქეცი, მამას მივეხმარები-მეთქი.

გავედი თუ არა, მამაჩემთან იქ, წინაპ, ზაზარივით წვრილი და მაღალი ზაალი დავინახე, ხომ გახსოვთ, — რიზალ მიძის ბიჭი; ჩემზე დიდი იყო, მაგრამ ოდესღაც ჩემთან ამხანაგობდა.

ზაალი ამჯერად ისე მოჩუცულ-მოგრეხილიყო, ჩემზე უფრო დაპატარავებული მომეჩვენა. ფერი არ მომეწონა სახეზე. მოხარშულ ხაჭოსავით სულ გადატიტკილი, უტყვი და გაშეშებული სახე ჰქონდა.

ბაბაი გაგვიდელდა, ალი ბუძაკ, და შენნა გვიშველეო რაცხა, ემუდარებოდა მამაჩემს. მამას ოდნავ ჩაეცინა ირონიულად. მაგას მე კაი ხანია ვეჩნევი, დელი ხარ, რიზალავ-მეთქი, მარა აფერი ეყურებათ მაშინვე... მოყბედი ზაალი სიცილის გუნებაზე არ იყო. ბიჭმა უმწეოდ ჩემკენ შემოიხედა, თითქოს მე შემეხვეწა, მიახვედრე რამე მამაშენს, არ ვეხუმრებიო.

— ალი ბუძიავ, გუშინსაწინ ქაღალდი მოიდა, ჩვენი მიქაილაი გერმანიამ მოგვიკლა... — თქვა და იმხელა ზაალი ბავშვისავით აღლიკვინდა. სულ აუცახცახდა მხრები. მამაჩემმა ხაშარი თოვლში ჩაასო და გაოგნებული შემობრუნდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გადელებული ბუნება მივატოვეთ და გადელებული კაცისაკენ გავეშურეთ.

ხალხი შეკრებილიყო. მამა გზიდან ოდის კარამდე გადებულ წყვილ ძელზე გავიდა, კარს მიადგა და შეჩერდა.

— რაა, რა გჭირს, ჰო, რიზალავ?! — შეეძახა. ჩაბინდულ ოთახში სექვენზე რამდენიმე კაცი იჯდა. შუაში ჩაესვათ წვერმოშვებული, ფეხშიშველა, რიზალი. ჭლიკებზე დახეოდა შარვალიც და ალაგ მიწიდან ამოღამოლებული კარტოფილისფერი მუხლები მოუჩანდა. მან წინანდებური ხალისით აღარ შემოხედა მამაჩემს. მაგრამ ხმა გაიგონა თუ არა, მგონი იცნო და თავი დაბნეულად აღმართა. ხმა კი იცნო, მაგრამ თვით ბაბაი ვეღარ იცნო, კარხანის აქეთ-იქით სივრცეში ატრიალა თვალები. მერე... ჩაღუნა თავი და მწარედ ამოიგმინა.

მუხლებზე ხელები დაიტყაპუნა და ასადგომად წამოიწია.

— მაით, ავდგეთ ახლა, წავდეთ ახლა!.. — ბრძანა რიზალმა. ყველამ შეშფოთებით შეხედა ავადმყოფს და ნელ-ნელა ყველა ზეზე წამოდგა.

შეშლილ კაცს ცქერა ყველაზე დიდი საშინელება ყოფილა ამ ქვეყანაზე. მკვდარს შეხედავ, — იმდენი არაფერი, ხომ არ წამოდგება და, ხომ არ მოგახტება, წევს თავისთვის და არის. გინდა სულაც აარიდე თვალი, ნუ შეხედავ. სულაც ვინმე დაგსჯის თუ რაი ნეტავ. მაგრამ შეშლილის სახე სულ სხვაა. არ შეხედავ, შეიძლება წამოგეპაროს და გიკბინოს, ან სულაც მოგქამოს ცხვირი ან ჩაგარტყას თავში და მიგაბნიდოს იქვე. ამიტომ ფხიზლად ყოფნა გჭირია.

ჭარში წასული მიქაილის ცოლი, ვარდო, კართან ატუზული ზაალის მაზლობლად გაიქროლებდა ხოლმე. შევნიშნე, იქ მყოფნი ხშირად თვალს გააყოლებდნენ რძალს და მერე ერთმანეთს გადახედავდნენ. ქალი სხვა სოფლიდან მოუყვანეს მიქაილს და მას თავიდან ვარდო არ ერქვა. მისი ნამდვილი სახელი არც არავინ იცოდა დუბეში, თურმე ვილაცამ წაიჩურჩულა მიქაილს რაფერი ვარდივით ქალი მოუყვანიათ და რიზალის იმ დღიდან ვარდო დაუძახნია ქალისთვის.

მიქაილმა თავის ვარდოსთან მხოლოდ სამითვე მოასწრო ეცხოვრა და ოცდათვრამეტში წითელ ჭარში წაიყვანეს. სწორედ ორმოცდაერთის ზაფხულში შინ ბრუნდებოდა, მაგრამ ომმა მოუსწრო და ისიც, სხვა ჩვენებურ ბიჭებთან ერთად, ბურჟუაზიულ სახელმწიფოობისაგან ესტონეთის გასანთავისუფლებლად, ბალტიისპირეთში შესული, სადღაც, ტალინთან გაეჩხირა. მერენდელი მისი ამბავი არავინ იცოდა.

ვარდოს ციცაი ეყოლა, გოგონას ვარდოს სოფლის ჭინაზე, ვარდო დაარქვა, ეგონა, თავად მას ამის შემდეგ ნამდვილ სახელს დაუძახებდნენ. მაგრამ ამ ოინს ყურიც არავინ ათხოვა, ქალს კვლავ ვარდოს ეძახდნენ, ხოლო გოგონას, — ვარდოს ვარდოს. შვილის ყოლის მერე ვარდო მართლაც გაზაფხულივით აყვაველდა. ფართხუშა ძველმანებს იცვამდა, მაგრამ ტან-ხხეული ისე ასკდებოდა, რახაც მალავდა, სწორედ ის უჩანდა. თავ-პირი სულ ლეჩაქით აკოჭილ-ახვეული ჰქონდა, მაგრამ იმ ნაკოჭებიდან თვალები, ლოყები, ბაგეები ისეთ ოქრო-ალთუნებს აფრქვევდნენ, ბრუდასხმული კაცები თვალს არიდებდნენ, არავინ შეგვნიშნოს და ცუდი არ იფიქროსო. ვარდო თავის სილამაზის ხანძრის დახანელებლად კაბაზე და სახეზე ხშირად ტალახს წაითხაპნიდა. ეს კი, საუბედუროდ, სილამაზეს უფრო აძლიერებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეშტერა ზაალი რომ წამოიზარდა, მამამ რძალთან სიფრთხილის ნიშნად ორთვალა ფაცხიდან გაიყვანა და ჩალიაში გაუმართა საწოლი. სწორედ მაშინ დაიწყო...

მამაჩემი და მე მოპირდაპირე სქევებზე ჩამოვჯექით, ახლა კი რიზალმა მეტის დაძაბვით მუქ გამორთული თვალი მამაჩემზე შეაჩერა და შიშმა ტანში გამბურძგლა.

— ავდგეთ ახლა, ალიავ! — იყვირა უცებ რიზალიმ და ფეხზე აიჭრა. რაკი მამაჩემი დარწმუნდა, მიცნობო, ერთგვარად გულზე მოეშვა და მეგობარი კიდეც შეეცოდა. დავინახე, თვალები შეუსველდა. რიზალი კი წვერგაშლილი, ფეხშიშველა და მუხლებგამოცვენილი, ლია კარისკენ დაიძრა. იმ ორძელს, აივნად რომ მოეუდებინათ გარედან, არავითარი მოაჯირ-ხელმოსაკიდი არ გააჩნდა. ცარიელ-ტარიელი იყო იქაურობა. მამაჩემი წინ გადაუდგა.

— შენც?! — მიაღრიალა დელმა და მამაჩემი წაბიძგა. მამა გაუძალიანდა, რიზალიმ კი კამეტებულად ჰკრა ორივე ხელი და გზა გაიხსნა. მაშინ ხალხმა ერთხმად შეიღრიალა და, მე დავინახე, ბერიკაცმა ფეხშიშველი ოთახიდან პირდაპირ დათოვლილ ბოსტანში როგორ გადაახტა. არ ეგონა თუ იქ, გარეთ, თოვლი იყო, ისიც ისე ღრმა და ცივი. მაგრამ არ შეჩერებულა. ხრაშახრუშით მიარღვევდა სველ და მძიმე თოვლს ბოსტანში და მიდიოდა, მიდიოდა, ვინ იცის, საით.

სხვამ გაყოლა ვერ გაბედა, მამაჩემი კი წამოეწია, რაღაცა საშინელი ხმით დასჭექა, გულმკერდზე ხელები შემოაჭდო, მოღუნა, მოიმორჩილა, შინისკენ შემოაბრუნა და ბიძგა-ბიძგვით, დატუქსული თუ ერთგვარად მოთვინიერებული, დაწითლებულ-დასისხლიანებული ჭლიკებით შინ შეიყვანა. ხმა არ ამოუღია, სიტყვის შებრუნება არ გაუბედავს, მოძუნძულებდა და მოყვებოდა ძმაკაცს.

— რიზალავ, ჰო, დაჯე ახლა, დევსვენოთ მე ალიაი ვარ, ხომ მხედავ... დამიჯერე მე! დაჯე და ერთად ვიტიროთ.

— ა!? — ამოიგმინა, უცებ სველი უკანალით დაასკდა სექვეს და შეაშტერდა მამაჩემს.

— წაით ახლა თქვენ! მე დავრჩები. ამდენს რა გინდებიან აქ, — განუცხადა მამაჩემმა იქ მყოფთ. მართლაც ნელ-ნელა წამოიშალნენ და ფეხაკრეფით გაიკრიფნენ ოთახიდან.

მამას შევატყვე, ინანა, წელან, ვიტიროთო, რომ უთხრა, ამ სიტყვაზე რაღაცა გაახსენდა რიზალის და მართლაც ჩაიფლიკვინა.

ზაალი, მოკრუნჩხული და გამწვანებული, სამზარეულოს კარზე ატუზულიყო, მეცოდებოდა, მივედი, ვუთხარი, წამოი ჩემთან-მეთქი.

ვარდო და ვარდოს ვარდო ბუხრიანში ფაციფუცობდნენ. რიზალის დედაბერი კაიხანია დავრდომილი დახოხავდა ოდაში, ბოლო ხანებში კი მთლად წასულიყო ხელიდან. საჭყარი დედამთილი ბუხრიახის სექვეზე დაქლექილ საბანში მიხვეულიყო. იმ საბანში [illegible] თილს ვარდო ხან ერთ სექვეზე გადაათრევდა, ხან მეორეზე.

— ავდგეთ, აბა, ჰაით?! — ჩაიბუბუნა რიზალიმ და კვლავ მუხლებზე დაიტკაცუნა ხელები. მამაჩემმა უკანვე დასვა, თან ზაალს ანიშნა, თოკი მომიტანეო.

* * *

მეორე დღეს გამოიდარა. დაცხა. თოვლი ღვარებად მოსკდა. ღვარებმა ყანები ღრმა ლარდებით დაღარა და ჩვენი ყანა-ბაღჩები, თვით ქვეყანაც, სამტირალევი, უდროოდ დაბერებული ქალის სახეს დაემსგავსა.

ჩაყრეჭილ-ჩაღეწილი სიმინდები, თოვლში მოხარშული, გაუფერულებული, ჩალად ქცეული მთელი ყანები, დათხრეშილ-დაფორჩვილ საბნებივით გადაბურვოდა ზამთრით შეცივებულ დედამიწას. ჯერ ისევ ჭიპა კიტრებიანი და ყვავილებშიბუტული ლერწები კვერდზე გადაბრილ ღჯებს ჩამოძლეძოდა. ათასნაირი დაჩუტულ-დასრესილ ნაყოფიანი ხილთა მოხლეჩილი ტოტები გამოდარებულზე ჩიავში უსიცოცხლოდ კორწიალობდნენ.

ბაბამ თქვა, მგონი, ამისდიც ჰიტლერის მხარეზეა და თავადაც აკვესებულ-აწუხებული, ლოგინში ჩაწვა.

უცებ, შუალამით, ხმაურმა და ნენეს ქვითინმა გამომაღვიძა. ბუხართან, მამაჩემს მურთაზი მიჯდომოდა და მწოლარეს ეხვეოდა. წითელარმიელის გახუნებული სამოსი ეცვა, მაგრამ ფეხზე ქალამნები დავუნახე. დედაჩემი ძირს ჩამჯდარიყო და ომიდან მოსულ შვილს მუხლებზე კოცნიდა. მურთაზი თურმე ფრონტამდე არც მისულა. მის ჩაჭყლეტილ ქუსლიან ფეხს ვერავითარი ჩექმა ვერ მოარგეს, ხოლო გერმანიის ომში საბჭოთა კაცის ქალამნით გაყვანა სარდლობამ არ იკადრა თურმე.

პირადად მე კი მურთაზი ყველაზე ბოლოს მომეხვია. თავადაც ქვითინებდა. ბავშვებს ეძინათ, რძალი შორიახლოდან შესცქეროდა ჯარიდან მოსულ, მონატრებულ ქმარს, მაგრამ, დედ-მამამთილის თვალწინ, ვერ ეხვეოდა.

იმ უჭადო-უსიმინდო ოჯახში მარჩენალი კაცის დაბრუნება, რაღა თქმა უნდა, დიდი შეღავათი იყო.

მეორე დღეს დუბეში ხმა გავარდა, ზაალი წითელ არმიაში წაიყვანესო, მაგრამ დოლოგანში მანქანიდან გადამხტარა და გაქცეულა. ამბობენ, თურქეთში გადაძვრაო. ზოგიც ჩურჩულებს, ზეგნის ტყეებში იმალებაო, ღამღამობით კი შინ ჩამოდისო. ერთ დღეს, ვარდო რაიონის მილიციამ დაიბარა, გეცოდინება, სად იმალება ზაალი და მოგვიყვანეო, თორემ ბალღანსა და დედ მამამთილთან ერთად ციმბირში გაგასახლებთო. ქალი აღშფოთებულა, სხვათა შორის, მამაცურად უპასუხნია: უპუროდ, უჭადოდ, უკაცოდ იმ საბძელა ოდაში ყოფნას გასახლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირჩევნია, იქ რაცხანაის ნაქეტის მაინც ვიპოვი და კარდალში გავამღვრევო.

თოვლით დაბრეცილ დაჯღურკული ფოთლები ჯერუმწიფარ ხეხილს ცვიოდა, ცვიოდა, ქრობები, თხები, ზზორები, აზორებიდან რომ გამობოლბდებოდნენ, ეზოებში იმ დაგვარგვალებულ ფვერების ხრაწახრუწით ჭამდნენ, მერე წაქცეულ ღობეებს გადაახიჯებდნენ და დამზრალდაჩუტულ ჭვინტა სიმინდებს, მოურიდებლად, არხეინად შეესეოდნენ. ადამიანი, ძველებურად, პირუტყვს აღარ უჯავრდებოდა, მოსავალი ისედაც წამხდარი იყო.

იმ დღეს დედაჩემმა უკანასკნელი ფქვილი ამოხვეტა კიდობნიდან და სიცოტავის გამო ალარც კი გაცრა. თხლად მოზილა და ახალგამოუყუდებულ ქაფქაფა კეცზე ცომი ტყლეწა. ხელი ხის გობში ჩასხმულ წყალში ჩააწო და მაშინვე ქადის გაბრტყელება მოსწორებას შეუდგა. კეცი ვერ გაივსო პირთამდე, მაგრამ ქადი სიფართეში ძველებურს გავდა. დედაჩემმა ხელის ჟუა ორჯერ გადაჯვარედინებულად დაჰკრა ქადს და სახე (თუნუქის მრგვალად მოჭრილი ფილა) დააზურა. ქადის ზედაპირსა და სახეს შორის საკმაო სიცარიელე დარჩა, ამიტომ კეცს ხელმეორედ მოხადა.

— ყურძნის ფვერი ჯობია, განა პალადაა ფვერი, — თქვა ჩემმა და ასტამით აზვეტილი „ლვიდარი" ზედ საჯზე დააზოზოლა, ოდაში წინანდელი მშვიდობიანობისა და ბედნიერი სიუხვის სურნელი დაბრუნდა.

### წიფლის ქერეჭის ქადი

ოქტომბრის მიწურულს, ბაბაი, უკვე ცოტა მოჯანიანებული, კვლავ საზამთროდ ჯირკების ზიდვას შეუდგა. ზურგიც იმ კატარ-მუხის ჯირკივით ოდნავ მოეკუზა და ზედ ხავსისფერი ძველი, ხენეს ჩახმარი, ლაჩლის იჩლოლი რომ მოეხურა, მთლად ჩვენებური მუხის დაძირკვულ, ხოშორ ჯირკს დამგვანებოდა. მე კი კოლექტივის ყანებში მაზრიგინებდნენ და ისედაც ფიჩხიყით დაწვრილებული კისერ-მკლავები მთლად დამელრიკა. გამიშავდა ლაწვებზე ნაზად წამოსული, მორჩის ბალახივით ჩვილი ბალანი, ეცებ ბარდის ეკალივით დაიწვერა, გამშირდა, გაავდა, მაგრამ ყველაზე აუტანელი და უსაშველო გახდა შიმშილი.

მშიოდა, — დილაზე, შუადღეზე, სადამოს, ლამით და ისევ, დილაზე, ნენი ხშირად უბეში ჩამალულ-შენახულ ქადის პაწა ნატეხს ამოაპარებდა და ხელში მორიდებით ჩამიდებდა.

ბოლოს, ყოველგვარი ნატეხ-ნაფუჩჩხი მიილია, გამოწყდა. მაგრამ, ერთ დღეს, ბრიგადირმა კარტოფილის საგლეჯში დაგვიძახა და სიხარულით ცას ვეწიე, — საღამოს ცოტას მოვპარავ და ზეგნის ყანიდან შინ ჩამოვიტან-მეთქი. მხარზე გოდორი წამოვიგდე, ტარმოტეხილი თოხი იღლიაში ამოვიჩარე და აღ[illegible] ტა-ჩლურტით შევუყევი.

„ყართოფაი" ლამით შარაგზაზე ჩაგვაზიდინეს, მარხილ-ციგებით, გოდრებით, ტომრებით ზიდავდნენ. ზიდავდნენ კაცები, ქალები, ბალნები, თანაც ჩამოვლისას თითო ხელისმოკიდება კარტოფილს ყოველი ჩვენგანი, თავისი სახლის გასაქცეულზე, ბანჯარაებში მალავდა, რომ ბოლოს, შინ დაბრუნებულს, თან წაეღო. მეც ვმალე. ზოგჯერ კარგ ხოიან კარტოფილს უბეშიც ჩავიძვრენდი, მაგრამ ბრიგადირმა შემნიშნა. შარვლის ხვანჯარში ჩატანებული ხალთის კალთა უზერზულად ამომიფუშა და წვალებით ნარჩევ-ნალოლიავები კარტოფილები კოლექტივის საერთო ხვავზე მიმაყრევინა.

მეორე დღეს, ბანჯარას ბუჩქებიდან, ლამით მოტანილი კარტოფილები ნენემ სადილად მოხარშა. იქვე კარდლით ხაპერა ხაპიც მოხარშა, ხაპერიდან კოვზით გული ამოფხიკა და კანმომძვრალ კარტოფილებს შეურია, მერე, წიფლის მოხალული ქერეჭები ძელზე ჭალიქვით დაფშვნა-დანაყა და ესეც ხაპერას ნაფხეკს მიაპნია. მერე, ყველაფერი ეს, სამი რამე, ქადის საზელ გობში ჩაალაგა, ცოტა თუნგის შემთბარი წყალი დაასხა, დაიმკლავა და, რომელიღაც ლოცვისთავების ჩურჩულით, ზელვა დაუწყო. ცომი მხურვალე კეცში ჩაასვენა და მიჩვეული ხელის ჟუა, ჭვარის დასაჭდობად, ორჯერ დაადო.

წიფლის ქერეჭის ქადი მართალ ქადივით ვჭამეთ.

სადამო იყო. სავახშმო ქადი ნენემ ველარ გამოაცხო. გულადუღებული, სულშეწუხებული კვნესით და ვაი-ვიშით აქეთ-იქით აწუდებოდა. არ იცოდა, რა ეჭმევინა ჩვენთვის. მურთაზა ლორჯომში გავამგზავრეთ გუშინ. არდამანული ორი ხალიჩა და საილენძის ერთი „უაფალლი" (თავსახურიანი თუნგი) წაიღო „ყართოფაში" გადასაცვლელად, იქნება სადმე ერთი ტომარა სიმინდიც ეშოვნა. ჩვენელებს, კიდევ სხვა რამ ჯამ-ჭურჭელს დაპირებოდა, ყველაფერს გაიმეტებდა ნენეი, ოღონდ ქადი ჰქონოდა.

გარედან დაიძახეს. ხმაზე ვიცანი, საბჭოს თავმჯდომარე, ყოფილი დუზის კოლექტივის თავი, ჯემალი იქნებოდა.

— შამოი შინ! — გასძახა მამაჩემმა.

— არა, ალიავ, ერთი გამოი აქ, რაცხანა გითხრა. დუუძახე შენ ბიჭს, შუქრას დუუძახე. — თან ქვეშ-ქვეშ უცნაურად ელიმებოდა.

— შამოი და აქ ვთქვათ, — არ ეშვებოდა ბაბაი.

— მეჩქარება, ალიავ, ახლა საბჭოდან მოვდივარ. ჰა, ასე კოჟორაებზე ვირბინე და... — მამას მეც ფეხაკრეფით და გულისფანცქალით გავყევი. რას გვეტყვის ნეტა მთავრობის კაცი? რაც სოფლიდან საბჭოში ჩაიყვანეს, გასხვაფერდა ჯემალი, გამოიცვალა, მრისხანე, მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარები შეიქნა თითქოს. ორი ვაჟიშვილიდან ერთი, უფროსი შერიფი, ჯარში იყო, უფრო სწორად, ფრონტზე იყო, ვიცოდით. ბოლო თვეებში შერიფისაგან წერილი აღარ გამოჩნდა. შფოთავდა ჭემალი. მაგრამ საბჭოს თავრის სანიმუშო კომუნისტობას შიში არ შეეფერებოდა. ამიტომ არც კი იმჩნევდა. ხალხი მაგალითს მისგან, ხელმძღვანელისგან იღებდა. იგი გამძლე და იმედის კაცი გახლდათ. მუდამ შემართული, ფხიზელი, ყოველ ჩაპუწკულ-ჩაშლილ საქმიდან გამოსავლის მპოვნელი, უღუნავი, უზარავი, უტეხელი, დაუზეველი, აუღებელი. ძველი კოლექტივის ყანებში ნარბენი, მუხლებ და საჯდომგაცვეთილი გალიფე ეცვა. შემოქლექილ მუხლებზე ტყავის საკერებლები კოხტად მიეკერებინა. ისეთივე ტყავის საკერებელი, ჩამავალ მთვარესავით ფერდაცლილი და მრგვალი, საჯდომზეც გამოეკერებინა.

— ალიავ, ა, ეს შე ბიჭო, შუქრაი, საბჭოს მდივნადცა წვევყავნო. — ზეიმურად განაცხადა ჭემალმა და ძლივშესამჩნევღიმილიანი პირსახე ჩემკენ მოაბრუნა. ცეცხლის ალები მომეკიდა ვითომ, გულმა ბაგაბუგი დამიწყო. რათ? საბჭოს მდივნად? ხო, ხო, რამხელა კაცი ვიქნები! სიხარულმა, სიამაყემ, თავისთავის მდივნად წარმოდგენის წინკლებმა ტანში დამირბინა და დამქინქრა. ჭამაგირი იქნება. თვეში ცხრა კილო პურის ფქვილიც იქნება. მდივანი. — საბჭოს მდივანი! გავიყვლი, მომართავენ. პატივცემულო მდივანო, შეიძლება? აბა. ზოგჯერ ალბათ ვერც გამიბედავენ არა. არ მინდა ამფერი ვიქო, ვერ გამიბედონ. ვეტყვი: კი, ძიავ, გისმენ. მოდი საბჭოში, მითხარი, ყოლიფერი გაკეთდება. აბა, დავიწერ ცნობას, რომ თუთუნი შენ საკარმიდამოშია მოწეული, კი, კი, თავმჯდომარეს ბეჭედს დავარტყმევინებ. მე გავაკეთებინებ, ნუ ჩივი შენ. — მოდა, წავა მერე ის კაცი და იტყვის. — ამშენა ღმერთმა ალიას ბალღი, შუქრი, რა ბიჭი ყოფილა, რა კაცი მოსულა საბჭოშიო. მაგრამ მდივნობას შევძლებ ვითომ? იმდენი წერა, წერა ოქმებისა, იმდენი ცნობების, ნებართვების კეთება, კეთება. თვით ჭემალ ბიძიასთან გაჭირდება მუშაობა... ამ ხნის კაცია, ძნელი კაცია, ჯავრიანი და მრისხანეა. მეორენაირად თავს ვიმშვიდებდი, მერე რაი, მდივანი გახდები, ბალხობიდან გამოხვალ.

ბაბას საბჭოდან ექიმს ამოვუყვან, გავასინჯინებ. წამლებს გამოვართმევ. მოვარჩენ ნენეს თვის თავზე, ხიდის საბჭოს დუქნიდან ცხრა კილო პურის ფქვილს ამოვუტან. ჰა, ნენი, ვეტყვი. წიფლის ქერქის მაგიერ, ახლა მოხარშულ ხაპს და კარტოფილს, აი, აგერ ეს პურისფქვილი შეურიე და ნამდვილივით ქადი გამოაცხვე. ღმერთიერთო, შენი სახელის ჭირიმე, გამჩენო მადლიანო, მადლობა შენ, ამფერი ბიჭი რომ მომასტარიო, — დაილოცება დედაჩემი. [illegible] ეს [illegible] სიკეთედ. წერა-კით-ხვა? ომი გათავდება და მდივნობიდან ჭკვა[illegible] გინდა. ჭკვა. თვარა რა [illegible] ნახე. მთელი საბჭო ხელში უკავია. მერე როგორ! აი, ყველანი, ჩამოსული ექიმიც, მასწავლებელიც მის გამოჩენაზე ფეხზე დგანან და გაჭიმულები უსმენენ. ყველას აშინებს. ყველას აჯერებს.

— ხომ გეიგევი, ალიავ. რა გითხარი, მიხვდი ხომ? — მიუბათქუნა მამას მარჯვენა ხელი გულზე. მამაჩემმა ჩაიცინა უხმოდ, თვალები აუწითლდა შიშით და სიხარულით. თავი ისე დაუძახძურა, მოკოჭილი კაბალახი თავზე შემოძვრა და ჩამოეშალ-ჩამოეხგრა.

— გაიგევი. რა გითხარი, ალიავ? — ისევ გაუმეორა საბჭოს თავმჯდომარემ. მამაჩემი ოდნავ მოიღუშა. მგონი, იწყინა, ვინ ვგონივარ ამასო, თლათ ბლაყვი ხომ არ ვგონივარო, მაგრამ საქმე ისე მიდიოდა, აღარაფერი უთქვამს. უფროს კაცს შესაყვედურება აღარ შეკადრა, დაუთმო, დაუდინგლა. — კიო, მივხვდი, აბა, რაო და კიდეც ხელმეორედ გაუღიმა.

— ხვალ, დილაზე ჩამოხვალ ხიდზე, საბჭოში და... — ახლა უკვე ჩემს გასაგონად ბრძანა. წასვლა დააპირა, მაგრამ შედგა, კვლავ შემომხედა. — წერა ხომ შეგეძლება კარქათ? საწერი ბევრია. ეს იცოდენა, მე მითხრეს, კაი წერა შუძლიაო, ჰა!

— ვწერ. რა ვიცი.

— ჰო, ასე! წერო უნდა, წერა მთავარია, საწერი ბევრია, ესნა იცოდე... გეიგევი, რა გითხარი?! — უქანა თავი ბაბამ ჩემ მაგიერ.

თავმჯდომარე წასასვლელად დაიძრა, თუმცა უმალვე, წამომყე მეხო, საქმეა აგერ პაწაიო, ნამდვილ მდივანს რომ ეტყვიან, ისე მომმართა.

— ეგ რაა, ჰო! — ფეხებზე დამხედა. — მაგითნა იარო საბჭოში?.. მიხვალ დილაზე სოფმალში. ეტყვი, ჩემთვის იმან გამომგზავნაო და მოგცემენ კონდრებს სალდათურია. მაგარი, ებრახუნე და იყავი ალმა-დალმა ალიავ! — მიუბრუნდა ისევ ბაბას. — წყვილი ქალამანიც დაჭირდება, რაიონში ჩასვლამდე ჩაიცვამს, ფეხზე ემსუბუქება. კონდრებს ხელით წაიღებს, და, როცა ცენტრს მიუახლოვდება, მაშინ გამოიცვლის. რა გითხარი, გეიგევი? — ისევ შეაწუხა მამაჩემი.

მამაჩემმა კაბალახში საჩვენებელი თითი შეიყო და თავი შეიფხანა.

ცოტაზე რომ დაშორდა, ჭემალი კვლავ შემობრუნდა.

— ხომ გეიგევი, რა გითხარი? წამომყე ახლა, შუქრი, საქმეა პაწაი.

მუხის ფესვების კიბეზე აბიჯა. კოსტოხასკენ სალდათების ჩექმებით გაჯეკნილ-გათეთრებულ გზაბაწარს შეუდგა.

— ახალი ჯარისკაცები ამოვდენ... ხომ გეიგევი, რა გითხარი, ვნახოთ ერთი, — თქვა წინ მიმავალმა — ისინი, წინანდელები, გამთენიას წიყვანის [illegible] — [illegible] ბმა ჩაეჩო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქა. აუკანკალდა. თვალები დამიმალა. მკერდის ცალ ჯიბეზე ხელი მიიდო.

იქ, მგელძაღლა იგივე იყო. ჭაჭვი იგივე ეღარუნობდა კოსტოხას მოთელილ მინდორზე კი, იმ დახაზულებში, ჯარისკაცი იდგა.

— სალდათი გოგვები მოვდენ. გეიგევე ხომ, რა ვთქვი?

— ვერა! — წამომცდა და ჩემს მდივნობაზე მეტად „სალდათი გოგვები" გამეხარდა.

ძაღლმა დაუყეფა. ჯარისგოგო ჩვენკენ მოტრიალდა. ხაშარივით გრძელი თოფი ჩეასწია და შეჩერდითო, ქაზედ დაიწივლა. ხაშრისხელა თოფს ისე მსუბუქად ატრიალებდა ხელში. გამიკვირდა, რა ძალა აქვს ამხაირი ჯარისგოგოს-მეთქი. ხმაურზე ახალი ეფრეიტორი გამოვიდა. ქალაროსანი, ბრტყელი, ხანოვანი კაცი იყო, გახუნებული ბლუზა შარვალი და, ვხედავდი, დაძველებული, დაკემსილი „პილოტკა" ედო თავზე.

ეტყობოდა, ეფრეიტორი ამ დღეებში მობილიზებული ბერიკაცი იყო. თავმჯდომარე ვარო, მიაძახა ჯემალმა. ძაღლი გააჩუმეს და მიწურში შევედით. იქ სხვანაირი სუნი იდგა. უკვე ქალთა სურნელი, ილუზიების მფრქვეველი ქათი სურნელი იყო.

მიწურში შესვლისას შევნიშნე, ვახტზე მდგომ ჯარისგოგოს ხის მუნჯი თოფი ეჭირა ხელში. ეფრეიტორმა გვითხრა, წინანდელი აქ მყოფი სალდათები თავისივე თოფებით წავიდნენ ფრონტზე. იქ ჩვენებს საკმარისი თოფები არა აქვთო.

ძალიან გვიჭირს. შიშველი ხელებით ვებრძვით კბილებამდე აღჭურვილ გერმანელებსო. მე ფრონტიდან ჩამოვედი, მეორე დღესვე დავიჭერით. ნაჭრილობევი გვაჩვენა მუხლთან. მეორე მარცხენა გაშლილი ხელი დადო მაგიდაზე. ორი თითი — ცერი და საჩვენებელი აკლდა. ასე მალე რაფერ მოასწრო ამდენი რამე? — გავიფიქრე.

თავმჯდომარემ სერჟანტს (მეგონა — ეფრეიტორი) დახმარებები აღუთქვა და წასასვლელად წამოიწია. ღრიჭოში თვალი მოვკარი, — დერეფანში ის, ვახტზე მდგარი ჯარისგოგო შემობრაგუნდა. ეტყობოდა, შეცვალეს. იქ, კოსტოხაზე, უკვე მეორე იდგა, — „პილოტკიდან" ქერათმებჩამოყრილი რუსის ჯარისგოგო. აქეთ-იქით სიარულისას ბატინკებს აბრახუნებდა. დერეფანში შემოსულმა კი შინელი გაიხადა, დაიხარა, ბატინკებიც გაიხადა. კარი შემოაღო, მოგვესალმა რუსულად.

— ხატუნა, ნუ ჩტო, დავაი გოსტიამ ჩაი! — ულაზათოდ თქვა სერჟანტმა.

— ესტ, ტოვარიშ სერჟანტ! — უპასუხა სმენაზე გაჭიმულმა ნავახტარმა ჯარისგოგომ. დავინახე, ხაკის ბლუზა-ხალათის ორივე ჯიბე რა გასასკდომივით გამოუბერა ქალიშვილური მკერდის სიმწიფემ.

ხათუნა ქართველი იყო, მაგრამ სერჟანტი თავის ენაზე არ ალაპარაკებდა. ჯარში მხოლოდ რუსულია სამსახურის ენაო. ისე, ხათუნაც რუსს გავდა. მოცისფრო, დიდრონი თვალები ჰქონდა. წვრილი იყო, სწორი, მომაღლო, ცხვირაწკენტილი და კანონის მონა.

სიტყვაც ვერ დავაცდინეთ ქართულად. არადა, ეტყობოდა, რუსულს ნაძალადევად, ძლივს ღრიკავდა. რაღაც შორეული, უხილავი მოლოდინის თბილი ყრუანტელი მივლიდა. ხათუნას რომ ვუცქეროდი, თითქოს ნატვრის ახდენას ვხედავდი.

მეორე დღეს, ხიდის სოფსაბჭოს სამყოფ ფაცხაში, მდივნის მაგიდასთან მჯდარი, დასაწერ-გადასაწერი ოქმების მთელი ბულულების გვერდით, ტიალ ქაღალდზე, უნებურად, კალამს გამოყავდა ერთი და იგივე მარცვლები, ხათუნა, შენისთანა სხვა თუა? ოთახში თავმჯდომარე, მდივანი და ფინაგენტი ერთად ვიჯექით. ხათუნა როცა მიტრიალებდა თავში, ჯემალი წასული იყო მაშინ. როგორც დაბრუნდა, თავზე დამადგა, წინ ქაღალდს დახედა, ფურცელი წამართვა, უყურა, უყურა და ჭავრით ხელი აუკანკალდა. შევშინდი. ფეხზე ავიხოლხე და თავმჯდომარეს კი არა, დასასჯელ მოწაფესავით, ძირს, იატაკს დავაშტერდი. იქ, ძელებზე ადამიანის გამხმარი ტალახი, მრავალფეროვან ლაქებად მიმოგლესილიყო. მე ვიცანი ჩემი სოფლის ტალახი, ვიცანი სხვა სოფლის ტალახებიც, კოლექტივის თავმჯდომარეებს და გადასახდელებით მოსულ გლეხებს რომ მოეზიდათ.

— ესაა ოქმი?! — მიყვირა თავმჯდომარემ.

— შენ აქ საშაიროთ მოგიყვანი?! გეიგევი. რა გითხარი, თუ არა?! — ბრაზით შემომიტია ჯემალმა და მისი ტუჩიდან სახეზე ფურთხის რამდენიმე შხეფი მომხვდა. მეორე დღეს ქოხსამკითხველოში გადამიყვანა. შენ აქ უფრო ივარგებო, მითხრა. ცხრა კილო პურის ფქვილი აქაც გექნებაო, დაუმატა. მივიხედ-მოვიხედე. დამფორილდაობილ კარადებიდან დასაწყლებულ-დაბინდული წიგნები იცქირებოდნენ. არა, კი არ იცქირებოდნენ, — იდგნენ, ისხდნენ, ეყარნენ უპატრონოდ, უმოძრაოდ.

საბჭოს მდივნად, თავმჯდომარემ, მესამე დღეს, მახოელი გრძელთითება ბიჭი მოიყვანა, ჩემსავით „საშუალოდაუმთავრებელი", მაგრამ ოქმის ბოლომდე დამწერელი, თავმოპარსული, მუხლებამდე ამოცმული ლაზლის წინდებით, თითქოს მორცხვი, თუმცა, როგორც კი საბჭოს მდივნის ფეხმოღრეკილ სკამზე დაჯდა, ირგვლივმყოფთ გასხვაფერებული თვალები ზევიდან გადაავლო.

ჩემი ქოხ-სამკითხველო კი მალე შემიყვარდა. ყველა და ყველაფერი უცებ მიყვარდებოდა მაშინ.

ერთ დილას, ლარის წყალზე პირის დასაბანად ჯარისგოგოები ჩამოგრიალდნენ. ეზოში უმალვე რეზინისძირიანი ბატინკების სუნი აქ

როლდა. კისკის-ხორხოცით შეითქრიალეს წყალი პირზე და აღმართი აირბინეს. ხათუნა მეტხანს დარჩა ლართან. ვაცალე, განზე გავდექი, როგორც კი პირი მოისველა და სახოცი მოისვა, მასთან გავჩნდი. რა თქმა უნდა, თავიდანვე ვგრძნობდი, რომ ნალის ბოძზე აკრული ველოდებოდი.

— ეს ჩემი ფაცხაა, ხათუნა. შამოი ჩემთან.

— ნე პალოჟენო. — მიპასუხა ჯარის ენაზე.

— პალოჟენო, პალოჟენო, რა უჭირს... — ერთგვარი გაბედულებით შევეპასუხე.

— ნუ, ია პაშლა, — მოიბრა კისკისით და გაიქცა. მეც ავედევნე.

— ხათუნა, ჩვენებურად არ ლაპარაკობ?

— ნე პალოჟენო! — გადმომიგორა მხარსუკან და ნაბიჯს მოუმატა. მამაკაცურ პერანგში და წინგოსფერ, სალდათურ ქვედატანში ხათუნას აფეთქებული სხეული ვერ ეტეოდა. იგი სხვა სივრცეებს, სხვა სიმსუბუქეებს, სხვა ფერთა შეხამებებს მოითხოვდა.

მაგრამ ჩვენებურ ენაზე რომ ნამცეცა სიტყვაც არ მალირსა, მეწყინა. იმ დილას იმფერ ჭკვაზე გახლდით, ალბათ, რამეს საიმნაიროს, — სიყვარულისას კი ვეტყოდი, მაგრამ არ მალირსა ამის საშუალება.

სიყვარულის თარგმნა არ შეიძლება. სიყვარული მხოლოდ მშობლიურ ენაზე ახსნილი თუ, იხარებს.

იმ ზამთარმა ხმელად ჩაიარა. გეგონებოდა, სექტემბერში გათოვებამ ზამთარს თავისი მარაგი ნაადრევად გადააბარჯვინა და იანვარ-თებერვალში თოვლი მოგვანატრა. რუსეთში კი ყინვები ჰიტლერის ჯარის მოწოლაზე უარესად აწვებოდა ქვეყანას. გაზაფხულზე გერმანიის თვითმფრინავების გუგუნი ჩვენც გავიგონეთ, ყირიმ-აზოვი, კავკასიონის ჩრდილო კოსტობგრეხილები და ბევრი, ძალიან ბევრი რამე, თითქმის მთელი ნოყიერი საბჭოთა მიწაწყალი, ფაშისტს უკვე აღებული ჰქონდა.

მოსამსახურე ბიჭები გამანადგურებელ ბატალიონებში გაგვამწესეს. თითო თოფი ხელში დაგვაკავებინეს და ღამღამობით ხიდთან, ან საბჭოსთან, ან ტყეში, მორიგეებად დაგვაყენეს; იქ, საზღვრისგაყოლა ტყეებში, ბევრი საყარაულოები გამართეს ბებერი, უშიშროების ნაოფიცარი კაცები ჩაუყენეს სათავეში იმ საყარაულოებს. გახშირდა საზღვრის დარღვევა-გადმოლახვები, გერმანიის მაშინდელი ძმაკაცის — თურქეთის მხრიდან, სწორედ ივნისში გორებზე რომ მთლად აშრა თოვლები და სიტიალე-სიტიტვლე სიმწვანით შეიბურა, გადმოსვლა-გადასვლის მშვენიერი პირობები შეიქმნა და კიდეც გახშირდა დარღვევები.

დანდალოს თავში, წიფლნარში, გამთენიაზე, დიდი წიფლის ძირას მიძინებულები, უფროსმა სიმონ ხარაულმა გაგვაღვიძა. მოხევე სიმონ ხარაული, ბებერი კი არა, მოწიფული ვაჟკაცი იყო. ყურყუმელა, შავი ულვაში და ხაბადქვეშიდან ამონთებული წითელი [illegible] ვაჟკაცურ შემართებულობას [illegible] ფხიზელი თანამდგომელის რომანტიულ იერს ანიჭებდა. ბედნიერი კაცი ჩანდა. არხეინი, ლაღი, ამაღლებული ლაპარაკი უყვარდა. ყველაფრის ცოდნას ამჟღავნებდა. ჩემი საკუთარი სოფელი დუბე და დუბელებიც კი მან, სიმონ ხარაულმა, თითქოს ჩემზე უკეთესად იცოდა.

— ბიჭო, შუქრია, რავაა ის თქვენი ყურუმსალი, პირდაფლატული პოლა-უედირაი, აჲ! — ჩვენებურად უქცევდა. ამიტომ უფრო შინაურდებოდა — ის როგორაა, ის წიპა ზაალაი!

მეც ჩემებურად ჩამოვუთვლიდი თანასოფლელებს, — იმათ საქმეებს და ახალივით ვუყვებოდი დაძველებულ, — ხანგასულ ამბებს, სიმონი, გლეხური, ალალი ღიმილით მომაყურადებდა, ვატყობდი, სიამოვნებდა ჩემი მოყოლილი, თუმცა არც კი აინტერესებდა.

ღამღამობით მორიგეობაში ერთმანეთს ვენაცვლებოდით, ვახტმოხდილები, დასაძინებლად ხიდის ფოსტაში ან ქოხსამკითხველოში ჩამოვდიოდით, იქ თუნუქის ლუმელები იდგა, შეშა იქვე მიწყობილი გველოდებოდა.

თვითეულს საკუთარი საგზალი მიგვქონდა ტყეში. იქ ერთად შევექცეოდით, ვისაც რა გააჩნდა, ფოთლებზე გაფენდა, ჩუმად შევჭამდით, რა იყო ვითომ შესაჭმელი. მართალია, ხიდის დუქნიდან ატანილმა ცხრა კილო პურის ფქვილმა დედაჩემის გაჭირვებულ ხელგობაში მთავარი და გადამწყვეტი ადგილი დაიმკვიდრა, მაგრამ პეშვ პურის ფქვილში შერეული მოხარშული კარტოფილის ცომი, რაც მოხარშულ ხაპერადან გამოფხეკილ ფაფაში შეიზილებოდა, ხოლო გასაბევრებლად წიფლის დაფქვეული ქერეჭიც რომ მიემატებოდა, მაინც არ იყო ნამდვილი ჭადი, მაგრამ ზოგს ალბათ ამისთანაც ენატრებოდა.

— აბა, ბიჭებო, მალე, მალე, აიკრიფეთ აქედან! საზღვარია დარღვეული! გამზადდით, საბრძოლო გასვლა გვექნება!

მოვიჭირეთ შეჩონჩილებული ხვანჯრები, მოვისწორეთ ქამრები, ვტაცეთ ხელი თოფებს და უფროსის წინ გავიჭიმენით, ამასობაში ვალმა ხევიდან ადამიანების ხმები მოგვეყურა ცოტაზე ავმაღლდით, გადავიხედეთ და დავინახეთ, ფერდობზე როგორ ამოდიოდა მწკრივად ამომავალი ექვს შვიდკაციანი ჯგუფი, მესაზღვრე ჯარისკაცებთან ერთად.

სიმონი თავმოყვარე და ცოტაც თავის ავტორიტეტის უპირატესობაზე მზრუნველი კაცი იყო. არ ჩაეგებოთ, გვიბრძანა. ალბათ იმათში თავისთავზე უფრო მაღალჩინიანი ვერავინ შენიშნა.

ამოვიდნენ.

— დააჯინეთ ცოტახანს! — ბრძანა ვილაცამ

საზღვრისდამრღვევი, ტყავის წითელ მოკლე პალტოში გამოხვეული, წითელწვერებიანი შუახნის კაცი, ფეხვზე ჩამოჯდა მაუზერის ც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული ხის კაბური წელზე უკონწიალებდა. ფეხზეც მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, თავზე — ტყავისავე კეპკა ისე გამოწყობილიყო, გეგონებოდა, რაიკომის მდივანიაო.

— სიმონ, თქვენგან ორი კაცი იქნება, მე და შენც... ვიკმარებთ მე მგონია. ჩავიყვანოთ საბჭოში, იქ დაგვხვდებიან და ჩავაბაროთ. — თვალებით მიუთითა წითელპალტოიანზე. თურქეთიდან გადმოპარული აგენტი გარუმებული იყო. ხმას არ იღებდა, ალბათ, რას ლაპარაკობდნენ, არც ესმოდა.

— რუზე დაძინებოდა. თავზე წავადექით.. — თქვა იმათმა უფროსმა.

— ეს უბრალო ვინმე არ იქნება. — დაასკვნა სიმონმა.

— სარაჯოღლუს პირადი შოფერი ყოფილა

— რა ჯანაბაზე მეეთრევა აქეთ.

— მაგას იქ დაამღერებს, საცა...

— ემშივნება... ადამიანობა ვაჩვენოთ მაინც.

— გაქვენ რამე ჭამისა? — იკითხა მოსულთა უფროსმა.

— აბა, ბიჭებო!.. — მოგვმართა სიმონმა.

ყველანი შევწუხდით, მივაბრუნ-მოვაბრუნეთ თავები და ერთმანეთს შევაშტერდით. შარვლის ჯიბეში კი მედო წიფლის-ქერქშერეული ჭადის გაზეთში შეხვეული პატარა ნატეხი. მაგრამ მაგის ამოღება-გამოჩენა არ მინდოდა.

— პო, შუქრი, ნუ გრცხვენია. თუ შეგრჩა რამე, დადევი აგერ. — მაინცდამაინც მე მომიბრუნდა სიმონი.

— პაწაი ნატეხი კი მაქ, უფროსო. მარა. წიფლის ქერქიანია... თლათ იმფერი ვერაა, რა ვიცი. რა ვქნა? — შევწუხდი.

თვალი გავაპარე სარაჯოღლუს შოფრისკენ. თითქოს ის ჩემზე უფრო შეწუხდა. რატომღაც მე დამასო თვალები და. უცებ. — გადავირიე. — ჩვენებურად მითხრა:

— არ მშია. ნუ ზაჰმეთობთ (ნუ წუხდებით).

— უყურე შენ! — შეიძახა ვილაცამ.

მართლაც უცნაურობა ხდებოდა. ვინაა ეს ჩვენებური კაცი? თუ ჩვენებურია. თურქეთიდან რაფრათაა? — ალბათ თითოეული თავს ამნაირ რაღაცეებს ეკითხებოდა. მაგრამ პასუხის გამცემი არავინ იყო. ეგ უნამუსო გამცემი, — ჯერ აქედან იქით ლალატით გადასულა, მერე იქიდან, ეტყობა, სალალატოთ, აქეთ გადმოპარულა. მაგი?! — მაგი გასაჭეჭყია. — გამომქონდა სასტიკზე სასტიკი განაჩენი იმ წითურა შოფრისათვის. იმას კი, სულაც არ ენაღვლებოდა, თანაგრძნობით, საყაროდ აქნევდა თავს, ჭადი არ მინდაო და ჩემ საცოდავ წიფლის ქერქის ნატეხს გაკვირვებით უთვალთვალებდა.

ხოფსაბჭოში, ხიდზე, ბათუმიდან ამოსულები დაგვხვდნენ. ბევრი ლაპარაკი აღარ ყოფილა. დაჭერილები სამხედროების მანქანაში შეაგდეს და კარიც მიატკლიცეს. უკან მეორე „გურჯაო" იდგა. ოთხ თოფიან ჩაღალიოხელ ზედ მიგვითითეს. დაჭექით. [illegible] თავი დამიქნია. მალე [illegible] დამიქნია. გვერდზე გამიყვანა. ჭიბეში ბუთმანეთიანი ჩამიბუტა და მიჩურჩულა:

— [illegible] ქალაქში დარჩები მაინც. ხიდი ქუთაისის ქუჩაზე ნომერი აგერაა. იქ მეუღლე მყავს. ანყელა ჰქვია. გადაეცი. კვირას ჩამოვა-თქო. დარჩი იქა. გაათიე ღამე და ხვალ დილას ფოსტას წამოყევი. პო, მოიცა. — პა, ესეც დაუტოვე — მივხვდი, ფული იყო. მისამართი ფანქრით გაზეთის მოფრეწილ ყურზე დაეწერა. ჩემი უფროსი, — სიმონი, შეწუხებული ცქმუტავდა. რაღაცა კიდევ უნდოდა დაებარებინა. მაგრამ, ვგრძნობდი, ყველაფერს ვერ მიმხელდა. თითქოს შემეცოდა სიმონი. უცნაურმა წინათგრძნობამ და გაურკვეველმა სევდამ შემიპყრო. ხომ არ იანა. ცოლის მისამართი რომ მანდო?

შპიონიან მანქანას ვეღარ დავეწიეთ. გადაიკარგა. ბათუმში ღამდებოდა. თოფი მილიციის მორიგესთან მივაყუდე კუთხეში და აბალშებინდებულ ქალაქში გავიარე. მალე სულაც ჩამობნელდა. მთელ ბათუმში სინათლის ერთი წინწკალიც არსად კიაფობდა. ქუჩაში პაპიროსზე მოკიდებაც არ შეიძლებოდა. სევასტოპოლი უკვე ალყაში იყო და სვასტიკიანი თვითმფრინავები თითქმის ყოველდღე დაფრინდნენ დიდ სიმაღლეზე.

ბნელ მთებში ღამე სიარული ისე არ მაშინებდა, როგორც საბნელებულ ქალაქში. საერთოდ, ბაბაი ამბობდა ხოლმე, კაცი მგელზე უფრო საშიშიაო. მაგრამ მე ვის რად ვუნდივარ? — ვფიქრობდი ჩემთვის. წასართმევი არაფერი გამაჩნია და გასაბდული.

დავუყევი ლელმანის ქუჩას. ქუთაისზე გავუხვიე. ამოვიღე გაზეთის ნაგლეჯი, დავხედე. მოვძებნე სიმონის დაწერილი ნომერი. ავჩლართუნდი მეორე სართულზე. გარეთ უკვე ციოდა, სახლის კედლებში ჩამცივნული აპწა სითბო, ძალიან ეამა ჩემს დაბეჟილ სხეულს. ავედი, ხელისცეცებით გავყევი ვიწრო დერეფანს. ბნელი გვირაბის ბოლოდან ხმა მოისმოდა. შიგნიდან კარს მივადექი და მაშინვე კარი გამიღეს. ალბათ ფეხისხმა გაიგონეს წინასწარ.

შიგნით, ფარდებჩამოშვებულ პაწია სამზარეულოში, მაგიდისქვეშიდან, წითელაბრეშუმიანი აბაჟური ანათებდა.

კარში დედაბერი იდგა. შევხედე. შემომხედა. არ ვესიამოვნე, არც ის მესიამოვნა. გამიღიმა უგემურად. მე ღიმილი ვერ მოვაფერე. ნამდვილად არ გამომივიდა. ალბათ არ შემეძლო. ჩემმა მისვლამ ერთგვარად შეაკრთო თითქოს.

არ ვიყავი ჯერ გამოცდილი, მაგრამ რაღაცეებს მაინც კარგად ვხვდებოდი. ჯავრიანი თვალებში ჩანდა. — რამ მოათრია მაინცდამაინც ახლა. ეს ბეგნელი? — ამბობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვის ანებავთ, ბატონო? — ზიზღნარევი შიშით მკითხა. ბატონო!! პირველად მიწოდეს. გრძელ-გრძელი, ცქაფიტა, ყირმიზა ფრჩხილები შევნიშნე. ცალი ხელი ისე გამოიშვირა, მეგონა, დამკაწრ-დამთხაპნიდა. რაფელას ვეძებ, სიმონის ქალს-მეთქი, ავუხსენი. დაგ-აარა რამეო? პო-მეთქი, ვუპასუხე.

შიგ მემიშვა და თითების მტვრევა დაიწყო. საიდანღაც ხმადაბალი მუსიკა მოჟონავდა. რასაც ფეხის მსუბუქი ტლაშუნი მოაცილებდა.

დედაბერი კარგად ჩაცმული იყო. სამაჯურებში, ყელსაკიდებში, ვეება საყურეებში და ვინ მოთვლის რა ჯურის მოსართავებში, გამოცავშნული იყო.

კედელზე ფარდა გადააჩოჩა, კარს მიაკაკუნა და იქით ხმა ჩაქრა. ოდნავ შეაღო კარი, რაღაცა ვიღაცას უთხრა და მანიშნა, შედიო. იქ უკვე სხვა ქალი, ლამაზი ქალი, მომადგა. არაბუნებრივად შავი, მბზინავი თმა მხრებზე ჩანჩქერივით ჩამოეყარა.

ის, მეორე ოთახი, სამოთხედ მომეჩვენა, თბილოდა, ოქროსფერი შუქი ეფინა ყველაფერს. მაგიდაზე პურ-მარილი ეყარა. თასში დიდ ლანგარში ზომაზე დაჭრილი ბამბასავით თეთრი პურის ნაჭრები ელაგა. ამდენი თეთრი პური, ისიც ასე ძალიან თეთრი, ჩემ სიცოცხლეში არსად მენახა. იქით მელოტი კაცი იჯდა.

— მობრძანდი, ბიჭი, დაბრძანდი. ჩემი სიმონი ხომ კარგადაა? წერილი ხომ არ გამოუტანებია? ეს სიმონის მეგობარია. — მიმითითა იმ კაცზე. კაცი წამოდგა, ხელი გამოიშვირა მაგიდაზე, მოხარშულ ქათამთან, ორი რევოლვერი იდო.

კაცი მელოტი იყო. მაგრამ ლაწვებზე გაუპარსავი, ხორდოლო წვერი მოწოლოდა. ცუბელების ხუმრობა მომაგონდა: კაცს თავზე რომ გაცვივდება თმა, წვერი თუ აქვს, შეიძლება თავი გადმოუტრიალო, ლაწვი ზემოთ მოუქციო და ქოჩორი ისევ თავის ალაგას ექნებაო.

ძალიან მომეფერენ. სუფრასთან დამსვეს. მარტო თეთრ პურსაც ყაბულს ვიქნებოდი, მაგრამ მოხარშულ ქათამს ცალი ბარკალი აახლიჩეს და წინ დამიდეს.

კი მივხვდი, არასასიამოვნო სტუმარი ჩიყავი, თუმცა ალარაფრის გაკეთება აღარ შემეძლო. — ჩუმად იმას ვანგარიშობდი, ღამე სად გამეთია. ჩუმად ვშიშობდი, — ეს კაცი ხომ არ გამაქრობდა საერთოდ, რათა სიმონამდე არ მიეღწია მისი აქ ყოფნის ამბავს? ეს რევოლვერები რატომ დააწყვეს სუფრაზე? ჩემ დასანახად?

ჭიქაში ღვინოც ჩამისხეს. ავიღე და ვყლურწე ისიც. ჩვენებური ადესას გემო ჩამრჩა პირში და შიშმა გადამიარა. ოდნავ თავიც მომეწონა, რომ ამხაირ ხლაფორთში ვარ და ახლა ჩემგან ჰკვა, ჰვრეტა, სიმამაცე და სხვა ამხაირი რაღაცებია აუცილებელი

გავძები და წამოვდექი. ... რაღაც დაწერა და კონვერტით გამომიყოლა სიმონზე გადასაცემად. კაცი წამოიმართა, ერთი რევოლვერი პიჯაკის გარეთა ჯიბეში ჩაიდო, შლაპა დაიხურა და თქვა:

— მარტო არ გაიშვება ბიჭი. წავედი მეც.

— ქუჩებში სევასტოპოლის ფრონტიდან ჩამოსული მატროსები დაძრწიან. საშიშია, გააცილე — დაუმოწმა ქალმა.

მერე სამსახურში თათბირი მაქვს. — სასტიკი სერიოზულობით აღნიშნა კაცმა. — სახკომსაბჭოში ჩემსმეტი არავინაა.

— ეს კაცი თავმჯდომარის მოადგილეა, სახკომსაბჭოში, — დააყოლა ჩემ დასაჯერებლად ანეულამ.

ქუჩაში რომ გავედით, ხელი ჩამავლო მკლავში. საით, მკითხა, გლეხთა სახლში-მეთქი, ვთქვი. მალე თვალი ბნელს შეეჩვია და კაცს უკვე კარგად ვხედავდი. აბა, მესვრის, აბა, მესვრის, მეგონა, არაფერიც. — ალერსიანი საუბრით მიმაცილა გლეხთა სახლამდე. დავიფიცე, სიმონს არ გავუმხელ ანეულასთან იმ კაცის ყოფნას-მეთქი. არადა, მარტო რომ დავრჩი, სიმონი შემეცოდა.

ბნელში ჩაძირული ქალაქი ღამის ზვინებიან ყანას ჰგავს. ხალხი არის, ხალხი მუშაობს, ხმები გაისმის, ვითომ საფლავებიდან ამომსვლელან სულები და ქუჩებში ხელისცეცებით, ჩურჩულით, კვლავ ახალი, ხელმეორე სიკვდილის შიშით, დააბოტებენ სილუეტები, თითქოს, ერთი მეორესთან შეხებისას უბადრუკ, ცივ წინწკლებს ჰყრიან, რათა კანკალით მოგიხაზონ შენობათა, საგანთა და სხეულთა დაბლაგვებული კონტურები.

უცებ, აკრეფილი, მწყობრი, მოტკლეცილი ნაბიჯებით მომიახლოვდა რუსულად მოსაუბრეთა ჯგუფი. გლეხთა სახლის შესასვლელი იქვე იყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დამძლია და არ შევედი შიგ.

იმათ მოახლოებას დაველოდე. — შევატყვე: ლამისფრად შემოსილი ფართოშარვლებიანი შეზარხოშებული მატროსები იყვნენ და, ვითარცა ციკანი ციდან ჩამოდაბლებულ მტაცებელ ფრინველის ფრთებქვეშ გაიხაბება, მეც ისე მივეყუდე კედელს და გავისუსე. მოვიდნენ, ბრახაბრუხით ჩაიარეს. უცებ ხაბიჯი გაჩერდა. ერთი მათგანი უკან მობრუნდა, მომიახლოვდა, ცივი ნაგანი ლოყაზე მომაჭირა და პირიდან საშინელი სუნი შემომაფრქვია.

— ტი შტო ნი ვაიუეშ, ა!? ხოჩეშ ჩტობი რუსსკიე ტოლკო გიბლი, და?! — ყურთან რაღაცამ იჭექა. ცეცხლმა გამითხრიშა ყურის უარფალი და ლოყაც მომიწვა. ტყვია წივილით გაშლიგინდა ეზოში, იქ, მგონი, ქიშკარს მოხვდა. მე კი მეგონა, მომკლეს და გულმოკვეთილი ჩავიჩოქე. მომკვდარიხებულ მიბნედილი თვალით მაინც შევხნიშნე, როგორ მძაფრად, ქძაყოფილი ხაბიჯით, წავიდა მეზღვაური იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლოდინი ჭკუის დაეწია და ზარზარით ბნელს შეერიენ.

მაშინ, თავზე რომ მადგა, უნდა მეპასუხნა რაღაცა, ბევრნაირად ვკრუნჩე ტუჩები, მაგრამ ლერი სიტყვაც ვერ გამოვძვრინე იმ ჩემი შეკოჭილ-გაშეშებული დაწვებისგან. მაგალითად, უნდა მეპასუხნა, რომ არც მაგრეა საქმე-მეთქი, რომ თავმჯდომარე ჯემალის შერიფი ფრონტზეა, რომ იმდენი ჩვენებური მოკლეს, რომ მე აქ გამანადგურებელ ბატალიონში ვარ, მეც ვომობ და საბჭოეთის ვუდგევარ საიმედო დამცველად-მეთქი. არ იქნა, ვერ ვუთხარი და ასე ბლაყურად მოვაქცლევინე თავი. არა, გადავრჩი, მაგრამ იმის ხელიდან ხომ მკვდარი ვიყავი მაინც?

მეორე დღეს, ხიდის საბჭოსთან, მოვძებნე სიმონი. იგი, დიდი მზვერავის დაჭერის შემდეგ, საბჭოს ცენტრში ისვენებდა. დუბელების სასაუზმოში იჯდა. როგორც მივუახლოვდი, ბიჭები მიატოვა, წამოიჭრა და გარეთ გამომეგება. ლელვა შევამჩნიე რაღაცნაირი. ქალაქიდან ამოსული რა ამბავს ვეტყოდი, აინტერესებდა.

ყური და ლოყა შეხვეული დამინახა, შეიყვირა, გაგლახესო? ვუთხარი, ასე მოხდა-მეთქი. თავი ჩაქინდრა, შევეცოდე. მეც შემეცოდა სიმონი და პირზე მომდგარ-მოწოლილი სათქმელი უკანვე ჩავიბრუნე. აღარ გავუმხილე ანეულაზე იმ ღამის ამბავი. ვუთხარი, ანეულა კარგადაა, დედაბერი და თავად მარტონი დამხვდნენ. მერე, გლეხთა სახლში წავედი-მეთქი. ბარათიც გადავეცი სიმონს. იგი დაიხარა და მაკოცა.

— რაო, საჭმელი არ გაჭამა, ბიჭო?! — ოდნავ შევკრთი.

— როგორ არა, ბატონო, ისეთი მაგიდა იყო გაშლილი, პური, — ბამბასავით თეთრი, დედალი მოხარშული... ბარკალი, მთელი ბარკალი გამოვისვი პირში...

— ვინ იყო სტუმარი?.. შავქოჩორა, პირგრძელი ბიჭი ხომ არ იყო, კი, კი ეგ იქნებოდა. იგი ჩემი ძმობილია.

— რა თქვი, შავქოჩორაო? ქოჩორა, არა... საერთოდ არავინ არ ყოფილა, არავინ. — ქოჩორა კი არა, სულმთლად თავტიტველა იყო-მეთქი, კინაღამ წამომცდა, მაგრამ დროზე შევაყენე ენა.

ფოსტაში შავად შემოსილი გოგო შემოვიდა. თავზე არ ეხურა და ვიფიქრე, აქაური არ უნდა იყოს-მეთქი. თანაც იმნაირად შემომხედა, მომეჩვენა, ოდესღაც ვითომ სადღაც მენახულებოდა.

შავი თმა ყურებზე გადავლილ-გადაეჭიმა და უკან გაენასკვა ძაფით. ყურის თეთრ ბიბილოებზე, თმის შავი ზვირთიდან რომ გამოხათებულიყო, საყურეები არ ეკიდა. წარბები, ხშირად გადაქნეული ორი შავი ცისარტყელა, მის [illegible], მაგრამ [illegible] მორცხვის თირმოლებულ სახეს, [illegible]დებოდა.

მე იგი ოდესღაც, როგორც ვთქვი, პურის დუქანში მენახა მგონი. პური აღარაა და ალბათ ფოსტაში გადმოიყვანეს. მაშინ, პირველად რომ ვნახე, გოგო ასეთი არ ყოფილა, ახლა სხვანაირი მომეჩვენა.

ლანქერივით ძალოვანი, მომსკდარი დინება იყო თითქოს მაინცდამაინც მე დამეჯახა მისი გრიგალი. სევდა-სურვილი იმისთანა შემოაწვა ჩემს გაუჩვეველ კაცობას, ომისა და მშვიდობის თუ, საერთოდ ყოფნა-არყოფნის ამბავიც, თითქოს მარტო ამ ხოშორწარბება გოგოს შეეძლო გადაეწყვიტა.

ფოსტაში რომ დავიგულე, გასვლა მოვინდომე, რათა მერე ისევ შემოვსულიყავი. მაშინ სახელიც მომაგონდა მისი, — თამილა. სად იყო დალექილი ეს სახელი, გონების რომელ ფიორფიტაზე იყო მიგლესილი? არა, არ ვიცი. თამილა! გაზაფხული ახლოვდებოდა, მაგრამ გაზაფხული იყო თუ თამილაზე ფიქრით მოქარგული სევდა, ეს აღარ ვიცი.

— წადი ახლა შინ, რომ დღე ნება გეძლევა, — დამაჯილდოვა სიმონმა. რა იცოდა, მე კიდევ მეორე დიდი უფროსი, საბჭოს თავმჯდომარე მყავდა. გარეთ რომ გავედი, დაყინაზე, — ჯემალი ხილბოსტნის კიბეზე იჯდა მარტოდმარტო. არ იცოდა ასე განმარტოება: გაოცებული მივუახლოვდი.

თავი მუხლებზე ჭვარედინად დაწყობილ ხელებში ედო. მივადექი.

უფროსული რიხით ველარ შემომხედა, თავი არ აუწევია.

— მუქრი! — ნაღვლიანად ამოიოხრა, მივიხედე, — ფოსტიდან თამილაც წამოვიდა, გაზეთი ეჭირა ხელში. მოდიოდა, ჩემს ცქერას რომ გრძნობდა, მგონი წითლდებოდა. — საქმე გონჯადაა, მუქრი... — ისევ ამოიკვნესა საბჭოს თავმჯდომარემ.

— თამილა! — ქალიშვილი წამით შედგა. — ეს მე ვიყავი, მე წარმოვთქვი მისი სახელი. მაგრამ გოგოს ეგონა, თავმჯდომარემ დაუძახა ჩვენკენ გამოუხვია: ჯემალს არ შეუმჩნევია თამილამ თვალებით მკითხა, რა ჭირსო და გვერდით გამიჩერდა.

თავმჯდომარე ისე დასაცოდავებულ-დასაწყლებული არასოდეს მინახავს. შემეშინდა. მან თავაუღებლად გულის ჯიბიდან, სამკუთხა ნაკეცი ქაღალდი ამოიღო და ისევ თავაუღებლად გამომიწოდა.

— მუქრი, შენ კაი კითხვა იცი, წამიკითხე ერთი ეს რაა. არ დამიმალო, მუქრი, — წამიკითხე გაბედულად. — გავშალე, დავხედე შიგნიდან სხვა სამკუთხა ბარათი გამოცაჩუხდა დავხედე. დაჯეჯგვილ-დაკლაკნილი ასოებით ძლივსგასარჩევად რაც ეწერა, ჩავიკითხე.

„შერიფი ჩემ ხელში მოკვდა. ჯიბეში მისი წერილი ედო და ხალხის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო ფოთოლიდან გწერ. თქვენებური ვარ, თუ გადაურჩი, დავბრუნდები და დაწერენს გელ-ავი.

უკან ვიხევი. შერიფა ყირიმის მიწაში შე-ვინახე და... ხელს აწერდა. მაგრამ იგი მე აქაი წაიკითხველმაც ვერ ამოვიკითხე.

— მაგრეა ხომ? — ძალა მოიკრიბა თავმჯ-დომარემ, წამოიწია, წამოიმართა, თვალი შეგ-ავლო, შეეატყვე, თამილას იქ ყოფნა არ მო-ეწონა. შენ ვინ დაგიძახათ, წადი, საქმეს მი-ხედე, შეუბღვირა გოგოს. თამილა შეშინე-ბული გაეცალა. ჯემალმა ბარათი გამომართვა, წამოდგა.

ქაღალდი, ისევ, სამკუთხად დაკეცილი, ბლუ-ზის ჯიბეში ჩაიდო. ჯიბე ჩაილილა. არავისთან წაიოგცდესო, გამაფრთხილა. დამძიმებული, დაღლარძული, საბჭოსკენ წაბარბაცდა.

თავმჯდომარე მაგარი გვყავდა, ყველას აში-ნებდა. ახლა უცებ დაიშალა. თუმცა მისი ში-შით წერილის ამბავს როგორ გავამხელდი.

ჯემალ-თავმჯდომარემ ის ბარათი ომის დამ-თავრებამდე ჯიბეში ჩამალული ატარა. დედა კი შერიფს ელოდა, ელოდა, ელოდა. იმ ლოდინ-ში ქალი დაილია, გათავდა.

მხოლოდ ომის შემდეგ, მრავალი წლის გავ-ლის მერე, როცა ყველაფერი მიწყნარდა, მი-ლაგდა, მიჩუმდა, როცა თვით სტალინიც კი წაიქცა, ხიდის აბჭოს თავმჯდომარეობიდან წასულმა ჯემალმა, ახლა უკვე გლეხობაში და-ბრუნებულმა, დაღეულმა, ხელებაცახცახებუ-ლმა და მეხსიერებაგაგალებულმა, გაყვითლებუ-ლი, დაჭმუჭნული, კიდეებშეცვეთილი სამკუ-თხა ბარათი ჯიბიდან ამოაძრო და თავის ბა-დიშს, შერიფის ერთადერთ შვილს, ვაჟას, ხმა-მაღლა წააკითხა, ბუხართან ხელები და ყბები უკანკალებდა, ქვითინებდა, მაგრამ თვალები მშრალი ჰქონდა. ვაჟა წყნარად იჯდა. ვაჟას დე-და წასული იყო. მოტირალი მეტი აღარავინ იყო.

ჯარისკაცის თავის დროზე უხდება ტირილი.

* * *

ფოსტაში სიარულს მოვუხშირე. თამილას გაზეთების განაწილებაში ვეხმარებოდი. არ ვი-ცი, ეს მე უფრო მიხაროდა თუ მას. წერილე-ბიც ბევრი მოდიოდა. სულ სამკუთხად დაკე-ცილები. სამკუთხა სამხედრო შტამპები, შა-ვად. ზედ ერტყა ყველას. ზოგში სიკვდილის ამბავი ეწერა, ზოგში სიცოცხლისა.

მაგრამ ის სამკუთხა წერილები სამუდამოდ შემიყვარდა. ხანდახან ჩუმად მეც ვაგზავნიდი სამკუთხა ბარათებს რაიონული გაზეთის რე-დაქციაში. შიგ რვეულის თითო გვერდზე გვი-რისტ-გვირისტად მოხლიბული ანბანებით, ურ-რესავით აზოლხილი, რაცხაფერი, თითო ლექსი იყო. რაზე? ომში დაკარგულის დედის წერი-ლზე, ლოზუნგებზე, სამყურაზე, ჩვენი პირბა-ტის ხანუძა რომ აზრამოხეოდა. სიყვარულზე, რომელიც მინდოდა, მაგრამ არ... ხანდახ წიფლის ქერქზე ვალ...

...ულ ახალ წელზეც მქონდა. პირველ ძაისზეც მაგრამ რაიგაზეთი დუმდა.

ერთხელ, იმდენ სამკუთხაში ერთი ოთკუთხა კონვერტიც გამოერია. წერილების გადარჩევა-გალაწყობაში თამილა არ ჩამირევდა. მე შავ ქაღალდზე დაბეჭდილ გაზეთებს ვახრაშუნებ-დი, ის წერილებს სოფლების მიხედვით აწ-ყობდა. უცებ, ოთკუთხა ცალკე დადო. ჩემკენ გამოიხედა, ლოყაზე სიწითლე ციხარტყელასა-ვით გადაეკრა. გაზეთებს თავი მივანებე. თამი-ლამ შემნიშნა, ოთხკუთხას სამკუთხა ბარათე-ბი დააყარა და წაიფარა.

— ვისია ეგ წერილი, თამილა?

— ეჰ, ვითომ არ იცის... ვინც ელის, იმისია.

— ვინ ელის მერე? — თამილამ თავი ანება ბარათებს და სარკმელს შეხედა, თითქოს სად-ღაც შორს კიუურებოო. ესე იგი, პირი ამარი-და, მეწყინა, თანაც გამიკვირდა. ვაწყენინე რა-მე? ვერაფერს მივხვდი.

— ჰა, წეილე, შენია, — გამომიცურა ოთხ-კუთხა კონვერტი და თავისი საქმე გააგრძელა. წერილი გამეხარდა, მაგრამ თამილას წყენა უფ-რო გამეხარდა.

ალბათ იეჭვიანა. ეს კი რაღაცას ნიშნავს.

წერილი ალბათ ბიძაშვილმა მომწერა ჯარი-დან.

დავხედე. ჩემი სახელი-გვარის ქვეშ ხაზი იყო გასმული და იმის ქვეშ, მარტო, ერთადერთი სიტყვა „ბელა" ჩანდა.

— ეს ქმარშვილიანი ქალია, თამილა, — თავის მართლებით დავიწყე, — უბედურია, ვიცნობ-დი, მაგრამ...

— მომე, მე გავახანილებ, — მიითხრა თამი-ლამ და ჩემ წინ დახვავებული გაზეთები თა-ვისკენ მიაჩოჩა.

ვილაცამ დამიძახა. თავმჯდომარე გეძებსო. საბჭოსკენ გავიქეცი. ჯემალს ხალხი ეხია, მაგ-რამ, როგორც კი დამინახა, წამოდგა, ხელი მომკიდა, კუთხეში გამიყვანა და ძალიან კმა-ყოფილი სახით მომახარა:

— უშიშროების სკოლაში გიშვებთ. ორწ-ლიანია. კაცი გახდები... მოგიმზადებთ ქაღალ-დებს და ჰაით! — მივხვდი სიმონ ჩარაულის მოხლიბული ამბავი იყო. ელდამ ტანში ძარღ-ვები გადამიბუგა. ავენთე. დავიბენი. ენა ვერ დავძარი. ანდა რა უნდა მეთქვა? ბაბას ვკი-თხავ. ჯემალ ბიძავ და გადავწყვეტ მეთქი. ავუ-ხსენი საბჭოს თავმჯდომარეს, გაეცინა, მოიქუშა, სამ-სახურში ჩამდგარი კაცები ხარ და ბაბაზე კი-თხვა რაღად გინდაო. შენა გადაწყვიტეო, შენ მასხარობა ხომ არ გგონია, — უშიშროება გე-ნდო პარტია გენდო. ეს იცი, ... რამეს ნიშნავს?! ...
ბიძია, ... ახლა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ფიქრები და ჭოჭმანი დაიწყე. ჩიხკი, რას გიუბნები? აი, ამნაირი რამეები მოწყობა და მომავალი სამჯის თავ-რიმ სტავლი მაგარი ექნება. ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა ოთახის ფერმის სამოსელს ჩაიაცმეოდა. მოგროვებენ მოგიყლიანო. უფასო ჩაცმა, ჭამა, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სწორედ საჩემოა.

შევიბორკე, შევიკოჭე, შევიბოჭე და პაწაიც შევშინდი უარის თქმა სამუდამოდ გამიფუჭებს ალბათ ცხოვრებას-მეთქი, გავიფლე გულში.

დავპირდი, — კი, თანახმა ვარ-მეთქი, მოგახერხე გამეცხადებინა და ალეწილი, არეული, ნელა კვლავ ფოსტისკენ გავემართე. იქ მისვლამდე წერილი გავხსენი. „ხილბოსტანის" კედელს მივეყუდე და ბოლომდე ჩავიკითხე.

ბელა მწერდა, ჩემი კაცი ციმბირში ჩაუყვანიამ დი მოკლესო. ზოგ-ზოგ პოლიმრების საპარკეო ეშელონში ტიფი გაეჩინათ, ტაიგაში, სადღაც გაჩერებული ვაგონიდან აჰისთანები ძირს ჩაუსვამთ, ააერ ბოსუნთქეთ, სხვა საქმეც მოიძებნ მეთქო. ზუმოდან კი აწ დროს უსყრიათ და ყველანი, დახოცილები, იქვე მიუტოვებიათ (ვინ შეატყობინ, ბელას ეს დაწვრილებით?).

მერე მამამთილის სახლიდან გამგზავნესო, ახლა ნაქირავებ ოთახში მარტოკა ვცხოვრობ, აწ და აწ ქუჩაზეო. შემებრალა ბელა ძალიან ერთ წამით ასეთმა აზრმაც წამძლია, — წავალ, და ვემალები საბჭოსაც, უშიშროებასაც; დავკარგავ ცხრა კილო ფქვილსაც და ყიქნები ბელასთან ერთად-მეთქი. მაგრამ ამასობაში ფოსტის სახლს მივუახლოვდი, შევდექი. შიგ შევიხედე, თამილამ ჩემსკენ თვალიც კი არ გაამრუდა. დასცქეროდა მოკეცილ გაზეთებს და ხოშორი, ყირმიზი ფანქრით ზედ სოფლების სახელებს აწერდა.

— უშიშროების სკოლაში მაგზავნიან. რას იტყვი, თამილა, წავიდე?

— წერილი რომ მოგწერა იმას კითხე, მე რას მეკითხები, — მიპასუხა თავაუღებლად.

დამკაწრეს და დამფუგნეს ამ სიტყვებმა. რა კარგი იყო თამილა. კეთილი, სასტიკი და მართალი. იგი უბრალო, თანაც მდიდარი, როგორც მიწა, ჩანდა ჩემს წინაშე. მარტო ჩემს წასაკითხად შექმნილი წიგნია იგი.

ზაფხულის მიწურულს ჩვენებმა ყირიმი დატოვეს. ქერჩში ასი ათასამდე ქართველი შეეხოცა... ზღვა ადუღდა ქართული სისხლით, ჩურჩულებდნენ ხიდელები. ვისთვის, რისთვის რატომ გარეწეს ამდენი ქართველი? ამას ჩურჩულითვე კითხულობდნენ. მაგრამ პასუხს ვერავინ იძლეოდა. ზოგნი კი ჩურჩულებდნენ: ალბათ ჩვენი ულვაშა ჩოვანისარდლისთვის გაიწირა ისედაც ასჯერ გაწირული, დალეულ-გამეჩხერებული ქართველობა!

იმ დღეს რაიკომში დამიბარეს. დილა იყო თამილა ხიდზე გამოდიოდა, ვხედავდი.

ხელში ქუნჯლის ჩახოი ეჭირა. დამინახა და მგონი, ფეხს მოუჩქარა. მე კი დამინახონ-მეთქი, — ფეხს მოვუჩქარე, უკან გამ... ჩედე. ფოსტისკენ მელამართი რომაა, იქ მიწის ჩრამზახრუში თანდათან მიახლოვდებოდა. ეს თამილას ფეხისხმა იყო. დამეწია, გამისწორდა, რაღაცა მითხრა, მაგრამ ზუსტად ვერ გავიგე რა, რატომღაც დარცხვენილად გამიშხილა.

— ჩემი გაკეთებული ლობიო-ქადი წამოვიღე, ერთად ვჭამოთ სადილი, მოხვალ?

ეს უდიდესი შერიგება იყო, მივხვდი. გულში კი საშინლად ვინანე, რომ სადილობისას აქ ვეღარ ვიქნებოდი. პასუხი დავიგვიანე და თამილამ დაძაბულ-გაოცებული თუ უკმაყოფილო შემოხედვა თითქოს პირსახეზე ცხლად გადამევლო.

— უშიშროების სკოლაში მგზავნიან და...

თითქოს თვით სიტყვები დაბორკილები იყვნენ, ისე ძნელად ამოდიოდნენ.

— ეგ სამუდამო ჭირია. წაი, წაი!.. მოიცა, ვიქნები აქ მე მარტოკა...

მწველად იყო ნათქვამი, მაგრამ გულს კი უცნაურად მიელამუნა.

ერთი წამით ჩემს შეგნებაში თვით უშიშროება ვითომ საშიშროებად იქცა.

რაიცენტრში ფეხით ჩავედი. იმ დღეს არც ერთი „გურძამი" არ დამეწია. ხამსაათიანმა სიარულმა მთელი ჩემი მოჩიჩებული ცხოვრება კინოლოსახივით კაკალ-კაკალ გადაამთვალიერებინა.

გულში ვქოქმანობდი, სასწავლად წასვლაზე უარის თქმა კი მეწადა, მაგრამ მეშინოდა, ამასობაში ჩემი გვარ-სახელი ამოიძახეს და შემიყვანეს. რაიკომის მდივნის ოთახში უშიშროების ყირმიზქუდიანებიც ისხდნენ.

მდივანს მაგიდაზე იმ დღის რაიგაზეთი ედო ჯერ შემომხედეს, მერე ყველამ გაზეთს დაუწყო ცქერა.

— შუქრი მაკაძე! რა დაგიწერია ეს, აჲ ნახეთ, ამხანაგებო, რა შეუთხზია ბიჭს. „მოდი და აბობის ჭორობი, როგორ გაჩნდა და იწვალა. მოაქვს შლამი და გორობი, ესეც ხომ ჩვენი მიწაა?". ჯერ ერთი, რავა იწვალა მდინარემ, რატომ იწვალა, რაო, ჩვენი ცხოვრება წვალებად წარმოიდგინე, ბიჭო? არ მოგწონს სოციალიზმის მიწა?

გული კი უსაზღვროდ მიღელავდა. ღმერთო, ლექსი დაბეჭდილა! მართლაც დაბეჭდილი იყო! და მაგინოს მაინც კაია, — ვმსჯელობდი ჩემთვის, — იმათი სულ აღარაფერი მესმოდა.

უშიშროების კაცმა ჯერ შემათვალიერა, შემდეგ მაიმედ გადაგოროს მზერა ხორბლისფერ მუქ-რუხ რაიგაზეთზე და ჩემს პაწია ლექსს, გაშლილი გვერდის ბოლო კიდეში რომ საცოდავად გარიხმულიყო, დააშტერდა.

მეც შორიახლო დავაჭყერდი იმ გაზეთის მოფარფაკალე ნაწიბურს და მოხოშრო, თუმცა უცვერული ასოებით, გატოლოშინებული ლერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა გავარჩიე. კი, მართლაც ჩემი სახელი და გვარია.

— ქორონი სხვა სახელმწიფოსია. — დაასკვნა უშიშროების კაცმა და ჩაღამებული თვალებით მომჩაბა. — „ესეც ხომ ჩვენი მიწაა" რომ ამბობ, რას გულისხმობ ამაში, ბიჭო, აჲ

გული მაძალებდა, უთხარით, რომ ქორონი ძველი ქართული მდინარეა. რომ მას შენ სამუდამოდ ასეთად ცნობ და ასეც იქნება, რომ ქორონის წყალებაში მთელი ჩვენი მხარის ისტორიაა ნაგულისხმევი და რომ ეს სოციალისტური სამშობლოს სალანძღავად სულაც არაა ნათქვამი. ასეთმა აზრმაც გამკრა: ეტყობა, ამ ნაწერის პატრონს უშიშროების სკოლაში აღარ გამიშვებენ. აეშენებთ ღმერთი. — ავალ ხიდზე, ვნახავ თამილას, ვეტყვი: თამილავ, აი, ნახე ჩემი ნაწერი დაბეჭდეს. ახლა ხომ მენდობი, ახლა ხომ მიხვდი, ვინ და რა მიყვარს. წამომყევი, თამილ. ვიყოთ ერთად ამ ქვეყანაზე. მოვთხაროთ ყანა, მოვთესოთ მიწა, დავრგოთ და ვახაროთ ნერგი. ვიყოლიოთ ძროხა, თხა, რამდენის ნებასაც კოლექტივი დაგვრთავს. რაც გვექნება და არ გვექნება, იმის მაგივრად ჩვენი სიყვარული ვიქონიოთ. ზანდახან კი, მუხლზე ძველ ქალალდს დავიდებ და ზედ ამოვაწყობ ჩემში დაგროვილ ტკივილებს და სიხარულებს.

— წავიდეს და ჭკვა ისწავლოს! — ეცემ თქვა უშიშროების კაცმა თავდახრით და ჩემი საქმეც ამით დაამთავრა. მერე ეზოში გასულები შინაც აღარ გაგვიშვეს. ერთად შეგვყარეს და ბორტმორყეულ „გურძამში" შეგვჭუჭყეს. პარდაპირ წახვალთო, გვითხრეს.

ბინდისას მანქანა აფუხფუხდა, აძიგძიგდა. ძირიდან აზვეტილი ბული ზედმყოფთ გადაგვაფერქვია. ერთი ოდნავ შეხტა-შექანდა და აღგილიდან მოწყდა. გასავალი არ ჩანდა, მაგრამ მანქანა უსინათლოდ მირბოდა. მეგონა, საცაა რამეს შევასკდებოდით. ძარაზე მდგარნი ერთმანეთს ვაწვებოდით, ვიქცეოდით და ერთიმეორეს ჩვენვე ვაკავებდით. ჩიშტიანი ყარაული არ გვეჭდა ბორტზე, მაგრამ მაინც თავი პატიმარი მეგონა და უცებ გული შემიწუხდა, ამიჩუყდა. ვიფიქრე, მიმავალ ძარიდან სადმე გადავხტები და თავს ვუშველი-მეთქი.

ამ დროს, საიდანღაც, ჩემი სახელი გავიგონე. ნაცნობი ხმა მეძახოდა. წინმყოფთ ვთხოვე და კაბინის სახურავზე დავაბრახუნებინე. მანქანამ დიდი ბრახუნ-ღრჭიალით სვლას შეუნელა. უმალვე ვისკუპე და გადავხტი.

— ჰო, მუქრაი ხარ?! მოიწი აქეთ — მაშინვე ვიცანი იუნუსი, ჩემი ყენტერა მეგობარი. მოლა ყედირის ბადიში. — შუქრავ, ძალიან მიჭირს, მარა გითხრანა, რაღა ვქნა. შენი ბაბაჲ აღარაა, შუქრავ, დღეს ნაშუადღევს დეიხარჭა... მურთაზამ გამომგზავნა, აღარ წავიდესო.

სიმწრისაგან მუხლები მომეჭრა. წამით წარმოვიდგინე ჩემი ბაბაი სექვეზე დასვენებული.

ჩიტები დადუმებული, ალ[illegible] მამიკოთა და ენუინა, რომ იქ არ ეყავდა შე[illegible] მეცოდა ჩემი, შემეცოდა თვით ჩემი დაობლებული ფაცხაც.

მოშორებულზე შეჩერებული მანქანის კაბინიდან ის უშიშროების კაცი გამოვიდა. რაშია საქმეო, იყვირა. ბაბაი მომიკვდა, უფროსო-მეთქი, ვიქეი ნახა დრო მაგ შენმა ბაბამაცო. გაჯავრდა უშიშროების კაცი. წაი და ჩაფალი და მათუმში ზეგ დაგვეწიეო. ბრძანა, მიიტკაცუნა კაბინის კარი და მანქანა დიდი ვაივიშით დაიძრა.

შუაღამეზე ძლივს ავედით ღუბეში. ჭერ კიდევ ქვემოთ, კარებთან, ჩამომესმა დედაჩემის ტირილი. საშინელება ყოფილა ბავშვობის ქობში პირველი ტირილი და პირველი სიკვდილი.

* * *

საბჭოს თავრე ჯემალმა მიშველა და უშიშროების სასწავლებლისგან მიხსნა.

მურთაზი ცალკე კომლად იყო გასული და შინაურობას ახლა ჩემს მეტი მამაკაცი აღარავინ ჰყავდა.

მეორე დღისათვის არ დავანებეთ, მაგრამ მესამე დღისათვის დაკრძალვა გადაწყდა. მურთაზმა ფაცხის გადაღმა, მამაჩემის მიტოვებულ-გამოშენებულ ფიჭვებში, ერთი საუკეთესო კატარი მოჭრა. დახერხა და მერთექებად დაპკო.

უედირ-ნაზოჯარ, ჭანაზეს სალოცავად მოაფარითმუშეს ის რომ დაეინახე, კინაღამ გადავირიე.

სწორედ იმ ნალიის ქვეშ გაჩერდა, ოდესღაც ჩემი სიხარული — ჩანგური რომ დამიმტვრია. იმ ჩანგურის დატეხვა ჩემთვის პირველი სიკვდილის სიმწრის ზილვა იყო. ვეღარ მოვითმინე და იქვე მდგარ იუნუსას მივადექი. არ გეწყინოს, ბაბუაშენს გონჭი რაცხა უნდა ვუთხრამეთქი. შეცბა იუნუსი და თანაც კუთილი ღიმილი სახეზე მოევლო.

ყედირს მივუახლოვდი, კაბალახის ყური წამოვუწიე და ნამდვილ ყურში ჩავჩურჩულე, აქაურობაში თვალმა არ დაგინახოს, შენ ჩემი გულის მკვლელი ხარ-მეთქი თვალები ბრაზით აავსებულა. წვერები შეიჩიჩქნა, სახელოები დაუშვა და ბრაზიანი, ბებრული ნაბიჯით ეზოდან წავიდა.

სამძიმარზე მოსულთა შორის თამილაც დავინახე იგი თანაგრძნობით და სევდით ათვალიერებდა ჩემს ტალაგან ფაცხას და ფუხრულ ეზო-კარს. გამოცალკევდა, ჩემთან მოვიდა. მცირეხნით გვერდით შეჩერდა, არაფერი უთქვამს. ხელი იქვე, ფიჭვის ტანზე ჩამოდო. ჩემი ხელიც იმ კატარზე იდო. ადესას ათქვირებული ლერწი ზედ ატოტებულიყო.

ეტყობოდა, ადესას ცოცხალ ლერწს კატრის წვერამდე აღწევა ეწადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალისტრატე სალია

# აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი XIX საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწერალია. ილია ჭავჭავაძესთან ერთად იგი შევიდა საქართველოს ისტორიაში, როგორც ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის ფუძემდებელი, როგორც ღირსეული წარმომადგენელი იმ თაობისა, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა რეაქციისა და ცარიზმის წინააღმდეგ და ახალი დინება გაჰკვალა თავისი ქვეყნის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში.

აკაკი წერეთელი მთელი თავისი ხანგრძლივი საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე გახლდათ „გარემოების საყვირი“ (როგორც თვითონ ამბობდა). ეხმაურებოდა ყოველ მოვლენას. იყო გამომხატველი თავისი ხალხის საუკუნოვან იმედთა და მისწრაფებათა. მოწადინე მისი თავისუფლებისა და განათლებისა, მაუწყებელი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისა.

ჩამომავლობით ძველ კეთილშობილურ გვარს ეკუთვნოდა. დაიბადა 1840 წლის 9 ივნისს სხვიტორში (ზემო იმერეთი). ძველი ჩვეულების თანახმად გააძიძავეს სოფელ სავანეში, სადაც 6 წლამდე იზრდებოდა გლეხის შვილებთან ერთად. „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ, თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაზარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“, გვამცნობს მწერალი.

სოფელი, გლეხური გარემო შესანიშნავი სკოლა იყო მომავალი მწერლისათვის ცხოვრების გაცნობის თვალსაზრისით.

1852 წელს შედის ქუთაისის გიმნაზიაში. იმ დროს სკოლებში გაბატონებული იყო რუსული აღზრდის სისტემა, ერთობ უხეში, რომლის მეთოდურ საფუძველსაც შეადგენდა ფიზიკური დასჯა. „მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო, დირექტორიდან დაწყებული „სტოროჟებამდე“. — წერს აკაკი, — „მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა, რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ...“ მოსწავლეს ეკრძალებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. იმ დროს შემოღებული იყო საზოგადო თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდნენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდნენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს — სახაზავს დაჰკრავდნენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმრიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარად ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიტის თავიდან მოშორებას ან შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო- მთელი დღით უსადილოდ".

პოეტმა საკუთარ თავზე იწვნია გიმნაზიაში გაბატონებული დისციპლინის მთელი უხეშობა. თავის შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობს აღზრდის პრობლემას. „გამზრდელში" გამოიყენა ხალხური ლეგენდა, რომელიც განმსჭვალულია მაღალი ზნეობრიობითა და მეგობრობისა და ძმობის იდეალებით.

1859 წელს დატოვა გიმნაზია და სანქტ-პეტერბურგს გაემგზავრა. ჯერ სამხედრო სასწავლებელში აპირებდა შესვლას, მაგრამ მეგობრების რჩევით აღმოსავლურ ენათა სომხურ-ქართულ განყოფილებაზე მოეწყო. სტუდენტობის წლებში ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა. პოეტური მოღვაწეობა 1858 წლიდან დაიწყო. 1860 წელს გამოაქვეყნა ლექსი „საიდუმლო ბარათი", რამაც ერთბაშად გაუთქვა სახელი. წერდა ხალხისათვის გასაგებ ენაზე, განწმინდა ის არქაიზმებისაგან და სასაუბრო მეტყველებას მიუახლოვა, თანაც მიანიჭა ჭეშმარიტი ხალხური პოეზიისათვის ნიშანდობლივი ჰარმონიულობა.

ცნობილი კრიტიკოსი და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე ასე წერდა აკაკის პოეზიაზე. „ენა მისი ლექსებისა დღემდე უცნობი ხიბლითა და სიმსუბუქით გამოირჩევა, რაც ახასიათებს ნამდვილ ხალხურ ენას; მასთან ვერაფერს იპოვნით წიგნურს, ხელოვნურსა და ყალბს. მან თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე ისეთი მნიშვნელობა შეიძინა ქართულ მწერლობაში, რაც პუშკინმა რუსულ ლიტერატურაში თანამოძმეთაგან განსხვავებით. მან პირველმა დაუახლოვა სალიტერატურო ენა ხალხურს, რითაც იშვიათი მოქნილობა, მომხიბვლელობა, დიდი გამომსახველობითი ძალა და სილამაზე შესძინა".

ილია ჭავჭავაძის მსგავსად მანაც გააფართოვა და საკმაოდ გააღრმავა პოეზიის სოციალური მნიშვნელობა: თამამად შეიტანა პოლიტიკური თემები.

სტუდენტობის წლებში გამოაქვეყნა „სიმღერა მკის დროს", „გლეხის საჩივარი", „იმერული ნანინა" — გამომხატველნი დაჩაგრული ხალხის ცხოვრების, მისი განცდებისა და იმედების. აქ უკვე შესამჩნევი იყო მკაცრი პროტესტი მონობისა და რუსული ბატონობის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ სწორედ იმხანად შეხვდა აკაკი უკრაინელ ტრუბადურს — ტარას შევჩენკოს და ეს შეხვედრა სასიხარულო მოგონებად დარჩენია.

1862 წელს ჩააბარა დამამთავრებელი გამოცდები და წარადგინა დისერტაცია „რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის შესახებ", რაც ფაკულტეტზე მოეწონეს. იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში.

ქართველ მწერალთა შორის იგი იყო ერთადერთი, ვინც მწერლობა პროფესიად გაიხადა. თანამშრომლობდა ყველა ქართულ ჟურნალსა და გაზეთში. 1897 წელს დაიწყო საკუთარი ყოველთვიური ჟურნალის „აკაკის კრებულის" გამოცემა. მაშინდელ კვალობაზე ტირაჟი საკმაოდ დიდი ჰქონდა, მაგრამ 3 წლის შემდეგ მთავრობამ აკრძალა მისი გამოცემა, სადაც პოეტურ თხზულებებთან ერთად აკაკი სტატიებსაც ბეჭდავდა პოლიტიკურსა და სოციალურ ცხოვრებაზე.

ნაყოფიერად თანამშრომლობდა საქართველოს კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. გახლდათ ერთ-ერთი ფუძემდებელი და აქტიური წევრი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა". მისი ენერგიული მცდელობით შეიქმნა მუდმივმოქმედი ქართული დრამატული თეატრი თბილისში.

აკაკი გამოეხმაურა თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მოვლენას. ლექსი „ხანჯალს" ჟღერს როგორც საომარი შეძახილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული.

1907 წელს დაიწყო იუმორისტული ჟურნალის „ხუმარას" გამოცემა. მაგრამ მისი პირველივე ნომერი აიკრძალა, ხოლო რედაქტორი დაატუსაღეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ხალხის უკმაყოფილებამ აიძულა მთავრობა, რომ პოეტი მალევე გაეთავისუფლებინათ.

აკაკი დაუღალავად იბრძოდა სიმართლისათვის და ხალხის ინტერესთა დაცვისათვის, ულევებდა რწმენას იდეალების გამარჯვებისა.

აკაკის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება საქართველოთია შთაგონებული. იგი ძალიან პოპულარული იყო ხალხში. არ დარჩენილა კუთხე საქართველოში, სადაც მისი სახელი უღრმესი პატივით არ ეხსენებინოთ. აკაკის ლექსებს მალევე იზეპირებდნენ, მერე კი პოპულარულ სიმღერებად იქცეოდა ხოლმე.

1908 წელს საქართველომ დიდი ზეიმით აღნიშნა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი.

1914 წლის დეკემბერში აკაკი შეუძლოდ შეიქმნა და 26 იანვარს გარდაიცვალა. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, სიცოცხლის ბოლომდე წერდა. უკანასკნელი ლექსი „ბრძოლა" დაუმთავრებელია.

აკაკის გარდაცვალება დიდი მწუხარებით შეიტყო საქართველომ. მისი ცხედარი ასი ათასზე მეტმა კაცმა გააცილა მთაწმინდაზე, მწერალთა პანთეონში.

რუსეთის მიერ დაჩაგრულ საქართველოში აკაკი, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის სულისჩამდგმელი, ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც სიღრმისეულად ასახა ქართული საზოგადოების ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვნებით. მიაჩნდა, რომ ლიტერატურა ბასრი იარაღი იყო სოციალური ჭირის დასაძლევად და ეროვნული თავისუფლების მისაღწევად. ამბობდა: პოეტი აწმყოს დაუწყებელიათ, ჩახგური მისთვის ჭირდება, „რომ სიმართლეს მსახურებდეს, განამტკიცოს „აზრი წმინდა და სიმართლით ახურებდეს..." პოეტის სიმღერის წყალობით უნდა „დაჩაგრულს თვალთ ცრემლები ეშრობოდეს და მჩაგვრელს კი გულში ძგერით ისარივით ესობოდეს..." მიაჩნდა, რომ ლიტერატურას უნდა შეექმნა ერთი ორგანული მთლიანობა, ჰარმონიულად აესახა ბუნება, ადამიანი, ცხოვრება და კაცთა შორის ურთიერთობანი.

აკაკის დიდი პოეტის სახელი დაუმკვიდრა ლირიკულმა პოეზიამ, გრიგოლ რობაქიძის აზრით, თუ ილია უმთავრესად პროზაიკოსი იყო და ლითონის ლექსებს ჰქედდა, აკაკი უმთავრესად პოეტი გახლდათ და ჰაეროვანი ძაფებით ქსოვდა. აკაკის ლექსებისათვის ნიშანდობლივია იდეური სიღრმე, წარმოსახვის სიმტკიცე და გამორჩეული ჰარმონიულობა.

აკაკის პოეზია ღრმა პატრიოტული გრძნობის ბეჭედს ატარებს. აი, „განთიადის" ამაღელვებელი სტრიქონები:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო...

პოეტის აზრით, სამშობლოს გათავისუფლება, ბედნიერი ცხოვრება მოიპოვება სიმამაცით, უშრეტი ძალით, დაუმორჩილებელი ენერგიით, გმირული ბრძოლით. სწორედ ამ დიადი ბრძოლისაკენ უხმობს პოეტი ლექსით „ჭაღარა" იმ გმირებს, რომელნიც ხალხის წიაღიდან უნდა გამოჩნდნენ.

აკაკის ეროვნული იდეები ყველაზე სრულყოფილად ლექსებში გამოიხატა. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდთა გახსენებით იგი მიზნად ისახავს აღზარდოს ხალხი გმირობისა და სიმამაცის მაგალითებით, უჩვენოს, თუ როგორი თავდადებით იცავდნენ წინაპრები სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მისი პოემების პერსონაჟთა უმეტესობა ისტორიული პიროვნებანია. „თორნიკე ერისთავში" აღწერილია X საუკუნის საქართველო

თორნიკემ სიცოცხლე შეალია მშობლიური ქვეყნის სამსახურს. მოხუცებულობის ჟამს კი მონასტერს შეეხიზნა. მაგრამ სამშობლოს პირველსავე მოხმობაზე იარაღი აისხა და ბრძოლაში ჩაება. „თორნიკე ერისთავი" დიდი მხატვრული ძალის თხზულებაა.

პოემის ზოგიერთი ადგილი, ვთქვათ, შესავალი, სიმღერა ამირანზე და სხვა ნაწყვეტები ძალიან გავრცელდა ხალხში და იმღერება კიდეც.

„ნათელა" აღწერს ქართველი ხალხის ბრძოლას მონღოლთა უღლის წინააღმდეგ. მთავარი გმირი ნათელა იდეალური ქართველი ქალია, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული გარეგნული სილამაზე და სულის კეთილშობილება. მის სილამაზეს მრავალი ყმაწვილკაცი დაუტყვევებია. მაგრამ მისი გულის მოგება იმას შეუძლია, ვინც მის მიერ შეკერილ თეთრ პერანგს მტრის სისხლში შეღებავს. ამ გმირად წარმოსდგება ცოტნე დადიანი, ვინც მოინადირებს ნათელას გულს. მათი უანგარო სიყვარული განუყოფელია სამშობლოს მხურვალე სიყვარულისაგან. ავტორმა ქართველი ქალის პორტრეტი დახატა; ნიმუშად ალბათ რუსთაველის უკვდავი გმირი ქალები გამოადგებოდა.

სამშობლოსა და ხალხისათვის თავგანწირვა, — ესაა თემა მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობისა „ბაშიაჩუკი", რომელიც წარმოგვიდგენს ქართველთა ბრძოლას სპარს დამპყრობთა წინააღმდეგ XVII საუკუნეში.

აკაკის დაწერილი აქვს რამდენიმე ისტორიული პიესაც, რომელთა შორის გამოირჩევა „პატარა კახი". მისი პირველი წარმოდგენა ცენზურამ აკრძალა, აკრძალა გადამუშავებული ვარიანტიც. ბოლოსდაბოლოს, მრავალი ცვლილების შემდეგ ავტორმა მოახერხა მისი გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის თხზულებანი გვაცნობს ისტორიულ გმირთა მთელს გალერეას, დიდების შარავანდედით შემოსილთა. ილიას მსგავსად აკაკიც მიმართავდა ისტორიულ მაგალითებს, რათა ხალხის აღტაცება და შემართება გამოეწვია.

აკაკის პატრიოტულ გრძნობაზე კარგად მეტყველებს მისივე სიტყვები: მე პირველ ყოვლისა ქართველი ვარ, რადგან საქართველოში დავიბადე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა ხალხის უბედურებაზე ვცდილობდე ჩემი ხალხის ბედნიერების აშენებას. ჩემი ოცნებაა საყოველთაო ბედნიერება. მთელი თავისი ლიტერატურული თუ სოციალური მოღვაწეობისას წინ სულ ეს ფიქრი უძღვოდა.

აკაკი იკავებს უპირველეს ადგილს ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში.

მან შექმნა ახალი ფორმები, პოეტური მეტყველების ახალი რიტმი. ილიასთან ერთად განაახლა და შეცვალა ქართული სალიტერატურო ენა, რისთვისაც ფართოდ გამოიყენა ხალხური სიმღერების საგანძური — ხალხური მეტყველება. იგი მიიჩნევდა, თუ მწერალი ხალხურ ენას მიუბრუნდება, გათავისუფლდება ყოველგვარი ხელოვნურობისაგან, „თავისებურებათაგან" და ისწავლიდა წერას არსობრივად, ყველასათვის გასაგებად.

აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძესთან ერთად ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელია.

„ბედი ქართლისა", პარიზი, 1966 წ.

ფრანგულიდან თარგმნა

სიბილა გელაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ კოსტავა

# ლომისფერი

კონსტანტინე გამსახურდიას ერთ ადგილას ლომისფერი („დავით აღმაშენებელი“) აქვს ნახმარი. ამ ფერის მორალური ზემოქმედება შემდეგშია. ლომი (მზის ცხოველია) მიკროკოსმიურად დაკავშირებულია ადამიანის გულთან და მის რიტმიულ სისტემასთან მაკროკოსმიურად კი მზესთან და ლომის თანავარსკვლავედთან (ზოდიაქოსთან). ლომი რომ მზის ცხოველია, ამას მისი ცეცხლოვანი ბუნების ფერი ოქრო და ხვატისებური ფაფარი გვამცნობს. საერთოდ ცნობილია ცხოველთა მგრძნობიარობა ფერისადმი. მაგალითად, კურდღელი თუ ზაფხულსა და შემოდგომაზე მიწისფერია (ნაცრისფერია) ზამთარში თეთრ (თოვლის) ფერს იღებს. ფერი იმდენად ზემოქმედებს ცხოველზე, რომ ეს უკანასკნელი გარემოს ფერს იღებს. ლომის სიყვითლე მზის ფერისადმი მის განსაკუთრებულ მგრძნობიარობაზე მიგვითითებს... გოეთეს ფერთა თეორიის მიხედვით სინათლე თავად უხილავია. მზის ყვითელ დისკოში წარმოჩნდება იგი პირველად, როგორც თავისი არსის თავდაპირველი გამოხატულება, პირველი გამოვლინება. ამიტომ ლომის ფერშიც გამოკრთის სინათლის ძალი. ამასთან ლომის ზოდიაქო ციკლისის თვესთან, კერძოდ, მკათათვესთან არის დაკავშირებული (15 ივლისი — 15 აგვისტო) ეს ის დროა, როდესაც მზის სინათლის ძალმოსილების მაღალი შთაიღვრება ყანებში. ყვითელი ფერი საბოლოოდ ამარცხებს მწვანეს. გაყვითლებული დისკო უზარმაზარ სივრცეებს დედამიწისას მოიფენს თავის სიყვითლეს, თითქოს მზე თავად ჩამოდის დედამიწაზე. ლომისფერად გვიგიზგიზებს მაშინ თავთავები და ბალახეული. ენერგიულობა ძლიერდება ადამიანში და მზის ამგვარი აქტივობა დედამიწისადმი, ლომის თანავარსკვლავედის გავლენით ხდება. ინტუიტური სიღრმით ჩასწვდა სამყაროს ამ გასაოცარ მოვლენას ფერთა მესაიდუმლე ვან გოგი. მის ნახატებში მზე ისევე უმზერს საკუთარ თავს მიწის ცეცხლოვანი ზედაპირიდან, როგორც წყლის ზედაპირზე ჩვენისმიერი ხორცშესხმული არსება თავის ათინათს. ეს უკანასკნელი წამიერად ხდება, მაშინ როდესაც პირველი მზის თანდათანობითი ინტენსივობის, მისი ცხოველმყოფელი ზემოქმედების შედეგია. საოცარია ექსპრესიულობა ამ ნახატებისა. ხვატის შეუბრალებელი ზემოქმედება ისე, რომ ლომისფერი ხდება ყანაც და მზით გადარუჯული ფერდობებიც. ჩვენს ეკლესიებზე, სადაც გუმბათებზე ხშირად შევხვდებით ცხოველთა ზოდიაქალურ წრეს. ლომს მახარობელი მარკოზის გვერდით ხატავენ, ისე, რომ ლომი მარკოზის სახარებასთან არის დაკავშირებული. ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსს და მეცნიერს, რუდოლფ შტაინერს თავის ქრისტოლოგიურ ლექციათა ციკლებში ხშირად აღუნიშნავს, რომ, სხვა სახარებებთან შედარებით, მარკოზის სახარებაში ყველაზე მძაფრად იგრძნობა კოსმიურ ძალთა ზემოქმედება დედამიწაზე. მართლაც სინოპტიკური სახარებებიდან მარტოოდენ მარკოზის სახარებაში არ მოიპოვება იესოს ბავშვობის [illegible] მარკოზის სახარება უშუალოდ [illegible] იწყება. როდესაც სული [illegible] გარდამოვალი, ამე იგი [illegible] სული მზისა, როგორც ამას [illegible] გვამცნობს. [illegible] ადამიანურ არსებაში, 30 წლის იესოში და მერე [illegible] 120 წელიწადს (ამის შესახებ [illegible] რაზედაც დიდ [illegible] დედამიწაზე ამ უზე[illegible] ზეგავლენების შემოჭრაზე [illegible] მახარობელი (მარკოზის სახარება) და ამიტომაც ლომის ზოდიაქოს ნიშანთან არის იგი უშუალოდ დაკავშირებული. არსებობს ამგვარი საეკლესიო დღესასწაული, ხილის კურთხევა (19 აგვისტო), როდესაც მღვდელი ახლადდაწნულ[illegible] ბულ ხილს უქმევს [illegible] ეს ამბავი ლომის ზოდიაქოს გავლენის დასასრულს (15 ივლისი —
15 აგვისტო) და ქალწულის დასაწყისში ხდება. ეს ნიშნავს, რომ ამ ხანად კოსმიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრძნის, იზის სოფიას მადლი შთაიღვარა ნა[illegible] [illegible] [illegible] ერთად [illegible] [illegible] ყვითელი (თვით მწიფე ქლიავის წაყინაც [illegible] ყვითელია). ოქროსფერი [illegible] ბიზანტიური ოქროს ფონით ფრესკებზე ქრისტეს და წმინდანების [illegible] [illegible] სინათლის სხივი და იგი ყველგან სიბრძნის გამომხატველია. გოეთეს ფერთა თეორიით სინათლე უხილავია. თეთრი ფერი გარკვეული ინტენსივობაა სინათლისა ბნელში, რომელთაც გარკვეული მორალური ზემოქმედება გააჩნიათ. მაშინ თავად სინათლე მორალის წყარო უნდა წარმოადგენდეს. ხომ არ წარმოადგენს გოეთეს ეს თვალსაზრისი გამოძახილს ქრისტეს ნათქვამისას: მე ვარ ნათელი სოფლისაი — (იოანეს სახარება) უანა, ხილი ქრისტეს ნიმბის ანარეკლია.

მზე ამწიფებს მცენარეულს, ისევე, როგორც ღვთაებრივი სიბრძნე ადამიანებს. (ბშირად ბავშვები მკვახე ნაყოფს ეტანებიან) ყვითელ ფერს ხილი ნაყოფის საბოლოო ფორმირებისას ღებულობს. დავუბრუნდეთ ზემოთ ნათქვამს. ქ. გამსახურდიას მიერ გამოყენებული „ლომისფერი ქედები" არა მარტო ცალკეულ ფერს გამოხატავს, არამედ ფერთა მისტერიას, მათი კოსმიური შინაარსის საფუძვლებს ეხმაურება ადამიანში.

ქრისტეს ნიმბის ფერი მოედო ყანებსა და ხეხილს.

ყვითელი ფერი — ნაყოფის სიმწიფე, ბალახის ჭკნობა.

ორგვარად მოქმედებს მზის სხივი მცენარეულზე: ცალკერძ ამწიფებს, ალავსებს და ავლავრებს ნაყოფს თესლითურთ, რომელიც მომავალი ცხოვრების ჩანასახია. მეორეკერძ, სიკვდილის ცელივით ჩამოუქროლებს ფოთლებს და ბალახეულს აჭკნობს და სწვავს ყოველივეს, რაიც მომავალი ცხოვრების ჩანასახი არ არის და გვიანი შემოდგომის გადაბუგულ ველებზე სტოვებს ამაზრზენად გაძარცვულ ხეებს და ჯაგნარს, შედედებული სისხლივით რომ აჰკრობიან დამრეც ფერდობებს. მხოლოდ ნაყოფის გრილ, ოქროსფერ ჯან-სურნელოვან წვენში შთამალული თესლის ხრტილოვან, ან ტყავივით გამძლე გარსში დავანებული სიცოცხლე გადაურჩება ხელყოფას მზისგან. ადამიანურ არსებას მხოლოდ გრძნობისა და სიყვარულის დინამიკით განმსჭვალული სიბრძნე ამწიფებს კანონზომიერად. ნაყოფის წვენსაც ხომ სჭირდება წვიმა და ჰაერი. უამისოდ იგი უდაბნოსავით მშრალ ინტელექტად დაშთება ოდენ, რომელსაც მუდამ ჩაუსაფრდება შთანხთქმელად უდაბნოს ლომი. (ლომის ნეგატიური, აჰრიმანული მხარე) (პეტრეს ეპისტოლე) ადამიანს მე-ს თავისუფლების განსავითარებლად უთუოდ სჭირია ფიზიკური სამყაროს მეცნიერული (რაციონალისტურ-ემპირიული) ათვისება. ეს გახლავთ მისთვის ტყავის ან ხრტილოვანი გარსი, კოსმოსისაგან გამომყოფი მისი მეობის. სა[illegible]

თარი აქტიობისა და თავის[illegible] [illegible] [illegible] [illegible] გაზრდა [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ნაყოფებულ [illegible] თესლი [illegible] ზამთარში შე[illegible] [illegible] [illegible], მზედ რომ დასტოვა [illegible] [illegible] [illegible] იგი კოსმოსთან. [illegible] [illegible] ღრმად შეერთების, რაც უკვე მეცნიერული სინთეზისა და ინტეგრაციის მეთოდს შეესაბამება არაორგანულ ბუნებაში, ძველი მხოლოდ ნარსულიდან შემორჩენილ სიტყვის გავაგონებს მიზეზშედეგობრიობის ის ლოგიკური ჯაჭვი, არაორგანიული ბუნების განუყოფელ მოვლენობასთან რომ მივუყავართ. შემდეგ ადამიანი ორგანიულ ბუნებაზე გადადის. იგი ამჩნევს სოლიარულ პრინციპს მცენარეში. მცენარეთა ან გასაოცარ რელიგიას, სინათლის წიოვებისადმი მის ფანტასტიკურ გულმოდგინებას. მათ უბიწო გამრავლებას, მათი ფორმალქმნის შინაგან პრინციპს, მცენარეული და ცხოველური პირველფორმის და სხვადასხვა პოპულაციებში მათი გარდასახვის ადსაქმელად ცნობიერების ახალი, მხატვრულ-ნათელმხილველური ცნობიერების შეძენის აუცილებლობას. გოეთეს შემეცნების თეორიის საფუძველს რომ წარმოადგენს და ისე, როგორც მინერალიდით გაპკვრივებული თესლიდან აღმოცენდება სიცოცხლის პრინციპის მატარებელი ნვენსავსე მცენარე, გაარღვევს მიწის მკვრივ ზედაპირს და ჰაერისა და სინათლეულ ძალებს ეზიარება, ასე უნდა გაარღვიოს ადამიანზე არაორგანული ბუნების მკვდარი გეომეტრია და არითმეტიკა, ზომა-წონის სული ემპირიულობისა და აღზევდეს ბიოლოგიურ ფორმათა მეტამორფოზის მხატვრულ-ნათელმხილველურ აღქმამდე, მათი პირველფორმის ხილვამდე, ხოლო შემდეგ ადამიანური მიკროკოსმოსის და მაკროკოსმოსის შესატყვისობამდე, ანთროპოლოგიურ შემეცნებამდე. მიწაში ამარდ ჩადებულ, განუვითარებელ თესლს შეესაბამება მშრალ ინტელექტს მიჯაჭვული ადამიანი. მშრალი ინტელექტის სიმბოლო და ამიტომ უდაბნოს ლომის (აჰრიმანის) მსხვერპლი ხდება იგი. ხოლო ვისაც კოსმოსიდან მომდინარე სულიერ იმპულსებს შეუსატყვისებს დედამიწის ფორმათა და მოვლენათა სიმბოლოებს, როგორც სამსოხი, ტკბილ თაფლს ეზიარება იგი ლომის სტომაქიდან, ე. ი. ეზიარება იდუმალებას იმ მზიური ძალებისას, ლომის ზოდიაქოს (ივლისის) ძალებით რომ ქმედებენ მცენარეულ სამყაროში, კერძოდ, სინათლის შემცველი ყვითელი ფერის, და სიტკბოს (გემოს) ჩამოყალიბების პროცესის საიდუმლოებას, რომ განაპირობებენ გემოს სტაბილურობა ცხოველთა სამყაროში გამორიცხავს ამგვარი დაკვირვების შესაძლებლობას (ეს გახლავთ სწორედ ის და ტკბილი თესლის მოქმედება მცენარეულ სამყაროში) ეს ის ლომია, უცხოს [illegible] ოქრომჭედელს რომ გამოუხატავს [illegible] ბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიეფზე რომლის კიდიც სწორედ მცენარეული ორნამენტით შეემკოა. მასზე წმინდა მამათა ხის, როგორც შემეცნებელი ლომის კოსმიური ძალების. მას აღარ ემუქრება მტაცებლური სამყაროს ლომისა, რადგან მისი თავი საიმედოდ არის მიმაგრებული (მიკრული) აზროვნების ბოლსეულ კვერთხზე, რომელსაც ველარ მოსწვდებიან ინსტინქტები და ემოციები. შემთხვევით როდი დაასხა ავთანდილმა გულშემოყრილ ტარიელს გამოსაფხიზლებლად გულზე ლომის სისხლი. დღის ცნობიერებით მოაწყო [illegible] მან ინტელექტი ჭკრბი ემოციები [illegible] გობარში; შემდეგ ცხენზედაც შესვა იგი, ცხენის დამარკებელი მხედარი კი ოდითგანვე სიმბოლოა ინტელექტით დაბალი ინსტინქტების დაოკებისა.

„ვეფხისტყაოსნის" თინათინი და ავთანდილი ერთ სულისკვეთებას, ერთ პრინციპს გამოხატავენ. ეს გახლავთ სიბრძნისა და მიჯნურისადმი თავდადების სულისკვეთება.

# დაინგრეს თუ გარდაისახოს

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

ამგვარად მთავრდება უმეტესწილად ორატორთა გამოსვლები ბოლო ხანებში გამართულ მრავალათასიან მიტინგებზე.

იგი უმთავრესი ლოზუნგია მსვლელობის დროსაც, რომელსაც ათასების სკანდირება ერთვის. იგია ტრანსპარანტების უპირველესი ლოზუნგიც.

და არც შემთხვევით...

საქართველოს დამოუკიდებლობა დაისახა პროგრამა მაქსიმუმად ამა საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის ზოგიერთმა წევრმა, რომელთაც ადამიანის უფლებები მხოლოდ ერის უფლებებსა და თავისუფლებებთან ერთობლიობაში წარმოუდგებოდათ.

იგივე დაისახეს მიზნად არაფორმალურმა გაერთიანებებმა 80-იანი წლების მეორე ნახევარში.

წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ 1988 წლის 9 მაისს, საზოგადოების ფარგლებში დამოუკიდებლად გამოაცხადა საქართველო, რაც ნიშნავდა, რომ მისმა ნებისმიერმა წევრმა ამიერიდან უნდა იცხოვროს თავისუფალი ქვეყნისათვის შესატყვისი შინაგანი მორალური კანონებით.

ამა წლის 23 ნოემბერს, მთავრობის სასახლესთან გამართულ 100 ათასიან მიტინგზე, ილია ჭავჭავაძის და წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წარმომადგენლებმა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოსთხოვეს, 28 ნოემბრის სესიაზე სსრკ-ის შემადგენლობიდან გაეყვანა საქართველო, რადგან იგი ამგვარი გამოყოფის იურიდიულ უფლებას დაკარგავდა, თუკი სსრკ-ის პრეზიდიუმის 28 ნოემბრის სესია არ გააუქმებდა კონსტიტუციის შესწორებებისა და დამატებების პროექტს, სსრკ-ის შემადგენლობიდან საკუთარი ნებით გამოყოფის უფლებას რომ ართმევდა რესპუბლიკებს და საბუდამოდ აკანონებდა მონობას, აღნიშნული პროექტის უცვლელად დატოვების შემთხვევაში ორატორები ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ, პერმანენტული გაფიცვებისა და თბილისის მკვდარ ქალაქად გამოცხადებისაკენ მოუწოდებდნენ დემონსტრანტებს.

თავისუფლების იგივე იმპულსი ამოძრავებდა ერთი კვირის მანძილზე ათასზე მეტ მოშიმშილეს მთავრობის სასახლესთან. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მათ თანადგომად წამოსულ მოქალაქეთა ჯგუფებს. ეროვნული დროშებით აელვარებული მთავრობის სასახლის შემოგარენი მთელი საქართველოს ყურადღების ცენტრში მოექცა, სადაც დღითა თუ ღამით პერმანენტული მიტინგები მიმდინარეობდა. მიტინგების მონაწილეთა რიცხვმა სამგზის (23, 24 და 25 ნოემბერს) ასიათასი კაცის ოდენობას გადააჭარბა. და ვინ იცის, რა მოხდებოდა, ხელისუფლებას შესწორებათა და დამატებათა პროექტის დრაკონული მუხლები რომ არ შეეცვალა.

დამოუკიდებლობის მოპოვების უკანასკნელი იმედის დაკარგვის საშიშროებამ თავდაყირა დააყენა მთელი საქართველო. სულ უფრო მეტმა მოქალაქემ შეიგნო, რომ ქართველ ხალხს ხელწიფება დამოუკიდებლად არსებობა, რომ ამგვარი არსებობა სიკეთეა ნებისმიერი ერისათვის, რამეთუ მასში მსოფლიო სამართლიანობა გამოსჭვივის.

მაგრამ რა უნდა მოხდეს ამგვარი სამართლიანობის აღსასრულებლად?

რა უშლის ჩვენში ღღეისათვის ხელს უფლებათა და თავისუფლებათა მსოფლიო სტანდარტების ცხოვრებაში გატარებას?

სანუკვარი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად როგორ ვიმოქმედოთ? ფიზიკური ძალის პოზიციას დავადგეთ? ,მაოდ დავშვრებით, რადგან მცირერიცხოვნებისათვისაც რომ მოგვევლო, არმია და რაკეტები კრემლს აქვს მონოპოლიზებული.

მოთხოვნა კონსტიტუციის იმ მუხლის შესრულებისა, რომლითაც სსრკ-ის შემადგენლობიდან გამოსვლის უფლება გვეძლევა, თუმცა როდია ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, მაგრამ როგორც ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი წლის 14 აპრილს, ასევე ამჟამადაც მარტოოდენ ქაღალდზე დაწერილი ფიქტიური გარანტიების შენარჩუნებისათვის გვაბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებამ. ხელოვნურად გვიქმნის იგი დამატებით პრობლემებს, ძირეული პრობლემებიდან ყურადღების ჩამოსაშორებლად ძირეულ პრობლემას, მაქსიმუმის მოთხოვნას, კი რევ-

მერაბ კოსტავა

ლური ძალა უნდა ემსახურებოდეს ზურგს. ხოლო მოთხოვნის ნაცვლად იმპერიის ხელისუფალთადმი თხოვნის ლელუნა ფრიად სასაცილოა, რადგან ზნეობასთან მათ ჭეშმარიტი გაგებით საქმე მაშინ ექნებათ მარტოოდენ, როდესაც ან იმპერიას გააუქმებენ, ან იმპერიის ხელმძღვანელობაზე საკუთარი ნებით აიღებენ ხელს.

მაშ, როგორ ვიმოქმედოთ? რა გავაკეთოთ?

ცხადია, სამართლიანი მოთხოვნებითა და დაჟინებული საპროტესტო გამოსვლებით ჩვენს ბედში მყოფ რესპუბლიკებთან ერთად საფუძვლიანად ვარყევთ და ვასუსტებთ იმპერიას, მაგრამ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ეს როდი კმარა? იმპერია დგას კბილებამდე შეიარაღებული და ძალის პოზიციებიდან ფეხს არ იცვლის.

და რადგან შიგნიდან საპყრობილე არ ტყდება, ისღა დაგვრჩენია, საკუთარ მცდელობათა მეოხად გარეშე ძალასაც ველოდოთ და სასურველის სინამდვილედ ქცევისათვის ამგვარ მოლოდინში იშვის ლოზუნგი:

ძ ი რ ს  რ უ ს ე თ ი ს  ი მ პ ე რ ი ა!

რ უ ს ე თ ი ს  ი მ პ ე რ ი ა  უ ნ დ ა  დ ა ი ნ გ რ ე ს!

ასე ფიქრობს მრავალი, რადგან მრავალი გაამწარა ამ იმპერიამ თავისი არსებობისა და შემზრზენი მეტამორფოზის მანძილზე.

ჯერ კიდევ რომანოვების იმპერიამ, ქრისტიანობის ნიღბით მოსულმა, სიტყვის გატეხვით მრავალგზის შეირცხვინა პირი მაცხოვრის წინაშე.

პეტრე პირველმა სიტყვა გატეხა ვახტანგ მეექვსესთან, ოდეს სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ომისათვის განაზრახა და ანაზდად ზურგი აქცია.

ეკატერინე მეორემ და მისმა სარდლობამ მრავალგზის უმუხთლეს ერეკლე მეორეს და კრწანისის ტრაგედიაც მთლიანად რუსეთის სინდისზეა.

რუსეთმა დაარღვია გეორგიევსკის ხელშეკრულება და გააუქმა საქართველოს სამეფო, ავტოკეფალია წარსტაცა ქართულ ეკლესიას და აკრძალა ქართული ენა სკოლებსა და დაწესებულებებში. სხვა ერებსაც იგივე არგუნა დამპყრობელმა: გაანადგურა ზაპოროჟიეს სეჩი, ააყარა და მთელს რუსეთში გაფანტა უკრაინის კაზაკობა, საუკუნეების მანძილზე გზას რომ უღობავდა თურქებს მოსკოვისაკენ. პუშკინის პირით ლანძღა მთელს ევროპაში სახელგანთქმული უკრაინის გმირი მაზეპა და მის ნაცვლად მოღალატე კოჩუბეის უკმია საკმეველი.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპის ჟანდარმად იქცა რუსეთი. სისხლში ჩაახრჩო პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხოლო პირსისხლიანი ნიკოლოზ პირველი ლაიოშ კოშუტისაგან შევიწროებულ ავსტრიის იმპერიას მიეშველა არმიით და დამოუკიდებლობის მოპოვების ს[illegible] უნგრეთს.

უარესი მოუვლინა სამყაროს ახალმა სოციალისტურმა იმპერიამ რუსეთისამ ბოლშევიზმის სახელით რომანოვების იმპერიის წიაღში აღმოცენებულმა. ტყვიით განგმირა მან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი საქართველოში, ილია ჭავჭავაძე. ულმერთობისა და კლასობრივი ზიზღის იმპულსები დათესა ყველგან, პროლეტართა ძმობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის საბაბით გაამართლა სხვა ქვეყნების დაპყრობა და ახალი, გაცილებით შემზარავი და თეორიებით უტიფრად გამართლებული, მოდერნიზებული იმპერიის საფუძველი მოამზადა. ლენინი აშკარად რომანოვების მემკვიდრედ მიიჩნევდა თავის თავს, როცა ზავის დადებისას ბრესტში, გერმანიის მოკავშირე თურქეთს სთავაზობდა სამხრეთ საქართველოს მიწებს, იმჟამად რუსეთს რომ არ ეკუთვნოდა. გაოცებას იწვევს საქართველოს მენშევიკური მთავრობის სიბეცე, ამის შემდეგაც რომ ვერ განსჭვრიტა მისი ვერაგობის მასშტაბები.

დიახ, საქართველო დაიპყრო და 26 მაისის ზეიმი 25 თებერვლის ძაძებით შეცვალა ბოლშევიკურმა რუსეთმა. მაშინვე მოაწყო ოციანი და ოცდაათიანი წლების სასაკლაო. ძმა ძმას ჯაშუშად შეუჩინა და საკონცენტრაციო ბანაკებით გაავსო ქვეყანა, ადამიანური სინდისის ნანგრევებზე უტიფრობისა და დაუნდობელი ფანატიზმის გუთანი გადაატარა, ამ ჯოჯოხეთურ ხნულებში შიშისა და სულმდაბლობის კუპრის ფერი თესლი უხვად მოაპნია. ანგრია ეკლესიები და მუსრა სასულიერო პირები. ყველგან კერპად მონგოლის თვალებიანი, არაესთეტიური გამომეტყველების გამოსახულება აღმართა და მასზე ალოცა ხალხი. უწიფარ, ოქტომბრელებად შერაცხულ ძუძუმწოვარა ბალღებს აკვნიდანვე მოახვია თავს მისი იდეოლოგია, რათაც იმთავითვე შეურაცხყო ადამიანში თავისუფალი არჩევანის და „მე" ცნობიერების განვითარების საკრალური იმპულსი. ასე, რომ ბავშვების მიმართაც იდეოლოგიური პოლიციის იმპერიას ახორციელებდა იგი.

ფარისევლობის ეტალონად ქცეულმა რუსეთის მოდერნიზებულმა იმპერიამ ერთ დროს თავისი სოციალიზმი ნაციონალ-სოციალიზმთან შეაჯერა. მინსკიდან რადიოტალღებით ეხმარებოდა გერმანელ ფაშისტებს ვარშავის დაბომბვაში. ჰიტლერთან ერთად დაინაწილა პოლონეთი. მისივე თანხმობით დაიპყრო ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. და თუმცა ამჟამად ჰიტლერის კვალობაზე სტალინიც დაგმო, საოკუპაციო ჯარების გამოყვანას ამ ქვეყნებიდან მაინც არ აპირებს. ევროპის დანაწილებაში ოდესღაც პარტნიორი ჰიტლერისა, 45 წლის მანძილზე ყოველ 9 მაისს ზეიმობს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს. ევროპის განთავისუფლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმბოლოდ რომ მიუჩნევია. სწორედ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ იქცა რუსეთი ევროპის უარეს ჟანდარმად. ახალი სიმძაფრით განმეორდა გასული საუკუნის სურათი: რამდენიმეგზის სისხლში ჩაახრჩო მან პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ცრემლის ტბა დააყენა უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. თითქმის ნახევარი საუკუნეა, ორად ჰყავს გახლეჩილი გერმანია და მთელი ევროპა. ევროპის ტრადიციულმა ჟანდარმმა სხვა კონტინენტებიც არ დაინდო. მისი მეოხებით აღმოცენდა მაო ძე დუნის, კიმ ირ სენის და ფიდელ კასტროს ტოტალიტარული რეჟიმები, მანვე განიზრახა ავღანეთის დაპყრობა. ესაა იმპერია, გასაბჭოებისთანავე თითქმის ნახევარი რომ დაურიგა მეზობელ ქვეყნებს, დემოგრაფიული და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე რომ დააყენა ქვეყანა, რომლის ხელმძღვანელობამ შეუნიშნავად უწყის, თუ რა მოუვა მცხეთას, თბილისს და რუსთავს, კოლხეთის დაბლობს, ჟინვალსა და ენგურჰესთან სპიტაკისა და ლენინაკანის მსგავსი მიწისძვრა რომ განმეორდეს, იცის და მაინც არ იღვწის მათ დასაცველად, რადგან ელექტროენერგიას ადამიანებზე, მთელი ერის უსაფრთხოებაზე მაღლა აყენებს. იმპერიას, მცირერიცხოვან ხალხთა ასიმილირებას, ნაცრისფერ მასად ქცევას რომ ლამობს, შეგნებულად ხომ არ განუზრახავს ქართველი ერის გენოციდი? საკვირველი ისაა, საკუთარი ხალხისთვისაც იმპერია რომაა იგი, ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული იმპერია, რადგან ცენტრალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით კულტურისა და ეკონომიკის სფეროთა დაუზოგავ ადმინისტრირებას ეწევა ნიადაგ, არ აძლევს საკუთარი კანონებიდან გამომდინარე განვითარების საშუალებას.

ესაა იმპერია, სადაც სამოსავლო შესაძლებლობების 85% სოფლის მეურნეობაში ამაოდ იკარგება, რადგან საკარმიდამო ნაკვეთებზე, სახნავ-სათესი სავარგულების 3%-ს რომ წარმოადგენს, მთელი მოსავლის ერთი მესამედი მოდის. ტოტალიტარული სახელმწიფოს ქმედითი ადამიანების მომძლავრებას ეკონომიურად, საერთო, საყოველთაო სიღატაკე, უინიციატივო „თანასწორობის“ თუნდაც ყველაზე დაბალი, ნულოვანი მაჩვენებელი ურჩევნია, ხოლო ეროვნული კულტურებისა და ეკონომიკის ავტონომიზებას ცენტრალიზებისა და საყოველთაო მონოპოლიების გზით დამკვიდრებული ერთფეროვნება. არარაობის, არაფრისაკენ მიემართება ამგვარი ყოფა. პურის ნაცვლად ქვას მობაგებს ნომენკლატურის იმპერია.

სიტყვის, პრესის, დემონსტრაციების, მიტინგების და გადაადგილების თავისუფლებას ითხოვ? პრესაში, ტელევიზიაში უსაფუძვლოდ გაგლანძღავენ და პასუხის უფლებას არ გაძლევენ მიტინგისა და დემონსტრაციისათვის გაჯარიმებენ სახელმწიფოს სასარგებლოდ. ცემას, დარბევასა და დაპატიმრებასაც არ ერიდებიან, თავად კი ყოველ 7 ნოემბერს და 1 მაისს უგანცხადებო დემონსტრაციებს მართავენ წინასწარი ორკვირიანი რეპეტიციებით.

დედამიწაზე თავისუფლად გადაადგილებას ითხოვ? თბილისიდან მოსკოვში, თუ დასჭირდათ, ქუთაისსა და ბათუმში არ გაგიშვებენ, ჩამოგსვამენ მატარებლიდან, ავტობუსიდან, მსუბუქი ავტომობილიდან, თვითმფრინავიდან და უკან გაგისტუმრებენ. საზღვარგარეთ მოისურვებ წასვლას საცხოვრებლად? თუ გაჯიუტდი, ჯანდაბის იქეთაც გზა გქონია, უკან გადმოუადგილებლად გადაადგილდები.

არ მოგწონს ამგვარი გადაადგილება?

წინაუკმო მანძილის სატკეპნად საკანს და საკონცენტრაციო ბანაკს განგიმწესებენ, და ყოველივე ამისაგან სულშეხუთულსა და ნერვებდაძაგრულს ანაზდად აღმოგხდება:

ძირს თვითნებობისა და ქაოსის სამკვიდრებელი!

ძირს რუსეთის იმპერია!

უნდა დაინგრეს! უნდა დაინგრეს! უნდა დაინგრეს!

დაინგრეს? მაგრამ როგორ? სად არის ძალა მისი ძლიერების გადამლახავი? და რომ აღმოჩნდეს, განა უშველის საქმეს? ნებისმიერი იმპერია დანგრეულია და მზვაობრობა ხელმწიფეთა არარაობად ქცეული, მაგრამ ძველი იმპერიები იმგვარ ძალას დაუნგრევია, რეალურად ან პოტენციურად ახალ იმპერიას რომ ატარებდა საკუთარ თავში. იმპერიებს უმეტესწილად ახალი მომავალი იმპერიის შემქმნელი ბარბაროსული ძალა ანგრევდა. რომის იმპერია ევროპის ბარბაროსულმა ტომებმა დაანგრიეს, შემდგომად რამდენიმე ხნისა, კარლოს დიდის იმპერიას, ევროპული იმპერიის მოდუსს რომ ჩაუყარეს საფუძველი, პროვინციებში ატეხილმა აჯანყებებმა და ტახტის მაძიებელთა ურთიერთშორისმა ომებმა დააუძლურეს ბიზანტიის იმპერია, რის შედეგადაც თურქეთის იმპერიის ჯალმა ველურმა ძალამ ოკეანესავით გადაუარა, ამით უკეთესი დღე როდი დაადგათ ადრე ბიზანტიის იმპერიაში შემავალ დაპყრობილ ქვეყნებს. იგივე დამართეს რომანოვების იმპერიას უფრო სასტიკი იმპერიის შემქმნელმა სოციალ-დემოკრატებმა.

ასე, რომ იმპერიას მხოლოდ მომავალი იმპერიის შემქმნელი ველური ძალა ანგრევს, იმპერიის დანგრევას კი უთუოდ ახალი იმპერიის შექმნა მოსდევს და ღირსების დონის შესაბამისად ისევ და ისევ გრძელდება ახალ დამპყრობელთა წინააღმდეგ დაპყრობილი ერების ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად.

ახლა კი ვეძიოთ ის გარეშე ძალა, რუსეთის იმპერიას რომ დაანგრევს. ვერც ამერიკასა და ვერც ევროპაში, ამგვარ ძალას ვერ იპოვით. ამ რეგიონის ცივილიზებულმა ქვეყნებმა დიდი ხანია დაჰკრეს იმპერიალიზმს [illegible] თავად [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეთი მათთან შედარებით პაცილებით ვულ[illegible]რად გამოიყურება. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა ზოგიერთი ცნობილი პიროვნების აზრი: ნოსტრადამუსის, სენტიუ გალვეიდრის, ვლადიმერ სოლოვიოვის, შტაინერის და ამალრიკის წინასწარმეტყველებით, რუსეთის იმპერია ჩინეთმა ან ისლამური ფანატიზმით შეპყრობილმა სწრაფადგამრავლებადმა მუსულმანური ქვეყნების კოალიციამ (ან ორივემ ერთად) უნდა დაანგრიოს ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის დახმარებით. მაგრამ ასეც რომ მოხდეს, განა ეს უშველის საქმეს? რა ბედენაა, თუკი ერთი იმპერიის დანგრევას უთუოდ ახალი იმპერიის შექმნა მოჰყვება? ეს პროცესი გარდაუვალია და ამიტომაც სასურველია შეწყდეს იმპერიების ამგვარი ესტაფეტა. დაე რუსეთი იყოს უკანასკნელი იმპერია და სხვა ახალი იმპერია რომ არ აღმოცენდეს, ნურას დაინგრევს, არამედ თავად განაცხადოს უარი იმპერიობაზე, როგორც ოდესღაც დასავლეთ ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა განაცხადეს. მანამდე კი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა დაპყრობილმა ქვეყნებმა [illegible]არჩენისა და ეროვნული აღორძინებისათვის უნდა იბრძოლონ, რადგან, რა თავში იხლი დამოუკიდებლობას, თუკი აღარ იარსებებ, როგორც ერი. შეიძლება მოგეჩვენოს, რომ გადარჩენისა და აღორძინების აღნიშნულ გზას ანუ პროგრამა მინიმუმის სისრულეში მოყვანას, კონფედერაციისაკენ მივყავართ. მაგრამ ეს ასე როდია. ერთა საკეთილდღეოდ იმპერიის ხელისუფლებისათვის თანამიმდევრულად გამოგლეჯა მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსის ცხოვრებაში რეალიზებისა, მოქალაქეობის შემოღებისა, ეროვნული არმიის უფლებისა, ეკონომიკური და კულტურული ავტონომიისა და ა. შ. იმპერიას კონფედერაციად ვერ აქცევს. კონფედერაცია[illegible] ეტაპი როდია ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე სანახევროდ მოპოვებული თავისუფლება სავსებით გამორიცხავს მას. კონფედერაციას მხოლოდ ერების სრული დამოუკიდებლობა უნდა უძღოდეს წინ. დამოუკიდებელ ერთა ნებაყოფლობით უნდა იქმნებოდეს იგი. ამიტომაც მიგვაჩნია არალოგიკურად დაპყრობილი ქვეყნების მიერ კონფედერაციის მოთხოვნა, ხოლო დამპყრობლის მიერ დაპყრობილი ერებისათვის კონფედერაციის შემოთავაზებას მხოლოდ მაშინ აქვს მორალური გამართლება, როცა ამ ნაბიჯს წინ უძღვის ამ ერების სრული განთავისუფლება, მათთვის საკუთარი სურვილისამებრ მოქმედების უფლების მინიჭება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისგან კონფედერაციის შემოთავაზება ახალ [illegible] უნდა მივიჩნიოთ, იქრობს [illegible]კილად, პრივილიგირებულ მონობად დამოუკიდებლობის ნაცვლად. კონფედერაციის იდეა შესაძლოა უფრო საყოველთაო და ეროვნულ პატრიოტული მოძრაობების ყველაზე გამაერ[illegible]თიანებელ იდეალ მიიჩნევს ზოგიერთის რომ-გან სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. სსრკ-ის შემადგენლობაში შემავალი ცალკეულმა ერებმა შესაძლოა გამორიცხონ ურთიერთი, მაგრამ კონფედერაციისათვის ბრძოლაში ურთიერთგამორიცხვა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ერთიანობა გარანტირებულია იქნება პოტენციური დიპლომატიური ხელსაყრელობის მომენტიც: რომ კონფედერაციის იდეას დაპყრობილ ერთა ერთობლივი მოქმედების გარანტს — მეტად გაუწევენ ანგარიშს რუსეთის იმპერია და დასავლეთის დიპლომატიური წრეებანი. [illegible] ერთნი მის ფიზიკურ [illegible] მყოფენი მის მორალურ ძალას [illegible] მოამზროვნე კაცისათვის ერთი [illegible] თუ არა დარისა [illegible] ამგვარი [illegible] ერში ენის სახელმწიფო სტატუსის, [illegible] ქონების უფლების, ეკონომიური ავტონომიისა და სხვა საკითეთა მოსაპოვებლად შეიძლება ერთობლივად იბრძოლონ რუსეთის იმპერიაში შემავალმა ერებმა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა კონფედერაციის შესაქმნელად. ამგვარი ერთობლივი ბრძოლის პროგრამა მაქსიმუმად კი ამ ერების სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უნდა მივიჩნიოთ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი მათი საქმე იქნება, მოისურვებენ თუ არა ისინი კონფედერაციის საფუძველზე ურთიერთშორისი კავშირის დადებას, რადგან მხოლოდ დამოუკიდებლობაში თანასწორობაა ჭეშმარიტი თავისუფალი ნებისა და ერთაშორის ნებაყოფლობითი კავშირების საწინდარი. მოისურვებენ თუ არ მოისურვებენ მას დაპყრობილი ერები, რუსეთს მხოლოდ ერთი გზა დარჩენია. მისი ხელისუფლების ერთადერთ სურვილად იმპერიის კონფედერაციად გარდაქმნა უნდა იქცეს. ამიტომაც სრული დამოუკიდებლობა უნდა მიანიჭოს მან მის მიერ დაპყრობილ ერებს, რაც უპირველეს ყოვლისა, მათი ტერიტორიებიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანით უნდა გამოიხატოს. უნდა დააჩქაროს რუსეთმა ეს პროცესი, რათა თავიდან აიცილოს ყველა დროის იმპერიებისათვის გარდუვალი ხვედრი, რომლის ულმობლობას, საყოველთაო ტოტალიტარიზმისა და ჯერარნახული ცენტრალიზაციის ჯოჯოხეთური სისტემაც კი წინ ვერ აღუდგება. ამის შემდეგ კი უნდა იცოდეს [illegible] რუსეთმა, მოისურვებენ თუ არა თავისუფალი ერები მასთან კავშირის დადებას კონფედერაციის საფუძველზე. მხოლოდ ამგვარი მეტამორფოზა იხსნის მას სულიერი კრიზისისა და ფიზიკური განადგურებისაგან.

ასე, რომ, ჩათრევას ჩაყოლა, დანგრევას გარდაისახვა უნდა ამჯობინოს მრავალ უსამართლობათა მიზეზმ[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაკა ჯოხაძე

# „თქვენ გმირი მოგხიბლავდათ"...

## ოთარ ჩხეიძის რომანის „ბორიაყის" მიხედვით

ცენტრალური რუსული პრესა „გარდაქმნის" შემდეგ არა მარტო თავის დროზე რეპრესირებულ, გადასახლებულ და გარდაცვლილ მწერალთა დაუბეჭდავი ნაწარმოებებით აივსო, არამედ ცოცხალ, ამჟამად მოღვაწე არაერთი მწერლის ნაწარმოებებშიც იხილა დღის სინათლე. აღმოჩნდა, რომ საარქივო პორთფელები თუ მაგიდის უჯრები სავსე ყოფილა მრავალი სატირული მოთხრობით, რომანით, პიესით, რომელთა მხატვრული ღირებულება, როგორც წესი, მეტნაკლები ესთეტიური მნიშვნელობით ხასიათდება. მაგრამ ეს მწერლები პრობლემატიკის, აქტუალობის, დროის სიტყვიერი თვალსაზრისით წლების განმავლობაში ჩუმად იღვწოდნენ და მუშაობდნენ. უსამართლობის რთულ პერიოდში, ისევე როგორც რეპრესიების საბედისწერო წლებში ფარხმალს არ ყრიდნენ, ხელიდან არ უშვებდნენ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველ საკუთარ უმთავრეს იარაღს — მხატვრულ სიტყვას.

ამ მხრივ ქართულ ლიტერატურულ სამყაროში აშკარად განიცდება უცნაურობის გრძნობა. და ეს მაშინ, როცა ფაქტიურად მოიხსნა სახელმწიფო ცენზურა, აზრისა და შემოქმედებითი პროცესის ეს უპირველესი და უმძლავრესი მუხრუჭი. აღმოჩნდა, რომ დროის განცდით დადასხმული, ძლიერი და მნიშვნელოვანი გამოუქვეყნებელი ნაწარმოები თითოოროლა გამონაკლისის გარდა, არც გვქონია. ეს იმითაც აიხსნება, რომ ქართველ მწერალ-რედაქტორთა საუკეთესო (მცირე) ნაწილი საკუთარი მოქალაქეობრივი გამბედაობითა და პირადი რისკით ასეთი ნაწარმოებების დასტამბვას ბედავდა და არ უშინდებოდა.

მე არ ვიცი როგორ განვითარდება „გარდაქმნის" შემდეგომი პერიოდი, რით დასრულდება იგი. ამ პროგნოზირების უფლება იქნება იმის გამოც არა მაქვს, რომ საკმაოდ სკეპტიკურად ვარ ყოველივე იმისადმი განწყობილი, რაც საკავშირო მასშტაბით ხდება. დიდი ანგარიშით ეს „გარდაქმნა", პირადად ჩემთვის, „პოლიტიკური სპექტაკლის", გრანდიოზული პოლიტიკური სპექტაკლის ხელწერით უფრო შესრულებული, ვიდრე ჭეშმარიტი, რადიკალური ცვლილებების, გარდაქმნებისა და იმპერიის მსხვრევის სურვილით. მაგრამ რითაც უნდა დამთავრდეს, მოცემულ ეტაპზე ქართული ლიტერატურისათვის იქნებ იმიტომაც ღირდეს იგი, რომ ამ წლებს, ამ ეპოქალურ ქარიშხლებს როგორღაც გამოვტაცეთ, ხელიდან გამოვგლიჯეთ გრიგოლ რობაქიძის ფენომენი, მომავალ თაობებს, ისე როგორც დღევანდელ მკითხველს, საშუალება მივეცით არა მხოლოდ „გველის პერანგი" წაეკითხა ათეული წლების მერე ხელახლა, არამედ სრულიად უცნობ ესსეებს, გამოკვლევებსა და რომანს („ჩაკლული სული") გასცნობოდა. ბედნიერებაა, რომ არა მხოლოდ პრობლემატიკის, არამედ ოსტატობის თვალსაზრისითაც მომავალი ლიტერატორები აღმოჩენებისა და შეგირდობის სასიამოვნო წლებს გაივლიან ამ დიდი მხატვრისა და მოაზროვნის წყალობით.

თვით ბედისწერის თვალსაზრისითაც სავალალო და სიმპტომატური ფაქტია, რომ გრიგოლ რობაქიძის რომანი „ჩაკლული სული" ქართულ ენაზე კი არა, გერმანულ ენაზე მოგვეპოვება და დღესდღეობით მხოლოდ ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნებული თარგმანის მეშვეობით ვეცნობით მას. სწორედ გერმანულის წყალობით იმდროინდელი ევროპული საზოგადოება თავის დროზე რომან „ჩაკლული სულით" ეზიარა იმ რთულსა და უმძიმეს წლებს, იმ აბსურდულ, გამოუვალ ყოფასა და სიმძიმეს, ეჭვითა და უნდობლობით გაჟღენთილ იმ პოლიტიკურ ატმოსფეროს, რომელშიც ეს სამოთხისდარი ქვეყანა — საქართველო იყო ჩათრეული

დოებასა თუ პარტიებს შორის სულ უფრო და რომელშიც არა მხოლოდ უკეთურ და ბოროტ ადამიანთა ზრახვები მჟღავნდებოდა ლაქმუსივით, არამედ ტრაგიკული მოვლენები და ფსიქოლოგიური ძვრები მიმდინარეობდა; მინიმუმამდე იყო დაყვანილი ის სიტუაციები, საშუალებები და პროცესები, რომლებშიც ადამიანი თავის საუკეთესო თვისებათა ჩვენებასა და გამჟღავნებას შეძლებდა. სამაგიეროდ, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ადამიანს თავისი ამაღლებული, კეთილშობილური სახე დაეკარგა და პიროვნება არარაობად ქცეულიყო იყო პერიოდი როცა ათასნაირ დაჯგუფებებს, საზოგადოებებსა თუ პარტიებს შორის სულ უფრო და უფრო სატანური სისწრაფით ძალღონეს იკრებდა ბოლშევიკური პარტია. სულ უფრო მეტი უდანაშაულო ადამიანის სისხლი იღვრებოდა. ეს გააფთრებული წლები სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლის კიდევ ერთი კატასტროფული პოლიტიკური ეტაპი იყო, რომელშიც ისე როგორც არასდროს, ეროვნული ცნობიერება მეთოდურად, შემდეგ კი აშკარა თავდასხმებით, ფანტასმაგორიული, კოშმარული მეხთატეხებით ისრისებოდა. „ჩაკლულ სულში", — გერმანულ ენაზე შემორჩენილ ამ უაღრესად ქართულ რომანში (სათაურშივეა გახსნილი რომანის არსი) სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებდა ეგრეთ წოდებულ, ბოლშევიკურ კოსმოპოლიტიზმსა და ჯანსაღ ეროვნულ ცნობიერებას შორის. სწორედ იმის გამო, რომ მიზნის მისაღწევად და საკუთარი პლატფორმის განსამტკიცებლად ბოლშევიზმი ნებისმიერ საშუალებას ამართლებდა და ანტიჰუმანურ, ანტიადამიანურ მეთოდებს იყენებდა. ამ მეთოდებისა და ცნობიერების მსხვერპლი მრავალი ღირსეული პიროვნება ხდებოდა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეროვნული ცნობიერების პარალიზებასა და დეგრადირებას, ეროვნული სულის მოშთობას, მის სრულ გაქრობასა და გაუჩინარებას მაგრამ რობაქიძე, მისი მწერლური და ადამიანური ბედისწერა მომავალში მრავალ მკვლევარს მისცემს დაფიქრებისა და აღმოჩენების საშუალებას რობაქიძის ფენომენი, ისევე როგორც მთლიანად მისი პიროვნული და მხატვრული სამყარო, ცალკე უზარმაზარი თემაა...

დღევანდელი არქივებიდან, ქრონიკებიდან პრესიდან უკვე უამრავი რამ გაირკვა. უამრავ სავალალო და თავზარდამცემ საიდუმლოს აეხადა ფარდა, წლობით ტაბუდადებული უამრავი თემა წარმოჩინდა... გაირკვა და ირკვევა, რომ შემოქმედმა ადამიანმა ამ დოკუმენტების საშუალებით, ამიერიდან, შესაძლოა, გამუდმებით კვებოს თავისი მხატვრული წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი (ეს ასეც მოხდება და დარწმუნებულიც ეროვნული ბიბლიოთეკა სრულიად ახალი თაობის წარმომადგენელი ალბათ გაცილებით მნიშვნელოვან მხატვრულ დოკუმენტს შექმნის ამ მძიმე წლების შესახებ, მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

ამჯერად კი ჩვენს სინამდვილეში, ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში არსებობს უაღრესად საყურადღებო, მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები, უაღრესად მართალი და მძაფრი რომანი, რომელიც ეკუთვნის დღეს მოქმედ მწერლებს შორის ერთ ერთ ყველაზე მაღალნიჭიერ ავტორს, ოთარ ჩხეიძეს ეს რომანია „ბორიაყი" (რომელიც, თუ არ ვცდები, დაახლოებით ოცი წლის წინათაა დაწერილი და რომლის მიხედვითაც ქართველმა რეჟისორმა, გიორგი შენგელაიამ შესანიშნავი ფილმი „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" გადაიღო ქართულ კინემატოგრაფიაში იგი ერთადერთი ფილმია, რომელშიც რეპრესიის წლების შედეგად მოგვრილი შიში უაღრესად ფიზიკურადაა განცდილი და ამ გრძნობის, სულიერი და ემოციური სფეროს დათრგუნვისა და ტერორიზების შედეგად მოგვრილი განცდები ვიზუალურად, ფანტასტიკურადაა მიღწეული და გადმოცემული. მე არ ვგულისხმობ და საგანგებოდ არ ვასახელებ თენგიზ აბულაძის ფილმს „მონანიებას", რომელიც, პირადად ჩემთვის, სხვა კუთხით უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო, ვინემ შიშის, როგორც თავისუფლების უძველესი და მარადიული ჯალათის წარმოჩენის თვალსაზრისით.. გიორგი შენგელაიას ფილმში ნებისმიერი კადრი, ნებისმიერი სახლი, ნებისმიერი ეზო კარმიდამო, თვით ჰაერიც კი აქ დამთრგუნველი, ყოვლისმომცველი და შეურაცხმყოფელი შიშითაა აღსავსე და დამუხტული).

შორს ვდგავარ იმ აზრისაგან, თითქოს ადამიანის, პიროვნების წარმოჩენას შემოქმედებაში, კერძოდ, ლიტერატურაში, უსათუოდ ეპოქალური ძვრები, ექსტრემალური სიტუაციები, მოულოდნელი კოლიზიები და ა. შ. მსგავსი „ხელშემწყობი" მომენტები განაპირობებენ.

ნებისმიერ დიდ ლიტერატურაში, რაზედაც უნდა წერდეს მწერალი, სოციალური გარემო, ეპოქა თავისთავად, ბუნებრივად და ძალდაუტანებლად წარმოჩინდება. თვით ასკეტების მიერ დატოვებულ დოკუმენტებში, სადაც სულიერი ცხოვრება მხოლოდ მაღალ მატერიებზე ფიქრსა და ზრუნვაში მიედინება, სადაც თითქმის გამოხშირულია ამქვეყნიური ყოფისა და ცხოვრების მძიმე კარი, ჟამიდან ჟამზე მაინც გაჟონავს ხოლმე ეპოქის სული. ყოველ შემთხვევაში — იმ მიზეზების მცირე და ფერმკრთალი ანარეკლი, რომლის გამოც პიროვნება უარს ამბობს ამქვეყნიურ ცხოვრებაზე და საბოლოოდ მიდის ჩვენგან, რადგან ასკეტებად არ იბადებიან, ასკეტობამდე მიდიან. ასევე მწერლობაც, შემოქმედებაც, რომელიც ეთისა და

იმავე დროს რაღაც დოზით ამ ასკეტობასაც, ამქვეყნიური ცხოვრებისაგან განრიდებასაც გულისხმობს და იმ შეჭირვებებისა და სიმძიმეების საკუთარ თავზე გადატანასაც, რომლითაც ესა თუ ის ხალხი ცხოვრობს ამა თუ იმ სოციალურ, პოლიტიკურ, ისტორიულ მონაკვეთსა და პირობებში. ეს ბუნებრივია, რადგან ნებისმიერი დიდი მწერალი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილიცაა. რაც უნდა წინასწარჭვრეტის, ღრმა ინტუიციისა და მსოფლმხედველობის მწერალთან გვქონდეს საქმე, რომელიც ხშირად მოვლენებს წინ უსწრებს და ეპოქას უკან ჩამოიტოვებს ხოლმე, ის მაინც თავისი ეპოქის შვილი, თავისი დროის პირმშო და პროდუქტია, მეტიც, თავისი თაობის სულისკვეთების წარმომჩენი და მატარებელია. ეს ტრივიალური ჭეშმარიტებაა და ამაზე სიტყვის გაგრძელება ალბათ აღარ ღირს.

მაგრამ ერთი კი აშკარაა. ისე როგორც მდორე, მშვიდი, კონფორმიზმით აღსავსე დღეების წიაღში ჩაფლულ ადამიანში ხდება მოულოდნელი ცვლილებები როდესაც ეს ადამიანი ექსტრემალურ, მძიმე სიტუაციაში მოხვედრისას ლაქმუსივით გამჟღავნდება და საკუთარ თავს, საკუთარ პერსონას სრულიად მოულოდნელ ხარისხებში აღმოაჩენს, ასევეა ეპოქალური ძვრები, ისტორიული გარდატეხები, სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, ეკოლოგიური კატასტროფები, ეთნოკრიზისული მომენტები და ბრძოლები. ყოველივე ეს, ერთად აღებული, და კიდევ უამრავი თვალით ხილული თუ უხილავი პროცესი და მოვლენა უფრო თვალსაჩინოდ გამოხატავს ერის ხასიათს, ერის თვისებებს, ერის პოტენციას, მის ღირსებებსა თუ ჩრდილოვან მხარეებს.

ბუნებრივია, ეს ერები, ეს ხალხები, ეს საზოგადოებები, ესა თუ ის დაჯგუფებები ადამიანებისაგან შედგება და სწორედ ხსენებული, ჩამოთვლილი პროცესები იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანებში პიროვნებები დავინახოთ, სწორედ ამ დროს გამოიკვეთება ასე ცხადად და თვალსაჩინოდ პიროვნების მსოფლმხედველობა, ტემპერამენტი, პასიურობისა თუ აქტიურობის, სიყვარულისა თუ სიძულვილის, რწმენისა და იმედის უნარი, კრიტიციზმი, გონიერება, დიპლომატია და ა. შ.

პიროვნული კრედოს, პიროვნული ინტერესებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ოთარ ჩხეიძის [illegible] რომანი „ბორიაყი", რომელშიც ქართული ხასიათი სწორედ პიროვნებათა შეწყობითაა ნაჩვენები. ქართული ხასიათის მრავალფეროვნება, სიღრმე და ტრაგიზმი სწორედ პიროვნებათა მიერაა გაცხადებული. ამ რომანში თითოეული პიროვნება, თითოეული ადამიანის მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი სტატუსი, ეროვნული და საერთოდ ადამიანური [illegible] ტიკური ეთაპების გამუქებისა [illegible] ბის ფონზე გამოიხატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესაა ისტორიის შემოქმედებითი ინტელიგენციის წრიდან გამოსული ადამიანისა, ახალგაზრდა კომპოზიტორისა, რომელსაც საბედისწერო ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებაში უწევს თავისი მიზნისა და იდეის განხორციელებისათვის საჭირო მოღვაწეობა.

ნიკუშა ჩაჩანიძე, ახალგაზრდა კომპოზიტორი, ცხოვრობს და მოღვაწეობს მხოლოდ და მხოლოდ როგორც ხელოვანი, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში მისი მიზანი რაღაც უნდა დაუჯდეს ქართლში მოგზაურობით (ამჯერად, — ქართლში) ჩაწეროს და შეაგროვოს უნიკალური ხალხური სიმღერები, თავისი არსით, მართალიც, ეროვნული პატრიოტულია, თუმცა თავად ამ საქმიანობას, არ უყურებს მაინცდამაინც როგორც პ ა ტ რ ი ო ტ ი, როგორც მოქალაქე, იგი ამასაც უფრო ხელოვნების სიყვარულით აკეთებს.

ამიტომაა, რომ თითქმის მთელი რომანის მანძილზე იგი როგორც პიროვნება დროის კონტექსტიდან აბსოლუტურად ამოვარდნილია, აბსოლუტურად სხვა განზომილებაში ცხოვრობს. ეს განზომილება კი სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნება, თუ არა მუსიკა, მუსიკის დ რ ო და მ უ ს ი კ ი ს ს ი ვ რ ც ე. მუსიკა, მუსიკა და სხვა არაფერი...

ამიტომაა, რომ ნიკუშა ჩაჩანიძე ვერც თავისი მოძღვარ პედაგოგის გაფრთხილებას აღიქვამს მთელი სერიოზულობით, რომელიც უშლის ამ არეულ-დარეულობის დროს ქართლში სიმღერების შესაგროვებლად მოგზაურობას და ურჩევს, ეგ საქმე მომავლისათვის გადავდოთო. იგი, მთელი ამ მოგზაურობის დროს, თითქმის არაფერს არ აქცევს ყურადღებას, — არც გარემოს, არც ბაზრებში მოზიმზიმე ხალხს, არც გზადაგზა მაღლობ ადგილებზე წამომართულ ციხეებსა თუ სალოცავებს.

„...ელოდა და მიეშურებოდა, ისე როგორც მიეშურებოდა, არც დაძაბნილიყო სადგური გორისა, არც ის დაენიშნებია, თუ ვისი ქეთა ეტლი სად იქნებოდა, არც ისა, ეტლამდის ვინ მიაცილა, თუ ვინ ჩაუჯდა სადგურიდან გორის ციხემდისა, ისე გასინჯეთ ციხეც როდი დაზ[illegible] ხომ ჯობია, ან არც თუ მიუხედავს, ან ასე გადაუცურებია თვალი, ნაზარზედაცა, ხალხზედაცა, ერთი სიტყვით, ქვეყანასა და ქვეყნიერზედაცა, არც თუ უხილავს, არც რა ეძებნინებია, ისე მიეშურებოდა ისეთი რამ ამოეკრა გულში..."

„...ითმენდა მაინცა ითმენდა და წამოსცდებოდა კრძალვითა, გაუბედავად, მხოლოდ კიდევ თუ წამოსცდებოდა, ვერ აჩქარდებით ცოტა მეტადო, — ისე კითხვად წამოსცდებოდა და კითხვითვე მოუგებდა მეეტლეც თუ გაგონია, რასა უყურებდა ჩაჩანი ქერი ამ კვირია ნაზარზედო, მიუგებდა და დაუწრუპუნებდა, ქვეყანაცაო, იქითაცაო, ცხენები ყურს მაინც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიბერტყავდნენ ამისი რა გითხრა, რომ არ გაეგო, ჩანაზი ქერი თუ რა ღირდა ბაზარზედაო. არც გაეგო და ვერც გაიგებდა, მხოლოდ სიმღერის ფასი იცოდა, ღირსება იცოდა, სიდიადე იცოდა მელოდიისა, ბაზრისა, არა, არაფერი იცოდა, არაფერი გაეგებოდა, ვერც მიუგებდა და უნდა ეჩაქჩაქა, ეჩაქჩაქა რახან ვერაფერს მიუგებდა, აბა, მაშ რაო, შეეკითხებოდა კიდეც თუ წამოსცდებოდა, შეეკითხებოდა მეეტლეცა აგრეთვე, ბევრად უარესსაც შეეკითხებოდა, ვერც ვერას მიუგებდა ეს ჩემი მგზავრი, არცთუ ცხენები აუჩქარდებოდნენ...“

ეს არის შემოქმედი ადამიანის პიროვნული ტრაგედია, რომელიც ისტორიული უკუღმართობის გამო ვერ აღწევს თავის მიზანს, სანუკვარ ოცნებას — შეკრიბოს და გადაამუშაოს ხალხური სიმღერები.

ახალგაზრდა კომპოზიტორის მაგალითზე, მისი ცხოვრებისა და ინტერესების სფეროს ანალიზისას განსაკუთრებით ნიშანდობლივი ხდება ერთი მომენტი.

ადამიანს, ხელოვანი იქნება ის თუ არახელოვანი, არასოდეს გაუჩნდება იმის სურვილი, რომ მისმა ცხოვრებამ უაზროდ, უმიზნოდ ჩაიაროს. პირიქით, ნებისმიერი მათგანი ცდილობს ცხოვრებას აზრი მიანიჭოს და ამ აზრის მინიჭება, ხშირ შემთხვევაში იდეალის ძიებით, იდეალის დასახვით ხდება. სწორედ იდეალის მეშვეობით იმუხტება ადამიანის ცხოვრების აზრი, სწორედ ი დ ე ა ლ ი ს მეშვეობით ედება მის არსებობას ფასი.

ნიკუშა ის პიროვნებაა, რომელსაც არასოდეს ხმამაღლა არ განუცხადებია თავისი არსისა და დანიშნულების შესახებ ეროვნულობის, პატრიოტულობის კონტექსტში. მისი მიზანი, სხვა არაფერია, თუ არა ახალგაზრდა ხელოვანის მოქალაქეობრივი და მამულიშვილური მისია — შეკრიბოს და შეაგროვოს ქართული ხალხური სიმღერები, გადაარჩინოს, შთამომავლობას შემოუნახოს ქართული ხალხური გენის მარგალიტები. მაგრამ ეს დიდი და მაღალი ანგარიშით, ანუ, ამ თვალსაწიერიდან ჩვენ, გარეშე ადამიანები ვუყურებთ მის ღვაწლს, ის ადამიანები, რომლებმაც იციან ამგვარი შრომის ნამდვილი ფასი. ამიტომ ახალგაზრდა კომპოზიტორის საქციელს, ძნელბედობის ჟამს იმოგზაუროს ქვემო ქართლში და შეაგროვოს ხალხური სიმღერები, ჩვენ ნამდვილ გ მ ი რ ო ბ ა დ, პიროვნულ ძლიერებად აღვიქვამთ. თუ ყურადღებით გავადევნებთ თვალს ამ ხასიათს, ამ პერსონაჟისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა თვისებებს, მისი ბუნების ნიუანსებს, დავინახავთ, რომ ოთარ ჩხეიძემ მათი შემწეობით სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ზნეობრივ, ეთიკურ-მორალურ მომენტებს მიაქცია ყურადღება და მოგზაურობის, ესე იგი, ქმედების არეალში, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი დასკვნებ... ეს ერთი შეხედვით შეიძლებოდა მომხდარიყო.

ნიკუშა ჩახაიძის მაგალითზე ავტორმა გვიჩვენა, რომ არსებობს ადამიანური მისია, უფრო სწორედ, ადამიანური ბუნება-ხასიათი, რომელსაც ამა თუ იმ მისიის გარეშე ყოფნა ერთი წამითაც არ შეუძლია და რომლის შესრულებაშიც ეს ადამიანი თავისი ამქვეყნად ყოფნის გამართლებას ხედავს... კერძოდ, ნიკუშა ჩახაიძე — ესაა ხელოვანი, რომელიც ისეა შეპყრობილი საკუთარი მიკროსამყაროთი, საკუთარი შემოქმედებითი მიზნით, ხელოვნებას იმდენად ეკუთვნის იგი მთელი თავისი არსებით, რომ ხშირად მისი პიროვნული მისწრაფებები არათუ ვერ „ეღერება“ უხისოხში დროის პრობლემებთან, არამედ ეწინააღმდეგებიან კიდეც მას. ნიკუშა ჩახაიძის პიროვნული ცხოვრება სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიული ყოფის დინების პარალელურად კი არ მიედინება, დინების საწინააღმდეგოდ მიემართება და ხშირად, როცა გარე სამყარო თავისი მოსახლეობით რაღაც დიდ იდეას (ამ შემთხვევაში, თავისუფლების მოპოვების იდეას) ჰყავს შეპყრობილი, ნიკუშა ჩახაიძისთვის თვით ეს იდეაც თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა, სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ერის შემოქმედების შეგროვება, დაცვა, გადარჩენა და მოვლა-პატრონობა.

ამიტომ შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ რომანის დასაწყისში სწორედ მოგზაურობაზეა მწერლის აქცენტი გადატანილი და იგი თბილი ირონიით ცდილობს გლობალური, ზოგადსაკაცობრიო მოგზაურობებისა და აღმოჩენების ფონზე ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობის მიზნის წარმოჩენას:

„ძველი ნათქვამია, მოგზაურობა ფათერაკიაო, არც არად ივარგებს მოგზაურობა უფათერაკოდო.

მოგზაურობა შთაბეჭდილებაო, ძველივე ნათქვამია, ფათერაკები რაღად უნდა მოგზაურობასა, ყველა და ყველაფერი შთაბეჭდილებებით რო ავსებს ადამიანსა ჟამსა მოგზაურობისაო.

ფიქრთა გასართველია მოგზაურობაო, ძველია ესეცა, არგებს სულსა, მერე ხორცსაო, ანთუ ჯერ ხორცსა, მერე სულსაო, სულერთია, ფიქრთ გასართველიაო.

მოგზაურობა საქმეაო, ძველივე გაბლაყს, მოგზაურობა მიზანიაო, ძველია, ძველი, ძველადვე განმჭობილი, ძველთაგანვე შეუთანხმებელი, ქაცია და გუხებაო, ვისაც თუ როგორ რო მგონებია, უთქვამს ისედაც და ისედაც უმოძრავია ამ ცოდომადლით გამოჭექილ წუთისოფელშიო, მხოლოდ ესაა თავის გზაზე რო ულია წუთისოფელსა, მხოლოდ თავისსა, თავის გზაზედა, ერთი გზისაში თუ ერთი ჰქუისანი არ ამყოლიან არასოდესა, დავე ქიდილიც ამისაგან წარმომობილა, სისხლის ხვანებიც ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქე, ხან სულ უბრალო აზნაურს მოქალაქის მრისხანე მოვლენანი, გასაოცარი მოგზაურობაც დაწყებული შემთხვევის წყალობით, ასე ყოფილა, აბორძიკებულა, ასე ბედი დაჰყოლია გურამიშვილისაც „დავითიანი" შეუქმნია, ამის წყალობით — ვინ უწყის მართლაც ამის წყალობით.

მოგზაურობა ბევრგვარი ყოფილა, ბევრგვარი ყოფილან მოგზაურნიც. მოგზაურობას ბევრი რამ მოაქვს, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიც მოაქვს ერთხან, მოგზაურობისა კონტრასტში გაქრაც მოაქვს ამავე ერთხან — მოგზაურობა ყოფილა ყველაფერი, ყველაფერი მოგზაურობა ყოფილა.

ნიკუშას ამბავიც მოგზაურობაა, ო, ეს ამბავი, აბა რომ მოვითხრობთ, ძველიცაა, თუმცა ისე ძველიც არაა, თუ აღმოჩენებით რომ მოიხსენიებოდეს ვიქვათ, კოლუმბთან თუ ვასკო და გამასთან, არა, ისე ძველიც არაა. არც იმდენიც არ გაეგებოდა, მოგზაურობა რომ დაპყრობისა ბედიდა არა, არ გაეგებოდა თუ არ იცოდა, კოლუმბმა იცოდა, ვასკო და გამამაც იცოდა, კუკმაც, მან არ იცოდა, არც ის უნდოდა, თუ რა ვიდის მოგზაურობა გამოვიდოდა. მწუხარე ხანის რაინდი, თუ ისე უბრალოდ სენტიმენტალური მოგზაური — არა, არ უწყოდა, არ გაეგებოდა თუ ვის რას გადაეკიდებოდა ახირებაი მისი, თუ სურვილი. სულერთია, ვის რას გადაეკიდებოდა, ეს არ გაეგებოდა, არ უწყოდა, არ უწყოდა, ბევრი რამ არ უწყოდა, ბევრი რამ არ იცოდა, მოსაკა იცოდა, იცოდა და უყვარდა ქართველი ... (ხაზი ჩვენია. — მ. ქ.) მუსიკა იცოდა და ხალხური სიმღერების შეკრება განიზრახა შიდა ქართლში, ეს იყო მხოლოდა განზრახვა და აღსრულებაც, ხოლო თუ რა გამოვიდოდა აქედან, სწორედ რომ მოგზაურობა გამოვიდოდა და ან როგორი რა მოგზაურობა გამოვიდოდა, არც ეცოდინებოდა, არც უფიქრია, არც წარმოედგინა არავისა. ამაზე არ წარმოედგინა, თორემ ისე იცოცხლე, საკვირველიც ბევრმა გამოუჩნდა, სადავიდოსათვის, თავბედიც იწყევლა, გაჩენის თუ ხათლობის დღეც, ისიც გაახსენდა, აქ აბლა არის რაზე ქებანი, თუმცა არა... თუ ქებანი არ მოაგონდებოდა, მხოლოდ „ვგიანდა არის გვიანდა არის".

როიანში „ბოროიაყო" უაღრესად მნიშვნელოვანი სიმბოლო, რუკა, რომელიც გიორგი ყაზჩაველმა შეადგინა თბილისში და თავის ოქმის გულ მოწოდეს ნიკუშა ჩაჩანიძეს გადასცა. რუკაზე შემობაზული და აღნიშნული ის პუნქტები და წერტილები (ბიდა ქართლისა), აქ ოჯახები, რომლებიც ამ კუთხის კეთილშობილ, ქანსალ, ინტელიგენტურ ძალებს წარმოადგენენ ხოლო წარჩინებული გვარებისა და დიდხების მქონე ადამიანებმა, გეგმის მიხედვით, ნიკუშა ჩაჩანიძეს დახმარება უნდა გაუწიონ და

საშუალება მისცენ ახალგაზრდა კომპოზიტორს, რათა მან საქართველოს ამ მხარეში კეთილი ხალხური სიმღერები შეკრიბოს.

რუკაზე აღნიშნული წერტილები — ესაა ქართლის ის ღირსეული ოჯახები, რომლებმაც დღემდე შეურყვნელად მოიტანეს თავიანთი საგვარეულო თუ ეროვნული ტრადიციები, ადათ წესები, სტუმარ-მასპინძლობის, ერთი ერთნდობისა და პატივისცემის ქრისტიანული მორალი.

შემთხვევით არ შეუდგენია თავისი ახირებული მოწაფისათვის ნიკუშა ჩაჩანიძისათვის საზელგანთქმულ კომპოზიტორსა და პედაგოგს, გიორგი ყანჩაველს ხსენებული რუკა.

გიორგიმ კარგად უწყოდა რომ ამ გაპატივებულ, ამღვრეულ ურთიერთობისა და საყოველთაო შიშის ჟამს ყველა ადამიანის ნდობა არ შეიძლებოდა. საბედისწერო გამოდგა რუკის არსებობა. საბედისწერო, რადგან მისი აღმოჩენით ბოლშევიკებმა (მართალია, ამ საბელით ეს პიროვნებები რომანში არ მოიხსენიებიან, მაგრამ ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მაშინდელი ცენზურაა) „საშიში დამნაშავე" და „შეთქმულება" აღმოაჩინეს. ნიკუშა ჩაჩანიძის სახით მათ იდეოლოგიური, კლასობრივი მტერი დაინახეს და როგორც ერთ-ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ფიგურა მტრის ბანაკიდან, ისე აღიქვეს მისი საქმიანობა. ასე და ამრიგად, სოციალურ-პოლიტიკური ვნებათა გამო ახალგაზრდა კომპოზიტორის კეთილშობილური და უვნებელი მიზანი ბოროტ განზრახვად მიიჩნიეს, ხოლო მისი მოგზაურობის უმთავრეს მიზნად რუკაზე აღნიშნული კეთილშობილური გვარების წარმომადგენლებთან საიდუმლო მოლაპარაკება და აჯანყების მოწყობა ჩათვალეს.

და უკვეთილიყ ეს იმ დროისათვის ბუნებრივიცაა, რადგან მსგავსი ფიქრი და ვარაუდი მათი შესაძლებლობების, ინტერესებისა და, რაც მთავარია, ეპოქით განპირობებული მოვლენების გამო უფრო ბუნებრივად აღიქმებოდა, ვინემ იმის დაჯერება, რომ საყოველთაო შიშისა და ტერორის, ურთიერთაჩვარიშისწორებისა და მტრობის, გამცემლობის, და გააფთრებული ბრძოლების ჟამს გამოჩნდებოდა ვინმე „შერეკილი" ნიკუშა ჩაჩანიძის სახით, რომელიც ხეთერელების, ოცბელების, კათარელებისა და სხვა ძველი, დიდგვაროვანი გვარების სოფლებსა და სახლებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აღნიშნავდა რუკაზე, რომ ადვილად გადასულიყო ერთი სოფლიდან მეორეში, და ეს უვნებელი მისია — სიმღერების ჩაწერა და შეგროვება — შეესრულებინა.

ამ მოგზაურობით, რომელიც ფაქტიურად რუკაზე აღნიშნული პუნქტების დაცვით წარმოებს, შესანიშნავადაა წარმოჩენილი მწერლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

არ გვინდებთ, მხოლოდ გიხსნით,

[illegible]

[illegible] გალობა-გამოლება. გალობა-გამოლება [illegible] თუ ასე, მთებში მე- [illegible] არ მოიბმნება, სიკეთე რომ არ გამენინოს. [illegible] დაუზარლად, უანგაროდ. ჩვენს [illegible] თუ არა, [illegible] უნდა ჩამოვიზანა, თორემ ვილაც [illegible]

ეს უბრალო [illegible] მეჩვენება, [illegible]

[illegible] კიდევ უფრო [illegible] მოიხსენით [illegible] მოიხსენით, თორემ [illegible] თოფის ლულასა"

[illegible] ის ფაქტი, რომ ნიკუშა ჩაჩანიძეს მეგზურობას უწევს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადად ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, სიმბოლურ ხასიათს იძენს. ეს არის ძლიერი ვნებითა და მხატვრული ხერხებით გამოძერწილი უაღრესად საინტერესო ტიპი ხასიათი არა მხოლოდ ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ, მთელს თანამედროვე ქართულ პროზაში.

თუ ლეკო თათაშელის გარეგნობას, მის ფიზიონომიას ასე თუ ისე შესაძლოა ანალოგი დაეძებნოს ჩვენს ლიტერატურაში, მხატვრობაში და ა. შ. ხასიათის, ტიპაჟის თვალსაზრისით, პიროვნული თვისებებითა და მონაცემებით იგი აშკარად გამოკვეთილი და ორიგინალური გმირია ქართულ რომანისტიკაში. თავისი დარდიმანდობით, თავისი ფორიაქითა და შფოთით ოთარ ჩხეიძის ეს გმირი რაღაცით ჩამოჰგავს დავით კლდიაშვილის კირილე მიმინოშვილს. კირილე მიმინოშვილივით ლეკო თათაშელსაც გააჩნია რაღაცნაირი იშვიათი უნარი, თავისი გავლენის ქვეშ მოიქციოს და დაიმორჩილოს ადამიანები, მით უფრო, თუ ეს ადამიანი პირველად ხვდება მას. იქნებ უამრავ სხვა რამესთან ერთად ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ „ბორიაყში" ფანტასმაგორიული სისწრაფითა და გატაცებით ხდება ახალგაზრდა კომპოზიტორთან გაცნობა, მასთან დაახლოება, მისი მიზნების „ამოცნობა" და გადაწყვეტილება, — ეს „ეროვნული მიზანი" რადაც არ უნდა დაუჯდეს, აუცილებლად განახორციელოს.

ნებისმიერი ადამიანი ეძებს პიროვნული თვითდამკვიდრების გზებს ცხოვრებაში ბუნებრივია. არ ვგულისხმობ იმ ენერგიულ, მექანიკურ მასას ადამიანებისას, რომელთა ცხოვრებისეული კრედო და ამოცანა მხოლოდ ყოფიერების სფეროსაა მიჯაჭვული და ერთადერთ საზრუნავს ხორციელი სიამოვნებები და მათი დაკმაყოფილების გრძნობა წარმოადგენს.

მე მოგახსენებთ იმ ადამიანთა რიგზე, რომელთა პიროვნული თვითდამკვიდრების გზა ხშირად შეცდომებით, შეცოდებებით, მღელვარებითაა სავსე, მაგრამ მიზანი ერთი და იგივეა — რადაც უნდა დაუჯდეთ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ე ბ ა დ დარჩნენ თავიანთ გარშემო მყოფ ადამიანთა ცნობიერებაში, ხსოვნაში.

ლეკო თათაშელი ამ თვალსაზრისით უაღრესად რთული, მრავალმხრივი და ეგზალტირებული კაცია. თავისი თავდაპირველი ადამიანური არსით (როგორც ამას რომანის ფინალი დაგვიდასტურებს) იგი სიკეთესთან უფრო ახლოა, ვიდრე ბოროტებასთან, ფუქსავატობასთან, თუნდაც დარდიმანდობასთან. მაგრამ ლეკოს პიროვნება მთლიანად ამპარტავნების, განდიდების მანიის ტყვეობაშია ჩავარდნილი და საკმაოდ არასიმპათიურ, გამაღიზიანებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ერთიცაა — რომანის მსვლელობის მანძილზე ჩვენ დავინახავთ, რომ ტრაბახი, ბაქიობა, ენებობა და ზოგჯერ სარკაზმამდე მისული მისი საქციელ[illegible] [illegible]რობისივე არასრულფასოვნების [illegible]ლი განცდიდან მოდის და არა საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენებიდან. მისი ამგვარი საქციელი უფრო თავდაცვაა, ნიღაბია, თავდაცვა იმისაგან, რომ სხვებს არ დაემსგავსოს, სხვებში არ აითქვიფოს, სხვებივით შიშისა და მოვლენების მონად არ იქცეს.

მთელი რომანის მანძილზე იგი უხიაგი ავყია, პატივმოყვარე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, მისი გამუდმებული შეძახილი შეხსენებები, რომ იგი ლეკო თათაშელია, სხვა არაფერია, თუ არა არასრულფასოვნების კომპლექსით გამოწვეული ადამიანური უმწეობის გამოხატულება. მთელი ამ ხანგრძლივი ფორიაქის, სტუმრობის, სოფლიდან სოფელში, კარიდან კარში, ოჯახიდან ოჯახში გადასვლებისას მისგან მოდის რაღაც უცნაური პანიკური განცდა, რომელიც თავბრუს აზვევს და სასოწარკვეთაში აგდებს ახალგაზრდა კომპოზიტორს. ასეთი მასპინძლობისაც საიმისოდ განაწყობს, რომ როგორმე თავიდან, როგორმე სწრაფად მოიცილოს ეს ფორიაქი. ხმაურიანი დაუპატიჟებელი სტუმარი რომანის საყოველთაოდ შიშის და სიჩუმის ატმოსფეროში მისი ხმაური ის უცხაური დისონანსია, რომელიც საჩელისწერო ვებლით მუხტისა და ემოციის დაატარებს.

ლეკო თათაშელი ერთგვარი კრებითი სახეა თავისი გურმანობით, სმა-ჭამის მოყვარეობით და დათრობის შემდგომ [illegible] დღიანი სალათას ძილით ლუარსაბ თათქარიძისა და კირილე მიმინოშვილისა; ამ უკანასკნელთან მას განსაკუთრებით ანათესავებს ძველი, დიდგვაროვანი ოჯახებისადმი ირონიული დამოკიდებულება.

მაგრამ მათგან განსხვავებით მთელი მისი პანიკურობა, დროსთან გაჯიბრება, ხიფათიანობა, როგორც რომანის ფინალში ირკვევა, იმითაა ნაკვები და დაღდასმული, რომ ლეკო გამუდმებით გრძნობს რაღაც უფრო მნიშვნელოვანის და მაღალი მიზნისათვის არსებობის პრიორიტეტს, ვინემ ეს ქარი-ქარ ნაწნალი და დროს ტარებაა, ანუ დროის გაყვანის მისეული ტაქტიკა ამ არეულ, სახიფათო პირობებში.

ლეკო თათაშელის პიროვნული არსი მთლიანად იხსნება „მოგზაურობის" იმ საბედისწერო ეტაპზე, როცა თავგამოდებული დევნის შემდეგ კვლავ „დაიბრუნებს" თავის სტუმარს. თავქუდმოგლეჯილი სირბილის შედეგად დაეწევა და ხელში ჩაიგდებს ცისკარიშვილის მიერ წართმეულ ნიკუშა ჩაჩახიძეს.

და ფერისცვალების დღესასწაულზე, სადაც ნიკუშა ჩაჩახიძე ლეკოსთან ერთად კვლავ დიდი იმედით მიემგზავრება, რომ აქ მაინც შეისრულებს გულის წადილს, აქ მაინც განახორციელებს სანუკვარ მიზანს და რელიგიურ დღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწაულზე მაინც შესძლებს სიმღერების ჩაწერას. ქართული ტაძრის თაღებქვეშ მაინც მოისმენს სხვაგან დათრგუნულ საგალობლებს. სამწუხაროდ, მრევლის მაგიერ ტაძარში ნამდვილი ჯარი დაბუდებათ (შევნიშნავთ, რომ აქ აშკარად ბოლშევიკთა, წითელარმიელთა ჯარი იგულისხმება):

„შუა გაპობილიყო ხალხი კარიბჭიდან ტაძრის კარამდისა, ანუ ტაძრის კარიდან კარიბჭემდისა, გაპობილიყო ჯარი, რო იტყვიან ხოლმე, ხალხი მოჯარდათ, ისე არ იფიქროთ, ნამდვილი ჯარი მეთქი, ჯარი შემოსული, გზა მიეცათ მრევლისთვისა, მღვდლებიც მოსდევდნენ მრევლსა, თავში წაეშინა ხელები მრევლსა, მღვდლებსაცა, შავოსანი ქალებიც მოჰყვებოდნენ, ლოყებს იხოკდნენ ისინი და თავშლის ყურებს იფარებდნენ თვალებზედა, ყურებშიც იცობდნენ თავშლის ყურებსა, ხმა რო არ გაეგონათ, არ მოესმინა სიცილი, ხარხარი, არც ბრახუნი დოლისა, არც საზეიმო შემაღლებანი სასულე საკრავებისა. უნდოდათ თუ არა, ესმოდათ თუ არა, სულყოფით გამოიარეს საზეიმო სვლითა, თავშიცემითა, ლოყებისხოკვითა, არც ამათ შეხედეს, არა შესჩივლეს, არა შეაჩხარეს, ჩაუარეს, წავიდნენ უხმო მოთქმითა, გულდათუთქული ვაებითა, გათანგული ყელითა..."

სწორედ ამ საბედისწერო ტაძარში ხდება წითლების მიერ რუკის საბოლოო გამომჟღავნება და თავდაპირველად წმინდად შემოქმედებითი მიზნებისათვის ჩაფიქრებული ეს უვნებელი ქაღალდი ქართლში ხელახლა დატრიალებული სისხლიანი რეპრესიების კიდევ ერთ და უმთავრეს მიზეზად იქცევა. ბოლშევიკები ამ რუკის წყალობით ხელში ჩაიგდებენ ელიზბარ ხეთერელის, ეფემია კათარელის, გიორგი ოცხელის, გიგა ბაკურელის, პეტრე ვარაზნელისა და სხვათა ოჯახებს.

სწორედ ფინალში წარმოჩინდება შესანიშნავად ლეკო თათაშელის პიროვნება, რომელიც განსაცდელის ჟამს თვითონ მოინდომებს დაიბრალოს რუკის შედგენაც და შეთქმულებაც. ოღონდ არა იმიტომ, რომ ვიღაც უნდა დაუჯდეს, ახალგაზრდა კომპოზიტორი გადაარჩინოს, არამედ იმიტომ, ხალხის ხსოვნაში გმირის ადგილი დაიმკვიდროს, თუნდაც სიკვდილის ფასად მოიპოვოს დიდი სახელი.

მთელი თავისი შესაძლებლობებით, გონებით, სულით, სხეულით — ესაა ძალდატანება მოწინააღმდეგე ბანაკზე. იგი ცდილობს მხოლოდ მტრად კი არ მოაჩვენოს თავი, არამედ გმირადაც. ლეკო თათაშელის ეს ძალდატანება ხალხზეც, ხალხის მეხსიერებაზეც ვრცელდება. და მან არ იცის ერთი უბრალო, მარტივი ჭეშმარიტება, რომ ყველაფრის თამაში შეიძლება ამ ქვეყნად, მაგრამ არა ეროვნული [illegible] შემთხვევაში. ეს თამაში იქნება კიდეც ხვდებოდეს მიზანს, იქნება კიდეც წარმოაჩენდეს გმირობისათვის საჭირო მთელ რიგ თვისებებსა და ნიუანსებს, მაგრამ ლეკო თათაშელის პიროვნული თვითდამკვიდრების მობაკვდინებელ, საბოლოო მცდელობაშიც ანგარების მძლავრი იმპულსი ფეთქავს. რადგან ლეკო თათაშელს გმირობა ტიტული ჰგონია, წოდება ჰგონია, რადგან იგი გმირობას საკუთარი თავისთვის უფრო სჩადის, საკუთარი ხსოვნის და სახელის უკვდავსაყოფად და არა სხვისთვის, არა მეორე ადამიანისათვის, არა თავისი ხალხისათვის, თავისი სამშობლოსათვის და, ამიტომაც ეს მცდელობა იმთავითვე განწირული, რადგან ყველაფრის თამაშს გაპატიებს ჩვენი ხალხი, მაგრამ ეროვნული გმირის თამაშს არასოდეს, რადგან, გმირობაც ადამიანის ბუნებასთან ერთად განგების ძალით აღესრულება და არა საკუთარ ბუნებასა და განგებაზე ძალდატანებით.

შიშის მდუმარე ხმაურითაა მთელი რომანი გაჟღენთილი.

შიში, როგორც სიშიშე და კატასტროფული სიჩქარით მოძრავი ბაცილა, ისე გადადის ქართლის სოფლებში, ოჯახებში, გვარებში, ციხეებში...

შიში — თავისუფლების მარად ძველი და მარად ახალი ჯალათი, რომელსაც ჰქონია გამარჯვებები, დამარცხებები, მაგრამ რომელიც დიდი აღზევების დროსაც კი ვერაფერს უხერხებდა თავის მდაბიო წარმომავლობას.

შიში — რეალობის ბოროტი ალქიმიკოსი, რომელიც არბევს ჯადოსნური ზღაპრის მცხუნვარე დღეებს, რომელიც ამთავრებს ადამიანების საუკეთესო ვნებებისა და ემოციების თავისუფალ დინებას, რომელიც ამუხრუჭებს სიხარულს, სიყვარულს, ურთიერთნდობასა და პატივისცემას.

შიში — რომელიც ეშვიანი გაბოროტებით სინათლეშიც ბნელ ძალას ხედავს... ისე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ადამიანები შეეწირებიან შიშის შედეგად წარმოქმნილ ეჭვებს და რეპრესიებს, ოთარ ჩხეიძის ამ რომანშიც საუკეთესო პოტენციის მქონე ადამიანები უვიცი ბნელი ძალების მსხვერპლნი ხდებიან.

გარდა სიუჟეტური ქარგისა, შიშის შედეგად შებოჭილი სამყარო უჩვეულო, პანიკური დინამიზმითაა გადმოცემული „ბორიაყში" და ყოველივე ეს ღრმა შინაარსთან ერთად იმ უჩვეულო სტილისტიკითა და ხელწერითაცაა მიღწეული, რასაც ოთარ ჩხეიძის სტილი, ოთარ ჩხეიძის ხელწერა ჰქვია...

ის მდიდარი, უაღრესად ქართული და დარბაისლური ხასიათები, ის ძლიერი მხატვრული ტიპაჟები, ის დაუვიწყარი პეიზაჟები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშე, რითაც დასახლებულია ოთარ ჩხეიძის მხატვრული სამყარო, ამ შემთხვევაში კი რომანი „ბორიაყი". სწორედ მწერლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მხატვრული სტილითაც და წერის უაღრესად თავისებური მანერის წყალობითაც „ბეჭდებიან" ჩვენს მეხსიერებაში.

შემთხვევით არ ვახსენე სიტყვა დ ა რ ბ ა ი ს ლ უ რ ო ბ ა. ოთარ ჩხეიძის პროზაში, განსაკუთრებით კი მის დიალოგებში, სიტყვის მეშვეობით არაჩვეულებრივი სიღრმისეული განზომილებებით წარმოჩინდება რაღაც უაღრესად შორეული, ტრადიციული და ძველი. ძველი, არა არქაული, სამუზეუმო ექსპონატად ქცეული, არამედ როგორც მარად მოქმედი, მარად ცოცხალი, მარად არსებული. ოთარ ჩხეიძის დიალოგები ღრმად ქართული სიდინჯით ხასიათდება...

როდესაც ვლაპარაკობთ პიროვნების კონცეფციაზე ოთარ ჩხეიძის რომანში „ბორიაყი", საგანგებო ყურადღებით ქალ-პერსონაჟებს უნდა მოვეკიდოთ. ქალი, როგორც პიროვნება, ამ რომანში განსაკუთრებული სიძლიერით წარმოჩინდება. ოთარ ჩხეიძე რომანში ქალს გაიაზრებს, როგორც ეროვნული მუხტის, ეროვნული ენერგიის, ეროვნული სულისკვეთებისა და მისწრაფებების მქონე პიროვნებას. მეტიც, რომანში ქალ-პერსონაჟთა მიერ მამაკაცური ენერგიის, მამაკაცური ცხოვრების მიღება და აღიარება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუკი კაცთა მოსვლა და ცხოვრება ამ ქვეყნად, საკუთარი სამშობლოს, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლით ხასიათდება და განისაზღვრება.

ეს მომენტი, თავდაპირველად მოულოდნელად, მინიშნების სახით რომანის იმ მონაკვეთში წარმოჩინდება, როდესაც შუაღამისას სანთლით ხელში ელიზბარის მეუღლე ნიკუშა ჩაჩანიძის საწოლს, როგორც გმირის საწოლს, ისე უახლოვდება. იგი სწორედ ამ რწმენით გამოიწვევს ახალგაზრდა კაცს საუბარში. ამ რწმენით შეპყრობილს, ისევე როგორც მრავალს რომანში, არ სჯერა ამ საყოველთაო შიშიანობის დროს ნიკუშა ჩაჩანიძის ისეთი გულუბრყვილო მისია, როგორიც ხალხური სიმღერების შეგროვებაა:

„მჯერა, რომ სხვა რამ გამოქმედებთ, სხვა რამ ნამდვილი, ჭეშმარიტი, დიადი, სიმღერებს არ უნდა აეყოლებინეთ. არა, ახლა საამისო დრო არ არის. არა, სიმღერებს არ უნდა აეყოლებინათ. არა, არა... — მხოლოდ სიმღერებსა...

თვალები იყო წრფელი, განათებული შინაგანი სიწმინდითა და სიმართლითა. თვალები იყო წრფელი, გმირული არა, გმირისა არ იყო ის თვალები, არც არაფერსა მალავდა, ვერც დამალავდა, მეტიც არაფერი შეეძლო.

ჰა, ჰა, ჰა... ჩაიცინა ქალმა, ჩუმად თითქმის გაუგონარადა, [illegible] რედა. თავისთავს ჩაეცინა, სხვა [illegible] იცოდა. თუ რაც შენახულიყო, არც არავის უთვალთვალებდა, [illegible] არაფერი ეგებოდა. ვერც ამ სიცილს მოუწყვეტდნენ, ხალვლიან სიცილსა ვერ მოუნახავდნენ, თუ რა ძალა მოეკრიბა, სანთელი რა [illegible] და მომდგარი კარი, ავნთო და შემოელო, [illegible] ყურმოკრულ სიტყვებს დაეწაფებოდა. მოვიდა გმირით. გ მ ი რ ს ე ლ ო დ ა, გ მ ი რ ი უ ს დ ო დ ა, ს წ უ რ ო დ ა [illegible], [illegible], თვითონაც რო [illegible] [illegible] ვისა, თვითონაც, სწორედ ასეთი — [illegible] დაუმცხრალი, გაუცვეთელი, გამოუცდელი და მპყრობელი და აღმგზნები ძლიერი სულისა, ისეთისა არა, ელიზბარი რო [illegible], არც ასეთისა არა, ასეთისა მით უფრო არა, ჭეშმარიტი სულისა, თავგანწირულისა. ეს რაღ ეგონა? რა ჩავწერური [illegible] ბავშვი [illegible], რა თქმა უნდა, არც [illegible], [illegible], გმირი რომ უნდა იყოს, მაგრამ [illegible]! ეს რაღ ეგონა?! ნუ, აქვს თავისებური, [illegible], თანაც იდუმალი, რაღაც [illegible] და შიშით აღსავსე? სიტყვებიც ასეთი გამოსდიოდა, იდუმალი, ფარული, შიშით აღსავსე, ეს რაღ ეგონა?! ჰა, ჰა, ჰა... გაიგრძელა ქალმა, მერე დაუშვა მოწყვეტით, დაექნია, შუაღამისა სანთლის ალზედა. თითქოს რაღაც უჩვეული თუ უწმინდური მოეცხო, უნდა მოეწყვას, მოეშორებინა".

როგორც კი ქალი დარწმუნდება, რომ მას შეთქმულ გმირთან კი არა აქვს საქმე, არამედ ჩვეულებრივ ადამიანთან, იგი ერთბაშად ცივდება. ერთ წამში უცებ აბსოლუტურად ქრება მსხვერპლშეწირვის ბადალი ლტოლვა და ინტერესი ქალისა კაცისადმი.

თავდაპირველად მხოლოდ მინიშნებით წარმოჩენილი ეს ხასიათი მთელი სისავსით და სისრულით, მთელი ძლევამოსილებით გამოჩნდება რომანში.

მსგავსი სულისკვეთების, მსგავსი რწმენისა და იდეის მატარებელია ნებისმიერი ქალი-პერსონაჟი ამ რომანისა, დაწყებული უხუცესი გურანდუხტითა და დამთავრებული ჯერ მთლად ნორჩი ირინეთი.

ახალგაზრდა კომპოზიტორს თითოეულთან მოუწევს წამიერი თუ უფრო ხანგრძლივი ურთიერთობა და ვერასოდეს ვერ დააფიქსირებს, ვერასოდეს ვერ აღმოაჩენს და ვერ შეაფასებს ამ ქალებში სწორედ ამ ღირსებას, — თავისუფლებისადმი გამუდმებული და სანუკვარი ლტოლვის წყურვილს.

მეტად ნიშანდობლივი, საგულისხმო საუბარი გაიმართება ნიკუშა ჩაჩანიძესა და ირინეს შორის იმ დროს, როდესაც ირინე თავისი კუთხის ერთ-ერთ უძველეს ციხე-სიმაგრეს იხატავს რვეულში. ეს დიალოგი ნიშანდობლივია იმითაც, რომ მხოლოდ ირინესთან მიმართებაში შესძლო (ნაწილობრივ) ახალგაზრდა კომპოზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორმა თავისი სისუსტის წარმოჩენა, სისუსტისა, რაღა თქმა უნდა, სხვისი, გარეშე ადამიანის თვალსაწიერიდან. თორემ ამის გამო იგი სულაც არ ითრგუნება, როგორც ადამიანი და როგორც პიროვნება:

„მხოლოდ ერთი სურვილი დამმუღლებია, როგორმე ჩავაღწიო თბილისში, ჩემს მასწავლებელს დავაყრდნო თავი მხარზედა და ამოვიკვნესო ღრმადა. ამოვაყოლო ქვითინი, ქვითინი გულამომჭდარისა. ეს სისუსტეა, ვიცი, ამას არ უნდა გეუბნებოდეთ, რაიმე უნდა მოვიგონო, გმირული უნდა ვთქვა, უნდა მოგხიბლოთ ზღაპრული ამბებითა. მე უნდა ვიყვე გმირი იმა ზღაპრებისა. თუმცა ახლაც ზღაპრებში გავიხლართე, მაგრამ რაზან ვერ დამიგლეჯია ეს ხლართები, გმირიც არა ვარ. თ ქ ვ ე ნ გ მ ი რ ი მ ო გ ხ ი ბ ლ ა ვ თ, უ ვ ე ლ ლ ა ს ხ ი ბ ლ ა ვ ს გ მ ი რ ი. (ხაზი ჩემია — მ. ჯ.). ვაგლახ, რო გარდასულა დრო გმირობისა.

„დრო ყოველთვისაა, ოლონდ გმირები აღარ არიან ყოველთვისა. ნუ მეტყვით, რო სადღაც წამიკითხავს...“

გურანდუხტის სახლში ქალების მთელი გალერეაა მოცემული, რაც ერთგვარი მეტაფორაცაა უმამაკაცოდ დარჩენილი ამ დიდი საგვარეულო ოჯახისა, რომელსაც ბედისწერამ, განგებამ არგუნა, ფიზიკურადაც ასე დაშლილიყო, გალარიბებულიყო, დაქცეულიყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ უკაცოდ დარჩენილ ამ ძირძველ, საგმირო საქმეებრთა და [illegible] რაღაც რიტუალური მ[illegible] გამოხმობით და მორწმუნის სიჯიუტით ინარჩუნებენ ღირსების გრძნობას, კდემამოსილებას, რითაც ქალთა სახეები ოთარ ჩხეიძის რომანში ერთგვარად კიდეც ჩრდილავენ და ჯაბნიან მამაკაცთა ტიპაჟებს.

ამ ქალებში გაცილებით სიცოცხლისუნარიანად, ღრმად და ძლიერად მარხია საკუთარი სამშობლოს არა მხოლოდ სიყვარული, არამედ ამ სიყვარულისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის წადილიცა და უნარიც.

სწორედ ამ კონტექსტში, — სამშობლოსთან, თავისუფლებასთან მიმართებაში წარმოჩნდებიან ადამიანები ყველაზე საინტერესოდ და სრულყოფილად „ბორიაყში“. მათი ცხოვრება, მათი ვნებები, განცდები და ემოციები მწერალს სწორედ ამ რაკურსით აინტერესებს და ამიტომ ადამიანური არსის, ამქვეყნად ყოფნისა და მისიის განსაზღვრისას ოთარ ჩხეიძე თავის მხატვრულ პერსონაჟებს, თავის მხატვრულ გმირებს უწყობს ყველაზე დიდ გამოცდას.

ამიტომაა, რომ საქართველოს ერთ-ერთი რთული პერიოდის, მისი ისტორიის მონაკვეთის ერთ-ერთ მძიმე არეალში მოხვედრილი ეს პ ე რ ს ო ნ ა ჟ ე ბ ი არა მხოლოდ ინტერესით იკითხებიან, არამედ მთელი თავიანთი ადამიანური არსითა და ცხოვრებით დღესაც უაღრესად აქტუალურნი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

# მწერლობის მოთვინიერება

## კრიტიკა — ჟანდარმი

ჩვეულებრივი ამბავია: მჩაგვრელს დაჩაგრულის მუდმივი მორჩილებისათვის სჭირდება ძალა — არმია, პოლიცია (მილიცია), ჟანდარმერია (КГБ) ასე იყო, ასეა, ასე იქნება. რაკი კომუნისტებმა ექსპლუატაცია — ჩაგვრის ახალი სახეობა — ინტელექტუალური ექსპლუატაცია — შემოიღეს, ბუნებრივია, მისი შენარჩუნება-განმტკიცებისათვის სჭირდებოდათ ახლებური იარაღი. შექმნეს კიდეც — კრიტიკა-ჟანდარმი. კრიტიკას დაევალა არა სხვადასხვა დარგის ლიტერატურულ ნაწარმოებთა განხილვა-ანალიზი, არამედ კომპარტიის ცკ-ის დადგენილებათა ძალდატანებით (კეტით) დანერგვა და ურჩი მწერლების დასჯა.

ახლა კონკრეტული ნიმუშებით ვნახოთ, როგორ ახორციელებდა კომპარტიის დავალებას კრიტიკა.

გიორგი შატბერაშვილი ეკუთვნოდა მწერალთა იმ თაობას, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო მოღვაწეობა. მაშასადამე, იგი იყო საბჭოური ცხოვრების, საქმიანობის და კომკავშირის მომღერალი. სხვანაირად ვერც მოახერხებდა ლექსების დასტამბვას. ეს აუცილებელი პირობა იყო, თუ ახალგაზრდა კაცს საჯაროდ უნდოდა საზოგადოების წინაშე წარდგომა. ამიტომ აქებს იგი ლექსში — „აგიტატორი" — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს".

„შენს სტრიქონებში ქარიშხალივით
გადმოდიოდა სუნთქვა ძნელაძის, —
მოღალატეთა ფიქრები მყრალი
არ დარჩენილა გაუცელავი...
— შეაჩოჩქოლე მხამით მფეთქავი
შოვინისტების ურდო დამლილი. —
— დახვალ ჭიდილში რკინის ბექთარით,
დახვალ ბრძოლებში შიშველ დაშნებით".

ამიტომ ასხამს ხოტბას კომკავშირს:

„მოვდივართ!
— თვალები მზიანი —
სიხარულს ღვარივით ვაღვრიდ,
აქუხდა სურვილის ზიარი,
გულებზე მოლხენა გვაყრია!...
აქ ყველას თვალები ულიმის
ჩაბიჯი და სუნთქვა ჩქარია, —
მოდიან მხედრული ქუხილით:
— ეს კომკავშირია!"[1]

ნუ მივაქცევთ ყურადღებას ლექსების მხატვრულ დონეს. ამჟამად მთავარია მათი საერთო ხასიათი, ტონი, განწყობილება, შინაარსი. როგორც ხედავთ, იგი პარტიულია და საბჭოური. და აი, პოეტმა, რომელიც (როგორც საბჭოური ლიტერატურული კრიტიკა იტყოდა) უმღეროდა კომუნისტურ აღმშენებლობას, 1934 წლის 24 ივლისის „ლიტერატურულ გაზეთში" გამოაქვეყნა ლექსი — „წერილი ახალგაზრდებს". იგი მეტად გრძელია. მაგრამ მაინც მთლიანად მოვიტან, რომ სრული წარმოდგენა გქონდეთ, რა წერია შიგ.

„ჩვენ ვართ შტოები გაზაფხულის,
ჩვენ ვართ ლაჟვარდის პირველი ქება.
ჩვენ ვართ რიჟრაჟი სიჭაბუკის,
წინ რომ მიუძღვის დაჭარმაგებას!
ჩვენ ვართ ქუხილის შემდეგ მოსული
ვარდ-მაისობის შხაპუნა წვიმა.
ჩვენ თავგანწირვის უდიდეს სურვილს
და აღტაცებას გაუტაცივართ!
დავდივართ ქვეყნად, შევცქერით ხეებს,
გზა გაშლილია არა ვარდებით,
არა დაფნებით, როგორც ოდესღაც
ხატავდა სიყრმის შარავანდედი!

---

[illegible] ჟ. „მნათობი", № 10

1 ორივე ლექსი დაბეჭდილია გ. შატბერაშვილის პირველ წიგნში „ლექსები", გამოც. 1932 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, მოგონებით ვერ შეგვაშფოთებს.
რა არის ჩვენთვის ბავშვობის ღრენი?
შემოდგომაზე დაკარგულ ფოთლებს,
ვარდობის თვეში გაშლიან ხენი!
მხოლოდ ლაჩარნი არ დამხობილან,
არ განუცდიათ ბორკვე დაცემა,
ჩვენ ჭაბუკები ერთად ვყოფილვართ,
ერთად შევესწროთ დავაჟკაცებას!
აიყრებიან შემდეგ შტოები,
ნამში, წვიმაში, რტოგაფხრიალად,
გაშლიან ჩრდილებს განმარტოებით
და დადგებიან განზე მუხებად!
და თუკი სხვგან ბუდეში სადმე
ხომში ბარტყები ქარიშხლებისა,
უტყვიან ქებას ამ წელიწადებს
და არწივებად იშლებიან
დავქრივართ ქვეყნად... ასე შევხარით,
ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს,
და ახალგაზრდებს, სულით ჩვენგვარებს
შევხვდებით სადმე დიდ მომავალში!
ჩვენ ვართ ფერები გაზაფხულის ჟამს
ცაზე გაჩენილ ცისარტყელების.
ჩვენ ავედევნეთ მათ გმირულ ნიშანს,
ვინც მიგვიძღოდნენ გზებზე ხელებით...
ვინც სახრჩობელას არ დაერიდა,
და ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს,
ვინც დამხობილის შეცვალა ოხვრა,
გაშლილ დროშებზე დაწერა ჯანყი:
ვინც მოუხმობდა ყოველი მხრიდან
რჩეულ ვაჟკაცებს დროშების ირგვლივ,
ვინც გადალახა ბნელი კატორღა
და გაიტანა ხალხში ნაჯახი!
ციმბირის გზებზე, კატორღის გზებზე,
შემხმარი სისხლი მდუმარე ლოდზე...
ყოველი წვეთი ჩვენს ძარღვს დაეძებს,
გამოდის ჩვენში და მოგვიწოდებს;
ახ, მეგობარო!
ცხელ უდაბნოში
ჩამარხულ ჩონჩხის ჩამქრალი სწრაფვა,
მოგვაგონებდეს სულს შეშფოთებულს,
სულს — ამბოხებულს და მიუსაფარს!
კატორღის გზებზე, ციმბირის გზებზე...
სადღაც ნაპოვნი, გამხმარი, ქალა —
ჩვენ შემოგვცქერის...
ჭრილებით დიდხანს,
მისი თვალები ჯერ არ ჩამქრალან...
იქნებ იმედის ახარებს შუქი,
შემორჩენილი ვით ბედისწერა,
რომ არა ერთი მგზავრი ჭაბუკი,
მისი თვალებით დაიწყებს ცქერას! —
და ვით ფარვანა სინათლის ირგვლივ —
შემოვკრებთ თვალებს მიზნის გარშემო,
რომ გამოვიხმოთ თქვენი აჩრდილი,
დიდი მომავლის გარიჟრაჟებო!
და წამოშლილნი ფეხის ხმაურზე
მიგვაგებებენ გმირულ სიმღერებს,
გზაში შევხვდებით სხვა მზეჭაბუკებს,
მიგვაშველებენ ჭიხვინა მერნებს!
იყვავილებენ, როგორც [illegible]
საგაზაფხულო ოქროს მინდვრები.
შემოესმებათ ჩვენი ნაბიჯი!
ხმა შორეული და გუშინდელი!
და იქნებიან ჩვენი შემყურე
ღრმა სიხარულით და მწუხარებით,
დაემხობიან ჩვენს ნაფეხურებს,
როგორც ნასისხლარ მიწას ხარები!
არ გახუნდება, არ მიაქვს დრო-ჟამს,
სამარადისო ოცნების ეშხი,
სიბერეშიც ვატარებთ დროშას
რომელიც დაგვაქვს სიჭაბუკეში!
დაბადებულნი.
მოსულნი ადრე —
ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს,
გვწამს
— ახალგაზრდებს, სულით ჩვენგვარებს,
შევხვდებით სადმე დიდ მომავალში!"

დღეს რამდენჯერაც უნდა წაიკითხოთ ეს ლექსი, მაინც ვერ მიხვდებით, რატომ არის იგი ანტისაბჭოური და რატომ დაიმსახურა მძაფრი პარტიული კრიტიკა.

თითქოს ეს ლექსი კომუნისტებს ადიდებს. განა კომუნისტები არ არიან ისინი, ვინც ხახრჩობელას არ დაერიდა, ვინც ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს, ვინც გაშლილ დროშაზე წერდა ჯანყს, ვინც გადალახა კატორღა და გაიტანა ხალხში ნაჯახი თვითმპყრობელობის დასამხობად და დაჩაგრულის გასათავისუფლებლად? განა კომუნისტებმა არ შეცვალეს დამხობილის ოხვრა? რა ვიცი, დღედაღამ, წამდაუწუმ, გამუდმებით ამას ჩაგვჩიჩინებენ — ჩვენ, კომუნისტებმა, გავაკეთეთ ეს. და უცბათ, როცა ლექსში ითქვა ის, რასაც თავად იკვეხნიდნენ, მოეჩვენათ, რომ პოეტი მათ წინააღმდეგ ამხედრდა. გავეცნოთ იმ კრიტიკულ წერილებს, რომლებიც მაშინ გიორგი შატბერაშვილის განხაქიქებლად დაისტამბა და გასაგები გახდება — როგორი ეჭვის თვალით უყურებს კომუნისტური ელიტა ყოველ მწერალს და ყოველ პოეტურ ფრაზას.

პირველი კრიტიკოსი: „ეს ლექსი საინტერესოა იმ მხრივ, რომ გამოხატავს კლასობრივად უცხო განწყობილებას, ანყითარებს ჩვენს ახალგაზრდობაზე მავნე შეხედულებებს და საერთოდ არ შეიძლება კომკავშირელი მწერლისათვის იყოს დამახასიათებელი".

„უდავოა, რომ ამ ლექსში შატბერაშვილი ძალიან „მაგრად" გამოხატავს კლასობრივი მტრის უკანასკნელი ნაშთების სევდის „სხვა მომავალზე".

„გ. შატბერაშვილი უხმობს განადგურებული მტრულ ძალათა აჩრდილებს და მათი მომავლის აჩრდილებად სახავს. განა შეიძლება კომკავშირელმა პოეტმა ასეთი ენით წეროს?"

„გ. შატბერაშვილის დაფარული სევდა, ტრაგიკული მოტივები ეს არის უსათუოდ „[illegible]ხის აგონიის გამოხატულება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უხათუოდ შეცდომა იყო ამ ლექსის გამოქვეყნება"[1]

მეორე კრიტიკოსი — „ჩვენი ბავშვობის დღეები, — ამბობს პოეტი, — შემოდგომაზე დაცვენილი ფოთლებია. მაგრამ გული ნუ გაიტეხთ, გაზაფხული ისევ დადგება და ჩვენც კვლავ შევიმოსებით ფოთლებით. არ საჭიროებს განმარტებას, თუ რას უწოდებს პოეტი შემოდგომას. ეს არის ჩვენი თანამედროვეობა, რომლის სუსხმა დააჭკნო მთელი ახალგაზრდობის ფოთლები, რომლის სიმბოლურ ძირქვე დასცა პოეტი და მისი ტოლამხანაგები".

„...საერთოდ მთელ ლექსში გამოთქმულია არსებულით დაუკმაყოფილებლობა, თანამედროვეობის უარყოფა, ჩვენი სინამდვილისაგან გაქცევა, იმედდაკარგული სკეპტიციზმი. პოეტი ფიქრობს, თითქოს ჩვენი ეპოქა ვერ ახდენს ამ იდეალებს, რისთვისაც იბრძოდნენ ძველად".

„მხოლოდ განაბულ კლასებს შეაჩნია (მათთვის არის კიდეც) სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქა ქარიშხლიან შემოდგომად და სუსხიან ზამთრად; მხოლოდ მათ პოეტებს თუ ამოუვა ასე ნაღვლიანი, სასოწარკვეთილი სიმღერა. გ. შატბერაშვილი ნებსით თუ უნებლიეთ გახდა მათი განწყობილებების, ტკივილების გამომხატველი, მათი ოდნავ შენიღბული იმედის საყვირი".

„ჩვენ გადაჭრით უნდა ვამხილოთ ყოველგვარი მტრული გამოვლინებები ჩვენს ლიტერატურაში".

მესამე კრიტიკოსი: „როგორია ის დიდი გზები, რომლის მოძღვარია შატბერაშვილი? არა ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიერ ნაჩვენები დიდი გზები, არამედ ჩვენი კლასიური მტრების მიერ ნაჩვენები გზები".

„...ლექსის შინაარსი ასეთია: ეს არის კულაკური, ანტისაბჭოთა ახალგაზრდობა. ავტორმა კარგად იცის, რომ კულაკურ ახალგაზრდობას არავითარი გავლენა არა აქვს მშრომელ ახალგაზრდობაში, რომელიც ჩვენი საბჭოთა გმირული კომკავშირის ირგვლივ არის დარაზმული. შატბერაშვილმა იცის, რომ ჩვენი კლასიური მტრები დამარცხებულია. მაგრამ ის მაინც არ კარგავს იმედს".

„...განზე გადგომა მოუხდათ", ტროცკისტულ-ფაშისტური იმედები მიაქვს „ქარიშხლებზე", რომელიც თურმე აქ კულაკურ ნორჩ ბარტყებმა უნდა გამოიწვიოს (ავტორის ქართული დაცულია — ა. ბ.) — ასეთია შატბერაშვილის იმედები".

„ძნელი არ არის გაეგოთ, თუ რა აზრი აქვს ამ „აჩრდილის გამოჩენას" ანდა „ჩაქაჩის ხალხში გატანის" ჩვენებას ჩვენს პირობებში. ეს პირდაპირი კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ლოზუნგია. აქ საბოლოოდ ფარდა ეხდება შატბერაშვილის რეაქციონურ ხულისხმას და ის გაშიშვლებული სახით გვევლინება ჩვენ".

„შატბერაშვილის კონტრრევოლუციური ლექსებიდან ჩვენმა საბჭოთა მწერლებმა სათანადო პოლიტიკური დასკვნები უნდა გააკეთონ. საჭიროა მეტი სიფხიზლე, მეტი გამახვილება ბრძოლისა რეაქციული ლიტერატურის წინააღმდეგ".[1]

მეოთხე კრიტიკოსი: „აშკარაა, ავტორს შეგნებულად თუ შეუგნებლად (უფრო შეგნებულად, ვიდრე შეუგნებლად) თავისი თავი ჩაუბამს (ქართულად ითქმის ჩაბმულა; მაგრამ ქართველ კომუნისტებს ტვინი რუხულად აქვს მოგრეხილი — ა. ბ.) კლასობრივი მტრის სამსახურში და თავისი კალმით იმავე მიზანს ემსახურება, რასაც ყოველი ოპორტუნისტი და საერთოდ საბჭოთა სისტემის მოძულე და მოსისხლე მტერი".

„უეჭველია მტრის ნამსხვრევები კიდევ ახერხებენ ერთგვარ ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას, რაღაც იმედებით საზრდოობენ და თავის გარშემო ახალგაზრდებსაც იკრებენ. დაუნდობელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ გამოაცლის ყოველივე ნიადაგს შატბერაშვილისებურ პოეზიას".[2]

დრომ გაამართლა ხალხური სიბრძნე — „წყალი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო". გ. შატბერაშვილის შემოქმედებამ დაიჭირა თავისი ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში.

ახლა მოდით მაინც გავარკვიოთ — რატომ მოეჩვენათ გ. შატბერაშვილის ლექსში „კულაკური ახალგაზრდობის იდეოლოგია"?

საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ მიმდინარეობდა ე. წ. კოლექტივიზაცია. ამ პერიოდში მილიონობით მშრომელი გლეხობა გადაასახლეს ციმბირში, მათ კატორღაში ამოხადეს სული, კომუნისტები ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებდნენ „ბედნიერ საკოლმეურნეო ცხოვრებას" და, ვინც კი გაბედავდა ოდნავ წინააღმდეგობას, არ აცდენდა კატორღაში წამებით სიკვდილი. სხვათა შორის, უტყუარად საბუთებით ცნობას გვაწვდის ან. ანტონოვ-ოვსეენკო „ტირანის პორტრეტში" (გვ. 85). ყაზახეთში ძაღლებიც შეუყვანიათ თურმე კოლმეურნეობაში. როცა ყაზახებს დაუნახავთ, ცხვრებს გვართმევენო, დაუწყიათ საქონლის ლიანგური ხოცვა და ველური ჭამა. უამრავი ხალხი დაიხოცა ზედმეტი, უზომო ჭამით. მერე საშინელი შიმშილი დაიწყო თურმე და ახლა უჭმელობამ გაჟლიტა ხალხი. კოლექტივიზაციის დაწყების წინ ყაზახეთში ათ მილიონამდე ყოფილა მოსახლეობა. კოლექტივიზაცია რომ დამთავრებულა, რვა მილიონი დარჩენილა: ორი მილიონი ადამიანი გამხდარა

1 გაზ. „კომუნისტი", 1934 წ., [illegible].

2 „ლიტერატურული გაზეთი", 1934 წ., 10 აგვისტო.

1 „ლიტერატურული გაზეთი", 1935 წ., 6 თებერვალი.

2 „ლიტერატურული გაზეთი", 1935 წ., 12 თებერვალი.

ახალი წიგნები
ელექტრონული ბიბლიოთეკა

კოლექტივიზაციის მსხვერპლი. ეს მარტო უამ-ხუთში. ახლა თავად განსაჯეთ — რა ცოდვის კვერი ტრიალებდა რუსეთში, უკრაინაში, საქართველოში და საერთოდ მთელ სსრკ-ში. აწ-ტანჯულ-წამებულ ადამიანებს უწოდეს კომუნისტებმა კულაკები და, აკვიატებული კლასობრივი ბრძოლის საჩელით, მუსრი გაავლეს. ამის გამო მიიღეს პოეტის სიტყვები მწარე ყვედრებად. მოგეხსენებათ, ქურდს ქუდი ეწვის და შეშინებულს ყველგან მამხილებლის ხმა ესმის და თვალი ეჩვენება.

ამიტომ უსაყვედურებდა პოეტს კრიტიკოსი ვ. შატბერაშვილი მთელი ლექსის მანძილზე ცდილობს დამალოს და არ გახსნას მისამართი მათი, ვინც მიუძღოდა „სულით მისგვარ ახალგაზრდებს“ გზაზე ჩვეულებით“... ხოლო მეორე ასწავლიდა, რომ „კატორღის გზებზე, ციმბირის გზებზე“ ბოლშევიკების გარდა ისეთ „მებრძოლებსაც“ უვლიათ, რომლებიც დიდი აღტაცებით მიიღებდნენ კაპიტალიზმის მძლავრად განვითარებას“...

საჭიროა კონკრეტულობა. ეს კატეგორიული მოთხოვნაა. პროლეტარული მწერლობის იდეოლ[illegible] პლატონ ქიქოძე მოითხოვდა — „მთავარია კონკრეტიზაცია“.[1] ქარაგმულად, ორჭოფულად ნათქვამი მისაღები არ არის, თუ მკითხველს შეუძლია სხვადასხვაგვარადაც გაიგოს, სხვაც იგულისხმოს, ამგვარი ნაწარმოები არ შეიძლება იყოს საბჭოური. ვის უძღვნი ლექსს, მისამართი ზუსტად უნდა დაასახელო.

ვინ ვინ და კომუნისტებმა ჩინებულად უწყიან — რამდენი განსხვავებაა ცარისტულ კატორღასა და საბჭოურ კატორღას შორის. ორიოდე ამონაწერს მოვიტან საბუთად. ერთი ეკუთვნის ძველ რევოლუციონერ ბოლშევიკს გ. ჩხეიძეს, მეორე — მწერალ ს. მგალობლიშვილს.

„...უნდა გითხრათ, რომ მაშინ (მეფის რეჟიმის დროს — ა. ბ.) ციმბირში ბატონივით ვცხოვრობდით. თვეში გვაძლევდნენ ცხრა მანეთს და ათ შაურს, რომლითაც შესანიშნავად შეიძლებოდა ცხოვრება. გირვანქა პური ღირდა 2 კაპეიკი, ოთხი კაპეიკი გირვანქა ხორცი, ა-ფუთიანი ტომარა კარტოფილი 30 კაპეიკი...“[2]

ახლა ისიც ვნახოთ, ციხეში როგორ გრძნობდნენ თავს საძულველი ცარიზმის დროს, როცა ქართველი ხალხოსნები დაუპატიმრებიათ და გორის ციხეში ჩაუსვამთ, სოფრომ მგალობლიშვილი, კოტე ყიფიანი და გიგო ავალიშვილი ერთ კამერაში დაუმწყვდევიათ. ახლა ყური დაუგდეთ ს. მგალობლიშვილს:

„ჩვენი ოთახი იყო მყრალი, ნოტიო. კოტეს ერთი ფლაკონი ოდეკალონი ჰქონდა. ღამით ვაღვივებდით, რომ სუნი, [illegible] ჩვენ [illegible]კეტელ ოთახში ვისხედით, [illegible] ვისყიდეთ და ფურცელაძე დიდ (იგი სხვა კამერაში ჩაუსვამთ — ა. ბ.) სულ ჩვენთან იყო. ერთად ვსადილ-ვახშმობდით. ჩვენ მთელი დღე წიგნების კითხვაში ვატარებდით დროს. უნდა მოგახსენოთ, რომ ციხეში ძალიან შინაურულად მოვეწყვენით; მნახველი არ გვაკლდა, ამხანაგებს შორიდან გვნახულობდნენ, შემოჰქონდათ ჯიბეებით არალეგალური წიგნაკები. ციხის უფროსი ზაზა ყიფიანი არ გვაწუხებდა. რაც კი რამ ჩნდებოდა გარედ, ჩვენს წრეში ყოველივე ვიცოდით“.[1]

ეს კიდევ არაფერი, უფრო ანეგდოტური ამბავი მოისმინეთ.

„გორის საპყრობილე ეზო ფართო იყო, მუდამ მამიტელი ბალახით დაფარული. რადგან ეზოს ოთხივ მხრიდან მდინარეები ჩაუდიოდა, ეზო სავსე იყო ციხის უფროსის ყიფიანის[2] ქათმებით, ინდოურებით, ბატებით და გოჭებით. ერთხელ კოტე ჩამოცივდა, ინდოური დავიჭირეთ და ტომრით შევაწვევინეთ, ბიძაჩემ ზაზას მე მოვურიგდებით. გამოვუდექით ინდოურს, იგი შუაში გამოგვისხლტა და მე და კოტე თავებით ერთმანეთს დავეტაკენით ისე მაგრად, რომ კოტეს პენსნე ცხვირში ჩაერჭო...“[3]

შეადარეთ ამას ალ. სოლჟენიცინის (ან სხვა საბჭოელი კატორღელების) მოგონებანი და ყველაფერი ნათელი გახდება.

არავინ არის იმდენად გულუბრყვილო, რომ ცარისტული ციხე და კატორღა შვების ადგილად წარმოიდგინოს. ციხე ყოველთვის ციხეა და კატორღა ყოველთვის კატორღაა, მაგრამ არსებითი განსხვავებაც ყოფილა, როგორც ვხედავთ. მართალია, საბჭოურ კატორღას გადარჩენილი ქართველები ჭირჭირობით სდუმან და მოგონებებს არ აქვეყნებენ, თუნდაც საიდუმლოდ, მაგრამ ისედაც ცხადზე ცხადია, რომ არც მიხ. ჯავახიშვილი, არც ტ. ტაბიძე, არც კ. ხიმშიაშვილი, არც გ. ძიგვაშვილი და სხვანი და სხვანი ციხეში არალეგალურ ლიტერატურას არ კითხულობდნენ, არც ეზოში ინდოურებს დასდევდნენ, არც შემწვარ-მოხრაკულებს მიირთმევდნენ.

არც იმის დავიწყება ეგების, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაჟუჟული რევოლუციონერებიდან ბევრი ცარიზმის დროსაც იყო დაპატიმრებული და კატორღაშიც ნამყოფი. ზოგიერთი ციხიდანაც გაქცეულა და კატორღიდა-

---

1 „მნათობი“, 1928 წ., № 1. პ. ქიქოძე — „ქართული მწერლობის ერთი წელი, გვ. 171.

2 „რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., № 1, გ. ჩხეიძე — ძეირი[illegible] და მეფის დაუვიწყარი [illegible], გვ. 101.

1 „რევოლუციის მატიანე“, 1924 წ., № 4-5 (9-10). ს. მგალობლიშვილი — „სოციალ-რევოლუციონური (ხალხოსნური) მოძრაობა საქართველოში 1870-1880 წწ. გვ. 306-307.

2 ციხის უფროსი ზაზა ყიფიანი ბიძა იყო პატიმარ კოტე ყიფიანის.

3 „რევოლუციის მატიანე“, 1924 წ., № 4-5 (9-10), გვ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაც. მაგრამ როცა საბჭოურ ციხეში თუ კატორღაში აღმოჩნდნენ, არა თუ გაქცევა ვერ მოახერხეს, პროტესტის კნავილიც კი არ ამოხდომიათ. ცხვარიც კი ბღავის, როცა კლავენ. „უდრეკი" რევოლუციონერები კი კლასობრივმა და პარტიულმა ძმებმა ისე გაწყვიტეს, რომ კრინტიც არ დაძრევინეს. ცარიზმის დროს „უშიშარი ვაჟკაცები" ასე რამ დააჩაჩანაკა და დააგლახაკა კომუნიზმის დროს? როცა ხელისუფლება კანონს იცავს, მაშინ იოლია მამაცობა, როცა ხელისუფლებას კანონი ფეხებზე ჰკიდია და საკუთარი ჭკუის ქეიფზე ნავარდობს, მაშინ ძნელია (უფრო მეტიც, შეუძლებელი) გმირობა. ამიტომ წაჩლდნენ და ჩაისვარეს ოდესღაც „უდრეკმა" რევოლუციონერებმა. დაჭერის შიშით პიატაკოვი თურმე გალოთებულა, თეთრი ციებ-ცხელება ემართებოდა და სიკვდილს ნატრულობდა.[1] თავი რომ გადაერჩინა, რადეკი ყოფილ მეგობრებს ზინოვიევსა და კამენევს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა და აგინებდა.[2] ეს ორიოდე ნიმუში საჭაშნიკოდ მოვიტანე, რამეთუ დასკვნა მკაფიოა: სხვის კეთილშობილებას საკუთარ გმირობად ნურავინ გაასაღებს. კომუნისტები ვაჟკაცები კი არ იყვნენ, არამედ ურცხვად სარგებლობდნენ მეფის ხელისუფლების მიერ გამოჩენილი ჰუმანურობითა და კანონის პატივისცემით. როცა კომუნისტებმა საკუთარ ზურგზე იწვნიეს, რას ნიშნავს მხეცობა, უკანონობა, თვითნებობა, მაშინვე გადედლდნენ და გალაჩრდნენ.

ვინ იცოდა ეს მდგომარეობა კომუნისტებზე უკეთ? რა თქმა უნდა, არავინ. ამიტომ, როგორც კი გ. შატბერაშვილის ლექსში წაიკითხეს — ვინც სახრჩობელას არ დაერიდა, ვინც ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს, ვინც გადალახა ბნელი კატორღა, მაშინვე შეეპარათ ეჭვი — პოეტი კომუნისტებს არ უნდა უმღეროდესო და იგი კრიტიკის დარჭაკში გაატარეს. ახლა ეჭვს კომუნისტები თვალთმაქცურად „იდეურ სიფხიზლეს" ეძახიან. ნამდვილად კი ეს არის მხდალი, ლაჩრული ბუნების შედეგად გაჩენილი პარანოია, ეს კი მთელი კომპარტიის სნეულებაა და არა მხოლოდ ცალკეული პარტმუშაკებისა.

რაკი ლიტერატურას საიდუმლო პოლიციის ფუნქცია მიენიჭა, კრიტიკოსიც ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ფისკალი. მოგეხსენებათ, ყოველ საიდუმლო პოლიციაში, მით უმეტეს ცხადია, КГБ-ში, ამა თუ იმ მოქალაქეზე ადგენენ დოსიეს. დოსიეში შეგროვებულია მასალა მიზანში ამოღებულ პიროვნებაზე, მოკლედ და სხარტად დახასიათებულია იგი, აღნიშნულია სანდოა თუ არა. ამის შესაბამისად ხელისუფლება გადაწყვეტს, დაიჭიროს თუ არა ეს პიროვნება. ამგვარ დოსიეს ადგენდა კრიტიკა-ჟანდარმი მწერლის შემოქმედებაზე. ამას არც მალავდნენ. „...პროლეტარულ-მარქსისტული კრიტიკის ამოცანა განსაკუთრებით დიდი და საპასუხისმგებლოა. მან შეუდრეკლად და პირდაპირ უნდა გამოააშკარავოს კლასიური მტრის ნამდვილი სახე და ბუნება".[1]

„არქეოლოგიის სამყაროდან ებრძვის შ. დადიანი თანამედროვეობას".[2]

„კონსტანტინე გამსახურდია რეაქციონურ მწერალთა რიგების აქტიური წევრია, თავის შემოქმედებაში კ. გამსახურდია „მებრძოლი" განწყობილებით უპირისპირდება თანამედროვეობას".[3]

„ნ. ლორთქიფანიძე არ არის თანამედროვეობის მწერალი. ის მთლიანად წარსულის პირმშო შვილია. ის ფეოდალური საქართველოს „რაინდია", მისი შემოქმედება ფეოდალური კულტურის ნატეხია".[4]

მიხ. ჯავახიშვილს „სურს ნაკაცარი, ზედმეტი ადამიანების, საწყალი პიროვნებების საფარველს ქვეშ შემოგვაპაროს გარკვეული რეაქციონური შეხედულებები".[5]

„აბაშელი ახალი ცხოვრების აღმშენებლობას დეზერტირის, უკეთ რომ ვთქვათ, მტრის თვალებით შეჰყურებს".[6]

დ. შენგელაიას „შემოქმედებაში ჯერ კიდევ უფრო მეტად ძველი ქვეყანა ხმაურობს. მისი შემოქმედების სოციალური საფუძველი და ხასიათი წვრილბურჟუაზიულია".[7]

გავეცნოთ კიდევ ერთი კრიტიკოსის შედგენილ დოსიეს.

„1914-21 წლებში გალაკტიონ ტაბიძე მისტიკოსი იყო, დაცემულობის, მებრძოლი პესიმიზმის პროპაგანდისტი, რელიგიური ექსტაზის მწარმოებელი, ლანდებისა და მოჩვენებების რომანტიკოსი, ეროტიული და პატრიოტული „თრთოლვის" ვირტუოზი და ბოჰემაანარქისტი. სოციალური მის პოეტურ პრაქტიკაში განდევნილი იყო. გ. ტაბიძე გაურბოდა სოციალური საკითხების რგოლს და თუ შემთხვევით შეეხებოდა სოციალური საკითხების ჯაჭვს, გულგრილად გაეწყობოდა მას; ობივატელი იყო".

„კ. მაყაშვილი არისტოკრატიული ეროტიკული ღელვისა და ქართული პატრიოტიზმის პოეტი იყო, რომელმაც საბჭოთა პირობებში პატრიოტიზმი მებრძოლ ნაციონალიზმში გადაზარდა".[8]

საქმე აწყობილია საათივით, იტყვის საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი: „სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იყო ქართულ და რუსულ ენებზე ხელახლა გამოცემა შალვა დადიანის მა-

¹ ² Иосиф Бергер — Крушение поколения 1973 стр. 115. 109.

1 შ. რადიანი — თანამედროვე ქართული ლიტერატურა, 1931 წ., გვ. 132.

2. 2, 3, 4, 5, 6, 7, შ. რადიანი — თანამედროვე ქართული ლიტერატურა, 1931 წ., გვ. 52, 58, 100, 119, 150, 213.

8 ვ. ლუარსაბიძე — ქართული ფრონდის მწერლობა, 1931 წ., გვ. 76, 85.

ნკიერი რომანის „გიორგი რუსი", რომელიც [illegible] მაზინჯებულად, [illegible] და ქართველი ხალხების [illegible] მეგობრობას...[1] კრიტიკა კი [illegible] საზღვრებს", რადგან არის „გიორგი რუსი" [illegible] საგმირო და [illegible].

„გიორგი რუსს" ანუ, როგორც თავდაპირველად ერქვა, „უბედურ რუსს" კომუნისტები ყოველთვის ავი თვალით უყურებდნენ. ოციან წლებში კრიტიკას იგი არ მოსწონდა, როგორც წარსულის იდეალიზაცია და ქართული ნაციონალიზმის პროპაგანდა.

„მიუხედავად რომანის [illegible] სერიოზულობისა, მისი იდეები მაინც კრიტიკულია... უკუღმა ეს იდეები დღევანდელი [illegible] საბჭოთა ხალხისთვის [illegible] რომანისა, რომელიც მეოცე საუკუნეში [illegible] დესაც „კომუნიზმის აჩრდილი [illegible]" საქართველოში სერიოზულად [illegible] ფიქრს იმის შესახებ, რომ საქართველოს [illegible] იმპერიით, ხიზანტიად [illegible] ლის წინ. სახალხო [illegible] რომ საქართველო იდეებზე დაიბრუნებს [illegible] უკუნის წინანდელ [illegible] გოდერძის („გიორგი რუსის" [illegible] — ა. ბ.) ენით რომ ვთქვათ „საქართველო [illegible] მისრეთ, ელადის და რომის" [illegible] ვთქვათ, ეს სახალხო [illegible] პოვებს! ამიტომ საქართველოში [illegible] ხერხანტები, რომელიც „უბედური რუსის" [illegible] როდის ხაზით [illegible] „დიდ ქართლს", სადაც [illegible] ქართლის წინაპრებზე [illegible] არ იქნება, არამედ „თვით" [illegible] თანამედროვე მეოცნებე [illegible] კოსი, რომელიც საბჭოთა საქართველოში [illegible] მეფის სახელის [illegible].

80-იან წლებში კი კრიტიკა [illegible] „გიორგი რუსს" იმიტომ, რომ იგი [illegible] ქართველი და რუსი ხალხების [illegible].

და ამას ამტკიცებენ [illegible] ყრობელობის წინააღმდეგ [illegible] ტები. თურმე [illegible] და [illegible] ქორწინება ხალხთა მეგობრობას [illegible]. მაშინ რუსები და გერმანელები [illegible] ძმები ყოფილან, რადგან რუსეთის დედოფლების უმრავლესობა გერმანელები იყვნენ. მაშინ [illegible] მსოფლიო ომის მანძილზე რატომ [illegible] ცხვირპირს ერთმანეთს გერმანელები და რუსები?

და ამას ამტკიცებენ მარქსისტები, რომლებიც ჩაგვჩიჩინებენ — ისტორიას ხალხი [illegible] ხო და არა — პიროვნება. თუ ასეა, ქართველი

და რუსი ხალხების მეგობრობის [illegible] შვენეთი [illegible] როგორი [illegible] პიროვნებას — თამარისა და იური ბოგოლიუბსკის — შორის?

[illegible] ქართული [illegible] ბიზანტიელი [illegible] ბოსწონს წინაპრის ავად ხსენება და ყმას აიძულებს გენდრუქი უქმიოს აწმყოშიც და წარსულშიც. ეს [illegible] ზურგი შეაქციოს მარქსიზმსაც, კომუნიზმსაც, ერთუნელ [illegible] ხებასაც და ხალხთა მეგობრობის [illegible] რუსულ შოვინიზმს. ამის [illegible] რომ დღეს საერთოდ აკრძალულია „გიორგი რუსის" [illegible].

[illegible] რა შეიძლება იყოს უფრო სასაცილო და [illegible]?

[illegible] კ(ბ) ცკ-ის დადგენილება ჟურნალების „ზვეზდასა" და „ლენინგრადის" შესახებ და მეტისმეტად შეიხვია [illegible] კრიტიკოსთა დამსჯელი ექსპედიცია.

კრიტიკა აქეთ კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებს ამაგებს, იქით — გიორგი ლეონიძისა და სიმონ ჩიქოვანის ლექსებს.

„ვინ არიან ამ წიგნში მოთავსებული ნოველების გმირები? ისინი არიან ან ბნელი წარსულის მქონე, საეჭვო [illegible] ცხოვრებას [illegible] წამოთრეული, [illegible] [illegible] გასწორებული [illegible], ავანტიურისტები, [illegible], დეგენერატები, ხოლო [illegible] [illegible] ის არის, რომ ყველა მათგანს [illegible] ეკიდება და თავის [illegible] აცხადებს".

„[illegible] გასდევს გამსახურდიას ყველა ამ ნოველას".

„...მთელს წიგნში უხვად არის გაბნეული გულარიდი თქმები და უხამსი პორნოგრაფიული სურათები. წმინდა ადამიანური გრძნობები შერყვნილი და შელახულია".

„...დაუსრულებლად გრძელდება გამსახურდიას ნოველების წიგნში ყოველგვარ საზღვარს გადაცილებული პორნოგრაფია, ზნეობრივი დაცემულობისა და ამორალიზმის პათეტური ალწერა".

დაბოლოს დასკვნა: „რას ფიქრობდა რედაქტორი და ბენაშვილი, როცა ვიზა მისცა ამ პოლიტიკურად მავნე და ლიტერატურულად მიუღებელ წიგნს"?[1]

კ. გამსახურდიას ნოველების გამოქვეყნება სასტიკად დაგმო მერე კრიტიკოსმაც და მავნე წიგნი უწოდა მას.[2]

უურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ჩამოთვლილებულია ტრაფარეტი: — კრიტი-

1 გან. „კომუნისტი", 1952 წ. 18 [illegible] რი.

2 გაზ. „კომუნისტი", 1952 წ. [illegible]

3 გაზ. „კომუნისტი", 1928 წ. [illegible]

1 „[illegible]", 1946 წ., №9-10. „ნოველები [illegible]".

2 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1946 წ. 24 [illegible] „მავნე წიგნი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრით, საძრახისად და დასაგმობად მიაჩნია კორნელი კეკელიძისა და სხვა მეცნიერ-ფილოლოგების საქმიანობა, მეორე მხრივ, იწუნებს და აბუჩად იგდებს გიორგი ჩუბინაშვილის და მისი სკოლის მოღვაწეობას.[1]

ყველაზე საგულისხმო და თავმოსაწონი ის არის, რომ, როცა მწერლებისა თუ მეცნიერების რბევა მიმდინარეობს, არავის აქვს უფლება გამოსარჩლების მიზნით ხმა ამოიღოს, კრინტი დასძრას. თუ კომპარტიამ არ ამოუდგები გვერდით, მაშინ ჩუმად უნდა იყო და დუმილით დაადასტურო ერთგულება. თუ სინდისმა არ მოგასვენა და კომპარტიის მიერ გაკრიტიკებულის დაცვა სცადე, მაშინ უთუოდ დაგატყდება რისხვა თავზე. ასე მოუვიდა, მაგალითად, ტრიფონ რუხაძეს, როცა კ. კეკელიძე, მიხ. ზანდუკელი, კ. კაპანელი, ს. დანელია, გ. ქიქოძე, აკ. გაწერელია, გ. ნადირაძე და სხვანი გაროზგეს, ტრ. რუხაძემ ზოგიერთი მათგანის გამოქომაგება სცადა. მაშინ ისიც წამოაქციეს და წკეპლები დაუშინეს.[2]

არც უნდა ყოფილიყო ეს მოულოდნელი. საზოგადოება იზრდებოდა ღალატის, დასმენის, გაყიდვის „ზნეობით". სიქველედ ამგვარი საქციელი ითვლებოდა.

საქართველოს კპ მეორე ყრილობაზე ბერიამ ოთხში ამოიღო გაიოზ დევდარიანი და ჭავაირა ხუტულაშვილი.[3]

და იცით რატომ?

როგორც ტროცკისტი, დაიჭირეს გაიოზის ძმა გოგი დევდარიანი. გაიოზ დევდარიანი არ დახმარებია თურმე ხელისუფლებას ძმის დაჭერაში და ეს როგორ გაბედა, განრისხებულან კომუნისტები. გაიოზი თვითონაც ბრმადმორწმუნე კომუნისტი იყო, მაგრამ, ალბათ, მაშინ ადამიანურმა თვისებამ სძლია და ვერ იკისრა ძმის ჯალათობა.

ჭავაირა ხუტულაშვილს კი ის დანაშაული მიუძღოდა, რომ ციხეში ქმარს (რომელსაც ტროცკისტობა ბრალდებოდა) კვერცხები, მაკარონი და სხვა საზრდელი წაუღო. ცოლმა ელემენტური მოვალეობა შეასრულა გაუბედურებული ქმრის წინაშე და კომპარტიამ არ აპატია. არც ის გაითვალისწინა, რომ ჭავაირა კამოს დაი იყო და არც ის, რომ ამ ქალს, როგორც რევოლუციონერს, თავადაც ჰქონდა გაწეული ღვაწლი.

ზნეობრივი გაველურება იქამდეც მივიდა, რომ, როცა კონსტანტინე კაპანელი გარდაიცვალა, გაზეთში — „ლიტერატურა და ხელოვნება" (1952 წ., 21 დეკემბერი) [illegible] ნებულ ნეკროლოგს ხელს ა[illegible] გრამ გაზეთი „კომუნისტი" (წაიკითხეთ: საქართველოს კპ (ც)კ) მაინც გაბრაზდა და „ლიტერატურა და ხელოვნებას" ყურები აუწია — როგორ გაბედე და ნეკროლოგი გამოაქვეყნეო. შიშის გულწასულმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ" ამ „დანაშაულისათვის" ბოდიში მოიხადა და პატიება ითხოვა.[1]

უსასრულოდ შეიძლება სანიმუშოდ მასალის მოხმობა, მაგრამ არ არის აუცილებელი. სურათი ისედაც მკაფიოა. ისიც ყილით რომ დროშ კრიტიკა-ჟანდარმს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.; დღეს, მეტად იშვიათ გამონაკლის თუ არ გავიხსენებთ, ალარავინ იკადრებს იმას, რასაც ბოლშევიზმის ბატონობის დროს სჩადიოდნენ. უფრო მეტიც, ზოგს რცხვენია კიდეც წარსული საქმიანობისა და ან სულ გაჩუმებულია ან ცდილობს ცოდვა გამოისყიდოს. მონანიების გრძნობით სავსე წერილებს ბეჭდავს.

ამრიგად, სკკპ-ის მისწრაფება — ერთხელ და საბოლოოდ გაეხადა ლიტერატურული კრიტიკა მწერლობის დამსჯელ რაზმად, კალმით ჯალათად — დამარცხდა და ჩაფლავდა. ლიტერატურული კრიტიკა თანდათანობით უბრუნდება ნამდვილ დანიშნულებას.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სკკპ-მ ხელი აიღო მიზანზე და შეურიგდა დამარცხებას. იგი ბრძოლას აგრძელებს. ამის უტყუარი საბუთია გაუთავებელი წუწუნი კრიტიკის ჩამორჩენაზე, წამდაუწუმ წამოჭრილი კითხვები — სად არის ლიტერატურული კრიტიკა? არსებობს თუ არა კრიტიკა? შებრუნებული პოლიტიკაა: მწერლობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ამხედრება კრიტიკის წინააღმდეგ. ნაირნაირ ანკეტებში თუ ინტერვიუებში პროზაიკოსთა, დრამატურგთა და პოეტთა მიერ კრიტიკის ფუნქციის უარყოფა. სკკპ ცკ-ის დადგენილებანი, მიღებული ვითომდა ლიტერატურული კრიტიკის გასაუმჯობესებლად. საინტერესოა, რომელ დადგენილებას შეუძლია დაბადოს ბესარიონ ბელინსკი, გეორგ ბრანდესი, კიტა აბაშიძე? მაშ რა საჭიროა წყლის ნაყვა? ყოველი დადგენილება ლაღადისია, მუდარაა — იყოს კრიტიკა კომპარტიის იარაღი, მისი ჟანდარმი, მისი დამსჯელი რაზმი, ნუ დაივიწყებს იმას, რასაც ბოლშევიზმის ეპოქაში აკეთებდა და ნუ დატოვებს კომპარტიას ობლად თავისუფალი აზრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კრიტიკა აღარ გახდება არც შიშის მსხვერპლი და არც ცდუნების ზვარაკი. აღარასოდეს გაიმეორებს ერთხელ ჩადენილ სამარცხვინო საქციელს. მიუხე-

1 იხილეთ „კრიტიკული შენიშვნები" („ლიტერატურა და ხელოვნება", 1948 წ., 21 მარტი) და „[illegible]" („ლიტ. და ხელოვნება", 1952 წ., 11 აპრილი).

2 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1949 წ., 20 მარტი.

3 გაზ. „კომუნისტი", 1932 წ., 27 იანვარი.

1 იხილეთ, 1952 წლის 26 დეკემბრის „კომუნისტი" და 1953 წლის 4 იანვრის „ლიტერატურა და ხელოვნება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად აგებისა დამცირებისა და დაცინვისა პირნათლად გაუწიოს სამსახური საზოგადოებასაც და მწერლობასაც.

## ეროვნული ენერგიის ძიება

როცა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, შინმოსავალმა თავისთავს კითხვა დაუსვა:

„...როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვფიქრობ. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?

...შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დაყრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვუვლინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვახსნიო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველ კაცს არ ეღვივოს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვასაც მამულიშვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურით, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გაიგონებს, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის".

მოქმედების სრულიად გასაგები და მკაფიო პროგრამაა. ილიამ იცის, რა აკეთოს, რატომ და როგორ, თითქოს ოდნავი ეჭვი გამოსჭვივის საკუთარი ძალმოსილების მიმართ, მაგრამ ისიც იფანტება, რაკი არსებობს რწმენა, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის.

უფრო გვიან, მე-20 საუკუნის 10-იან წლებში, თითქმის ანალოგიური კითხვა წამოჭრა გალაკტიონ ტაბიძემ:

> ასეთი მივყავარ ჩემს მიწყნარულ გზას;
> სად ვპოვებ შვებას მოუსავალს?
> რას მიძღვნის ისეთს ჩემს სამშობლოს,
> და ან რას მივცემ მას ჩემი ქვეყნით?
> არ ვიცი... მაგრამ უძლურობაში
> ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლად მიხვეწნილს...
> ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
> მაგრამ არსად ჩანს იმედი მისი..." („სალამი")

აქ ლექსში უიმედობაც დიდი დოზით არის და მიზნის გაურკვევლობაც.

არსებითად, ერთი და იმავე ასაკის ორი ახალგაზრდა კაცი, სხვადასხვა ეპოქაში სამოღვაწეოდ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსული, სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენს ცხოვრების მიზნის მიმართ. რით არის ეს გამოწვეული? რას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა — ეპოქის ხასიათს თუ შემოქმედის პირად თვისებას? ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ის მაინც უნდა გამოვყოთ, რომელიც ასრულებს მთავარ როლს. რა თქმა უნდა, გალ. ტაბიძე არ იყო ისეთი უდრეკი და ურყევი ნებისყოფის ადამიანი, როგორიც — ილია ჭავჭავაძე. ბოროტება გალაკტიონს უფრო იოლად უტეხდა გულს, ვიდრე ილიას, მაგრამ მთავარი მაინც ობიექტური სინამდვილე იყო. ეს ნათლად გამოვლინდება მომდევნო ხანაში, როცა ურწმუნობის განცდა თითქმის ტოტალურად დაეუფლება მოაზროვნე საქართველოს.

„დიონისოს ღიმილის" პროტაგონისტი კონსტანტინე ხავარსამიძე ამოთქვამს:

„ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი — გულთმისანო ჩემო გამზრდელო!

ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ ულრან ტყიდან, განა არ გესმის?

„გზა!" იძახის ადამიანი საუკუნეების ირიბ მიჯნებზე.

„გზა!" იძახიან მგზავრები, მეეტლეები, ვატმანები და შოფრები.

„გზა!" იძახიან მწერლები, მეცნიერები, ბერები და მოძღვართმოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერავინ მასწავლა გზა.

თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია, ყველა ასპარეზი ნაცადი, ყველა ბორკილი ისევე ტკბილი, როგორც საყვარლისაგან ნაბოძები სამაჯე, მაგრამ მაინც არ ვიცი საით წავიდე, რადგან ყველა გზა ულევია და გაუვალი".[1]

ასევე სასოწარკვეთილია გივი შადური. არც მას აქვს გზის პოვნის იმედი.

„...ვინ იცის რა იმარხება ამ გულში! ვინ იცის! ვინ მეტყვის! ვერავინ, არავინ. ჩემი გზა სხვა გზით რომ წასულიყო, ან მე თვითონ სხვა გზას რომ გავყოლოდი...

ეჰ, ეშმაკსაც წაუღია ყველა გზები! ტყუილად ჩარჯავთ მათთვის, მეგობრებო, დროს და რითმებს, აზრებსა და სიტყვებს, რადგანაც გზებს არც აზრი აქვთ, არც გეზი, არც სათავე და არც დასასრული. თუმცა, მაპატიეთ, ყმაწვილებო, შევცდი; ეხლაც შევცდი... ყოველ გზას აუცილებლად დასასრულიც აქვს. უწინ იტყოდნენ ხოლმე, ყველა გზები რომისკენ მიდისო. მე კი მოგახსენებთ: ტყუილია.

1 კ. გამსახურდია — რჩეული თხზულებანი, ტ. V, 1961 წ., გვ. 669.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორია! ყველა გზები და ბილიკები აშიდების ნანგრევებზე იყრის თავს".[1]

ვერც „მთვარის მოტაცების" პერსონაჟის თარაშ ემხვარმა მიაგნო თავის გზას. როგორც უკვე ითქვა — იგი თვლიდა, რომ ამ დროის ორი გზა იყო: სტალინისა და მუსოლინის გზა, ე. ი. ბოლშევიზმისა და ფაშიზმის გზა. მაგრამ თვითონ აღიარებს თარაში — „მე ღრუბლის უგზოდ ვიხეტიალე და როგორც ხედავ, ვერც ერთს დავადექი... ორივე დახშული აღმოჩნდა ჩემთვის...".[2]

ეს სამი მაგალითიც მკაფიოდ მოწმობს, როგორ აქტიურად იყო დასმული 20-30-იანი წლების ქართულ მწერლობაში გ ზ ა დ ა ბ ნ ე უ ლ ი კ ა ც ი ს პრობლემა. მაშინ კომუნისტური ლიტერატურული კრიტიკა ამას იმით ხსნიდა, რომ გამარჯვებულმა მუშათა კლასმა უარყო და გაანადგურა მქონებელთა და პრივილეგირებულთა კლასი. დამარცხებული ქართული არისტოკრატიის შვილებს სასოწარკვეთის, წუწუნისა და ჩივილის გარდა, სხვა არაფერი დარჩენოდა. ნაწილობრივ ეს მართალია. მაგრამ იგი გზადაბნეული კაცის პრობლემის ცალმხრივი გაშუქებაა. არც გივი შადური, არც კონსტანტინე საყვარელიძე და არც თარაშ ემხვარი მხოლოდ კლასობრივი თვალსაზრისით არ ჩივიან უგზოობას. უგზოობის საკითხი მათ უფრო ეროვნული კუთხით აწუხებთ. თითოეულ მათგანს სურს ემსახუროს სამშობლოს, ხალხს, მაგრამ სოციალისტური იდეალის მიღება არც უნდათ და არც შეუძლიათ. სხვა იდეალი კი აღარ არსებობს. ისინი 1918 წლის 26 მაისს მოესწრნენ. მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. მათ უნდა 26 მაისის იდეალების სამსახურში იდგნენ. მაგრამ მათი უბედურება ის არის, რომ ისინი მოწმენი გახდნენ 26 მაისის ოცნების დაცემისა და 1921 წლის 25 თებერვლის გამარჯვების. გივი შადურისათვის, კონსტანტინე საყვარელიძისა და თარაშ ემხვარისათვის სწორედ ეროვნული თვალსაზრისით არის მიუღებელი. დამოუკიდებელი საქართველო ისევ დაემხო და ისევ დაედგა მას რუსეთის უღელი. ქართველი ერისათვის არაფერი მნიშვნელობა ჰქონდა, რა იქნებოდა წარწერილი ამ უღელზე — ცარიზმი თუ სოციალიზმი. ამის დანახვა, ამის გაგება, ამის განცდა ცხადია, უაღრესად მტკივნეული იყო. ამას გაჩინა სასოწარკვეთილებისა და უიმედობის გრძნობა. ეს რომ ასეა ამას ადასტურებს 20-იან წლებში დაწერილი ფილოსოფიურ-კრიტიკული ნარკვევებიც.

ვისაც მკუა ჰქონდა და აზროვნება შეეძ-

1 მიხ. ჯავახიშვილი — რჩეული თხზულებანი, ტ. III, 1960 წ., გვ. 424.

2 კ. გამსახურდია — „მთვარის მოტაცება", [illegible] III, 1936 წ., გვ. 319.

ლო, [illegible] კონსტ[illegible] ხარ, რომ [illegible] ქართველის დამოუკიდებლობის 20-იან წლებში არსებობდა [illegible] ასპექტი მოიძებნა.

ნიკოლო მიწიშვილი წერდა:

„და როცა კვლავ ვუბრუნდები საქართველოს, მე მას ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუთუ საქართველო მარტო ეთნოგრაფიული მოვლენაა, თახლოთან გადაგვარებაში გადასული?

როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას — იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჟი და ყიყვი... არის რაღაც შეკოწიწებული და გადაურილი, მიბნეულ-მობნეული ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოს წარსულში.

საქართველო ქაოსური მოვლენაა.

მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ქვისა, როცა მას ფეხს აჭერებენ).

საკუთარ შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც.

მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს.

ამითაა, რომ მშრალია და ფუყე საქართველო, აქედანაა მისი „უშვილობა" თუ ბერწობა.

ამის შედეგია, ჩემი ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ქცევისა განწირვა ქართული ბელადების, პოეზიისა.

მე მგონია ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუაგზაზე, დაუმთავრებელი, მიუღწეველი...".[1]

ნ. მიწიშვილი მარტო არ ყოფილა, ამგვარად სხვებიც ფიქრობდნენ, ბარემ აქვე მოვიტანოთ ზოგიერთის ნააზრევიც და მერე ვცადოთ საქმის გარკვევა.

სერგი დანელია ამბობდა:

„დავიწყებდით ისტორიას თუ არა, კვლავ გავვიწყდებოდა ისტორიის ძაფი, ეპოქათა მეწყობრიობა არ იყო. ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტია, წამოწყებული და კვლავ [illegible] ერთი [illegible] ხაზი არ არის ჩვენს ისტორიაში. არის მხოლოდ ხაზი წამების, აწიოკების, რბევისა და ჩაგვრისა. მაგრამ აქ ქართველები ისტორიის სუბიექტები კი არ ვიყავით, არამედ ატომებ-

1 ჟურ. „ქართველი მწერლობა", 1926 წ. № [illegible] ნ. მიწიშვილი — [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეით მხოლოდ ობიექტები: საქართველოს აგურებით ხხვისი ისტორია შენდებოდა.

ვცხოვრობდით დაფანტულად, გათიშულად, ერთი მეორის არა გვესმოდა, როგორც ატომებს, ყველა თავის პირადობისაკენ მიიწევდა და ერთი საზოგადო მიზანი არ ჩანდა. არ იყო ერი, რადგან გვარმა ვერ დასთმო თავი. დღესაც ქართველისათვის კაცი თავდება იქ, სადაც თავდება მისი გვარი, ე. ი. ნათესავ-მოყვრობით მასთან შეკრულ ადამიანთა გუნდი. ვინც ჩვენი ნათესავი არ არის, იმას კაცად არ ვთვლით. ის უცხოა და უცხოს სიყვარული არ არის ჩვენთვის სავალდებულო...

ქართველებს გვაქვს სიტყვა „სამშობლო", რომელიც უდრის რუსულს „родина" და ფრანგულს „Pays natal"-ს, მაგრამ არ გვაქვს ის, რასაც ფრანგებიეძახიან „Patrie"-ს გერმანელები „Vaterland"-ს, რუსები „отечество" სიტყვა „მამული", რომლის პროპაგანდას ილია ჭავჭავაძეეწეოდა, უდრის რუსულს „вотчина"-ს, ე. ი. მამის მიერ დატოვებულს კ ე რ ძ ო (ხაზი ს. დანელიასია — ა. ბ.) საკუთრებას, პირადს ქონებას. „მამული" არ არის „отечество" და ქართველებსაც არ გვქონდა „отечество". შეიძლება ამასთან არის დაკავშირებული ისიც, რომ ქართველებს არ გვქონდა სიტყვა „სინდისიც". „სინდისი" ბერძნული სიტყვაა ქართველებს იგი სხვებისგან გვისესხებია. ნასესხები სინდისით კი ისტორია არ შეიქმნება: ისტორიულ ერს ის საკუთარი უნდა ჰქონდეს, ვინაიდან სინდისი არის დუღაბი,ურომლისოდ ისტორიის კოშკი არ შენდება. ქართველთა მიერ აშენებული კოშკიც ყოველთვის ინგრეოდა. და ის ვერც ადამიანის სისხლმა და ცრემლმა შესძლეს დაეცვათ დანგრევისაგან, თუმცა „სურამის ციხის" ლეგენდა წინააღმდეგს მოგვითხრობს. განა დაძალებით დაღვრილი სისხლი და ცრემლი გასწევდა დუღაბის მაგიერობას? განა ცოტა სისხლი დაიღვარა საქართველოს ციხის ასაგებად? სხვაზედ რომ არ ვილაპარაკოთ, მარტო ის გავიხსენოთ, რომ არსად სენიორიალური რეჟიმი არ იყო ისეთი სასტიკი, ისეთი ულმობელი, ისეთი უსულ-გულო, როგორც საქართველოში. ყმებს ყიდდენ, როგორც ღორებს. სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველი ქალები თათრების ჰარამხანებში სევდისაგან სჰკნებოდნენ და ყველა ეს ცოდვა საქართველოს ციხის სახელით ფიქრობდნენ გაემართლებიათ. მაგრამ მხოლოდ ცრემლზე და სისხლზე აშენებული ციხე მუდამ ინგრეოდა. ლეგენდა სტყუის, რომ ციხე აშენდაო. ციხე არ იყო აშენებული: მარტო ჩამონგრეული კედლები მოჩანდა ზაშურიდან. ციხე არ აშენებულა, რადგან ის შენდებოდა მხოლოდ სისხლის საშუალებით: იყო მასალა, იყო აგურები, მაგრამ არ იყო ამ მასალის შემაერთებელი დუღაბი, არ იყო საერთო სული ყველა აშენებდა „თავისთავისათვის" როგორც სენაარელების გოდოლი, ისე ქართველების ციხე ერთი და იმავე მიზეზით ინგრეოდა და ხალხიც ამაოდ წვალობდა".[1]

ზევით ციტირებულს დავუმატოთ კიდევ ერთი, კონსტანტინე კაპანელის სიტყვებიც:

„მხატვრული ნაწარმოების ღირებულება განიზომება იმ გავლენით, რომელსაც იგი ახდენს გარემოზე, საზოგადოებაზე, კაცობრიობაზე: რაც უფრო დიდია არე გავლენის, მით უფრო მაღალი ესთეტიური ღირებულებისაა ლიტერატურული ნაწარმოები. თუ კი ნორმალურია ურთიერთობა იდეოლოგიასა და მდგომარეობას შორის, თუ კი ინდუსტრიის ევოლუცია განსაკუთრებულ მიწა-წყალზე ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ა დ (ხაზი კ. კაპანელისაა — ა. ბ.) იწვევს კულტურის ცენტრალიზაციას.

წინააღმდეგ შემთხვევაში იდეოლოგია და მისი უმშვენიერესი ფორმა — მხატვრული ლიტერატურა ეტნოგრაფიულ ხასიათს იღებს, როგორც მაგალითად, საქართველოში: ქართული ლიტერატურის მრავალ მშვენიერ ნიმუშებს წმინდა ეტნოგრაფიული ხასიათი აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული კულტურის ცენტრალიზაცია საშუალო საუკუნეების შემდეგ ან სუსტი იყო, ან სულ არ ყოფილა. ამის შედეგია ის, რომ ქ ა რ თ უ ლ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ ი, ქ ა რ თ უ ლ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ტ ი პ ი ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს (ხაზი ჩემია — ა. ბ.): არც მთლიანი კლასობრივი სახეობა არსებობს და ამაშია მთელი ჩვენი ეროვნული ტრაგედია: საქართველოს რომ ძლიერი გაბატონებული კლასები ყოლოდა, როგორც საშუალო, ისე ახალ საუკუნეებში, ქართველი ერის ისტორიული ევოლუციაც სხვანაირი იქნებოდა და ქართული ლიტერატურაც თავის ტიპებით არ იქნებოდა მომწყვდეული ეტნოგრაფიულ ზღუდეებში: ეკონომიურად და კულტურულად ძლიერი კლასი ფსიქოლოგიურად გააერთიანებდა საქართველოს პროვინციებს, ქართველ ტომებს ტემპერამენტით, ემოციებით, გრძნობებით, მოქმედებით დაამსგავსებდა ერთმანეთს და ქართული სულის პერიფერიულად გაბნეულ მდიდარ თვისებებს ნაციონალურ ტიპებსა და სახეებში ჩამოადუღებდა ისტორიულად".[2]

შევწყვიტოთ ციტირება. მართალია, ეროვნული ენერგიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების დამადასტურებელი სხვა მასალაც უხვად არის, მაგრამ ისედაც თვალნათლივ ვხედავთ — რა ღრმად და მტკიცედ გასჯდომოდა სასოწარკვეთილება ძვალ-რბილში ჩვენს საზოგადოებას.

ზერელედ არ უნდა შევხედოთ ამ სასოწარკვეთილებას, ამ ნიჰილიზმს. არ უნდა ვიფიქროთ,

---

1 ს. დანელია — ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, 1927 წ., გვ. 84, 85, 86.

2 კ. კაპანელი — ქართული სული ესთეტიურ სახეებში, 1926 წ., გვ. 190-191.

პაატა ბუხრაძე
ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იგი შუა ქართველი ხალხის მტრობამ არ ხაძულვილმა. ეს რომ დავუშვათ, ხაბედისწერო შეცდომას ჩავიდენთ. პირიქით, სასოწარკვეთილება და ნიჰილიზმი დაბადა დიდმა, თავგადადებულმა, უანგარო სიყვარულმა და გულისტკივილმა. მაგრამ იმ სიყვარულმა და გულისტკივილმა, რომელმაც ვეღარ აიტანა ისტორიის უსამართლობა და დაკარგა რწმენა და იმედი. ეს იყო გაუგონარი ტრაგედია და მოაზროვნე საქართველო იგლოვდა თავისთავს. მართალი იყო ნიკოლოზ მიწიშვილი, როცა თქვა — „მე არ ვიცი — ვის უყვარს საქართველო ჩვენზე მეტად". ეს სასოწარკვეთილება და ნიჰილიზმი წარმოშვა იმ სიყვარულმა, რომელმაც ილიას „ბედნიერი ერი" დააწერინა და აკაკის ათქმევინა — „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!" ჩვენ არ უნდა წამოვეგოთ კომუნისტური პროპაგანდის სიცრუის იმ ანკესზე, რომელიც 40-იან წლებში სერგო დანელიას, კონსტანტინე კაპანელს და სხვებს უწოდებდა „უზნეო და სინდისგარეცხილ მეცნიერებს".[1] პრესაში გაჩაღებული ლანძღვა-გინება არ იყო პასუხი იმ კითხვისა, რომელიც მათ დასვეს. ეს იყო ცდა, გაქცეოდნენ პასუხს და საქმის უმეცარი მკითხველი პროპაგანდის ნაცრის ბუქით დაებრმავებინათ.

ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გაჩენილი სასოწარკვეთილება პირდაპირი გაგრძელება იყო მე-19 ასწლეულის პირველ ნახევარში დაბადებული სასოწარკვეთილებისა.

1801-1810 წლებში საქართველოს თავისუფლების დაკარგვამ რუსეთის მიერ ქართველი ხალხის მოტყუებამ გაათგნა და თავზარი დასცა ჩვენი ერის მოაზროვნე ნაწილს. ამის უთუო და უთუმცაო საბუთია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გაორებული დამოკიდებულება საქართველოში რუსეთის გაბატონებისადმი.

თუ „განიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სახოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება" როგორც ალ. ჭავჭავაძე ამბობდა, მაშინ რაღას ნატრობს — „მე ამას ვჰსტირი განაწირი, ვაჰ, თუ ვესწრა ვერ!.. თვარაღა ჟამი, გულთ საამი, კვლავაც იქნების".[2]

გულთმაამი ჟამი ალ. ჭავჭავაძეს პირადი ცხოვრებისათვის არ ეოცნებებოდა. მას, ეროვნული თავისუფლების გარდა, არაფერი აკლდა. მისი მზერა საქართველოს მომავლისკენ იყო მიპყრობილი. მაგრამ ეჭვი ღრღნიდა, მტკიცედ ვერ ეწამებინა — საქართველოს თავისუფლების შესაძლებლობა. გაორება ორ უკიდურეს წერტილს შორის აქანავებდა. ერთ მხარეს იყო ცრუ განცი — „ეშვათ ივერიელთ [illegible] მეორე მხარეს — გულთმაამი ჟამის მოლოდინი და ნატვრა.

თუ გრიგოლ ორბელიანს გულით სჯეროდა, რომ ნიკოლოზ პირველმა მართლა მოუვლინა საქართველოს „თამარის დღენი, დიდების დღენი",[1] მაშინ რატომღა მისტიროდა ჩვენი სამშობლოს წარსულს და რატომღა ამოიკვნესა სინანულით — „ან ეს რაცა ვჰსთქვი, რათა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვჰსთქვი?".

რა უნდოდა ეთქვა და ვერა თქვა? რა „აზრი, ნაცნობი გულისა" უნდა ამოეცნო მკითხველს? ცხადია, ეროვნული თავისუფლებისა. მაგრამ ეჭვი და სასოწარკვეთილება ბოლომდე ვერ დაუძლევია და გაორების ბეწვის ხიდზე დგას.

ნ. ბარათაშვილი ჯერ პოემაში „ბედი ქართლისა" აშკარა წინააღმდეგია ერეკლე მეორის გადაწყვეტილებისა, მერე კი ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა" თითქოს ამართლებს რუსთა მიერ საქართველოს დაპყრობას. თუ სტრიქონები — „აჰა, აღსრულდა ხელმწიფურო აწ აზრი შენი, და ვსჯამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენი ძენი" — , მწარე ირონია კი არის, მაშინ ეს ან იმედდაკარგული კაცის სასოწარკვეთილებაა ან საბედისწერო დაბნეულობა.

ასევე დაგვემართა 20-იან წლებშიც. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო ისევ დაიპყრო რუსეთმა, რუსმა კომუნისტებმა ისევე მოატყუეს ქართველობა, როგორც ადრე რუსმა ცარისტებმა. 1920 წლის მაისში რუსეთის საბჭოურმა მთავრობამ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, ხელი მოაწერა სათანადო აქტს, უარი თქვა ჩვენი ქვეყნისადმი პრეტენზიებზე. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ლენინისა და რუსეთის საბჭოური მთავრობისათვის რამდენიმე თვის შემდეგ თავს დასხმოდა საქართველოს და ისევ რუსთა ბატონობა დაემყარებინა.

ეროვნული თვალსაზრისით, პოლიტიკური სიტუაცია არსებითად ერთნაირი იყო. შედეგიც ერთნაირი გამოვიდა. განსხვავებად კი შეიძლება ერთი რამ ჩაგვეთვალა: 1801-10 წლებში ცარიზმს ქართული ინტელიგენციიდან არ დაუქირავებია საგანგებო ჯგუფი, რომელიც ეროვნულ ნიჰილიზმს ექადაგებდა და ქართველ ხალხს მომავლის რწმენას მოუწამლავდა. საბჭოურმა რუსეთმა კი 20-იან წლებში შეადგინა მონა-სპათა რაზმი, პროლეტარული მწერლობის სახით, რომლის ძირითად ამოცანად დასახეს ქართველ ხალხში ნაციონალური გრძნობის საბოლოოდ ჩაკვლა. საბედნიეროდ, ამ მხრივ, მათი საქმიანობა მარცხით დამთავრდა.

1 გაზ. „კომუნისტი", 1949 წ., 11 მარტი.

2 შეადარეთ ალ. ჭავჭავაძის ლექსები „კავკასიონ" და „პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ" (ლექსები, 1949 წ., გვ. 85-88).

1 გრ. ორბელიანი, „ავტობიოგრაფია" (თხზულებათა სრული კრებული, [...] წ., გვ. 98-99; 106).

РСФСР и Грузинская демократическая республика 1922 г., Москва, стр. 8 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარმა ეროვნული ოპტიმიზმით უპასუხა პირველი ნახევრის ეროვნულ სკეპტიციზმს.

ილია ჭავჭავაძემ თავის თაობას მოუწოდა:

„მოვიგლოთ წარსულ დროებზედ ფიქრი,—
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს.
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

მაგრამ როგორ, რა პრინციპით? ილიამ ამგვარად ჩამოაყალიბა იგი: კლასობრივი ჰარმონიის (ე. ი. ეროვნული მთლიანობის) გზით შრომის განთავისუფლებისა და ნაციონალური თავისუფლებისაკენ.

„ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთიანებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ... — დასაწყისია განთიადისა...“ („ოთარაანთ ქვრივი“).

„შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის... („აჩრდილი“).

„ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს...“ („მგზავრის წერილები“).

ამ პროგრამის განსახორციელებლად შრომობდა ილიას მეთაურობით თერგდალეულთა თაობა. იმ მიზნის საქმედ ქცევა დანგრევით ემუქრებოდა რუსეთის კოლონიურ სისტემას. ეს ნათლად დაინახა რუსეთმა. აუცილებელი გახდა თერგდალეულთა წინააღმდეგ ბრძოლა. ქართველთა ყურადღება უნდა ჩამოსცილებოდა ეროვნულ პრობლემას და გადატანილიყო სხვა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე. ეს საკითხი კი გახლდათ შრომის განთავისუფლება. ამ პრობლემით თამაში მომგებიანი იყო, რამეთუ იგი თერგდალეულთა პროგრამის ნაწილსაც შეადგენდა. და გაუთვითცნობიერებული ხალხი ადვილად მოტყუვდებოდა. ამიტომ თერგდალეულთა პრინციპს დაუპირისპირეს ახალი: კლასობრივი ბრძოლით შრომის თავისუფლებისაკენ. ეროვნული გამოირიცხა, რადგან ამტკიცებდნენ — შრომის განთავისუფლება ავტომატურად გამოიწვევს ეროვნულ თავისუფლებასაც. თუ ქართველი ხალხი ამ პრინციპს იწამებდა, მაშინ საქართველოს დატოვება რუსეთის ყმად იოლი იქნებოდა. გაუმართლა მტერს ვარაუდმა, ქართველობა თავგამეტებული გადაეშვა კლასობრივ ბრძოლაში სუტიმედით — პროლეტარიატის გამარჯვებას მოჰყვებოდა ეროვნული თავისუფლებაც.

მტერს ხელ-ფეხი გაეხსნა და მოქმედების ასპარეზი მიეცა.

1907 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიამ მარტო ილია ჭავჭავაძე კი არ მოჰკლა, არამედ საქართველოს ეროვნული თავისუფლების იდეაც. ამ დღეს, წინამურში, თერგდალეულთა ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა დამარცხებით დამთავრდა.

მინავლული სასოწარკვეთილება ისევ [illegible] და მოაზროვნე საქართველოს გულში [illegible] იწყო ბრძოლა გინცსა და უგინცობას შორის. იმედის ახალმა ზარმა 1918 წლის 26 მაისს შემოჰკრა, მაგრამ, როგორც ვიცით, მისი ხმაც მალე ჩაქვდა.

ძველთა ძველი კითხვა ისევ ითხოვდა ახალ პასუხს, მაგრამ ამ პასუხის პოვნა მე-20 ასწლეულის 20-იან წლებში გაცილებით რთული იყო, ვიდრე მე-19 საუკუნის პირველ ნაევარში. განვლილმა დრომ ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი.

როცა უკან მივიხედეთ, დავინახეთ, რომ:

ქართულმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ არსებობა დამარცხებით დაამთავრა. დიდხანს, საუკუნეების მანძილზე ატარა მან ქართველი ხალხი სისხლიანი ბრძოლის გზით, მაგრამ სამშვიდობოს ვერ გაიყვანა. იმ არისტოკრატიამ, რომელმაც დავითისა და თამარის საქართველო ააშენა, სიბერისაგან დაჩაჩანაკებულმა სამარცხვინო ანდერძი დაუტოვა ქართველ ხალხს:

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა,
მან სათვალს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“.

ეს სახელოვანი ცხოვრების უბადრუკი დასასრული იყო.

ქართულმა ბურჟუაზიამ კი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ის ძალა ვერ შეიძინა, რომ ერის მეთაურობა ეკისრა და ხალხს წინ გასძღოლოდა. უძლურებისა და განუვითარებლობის გამო ამ მისიისათვის იგი არ გამოდგებოდა.

ქართული პროლეტარული მოძრაობის თავკაცებმა უძიძოდ არსებობა ვერ შესძლეს. ეს კი ქართული მუშათა კლასის სისუსტის ბრალი იყო. დამოუკიდებლად იგი კლასთა ბრძოლის წარმოებას ვერ შესძლებდა, თუმცა ძალიან იყო მოხიბლული ამ ბრძოლით. ამიტომ ქართველი მარქსისტები პირდაპირ მისჩერებოდნენ რუსულ მარქსიზმს და, რასაც გადია ჩაუგდებდა პირში, იმას ღოღნიდნენ და ილმურძლებოდნენ. ამან გამოიწვია ის, რომ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ეროვნულ საკითხში იმავე გზით იარა, რომლითაც ქართული ფეოდალიზმის ნაბოლარები დადიოდნენ.

ასე დარჩა ერი უწინამძღოლოდ.

ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი ყოველი ჭკუათმყოფელი ქართველი სვამდა კითხვას — მართლაც, ვინ არის ქართველი? რა არის საქართველო? ნუთუ მართლა არ ჰყოფნის მას ეროვნული ენერგია დამოუკიდებლად არსებობისათვის? ნუთუ არსებობა მხოლოდ ყმის სახით შეუძლია? ვისაც ნებისყოფამ უღალატა, იმან ხელი ჩაიქნია და მონობის შეგუება მოინდომა. ყველაფერი ეროვნული ენერგიის სისუსტით ახსნა და ბედს შეურიგდა. ზოგიერთმა ქართველი ერის წიაღში დაიწყო ნაციონალური ენერგიის ძებნა. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი მიხ. ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდე-ლში“ ასე დახატა:

ნაპოლეონის ომიზე ქვეყანაში დამთავრდა. ხალხი დაიშალა და შინ გასამგზავრებლად ემზადება. სანაპიროსანი ადგილას „შინწავე დრომის“ წინ გაძლიერების ელოდება. სახარითიანო ალმოსავლეთ საქართველოს „მეწინავე სადროშო“ იყო და ზაალ ბარათაშვილი ახლა მისი პატრონი. არსენას მამა ღვთისავარმა, როგორც ძველ ყმად-ამეშ, ალამი ჩამოხსნა და ბატონის განკარგულებას ელოდება. უცბათ დროშას თვალი მოჰკრა არღოყმა და გაოცებულმა იკითხა — ეს რა ამბავია? აუშნეს რაც იყო ლარაც მდებოდა. რუსმა მაიორმა განკარგულება გასცა — ახლავე მომეცითო. თან ცხენი ღვთისავრისკენ დაძრა და დროშას წაეტანა. არსენას ჩამამ მაიორის ცხენს ალვირში სტაცა ხელი, დროშა გვერდზე გასწია და ბატონებს მიაჩერდა — რა ვქნაო.

„მეფურისფერი კორძიანი ხელი და ჭაღარით მოსილი ულვაშები იდნავ უთრთოდა. გრიგოლ ორბელიანს ზაფრანის ფერი ედო. დავით ბარათაშვილს თავი ჩაექინდრა. მარშალი ალექსანდრე გაშეშებული იდგა. კნეინები განაბულიყვნენ. დროშის მოლაროს ზაალს კი პირი დაეღო და ხმა დაეკარგა“.

თავადებმა ალარ იციან, როგორ მოიქცნენ — თან არღოყის ეშინიათ, თან დროშის დათმობაც ერცხვენებათ. მაშინ არსენამ მამასთან მიაგდო ცხენი, დროშა გამოართვა და რუსის გასაგებად და ქართველთა გასაგონად დაბალი ხმით ჩაიბრიალა — მოვიდეს და წაიღოს. არღოყი ბოღმით ჩაფრუტდა, უხმოდ მიატრიალა ცხენი და კუდამოძრუებული იქაურობას გაეცალა.

მერე არსენამ ის დროშა საერთოდ წაართვა ზაალ ბარათაშვილს და თავის რაზმის სიფლამად აქცია.

მიხ. ჯავახიშვილის აზრით, ასე უნდა ეტვირთა თვითონ ხალხს თავისი ეროვნული ბედის მოგვარება, მაგრამ იყო ამის საშუალება საბჭოთური ხელისუფლების დროს? არა, უკვე აღარ იყო. ერის ბედის მმართველის, მისი იღბლის გადამწყვეტის როლი კომპარტიამ მიითვისა. საქართველოს კპ-მ კი ქართველთა თავსატეხ კითხვას ის პასუხი გასცა, რაც რუსმა უკარნახა — მარადიულად რუსეთთან ერთად! სხვა პასუხს ვერ მოძებნიდა, რადგან საქართველოს კპ ყოველთვის ეყრდნობოდა და ეყრდნობა რუსულ ხიშტს. მართალია, ხიშტი ძნელი დასაყრდნობია, მაგრამ სკამიდან ჩამოგდებას, მაინც ხიშტზე ჯდომა ურჩევნია. როცა 1924 წელს ქართველმა ხალხმა სცადა თავად მოეგვარებინა საკუთარი ბედ-იღბალი, რუსის ჯარის დახმარებით, კომპარტიამ სისხლში ჩაახშო ამბოხება. ამით გააფრთხილა ქართველი ხალხი. საკმარისია ხელი გაანძრიოთ და პირწმინდად მოსპობა არ აგცდებათო.

ასე დაამკვიდრეს განკარგულებ[...]ულად რუსეთთან ერთად!

ასე უარყვეს ყველა სხვა ვარიანტი, ყველა სხვა პასუხი პრობლემის მოსაწესრიგებლად.

ასე ჩახჩარეს ყველას პური პირში.

ასე აიკრძალა ფიქრი, სჯა-ბაასი ეროვნულ საკითხზე.

ასე „გადაწყდა“ ქართველთა ბედი ქართველთა უკითხავად.

ასე დარჩა უპასუხოდ კითხვა, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწამებს ქართველს.

ამიტომ დუმს დღევანდელი ქართული მწერლობა და არაფერს ამბობს ეროვნულ ენერგიაზე, ხმამაღლა არ ცდილობს ამოიცნოს იგი. მაგრამ ფიქრის შეჩერება შეუძლებელია. ფიქრის აკრძალვა არ მოხერხდება. ჩუმად, საკუთარ გულში ყველა ეძებს პასუხს. თუმცა საჯაროდ მისი თქმა ვერ მოუხერხებია, დრო კი კარგახანია დადგა, არა მარტო გულში ვიფიქროთ, არამედ ხმამაღლა ვთქვათ — რა ელის ქართველ ხალხს: დარჩება იგი ტომად, ეთნოგრაფიულ მასალად, რომლისაგანაც ყოველი დამპყრობელი იმას გამოძერწავს, რაც სურს და მიზანშეწონილად მიაჩნია თუ გახდება ერი, კაცობრიობის სრულუფლებიანი, თავისუფალი, დამოუკიდებელი წევრი, საკუთარი ეროვნული და ინტერნაციონალური მისიით?

ამისათვის ქართველ ხალხს ბევრი რამის გადაფასება დასჭირდება და უფრო ნათლად და მართლად წარმოდგენა. ეს აუცილებელია, რადგან მას მერე, რაც 1801-10 წლებში რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქართველი ხალხის ბედს, გვინდოდა თუ არა ეს, რუსი ერის მდგომარეობა განაპირობებდა. ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლო საკუთარი შეხედულებისამებრ წაგვემართა ჩვენი ბედ-იღბალი. მიხეილ ჯავახიშვილმა მოხდენილად დაახასიათა საქართველოს მდგომარეობა, როცა „არსენა მარაბდელში“ ალექსანდრე ორბელიანს ათქმევინა — „რუსი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამოვრჩეთო. ჩვენც დახისხლიანებული მივრბივართ და გვგონია, რუსი სიკეთეს გვიშვებაო“.

სანამ ქართველი არ გათავისუფლდება „სიკეთის მომტანი რუსეთის“ ილუზიისაგან, საქართველოს საშველი არ ექნება.

თვალი გაადევნეთ რუსეთის ისტორიას და დაინახავთ, რომ ყველა დიდი და კეთილი წამოწყება რუსეთში მარცხით მთავრდება.

მარცხით დამთავრდა პეტრე პირველის დაწყებული რუსეთის ევროპეიზაციის იდეა, ორ საუკუნეზე მეტი იბრძოლეს რუსეთში ამისათვის, მაგრამ არსებითად ვერაფერს მიაღწიეს. იმ დღეს, რა დღესაც სტალინმა რუსი ხალხის სადღეგრძელო დალია და რუსეთის პრიორიტეტის ტოტალური ქადაგება დაიწყეს სსრკ-ში, საბოლოოდ დაიმარხა პეტრეს იცნება — რუსეთს ევროპული სახე შეეძინა. [...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლავიზმის ყველაზე მახინჯმა გამოვლენამ რუსიზმმა.

რატომ მოხდა ეს? იმიტომ რომ არც პეტრეს, არც ეკატერინე მეორეს, არც სხვებს რუსეთის ევროპეიზაციის პროცესში არ უცდიათ შეეცვალათ რუსული ყოფის სული — დესპოტიზმი. ისინი დესპოტიზმის გზით ნერგავდნენ ევროპეიზმს. არ ესმოდათ, რომ ევროპეიზმი პირწმინდად გამორიცხავს დესპოტიზმს (რა თქმა უნდა, ლაპარაკია არსზე და არა ცალკეულ, ხანმოკლე გამოვლენაზე დესპოტიზმისა ევროპაში). მიზნისა და განხორციელების გზის შეუსაბამობამ გამოიწვია პეტრე პირველის იდეის დამარცხება.

რუსეთის ევროპიზაციისაკენ მოწოდება იყო ლენინის სიტყვებიც:

„დიახ, ისწავლე გერმანელისაგან! ისტორია მიხვეულ-მოხვეული და შემოსავლელი გზებით მიდის. გამოვიდა ისე, რომ დღეს სწორედ გერმანელი ახახიერებს, მხეცურ იმპერიალიზმთან ერთად, დისციპლინის, ორგანიზაციის, მწყობრი თანამშრომლობის საწყისს უახლესი მანქანური ინდუსტრიის, უსასტიკესი აღრიცხვისა და კონტროლის საფუძველზე.

ეს კი სწორედ ისაა, რაც ჩვენ გვაკლია. ეს სწორედ ისაა, რაც ჩვენ უნდა ვისწავლოთ, სწორედ ისაა, რაც აკლია ჩვენს დიდ რევოლუციას, რათა ძლევამოსილი დასაწყისიდან, მთელ რიგ მძიმე განსაცდელთა გზით, ძლევამოსილ დასასრულამდე მივიდეს. ეს სწორედ ისაა, რაც ესაჭიროება რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რათა იგი აღარ იქნეს ლატაკი და უძლური, რათა საბოლოოდ გახდეს ძლიერი და უხვი".[1]

ეს სტრიქონები პირდაპირი გაგრძელებაა რუსულ მწერლობაში შექმნილი ბეჯითი და საქმიანი გერმანელის სახისა, რომელიც უპირისპირდებოდა ზარმაც, უქნარა და არყით გამოთაყვანებულ რუსის ხატს. ლენინი ოცნებობს იმ პიროვნებაზე, რომელსაც გასულ საუკუნეში ნიკოლოზ მიხაილოვსკიმ „გაგერმანელებული რუსი" უწოდა. მაგრამ არც ამ მოწოდებას ეწერა განხორციელება, ეს ოცნებაც მარცხით დამთავრდა. საკმარისი აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომში რუსეთს გაემარჯვა, რომ „გაგერმანელების" (ანუ ევროპეიზაციის) სურვილი ერთბაშად და სამუდამოდ უკუაგდოთ და რუსობით ტკბობას მისცემოდნენ. რუსიზმი კაცობრიობის ოცნებად გამოცხადებით, საბჭოურ პროპაგანდას რუსიზმის ტოტალური ქადაგება დაეწყო.

რატომ მოხდა ეს? იმიტომ რომ აქაც გერმანული „დისციპლინის, ორგანიზაციის, მწყობრი თანამშრომლობის, უსასტიკესი აღრიცხვისა და კონტროლის" განხორციელება ლენინმაც დესპოტიზმის გზით მოისურვა. ვერ მიხვდა, რომ, რასაც თვითონ იძახოდა, ერის [illegible] ბაა მათრახითა და ჯოხით [illegible] შეიძლება. „გერმანული [illegible] ფლების ნაყოფია და არა დესპოტიზმის. ამჯერადაც მიზნისა და განხორციელების გზის შეუსაბამობამ ეს ოცნებაც დამარცხებისთვის [illegible] ვანა. ლენინური დესპოტიზმის გზით, რუსეთმა ვერ შეიძინა ის, რაც ესაჭიროებოდა: მისი სურვილი, რომ აღარ ყოფილიყო ლატაკი და უძლური, გამხდარიყო ძლიერი და უხვი.

მარცხით დამთავრდა ოთხმის საუკუნენახევრიანი რუსული განათლებულობის ბრძოლაც — დაწყებული რადიშჩევით და დამთავრებული 1917 წლის თებერვლის რევოლუციით. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ მოსპო თავისუფლების ყველა იდეალი და ცარისტული დესპოტიზმი კომუნისტური დესპოტიზმით შეცვალა. თან კომუნისტური დესპოტიზმი მრავალგზის უფრო სასტიკი აღმოჩნდა, ვიდრე ცარისტული იყო. ამის სათქმელად, თუ გნებავთ, აღარც უკვე მოვიტანე რამდენიმე ამონაწერი, რომელმაც ნათლად დაგვანახა, რომ კომუნისტურ დესპოტიზმთან შედარებით ცარისტული დესპოტიზმი ბავშვის გართობას ჰგავდა.

კატორღის გახსენება რად გვინდა. უბრალოდ შევადაროთ ერთმანეთს „თავისუფალი" მოქალაქის მდგომარეობა ცარიზმისა და სოციალიზმის დროს და ცხადად დავინახავთ რაოდენ უუფლებო, დამონებული და დაჩაგრულია საბჭოელი ადამიანი. ცარიზმს აზროვნება არ აუკრძალავს. კომუნისტებმა კი აკრძალეს იგი. ცარიზმის დროს იყვნენ ჩაადაევიც, ბელინსკიც, გერცენიც, ჩერნიშევსკიც, მიხაილოვსკიც, ლავროვიც, პლეხანოვიც და ლენინიც. სოციალიზმის დროს? სრული მდუმარებაა. აზრი არ ჭაჭანებს არსად. თუ ვინმე აზროვნებას დააპირებს ან კატორღაში უნდა დალიოს სული ან სამუდამოდ ემიგრაციაში წავიდეს. თუმცა ემიგრანტობაც სახატრელია და მხოლოდ თითოოროლა „რჩეულს" თუ ერგება წილად.

ამგვარი კატასტროფა არ განუცდია არცერთი ევროპელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ნიდერლანდების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა თავისუფალ და დემოკრატიულ ჰოლანდიას. ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ — ბრიტანულ დემოკრატიზმსა და თავისუფლებას, საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ — დემოკრატიულ და თავისუფალ საფრანგეთს... ერთადერთი ქვეყანა, სადაც ბურჟუაზიული რევოლუციის (1917 წლის თებერვალი) შედეგად დაიბადა (1917 წლის ოქტომბერი) დესპოტიზმის ახალი სახეობა, რუსეთია.

რატომ მოხდა ეს? რუსი ხალხის ბუნების და ხასიათის გამო. თავისუფლების სახელით რუსეთში შეიძლება მოხდეს ბუნტიც და რევოლუციაც. შეიცვალოს მთელი სოციალ-პოლი-

---

[1] ლენინი — თხზულებანი, გამოც. IV, 1952 წ., ტ. 27, გვ. 179-180.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკური სისტემაც, მაგრამ ამ ბუნტის, ამ რევოლუციის, ამ ცვლილების ბუნება და ხასიათი ყოველთვის ერთნაირი იქნება — დესპოტური.

კარგად დააკვირდით: ნაციზმის ბატონობის შემდეგ იქვა მსოფლიოს ერთ-ერთი უდემოკრატიულესი სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ფაშიზმის პარპაშის შემდეგ გაჩნდა თავისუფალი იტალია, ფრანკოს დიქტატურას მოჰყვა ახალი ესპანეთი, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიზმის პრინციპებით ცხოვრობს (კომუნისტი ჯი დოლორეს იბარური კი დაბრუნდა სამშობლოში), სალაზარის დამხობის მერე პორტუგალიაში თავისუფლება ზეიმობს. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ისევ არაფერი შეიცვალა, რუსეთია, თუმცა, რაც სტალინი გარდაიცვალა, ოცდაცხრა წელიწადი გავიდა. მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა სტალინის სიკვდილის შემდეგ თავწამოყოფილი რუსული ლიბერალიზმი. დღევანდელ რუსეთში ისევ სტალინიზმი ბატონობს. სხვანაირად არც შეიძლებოდა. სტალინიზმი სხვა არაფერი იყო, თუ არა პრაქტიკული ლენინიზმი. რუსეთში სოციალიზმის არსებობის ერთადერთი ფორმაა — ლენინისტური ტერორიზმი. როგორც კი შეიცვლება ლენინისტური ტერორიზმი, მაშინვე დაემხობა სოციალიზმიც. როგორც ჩანს, ეს გაკვეთილი კარგად აითვისეს სტალინმაც და მისმა შემცვლელებმაც. დესპოტიზმის დღესასწაული გრძელდება.

ოფიციალური პროპაგანდა დღეს დიდად იკვეხნის იმით, რომ რუსეთმა პირველმა განახორციელა რეალური სოციალიზმი. მაგრამ, თუ ვკითხავთ — რა მისცა სოციალიზმმა რუსეთს, — პასუხად მივიღებთ — სამხედრო ძლიერების გარდა, არაფერი. ეს დონე კი რუსეთს არასოდეს აკლდა. ადრე თუ ევროპის ჟანდარმი ერქვა, ახლა მსოფლიოს ჟანდარმის სახელი დაიმსახურა. ეს არის და ეს. სხვა მხრივ წინ ნაბიჯიც არ გადაუდგამს.

რუსული გამათავისუფლებელი მოძრაობის მარცხი ქართული იმედის მარცხიც იყო. რუსეთის განთავისუფლებასთან აკავშირებდა ქართველობა საკუთარ თავისუფლებასაც. რუსეთთან საქართველოს შეერთების მოტრფიალე ქართველი მეფეების იმედს მიამიტი რწმენა ედო საფუძვლად: ქრისტიანი რუსეთი არ დაჩაგრავს ქრისტიან საქართველოს. რუსული სოციალიზმის ერთგული ქართველი კომუნისტების იმედსაც გულუბრყვილო რწმენა კვებავდა: სოციალისტური რუსეთი გაათავისუფლებს სოციალისტურ საქართველოს. მწარედ მოვტყუვდით. ცარისტულმა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქართველი სამეფო დინასტია დააპატიმრა და რუსეთში გადაასახლა. საქართველოს სამეფო გააუქმა და იგი ორ გუბერნიად — თბილისისა და ქუთაისის — აქცია. ქართული ეკლესია მოსპო, ქართული წირვა-ლოცვა აკრძალა და რუსული დაამკვიდრა. ქართული ენა განდევნა სასწავლებლიდან. ამ მწარე სინამდვილემაც ვერ გამოაფხიზლა ქართველი მარქსისტები. ლენინის მსასოებელმა ქართველმა კომუნისტებმა საქართველოს ცარისტული დესპოტიზმის უღელი კომუნისტური დესპოტიზმის უღლით შეუცვალეს.

ეს ქართული აზროვნების გაუგონარი მარცხი იყო.

ქართველობას ყოველთვის ატყუებდა რუსული თავისუფალი აზრის არსებობა, ვერ ხედავდა რუსეთისათვის დამახასიათებელ უცნაურ კანონზომიერებას: რუსეთში თავისუფალი აზრი არსებობს ცალკე და დესპოტიზმი — ცალკე. ამ დესპოტიზმზე თავისუფალი აზრი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს, დესპოტიზმს კი შეუძლია, როცა მოისურვებს, მაშინვე გაუსწოროს ანგარიში თავისუფალ აზრს.

ყოველთვის ასე იყო და დღესაც ასეა: თავისუფალი აზრის მოქადაგეს რუსეთში ან კატორღა ელოდა, ან — ემიგრაციაში გაძევება.

ანდრეი კურბსკი იძულებული გახდა პოლონეთში გაქცეულიყო და იქიდან გამოეგზავნა წერილები, რომელნიც ივანე მრისხანის სისხლიან საქმეებს ამხელდნენ.

გერცენმაც ევროპას შეაფარა თავი და ისიც იქ აკრავდა სამარცხვინო ბოძზე ნიკოლოზ პირველის რეჟიმს.

ემიგრაციაში ემალებოდნენ ცარიზმის ჟანდარმებს „ნაროდნაია ვოლიას" წევრებიც და რუსი მარქსისტებიც.

დღესაც უცხოეთში ცხოვრობენ ან კატორღაში იტანჯებიან ისინი, ვისაც სურდა აზრის თავისუფლების აღორძინება სსრკ-ში.

გერცენის ჟურნალი „კოლოკოლი" ევროპაში იბეჭდებოდა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ეთქვათ სიმართლე ცარისტულ რუსეთზე.

დღესაც ევროპაში ისტამბება თავისუფალი რუსული ჟურნალი „კონტინენტი". დღესაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება სიმართლის თქმა სოციალისტურ რუსეთზე.

რუსი დისიდენტების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში არავის უმხელია კომუნისტური დესპოტიზმი იმ ძალითა და სიღრმით, როგორც ეს მათ გააკეთეს, მაგრამ შედეგი?

რუსეთში ყოველთვის ძლიერი იყო მამხილებელი ძალა, თუმცა ასევე ყოველთვის უსუსური თავისუფლების განხორციელების შანსი.

ბედისწერასავით დასდევს რუსეთს შემზარავი პარადოქსი: მთელი ძალა მოახმაროს არა თავისუფლების იდეის საქმედ ქცევას, არამედ როგორც საკუთარი, ისე სხვისი თავისუფლების ჩახრჩობას. ამგვარმა მდგომარეობამ წარმოშვა ორი რადიკალურად განსხვავებული შეგნება. ერთი ნაყოფია ევროპული თავისუფალი კულტურის, ხოლო მეორე შედეგია რუსული დესპოტური კულტურისა.

ჩეიმზ ჯოისის პროტაგონისტმა დედალუსმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] [illegible] თავისი [illegible] საზოგადოებრივი აზროვნად ლაპარაკი.

სტოუნ ოლდინგტონის, დაწყებითი კლასი, კლინგორუს-ვუდის კოლეჯი, სტოუნზი, კიმბერლის საგრაფო [illegible], ევროპა, საწყალი, უნივერსიტეტი.

იშვიათი სიცხადით არის წარმოდგენილი ადამიანის, საზოგადოების, კაცობრიობის, უნივერსუმის ერთიანობა მისი დაშლა და დანაწევრება რაიმე პრინციპით შეუძლებელია. ამ შეგნების დაშლის განხორციელების ცდაც კი დანაშაულია როგორც პიროვნების, ისე მთელი კაცობრიობის წინაშე. სტოუნ ოლდინგტონისათვის თავისუფალია პიროვნება, თავისუფალია ერი, თავისუფალია კაცობრიობა. იგი ერთიანი და მთლიანია სრული და საყოველთაო თანასწორობის იდეით. ამ თავისუფალი და თანასწორი სამყაროს ნაწილია ყოველი ადამიანი.

ეს არის შეგნება დაფუძნებული ევროპული კულტურის ნიადაგზე.

ამ შეგნების საწინააღმდეგოდ რუსულმა კულტურამ შვა შოვინიზმით შეპყრობილი ადამიანი. ეს მონური შეგნება უზბეკმა პოეტმა ჰამიდ ალიმჯანოვმა ასე გამოთქვა:

Россия! Россия!
Твой сын, а не гость я,
Ты — родная земля моя,
отчий мой кров.
Я — твой сын,
плоть от плоти твоей,
кость от кости —
И пролить свою кровь за тебя
я готов!

როგორც ხედავთ, რუსულმა კულტურამ ჩამოაყალიბა არა თავისუფალი ადამიანი, არამედ ეგოცენტრისტული შოვინიზმით შეპყრობილი მონა, ვინც არა მარტო თავისთავს უყურებს, არამედ თავის ხალხსაც. ამ ეგოცენტრისტულ შეგნებამდე მიიყვანა ადამიანი რუსულმა კულტურამ ამ საუკუნეების [illegible] [illegible] დღევანდელ რუსეთის ორ გამოჩენილ მოღვაწეს — ალექსანდრე სოლჟენიცინსა და ანდრეი ამალრიკს — სამარცხვინოა რუსად ყოფნა[1] [illegible] [illegible] წარმოდგენა [illegible] მონური შეგნების ჩამოყალიბება ხომ გონიერების დაკარგვას უდრის? ალბათ ამიტომ ჟღერს ეგზომ აქტუალურად პუშკინის სტრიქონი:

Дай Бог чтоб милостью небес
Рассудок на Руси воскрес[1].

ეს არ იყო მარტო რუსული კულტურის ნა[illegible]რცხი. იგი ქართული [illegible] ოცნების მარცხიც [illegible] ქართველი [illegible] [illegible] საქართველოს [illegible] [illegible] დროს. [illegible] ჩვენი ქვეყანა აზიური ჩიხიდან გამოდიოდა [illegible] ევროპული აზროვნებისა და [illegible] რების გზას ადგებოდა. მაგრამ, როგორც ნაწილობრივ მწარედ მოვტყუვდით. რუსეთში ევროპეიზმის დამარცხებამ და რუსიზმის [illegible] საქართველო აზიური ჩიხიდან სლავიზმის ჭაობში ჩააგდო. ევროპა მიუწვდომელ ოცნებად დარჩა.

არავინ დაუგდო ყური თორემ კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი ხნის წინათ ამხილა რუსეთის იმედით ყოფნის უსუსურობა და უნიადაგობა.

„დიმიტრი ყიფიანს ეგონა: რუსის მეფე კარგია. რუსის მეფეს საქართველო უყვარს და პატივსცემს საქართველოს თავად-აზნაურობის ისტორიულ გარანტიებს. მხოლოდ რუსის მინისტრები არ ვარგან.

ნოე ჟორდანია და ირაკლი წერეთელი ფიქრობდნენ ერთ დროს: არ ვარგა არც რუსის მინისტრები, არც რუსის ჟანდარმერია, ყველანი მტრულად განწყობილი არიან ჩვენდამი, კარგია რუსის დემოკრატია.

დღეს ზოგიერთები ფიქრობენ: ყველა-ყველა და რუსის მხატვრები და რუსის მწერალი — ეს კულტურის წარმომადგენელნი არიან, ჩვენ ისინი გვიყვარს.

ჩვენ სულ სხვანაირად ვფიქრობთ: ყველა კარგია თავის ადგილას, თავის დროს და თავის ქვეყანაში: ჩვენ გვაქვს ჩვენი გეზი, ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურპოლიტიკა და ყველას იმდენად დავაფასებთ, რამდენადაც ისინი ჩვენ ანგარიშს გაგვიწევენ და სარგებლობას მოგვიტანენ".[2]

თუ ქართველი ხალხი, ქართული მწერლობა არ იქნება თავისუფალი, არ ივლის თავისი გზით, ვერც ერი და ვერც მწერლობა ვერ გახდება სრულუფლებიანი თავისთავადი წევრი კაცობრიობისა, უნივერსუმისა. როგორც ჩვენი ხალხი, ისე ჩვენი მწერლობა მუდამ დარჩება სხვისი ჩრდილი, ჩრდილი კი, ყველას კარგად მოეხსენება, რა იოლად ქრება.

აუცილებელია, რომ გავითვალისწინოთ ეს. ეს ერთი მხარეა საკითხისა. არის მეორე მხარეც: რა არის საჭირო იმისათვის, რომ რუსული ხასიათი გათავისუფლდეს დესპოტიზმისაგან, ხოლო ქართული ხიზანის შეგნებისაგან? იგრძნოს ქართველმა თავი თავისუფალ ადამიანად და არ ეძებდეს მფარველს?

[1] А. Амальрик — Записки диссидента. 1982 г., стр. 98.
А. Солженицын — Архипелаг ГУЛаг.

[1] А. С. Пушкин — Сочинения. 1936 г., стр. 308.
[2] გაზ. „ლომისი", 1922 წ., № 6. კონსტ. გამსახურდია — ჩვენი კულტურპოლიტიკა.

აკაკი ბაქრაძე
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი აზრით ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს — სულიერი რევოლუცია.

სოციალური რევოლუცია არაფერს ცვლის არც ზნეობრივი და არც მატერიალური თვალსაზრისით. ერთადერთს, რასაც სოციალური რევოლუცია აკეთებს, არის ერთი ბატონის შეცვლა მეორეთი. არცერთ კრომველს, არცერთ რობესპიერს, არცერთ ლენინს არ მოუტანია ხალხისათვის კეთილდღეობა. მათ ერთ გაბატონებულ ჯგუფს ჩამოართვეს პრივილეგია და გადასცეს მეორე ჯგუფს. ახალი ბატონი ზოგჯერ ძველზე ბევრად სასტიკია.

მატერიალური თვალსაზრისით, ადამიანისათვის შვება მოაქვს მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას. ის იგონებს მრავალგვარ საშუალებას ადამიანის მძიმე შრომის შესამსუბუქებლად და დოვლათის გასაზრდელად. ვერცერთი სოციალური რევოლუცია ვერ მისცემდა კაცობრიობას ელდენს. თუმცა ბრიყვების გასაცუცურაკებლად ელნათურას „ილიჩის ნათურას" ეძახიან და ხშირად მიზანსაც აღწევენ. ერთი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თავგამოდებით მიმტკიცებდა — ელნათურა ლენინმა გამოიგონა და ამიტომ ჰქვიაო „ილიჩის ნათურა", აი, შედეგი საბჭოური სკოლისა და პროპაგანდის. მაგრამ კაცობრიობა ხომ მხოლოდ ბრიყვებისაგან არ შედგება და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ კაცობრიობის ტექნიკური და მეცნიერული პროგრესი არ უკავშირდება სოციალურ რევოლუციას. პირიქით, ხშირად სოციალური რევოლუცია სწორედ მეცნიერულ-ტექნიკურ წინსვლას ებრძვის, აბრკოლებს და ზოგჯერ ანადგურებს კიდეც. საკმარისია, გავიხსენოთ რა გააფთრებული ებრძოდნენ სსრკ-ში კიბერნეტიკას, გენეტიკას და ა. შ. მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მაინც გაიმარჯვა და კომუნისტებიც კი იძულებულნი გახდნენ ეცნოთ ეს.

არც სულიერი თავისუფლება მოაქვს სოციალურ რევოლუციას. თუ შევადარებთ დღევანდელ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს, დავინახავთ:

1. კაპიტალიზმს არ ეშინია იდეოლოგიური ბრძოლის. იქ კომუნისტური პარტიებიც არსებობს და კომუნისტური ლიტერატურაც იბეჭდება (მარქსი, ენგელსი, ლენინი, ტროცკი, სტალინი, მაო ძე დუნი, ბრეჟნევი და სხვანი). აქ, სოციალისტურ სამყაროში, არც სხვა პარტია არსებობს, არც სხვაგვარად მოაზროვნეთა წიგნები იბეჭდება. ამას ვინ ჩივის: არ იცემა კომუნისტების (მაგალითად, სტალინის, ტროცკის, მაო ძე დუნის და სხვათა) თხზულებანიც.

2. კაპიტალიზმს არ ეშინია არც საპროტესტო გაფიცვების, არც მიტინგების, არც დემონსტრაციების. სოციალიზმი კი შიშით კანკალებს ამგვარი მოვლენების მიმართ და მაშინვე ახრჩობს გაფიცვის, მიტინგის ან დემონსტრაციის უმცირეს გამოვლინებასაც კი.

3. თუ კაპიტალიზმმა თავის [illegible] შვა სხვადასხვა მიმდინარეობა [illegible] ლენინიზმიც მისი ნაშობია), ამ მხრივ, სოციალიზმი სრული [illegible] არავითარი მიმდინარეობა ჯერჯერობით სოციალიზმის ბუდეში არ გამოჩეკილა.

4. სულის თავისუფლება სჭირდება ეკონომიკურ წარმატებასაც. თუ კაპიტალიზმი ეკონომიკურადაც წინ მიდის და ბარაქა-დოვლათით არის სავსე იქაური მაღაზია-ბაზრები, სოციალიზმი უაღრესად ჩამორჩა, გაღარიბდა და გაღატაკდა. ეს აშკარად აღიარა სკკპ-ის 26-ე ყრილობამ, რის გამოც ე. წ. სასურსათო პროგრამა შეიმუშავეს. რა თქმა უნდა, ყოველმა საბჭოელმა მოქალაქემ ჩინებულად იცის, რომ ამას არაფერი მოჰყვება. უწყის, რომ „სასურსათო პროგრამა" მორიგი პროპაგანდისტული ფანდია.

„სასურსათო პროგრამისადმი" საბჭოელი ხალხის დამოკიდებულება ცხადად გამოითქვა ანეგდოტით.

— რა არის ხელიკი?

— ნიანგი სკკპ-ის სასურსათო პროგრამის განხორციელების შემდეგ.

არც ზნეობრივად აუმჯობესებს საზოგადოებას სოციალური რევოლუცია. არსად, არცერთ ქვეყანაში ტოტალური ხასიათი არ მიუღია ქურდობას, ფლანგვას, კომბინაციას, მაქინაციას, ქრთამს, გამომძალველობას... ეს მანკიერებანი ტოტალურად მხოლოდ სსრკ-შია გავრცელებული.

ერთი სიტყვით, განახლებისათვის, აღორძინებისათვის აუცილებელია სულის რევოლუცია.

თუ არ მოხდა სულის რევოლუცია, არც რუსეთის ცხოვრების ძირითადი თვისება — დესპოტიზმი — შეიცვლება და ვერც ქართველი ხალხი დაძლევს მანკიერებას, რომელიც ილიამ „ბედნიერ ერში" დახატა. თავის მხრივ კი, თუ „ბედნიერ ერში" ჩამოთვლილი ავი თვისებანი ვერ მოვიცილეთ, ვერც თავისუფლებას მოვიპოვებთ.

რა ძალა აქვს და რას ნიშნავს სულის რევოლუცია, ეს თვალნათლივ უჩვენა კაცობრიობას ორმა ერმა — იაპონელებმა და ებრაელებმა.

იაპონელებს არც სოციალური რევოლუცია მოუწყვიათ და არც პოლიტიკური გადატრიალება. ომშიაც დამარცხდნენ და საუკუნის ყველაზე შემზარავი იარაღიც — ატომური ბომბიც — მათ ქვეყანაში აფეთქეს. მიუხედავად ამისა, ფეხზეც წამოდგნენ და მსოფლიოს სათავეშიც მოექცნენ. ყველაფერი იაპონური ეტალონი და ნიმუში გახდა. აშშ-იც, ევროპაც, სსრკ-იც მოკრძალებითა და მოწიწებით შესცქერის იაპონიას, იმდენად დიდია მისი მატერიალური და სულიერი ძალმოსილება. იაპონელებმა კი ეს მოახერხეს იმით, რომ თავიანთი ცხოვრების გზა წარმართეს სულისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გზით. ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ, უარყვეს და დასძლიეს აზიური კარჩაკეტილობა, შეზღუდულობა, მცონარეობა და მეორე მხრივ, აითვისეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მონაპოვარი. ეს გახდა მათი ეროვნული აღორძინების საფუძველი.

ებრაელებმა კი კაცობრიობას დაუმტკიცეს, რომ გაუტეხელია ერის სული, თუ ხალხმა იცის, რისთვის არსებობს ორი ათასი წლის გაფანტვის, ტანჯვა-წამების, დამცირების, კარდაკარ ხეტიალის შემდეგ მათ ეროვნული სახელმწიფო შექმნეს, დავიწყებული ენაც აღადგინეს და დიდ ეკონომიკურ კულტურულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ესეც სულის რევოლუციის ნაყოფი იყო, რომელიც თეოდორ ჰერცელმა მოახდინა.

სულის რევოლუციისათვის ერთობლივი მუშაობა მართებს მწერლობასა და ერს. მწერლობა სიმართლით, ავისა და კარგის შეუფარავი თქმით, მიზნის ნათლად ჩვენებით უნდა აწრთობდეს ხალხის სულს. ერი კი პირუთვნელი მსაჯული უნდა იყოს ყოველი მოღვაწის საქმიანობის. პირფერული თვალთმაქცობით გუნდრუკს არ უნდა უკმევდეს ყოველ ლაზღანდარას და შარაზვეტიას. ნურავინ [illegible] რომ ზოგჯერ ხალხი ტყუვდება და ვერ არჩევს მტყუანსა და მართალს. ხალხი არასოდეს ტყუვდება, ოღონდ, სამწუხაროდ, ზოგჯერ მას ხელსაყრელად მიაჩნია თავი მოიკატუნოს გაუცნობიერებლად. ეს ცრუ დიპლომატია უნდა მოიცილოს თავიდან და ყოველთვის ეცოდინება — რა აკეთოს და როგორ.

ქართველი ხალხი თავისი ცხოვრებისა და ისტორიის ძირეული გარდატეხის გარდუვალობის წინაშე დგას და ბუნებრივად იბადება კითხვა — ვინ იქნება ის ქართველი, ვისაც ექნება უფლება გაიმეოროს თეოდორ ჰერცელის სიტყვები?

„იქნებ ობიექტურმა ისტორიკოსმა შესძლოს უფრო სწორად შეაფასოს, რა დაუჯდა ყოველგვარ სახსრებს მოკლებულ ებრაელ ჟურნალისტს, ყველაზე საზარელი დევნის ეპოქაში, ჩვარი დროშად ექცია, ხოლო მოძულებული ბრბო — ხალხად".[1]

1983 წ.

---

1 „დროშა" (ისრაელში არსებული ქართულენოვანი ჟურნალი), 1982 წ. № 7, გვ. 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნატალია ორლოვსკაია

# საქართველო ჯეიმზ მორიერის ნაწარმოებებში

ჯეიმზ მორიერი — ინგლისელი დიპლომატი და მწერალი, მოღვაწეობდა გასული საუკუნის პირველ ნახევარში. 1807-1815 წლებში იგი მუშაობდა ირანში. აღმოსავლეთში ყოფნის პერიოდი მორიერმა აღწერა ორ წიგნში, რომლებიც დაიბეჭდა ლონდონში 1812 და 1818 წლებში. დიპლომატიური მოღვაწეობის დამთავრების შემდეგ მორიერი გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე. მისი ყველაზე ცნობილი რომანია — „ჰაჯი-ბაბა ისპაჰანელის თავგადასავალი". ეს წიგნი სხვა ენებზეც ითარგმნა, მაგრამ განსაკუთრებით პოპულარული გახდა თვით ირანში.

ნაკლებადაა შესწავლილი აღმოსავლურ თემებზე დაწერილი მორიერის სხვა ნაწარმოებები.

ცნობილია, რომ რომანტიზმის ლიტერატურისათვის აღმოსავლური თემა მეტად დამახასიათებელია: ბაირონის, შელის, თომას მურის ზოგ ნაწარმოებში მოქმედება გადატანილია სხვადასხვა აღმოსავლურ ქვეყნებში. რაც შეეხება პროზას, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აღმოსავლეთის თემა შედის სათავგადასავლო რომანებსა და ზღაპრებში. იმ დროს მრავალი ევროპელი მიემგზავრებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში კომერციულ თუ პოლიტიკურ საქმეებთან დაკავშირებით. ზოგი მათგანი აქვეყნებდა თავისი მოგზაურობის აღწერას. სწორედ ამ მასალებიდან იღებდნენ იმდროინდელი მწერლები ცნობებს აღმოსავლეთის შესახებ.

სხვა ავტორთან შედარებით მორიერის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი კარგად იცნობდა აღმოსავლეთის, განსაკუთრებით ირანის, ცხოვრებას და ნანახი ჰქონდა ის ადგილები, რომელთაც აღწერს თავის წიგნებში.

მორიერის მოთხრობათა კრებული „მირზა" დაიბეჭდა ლონდონში 1841 წელს. ცნობილია, რომ მოთხრობები და ზღაპრები აღმოსავლურ თემებზე ძალიან პოპულარული გახდა ევროპაში მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნის დასაწყისში დაიბეჭდა „1001 ღამის ზღაპრების" ფრანგული თარგმანი, შესრულებული ანტუან გალანის მიერ. მთელი საუკუნის მანძილზე გამოდის ახალ-ახალი კრებულები, სადაც მოთხრობები გაერთიანებული არიან ერთ მთლიან ჩარჩოში.

მორიერის კრებულში მთხრობლად გამოყვანილია ირანის შაჰის საკარო პოეტი მირზა, მსმენელი კი თვითონ ავტორია. მკვლევართა აზრით, წიგნში შესული მოთხრობები ძირითადად ფოლკლორული ხასიათისაა. თვითონ მორიერი წერს შესავალში, რომ ირანში ჩაწერილი ისტორიები მან დაალაგა და დაამუშავა ევროპული ლიტერატურის პრინციპების მიხედვით, რადგანაც ასეთი სახით ისინი უფრო გასაგები იქნებოდნენ მკითხველისათვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო მოთხრობებს ეროვნული ელფერი ეკარგება. პირიქით, მორიერის აზრით, წიგნი იძლევა ირანის ცხოვრებისა და ჩვეულებების სურათს, რადგანაც თავის მოთხრობებში იგი ცდილობდა, „არა სიტყვა-სიტყვითი სიზუსტის, არამედ ძირითადი არსისა და ელფერის" გადმოცემას.

კრებულში „მირზა" მოთხრობები დაკავშირებულია ან სიუჟეტურად, ან ერთი და იგივე მოქმედი გმირის სახით; ზოგჯერ კი რამოდენიმე მოთხრობაში დასმულია ერთი და იგივე პრობლემა, მაგალითად, ოჯახისა და ქალის მდგომარეობის საკითხი. ზოგი მოთხრობა ზღაპრული, ფანტასტიკური ხასიათისაა, უდიდესი ნაწილი კი — სათავგადასავლო ისტორიებს წარმოადგენს. ზოგიერთ მათგანში საყოფაცხოვრებო და დიდაქტიკური ელემენტებიც გვხვდება.

ნაწარმოების მოქმედება ხდება აღმოსავლეთის სხვადასხვა ადგილას: ბუხარა, სამარყანდი, ჩინეთი, სტამბოლი და ბევრი სხვა. არაერთ ადგილას ნახსენებია საქართველოც. აჲ მაგალითად: ერთი გმირის აღწერისას ნათქვამია, რომ იგი იყო ჩაცმული ქართულ ტანსაცმელში; თურქეთის სულტნის ერთი მეუღლე წარმოშობით აფხაზეთიდანაა; ერთ მოთხრობაში გამოყვანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ამორძალები და იქვე ნათქვამია, რომ ისინი ძველად კახეთის მახლობლად ცხოვრობდნენ.

სათავგადასავლო თემატიკის გარდა, კრებულში გვხვდება თანამედროვე აქტუალური საკითხებიც. მოთხრობების დამთავრების შემდეგ იწყება საუბარი პოეტსა და მორიერს შორის. მათი თემა ხშირად მოსმენილ მოთხრობებთანაა დაკავშირებული. ასე მაგალითად, ერთ მეტად სახალისო მოთხრობაში აღწერილია მდიდარი კაცი, რომელიც ვერ გაუძლებს თავის ოთხი ცოლის ჩხუბს და სახლიდან გაიქცევა. ამის შემდეგ იწყება საუბარი საოჯახო საკითხებზე და მორიერი აღშფოთებით გამოდის მრავალცოლიანობის წინააღმდეგ.

მორიერს აინტერესებს ირანის ცხოვრება და ადათ-წესები. ამის შესახებ მირზა იძლევა სათანადო განმარტებებს. იგი აკრიტიკებს თავისი ქვეყნის ცხოვრების ბევრ მხარეს, მაგრამ მისთვის გაუგებარია ზოგი საკითხი, რაზედაც მსჯელობს მორიერი, მაგალითად, პარლამენტის უფლებები ან პრესის თავისუფლება. მორიერის, როგორც ინგლისური დიპლომატის, მიდგომა განსაკუთრებით ნათლად ჩანს, როდესაც იგი ლაპარაკობს ინგლისის პოლიტიკაზე, რომელიც, მისი აზრით, აღმოსავლეთის, კერძოდ, ირანის საკეთილდღეოდაა მიმართული.

ანალოგიური აზრები გვხვდება აგრეთვე მორიერის რომანში „აიშა, ქალიშვილი ყარსიდან", რომელიც გამოქვეყნებული იყო 1834 წელს.

ზოგი ტრადიციული ელემენტის მიუხედავად, წიგნი დიდი ინტერესით იკითხება და ერთგვარად ქმნის აღმოსავლეთის კოლორიტს. ტექსტიდან ჩანს, რომ მორიერი იცნობდა ლიტერატურას აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ. რომანში ნახსენებია შარდენის, ტურნეფორის, კერ-პორტერის და სხვა მოგზაურთა წიგნები.

მაგრამ უფრო საინტერესო ის ადგილებია, სადაც ავტორის პირადი შთაბეჭდილებებია გადმოცემული (მაგალითად, ყარსის, ეჩმიაძინის, ანის ნანგრევებისა თუ სტამბოლის აღწერები). ტექსტში გვხვდება სპარსული და თურქული სიტყვები სათანადო ახსნა-განმარტებებით. მორიერი გვაწვდის ზოგ სამზარეულო ცნობასაც, ნახსენებია ფლავი, ტოლმა. თანაც იქვე მოცემულია განმარტება, რომ ტოლმა ესაა ვაზის ფოთლებში შეხვეული ხორცი და ბრინჯი.

სავსებით გასაგებია, რომ ყველაზე მეტს მორიერი წერს ირანის შესახებ, სადაც იგი დიდხანს ცხოვრობდა. მაგრამ მის წიგნებში ნახსენებია სხვა ქვეყნებიც. არ არის დავიწყებული საქართველოც. მორიერი საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ ირანში ყოფნის დროს ბევრი რამ გაუგია ამ ქვეყნის შესახებ. მის წიგნებში განხილულ საქართველოს თემაში გამოირჩევა ორი მომენტი:

1) მეტად ტრადიციული თემა საქართველოს ლამაზი ქალების შესახებ და 2) იმდროინდელი საქართველო და რუსეთ-ირანის ომის ამბები.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ფრანგი მოგზაური შარდენი წერდა ქართველ ქალების სილამაზეზე. ქართველი ქალები აღწერილია XVII-XVIII საუკუნის რომანებში, მაგალითად, შევრემონის, დიუ ოშანისა და ანტუან ლე კამიუს ნაწარმოებებში. მორიერიც ზოგ ადგილას ეხება ამ საკითხს. ასე, მაგალითად, კრებულში „მირზა" იგი წერს ქართველ ქალებზე, რომლებიც თავიანთი სილამაზის გამო მოტაცებულია საქართველოსა და სამეგრელოდან და ჩამოყვანილია ირანში მდიდარი ხალხის ჰარამხანებისათვის.

რაც შეეხება საქართველოს მდებარეობასა და პოლიტიკურ მდგომარეობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მორიერი იხსენიებს ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა სახელწოდებებს — კახეთს, სამეგრელოს, იმერეთს, თუშეთს. რომანში „აიშა" გმირები საქართველოს ტერიტორიაზე რუსთა ჯარის ბანაკში აღმოჩნდებიან. მერე ისინი მიდიან თბილისში, იქიდან — ფოთში, საიდანაც გემით სტამბოლში მიემგზავრებიან. წიგნში გვხვდება ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდება, მაგალითად, ნათქვამია, რომ მდინარე რიონი ძველად იწოდებოდა ფაზისად, რომ გემები ამ მდინარით თითქმის ქუთაისამდე ადიოდნენ. თანაც ამ ქალაქის სახელწოდება ტრანსკრიბირებულია ისე, როგორც მას XVIII საუკუნის ევროპიელი ავტორები წერდნენ — Cotatis.

რომანში „აიშა" გვხვდება საინტერესო დაკვირვებები თანამედროვე ამბებზედაც. როგორც დიპლომატს, მორიერს აინტერესებდა ყველა ის პოლიტიკური და სამხედრო ამბები, რომლებიც ამიერკავკასიაში ხდებოდა. 1812 წელს მან მონაწილეობა მიიღო იმ მოლაპარაკებაში, რომელიც ირანისა და რუსეთის ჯარების წარმომადგენელთა შორის შედგა. ამის შესახებ იგი დაწვრილებით მოგვითხრობს თავისი მოგზაურობის აღწერაში. პირად შთაბეჭდილებათა გავლენა იგრძნობა რომანშიც „აიშა" სამხედრო ბანაკის აღწერისას. რომანის მოქმედების დროა XIX საუკუნის 1810-12 წლები. ამიტომ სომხეთის ტერიტორია და თვით ეჩმიაძინი ჯერ ირანის ხელისუფლების ქვეშაა. მაგრამ წიგნი უფრო მოგვიანებით დაიწერა. ამიტომ სქოლიოში მორიერი შენიშნავს, რომ რუსეთთან ახალი ომის შედეგად ირანის მთავრობამ დაკარგა ეს პროვინციები.

მორიერის წიგნები კარგად იყო მიღებული მკითხველების მიერ. რომან „აიშას" რამდენიმე გამოცემა არსებობს. მკითხველთა ყურადღებას იპყრობდა ავტორის უშუალო დაკვირვებები და საგულისხმო ცნობები აღმოსავლური ქვეყნების ცხოვრების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ბოსტაშვილი

# ახალგანთავისუფლებულ მიწა-წყალზე

## სამხრეთ საქართველოს 1917 წლის სამეცნიერო ექსპედიციის ორი დოკუმენტი

1917 წლის სამეცნიერო ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში მოაწყო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომლის დამაარსებელი, ალექსანდრე სარაჯიშვილთან ერთად, და 1921 წლამდე უცვლელი თავმჯდომარე იყო ექვთიმე თაყაიშვილი. იგი ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, სწრაფად გამგზავრებულიყო ექსპედიცია, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველ საზოგადოებრიობას კარგად ჰქონდა შეგნებული. სამხრეთ საქართველოს ეს ძეგლები საფუძვლიანად არ შესწავლილა არც მანამდე და, მით უმეტეს, არც მის შემდეგ, რაც ეს მხარე თურქეთის სამფლობელოში მოექცა. ამიტომაც საჭიროა ვიცოდეთ როგორც მისი მოწყობის ვითარება, ისე საზოგადოებისა და ყველა ორგანიზაციის წვლილი, რომელთაც ხელი შეუწყეს, რომ იმ ძნელბედობის ჟამს ექსპედიცია გამგზავრებულიყო რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ახლად განთავისუფლებული ძველი საქართველოს ტერიტორიაზე, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების პერიოდის ძეგლების (IX-XI) გამოსაკვლევად.

რუსეთის ჯარების წინსვლა პირველ მსოფლიო ომში კავკასიის ფრონტზე, კერძოდ, ძველი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო უკვე 1914 წლის 10 ნოემბრიდან, როდესაც ქოროხის აუზის მთელი ფრონტის ხაზზე ზედიზედ დაამარცხეს თურქები, 11-12 ნოემბერს კი ერზერუმისკენ განდევნეს. 1915 წლის 21-28 თებერვალს ბრძოლა მიმდინარეობდა ქოროხის იქითა მხარეს. 15 მარტს დაიკავეს ართვინი, 5-15, 24 მაისს კვლავ გრძელდებოდა შეტევა ოლთისის მიმართულებით, რაც თურქების წინა ხაზის გააქტიურებით იყო გა-მოწვეული. 30 მაისს მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის შემოტევა იშხანზე. რუსეთის ჯარების წინსვლა წარიმართა ოლთისის მიმართულებით. 9 მაისს მოიგერიეს თურქთა შემოტევა კალაჯიკის გორაზე, 11-ში გეიდაგთან, 13-14 მაისს უკვე უკუაგდეს ისინი.

1915 წლის 22 სექტემბერს გრძელდებოდა შეტაკებები ხოფასა და იშხანთან, 28-ში — მდ. ქოროხისა და ოლთისის შესაყართან.

1916 წლის 18-21 ივნისს იწყება რუსეთის ნაწილების შეჭრა ქოროხის ზემო წელში, ბაიბურთის მიმართულებით. 3 ივლისს აიღეს კიდეც ეს ქალაქი.

აი, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ თავისუფლდებოდა დამპყრობთაგან ქართული მიწა-წყალი.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მესვეურებმაც არ დააყოვნეს მაშინვე მიმართეს სხვადასხვა ინსტანციებს შუამდგომლობისა და შემწეობისათვის, რომ დროზე მოწყობილიყო სამეცნიერო ექსპედიცია განთავისუფლებულ ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურის ძეგლების შესასწავლად.

1915 წლის 23 აგვისტოს, უმაღლესი ბრძანებულებით, მეფისნაცვლად და კავკასიის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა იმპერატორ ნიკოლოზ II ბიძა, დიდი მთავარი, გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი. იგი თბილისში ჩამოვიდა იმავე წლის 23 სექტემბერს.

ჩვენ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში მოვიძიეთ მეფისნაცვლისადმი საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსის პლატონის (პლატონ როჟდესტვენსკი; 1915-1917) თხოვნა, რათა ნება დაერთო შეედგინათ და გაეგზავნათ სამეცნიერო ექსპედიცია [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლებულ სამხრეთ საქართველოში.

როგორც ცნობილია, ეს თხოვნა დაკმაყოფილდა და ამან მნიშვნელოვნად განსაზღვრა 1917 წლის სამეცნიერო ექსპედიციის გამგზავრება.

საქართველოს სასულიერო პირთა და, კერძოდ, კათალიკოს ლეონიდის (ლონგინოზ ოქროპირიძე, 1861-1921) რეკომენდაციით ექსპედიციაში მიავლინეს ვარძიის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი იპოლიტე. მას ევალებოდა ხახულის, იშხანისა და ოშკის ტაძრების მდგომარეობის გაცნობა. თბილისში დაბრუნების შემდეგ კი კვლავ გაემგზავრება თორთუმის ხეობაში, რომ აღადგინოს და დაიცვას ეს დიდებული ძეგლები. მართლაც, იგი ექსპედიციიდან დაბრუნებისთანავე მოემზადა და გაემართა თორთუმის ხეობაში, მაგრამ ამ დროისათვის ეს ადგილები კვლავ თურქეთის ჯარებმა დაიკავეს და იძულებული გახდა გზიდან დაბრუნებულიყო.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვისადმი პლატონ როჟდესტვენსკის თხოვნაში ყურადღებას იქცევს ხახულისა და ოშკის აგების მე-8 საუკუნით დათარიღება. აქ მოხსენებული დავითი და ადარნასე ნწორედ მე-8 საუკუნის მოღვაწეები არიან. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ამ ძეგლთა დათარიღებაზე არ ჰქონდათ ზუსტი წარმოდგენა. ექსპედიციის შემდეგ ხახულიცა და ოშკიც დათარიღდა X საუკუნის მეორე ნახევრით. თავდაპირველი უზუსტობა დათარიღებაში შედეგი იყო დავითისა და ადარნასეს არასწორი იდენტიფიკაციისა: დავითი, აშენებელი ხახულისა, არის არა ის დავითი, რომლის ზეობის თარიღებია 876-881 წწ., არამედ დავით III კურაპალატი (გარდაიცვალა 1001 წელს). ოშკი კი აგებული იყო ამავე დავითისა და მისი ძმის ბაგრატის (გარდაიცვალა 966 წელს) მმართველობის წლებში.

საქმეში ჩადებულია ექსპედიციის შემადგენლობისა და დაფინანსების დოკუმენტაცია, საიდანაც ერთხელ კიდევ ნათლად ჩანს ეკვთიმე თაყაიშვილის უანგარობა: თუ იგი დაინიშნებოდა ექსპედიციის ხელმძღვანელად, ჰონორარზე უარს ამბობდა; თუმცა კარგად იცოდა, რომ ომისაგან გაპარტახებული იყო ის მხარე, საითაც ასე თავგანწირვით ისწრაფვოდა.

№

საქართველოს ეგზარქოსის პლატონის თხოვნა მეფისნაცვალ ნიკოლოზ რომანოვისადმი სამხრეთ საქართველოში სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობასთან დაკავშირებით.

თქვენო იმპერატორობით უმაღლესობავ, კეთილმორწმუნე მეუფევ და დიდო მთავარო, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ!

თქვენი უდიდებულესობის წინამძღვრობით კავკასიის არმიის ახალ-ახალი გამარჯვებებით წინსვლამ წინა აზიის სიღრმეში რუსეთის სამფლობელოებს შეუერთა, სხვა შორის, მთელი თურქეთის საქართველო, რომელიც მდიდარია ოდესღაც აყვავებულ მართლმადიდებლურ ქრისტიანული სარწმუნოების ძეგლებით. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს სამ ცნობილ მონასტერს: ხახულს, იშხანს და ოშკს (ეოშხი), რომელთა შესახებაც თურქეთის მოსახლეობაში დადის თქმულება: „ოშკის ტაძარი განთქმულია თავისი სილამაზით; ადგილმდებარეობით — ხახული და მოხატულობით — იშხანი". ისინი გამოირჩევიან სიდიდით, მშვენიერი არქიტექტურით, დაგვირგვინებულნი არიან გუმბათებით და უხვი ბარელიეფებით, ქართული წარწერებით და დახვეწილი ორნამენტებით.

ხახულის მონასტერი მდებარეობს თორთუმის წყალის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ხახულში (ახლანდელი ხახუდი) და აშენებულია ქართველი მეფე დავითის მიერ (876-881 წწ.). განთქმული ხახულის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ამჟამად გელათის მონასტერშია, თავისი სიმდიდრით და მორთულობით მეორე ხატად ითვლება მსოფლიოში (ვენეციის ხატის შემდეგ). იგი გელათში ამ მონასტრიდან გადაასვენეს მაშინ, როდესაც მე-16 საუკუნეში საქართველოს ეს ადგილები თურქებმა მიიტაცეს.

ოშკის მონასტერი მდებარეობს თორთუმის ხეობაში, ციხესიმაგრე თორთუმის ახლოს. ეს გრანდიოზული დახვეწილი სტილის არქიტექტურული ძეგლი აგებულია საქართველოს მეფის ადარნასეს II-ის მიერ (881-923 წწ.), რომელმაც აგრეთვე აღაშენა ცნობილი ბანას ეკლესია ოლთისის მდინარესთან.

იშხანი, რომლის მეტოქედაც მე-17 საუკუნის მოგზაური მხოლოდ წმინდა სოფიის ტაძარს თვლის, მდებარეობს ყოფილ თურქეთის საზღვართან უფრო ახლოს, მდინარე ოლთისსა და ტაოს კარს შორის. იგი აგებულია VII საუკუნეში, შემდეგ დაშენებულია IX, X და XI ს. ს-ში. იშხანში იჯდა ეპისკოპოსი, რომელსაც საქართველოს 40 ეპისკოპოსთა შორის მეცხრე ადგილი ეკავა.

ეს ძეგლები, რომლებიც ადრე საქართველოში მისიონერთა საყრდენ და კულტურულ-განმანათლებელ ცენტრად ითვლებოდა, მე-16 საუკუნეში მეჩეთებად იქნა გადაკეთებული, თუმცა ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას შორის ისევ ცოცხლობდა იმედი, რომ ისინი ადრე თუ გვიან ისევ ქრისტიან საქართველოს ხელში გადავიდოდა. მოვიდა დრო, როცა ეს იმედი აღსრულებულად უნდა ჩაითვალოს. რუსეთის პირველი საზრუნავი, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოსი, უნდა იყოს ამ ახლად შემოერთებულ მხარეში ქრისტიანობის აღდგენა, რომელიც მდიდარია თავისი ქრისტიანული ტრადიციებითა და კულტურით. მხარეში, რომელიც შრომით არის გაკეთილშობილებული და ისეთი მოღვაწეთა სისხლით მორწყული, როგორიც არიან კათალიკოსი ხერსესი-იშხანისა აშენებელი და ეპისკოპოსი საბანი მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმდგენელი, გრიგოლ ხანძთელი, გრიგოლ ოშკელი, გრიგოლ მთაწმინდელი, რომელიც ხახულში აღიკვეცა ბერად და სხვები, უნდა შეიგრძნოს, რომ იგი კვლავ ქრისტიანი მეფის ხელშია.

იმისათვის, რომ ყოველმხრივი ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარდეს და შესწავლილ იქნას ეს მხარე, აუცილებელია უპირველესად შედგეს სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ სპეციალისტი-არქეოლოგი, არქიტექტორი, ფოტოგრაფი და მხატვრები. უნდა აიზომოს ძეგლები და აღებულ იქნას მათი გეგმა, გაირჩეს წარწერები და გაკეთდეს ფრესკების ფერადი ორიგინალები. საკმარისია ითქვას, რომ ეს მხარე საერთოდ არ არის შესწავლილი, ჩვენ ჯერ არაფერი ვიცით ისპირის ხეობის ძეგლების შესახებ ბაიბურთამდე და არც იმ ძეგლების შესახებ, რომლებიც ლაზისტანის მთაგრეხილის სამხრეთით მდებარეობენ. ისეთი პირველხარისხოვანი ქრისტიანული ძეგლები, როგორიც არიან ხახული, იშხანი და ოშკი, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის დედაქალაქს დაამშვენებდნენ, შეუსწავლელია. არც ერთ არქეოლოგს ისინი არ შეუსწავლია არც თურქეთის მფლობელობის პერიოდში და არც ერთი საზოგადოება სპეციალურად მათით არ დაინტერესებულა. ჩვენ მათ შესახებ ვიცით მხოლოდ ქართული წყაროებით და იმ მოკლე ცნობებით და წარწერების ფოტოებით, რომლებიც გადაღებული იყო 1854 წელს არასპეციალისტის სარგისიანის მიერ, რომელიც უფრო ცნობისმოყვარეობას აღძაფრებს და არ აკმაყოფილებს არქეოლოგის მოთხოვნებს.

აგრეთვე აუცილებელია, რომ ხახულს, ოშკს და იშხანს დაუბრუნდეს მათი პირვანდელი ქრისტიანული სახე, იმის წყალობით, რომ თურქებმა ეს ტაძრები თავიანთ მეჩეთებად გადააქციეს და კარგად უვლიდნენ. ისინი შემონახულია დაუზიანებლად, განსაკუთრებით მისი მშვენიერი არქიტექტურული სტილი და დაცულია კომპოზიცია უმდიდრესი ფრესკული მხატვრობისაც კი, რომელიც დაფარულია კირის ხსნარის თხელი ფენით. მუშაობა დასჭირდება მხოლოდ ამ მოხატულობის გაცოცხლებას და თურქების მიერ გადალებული ფენის და მინაშენების მოხსნას. მაშინ ეს გასაოცარი არქიტექტურული ტრიადა ისევ განადიდებს ქრისტეს სახელს და რუსული იარაღის ძლიერებას ახლად შემოერთებულ მხარეში.

შეგნებული მაქვს რა ამ ორი ამოცანის დიდი მნიშვნელობა და მისი განხორციელების აუცილებლობა, არ შემიძლია არ განვაცხადო, რომ ასეთი სამუშაო შეიძლება შესრულდეს მხოლოდ თქვენი იმპერატორობით უმაღლესობისადმი დაქვემდებარებულ მხარეში, რადგან თქვენ მთელი სულითა და გულით ამ ადგილების აღორძინების მოსურნე და მისი ქრისტიანული წმინდა ადგილების [illegible] ვარულით განმსჭვალული ბრძანდებით.

აგრეთვე დაბეჯითებით ვთხოვ თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას, რომ ამ საქმისადმი კეთილად განაწყოთ თქვენი უავგუსტოესი ძმა, მისი იმპერატორობითი უმაღლესობა, დიდი თავადი პეტრე ნიკოლოზის ძე, რომლის ცოდნა არქიტექტურის დარგში და მეცნიერულ-მხატვრული გემოვნება გარანტიას იძლევა ამ წმინდა საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის, რომლითაც ჩვენთვის ყველასთვის თქვენი ძვირფასი სახელი უკვდავყოფილი იქნება სამარადჟამოდ ჩვენი მხარის ისტორიაში.

თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის ერთგულესი მსახური და მორჩილი ღვთისმსახური პასტირი, საქართველოს ეგზარქოსი, არქიეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა [პლატონი]

17 ოქტომბერი, 1916 წ.

(საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონ. 13, აღწ. 3, საქ. 1822, ფურ. 1-3, დედანი, მანქანაზე დაბეჭდილი, რუსულ ენაზე).

№ 2

ახლად შემოერთებული თურქეთის საქართველოს სამი უძველესი ტაძრის — ხახულის, იშხანისა და ოშკის გამოსაკვლევი და შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიცია.

I

ექსპედიციის შემადგენლობა

1. არქეოლოგი, ექსპედიციის ხელმძღვანელი — ისტორიის და ეთნოგრაფიის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე, სახელმწიფო მრჩეველი ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი.

2. ფოტოგრაფი ზანისი ანდა მისი თანაშემწე, სხვადასხვა ზომის ფოტოგრაფიული ფირფიტების საჭირო რაოდენობით, დაახლოებით 130 დიუმინით.

3. არქიტექტორი თანაშემწით (ტექნიკოსით და მხაზველით) — კეპრიცევი ან კალგინი.

4. მხატვარი ფრესკების გადასაღებად (შევარდნაძე), ორი თანაშემწით (მუსაევი და გუდიაშვილი).

II

ექსპედიციის გასვლის დრო და მისი ხანგრძლივობა ექსპედიცია შეიძლება ადიჭურვოს ახლავე სამი თვის ვადით, მხატვარს კი მუშაობისათვის დასჭირდება ხუთი თვე.

III

ექსპედიციის ხარჯები

1. ფოტოგრაფიული ფირფიტები, ერთი დუჟინი 10 მანეთი, 130 დუჟინი — 1300 მანეთი.

2. ფრესკების გადასაღები მასალა (ტილო, საღებავები და სხვ.) — 2000 მანეთი.

3. ხე-ტყის მიწოდება სამუშაოთა საწარმოებლად — 200 მან.

4 არქიტექტორის გასამრჯელო 3 თვის გან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავლობაში — 2000 მანეთი.

5. მისი თანაშემწის გასამრჯელო — 1000 მანეთი.

6. მხატვრის 5 თვის გასამრჯელო — 2500 მანეთი.

7. მისი ორი თანაშემწის გასამრჯელო — 3000 მანეთი.

8. არქეოლოგის გასამრჯელო — 2000 მანეთი.

9. ექსპედიციის სხვა ხარჯები — 1000 მანეთი.

ჯამი 15.000 მანეთი.

3/VI (1916).

შენიშვნა. I. III პარაგრაფისათვის.

ამ თანხაში არ შედის მგზავრობისა და ექსპედიციის წევრების სურსათის ხარჯი; იგი სამხედრო წესით მომარაგდება.

შენიშვნა II. თუ სამხედრო უწყება ან ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლება თავის მოხელეებს გამოგზავნის მივლინებით, მაშინ ნომრების 4, 5, 6 და 7 ხარჯები შეიკვეცება.

თუ ექსპედიციის ხელმძღვანელად დანიშნავენ ე. ს. თაყაიშვილს, მაშინ იგი თავის ჰონორარზე უარს იტყვის, რის შედეგადაც № 8 ხარჯიც შეიკვეცება.

თუ აუცილებელი გახდება, უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება უარი ვთქვათ მხატვრებზეც. ამრიგად, № 2 ხარჯიც მოიხსნება ისე, რომ ამ გზით 15.000 მანეთი შეიძლება შემცირდეს 12.500 მანეთამდე და შეიძლება დავიყვანოთ 2.500 მანეთამდეც კი, თუ დავამრგვალებთ 3.000მანეთამდე, მგზავრობის და ექსპედიციის სურსათის თანხის გარდა (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონ. 13, აღწ. 3, საქ. 1022, ფურ. 4-5, დედანი, ხელნაწერი, რუსულ ენაზე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსო მარგიშვილი

# შენიშვნები აკად. ი. ჯორჯაძის ნაშრომზე

**«История военного искусства Грузии»**

ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია: სწორედ ამის გამო, ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა საკითხები საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული მთელ რიგ ქართველ მეცნიერთა შრომებში (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ს. კაკაბაძე, შ. მესხია, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი, ბ. ლომთათიძე, კ. მელითაური, პ. ზაქარაია, კ. ჩოლოყაშვილი, ივ. შაიშმელაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ქ. ჩხატარაშვილი, გ. ანჩაბაძე და სხვ.); თუმცა ისეთი ნაშრომი, რომელშიც გადმოცემული იქნებოდა ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია, მისი დასაბამიდან დღევანდლობამდე, ჯერ არ შექმნილა, ამიტომაც დიდი ინტერესი გამოიწვია აკად. ი. ჯორჯაძის ავტორობით გამოსულმა მონოგრაფიამ (**И. Джорджадзе, История военного искусства Грузии, Тб, 1989)**
რომელიც მიზნად ისახავდა ამ ხარვეზის გამოსწორებას, მაგრამ აკად. ი. ჯორჯაძემ ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელება ვერ შესძლო.

წინამდებარე წერილში ჩვენ მიმოვიხილავთ აღნიშნული მონოგრაფიის შესავალსა და პირველ თავს, რომლებშიც გადმოცემულია ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია უძველესი დროიდან ანტიკური ხანის ჩათვლით. აკად. ი. ჯორჯაძის ნაშრომის ეს ნაწილი შემცირებული სახით (ფარნავაზის მეფობამდე) 1985 წელს დაიბეჭდა ქართულ ენაზე მხატვრულ-ლიტერატურულ კრებულ „საწმისში" (ი. ჯორჯაძე, საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორია, „საწმისი", 1, თბ., 1985, გვ. 179-197). ავტორმა არცერთ ნაშრომში არ ჩასთვალა საჭიროდ აღენიშნა რომელიმე ქართველი ისტორიკოსის ღვაწლი სამხედრო ხელოვნების ისტორიის კვლევის საქმეში; ამით კი იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ მიმართულებით, აკად. ი. ჯორჯაძის გარდა, არავის არაფერი გაეკეთებინოს.

ყოველი ისტორიული ნაშრომისათვის უმთავრესია ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები. ეს პრობლემა უმთავრესი უნდა ყოფილიყო აკად. ი. ჯორჯაძისთვისაც, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ მას განესაზღვრა ის მონაკვეთი, საიდანაც უკვე შეიძლება მსჯელობა ქართული სამხედრო ხელოვნების ჩასახვა-განვითარებაზე. აკად. ი. ჯორჯაძემ ეს ამოცანა სრულიად უბრალოდ გადაჭრა, ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარების პერიოდი განსაზღვრა 44 საუკუნით (ი. ჯორჯაძე, საქართველოს..." გვ. **184; И. Джорджадзе, — История..., стр. 6—7)**. ამ თარიღის დამადასტურებლად კი არანაირი არგუმენტაცია არ მოიტანა. მხოლოდ ტექსტიდან შეიძლება იმის მიხვედრა, თუ რად დასჭირდა ავტორს ქართული სამხედრო ხელოვნების „დაბადების" თარიღად ძვ. წ. 2400 წლის გამოცხადება. ამით მან ეს თარიღი დაუახლოვა პირველი ომების ხანას, როგორც თვითონვე წერს: „კაცობრიობის ისტორიაში პირველი ომი უმასა და ლაგებს შორის გამართულა ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთში არსებული ქალაქებისთვის, ომები ჯაჭვური რეაქციისამებრ სწრაფად გავრცელდა მესოპოტამიის ველებიდან კავკასიის დიდ ქედებამდე; მთელი წინააზია კი საომრად იყო მომზადებული ეგვიპტისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის წინააღმდეგ. მრავალ ტომთა შორის პირველი ომების ორომტრიალში მოექცნენ ქართველთა უძველესი წინაპრები ხეთურ-იბერიული, ჩრდილომესოპოტამიიდან კი იბერიულ-სუბარული ტომები" (ი. ჯორჯაძე, საქართველოს... «საწმისი», გვ. **186; И. Джорджадзе, История... стр. 6—7)**.

როგორც ვხედავთ, ავტორი ჩვენს უძველეს წინაპრებად ასახელებს ხეთურ-იბერიულ და იბერიულ-სუბარულ ტომებს და მათ მონაწილეობას „ეგვიპტე-წინააზიის" პირველ ომებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეჭველ ფაქტად მიიჩნევს (თუმცა დამადასტურებელ მონაცემებს არ უთითებს). მაგრამ 1989 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ის უკვე აღარ ლაპარაკობს ხეთურ-იბერიულ და იბერიულ-სუბარულ ტომებზე. როგორც ჩანს, ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის უარყოფილი ხეთურ-იბერიული ერთობა (გ. მელიქიშვილი, საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 26-30) მანაც უარყო და რუსულ ტექსტში მხოლოდ ზოგადად აღნიშნა რომ «в водоворот первых воин попали древнейшие предки грузин»)... რასაკვირველია, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, გუშინდელი ამბავივით წერა იმისა, რომ კაცობრიობის პირველივე ომებში მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი უძველესი წინაპრები, რომელთა არც სახელი ვიცით, არც განსახლების ტერიტორია და არც მატერიალური კულტურა, არამეცნიერული განცხადებაა. იგივე ლოგიკით შეგვიძლია მივუთითოთ ქართველთა უძველესი წინაპრების მონაწილეობაზე მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში გამართულ დიდი მასშტაბის ნებისმიერ ომში, რაც, რასაკვირველია, შეუძლებელია.

შესაძლოა არ იყოს გამორიცხული, რომ ქართველთა უძველეს წინაპრებში აკად. ი. ჯორჯაძე გულისხმობდეს მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებს (მიუხედავად იმისა, რომ იგი მათ არსად არ იხსენიებს), რომელნიც ძვ. წ. III ათასწლეულში განსახლებულნი იყვნენ თანამედროვე საქართველოს უდიდეს ნაწილზე, სომხეთში, აღმოსავლეთ ანატოლიაში, ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და სირია-პალესტინაშიც კი. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ავტორს უნდა გაერკვია ამ კულტურის მატარებელ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხი, რომელიც მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს (გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და..., გვ. 103-122); ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 247 და სხვ.). და შემდეგ ემსჯელა კაცობრიობის პირველ ომებში მონაწილე ქართველთა უძველეს წინაპრებზე. სხვაგვარად მისი მოსაზრება არადამაჯერებელია. ასევე არადამაჯერებელია და დაუსაბუთებელი ისიც, რომ ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია მოიცავს 44 საუკუნეს.

დადგენა იმისა, თუ საიდან შეიძლება ავითვალოთ ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია, არც თუ იოლია. რასაკვირველია, ამ პრობლემის გადაჭრას საბოლოო სახით არც ჩვენ ვაპირებთ წინამდებარე წერილში. მაგრამ მოკლედ აზრის გამოთქმა აუცილებლად მიგვაჩნია, რისთვისაც, თავდაპირველად, უნდა გავარკვიოთ, თუ რას ვგულისხმობთ ტერმინში, „სამხედრო ხელოვნება".

თუ შეიარაღებულ, მაგრამ არაორგანიზებულ მეომართა ჯგუფის საბრძოლო ქმედებას, რაც უპირატესად ინდივიდუალურ ქმედებას გულისხმობს და ცალკეული ინდივიდების პირად შესაძლებლობებზეა დამყარებული, სამხედრო ხელოვნებად მივიჩნევთ, მაშინ ქართული სამხედრო ხელოვნების საწყისი პერიოდი წინა სახელმწიფოებრივ ხანაში უნდა ვეძებოთ, რადგან ასეთი „სამხედრო ხელოვნება" განვითარების ამ პერიოდის ანუ ტომთა არსებობის ხანისთვისაა დამახასიათებელი. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხისადმი ასეთი მიდგომა თავისთავად მცდარია.

თუ სამხედრო ხელოვნებაში ვიგულისხმებთ სამხედრო საქმის ორგანიზებულ სისტემას, რომელშიც შედის შეიარაღებულ ძალთა დაკომპლექტების მოწესრიგებული ორგანიზაცია, სტრატეგია და ტაქტიკა, შეიარაღება და იარაღის წარმოება, სასიმაგრო სისტემები და ა. შ. რაც მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოსა და სათანადო ეკონომიკური ბაზის არსებობის პირობებშია შესაძლებელი, მაშინ ქართული სამხედრო ხელოვნების წარმოქმნა-ჩამოყალიბება პირველი ქართული სახელმწიფოების წარმოშობის პერიოდს უნდა დავუკავშიროთ; წინა პერიოდები კი განვიხილოთ როგორც ქართული სამხედრო ხელოვნების ჩასახვისა და მასში შემავალი ცალკეული ელემენტების წარმოქმნის ხანა. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, აღარ დაგვჭირდება ხელოვნურად საწყისი თარიღის გამოგონება და სხვათა ომებში მონაწილეობის მიღება. ვფიქრობ, ვერავის გავაკვირვებთ იმის განცხადებით, რომ ჩვენ, ჩვენი საკუთარი ომებიც საკმარისზე მეტი გვქონდა.

ქართული სამხედრო ხელოვნების „საწყისი ეტაპის" განხილვის შემდეგ, აკად. ი. ჯორჯაძე გადადის მომდევნო ათასწლეულის ამბებზე. იგი აღნიშნავს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში „ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველთა ტომები, რომლებიც იყენებდნენ იმ დროის ერთ-ერთ სრულყოფილ იარაღს" (ი. ჯორჯაძე, საქართველოს... „საწმისი" გვ. 187); И. Джорджадзе, История..., стр. 9).

როგორც ვხედავთ, ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში ეგვიპტის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში ქართველ ტომთა მონაწილეობაზე ავტორი ისე ლაპარაკობს, როგორც საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ ფაქტზე, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ისტორიოგრაფიისათვის ეს „ფაქტი" უცნობია. ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, თუ რომელი ქართველი ტომები ჰყავს მას მხედველობაში, მაგრამ ეგვიპტის ლაშქრობაში ჰიქსოსების მიერ ეგვიპტის დაპყრობას რომ უნდა გულისხმობდეს, ეს, მგონი, აშკარაა. როგორც ცნობილია, ძვ. წ. მე-18 საუკუნეში, მე-18 დინასტიის ფარაონთა მმართველობის ხანაში, პალესტინის ტერიტორია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე განსახლებულმა სემიტურმა ტომებმა, რომელნიც ცნობილნი არიან ჰიქსოსთა კრებითი სახელით, დაიპყრეს ეგვიპტე და იბატონეს იქ საუკუნეზე მეტ ხანს (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ., 1988, გვ. 158-157). გაუგებარია მხოლოდ, თუ რის მიხედვით უკავშირებს ავტორი ქართულ ტომებს აღნიშნულ ლაშქრობას. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჰიქსოსებისა და ქართველური ტომების ეგვიპტეში ლაშქრობა ძვ. წ. მე-18 საუკუნეში, უბრალოდ, წარმოუდგენელია: ეგვიპტეში ჰიქსოსების ბატონობის ხანა ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს ტერიტორიაზე თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის აყვავების პერიოდს. „სამწუხაროდ“, თრიალეთის კულტურის ამსახველ არქეოლოგიურ მასალაშიც არ მოიპოვება ის მონაცემები, რომლებიც აკად. ი. ჯორჯაძის სიტყვების სისწორეს დაადასტურებდა.

როგორც ავტორის ზემო ციტირებული ტექსტიდან ჩანდა, იგი აღნიშნავს, რომ ეგვიპტეში ლაშქრობისას ქართველი ტომები იყენებდნენ იმ დროისთვის ერთ-ერთ სრულყოფილ იარაღს: როგორც ტექსტის შემდგომი მსვლელობიდან ირკვევა, იგი გულისხმობს რკინისგან დამზადებულ საბრძოლო იარაღებსა (ასაბეჯებს, ხმლებს, მახვილებს, ხმლის პირებს, ხანჯლებს და საბრძოლო ეტლს (ი. ჯორჯაძე, „საქართველოს საწყისი“ გვ. 187, 188; И. Джорджадзе История... стр. 11)...

რკინა და, შესაბამისად, რკინისგან დამზადებული იარაღები მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველებმა ქართველმა ტომებმა რომ მიიღეს, ცნობილი ფაქტია და მასზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ რკინის მიღებისა და მისი მასიური წარმოების უადრეს თარიღად მიჩნეულია ძვ. წ. მე-14 საუკუნე (რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXII—B, თბ., 1961, გვ. 307 და შმდ.). ამას აკად. ი. ჯორჯაძეც აღნიშნავს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ქართველი ტომები როგორღა მოახერხებდნენ ძვ. წ. მე-14 საუკუნეში მიღებული რკინის იარაღების გამოყენებას ძვ. წ. მე-18 საუკუნეში ეგვიპტის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში, გაუგებარია გაუგებრობაა; აგრეთვე, ამ დროისთვის საბრძოლო იარაღებს შორის ხმლების მოხსენიება. ხმალი შეიარაღების კომპლექსში ბევრად გვიან ჩნდება, მაშინაც კი, საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე (ძვ. წ. მე-14-13 სს), და ისიც მხოლოდ ბრინჯაოსგან დამზადებული (ო. ჯაფარიძე, შუაბრინჯაოს ხანა საქართველოში. გ. გობეჯიშვილი, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970, გვ. 222, 250).

დამაჯერებლობისათვის მოჰყავს ... მხედრობა საბრძოლო ეტლებით ... წერს, რომ „არაბული და ხმლის სინონიმს ნაცვლად ეტლიდან გამოყენებამ ... მიიღო მსუბუქი სამარი? ეტლების შექმნას, რომლებიც მოხვდნენ ეგვიპტეში (რუსული ტექსტის ტექსტის მიხედვით: «Поставлявшихся Египту», И. Джорджадзе История... стр. 11), ...ახირიანი და სახელდობრ...“ (ი. ჯორჯაძე, საქართველოს... გვ. 118).

ციტირებული ტექსტიდან მთლად გარკვევით არ ჩანს, რკინის წარმოებას რას უკავშირებს ავტორი: საერთოდ, საბრძოლო ეტლის შექმნას, თუ მხოლოდ მისი გაუმჯობესებული ფორმის, უფრო მსუბუქი და მანევრული ეტლის მიღებას.

თუ ავტორი გულისხმობს საბრძოლო ეტლის გამოგონებას, რასაკვირველია, ეს შეცდომა მოსაზრებაა, რადგან ეტლი რკინის მიღებამდეც ბევრად ადრე ცნობილი მცირე აზიასა და ეგვიპტეში (П. Монте, Египет Рамсесов, М., 1989 стр. 232-233). ხოლო თუ იგი გულისხმობს საბრძოლო ეტლების მხოლოდ გაუმჯობესებული ფორმის მიღებას, მაშინ ნაწილობრივ უნდა დავეთანხმოთ, რადგან რკინის წარმოება, შესაბამისად, ეტლის გაუმჯობესებასაც გამოიწვევდა. თუმცა საკითხთა საბრძოლო ეტლების „გაუმჯობესებული“ ქართველური ტომების მიერ, ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი არგუმენტი იმისა, რომ ის ხალხები, რომლებიც ქართველურ ტომებად (ან მათ წინაპრებად) შეგვიძლია ვიგულისხმოთ (ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, თრიალეთური კულტურის მატარებელი ხალხი) იყენებდნენ საბრძოლო ეტლს. თრიალეთის კულტურა იცნობს ხის ტრანსპორტს (ურემს, საზიდარს), მაგრამ არ იცნობს (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) შინაურ ცხენს (გ. გობეჯიშვილი, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა... გვ. 248, 250), რომლის გარეშეც საბრძოლო ეტლის არსებობა, რასაკვირველია, შეუძლებელია.

აქვე გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ თრიალეთის კულტურისა და შემდგომი, გვიანბრინჯაოს კულტურის მატარებელი ტომები ძირითადად მთაგორიან რეგიონებში იყვნენ განსახლებულნი და მათთვის საბრძოლო ეტლი არც თუ გამოსადეგი საბრძოლო იარაღი იქნებოდა. ამდენად, საბრძოლო ეტლს საქართველოსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ფართო გავრცელება არ უნდა ჰქონოდა, და შესაბამისად, აქ მცხოვრები ქართველური ტომების წინაშე მისი გაუმჯობესება დახვეწის საკითხი არც უნდა დამდგარიყო. ჯერჯერობით ყოველივე ამას ნათლად ადასტურებს არქეოლოგიური ვითარება, სადაც საბრძოლო ეტლები, ან მათი ნაშთები, თითქმის არ ჩანან, ვითარებას არ ცვლის ავტორის მიერ მოტანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული, კახეთში, წითელწყაროს რ-ში, გოხების გორაზე აღმოჩენილი საბრძოლო ეტლის მოდელი, რომელიც საკმაოდ გვიანდელი ნიმუშია და თარიღდება ძვ. წ. მე-8-7 საუკუნეებით (К. Пицхелаури, Ш. Дедабришвили и др. Отчет Кахетской археологической экспедиции.... Тб 1979, стр. 40—42, табл. XII).

რკინის იარაღებსა და საბრძოლო ეტლზე მსჯელობის შემდგომ, აკად. ი. ჯორჯაძე ასკვნის, რომ: „ამგვარად, ანტიკურ პერიოდში (?! — ს. მ.) ქართველ მეომრებს ხელჩართული ბრძოლების საწარმოებლად ჰქონდათ საუკეთესო იარაღი" (ი. ჯორჯაძე, საქართველოს 188; И. Джорджадзе, История... стр. 11). რამდენადაც ავტორი აქამდე მხოლოდ ძვ. წ. III და II ათასწლეულებზე საუბრობდა, გამოდის ,რომ ამ ხანას იგი ანტიკურ პერიოდად მიიჩნევს, მაგრამ რატომ არქმევს ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს პერიოდებს ანტიკურ ხანას ეს ჩვენთვის გაუგებარია. მიუღებლად მიგვაჩნია ის აზრი, რომ აკად. ი. ჯორჯაძისათვის დროის ის მონაკვეთი, რომელიც ძველ წელთაღრიცხვაში ექცევა, მთლიანად ანტიკური ხანა იყოს.

ალბათ მხოლოდ განცვიფრება შეიძლება გამოიწვიოს ავტორის მიერ უაღრესად დეტალურად აღწერილმა მეომრის მომზადების პროცესმა, რომელსაც, მოვლენათა გადმოცემის თანმიმდევრობის თანახმად, ადგილი ჰქონია უკვე გვიანი ბრინჯაოს ხანაში. ავტორისეული ტექსტის ამ მონაკვეთის ციტირებას დიდი ადგილი სჭირდება, ამიტომ მოკლედ გადმოვცემთ მის შინაარსს. აკად. ი. ჯორჯაძის აზრით, იმ დროისათვის მეომრის აღზრდის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახს, პირველ რიგში კი დედას(?). შემდეგ საზოგადოებრივ გარემოს, ცოდნას, უნარს და ყარჯიშს. მეომრის აღზრდა სიყრმიდანვე იწყებოდა, ისინი ბავშვობიდანვე ატარებდნენ იარაღს და მონაწილეობდნენ ნადირობაში, რომელიც მებრძოლთა სწავლებად ითვლებოდა და „ბრძოლანადირობა" ერქვა(?!), მის მონაწილეს კი „მებრძოლი-მონადირე" (?!). მეომრად აღზრდის პროცესში ეწყობოდა სამხედრო თამაშობანი (?!), რომელთაც სამხედრო წინამძღოლები ხელმძღვანელობდნენ. ამავე დროს, ეწყობოდა შეჯიბრებები იარაღის ფლობაში, ცხენზე ჯდომაში, ქართულ ჭიდაობაში (?!) და ა. შ. (ი. ჯორჯაძე, საქართველოს... გვ. 188—190; И. Джорджадзе, История... стр. 12—13). ავტოლოგიკით თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენს წინაპრებს გვიანი ბრინჯაოს ხანაში სპეციალიზირებული სამხედრო სკოლები შეუქმნიათ.

ასე დაწვრილებით აქვს აღწერილი ავტორს იმ დროინდელი სამხედრო საქმის ორგანიზაციის სისტემა და სამხედრო კანონმდებლობა. მისი მიხედვით, ხალხი და არმია იბრძოდნენ ერთად (როგორც ჩანს, ავტორს არ ესმის როგორც სახალხო ლაშქრის, ასევე პროფესიული არმიის არსებობა გვიან ბრინჯაოს ხანაში), ისინი ასრულებდნენ „წინაპართა სამხედრო კანონს" (რუსულ ტექსტში ამ „კანონს" უწოდებს „закон гор" ?!), რომლის დამრღვევიც სასტიკად ისჯებოდა. ომების საკითხს წყვეტდა სათემო საბჭო (თუმცა, ცოტა ქვემოთ წერს, რომ ომების საკითხს წყვეტდა უხუცესი, ყრილობაზე ნდობით აღჭურვილ პირებთან მოლაპარაკების შემდეგ). თემის ყოველი წევრი ითვლებოდა მეომრად, ყოველ მათგანს ჰქონდა იარაღი და ჰყავდა საბრძოლო ცხენი (ამის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იმ დროს მხოლოდ ცხენოსანი ჯარი გვყოლია, თუმცა ავტორი ამ თავისი დებულების საწინააღმდეგოდ შემდეგ ქვეით მეომრებზეც ლაპარაკობს). ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა სამეფო ღალატი, რისთვისაც გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა, მთელი ოჯახის განდევნა და სახლის დაწვა (?). თემის უხუცესები ერთიანდებოდნენ რეგიონებისდა მიხედვით, ყოველ მათგანს ჰქონდა სახალხო დროშა. თემთა კავშირი ირჩევდა მთავარსარდალს, რომელიც მანამდის რჩებოდა ჯარის სათავეში, სანამ ითვლებოდა საუკეთესო მეომრად და ბრძენ მხედართმთავრად. იხვეწებოდა სამხედრო ხელოვნება, მკაცრ ფორმებს ღებულობდა საბრძოლო წყობა, ამ დროისთვის წარმოიქმნა კოლონები, რომლებიც ღრმა შიდა წყობით მოქმედებდნენ, თანდათან კოლონების ფრონტი იზრდებოდა, სიღრმე კი მცირდებოდა, იხვეწებოდა ჯარების მართვის, ბრძოლის ადგილის არჩევის, მთავარი დარტყმის მიმართულებისა და ჯარის უზრუნველყოფის მეთოდები. „როგორც წესი, საბრძოლო მოქმედება იწყებოდა სატყორცნი იარაღების გამოყენებით და ვითარდებოდა მსუბუქი ქვეითებისა და ცხენოსანი ჯარის ფრონტალური და ფლანგური დარტყმებით, ამას გამოდევნება და ხაფარში განლაგებული ძალების გამოყენება მოჰყვებოდა" (ი. ჯორჯაძე, საქართველოს..., გვ. 189-190).

აკად. ი. ჯორჯაძის აზრით, აღნიშნული სამხედრო საქმის ეს სისტემა, რომელსაც იგი „ხალხურს" უწოდებს იმდენად მყარი ყოფილა, რომ მაშინაც კი, როდესაც „იერარქიათა წარმოქმნასა და განმტკიცებასთან ერთად მეფეები და თავადები სათავეში ჩაუდგნენ სამხედრო მმართველობას, სამხედრო ორგანიზაციის ხალხური ხასიათი საქართველოში ძალიან დიდხანს უცვლელი რჩებოდა". მეფეებისა და თავადების ხანა კი, ავტორს უკვე ქსენოფონტის ლაშქრობისას (ძვ. წ. 401 წ.) დამდგარი ჰგონია. ამის საილუსტრაციოდ იმოწმებს ქსენოფანტს, რომელიც თითქოს უთითებდა „ტომების თავადებზე", რომელთაც იგი (ქსენოფონტი) მეფეებს" უწოდებდა. ეს „თავადები" (ი. ჯორჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის აზრით) ცხოვრობდნენ „გლეხ-მონათა" (?) ხარჯზე, თუმცა, ხალხთან ერთად კი იბრძოდნენ (ი. ჯორჯაძე, საქართველოს..., გვ. 189; И. Джорджадзе История... стр. 12).

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე? პირველ რიგში, ალბათ, უნდა ვკითხოთ ავტორს, საიდან იცის მან მის მიერ დასახელებული „ფაქტები", მაგალითად, ის, თუ გვიან ბრინჯაოს ხანაში როგორ ხდებოდა მეომრის აღზრდა, რომ ამ პროცესში დიდ როლს ასრულებდა მეომრის დედა, რომ უკვე გვიან ბრინჯაოს ხანაში იცნობდნენ და მეომრის აღსაზრდელად იყენებდნენ ქართულ ჭიდაობას, რომ ნადირობას ერქვა „ბრძოლა-ნადირობა", მის მონაწილეს კი „მებრძოლი-მონადირე"; რომ არსებობდა სამხედრო კოდექსი „წინაპართა სამხედრო კანონი", რომ თემთა კავშირი ირჩევდა მთავარსარდალს და ა. შ. აღნიშნული „ფაქტები" მეცნიერებისთვის სავსებით უცნობია და ვეჭვობ როდისმე მოხერხდეს, მაგალითად, იმის დადგენა, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანაში მცხოვრები ხალხი „ქართულად ჭიდაობდა". ჩვენი აზრით, ავტორის მიერ მოტანილ „ფაქტებზე" მასთან კამათს, მეცნიერებისთვის არავითარი სარგებელი არ უნდა ჰქონდეს.

აღნიშნული „ლაფსუსები" (თუ შეიძლება მათ ასე ეწოდოს) შესაძლოა ავტორის არაისტორიკოსობით აიხსნას, მაგრამ ჩვენთვის სრულიად გაუგებარი და გასაკვირია მისი მსჯელობა „წმინდა წყლის" სამხედრო საკითხებზეც. როგორც უკვე ვნახეთ, ავტორი მის მიერ აღწერილ სამხედრო ორგანიზაციას წინა სახელმწიფოებრივ (თემებისა და უხუცესების არსებობის) ხანას მიაკუთვნებს. ამ დროისთვის კი, იგი უთითებს ისეთი დახვეწილი სამხედრო სტრუქტურის არსებობას, რომლის შექმნაც მხოლოდ მაღალ განვითარებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის დროსაა შესაძლებელი. მაგალითად, აღნიშნავს, რომ იმ დროისთვის (ანუ, ავტორის ქრონოლოგიის მიხედვით, გვიანი ბრინჯაოს ხანასა და მომდევნო პერიოდებში, „იერარქიათა" წარმოქმნამდე) მეომართა განლაგებამ მიიღო ღრმა შიდა წყობის მქონე კოლონების სახე, შემდგომ კი, კოლონების ფრონტი გაიზარდა და სიღრმე შემცირდა (ი. ჯორჯაძე, საქართველოს..., გვ. 189, И. Джорджадзе. История... стр. 12). 188-190; ფართო ფრონტისა და ნაკლები სიღრმის კოლონა კი უკვე ფალანგაა. როგორც ცნობილია საბრძოლო წყობის ორივე სახეობა — კოლონა და ფალანგა — შექმნა ბერძნულმა სამხედრო ხელოვნებამ მაშინ, როდესაც ბერძნულ სამყაროში უკვე არსებობდა განვითარებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია; ამის გამო, ფალანგას პოლისური სისტემის ღვიძლ შვილსაც უწოდებენ (გ. ლორთქიფანიძე, სამხედრო საქმის ისტორიისათვის ანტიკური ხანის კოლხეთში, თბ. უნივერს. შრ., № 20..., 1979, გვ. 89). როგორც ფალანგამ, ისევე კოლონურმა წყობამ განვითარების დიდი და რთული გზა განვლო. თავდაპირველად, გაჩნდა ფალანგა, რომელიც ბერძნული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ხანას უკავშირდება (Е. А. Розин. История военного искусства. т. I. М., стр. 155), მან ბერძნულ სამხედრო ხელოვნებაში წამყვანი ადგილი დაიკავა. ამ საბრძოლო წყობით ბერძნული სახელმწიფოები წარმატებით ებრძოდნენ მეზობელ ქვეყნებს და, როგორც წესი, იმარჯვებდნენ. ყოველივე ამის გამო, ბერძნულ სამხედრო ხელოვნებაში ფალანგამ კონსერვატორული სახე მიიღო და გარკვეული ცვლილებებით ბერძნული სახელმწიფოებრიობის ბოლომდე (იგულისხმება რომაელთა დაპყრობამდე) იარსება. მან სამხედრო ხელოვნებაში თავისი მნიშვნელობა ელინისტური ხანის მიწურულს დაჰკარგა.

ფალანგურმა ტაქტიკამ თავისი განვითარება ჰპოვა კოლონებად დაშლილი ფალანგის სახით. დაშლილი ფალანგა ერთ-ერთმა პირველებმა ბერძნებმავე გამოიყენეს. ამის კლასიკური მაგალითია ბერძენ მოქირავნეთა და კოლხ მეომართა ბრძოლა ძვ. წ. 401 წელს, როდესაც ბერძენმა მხედართმთავარმა ქსენოფონტმა ბრძოლის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე ფალანგა დაშალა კოლონებად, ლოხებად) გახადა იგი უფრო მანევრული და ამის წყალობით მოიპოვა გამარჯვება (Г. Дельбрюк История военного искусства в рамках политической истории, т. I. М.. 1936, стр. 136—137; Е. А. Разин. История военного искусства, т. I, стр. 180—181; გ. ლორთქიფანიძე, სამხედრო საქმის ისტორიისათვის..., გვ. 89 და შმდ.).

მიუხედავად იმისა, რომ ქსენოფონტის მიერ წარმატებით გამოყენებული საბრძოლო წყობა (კოლონებად დაშლილი ფალანგა) უფრო მოქნილი იყო ფალანგასთან შედარებით და მისი გამოყენება შესაძლებელი ხდებოდა სხვადასხვა პირობებში (განსხვავებით ფალანგისა, რომელსაც მხოლოდ გაშლილ ველზე შეეძლო ბრძოლა), ბერძნულ სამხედრო ხელოვნებაში მან შემდგომი განვითარება მაინც ვერ ჰპოვა. ბერძნული სამყარო, როგორც აღვნიშნეთ, ბოლომდის ერთგული დარჩა ფალანგური ტაქტიკისა.

კოლონიებად დაშლილი ფალანგა განავითარა რომაულმა სამხედრო ხელოვნებამ, ამის შედეგი იყო ჯერ მანიპულების, შემდეგ კი კოჰორტული წყობის ტაქტიკა (Г. Дельбрюк История военного искусства т. I, стр 228—232; Е. А. Разин История военного искусства, т. I. стр. 282—283), რომელთაც მრავალრიცხოვან ომებში დაამტკიცეს თავიანთი უპირატესობა, როგორც ფალანგურ ტაქტიკასთან, ასევე იმ დროის ნების-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ საბრძოლო წყობასთან შედარებით. კოჰორტული ტაქტიკა წარმოადგენდა ძველი მსოფლიოს სამხედრო ხელოვნების განვითარების უმაღლეს მწვერვალს, რისი საუკეთესო დადასტურებაა მისი შემქმნელის, რომის იმპერიის აშკარა სამხედრო ძლიერებაა თანადროულ ქვეყნებთან შედარებით.

აკად. ი. ჯორჯაძე იმ საბრძოლო წყობების (კოლონები, ფალანგა) გამოყენებას, რომელთა შექმნასა და სრულყოფას ძვ. წ. თითქმის მთელი ბოლო ათასწლეული და ანტიკური ხანის ორი უდიდესი ცივილიზაციის (ბერძნულ-რომაული) არსებობა დასჭირდა, სრულიად უსაფუძვლოდ მიაწერს ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარსა და I ათასწლეულის I ნახევარში მცხოვრებ ქართველურ ტომებს.

ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარსა და I ათასწლეულის I ნახევარში ქართველურ ტომებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ის სოციალურ-ეკონომიკური ბაზა, რომელიც მათ აღნიშნულ საბრძოლო წყობების შექმნის შესაძლებლობას მისცემდა. თანამედროვე საქართველოსა და მის მიმდებარე რეგიონებში, იმ დროისთვის, არ დასტურდება ისეთი მაღალგანვითარებული სახელმწიფოებრიობის და, შესაბამისად, ისეთი დონის სამხედრო ხელოვნების არსებობა, როგორიც მოგვიანებით შექმნეს ბერძენ-რომაელებმა და როგორც ამას წარმოადგენს ი. ჯორჯაძე. ასეთ სახელმწიფოებრივ სისტემებად არ შეიძლება ჩაითვალოს არც დიაუხი და არც კოლხა, უფრო მაღალგანვითარებული სახელმწიფოებ- (Г. Меликишвили. К историидревней Грузии. Тб., 1959 стр. 200 და შმდ.) რივი ერთეულების არსებობა კი (ურარტუს გარდა) იმ დროისათვის ამიერკავკასიაში ცნობილი არაა.

მეომრად აღზრდაზე და სამხედრო ორგანიზაციაზე მსჯელობის დასასრულს, აკად. ი. ჯორჯაძე სრულიად მოულოდნელად აცხადებს, რომ იმ დროს, საქართველოსთან მეომარი ტომები და ხალხები (ალბათ ეგვიპტელები და ასურელები, რამდენადაც ავტორი მანამდე მათ ასახელებს) ქართველებს უწოდებდნენ „გურჯებს", ხოლო საქართველოს „გურჯისტანს" (И. Джорджадзе. История..., стр. 15). საიდან მოიტანა ავტორმა აღნიშნული განცხადება, სრულიად გაუგებარია, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, სიტყვები „გურჯი" და „გურჯისტანი" ლურსმულ ტექსტებში არ გვხვდება, ხოლო თუ აკად. ი. ჯორჯაძეს ასეთი ტექსტი სადმე ეგულება, კარგი იქნება მიუთითოს კიდეც.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ შევეხოთ ავტორის მიერ სხვადასხვა წყაროების გამოყენების საკითხს. მაგალითად, ასურულ მეფეთა ტექსტებს მათი ლაშქრობების შესახებ. აკად. ი. ჯორჯაძე ისე წარმოადგენს ასურელთა ჩრდილოეთით ლაშქრობებს, თითქოს მათი ძირითადი მიზანი საქართველოს მიწების დაპყრობა იყო; ამისთვის, ციტირებისას იგი ადგენს ტექსტის შინაარსის საკუთარ ინტერპრეტაციას. მაგალითად, აღნიშნავს, რომ თითქოს ძვ. წ. 1100 წელს ასურეთის მეფე ტიგლათფალასარ I გვამცნობდეს: „ქართველები იმდენად ძლიერნი ყოფილან, რომ თვით ასურეთს ემუქრებოდნენო", ან კიდევ, როდესაც იგი ეხება ასურეთის მეფე სარგონის ძვ. წ. 714 წლის ლაშქრობას (მას საქართველოში შემოსევას უწოდებს), მიუთითებს, რომ სარგონი გაოცებული დარჩენილა „ქართველთა ცხენოსნობით და იარაღის ხმარების ხელოვნებით" (ი. ჯორჯაძე, საქართველოს..., გვ. 180-181; И. Джорджадзе, История..., стр 13—14).

თავი რომ დავანებოთ იმ უხერხულობას, რასაც ასურეთის ლაშქრობათა ხანაში „საქართველოსა" და „ქართველის" მოხსენიება იწვევს, ავტორის სიტყვების გაზიარება მაინც გაძნელდება, რადგანაც აღნიშნულ მეფეთა ტექსტებში ასეთი რამ, უბრალოდ, არ წერია: ამის გასარკვევად მხოლოდ ამ ტექსტების წაკითხვაა საჭირო, ისინი კი დიდი ხანია გამოცემულია და მეცნიერული საზოგადოებისთვის ფართოდაა ცნობილი (მაგალითად იხ. Г. Меликишвили. К истории древней Грузии..., стр. 178—179).

აკად. ი. ჯორჯაძე არც ანტიკური ავტორების მიმართ იჩენს განსხვავებულ დამოკიდებულებას. ამის საილუსტრაციოდ მხოლოდ სტრაბონის მაგალითიც კმარა. ავტორის მიხედვით, სტრაბონი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს (იგულისხმება ქართლის (იბერიის) მეფე) უწოდებდა „მეფე საქართველოსი, მეფე დიდებული" (რუსულად Царь Грузии, царь великий. И. Джорджадзе. История..., стр. 17). არც სტრაბონს უწერია ასეთი რამ თავის შრომაში (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957) და არც შეეძლო დაეწერა იმის გამო, რომ მაშინ სახელწოდება „საქართველო" და, შესაბამისად, „საქართველოს მეფე" არ არსებობდა.

ავტორი ფართოდ აშუქებს, აგრეთვე, ქართლში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობასაც, რომლის შესახებ ცნობები დაცულია ქართულ წერილობით წყაროებში — „მოქცევაი ქართლისაი" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წ. I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1964, გვ. 81) და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 17-18). ი. ჯორჯაძე არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობა ლეგენდარულადაა მიჩნეული (დაწვრილებით იხ. „ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, I. ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1983, გვ. 144-150) და ამ არარსებული ლაშქრობის პერიპეტიებს თამამად აღადგენს. აკად. ი. ჯორჯაძის აზრით, ალექსანდრე, რომელსაც ქალაქები უბრძოლველად ნებდებოდნენ, ქართლის დედაქალაქის არმაზის (მცხეთის) კედლებთან თერთმეტ თვეს დაყოვნებულა. მაგრამ ქალაქის დაპყრობა მაინც ვერ მოუხერხებია, რის შემდეგაც იგი გაცლია ქართლს; მცხეთის კედლებთან კი დაუტოვებია ჯარის ნაწილი. ქალაქის აღება ვერც მათ მოუხერხებიათ და ომი მშვიდობიანი მოლაპარაკებით, ხიდების, წყალსადენებისა და სხვა ნაგებობათა ერთობლივი მშენებლობით დაუმთავრებიათ. ამ მონათხრობს მოსდევს შემდეგი დასკვნა: «Так делали македоняне на всем своем пути, создав около семидесяти больших и малых Александрии, распространяя культуру эллинизма по миру».
ამის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორი მცხეთას სამოცდაათიდან ერთ-ერთ ალექსანდრიად მიიჩნევს, რასაც, რასაკვირველია, არ შეგვიძლია დავეთანხმოთ.

ალექსანდრე მაკედონელის შემდგომ ავტორი მიმოიხილავს ფარნავაზის ხანას. შემდეგ (საკმაოდ მოულოდნელად) დაწვრილებით საუბრობს პრომეთეს, ამირანისა და არგონავტების შესახებ: ამ უკანასკნელში, იაზონი გამოჰყავს იბერიების მამამთავრად, ომებისა და ხსნის ღმერთად, რომელსაც იბერები თაყვანს სცემდნენ, როგორც წმინდანს (?!). საკმაოდ ვრცელ მსჯელობას უძღვნის მითრიდატე ევპატორს, პომპეუსის ქართლში ლაშქრობას, ანიკეტის აჯანყებას, ფარსმან I ომს პართელთა წინააღმდეგ და ა. შ. ნაშრომის აღნიშნული ნაწილიც სავსეა შეცდომებითა და არასწორი, სრულიად მიუღებელი მოსაზრებებით. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს.

როდესაც ავტორი აღწერს ფარსმან II ვიზიტს რომში, აღნიშნავს, რომ ფარსმანის მეუღლეს გლადიატორების ბრძოლის დროს დაღვრილი სისხლის დანახვისას გული წაუვიდა, რადგანაც «По обычаю ее страны подобное строжайшим образом запрещалось: в боевых состязаниях всемерно избегали ран, при случайно нанесенном увечье, величину раны измеряли хлебными зернами и по их числу виновный расплачивался коронами. Недаром мастерству владения оружием детей обучали с пяти лет, на два года раньше, чем в греческой и римской школах и даже игрушки имитировали боевое оружие» (И. Джорджадзе, История..., стр. 31-32).

საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა აკად. ი. ჯორჯაძემ, რომ იბერები შემთხვევით მიყენებული ჭრილობების კ[illegible] ახდენენ სად ამოიკითხა მან, რომ ფარსმანის მეუღლეს გლადიატორების ბრძოლის ნახვისას გული წაუვიდა, ან საიდან დაადგინა, რომ იბერები ბავშვებს სამხედრო სწავლებას ხუთი წლის ასაკიდან აწყებინებდნენ, ამასთან, ორი წლით ადრე, ვიდრე ბერძნები და რომაელები. წერილობითი წყაროებით ასეთი რამ ცნობილი არაა, არც არქეოლოგიურ მასალებში გვხვდება ისეთი სათამაშოები, რომლებიც საბრძოლო იარაღის იმიტაციას წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც ავტორის დასკვნები მისი წარმოსახვის შედეგია და არა მეცნიერული კვლევისა.

სხვაგან ავტორი ფართოდ მსჯელობს ანტიკური ეპოქის სამხედრო თეორიული აზრის შემქმნელთა შესახებ და აღნიშნავს, რომ: «Геродот, Ксенофонт и некоторые другие были непосредственными участниками боевых действий в пределах Грузии и большое внимание уделили в своих трудах изложению принципов военного искусства грузинского народа, в частности методам подготовки театра военных действий и распространению опыта боев среди населения» (И. Джорджадзе, История..., стр. 33).

ჯერ ჰეროდოტეს, ქსენოფონტისა და ზოგიერთი სხვა ისტორიკოსის საქართველოში ყოფნისა და ბრძოლებში მონაწილეობის შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქსენოფონტი სარდლობდა ბერძენ მოქირავნეთა იმ ლაშქარს, რომელმაც ბრძოლებით გაიარა სამხრეთ-დასავლეთ ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორიები; ამის მითითებისას ავტორი სავსებით სწორია. მაგრამ რატომ მიაწერს ჰეროდოტეს საქართველოში გამართულ ბრძოლებში მონაწილეობის მიღებას, ეს კი გაუგებარია. საინტერესოა ისიც, თუ ვის გულისხმობს ავტორი საქართველოს ტერიტორიაზე მეომარ ზოგიერთ ისტორიკოსში. ჩვენ, ერთადერთ ასეთ პიროვნებად წარმოგვიდგენია თეოფანე მიტილინელი, რომელიც ამიერკავკასიაში ლაშქრობისას თან ახლდა პომპეუსს და, როგორც ვარაუდობენ, მისი ცნობებით შემდგომში ისარგებლა სტრაბონმა (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 7). სხვა ბერძენ-რომაელი ისტორიკოსი, რომელიც მონაწილეობდა ჩვენს ტერიტორიაზე გამართულ ომებში, ცნობილი არაა, და ავტორი დიდ სამსახურს გაუწევდა მეცნიერებას, თუ მათ ვინაობასა და, ამასთან ერთად, წყაროს მიუთითებდა.

როგორც ციტირებული ტექსტიდან ჩანს, ავტორის აზრით, ჰეროდოტე, ქსენოფონტი და ზოგიერთი სხვა ისტორიკოსი თავიანთ შრომებში დიდ ყურადღებას უთმობენ ქართული სამხედრო ხელოვნების პრინციპებისა და, კერძოდ, საბრძოლო მოქმედებათა თეატრის მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზადების მეთოდებისა და მოსახლეობას შორის საბრძოლო გამოცდილების გავრცელების საკითხების გადმოცემას.

როგორც ჰეროდოტესა და ქსენოფონტთან, ასევე მთელ რიგ სხვა ბერძენ-რომაელ ავტორებთან ნაშრომებშიც დაცული უძლიერესად საყურადღებო და ზშირად უნიკალური ცნობები სამხედრო საქმის შესახებ; ეს კარგად ცნობილი ვითარებაა, მაგრამ იქმა იმისა, რომ ასინი საგანგებო ყურადღებას უთმობდნენ ქართული სამხედრო ხელოვნების პრინციპების გადმოცემას, გადაჭარბებაა. ჰეროდოტე, ქსენოფონტი და თვითონ მოტილინელიც (აქედან, სტრაბონი), იშვიათად ეხებიან სხვადასხვა ქართველურ ტომებში არსებულ სამხედრო საქმეს, რამდენადაც ეს მათი თხრობის საგანს ეხება. მაგალითად, ჰეროდოტე ქართველური ტომების შეიარაღებას უთითებს ქსერქსეს არმიის დახასიათებისას, სხვა ხალხების შეიარაღების გვერდით (ჰეროდოტე, ისტორია, ტ. II, თ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 481-484). ქსენოფონტე აღწერს იმ ტომთა შეიარაღებასა და ბრძოლის წარმოების ხერხებს, რომლებთანაც შეტაკება მოუხდათ ბერძენ მოქირავნეებს. ამის იქით ქსენოფონტის ინტერესები აღარ ვრცელდება (თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967, გვ. 73, 75, 81, 82, 93, 95, 100-103). „უფრო ნაკლებად საგანგებო ყურადღებას" იჩენს იბერთა შეიარაღებისა და მეომართა რაოდენობისადმი სტრაბონი. იგი მათზე საუბრობს არა საკუთრივ იბერიის აღწერისას, არამედ ალბანელებთან კონტექსტში, როდესაც ჰარალელს ავლებს ალბანელებისა და იბერების შეიარაღებასა და რაოდენობას შორის (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 133), რათა აჩვენოს თუ რა ძალებთან მოუხდა შეტაკება პომპეუსს". რასაკვირველია, დასახელებულ ავტორებთან არ იგრძნობა, რომ ასინი საგანგებო ყურადღებას იჩენდნენ ქართული საბრძოლო ხელოვნების პრინციპების აღწერისადმი.

დასასრულს, გვინდა მივმოვიხილოთ ნაშრომის ბოლოში დართული საქართველოს (ამ შემთხვევაში, ქართლის (იბერიის) სამეფოს) შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციულ სტრუქტურის სქემა, უფრო „სამხედრო ზასიათის ლაფუსებით" (И. Джорджадзе, История... стр. 20).

აღნიშნული სქემის მიხედვით, იბერიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალი მეფეა. ეს თითქმის ავტორისეული ერთადერთი დებულებაა, რომელსაც ვეთანხმებით. როგორც ქართული, ასევე უცხო წერილობითი წყაროები, ქართლის (იბერიის) სამეფოს უმაღლეს სამხედრო ხელისუფლად ერთხმად ასახელებენ მონარქს და ამაში დაეჭვება შეუძლებელია.

მეფის უშუალო დაქვემდებარებაში ავტორი უთითებს სამეფო გვარდიას თავისი მძი-მედ შეიარაღებული ცხენოსნ[illegible]ხით იბერთა მეფეს, ისევე როგორც თითქმის ყველა მონარქს საკუთარი გვარდია რომ უნდა ჰყოლოდა, ეს საჭიროებით მისაღები მოსაზრებაა და იგი დიდი ხანია გამოთქმულია (Г. В. Церетели, Армазская билингва, Тб., 1941 стр. 65—67). მაგრამ არაფრიდან დაადგინო გვარდიის რაოდენობა და შეიარაღების ხასიათი, ყოვლად შეუძლებელია. ავტორს გვარდიის რაოდენობად ათასი მეომარი აღებული უნდა ჰქონდეს აკად. გ. წერეთლის ნაშრომიდან „არმაზის „ბილინგვა", სადაც დასახელებული ნაშრომის ავტორი მსჯელობს რა წარწერაში მოხსენიებულ ეზოსმოძღვრის (ეპიტროპოსის), როგორც სამეფო გვარდიის სარდლის თანამდებობაზე, პარალელს ავლებს სპარსეთის სამეფო გვარდიის სარდლის, ჰაზარაპეტის თანამდებობასთან. (სპარსული „ჰაზარაპეტი" სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ათასისთავს"). როგორც ჩანს, აკად. ი. ჯორჯაძისთვის სწორედ ეს გარემოება გახდა იმის საფუძველი, რომ იბერთა მეფის გვარდია განესაზღვრა 1000 მეომრით, მაგრამ მას მხედველობიდან გამორჩა აკად. გ. წერეთლის შენიშვნა, სადაც აღნიშნულია, რომ გვარდიის რაოდენობად 1000 მეომარი აუცილებელი არაა, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში ეს ციფრი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან (გ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66, შენიშვნა 3).

სქემის მიხედვით, ავტორი იბერიის არმიას ორ ძირითად ნაწილად ჰყოფს, როგორც ჩანს, პროფესიულად და არაპროფესიულად (მოლაშქრეებად). პირველში იგი უთითებს რაოდენობას, შეიარაღებისა და დანიშნულების მიხედვით დაკომპლექტებულ, მეორე ნაწილში კი, არათანაბარი რაოდენობისა და სხვადასხვა შეიარაღების მქონე რაზმებს. პირველი სახეობის ჯარის სათავეში ასახელებს მთავარსარდალს, მეორეში კი ერისთავს (თუ ერისთავებს). ორივენი პირდაპირ ემორჩილებიან მეფეს (როგორც უმაღლეს მთავარსარდალს), ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

ავტორი მთავარსარდალში აშკარად გულისხმობს ქართული წყაროების სპასპეტს, რომლის შესახებაც „ქართლის ცხოვრება" იუწყება, რომ იგი „მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა" („ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 25). ე. ი. სპასპეტი ერისთავებზე მაღლა მდგომი მოხელეა, ერისთავები იერარქიულად უშუალოდ მას ემორჩილებიან და რის საფუძველზე გამოყავს ავტორს ისინი სპასპეტის დაქვემდებარებიდან, გაუგებარია.

როგორც აღნიშნული იყო, სქემის მიხედვით, აკად. ი. ჯორჯაძე სპასპეტს (მთავარსარდალს) არმიის პროფესიული ნაწილის სარდლად მიიჩნევს, ეს საკამათო საკითხია. უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სპასპეტი, დანარჩენი „ერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გითი" ერისთავების მსგავსად, ერთ-ერთი ოლქის, შიდა ქართლის გამგებელია, საიდანაც სახალხო ლაშქრის გამოყვანა დანარჩენი ერისთავებივით მასაც მოუხდებოდა (ქართულ წყაროებში ამის დამადასტურებელი არაერთი ცნობა დაცული (მაგალითად, იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 55) მაშასადამე, რომც არ ჩავთვალოთ სპასპეტისადმი იერარქიულად დაქვემდებარებული ერისთავები თავიანთი მოლაშქრეებითურთ, სპასპეტის სარდლობის ქვეშ მისი ოლქიდან გამოყვანილი არაპროფესიონალი მეომრები მაინც გაერთიანდებოდნენ.

საკამათოა აგრეთვე ავტორის მიერ იბერთა ცხენოსანი რაზმების რაოდენობრივი დაყოფა. თუ ქართულ წერილობით წყაროებში გვხვდება ტერმინები „ათასისთავი" და „ასისთავი", რის მიხედვითაც (ალბათ) ავტორი ვარაუდობს ათასეულებისა და ასეულების არსებობას (ოღონდ რატომ მხოლოდ ცხენოსნების?), სრულიად გაუგებარია, საიდან უთითებს იგი „ზეთასეულის" არსებობას, რის შესახებაც არავითარი მონაცემი არ მოგვეპოვება.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის შეცდომები (თუ შეიძლება ასე ითქვას) ქვეითი მეომრების შეიარაღების აღწერისას. მათ იგი ჰყოფს ორ კატეგორიად — მძიმედ და მსუბუქად შეიარაღებულებად. მძიმე შეიარაღების კომპლექსში უთითებს შუბის, მშვილდ-ისრის და დამცავი საჭურვლის არსებობას, მსუბუქში კი ასევე შუბს, მშვილდ-ისარს და მათთან ერთად სატევარს.

პირველი „ლაფსუსი" არის ის, რომ ავტორი იბერი მეომრის შეიარაღებაში არ უთითებს მახვილს, იმ დროისათვის ერთ-ერთ ძირითად საბრძოლო საშუალებას. ეს მით უფრო საკვირველია, რომ, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, აკად. ი. ჯორჯაძე ხმლების, ხმლის პირების და მახვილების არსებობას ქართველ ტომებში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანისთვის აღნიშნავდა. არა გვგონია ავტორი ფიქრობდეს, რომ ანტიკურ ხანაში იბერები გაურბოდნენ ხელჩართულ ბრძოლას, რომლის წარმოებაც მახვილის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ძნელია დაეთანხმო ავტორისეულ დაყოფას მძიმე და ქვეითი მეომრებისა. ვის, მაგრამ გენერალ ი. ჯორჯაძეს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ მეომრები სხვადასხვა კატეგორიებად განსხვავებული საბრძოლო ფუნქციებისა და, აქედან გამომდინარე, შეიარაღების ხასიათით იყოფოდნენ. თუ, როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი ქვეითი მეომარი ერთგვარად, შუბითა და მშვილდ-ისრით იქნებოდა შეიარაღებული, მაშინ მათ შორის არც ფუნქციური განსხვავება იარსებებდა. შუბი, როგორც საბრძოლო საშუალება, მძიმე შეიარაღების აუცილებელი ელემენტია. მშვილდ-ისარი კი მსუბუქი შეიარაღების კლასიკური ნიმუშია. ბრძოლის ველზე მძიმედ და მსუბუქად შე[illegible] განსხვავებული მოვალეობების შესრულება უწევდათ. მსუბუქად შეიარაღებული რაზმები გამოიყენებოდა შორს და საშუალო დისტანციაზე მოწინააღმდეგის დასაზიანებლად, მათი საბრძოლო წყობის დასამსხვრევად და ბრძოლის ველის მძიმედ შეიარაღებული მეომრებისათვის „მოსამზადებლად" ამდენად, მსუბუქ მეომართა ფუნქციები მოითხოვდა ისეთ საბრძოლო საშუალებებს, რომელთა გამოყენებაც შორ და საშუალო დისტანციებზეა შესაძლებელი ანუ მშვილდ-ისარს, ხელშუბს, შურდულს და ა. შ. მძიმედ შეიარაღებულ მეომართა ძირითადი ფუნქცია კი ხელჩართული ბრძოლის წარმოება და მოწინააღმდეგის საბოლოოდ განადგურება იყო. ამისთვის მძიმე შეიარაღების კომპლექსიც საჭიროებდა შესაბამის საბრძოლო საშუალებებს — ანუ შუბს, მახვილს, დამცავ საჭურველს (ფარი, მუზარადი...), უფრო იშვიათად ცულს და ა. შ.

თუ მძიმედ შეიარაღებულ მეომარს არ ექნებოდა მახვილი, ამით ის ხელჩართული ბრძოლის წარმოების უნარს სანახევროდ მაინც დაკარგავდა, რადგან მახვილის მოსაქნევ მანძილზე მიახლოებულ მოწინააღმდეგეს შუბით ვერ გაუმკლავდებოდა. მძიმე მეომარი ხელჩართულ ბრძოლაში ვერც მშვილდ-ისარს გამოიყენებდა. მსუბუქი მეომრისთვის კი შუბი იქნებოდა, ფაქტიურად, ზედმეტი.

ამრიგად, აკად. ი. ჯორჯაძის მიერ შემოთავაზებული დაყოფა მძიმე და მსუბუქი ქვეითი მეომრებისა, მიუღებელი და არასწორია. რადგან მასში, პრაქტიკულად არ ჩანს განსხვავება მეომართა ამ ორ კატეგორიას შორის, ხოლო მარტო დამცავი საჭურველი (რომელსაც აკად. ი. ჯორჯაძე სრულიად სამართლიანად უთითებს მძიმე მეომართა შეიარაღებაში) ამ განსხვავებას არ ქმნის.

ამით ვასრულებთ აკად. ი. ჯორჯაძის ნაშრომის მიმოხილვას, თუმცა მის ნაკლოვანებებზე მსჯელობის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ნათქვამიც საკმარისია მკითხველის დასარწმუნებლად, თუ რა მეცნიერული ღირებულება გააჩნია დასახელებულ შრომას და როგორ ასრულებს იგი მის წინაშე დასახულ მიზანს — „ქართველი ხალხის მიერ გადახდილი ომების შესწავლაში არსებული ხარვეზთა ამოვსებას" (ი. ჯორჯაძე, საქართველოს..., გვ. 1114; И. Джорджадзе. История..., стр. 6—7).

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სებნით თუ უნებლიედ, ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის ასე გაყალბებული და ტენდენციური სახით წარმოდგენით, მხოლოდ „დათვურ სამსახურს" გაუწევთ როგორც ქართულ ისტორიოგრაფიას, ასევე ქართველი ერის წარსულსა და მომავალსაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კანკავა

# საჭიროა წინწადგმული ნაბიჯის მაგიერ—ნახტომი...

ნუგზარ შატაიძე ქართველ მწერალთა იმ არც თუ მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება, რომლის მხატვრულ სტიქიას სოფლური ცხოვრების შუაგული წარმოადგენს. მწერლის აზრით, სოფელში უფრო იხსნება ადამიანის ურთიერთობის არსებითი მხარეები და უფრო მკვეთრად თუ მარტივად (გასაგებად) მოჩანს თვითადამიანის ზნეობრივი განზომილებები თუ ღირებულებრივი პარამეტრები. სწორედ სოფელზე, მისთვის რელიეფურად და უბრალოდ სწორ ადამიანებზე, რომლისაც ქრონიკულ ნამუშევარს „პირველი დახმარების ალბომების" დონეს ყოველთვის შეუძლია გასცილდეს და აღემატოს.

ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „კური" შეიძლება ითქვას, საეტაპოა მის შემოქმედებაში (მოთხრობა გამოქვეყნდა ჟ. „მნათობის" გასული წლის აგვისტოს ნომერში). იგი, უდავოდ, წინწადგმული ნაბიჯია სოციალური აზროვნების მასშტაბურობით. ხსენებულ ნაწარმოებში ავტორი ცდილობს შეიმუშაოს სახალხო ცხოვრებაზე სოციალური და ზნეობრივი თვალსაზრისი და ამ თვალსაზრისის მიხედვით აგოს ნაწარმოები. ავტორი აქ გამოვლინდა მთელი სიგრძე-სიგანით — მისთვის ზნეობრივი პრობლემა აუცილებელი ადამიანის ურთიერთობის წვდომისათვის და საერთოდ მხატვრული ნაწარმოების გასამართავად. საქმე ისაა, რომ ადრეული მოთხრობები ნუგზარ შატაიძეს ისე აქვს მოფიქრებული და აგებული, რომ ქართული სოფლის სხვადასხვა სურათებს, ძირითადად, ფრაგმენტულად ან ეპიზოდურად გვაწვდის. გამოხატულია ესა თუ ის მომენტი სოფლის ცხოვრებიდან, ქართველი გლეხკაცის ცხოვრების წესი, მისი საქმიანობის ესა თუ ის წახნაგი. მაგრამ ეს ეპიზოდები, მარტივი სურათები ხშირად მოკლებულია იმ განზოგადებულ აზრს, ფართო თვალსაზრისს

შეიძლება ითქვას, რომ ნუგზარ შატაიძის ადრეულ მოთხრობებში პერსონაჟები, ამ ცნების ტრადიციული გაგებით, არ მოქმედებენ, ცოცხლად არ ფიგურირებენ... ერთი მოქმედი პირი თითქოს არ განსხვავდება, თვალსაზრისის მხრივ, მეორისგან, მეორე — მესამისგან და ა. შ. მისი მცირე მოთხრობების მოქმედ პირებს აკლიათ პიროვნული თვისებები, ინდივიდუალური ცხოვრების ნიშანწყალი. ეს მხატვრულად წარმოსახული სოფლის მცხოვრებნი ისე ორგანულად არიან ჩაწერილნი თავის საცხოვრებელ გარემოში, თითქოსდა მხოლოდ ბუნების მარადიულ სამსახურში იყვნენ ჩაყენებულნი, უფრო ბუნების კაპრიზებს ემორჩილებიან, ხოლო საკუთარი პიროვნული სამყარო გაიგივებული აქვთ ამ სამსახურთან. თითქოს გლეხის პიროვნული ცხოვრება მით უფრო პირსავსეა და მისაღებია, რაც უფრო ერთფეროვანია და აუმღვრეველი, რაც უფრო შეესატყვისება თუ შეეხამება ბუნების წესებს, გარემოპირობებს. ადრეულ შატაიძესთან ადამიანი ბუნების კოლორიტული დანამატია.

მწერალთან თანამედროვე სოფლის სოციალური ვითარება და მართლწესრიგი არ იწვევს არავითარ ეჭვს. სოფლელი კაცი ერთხელაც არ დაეჭვდება საკუთარი გაუპიროვნების გამო. რაც უფრო გაუპიროვნებულია და საკუთარი შრომითაა დაბმული, მით უფრო შეუფერხებლად და არხეინად მიდის კაცის ცხოვრება — ამგვარია ავტორის სოციალურ-ზნეობრივი თვალთახედვა მის ადრეულ მცირე პროზაში. ამ მხრივ, მისი პატარ-პატარა ნაწარმოებები სოციალურ პასიურობაზე მეტყველებენ.

მაგრამ, როგორც ითქვა, 1988 წელს იგი აქვეყნებს თავის შედარებით მოზრდილ მოთხრობას, „კურს", სადაც რამდენადმე იკვეთება სოციალური განზომილებები და, ასე თუ ისე, აქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიურდება მწერლის ეთიკური კრიტერიუმები. ასე გასინჯეთ, ავტორი ცდილობს ფსიქოლოგიურ მხარეებსაც სწვდეს და ამგვარად, მისი მოქმედი პირი აქცევის ჭეშმარიტ ლიტერატურულ პერსონაჟებად: მართალია, ისინი მკრთალი ინდივიდუალობის მქონენი არიან, მაგრამ მაინც ლიტერატურული პერსონაჟის სახე იერს იძენენ.

მოთხრობაში „პური", ჩვენი აზრით, მხოლოდ ანტიგმირები მოქმედებენ. ხაგულისხმოა რომ ნაწარმოებში ყველა მოქმედი პირი უარყოფითი გმირის სტატუსით უნდა შეფასდეს ავტორი მართალია, როცა ამ მოთხრობით გვიდმოგვცემს, რომ თანამედროვე ადამიანი კიმდენად დაბალ დასაბამით ინსტინქტებს ამჟღავნებს, რომ მასში უძველესი სწრაფვების აღმოჩენა ადვილზე ადვილია: არსობის პურის მოსაპოვებლად იგი დაუფიქრებლად ღვრის „სხვათა" სისხლს. ადამიანისთვის მეორე ადამიანი არასდროს ყოფილა „მოყვასი", იგი მისთვის მუდამ „სხვას" წარმოადგენდა. ამ მოთხრობიდან ჩანს, რომ ადამიანი მუდამ „სხვაა", გარეშეა. ერთი ადამიანი მეორისათვის შეუთავსებელია. ეს შეუთავსებლობა ქრება მაშინ, თუკი ისინი ერთიანდებიან „ბანდაში" და ხროვის პრინციპით მოქმედებენ. ადამიანები ხსენებულ მოთხრობაში უკავშირდებიან ერთი მეორეს არსებითად იმ შემთხვევაში, თუკი გამაერთიანებელ ნიშნად, შემაკავშირებელ მოტივად ძალადობა შეიქმნება. თანამედროვე ადამიანი ისწრაფვის ძალადობისკენ და მიმართავს ძალადობას, თუკი, მილუშეტის, ამის იდეოლოგიური საფუძვლები გააჩნია. მოთხრობიდან ჩანს, რომ ყველაზე მჭიდრო „ეთიკური" და „სოციალური" კონტაქტი მაშინ წარმოიშობა, როცა ადამიანებს აერთიანებთ მძლავრობისა და ძალმომრეობის გადაულახავი ინსტინქტები, შეიპყრობენ იძულების გამომხატველი სწრაფვები.

მოთხრობაში ავტორი წერს, რომ ადამიანები „ცარიელ სტომაქს გავხიყულბინა". იგი იქვე განაგრძობს, რომ სტომაქის კარნახი სტომაქის კარნახით ცხოვრება უძველესი მოთხოვნილებაა და მოთხრობაც ამგვარი თავდაპირველი ინსტინქტების ფონზე ვითარდება. აქ უმთავრესია სწორედ ის, რაც თავდაპირველია, ამოსავალია, პირველადია და დასაბამით ვითარებასა და საჭიროებას გამოსახავს. როგორც კი ადამიანს ამგვარ თავდაპირველ მდგომარეობაში ჩავაყენებთ და შიმშილისა და ძარცვის გარემო-პირობებს შევუქმნით, ბუნებრივია, თუკი მასში ძველი სწრაფვები და სისხლისმღვრელი მიდრეკილებები ამოტივტივდება. ავტორი „ცარიელ სტომაქს" სოციალურად მარეგულირებელ ძალად მიიჩნევს თანამედროვე საზოგადოებაშიც. დამშეული ადამიანის მოქმედების ავად წაქეზება, მის ძალთა უკეთურად წარმართვა ხომ წესად იყო ქცეული და ბოროტად გამოიყენებოდა ჩვენს დროში. მწერალი დამშეული ადამიანის ფსიქოლოგიას ... რომელსაც წერს: „სტომა... შემდეგ შეპყურებს ადამიანს, რაც ღმერთის ადამ და ევა სამოთხიდან გამორეკა და ის გაძავრებული მშობლიურ მიწაზე. თქვენც ოფლით მოიპოვეთ პური თქვენი არსობისა" პუჭის ეს ფილოსოფია თავისი სიმარტივით ეხმება მთავარ თემას, რომელიც სოციალური ცხოვრების ჩარჩოებშია მოქცეული, თუმცა კი ბიბლიური მითის დამოწმებასა და განზოგადებასაც არ გაურბის ხსენებულ გამოთქმაში ჩვენ რაიმე გადახრას თუ გადაჭარბებას ვერ ვხედავთ. მაგრამ გვინდა ამ ფრაზასთან დაკავშირებით ერთი მოსაზრება გამოვთქვათ ბიბლიის ამ ცნობილი ადგილის გაგებაზე. მართალია, ნუგზარ შატაიძეს სრული უფლება აქვს სწორედ ასე მითოსური ზედმიწევნილობით, ავტენტურად გამოიყენოს ევასა და ადამის გამოძევება მიწიერი სამოთხიდან, მაგრამ მითს, უდავოდ, უნდა ქონდეს ისტორიული საფუძველიც და ამჟამად სწორედ ამგვარ საწყისზე გვსურს ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

როდესაც ევა და ადამი იგემებენ ნაყოფს ხეცნობადიდან, ღმერთი არ პატიობს მათ ამგვარ ქცევას და როგორც გვახსოვს, ატოვებინებს მათ ედემს. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ამ დადებულ, უჩვეულო მითში ჩამარხულია ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აზრი, ვიდრე ეს მითის პირველი გაცნობით გამომდინარეობს. რატომ უნდა გამოერეკა მამაღმერთს ევა და ადამი ედემიდან, თუკი ნაყოფი ხე ცნობადისა მათ ცოდნას მიანიჭებდა და თვალსაწიერს გაუფართოებდა? ამგვარ კითხვაზე პასუხს ალბათ მაშინ მივიღებთ, თუკი მითის წარმომავლობის საფუძველში ჩავიხედავთ. ხსენებულ მითში ალბათ ნაგულისხმევი თუ განჭვრეტილია ადამიანის ევოლუციონისტური განვითარების ისტორია. ამ მითში ადამიანის განვითარების უმაღლეს წყალგამყოფად უნდა იგულისხმებოდეს ადამიანში ცნობიერების გაჩენა.

თუკი პირველყოფილი ადამიანი ცნობიერების განვითარების გარეშე მიწიერ სამოთხეში ბედნიერად გრძნობს თავს, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ადამიანი ბევრად ბედნიერია, ვიდრე მას საკუთარი არსებობის ტრაგიკული ბედი წინასწარ არ შეუცვნია, ვიდრე თავისი სიცოცხლის ბოლოყალობა არ გაუცნობიერებია, ვიდრე საოცარი წინააღმდეგობა რომელიც ადამიანის გონებასა და მის ინსტინქტებს შორის არსებობს, არ შეუგრძვნია. ადამიანი ბევრად ბედნიერია, როდესაც იგი ზნეობრივ კრიტერიუმებს მოკლებულია (ხე ცნობადის ნაყოფი არ უგემია...) და ბევრად უბედურია, როცა საკუთარ უუნარობას გრძნობს — გონების მოწოდებას რომ ვერ მისდევს და ინსტინქტების ძახილს ემორჩილება. ბიბლიური მითის მიხედვით, ადამიანის ცნობიერება, მუქს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფენს მის ტრაგიკულ არსებობას. ამიტომ ხეცნობადის ნაყოფი, ე. ი. ცოდნიერების კონებიაწვდომა, დამოუკიდებელი ცხოვრების წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათის გარკვევა, გარესინამდვილესთან ჩამცურადტრული დამოკიდებულების მიხვედრა და გებება მისი ზნეობრივი თუ ფიზიკური უბედურების მომტანად იქცევა. ადამიანური ცხოვრების შეცნობა და ცნობიერების ჩამოყალიბება-გაფართოება, ერთი მხრივ, თუ უჩვეულო სიძალლეებს ანიჭებს ადამიანს, მეორე მხრივ, უძირო უფსკრულებისა, დაუძლეველი სიავეებისა და უკეთურობის წინაშე აყენებს.

აი, ჩვენი აზრით, ამ სასოწარკვეთის სათავე, რომელშიც ევა და ადამი (წაიკითხეთ: ადამიანი) ვარდებიან ედემის ბაღნარიდან განდევნის შემდეგ. განდევნის შემდეგ მათ ელით ზრუნვა, გოეთესეული გაგებით: ურიცხვი გაჭირვება-დაბრკოლებები და ამასთან ერთად, თუნდაც მაღალგანვითარებული ცოდნიერება, როცა ადამიანის მეგზურ მისივე დამადამბლავებელ რეალობად იქცევა.

მკითხველმა უნდა ივარაუდოს, რომ თვით გინტურის ნატურა ორიენტირებულია ბოროტებაზე, ძალადობასა და ადამიანის უფლების არად ჩაგდებაზე, აკი მისი ინსტინქტები თავიდანვე გაუკუღმართებულია. ვფიქრობთ, რომ ბავშვობის ძიძე, გაჭირვებულმა წლებმა ნეგატიურად ჩამოაყალიბეს მისი ფსიქიკა. მისი ბიჭური პატივმოყვარეობა სამუდამოდ და მოსაგერიებლად განაწყობდა მას გარემომცველ სინამდვილესთან. მაგრამ როდესაც მას თოფი მისცეს ხელში ნოე ჟორდანიას ჯარის საომრად, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის ღალატს არ გრძნობდა არა თავის უბედურების გამო, და თავის მოძმე ქართველებს ხოცავდა არა იმიტომ, თითქოს სამართლიანობისა და თანასწორობის დასამკვიდრებლად იღწვის, სინამდვილეში თავის ბნელ ინსტინქტებს ასაზრდოებდა. მოძმეთა რბევით პურს სჭამდა სამწუხაროდ, მკითხველმა მხოლოდ უნდა ივარაუდოს ამ ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბების საფუძვლები და ლოგიკური გზები. თორემ მოთხრობაში ამის შესახებ ძალიან ცოტაა ნათქვამი (აქვე ვიტყვით, რომ ჩვენი მწერალი მხატვრულად გაზრდილი ჩანს ამ მოთხრობაში, მაგრამ ლიტერატურული ხასიათის ნაკლებს კი არ ხატავს, იგი უფრო ტიპიურ შტრიხებს გვთავაზობს). მწერლის პრობლემურად აზროვნების სიმცირისა და კონცეფტუალური მხარის უკმარობის გამო გინტურის არამც თუ ფსიქოლოგიურ წყობაზე, თვით ეთიკურ რაობაზე, მის ზნეობრივ პროფილზე მკითხველს დასრულებული წარმოდგენა ვერ ექმნება.

როგორც ითქვა, გინტური მიხას ანტიპოდია, „კლასობრივი მტრები“ არიან, თუმცა მიხას ბავშობა ორი წვეთი წყალივით ჰგავს გინტურის გაჭირვებულ ადრეულ წლებს. მაგრამ მიხამ ქალაქში შეიძინა კომერციული გამოცდილება და ცბიერ ვაჭრად აქ ჩამოყალიბდა. ხოლო გინტური ქაბუკობიდანვე პირველ მსოფლიო ომშია. სამოქალაქო ომები არ ასცდა და ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემისთვის იბრძვის. ასე ხდება ერთ გარემოში, ერთ სოფელში აღზრდილი კომერსანტისა და სისხლიანი სალდათის საბედისწერო შეხვედრა.

გამეფებული უკანონობის სახეს გინტურიც გამოხატავს: იგი ყოველგვარი სანქციების გარეშე ორჯერ მოახდენს მიხას მიერ დაგროვილი ხორბლის კონფისკაციას. (ისევ სხვისი პურით უნდა თავის გატანა). პირველი კონფისკაცია უსისხლოდ მთავრდება: მხარიღლივ მაუზერგადაკიდებული, გინტური სახლში შეუვარდება მიხას და შეშინებული ოჯახი ატანს მომხდურებს ხორბლით გატენილ ტომრებს. მაგრამ მიხას ნაფუძარში გაჭრილ „უძირო ხაროში დაბინავებული მთავარი ზინათი „გამოუვლენელი დარჩებათ თვით გინტურის ბიჭებს. რამდენიმე ხნის მერე ეს უკანასკნელები საოცარ თვალთმაქცობაზე წავლენ და მიხას გამოსტყუებენ მთავარი ზინათის ადგილ-სამყოფელს. თუკი მიხას მორალური უფლება არ ჰქონდა ეგროვებინა და ეგროვებინა გლეხების გაცურებით მითვისებული ხორბალი, არც მთავრობის კაცს, გინტურსა და მის ბიჭებს არ ჰქონდათ არავითარი სანქცია. შეიარაღებული მისულიყვნენ ბნელი ღამით მიხას ოჯახში, გამოეტყუებინათ საიდუმლო და ხორბალი ძალად წაეღოთ. ასეთია მოთხრობის დრამატურგია.

მომხდურებმა იციან, რომ უუფლებოდ, უსამართლოდ, იურიდიული და ოფიციალური სანქციების გარეშე ახდენენ მიხას ხორბლის კონფისკაციას და ეს მეტ ვნებას მატებს მათ ქცევას. მომხდურები ნანობენ, რომ ადრევე არ მოკლეს მიხას ძაღლი, რათა თავის უკანონო საქმე უხმაუროდ ჩაედინათ. გინტურის სამთავრობო კაცები შუა ღამეს ირჩევენ თავისი ზრახვების შესასრულებლად და ვინტოვკებით შეიარაღებულნი ასრულებენ ჩაფიქრებულ ოპერაციას.

ამგვარი ადამიანების მეშვეობით ამყარებდა წესრიგს თავად დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყანა. ძალმომრეობა, რომელსაც ვინ იცის მერამდენედ სჩადის თვით გინტური, ტიპიურია და ახალი მოძალადე წყობილების რაობას კარგად გამოხატავს. რა უფლებით მოდის ხორბლის წასაღებად გინტურის ხალხი? ამაზე ისინი არ ფიქრობენ, ე. ი. არ ფიქრობენ კანონზე, საკუთარი მოქმედების უფლებებზე. იციან, მათ რაიმე დამადასტურებელი კანონი არ სჭირდებათ. ამ შემთხვევაში, გინტურის პირადი გადაწყვეტილება, მისი სუბიექტური არჩევანი და შეხედულება არაუფლებამოსილი დასჯისა და საკუთარი სარფიანობის პრინციპებს ემყარება. ასეთი შეხედულება კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროისათვის მორალის უმაღლეს საზომებს გამოხატავდა. წართმევას, იძულებით ჩამორთმევას იგი გულის სიღრმეშიც ადვილად ეგუება. გინტურს ყოველივე ეს შეუფერებელ საქმედ არ მიაჩნია, რადგან უსამართლობას ბავშვობიდანვე დაჩვეული; მეორეც ის, რომ გინტური ალბათ გრძნობს ახლა ძალადობას მხარს უჭერენ, ახლა ყველაფრისა და ყოველის ნივთიერების დროა და ზნეობრივი თუ სამართლებრივი ნორმებისთვის ახლა არავის სცალია. მოძალადე გინტური იქნება კიდეც ხვდება, რომ ესაა, კრიზისული, გარდამავალი დრო, რომელიც ვიდრე ჩამოყალიბდება, ითმენს ყოველგვარ უთავბოლობასა და არეულდარეულობას დრო, რომელმაც კვარცხლბეკზე აიყვანა შიში, განუკითხაობა და ეროვნულ-მოქალაქეობრივი ღირებულებების ნგრევა. მაგრამ იგი ფიქრისთვის, რა თქმა უნდა, ვერ იცლის, მას იტაცებს მოქმედება, რომელიც შემდეგში ყველას ერთნაირად გაასაცოდავებს.

ასე შეახვედრა ორი მოძალადე ერთმანეთს ავტორმა. ერთ მათგანს არ სურს არაფრის შეცვლა. არსებულ საზოგადოებრივად სუსტ ადგილებს, „ხვრელებს" კარგად იყენებს და სასიცოცხლო წვენს სწოვს გარშემო მყოფთ. მიხა შეფარული მოძალადეა და ადამიანის დაზოგვა არ იცის. მეორე აგრეთვე თითქოს შეფარულად მოქმედებს, მაგრამ ბევრად უფრო საშიშია. მიხას თავისი საცეცების მოქმედება გაანგარიშებული აქვს ადამიანთა სისულელეზე, მათ დაუდევრობაზე. გინტურს ალბათ ყველა სძულს, ვინც უნარიანია, თავგზიანია და სარფიანი. ქვეყნის გაუსახურება, სამართავ პოსტებზე ირგვლივ იარაღშემართული გაგრიებისა და გაუთლელების ყოფნა (რომლებიც მისთვის ყოვლადმისაღებნი გახდებოდნენ) გაუცნობიერებლად მისი ზნეობრივი ოცნებაა. ანკი საიდან უნდა იცოდეს თედო გინტურმა, რომ ჯერ კიდევ ადრეა, ჯერ კიდევ ის დრო არ დამდგარა, რათა ადამიანები გათანაბრდნენ და სრული თანასწორობა დაენესო ამ ცოდვილ მიწაზე. „თანასწორობა" ახალი დროის მითია, ხმარებაში მყოფი იდეოლოგიური ნიღაბია, საიდან უნდა ესმოდეს გინტურს, რომ მაშინაც კი, თუკი აბსოლუტური უმრავლესობა გალატაკდება როგორც სულიერად, ისე მატერიალურად, ადამიანები ვერც მაშინ გახდებიან თანასწორნი; ქონების მითვისებას თუ დატაცებას არ ძალუძს თანასწორობის შექმნა. მაგრამ, როგორც ჩანს, ადამიანს მართავს რაღაც მოუთვინიერებელი უძველესი ძალა, რომელიც მეოცე საუკუნის ლოზუნგებს კარგად იყენებს თავისი უთავბოლობის შესანიღბად. ამიტომ, ამ აღმოუხვრელი წინააღმდეგობების საფუძველზე, ყოველგვარი იდეოლოგია გადაიქცევა მოდერნიზებულ თანამედროვე მითოლოგიად და ვინც მითოსის სწორი გაშიფვრა არ იცის, შეიძლება ისეთივე გამოუსწორებელი ფათერაკები შეემთხვეს, როგორიც [illegible] შეემთხვა.

ვინტოვკით, სისხლის ღვრით, თვალთმაქცობით თანასწორობა არ მყარდება და ამგვარი მეთოდების გამოყენება საბედისწერო ხასიათს ამჟღავნებს. თქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც ფინალური ნაწილი მოთხრობიდან „პური", სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ უსწორდება ერთმანეთს ორი მოძალადე: ავტორი აღწერს გინტურის მეორე შემოჭრასა და იერიშს მიხას ხორბლის დასათრევად. უკანონობა აქ დაქცეული სისხლით იფერება.

ამ ორი უკეთურის სიკვდილისშემდგომ სცენაში ავტორი კვლავ ხატავს მეორე დღის გათენებას. მოთხრობა ამ გათენების სურათით თავდება: კვლავ დეკორატიული სიცხადით ამოდის მზე, ტოროლები ცაში დასრიალებენ. ყვავილების სურნელი თავბრუდამხვევია. ლამის ბნელი ვნებები მინავლებულა.

* * *

მშვენიერია ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „სისუა", დაბეჭდილი მის კრებულში „მოლხინო". ამ მოთხრობას ჩვენ ადრეც ვიცნობდით და მაშინაც ვფიქრობდით, რომ იგი ფილოსოფიურ იგავს უფრო წარმოადგენს. ამ იგავის დედააზრი სხვადასხვაგვარად შეიძლება განმარტებულ იქნას. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა გვესმოდეს, როგორც ხელოვანის უჩვეულო ბედის, მისი განსხვავებულობის, საზოგადოებაში ხელოვანის განსაკუთრებული ხვედრის მცირე მოდელი. ამ მცირე ნაწარმოებს შეიძლება ხელოვანის ტრაგედიის, მისი მცირე აღზევებისა და ბოლოს, მისი გამოუვალი დაღუპვის მითოსიც ვუწოდოთ. „სისუა" მოკლებული არაა თანამსგავსი მითების კლასიკურ ნაკვთებს, განმაზოგადებელ ნიშნებს და ცხადია, დღევანდელ სინამდვილეს უკავშირდება თავისი მძაფრი ემოციური იდეური მონახაზით. ამ იგავში ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ თუ როგორ ცივად და დამცინავად ეკიდება გარემო საზოგადოება ხელოვანს და თავისი უგულო და გულგრილი დამოკიდებულებით სისუას დაღუპვისკენ უბიძგებს.

რატომაა საზოგადოება უსულგულო და გულღრძოც ხელოვანის (სისუას), მისი ტალანტის მიმართ? უდავოდ იმიტომ, განგვიმარტავს ავტორი, რომ, საზოგადოება შეპყრობილია და დაკავებულია მერკანტილური პრაქტიკით: საზოგადოება საქმეს სცემს პატივს. შეძენის, მოპოვების, ხვეჭისა და მომგებიანობის კულტივირება აქ მუდამ პირველ ადგილზეა. ჩვეულებრივ ადამიანს თრგუნავს ცხოვრების შიში, ცდილობს ცხოვრების ფაციფუცით დასძლიოს ეს შიში, მაგრამ ეჭვის თვალით უყურებს სისუას, რომელსაც სურს სიმღერით აღავსოს თავისი ცხოვრება, გააქარწყლოს ყოველგვარი საფრთხე და საშიშროება, სიმღერით გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] სისუა [illegible] [illegible] [illegible] სისიცოცხლით [illegible] [illegible] დაიყრდნოს, [illegible] [illegible] იგი [illegible] [illegible] წაართვა [illegible] ზრდას, თუკი [illegible] ნება [illegible], თუ ამდიდრებს საზოგადოება იბნევა მისი შემყურე; ხალხი სიამოვნებით უსმენს მის სიმღერებს, მაგრამ წინააღმდეგობა ღრმდება — რა დროს სიმღერაა, თუკი საკუთარი ყოფა მოუგვარებელია. ამ უცნაურ, ზეშთაგონებულ ნიჭს საზოგადოება სისუას არ აპატიებს: იგი შრომის მხოლოდ ერთადერთ სახეობას სცნობს; მისი მოსაკვდინებლად ცივი თუ დამცინავი დამოკიდებულებაც მომღერლისადმი აქედან მომდინარეობს. ხალხს ეძლევა საშუალება მისამართი შეუცვალოს შერის ძიების გრძნობას, სისუას ტალანტი მეტისმეტად ახლოა და მისაწვდომი აღმოჩნდა ხალხისთვის.

მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხელოვანის (პოეტის) განუწყვეტლობა საზოგადოების გამოფხიზლებისათვის, საზოგადოების ზნეობრივ-ესთეტიკური ეპატაჟი — პოეტისთვის ყველაზე ძველი ბუნებრივი და ორგანული თვისებაა, რადგან თავის საკუთარს ქირდება თუ გაოგნება უნდა იღებდეს სამეფო კარის ხუმარას განმკურნებლად და გამკილავ გამოხატულებებში. ერთი გერმანელი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ხუმარას გამოხატულებები სამეფო კარზე იყო ძველ დროში ერთადერთი ხუცის მოხსენიებული რამ, რომელიც სოციალურსა და ზნეობრივ კრიტიკას შეიცავდა. ეს ტრადიცია ამჟამადაც გრძელდება: დღევანდელ სცენაზე თუ დადგმებში — კლასიკური გაგრძელებაა (ზემოხსენებული მეცნიერის მოსაზრებით) კარის ხუმარას როლისა, რომელიც ეპატაჟთან ერთად ხალხის გაცეცება და განქიქებას შეიცავდა.

ხელოვანს დაუბედა და წილად ხვდა — საზოგადოების წინაშე ხშირად ამ უკანასკნელისთვის მიუღებელი ფორმებით წარსდგეს. თუკი ეს საზოგადოება თავისუფალია, ხელოვანის კრიტიკული პოზიციაც იმდენადაა ასატანი, რამდენადაც ეს საზოგადოება ღიაა და გახსნილი ამ კულტურული ვითარებისათვის.

განსახილველ მოთხრობაში სისუა არაფერს ისეთს არ აკეთებს, რაც შეიძლება „კრიტიკულ პოზიციად" შეფასდეს. იგი უბრალოდ არ მუშაობს მაშინ, როცა სხვები გაბმულად მუშაობენ, როცა სიმღერა მოუძალდება, და თობს არ ეტანება. თუკი ეფუძრია შეიპყრობს მაგრამ ეს საზოგადოება, რომელშიც თავწახრილი შრომაცა იცის და ბევრ კულტურულ ღირებულებასაც მოკლებული, რომელიც თავისებურად „გაოგნებული", „ეპატირებულია" მისგან, არ შეუნდობს მომღერალს მის სწრაფვას თავისუფალი მოწოდებისადმი. მსმენელი გულში დასცინის მომღერალს. ძმებს სირცხვილით თავი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] რომ საზოგადოება, რომელიც სისუას გარს არტყია [illegible] [illegible] ბევრ მათგანს ესმის სისუას სიმღერის ხიბლი, შთამბეჭდავი ნიჭი, მაგრამ [illegible] ნოვისა გამო დაფასების უნარი ამ საზოგადოებას წართმეული აქვს და ამ საზოგადოების განაჩენი, რომელიც მას სისუასთვის გამოუტანია: მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი და ამბავს სისუას ძმის ცოლი გვიყვება: „ერთხელ, მარტო რომ დავიგულე, გადავედი ჩემს მაზლიცოლთან, დავტუქსე — რატომ არას ეტყვი მაგ შენს უნამუსო ქმარს, ქალო, რომ ხელფეხი გაანძრიოს, ვერ უყურებთ, როგორ ცხოვრობს ხალხი, სიმღერით ქვეყანა ვის აუშენებია, რომ თქვენ ააშენოთ-მეთქი..."

ამ მოთხრობაზე საუბრის დაწყებისას ჩვენ ვთქვით, მას გააჩნია იგავის ზოგი მხატვრული განზომილება, განსაკუთრებით კი საყოველთაო-ტიპიურ-განზოგადებული თვისება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზოგადი პრობლემებიდან ნაწარმოებში შეინიშნება ხელოვანის გამოცალკევება ხალხის ფართო წიაღიდან, როგორც მაღალი რანგის ადამიანის დაბადება უპიროვნო მასაში. ხელოვანი — ახალი საფეხური პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების რთულ ისტორიაში. ადამიანი თავისი პიროვნების ღირსეულ სისავსეს, თავის ინდივიდუალურ სახეს პოულობს განსაკუთრებულ სფეროში — ხელოვნებაში (და ნარცისიზმის კომპლექსითაც ხდება რამდენადმე შეპყრობილი. ამ კომპლექსს გასულ საუკუნეში, საფუძვლიანად, ეგოტიზმს უწოდებდნენ...). ნაწარმოებში, ვფიქრობთ, ადამიანის ინდივიდუალიზების მაღალი გზა ამგვარადაა ნაჩვენები.

აქვე გვინდა ვთქვათ, რომ სისუას შორეული დიდი წინაპარი ვაჟა-ფშაველას მინდია მხოლოდ მინდია — ღიაა, გახსნილია მთელი სამყაროს მიმართ, იგი გონითი უნივერსალიზმისკენ ილტვის. სისუა — საკუთარი მხატვრული ინდივიდუალობის შემოქმედი და შეუპოვარი დამცველია. საკვირველი არაა, რომ მათი ბედი თანხვდა ერთმანეთს. ორივე ფიზიკურად ილუპება. როგორც კი ულალატებენ საკუთარ სულიერ სტიქიასა და ზნეობრივ მოწოდებას.

ამ იგავური ტიპის მოთხრობით ვრწმუნდებით, რომ ტალანტი (ვინც მისით არ ვაჭრობს) იძლევა შინაგანი თავისუფლების უპირატესობას, ტალანტი — პიროვნული თავისუფლების მომცემია. და ეს სფერო კი ძალზე აკლია იმ საზოგადოებას, რომელიც სისუას გარს არტყია. აქედან მომდინარეობს ხომ კონფლიქტთა არსებითი ნაწილი. ვრწმუნდებით იმ აზრის მართებულობაში, რომ შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებულთ არ აკლიათ ადამიანების ღვარძლი და გულგრილობა. მაგრამ ადამიანე-

ბურმა ამბავა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ამასაც გრძნობენ, რომ მათთვის აუცილებელნი არიან და უმაგითოდ შორს ვერ წავიდოდნენ.

მოთხრობა „ქსილისზე" დამახასიათებელია ნუგზარ შატაიძის მხატვრული მანერისათვის, მისი მხატვრული აზროვნებისათვისაც. ამ მცირე მოთხრობაში პერსონაჟი თითქოს არ გვხვდება, ინდივიდუალობისმქონე მოქმედი პირი არ ფიგურირებს. მათ (მოქმედ პირებს) ერთმანეთისგან უფრო ასხვავებთ პროფესია, თანამდებობა, ხელობა, ქქვიათ, აგრეთვე, თავისი სახელები: გოგია, კოლა, მაშო, მარუსა და ა. შ., რისი მეშვეობითაც მკითხველი ხვდება, რომ მოთხრობაში ერთზე მეტი ადამიანი მოქმედებს. ამაში არაფერი იქნებოდა საგანგაშო, თუკი ეს ერთფეროვნება და მონოტონურობა ავტორის მხატვრულ-მსოფლმხედველობრივ პოზიციიდან იქნებოდა გამოყვანილი, ავტორის უპირველეს განზრახვას, გამიზნულ თვალთახედვას რომ წარმოადგენდეს სწორედ ამგვარი იდეურ-აზრობრივი პანორამის დახატვა. მაგრამ, როგორც ჩვენ გავიგეთ, ეს საზენაშლილი ადამიანები ლახატულია არა მწერლური თვალთახედვის მიხედვით, არა სტილური აუცილებლობის გამო, არამედ სტიქიურად, მწერლური პასუხისმგებლობის დაქვეითების წყალობითა და გამოისობით. ავტორი თითქოს არ ფიქრობს იმის შესახებ, ადამიანი მეორე ადამიანისგან გამოარჩიოს, ორი განსხვავებული არსება ერთმანეთს შეუდაროს ანდა დაუპირისპიროს: აქ ზოგი ფერმის გამგეა, ზოგი ვეტექიმი, ზოგი შოფერი, მაგრამ პიროვნული მეობა თუ რაობა თითქმის არ გააჩნიათ.

პროზაიკოსი არ ფიქრობს, გვგონია, იმაზე, რომ წარმოგვიჩინოს მხატვრულად დამუშავებული სახე, პერსონაჟი როგორმე დაგვამახსოვროს. ეს ადამიანები, რომლებითაც ძირითადად, დასახელებულია ნუგზარ შატაიძის მოთხრობათა უმრავლესობა, უფრო ლანდებს წააგავნან. „ლანდების თეატრს" მოგვაგონებენ ვიმეორებთ, ყოველივე ეს მისაღები იქნებოდა. აქ რომ მხატვრულ მეთოდთან გვქონდეს საქმე, პროზაიკოსს რომ გადაეწყვიტა სწორედ ამგვარ სოციალურ გასაღებში წერა. მაგრამ, ჩანს, ავტორს ლანდების ხატვა რეალიზმად მიაჩნია და ისე ხატავს ამ მოქმედ პირებს, თითქოს ამ სოფელში ყველაფერი რიგზე იყოს, ყველას ნორმალურ სოციალურ პირობებში უხდება ცხოვრება.

მაგრამ მოთხრობას მაინც ჰყავს ერთი პერსონაჟი, რომელსაც სოციალური ინდიფერენტიზმი არ შეეხებია და სოციალურ ბედ-უკუღმართობაზე შესაფერისად რეაგირებს: ესაა სოფლის სატვირთო მანქანა! საქმე ისაა, რომ იგი ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ უსიუჟეტო ნაწარმოებში, იმიტომ კი არა, რომ სოფელს საარსებო ძალებით [illegible] სოფლის ფერმასთან, ან [illegible] მასზეა დამოკიდებული ამ სოფლის არა ერთი ადამიანის სიცოცხლე და კეთილდღეობა — განსაკუთრებით კი „საგანგებოდ დაბანილ-დავარცხნილი" ორი ქალაქის დიდი არა, სატვირთო მანქანა ყველაზე არსებითი პერსონაჟია მოთხრობისა იმიტომ, რომ სოციალური მახასიათებლები აქვს, მას ზუსტი სოციალური სტატუსი გააჩნია, ყველაზე მრავლისმთქმელი და კოლორიტულია ამ მხრივ ეს სატვირთო მანქანა ისეა გაცვეთილი, ჩაჯდომი და მისგრეულ-მოსგრეული, რომ მის შოფერს ეშინია ფერმაში წასვლის წინ მანქანაში ჩასვას ორი „საგანგებოდ დაბანილ-დავარცხნილი" ორი ქალაქის დაიკო: „...ეხლა რახაირად, ბუზღუნებს შოფერი, — აბა ამ გზაზე, რა ვიცი რო სადმე გადავბორიკდეთ, ვინ აგოს პასუხი?!". მთიან ფერმაში ყოველ ასვლისას მანქანამ შეიძლება უარი თქვას მომსახურებაზე და უფსკრულში ჩაიჩეხოს. ასეთი ავარიული მდგომარეობა ყოველდღიურად ამ სამანქანო გზაზე. ავტორის ხებისდა მიუხედავად, ეს ავარიულობა სოფლის სოციალურ გასაჭირზე მიუთითებს. სოფლის გზისა და მანქანის ბედი — სოფლის საარსებო ბედზე, მანქანის სიარული ბეწვის ხიდზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული სოფლის მოსახლეობის ხელმოკლეობასა და გაჭირვებასთან უშუალოდ დაკავშირებული. მაგრამ ეს ავტორის ხებისდა მიუხედავად ხდება, ვფიქრობთ. მწერალს არ განუზრახავს, სოციალური დატვირთვა მიანიჭოს თავისი ნაწარმოების მოქმედ პირებს და იგი სატვირთო მანქანაზე გადაიტანოს ტრანსპორტი, რა თქმა უნდა, სოციალური რიგის მოვლენაა, მაგრამ სოციალური კრიტიციზმი, ძირითადად, მოქმედმა პირებმა უნდა გამოხატონ, სოციალური გულისწყრომა ადამიანებმა სიტყვიერადაც უნდა გამოთქვან, სატვირთო მანქანა კი მხოლოდ მრავლისმეტყველი მეტაფორაა.

მოთხრობაში ადამიანების და მანქანის თავისებური გათანაბრებაც ხდება, სოციალური ირონია აქ თავის მწვერვალს აღწევს და ჩვენ, მკითხველები, განვიცდით მანქანის უმწეობას, მის დრამატულ მდგომარეობას, რომელსაც ადამიანები მთელი თავისი ძალებით შველიან; შველიან, რომ უფსკრულში არ გადაიჩეხოს, არ ჩაილუპოს ის ადგილი, სადაც ადამიანები ბურლაკებივით ჩასჭიდებიან თავის ამორტიზებულ სატვირთო მანქანას და მიათრევენ მთის აღმართზე. მეტად შთამბეჭდავია, დასამახსოვრებელია მოთხრობა „ქსილისზე", რა თქმა უნდა, ადამიანებზეა და მათ მძიმე ცხოვრებას გამოხატავს. მაგრამ რანაირად წარმოიდგენდით მათ არასახარბიელო ყოფას, თუკი ავტორი თავის ნაწარმოებში დიდი ხნის წინ ჩამოსაწერ მანქანას არ შემოიყვანდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ადამიანის და გარემომცველი ბუნების დაპირისპირება ნუგზარ შატაიძის მცირე ფორმის პროზაში რასაკვირველია, ერთგვაროვანი არაა: მაგრამ მათში ყურადღებას იპყრობს ლამაზი პეიზაჟის შეგრძნება და აღქმა, უფრო სწორად მარტოხელა ადამიანის გამოჩენა ლამაზი ბუნების წიაღში. მართალია, ბუნების სტიქიაში მოხვედრილი ადამიანის განცდები არცერთგზის აღწერილა მწერლობაში, მაგრამ ეს თემა მარადმწვანეა და არ გაგვკვირვებია, როცა ჩვენს ავტორთან მან თავი იჩინა. იგი ხომ თავისი ბიოგრაფიით მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ სოფელთან და ქართულ ლანდშაფტთან.

ერთ ერთი დასამახსოვრებელი ფურცელი ადამიანის მიმართებისა ლამაზ სტიქიასთან ჩასწერა დიდ პოეზიაში გოეთემ თავისი უკვდავი ბალადით „ტყის მეფე". ამ ბალადაში თუკი ბიჭი აღშფოთებული მამა შეპყრობილია იმ აზრით, რომ ლამაზი ტყე თავისი იდუმალი, მიუნდობელი, საეჭვო გამოუცნობლობით როგორმე გადაიაროს და მკერდში ჩაკრობილი თავისი პატარა ბიჭი შინ მშვიდობით მიიყვანოს, ბავშვი შეუპყრია მხოლოდ ბნელი, მოზუზუნე ტყის, სიბნელის დამთრგუნველ განცდას და ბუნების ყოვლისშემძლეობის მძიმე გრძნობას: როგორი დაუსრულებელია ტყე, როგორი დაუსრულებელია მისი შიში, როგორ მიუღებლად უცხოურია ყოველივე ეს მის არსებობასთან შედარებით. მამის მკლავებზე რამდენად ძლიერია ტყის ძალა, ძალა, რომელიც შიშია... თუკი მამა შვილზე ზრუნვითაა მოცული და სწორედ ეს ზრუნვა ჩამდგარა მასსა და ლამაზი ტყის აღქმას შუა, შვილი მთელი უშუალობითა და დაუცველობით გრძნობს, რომ ლამაზი ბუნება მისი მეგზური არაა, მტრულადაა განწყობილი. აქ არის რაღაც უძველესი ინსტინქტის გამოვლენა, გამოქვაბულისდროინდელი მეხსიერების ამოტივტივება ჩვენში, პირველშობილი ვერაგი მოშურნეობის გარემო სინამდვილესთან განზეთქილებისა თუ გულგრილი დაუნდობლობის შეგრძნება. როგორც გვახსოვს, გოეთეს ბალადაში ბავშვს კლავს ტყის მეფის სახეში განსახიერებული ბუნების ძალმოსილებათა მაგნიტიზმი: იგი ვერ უძლებს ტყის მეფის შემოტევას, იდუმალი ლამაზი ტყის აუხსნელობას, რომელსაც იგი, რა თქმა უნდა, გაუცნობიერებლად, არსებობის ტრაგიკულ ფონად აღიქვამს. ბავშვი ხომ საკუთარი წარმოსახვის სიჭარბით ვერ დაიღუპებოდა. მას შეიწირავს ბნელი ღამის რეალური სურათი, ბნელი ღამის პირველშობილი შიში, რომელიც ველებზე ჭეშმარიტ რეალურ სინამდვილედ მიუჩნევია. ეს სინამდვილე მამაზე უფრო მეტი და ყოვლისმომცველი აღმოჩნდა. ვერც აჩქარებული ცხენი, ვერც მამამის ვეღარ იცავს. მათი იმედი ქარწყლდება: საშინელია ძალა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ძალ[...]ცეს და რომელსაც ტყის მეფე მიმართავს. ერთი შეხედვით, ეს სიკვდილი გოეთესთან არც თუ ისე მოსაწყენია (ბუნებისმიერ ამ მკვლელობამ არ შეიძლება თომას მანის პატარა ჰანო ბუდენბროკის დაუვიწყარი სახე და მისი მოკვდინება არ მოგვაგონოს, რომელსაც ამ შემთხვევაში, თვით ავტორი მიმართავს მიგვაჩნია, რომ პარალელი ძალდაუტანებელია, თუმცა მისი სიღრმისეული ჩვენებისათვის აქ ადგილი არაა...): ტყის მეფე — ბუნების სულისა და ძალთა გამომხატველი — პატარა ბიჭს ალერსიანი ხმით იპყრობს და ჯადო-ძალით გადაჰყავს თავის სამყაროში. მიუხედავად ამისა, სიკვდილი ლამაზი ბუნების სტიქიაში, ცხადია, საშინელი და არაადამიანური ჩანს.

ნ. შატაიძის მოთხრობაში „გზა შინისაკენ" სწორედ ამგვარ გაუგებარ, არამოტივირებულ, აუხსნელ შიშზეა საუბარი. ტყიანი, ლამაზი გარემო აქაც შუღლიანია, მტრული და გამოუთქმელი. ყმაწვილი კაცი, რომელსაც მონატრებია თავისი სახლი, კარი და ოჯახი, შეღამების პირს ფეხით გასწევს თავის სოფელში. შუა გზაზე თუა, მასში რომ ამოტივტივდება ის დამთრგუნველი, საზარი განცდა, რომელიც აუხსნელია მისთვის; ძრწოლა ბუნებრივ მდგომარეობად ექცევა. მას მოჩვენებები იპყრობენ და მათ ნამდვილობაში თავს უფლებას ვერ აძლევს, ეჭვი შეიტანოს. მას მოჩვენებები მოსდევენ უხმობენ. მაგრამ ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ მხარეებშია დაბადებული და გაზრდილი, კრიტიკის უნარს ჰკარგავს. მათ შეტევას უარს ვერ უბედავს და ნებდება. მან არ იცის, რომ ეს — ღრმა წარსულის შიშებია, რომლებიც შესაფერ ვითარებაში აზმიანდნენ მასში, არამოტივირებულად ეცხადებიან და თავის თავთან სიბნელეში მარტო დარჩენილს, როცა თავი ქვეყნიერებისგან მოწყვეტილი ჰგონია, ულრმესი შიშები აღეძვრიან და თავის თავს დაანახვებენ, მოჩვენებებად წარმოუდგებიან, თვალნათლივ მოევლინებიან.

ჩვენი პირველადი განცდები ისევ ცხოვრობენ ჩვენში, თუმცა ისინი ჩვენს არაცნობიერ ზონაში არიან გასაბლებული და თავს განსაზღვრულ სიტუაციაში იჩენენ ხოლმე. ადამიანს მუდამ სჭირდება დამაშოშმინებელი თვალსაჩინო რეალობა, რათა სტაბილურობის განცდა გაუჩნდეს. სიბნელე და მარტოობა, როგორც მძიმე სიზმარი, მას ადვილად ატოვებინებს ნათელი რეალობის შეგრძნებას და ისევ დაუსრულებელ, გაუფორმებელ პირველყოფილებაში მიეზიდება.

აი, ახალგაზრდა კაცი გასცდება ამ ძრწოლისმომგვრელ ტყეს, ჩქარა შინაც მიაღწევს, საჩქაროდ აბრახუნებს კარებზე, ელის კარების გაღებას. მაგრამ როგორც კი ფანჯარაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის მშვიდ სახეს დალანდავს, თავშეყავება ღალატობს და როგორც ახლად გადატანილ კოშმარებზე მძაფრი უკურეაქცია მოითხოვს, იწყებს ტირილს.

მოთხრობიდან ჩანს, რამდენად ახლოა ადამიანი თავის „შორეულ" წარსულთან. ადამიანი მარტო მომავლისკენ კი არაა მიქცეული, იგი ერთდროულად ატარებს თავის თავში წარსულსა და აწმყოს. ბნელ, ღამეულ ტყეში სიარული ამ ახალგაზრდა ყმაწვილისთვის, რომლის სახელი უცნობი რჩება ჩვენთვის (საგულისხმოა, რომ მოთხრობა ავტობიოგრაფიული წარმომავლობისაა.), თავის ღრმა წარსულში გაკეთებული ექსკურსია. თავის ბნელ, დახაბამინდელ სიცოცხლეში დროებითი მიბრუნებაა. ადამიანის სული, საერთოდ ადამიანი, კლინიკურად სამკურნალო არსებაა, მას კი საამისოდ სთავაზობენ სოციალურ რევოლუციებსა და ქარტეხილებს — ამბობს ზ. ფროიდი.

მოთხრობა „გზა შინისაკენ" ამგვარ ფსიქოლოგიურ „წიაღსვლაზეა" აგებული. ერთ სხვა მოთხრობაშიც („მაქრია და მალა") გაკვრით არის ხელშეხებული ხსენებული თემა. „გზა შინისაკენ" კი მთლად ამ ქვეცნობიერ განცდებზეა აგებული. პირადი გამოცდილების გარეშე არ შეიძლება ასე ცხადად და გამოვლენებულად წერა. ნაწარმოებში შეიძლება ლაპარაკი მოქმედი პირის აკვიატებულ გრძნობებზე, ავადმყოფურ კომპლექსებზე, მაგრამ უძველეს არამოტივირებულ სწრაფვებსა და იმპულსებს მათში არსებითი ადგილი უკავია. ისიც უნდა ითქვას, რომ რასაც მოთხრობაში ფსიქოლოგიურ ნახატს უწოდებენ, ნაწარმოებში სავსებით სწორია, მაგრამ რასაც ფსიქოლოგიური პროგრამა ეწოდება, სასურველია, რომ უფრო მრავალფეროვანი, სარწმუნო და უტყუარი იყოს.

...ჩვენ არ მოველოდით, თუკი ნ. შატაიძის კრებულში „მოლხინო" ისეთ მკრეხელურ ხასიათის მოთხრობას შევხვდებოდით, როგორიცაა ნათლობა. მკითხველისთვის გასაგებია, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ ბოლო შვიდი ათეული წლის მანძილზე ქრისტიანული კულტურა დაეცა. ქრისტიანულმა ეთიკამ თითქმის კრახი განიცადა: ამ მხრივ, ათასხუთასწლოვანი ქართული სოფლის ტრადიციები ჩამოქვეითდა და სახე დაკარგა. მაგრამ ქართველ მწერალს ხომ, მცირე გამონაკლისთა გარდა, შენარჩუნებული აქვს ვარგისიანი ზნეობრივ-კულტურული ორიენტები.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ „ნათლობა" მოთხრობა მკრეხელობაა ახლა, საუკეთესო შემთხვევაში, ტლანქი მოთხრობა-ანეგდოტია. ამ მოთხრობაში სოფლის „ხუმარა" კაცი (თუკი ეს ხუმრობაა), გოგილაანთ ვანო, სოფლად ხმას დაძყრის, რომ ძეობა სურს გადაიხადოს, მაგრამ „ძეობაზე" საკუთარი შვილის ნაცვლად მოსანათლ ვარცლში ჩოს[illegible] ზაქს ჩასვამს: ნათლია ოქროს ჯვარს დაკიდებს კისერზე ზაქს და ამის გამომთვრალ მღვდელს დაუძახებენ, რათა ეს ზაქი მოანათვლინონ. ამ ზნეობრივი მკრეხელობისა თუ უხეირო ანეგდოტის მარილი იმაშია, რომ მღვდელი სურთ დააჯერონ — ვარცლში ბავშვი წევს და არა ზაქი, და მღვდელს, სიმთვრალის გამო, მართლაც დააჯერებენ: „ღმერთო დიდებულო, — ჩაიბურტყუნა მღვდელმა და ზაქს გარშემო შემოუარა, — მაშ ბავშვია ესა?!"

რითი მთავრდება მოთხრობა? რა თქმა უნდა, მთვრალი ბაკქანალიით, ვითარების საერთო მოწონებით, სიცილ-ხარხარითა და ვანოს წაქეზება-შეძახილებით. გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული მოძღვრება ჩვენში, მართალია, ნაკლებად პოპულარული გახდა, რწმენა გაუფერმკრთალდა, მაგრამ რა საკადრისია მისი აღვირახსნილი ხუმრობის საგნად გადაქცევა. იგი (ქრისტიანული აღმსარებლობა) ხომ ორიათასი წლის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა ადამიანის ხსნისთვის, ადამიანის ამაღლებისთვის, განწმენდისთვის, მისი გადარჩენისთვის! თვით — გამოსავლის ძებნაში თავბრუდახვეული ინკვიზიციის უსასტიკესი ცეცხლიც კი განმწმენდ ცეცხლად წარმოუდგებოდათ თავის დროზე. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გაბლდათ ამ ისტორიული ცდის ფსიქოლოგიური საფუძველი. მოვიგონოთ აქ ესპანეთის მეფის ფილიპე მეორის ყოვლადცნობილი, გულწრფელი სიტყვები: მაგრამ თუკი ადამიანის ხსნა და გადარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და ადამიანის მომავალი ბურუსს მოუცავს, ეს განა ქრისტიანული აღმსარებლობის ბრალია? შეიძლება ასეც ითქვას: ქრისტიანულმა მოძღვრებამ, მისმა მიერატიულმა სიბრძნემ და აზროვნებამ შეუძლებელი ვერ შეძლო...

მწერალი იქნება შემოგვეკამათოს, რომ გოგილაანთ ვანოსთან მას არაფერი აკავშირებს. მისი ცოდვები თავის ცოდვებად არ მიაჩნია? თუკი ეს ასეა, ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ხსენებულ მოთხრობაში ავტორის პოზიცია (გნებავთ თვალსაზრისი) არ ჩანს, ავტორის მიუღებლობა არ იგრძნობა, არ შეიცნობა ავტორი მიუკერძოებელ აღმწერელადაც არ გვევლინება, თუმცა მიუკერძოებლობაც ამ შემთხვევაში მიუტევებელია. ასე რომ, ავტორის დუმილი, ნეიტრალური მიმართება ხსენებული ბაკქანალიასთან გვაფიქრებინებს, რომ იგი გოგილაანთ ვანოს გვერდით დგას, თავს მისგან არ ასხვავებს.

ვეღარ ვიგონებთ, პირველად ვინ გამოსთქვა მეტად მნიშვნელოვანი აზრი, რომ ნაწარმოებში ყველაზე საინტერესოა თვით მწერალი, მწერლის ჩანაფიქრი, მწერლის [illegible] თვალსაზრისი, ყველაზე მნიშვნელოვანი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენტირია. „ნათლობაში" კი, უნდა ვაღიაროთ, რომ არ ჩანს ავტორის ნეგატიური დამოკიდებულება თავის გმირებთან, ავტორი თითქოს გათქვეფილია მის გმირებში, ჩვენ იმიტომ კი არ ვიწუნებთ ამ მოთხრობას, რომ გოგილაანთ ვანა ხალხმრავალი „ძეობის" გადახდისას შვილის ნაცვლად ზაქს ჩასვამს ვარცლში და მღვდელი სურს დააჯეროს, რათა ზაქი მონათლოს ქრისტიანული წესით. არა, ეს მოვლენა თითქმის ბუნებრივად მიგვაჩნია. დღევანდელ სოფელში ამგვარი რელიგიური ნიჰილიზმი წარმოსადგენია. საქმე ისაა, რომ მწერალი მკვეთრად ვერ გამოკვეთს თავის დამოკიდებულებასა და თვალსაზრისს ამ სამწუხარო ბაქანალიის გამო. სრულყოფილ ღირებულებრივ შეფასებას ვერ იძლევა, ვერ გვიხსნის თუ ვერ აფასებს ზნეობრივ-ისტორიულ პანორამას.

* * *

პრინციპში, ნუგზარ შატაიძე სოციალურ კრიტიკას არ გაურბის, თვლის, რომ ზნეობრივ-საზოგადოებრივი კრიტიკა მისი დანიშნულებაა. იგი ფსიქოლოგიური წყობის მწერალი არ გახლავთ. სწვდეს ადამიანის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს — ჯერ-ჯერობით მისი მოთხოვნილება არაა, ამიტომ მას რჩება, ძირითადად, ყოფითი და ზნეობრივ-სოციალური სფერო და ამ სფეროებში იგი გარკვეულ აქტივობას ამჟღავნებს კიდევაც. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „თიკანი" — იგი წმინდა სოციალური განზომილებებით არის შექმნილი, სოციალური ასპექტი ადამიანის მზილების ინსტრუმენტადაა ქცეული. სოციალური დვრიტა, სოციალური ირონია, ავტორის რწმენით, კარგად აჩენს ჩვეულებრივი ადამიანის ზოოლოგიურ საწყისებს.

პროზაიკოსი მოთხრობაში „თიკანი" იშველიებს უცნაურ იუმორს, რომელიც ხელს უწყობს მას სოციალურ აზროვნებაში, მხატვრული ზემოქმედების მიღწევაში. მაგრამ თუკი მოისურვებდა, შეეძლო მხიარული იუმორი შეეცვალა გროტესკით, თხრობის მხიარული სახუმარო ტონი — მძაფრი ირონიით. აქ ხომ კარგი მასალაა მწვავე სოციალური ბრალდებისათვის, დღევანდელი სოფლის ცხოვრების დანაშაულობათა სამხილებლად. შედარებით გულგრილი აღწერითობა უნდა შეეცვალა ზნეობრივ აღშფოთებას. მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ თუკი რეალურად არაფრის შეცვლა არ ძალუძს, ცხოვრების მდინარებას ქირქილით უნდა გაჰყვეს. შეცვლა — შეცვლაა, მაგრამ მკვეთრი თვალსაზრისიც საგნობრივი მნიშვნელობისაა, ნივთიერად მნიშვნელოვანია. ცხადია, ნორმალურ საზოგადოებრივ პირობებში ზოგჯერ მწერალი თვლის, რომ საკმარისია სოციალური აქტის რეგისტრაცია, ყოფით მოვლენათა კონსტატაცია და დადგენა, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ზუსტი მოქალაქეობრივი პოზიცია, მეტი მოქალაქეობრივი ინიციატივა, კილვა თუ განქიქება, როგორც მეთოდი, მას ბევრად უფრო მნიშვნელ[illegible]ლად წარმოაჩენს. ნუგზარ შატაიძის ხელთაა ნუგზარ შატაიძის, როგორც სოციალური კრიტიციზმის ერთ-ერთი შემწისა და მეურვის ბედი, ახალი მხატვრულად თვისობრივი ნახტომი, მისივე შემდგომი მწერლური ბიოგრაფია.

„თიკანში" ავტორი გვიყვება ვინმე შაქრიას ცხოვრებისეულ კარიერაზე, შესახებ იმისა, თუ როგორ წარმოუდგენია დღევანდელ ქართველ გლეხს თავისი კეთილდღეობის შექმნის გზები. როგორც ითქვა, სამწუხაროდ, აქ იოტისოდენა უტრირებას, საგანთა „დეფორმაციას" ანდა გროტესკულ წარმოსახვას არა აქვს ადგილი. პირიქით, ნატურალისტური ჩანახატის გაკეთება, თუ უბრალო ფაქტოგრაფია ჩვენი ავტორისთვის სავსებით საკმაო და მისაღები ხერხია. აქ ლაპარაკია სტილურ წესსა და სახსრებზე, თორემ ამ ფაქტოგრაფიაშიც ხომ ჩანს სოციალური უკუღმართობის საოცარი სახე, მისი უზომოდ დამამცირებელი ბუნება, უსირცხვილო კორუფცია და აღებ-მიცემობის ყოვლად გადაგვარებული ფორმები. მოთხრობაში გაშიშვლებულია სოფლის სოციალური იერარქიის ბილწი და ურცხვი ნორმები. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ რამდენადმე აკლიათ განზოგადების ძალა, მხატვრული პერსპექტივის სიღრმე, მსხვილი პლანის გამოყენება, რეალისტური თვალთახედვის სიფართოვე. ამის გარეშე კი კარგი ლიტერატურა არ არსებობს.

აი შაქრიას ცხოვრების კარიერის გადმომცემი ერთი ფრაგმენტი: „თავმჯდომარეს თაფლი მიუზიდა, ბუღალტერს — ყველი, მოანგარიშეს — ლობიო, აგრონომს — სიმინდის ფქვილი, „იმერულია, გაუხარდება". ვეტექიმს — „რამდენი არიან ეს ოხრები?!" — შაქარი. ალაჯუნე შალიკოს გაკეთებული ამბრის ცალ თვალში ფქვილი ჩაყარა, მეორეში — შაქარი, მესამე ლობიოთი გაავსო, წათხში ყველი ჩაალაგა, ნაალში — მატყლი, დიდრონი ბიდონები კიდევ თაფლით დაალიცლიცა, გაკეთდა შავი დედალივით, წელში გასწორდა". ფაქტოგრაფიაში ცუდი არაფერია, თუკი იგი ზომიერად გამოიყენება. მოყვანილ ნაწყვეტშიც ფაქტოგრაფია სავსებით შესაწყნარებელი, მისაღები ფორმითაა ალნუსხული, მაგრამ ეს მწვავე ამბები და მოვლენები მწერალთან მოითხოვენ შეხედულებათა სისტემის მეტ გაღრმავებას, თვალთახედვის მეტ მომცველობას.

მოთხრობის კვანძი კი იუმორისტის ხელითაა განასკული: შაქრიას თიკნის შესაჭმელად ესტუმრებიან შავთოლგიანი რაიკომის მდივნები და სოფლის უფროსობა. შაქრია სწორედ ამგვარად იღვწის საოჯახო კარიერისთვის, თიკანი კი მისმა პატარა ვაჟმა, რომელიც კარიერაზე ჯერ არ ფიქრობს, გაიტაცა ეზოდან, რათა საყვარელი ცხოველი გადაემალა და ამგვარად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაურჩინა. მაქრიასა და მისი ოჯახის სვებედნიერი მომავალი განსაცდელში აღმოჩნდა... ასეთია ქართული სოფლის ყოფითი დრამა, რომელშიც სოფლის უფროსობის წტომაქი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია.

ტიპოლოგიურად თანამსგავსია „კამეჩის მაწონი“. აქაც იუმორით გვიმასპინძლდება ჩვენი ავტორი. იუმორი აქ ფსიქოლოგიური ხერხია ზნეობრივი დაცემის შესამსუბუქებლად. კაცს, რომელსაც ახლა ფანდური ქვია, სოფლის საბჭოს თავმჯდომარესთან მიაქვს თავისი კამეჩის მაწონი. თურმე ასე დააქვს მუდამ. ეს ხდება სისტემატურად, რეგულარულად, რადგან თავმჯდომარეს ნამთვრალევზე ძალიან უყვარებია ეს დელიკატესი. მაგრამ ფანდურის დრამა ამაში კი არაა, იმაშია, რომ ესპობა ფეშქაშის მიცემის საშუალება — თავმჯდომარე თურმე მოუხსნიათ და კამეჩის მაწვნით სავსე ქილები ახლა უკანვე უნდა გააბრუნოს. აი რა მდგომარეობაშია ჩვენი სოფელი. მაგრამ მწერალს ისღა დარჩენია, ყოველივე ეს მწარე სიცილით მოგვითხროს. იდეოლოგიური პროგრამით შიშნაჭამი მწერალი იძულებულია ეკონომიური მისუსტება და დაკნინება, ზნეობრივი დეგრადაცია ხუმრობანარევი ტონით გადმოგვცეს.

თუკი ჩვენ გვკითხავენ, საიდან ამოიზარდა ნუგზარ შატაიძის მწერლური ნიჭი, ჩვენ დაუყოვნებლივ ვუპასუხებთ, რომ ამოიზარდა იგი ქართული ზღაპრის წიაღიდან. მისი ყველაზე დიდი წინაპარია ქართული ხალხური ნოველა. მცირე ფორმის მოთხრობებში იგი ოდნავ თუ გასცდა ქართული ზღაპრის პოეტიკას, საზღაპრო თხრობის კულტურას, ჩვენს მძლავრ ფოლკლორულ ტრადიციებს, ზეპირსიტყვიერების აღიარებულ ფორმებს. რაღა თქმა უნდა, მწერალმა მრავალი სასარგებლო რამ აითვისა დიდი ლიტერატურიდან, მაგრამ თავი-და-თავი აქ „წყლის წისქვილში მრავლად შეკრებილ მსმენელთა თუ მთქმელთა მოსაყოლი ამბავია“. „ახალი ქართული პროზა თავის დიდ სათავეს წისქვილში იღებს“ — უთქვამს არაერთხელ გიორგი ლეონიძეს. ეს დიდებული მგოსანი თავის მცირე პროზასაც ამგვარად უყურებდა და განიხილავდა.

„თხუნელა“ თავისებური ჟანრული ჰიბრიდია. იგი მოთხრობაცაა, მაგრამ უფრო ზღაპარია. ვერ ვიტყვით, რომ ეს მოთხრობა-ზღაპარი ცხოველთა სამყაროს მიეკუთვნება, რადგან ფინალში ერთი არაფრის გამგები დედაკაცი გამოჩნდება და ეს გამოჩენა საბედისწერო აღმოჩნდება საბრალო თხუნელასთვის, რომელმაც, მგონი, პირველად ამოყო თავი მიწიდან და მზით განათებულ, აყვავებულ ბოსტანში მოხვდა, რომელიც მისთვის სამყაროსაც წარმოადგენს. თხუნელა ყოველივეს პირველადმომჩენის გაოცებით უყურებს. მაგრამ ვიდრე ამ დიდებულ ბოსტნის საოცრებებს შეიცნობდეს, იგი დედაკაცის თოხის მოქნევით კვდება. ე. ი. მას არ ამღვრევს არც სი[illegible] არც ბუნებრივი სიკვდილის უფლებას. მას [illegible]აცლიან არც სიცოცხლის და არც სიკვდილის შეცნობას. არ ვიცით, როგორი უნდა შეიცნოს მან თავისი ზედმეტობა..

ლირიკული პროზის ეს ნიმუში, „თხუნელა“ გვაგონებს ვაჟა-ფშაველას მოთხრობებსაც. ვაჟა-ფშაველა ხომ ქართული ლირიკული პროზის ფუძემდებლად უნდა ჩაითვალოს. აქაც ისევე, როგორც ვაჟასთან, ცხოველები ანტროპომორფიზებულნი არიან, ადამიანური თვისებებითა და გრძნობებით არიან გამსჭვალულნი. მაგრამ ამ მოთხრობა-ზღაპარს თუკი ახლავს ერთგვარი მიდრეკილება — იქცეს ფილოსოფიურ იგავად, თუკი სურს ფილოსოფიურ სიბრტყეში მოექცეს, უნდა გაიღრმაოს ცხოვრებისეულ მოვლენათა ალეგორია, გამდიდროს მწერლური თვალთახედვა. „თხუნელა“, როგორც ლიტერატურული მასალა, იძლევა ამის საშუალებას.

შთამბეჭდილებას ტოვებს მოთხრობა „შესანდობარი“. იგი გაჟღენთილია სიკვდილის განწყობილებით. მოთხრობა თითქოს დასაფლავების ქართულ რიტუალს გადმოსცემს, მაგრამ რიტუალი არსებითი მხარის მხოლოდ გარეგნული ნაწილია და ოროოდე შტრიხითაა გადმოცემული. მოთხრობაში უმთავრესია სიკვდილის განცდის გამოხატვა. ფონად ცივი, ზამთრული პეიზაჟია შერჩეული, რათა ადამიანის მიერ საკუთარი წარმავლობისა და სევდის განცდა უფრო მიუხადგარი იყოს. სიცოცხლის სიკვდილთან ფსიქოლოგიური შეხება, სიკვდილთან გვერდიგვერდ ყოფნა, სიკვდილთან მჭიდრო სიახლოვის გადმოცემა, მახვილ თავისებური „ინტიმის“ დამყარება, სიკვდილის პურის ჭამითა და ღვინით ალხიმების მისაცემი — ასეთია „შესანდობარის“ უმთავრესი აზროვანწყობილება.

სოფლის სასაფლაოზე დამარხეს ხნიერი ქალი, შვილი დასტირის თავის დედას. მაგრამ ეს სურათი გათვალისწინებული არაა მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად. ზემოქმედებას ახდენს მესაფლავე ჩხიკვია და უცნობი მთიულის სასაფლაოზე დარჩენა. აქ პურ-მარილის მიღება და სიკვდილთან ასე ურთიერთობა და მარტივი უშუალობით ყოფნა. ხშირ ბუჩქებში ქრის სუსხიანი ქარი და მიდამოდან თოვლის ფანტელი მოაქვს. ახლადდამარხულის საფლავთან კი დგას ორი შემთხვევით შეხვედრილი ხნიერი ადამიანი და სოფლის სასაფლაოსა და სუსხიანი ამინდის ფონზე ვერ მიხვდები ვინ არიან: სიცოცხლის შვილები თუ სიკვდილის მძევლები. არა, არც მესაფლავე ჩხიკვია, არც გოსტიბელი გლეხი დეკლასირებულნი არ არიან, ისინი, პირიქით, უფრო ადამიანის არსებობის გახუნებულ ალეგორიას მოგვაგონებენ, ხატოვნად ქმნიან (თავისი გაუცხოებითა და გაცამტვერებული მიუსაფრობით) ადამიანის ეგზისტენციალისტურ ცისარტყელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფობას. მათი შესაქმეელი შილაფლავი გაყინულია. მათი კრიტიკა თითები დამზრალია და მათი ხელიც დამზრალი ჩანს. მკითხველზე მოქმედებს ის გულგრილობა, რომლითაც ისინი სიცოცხლესა თუ სიკვდილს ეკიდებიან. აი ის მარტივი მაგრამ ჩამწვდომი ფილოსოფია, რომელსაც გონტიბეკი მთიული გამოთქვამს და თითქოს ყოფიერების დედაარსს იკვლევს: სიცოცხლეს ვერ წარმოუდგენია თავისი არსებობა თვითგანადგურების გარეშე, სიკვდილი — ესაა თვითმშთანთქმელი სიცოცხლე

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

* * *

ნუგზარ შატაიძის მოთხრობების კრებული ატარებს მასში მოთავსებული პატარა ნოველის სათაურს — „მოლხინოს" — მოლხინო", თავისი მხატვრული ხელწერით რამდენადმე დამახასიათებელია მისი ავტორისათვის მთლიანად კრებულისთვის. მაგრამ მისი მახასიათებლები მწერლის სასარგებლოდ მაინცდამაინც არ ლაპარაკობენ. საქმე ისაა, რომ ავტორს ხშირად ავიწყდება ის ფუნდამენტური, მაგრამ უბრალო წესი, რომ რეალისტური მოთხრობის მხატვრულ კარკასს უნდა ქმნიდეს პრობლემა (ეთიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ეროვნულ-ისტორიული, ეკოლოგიური, ფილოსოფიური...). მოთხრობა ხომ წარმოადგენს თანამედროვე, აქტუალური, მწვავედ საჭირბოროტო პრობლემის ხორცშესხმას?

ამ მცირე ნაწარმოებში ორი პარალელური სიუჟეტურ-კომპოზიციური ხაზია. მოთხრობაში ჯერ ლაპარაკია იმაზე, რომ წესიერი ადამიანი დღეს სანთლითაა საძებნი და თუ ადამიანს ახლო არ იცნობ, მისგან წესიერ ქცევაზე უფრო ურიგო საქმეს უნდა ელოდე. თითქოს მოთხრობის პრობლემაც მოძებნილია და ახლა მის მხატვრულ გადაჭრას ელოდება მკითხველი. მაგრამ წინასწარვე ვიტყვით, რომ პრობლემა ცალსახად, ზედმეტად სწორხაზოვნად, უფრო ცალმხრივად, ერთგვაროვნად და ერთფეროვნადაა წამოყენებული და განხორციელებული. როგორც ითქვა, მოთხრობას გააჩნია თავისი მარტივი კომპოზიციური სტრუქტურა. ნაწარმოების აგებისას ავტორი ამგვარ ხერხს მიმართავს: გვაწვდის ორ კერძო შემთხვევას, ორ პარალელურ ზნეობრივი ხასიათის შინაარსს, რომლებიც ერთსა და იმავე მორალურ შედეგს იძლევიან. თუკი მოთხრობის დასაწყისში ამგვარ თეზისს გვთავაზობდნენ: „ეხლა ვიღაა სანდო, რომ უცხოს ენდო!", მოთხრობის კითხვის ჩათავებისას ვიგებთ, რომ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში თურმე ყველა სიკეთითაა ყელამდე სავსე; ამგვარი ზნეობრივი შეხედულ[illegible] ლიტერატურული თვითნებობაა. თვითნებური წადილია, როცა ყველა პერსონაჟი მოთხრობისა უანგაროა, უეშმაკო და ხელგაშლილი. შეიძლება მართლაც ასე მოხდეს სინამდვილეში, როგორც ნუგზარ შატაიძის ნოველაში ხდება, მკითხველს შემთხვევითობაც აინტერესებს, მაგრამ დაე გვითხრას მან თუ რას უდრის შემთხვევითობის კოეფიციენტი ამგვარ ეპიზოდებში. ანდა სადაა ნაწარმოების ჭეშმარიტი პრობლემა? პრობლემად არ მიიჩნევა იმგვარი მტკიცება, თითქოს, უხინჯო ადამიანები ადვილად შეიძლება შეგვხვდეს მაშინც კი, როდესაც ქვეყნის ფართო შარაგზაზე ხარ გასული. ეს ხომ ზნეობრივი ეგზოტიკაა; ეს ხომ თვალსაზრისი და პრობლემა არაა (აქ უფრო შემთხვევითობის საკითხი უნდა განხილულიყო).

ამიტომ, ჩვენი აზრით, ნაწარმოები უფრო პატრიარქალური ლიტერატურული ახირებულობაა.

თუკი მწერალი სიკეთის რაობაზე მოისურვებს წერას, საჭიროა უფრო ზნეობრივი ანტინომიების მოძიება. საჭიროა წვდომა იმისა, რომ ადამიანი ზნეობრივ განხეთქილებებისგან იტანჯება (თვითკმაყოფილებისათვის ნუ დავტოვებთ ადგილს ნურც ჩვენს სულში, ნურც მოთხრობაში!). სიკეთის განმხილველი პრობლემა მოითხოვს ვითარების მეთოდურ ანალიზს: ზნეობრივი ხასიათის მოვლენებში წინააღმდეგობათა შენიშვნას და იმ კალეიდოსკოპში ცალი თვალით მაინც ჩახედვას, რომელსაც პიროვნება ეწოდება. მოთხრობად ის არ ჩაითვლება, სადაც საჭირბოროტო საკითხი ალტერნატიულად არაა დაყენებული და მხატვრულად შესაბამისად განხორციელებული. ტიპოლოგიურად ახლოა „მოლხინოსთან" „მაჭრია და შალა": აქაც მკითხველი მოყირჭებული რჩება პატრიარქალური სიკეთით, უანგარობითა და უხვი წყალობით. ეს სოფლური ფილანტროპია, ვეჭვობ რომ საშობაო მოთხრობისთვის მაინც გამოდგეს. მწერალმა სასურველი სინამდვილედ არ უნდა გაიხადოს.

თუკი ზოგ მოთხრობას მართლაც აკლია აზრით გამდიდრება ან ფორმის შემოქმედებითი სიახლე, მათ ფონზე მართლაც რომ შთამბეჭდავია და მახვილგონივრულია მოთხრობა „თუთქის მიმყრელი".

თუთქი — წყალში არეული ნაცარია, რომელსაც აყრიან ხოლმე ზედმეტად გახურებული თონის ცეცხლს გასანელებლად. კოჭობი პატარა ქოთანს ქვია. „ყველა ოჯახში თითო კოჭობი დუღსო" — ქართული ბრძნული ანდაზაა; ამ ანდაზას მაშინ მიმართავენ და იყენებენ, როცა ოჯახს რაიმე შფოთისა და დავიდარაბის წყარო არ ელევა და რაც ანდაზის გამომთქმელის თვალში ბუნებრივიც ჩანს. „თუთქის მიმყრელში" სწორედ ასეთი ოჯახია ნაჩვენები. თუთქის მიმყრელი ამ ოჯახის მოხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ქალია, რომელიც პირს წმენდს თავისი მეოთხიანი და ათორმეტიანი ოჯახის წევრებს და ცდილობს სოფელს პირში არ ჩაუგდოს თავისი ნამუსიანობა. ყოველივე ეს შესრულებულია კოლორიტის სიუხვით, მახვილგონივრულად და მშვენიერი სიცოცხლის სიყვარულით.

როცა თუთქის მიწყრილი მოხუცი ქალი დაუძლურდა და ვეღარ შველოდა თავის ოჯახს მისი საცრახისი ქცევის გაუვნებელყოფაში, ხრიკს მიმართა: ატყდებოდა სახლში ჩხუბი და ხათქაბუთქი თუ არა, დედაბერი, კარებწინ გამართულ სკამზე მჯდომარე, ქმრის შემორჩენილ ლოლს აბრაგუნებდა, რათა ოჯახის ორომტრიალი დაეფარა, გაეყრუებინა და თავისი მოყვრები თანასოფლელთა წინაშე შერცხვენისგან აეცილებინა. სხვა საქმეა ახლა აღწევდა თუ არა დედაბერი, მთავარი ის უნდა იყოს, რომ ავტორიც და მკითხველიც მთელი თავისი არსებით მიიხმობიან ოჯახის მხარეზე. თანაუგრძნობს მათ, მათ ხმაურიან ცხოვრებას. ამით ავტორიცა და მკითხველიც „თანაუგრძნობენ" წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების ბუნებრივ მდგომარეობას, ოჯახური თანაარსებობის გარდუვალ მოუგვარებლობას, ადამიანთა შეუთავსებლობის უშუალო გამოვლინებებს, გულისწყრომის იმპულსებს, რომელსაც ასე უხდება ლოლის ბრაგაბრუგის აკომპანემენტი. ავტორი თითქოს გადმოგვცემს სპონტანური ცხოვრების რეალობას, რომლითაც ასე დაინტერესებულია თანამედროვე ფილოსოფიური აზრი. თბილამაძიანთ ოჯახი ცხოვრობს ნორმალური ცხოვრებით, ბუნებრივი ურთიერთობებით და ყოველი მათი რიაჟრია, ორომტრიალი, ყაყანი, ქოთქოთი და ჩოჩქოლი — თვით სიცოცხლის მოუწესრიგებლობაა. ადამიანთა ცხოვრების მოუგვარებლობა და მოუწყობლობაა, რაიც მათი ბუნების ულრმეს პლასტებში ძევს. თბილამაძეებში გამოვლენილია ადამიანთა ფსიქოლოგიური ბუნების შეულამაზებელი სურათი. მკითხველთა სიმპათია და თანაგრძნობაც აქედან მომდინარეობს.

სავსებით დამაჯერებელი ჩანს მცირე მოთხრობა „შეხვედრა", მიუხედავად იმისა, რომ მასში რამდენადმე პარადოქსული სიტუაციაა აღწერილი. სოფელში, ვინმე გოგიას კარ-მიდამოში, კაკლის ხე გაზრდა. [illegible] და მის მოჭრასა და წაქცევასთან ერთად კვდება ოჯახის უხუცესი დედაკაცი.

შეჩვეული, ჩვენთვის ჩვეული მიკროგარემოს ამ მყიფე და მერყევ ქვეყანაში დიდი ფსიქოლოგიური ძალისაა. გარემოს ხელუხლებლობა თუ „სტაბილური" ერთსახოვნება ადამიანისთვის ბუნებრივ ლოგიკად და საფანელად იქცევა. ადამიანი ერთგვარ იდენტიფიკაციას ახდენს მიკროგარემოსა და თავის არსებობის სამყაროს შორის. იდენტიფიკაციის დიდი საიდუმლო მწერალს უცხოს გადარჩენილი ადამიანისა და ხეს შორის არსებულ მიმართებაზეც. დიდი კაკლის ხის სიცოცხლეს შეუძლია როლი ითამაშოს თვით ადამიანის არსებობაში, რადგან მიმართება ამ შორის უნდა ვივარაუდოთ. მრავალწლიანი კაკლის ხე უბრალო ხე კი არაა. მასთან მთელი სიცოცხლე ჰქონდა „ურთიერთობა" აწ სიკვდილის პირს მისულ მოხუც ქალს. იგი მასთან ფსიქოლოგიურად წილნაყარია. კაკალი მარჩენალიც იყო. კაკალი მისი ცხოვრებისეული წარმოდგენების განუყოფელი ნაწილი იყო. მის სოფლურ არსებობაში მყარი ადგილი ეკავა. დედაბრის სოფლურ წარმოდგენებში მოხსნილი აქნებოდა საგანთა მიღებული იერარქია და კაკლის ხე სიცოცხლის მიუცილებელი მკვიდრი გამხდარიყო. დედაბერი დერეფნის კუთხეში მიმჯდარი, სახეგაქვავებული, — როგორც ავტორი წერს, სწრაფად ჩურჩავდა პარკებს, ლობიოს კალთაში იყრიდა, კუწწეს ცალკე აბუღულებდა. მოტორიანი ხერხის (რომლითაც გამხმარ კაკლის ხეს მოსჭრიან) ხროტინი და ღგანდგარი კი შუა ეზოში, დედაბრისგან სულ ახლოს, ალბათ უსიამო განცდასა და გაუცხოებას იწვევს მასში. გამხმარ კაკლის ხესა და დალეულ დედაბერს რაღაც საერთო ბედი უმზადდებათ. შეიძლება მოხუცმა არც იცის, რომ მის არსებობასთან ასე შეჩვეული „დაბერებული" ხის მოჭრა ფსიქოლოგიური ტრავმაა, რომელსაც იგი ვერ გაუძლებს. „დიდი ხის" (შეჩვეული) ხის მოჭრა, კაკლის მაგიერ ცარიელი სივრცის გაჩენა დიდი ცვლილებაა მის ბებრულ ცნობიერებაში. (მართალია, ეს დიდი ცვლილება ჯერ არ დამდგარა, მაგრამ წუთი-წუთზე მოსალოდნელი დიდი ცვლილება კი — სიკვდილია.

[illegible] № 000703558

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-18 და განყოფილებების — 93.55.13; 93-55-17; 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 17. 10. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 11. 90 წ. ასაწყობი ზომა 7¼×12. ქაღალდის ფორმატი 70×108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,58. ტირაჟი 30 700. შეკვ. 2224.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, მ. კოსტავას ქ. № 14.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ